რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი

XIII

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-296-1 (XIII ტომი)

რედაქტორი: **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

მარტოხელა მგელი

სოფელს მგელი შემოეჩვია.

მგელი თვალით არავის უნახავს. სამაგიეროდ ნახეს არველაძეების ყელგამოღადრული ხბო, ჩხობაძეების რქებ-დამტვრეული და მუცელგამოფატრული საჯიშე ვაცი.

საკრებულომ მგლის მოკვლა ორ გამოცდილ მონადირეს – ბახვა ენდელაძეს და გრიშა ჩუბინიძეს დაავალა.

ბახვა და გრიშა რიბირაბოზე გავიდნენ სახლიდან. თან ბახვას გრძელცხვირა და მაღალფეხება, გამოცდილი მეძე-ბარი ხაპია ახლავთ.

მოიძიეს, მოითარეშეს, მოიბილიკეს მთელი ხეობა, შეუ-ჩუჩხურეს, შეუსახრჯოხეს მგლის სავარაუდო ბუნაგ-სამალა-ვებს, მაგრამ ოთხფეხა ყაჩაღის კვალს ვერ მიაგნეს.

რომ მოშუადღევდა, კონწოლიას მთის ბოლოს, ჭანჭახის სათავესთან სანგარში ჩასხდნენ და მგლის აგდება ხაპიას მი-ანდვეს.

ხაპიამ ლაქაშებში ტუცა დრუნჩი და გაუჩინარდა.

– ბახვა, ე შენი ძაღლი ატეხილი ხვარაა, რაცხა წეღან ნამეტანი იყნოსავდა აწითლებულ უკანალს, – იხუმრასავით გრიშამ.

– შენ ხუმრობ და დროც ქეა აწი.

– შარშანაც დამპირდი მაგის ლეკვს.

– შარშან გამიცდინა წელი. გვიან გოროუშვი გარაღმა და არ დამაკდა.

– დაუზარელი ძაღლია, არ უნდა ლაპარაკი.

– კიე, ექვსი წლისაა და ჯერ დაღლილი არ მინახავს.

– რა ჯიშია მაგი?

– რა ჯიშია ვერ გეტყვი, ვერ მოგატყუებ და ისე დოუყენე გვერდით, რა ჯიშიც გინდა, პასპორტიან-ჯინჯილებიანი ძაღლები რო ყავთ, ბარე ორი დავარდნილა ენაგადმოგდებული და ჩემი ხაპია ქე დაშლიგინობდა ზეით-ქვეით. ამას რო თავი გაანებო, ერთნაირად მუშაობს ფრინველზეც და ნადირზეც, იცი ამფერი ძაღლი სხვა ამ ჩვენ შემოგარენში?

– მოძებნის ვითომ იმ ბალანამოსაგდებ მგელს?

– რავარც ეტყობა, მარტოხელა მგელია. ხროვა რო იყოს, ჯერ ერთი, სოფელს მეტ ზარალს მიაყენებდნენ და თან, სანამ ჩვენ გევიგებდით, ცხრა მთას გადეივლიდნენ. ხროვა ერთ ადგილზე არ ჩერდება, თუ აქანაა, ამ ტყეჯაგებში, სადმე, ხაპია უეჭველი იპოვის.

– რო წამოაგდოს და ზევით ქნას პირი?

– არ მოხდება ეგ. ნადირი ყოველთვის გასასვლელს ეძებს. იგი ეკალბარდებში არ შევარდება, რო არ გეიხლართოს, თუ დაადგა კვალზე ძაღლი, უეჭველი აქეთ გამოვარდება და ჩვენც აგერ ვართ. რა გიდევს პატრონაში?

– დათვის ჟაკანი.

– შენ დატენე?

– აპა? ამგენის დატენილს ვენდობი?

მონადირეები გაჩუმდნენ და ორ წიფელას შორის იმ გასასვლელს მიაჭიჭინდნენ, სადაც მათი ვარაუდით მგელი უნდა გამოჩენილიყო.

გრილოდა.

მყუდროებას მხოლოდ ჟამკარარეული როჭოს ჩხავილი არღვევდა.

●

„აქა ხარ... აქა ხარ... სულ ახლოს ხარ... ცხვირში მიღიტინებს შენი სუნი... კიდევ ცოტაც და წაგადგები თავზე... გაგიგდებ წინ და, მე თუ ვერ დაგეწიე, ბახვას ტყვია დაგეწევა... აქა ხარ... ვერსად წამიხვალ!“

უეცრად ხაპიას წინ ზამთრისპირის ტყისფერი ნადირი აღიმართა.

ისინი ცხვირმიდებულები, გაქვავებულნი ჰყნოსავდნენ ერთმანეთის დრუნჩპირს.

ურჩხულს ჩამქვრალი ღველფისფერი თავყური ჰქონდა.

ხაპიას არ შეშინებია. ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ის იყო, უნდა დაეყეფა, რომ უცნობმა არსებამ არაამქვეყნიური სიმშვიდით უთხრა:

– არ დაიყეფო, მე მგელი ვარ.

– ვიცი და სწორედ მაგიტომ უნდა დავიყეფო.

– როგორც გინდა, მაგრამ სანამ დაყეფებას მოასწრებ, ნაფლეთებად გაქცევ.

– მე შენი არ მეშინია.

– მე არ გაშინებ, შენი დაყეფება უბრალოდ სხვა გზას არ მიტოვებს.

– მე რა ვქნა? მე ხომ იმისთვის წამომიყვანეს, რომ შენ მომეძებნე.

– ხომ შეიძლებოდა, ერთხელაც ვერ მოგეძებნე. ვინ წამოგიყვანა?

– ბახვამ და გრიშამ, ბახვა ჩემი პატრონია, გრიშა მისი ძმაკაცი. ახლა ისინი გასასვლელთან სანგარში სხედან და გელოდებიან. ჩემი საქმე უბრალოა, მე ახლა დავიყეფებ, შენ გასასვლელისკენ გაიქცევი და მოგკლავენ.

– კი მაგრამ, რატომ მკლავენ?

– მაგას მე მეკითხები? გუშინწინ ხბო... გუშინ ვაცი...

– თუ დაფიქრებულან თქვენები, რატომ აქამდე არ ვეცემოდი სოფელს? შენ გგონია, მსიამოვნებს ეზო-ეზო წანწალი და გაავებული ძაღლების ყეფა–გნიასი? მაგრამ რა ვქნა. ტყეებში ირგვლივ ხანძრებია, შიმშილით ხომ არ მოვკვდები.

– შენი მესმის, მაგრამ ჩემიც უნდა გაიგო. ქვეყანა რომ დაიქცეს, მე ჩემი წესი უნდა შევასრულო.

– რა წესი?

– რაც ბუნებას დაუწესებია. ოდითგან ხომ ასეა, შენ გარბიხარ, მე მოგსდევ.

– ერთხელაც რომ შენ გარბოდე და მე მოგსდევდე?

– ასეთ მეძებარს პატრონი სანადიროდ მეორეჯერ აღარ წაიყვანს.

– აბა, კარგად დამაკვირდი... ხომ ხედავ, როგორ ვგავართ ერთმანეთს... სუნიც კი ერთნაირი გვაქვს.

– დავუშვათ ასეა... ეგ არაფერს ცვლის.

– მერედა ვისი გულისთვის სწირავ თავს? ვისი გულისთვის მებრძვი მე – შენს სისხლსა და ხორცს?

– მე... ჩემი პატრონი ქვეყანას მირჩევნია.

– გასაგებია... მან შენ ლუკმა გაგიჩინა... თვითონ რომ კარგად დანაყრდება, გამოხრულ ძვალს გადმოგიგდებს ხოლმე სუფრიდან... ეს არის და ეს.

– მხოლოდ ძვალზე როდია საქმე. მე ჩემს პატრონს ვერ მოვატყუებ... მას ჩემი იმედი აქვს. ასე რომ არ იყოს, დღეს სანადიროდ არ წამომიყვანდა... მით უმეტეს, ჩემს მდგომარეობაში.

– ეგ უკანასკნელი შეგეძლო არ გეთქვა... ისედაც მივხვდი სუნზე... ცოტა აქეთ მოიწი...

მგელი ხაპიას თვალის დახამხამებაში ზურგზე მოერგო... მუცლის ბოლოს წინა ფეხები სალტესავით შემოაჭდო და თავისკენ დაქაჩა...

– არა... არა... გეხვეწები... ჩვენს შორის ეგ არ შეიძლება! შენ სხვა ხარ... სხვა რჯულისა ხარ... თავი მომეჭრება.. არა, არა რა... გეხვეწები... გეხვეწები... ნუ დამამტვრიე ნეკნები... მტკივა... მართლა მხეცი ხარ... მართლა მგელი ხარ...

... დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ორივენი კონწოლიას მთის აღმართს ჩრდილო–დასავლეთისკენ მიუყვებოდნენ.

ხაპიამ უსაფრთხო გასასვლელამდე მიაცილა მგელი.

– ვერ წარმოიდგენ, როგორ მძულს ამ დღეებში სოფელში

გამოჩენა. დაგედებიან ძაღლები დიდი, პატარა, ბებერი, ახალგაზრდა... ყველა თავის თავს გატენის, ყველას თავისი წილი უნდა... ერთხელ სცადა ბახვამ, არ გაეღო ჭიშკარი, მაგრამ ყმუილით კინაღამ აიკლეს იქაურობა. ერთი ხვადი მეტრნახევრიან ეკლიან ღობეს გადმოახტა და ზედ გადაიფატრა თავისი საოხრე. ახლა მარცხნივ გახვალ და პირდაპირ იარე.

– ვიცი... ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს?

– ალბათ ვეღარ.

●

ეს ამბავი რადიო–ტელევიზიას არ გადმოუცია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით პატრონმა ხაპიას მშობიარობიდან თვენახევრის შემდეგ შენიშნა, რომ მეძებარს დაცქვეტილყურებიანი ლეკვები სწოვდნენ.

თვით ხაპიას არაფერი უკვირდა. იგი თავდრუნჩს ულოკავდა ლაჯებში მომწყვდეულ ლეკვებს და ბუნების საოცრების სახილველად მოსულთ დამნაშავესავით შესცქეროდა.

ტაბახმელა

ვუძღვნი გმირ იუნკერთა ხსოვნას.

ავტორი

„მაზნიაშვილმა სოღანლუღთან რუსები სასტიკად რომ დაამარცხა და 1600ტყვე გამოგზავნა თბილისში, ვაი თუ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოსო, და ჟორდანიამ მთავრობის ევაკუაციის ბრძანება გასცა. ...შუაღამისას ჩაბნელებული, უკვე მიძინებული, მიწყნარებული თბილისიდან მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად“.

რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან

დილიდან აღარ თოვდა, მაგრამ ქარმა წამოუბერა და თებერვლის სიცივე ძვალ–რბილში ატანდა.

ბოლშევიკთა მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცები დაღლილი, გაწამებული სახეებით მოტოპავდნენ თოვლნარევ ტალახს.

ისე ილაჯგაწყვეტილნი და სასოწარკვეთილნი ჩანდნენ, რომ ადევნებული ბავშვების მიერ ნასროლ ქვა–ჭოლოკზეც აღარ რეაგირებდნენ.

ქამარშემოხსნილებს შინელების სახელოებში იქეთ–აქეთ ორივე ხელი შეეყოთ, ყურწვეტიან პილოტურებზე ნავარსკვლავევი აჩნდათ, რეზინის ჩექმებზე გარედან თექის თუ ნაბდის ნაგლეჯები შემოეხვიათ და აჩაბაჩად მიაბიჯებდნენ.

ტყვეებს წინ უნაბისფერ ცხენზე ამხედრებული პოდპოლკოვნიკი ჯაფარიძე მოუძღოდა.

ერთმხრივ ოციოდე ნაბიჯის დაშორებით შაშხანიანი გვარდიელები მოაცილებდნენ.

ყურახვეული ტყვე გვარდიელს გაუსწორდა.

– ხომ არ იცით, სად მივყავართ?

– ქალაქში.

„ქალაქში“, „ქალაქში“, „ქალაქში“ გაურბინა რიგებს და იქიდანვე მეორე შეკითხვა დაბრუნდა:

– ხომ არ დაგვხვრეტენ? თქვენ გეცოდინებათ, ღვთის გულისათვის არ დაგვიმალოთ.

გვარდიელმა არ უპასუხა.

ჯერ ერთი მან არ იცოდა, რა ბედი ელოდა ტყვეებს და კიდეც რომ სცოდნოდა, არ გაამხელდა.

ესეც არ იყოს, გამარჯვებული მხარის ბადრაგს ტყვეებზე არანაკლებ სციოდა და ცნობისმოყვარე ტყვესთან ლაილაის თავი აღარ ჰქონდა.

პროცესიამ სოღანლუღის ველებიდან მარჯვნივ ჩაუხვია და მტკვრის პირას, ფონიჭალის მისადგომებთან შეჩერდა.

ჯაფარიძემ ნაბდიან–ყაბალახიანი კაპიტანი იხმო.

– მომისმინე. მე შტაბში მივალ, ბიჭებს თვალი ეჭიროთ. თუ ვინმემ გაქცევა დააპირა, გაუფრთხილებლად ესროლეთ, ამათი პატრონი ქვეყანა.

კაპიტანს გაეცინა.

– გამქცევი არც ერთი არ არის, მაგრამ შიათ ამ ოხრებს.

– ერთ საათში დავბრუნდები, გადაწყვეტილი ექნებათ ალბათ რამე.

ცხენს დეზი ჰკრა და მეტეხისკენ ოთხით დაძრა.

●

შტაბში თევზაძე დახვდა.

თათბირობენო, ადიუტანტმა შეაჩერა, მაგრამ ჯაფარიძემ ყური არ ათხოვა, მათრახის ენატარი მუჭში მოიქცია და კარი შეაღო.

მაგიდასთან სამნი წახრილიყვნენ და საველე რუკას ჩაჰ-კირკიტებდნენ.

ფანჯარასთან ტელეგრაფისტი აჩხაკუნებდა.

– ბატონებო, მაზნიაშვილის დავალებით მოგესალმებით და სოღანლუღთან ბრწყინვალე გამარჯვებას გილოცავთ! – ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნად გამოუვიდა, მაგრამ სხვანაირად მასპინძელთა ყურადღებას ვერ მიიპყრობდა.

– ტყვეები სად არიან? – წელში გასწორდა თევზაძე.

– ფონიჭალასთან.

– მერე?

– მეც სწორედ მაგის გასაგებად გეახელით.

თევზაძე შტაბის წევრებს მიუბრუნდა. წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს. თხუთმეტიოდე წუთში თევზაძე ნოე ჟორდანიას კაბინეტთან ბოლთას სცემდა.

წუხელის არ უძინია და ამ დილით ჩასთვლიმა, ვერ გავაღვიძებო, მდივანმა.

– სასწრაფო საქმეა, მოახსენეთ, რომ მე ვარ!

მდივანმა კარი შეაღო.

– ბატონო ნოე, მაზნიაშვილის ტყვეები მოიყვანეს.

მთავრობის თავმჯდომარეს შეეტყო, რომ ტყვეების მოლალვა დიდად არ გახარებია.

– რა ვქნათ?

– რა უნდა ვქნათ, ბატონო ნოე, რა ვაჭამო მე ათას ექვსას კაცს.

– მართლა ამდენია?

– მეტიც იქნება.

– მოლაპარაკებამდე ვერ შევინახავთ?

– რას ბრძანებთ, ბატონო ნოე, გვარდიის მარაგი ერთი კვირაა, ამოიწურა. საწყობები ცარიელია. მომქმედ არმიასაც ვერ ვაწვდით საჭმელს.

– იქნებ ქალაქი...

– თბილისი ისედაც შიმშილობს. ვის ეტყვი, დამპყრობელი ბოლშევიკი რუსისთვის ლუკმა გაიღეო, ხომ გაგვიტეხეს თავი.

– რა ვქნათ, აბა?

– რა ვიცი... ყაზარმებშიც ვერ დავტევთ...

– ცხრაჯერ ვუთხარი მაზნიაშვილს... ტყვეები გვინდა ახლა ჩვენ? მაგათ რომ რამე მოუვიდეს, ხომ დამკიდეს ყვერებით სტალინმა და ორჯონიკიძემ. ეს, რაც ხდება, გაუგებრობის ამბავია, თორემ ორივე მხარეს სოციალისტები არ ვართ? არ უნდა იცოდე, თევზაძე შენ ეს ამბავი?!

– რა ვქნათ, აბა?

ნოე ჟორდანია წამოდგა და ზურგზეხელებშემოწყობილმა ბუხრის წინ გაიარ–გამოიარა. შეჩერდა და თევზაძეს დააკვირდა:

– უნდა გავუშვათ, სხვა გზა არ არის.

– სად გავუშვათ, ბატონო ნოე, გადაირევა მაზნიაშვილი. ჩვენმა ბიჭებმა რაც სისხლი ღვარეს.

– პოლიტიკის ამბავია... და პოლიტიკაც არ იყოს, ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის...

●

მტკვრის პირას ქვებზე და დამპალ ფიჩხ–ნაფოტებზე ჩამუხლულ ტყვეებს რომ გამოუცხადეს, თავისუფალი ხართ და საქართველოს მთავრობა წინადადებას გაძლევთ, არ ჩაერიოთ ომში, დაბრუნდით უკან, რუსეთში, თორემ, ვისაც იარაღით ხელში დაგინახავთ, გამოუძიებლად დაგხვრეტთო, ბევრმა ვერ გაიგო.

ვინც გაიგო, ასე გადაულაპარაკა გვერდით მდგომს: „გავარიატ, სპასაისა კტო მოჟეტ“.

რუსები ნელ–ნელა, ზოზინით, თითქოსდა აშკარად უკმაყოფილოდ დაიშალნენ.

არ მოეწონათ, რომ მათ ამ საათიდან არავინ უბრძანებდა, თითს არავინ დაუქნევდა და, რაც მთავარია, ბალანდას და მახორკას არავინ მიაწვდიდა.

ოთხი შედარებით ცქვიტი ტყვე ისევ იმ გვარდიელს გარსშემოეწყო:

– ვი ნე ზნაეტე, გდე ზდეს ბაზარ?!

გვარდიელმა ხელი ორთაჭალისკენ გაიშვირა.

ყოფილმა ტყვეებმა ცუხცუხით მოუსვეს იქეთკენ, სადაც ბაზარი ეგულებოდათ.

●

ტაბახმელის გორაკებზე თოვლი დახატულივით იდო. დახატულივით იმიტომ, რომ მზის მხარეს თოვლი გამდნარიყო და თაგვისფერი ბალახით შემოსილი მიწა მოჩანდა.

დარჩენილი თოვლი ყინვას მოელოკა და მინასავით ირეკლავდა ძალადაცლილ სხივებს.

ჯაგნარიან მაღლობზე სამი ზარბაზანი მორიგეობით, კანტიკუნტად ყეფდა.

ჯაფარიძემ მაიორი ჩრდილელი მოძებნა.

– ბატონო პოდპოლკოვნიკო, უკვე მეშვიდე პატაკი გავგზავნე ტელეგრაფით. პასუხი არ ჩანს. რას აკეთებენ იქ, შტაბში, სძინავთ?! ხომ ხედავთ, ჩვენს სროლაზე არ პასუხობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არა უგვიანეს ხვალ დილისა შეტევაზე გადმოვლენ. სად არის მაშველი ბატალიონი, ვეშაპელი რომ დაგვპირდა? ბიჭები მეორე დღეა შავ პურზე და ცხელ წყალზე მყავს. ყუმბარები გვითავდება. სასწრაფოდ ერთი კამიონი საჭმელი, ერთი კამიონი ყუმბარები და მაშველი ბატალიონი გამოგვიგზავნონ! თუ სოღანლუღის ფრონტს ვერ ჩამოვაკლებთ, მოხალისენი მაინც შეკრიბეთ! დაგვიხოცავენ ამ ბავშვებს. გესმით!?

ჩრდილელს ხმა უკანკალებდა.

პოდპოლკოვნიკს ბოდიში მოუხადა, ზემდეგს უბრძანა პატაკი გაატანეთო და მეზარბაზნეებისკენ გაიქცა.

სანამ პატაკს გაამზადებდნენ, ჯაფარიძემ იუნკრებს ჩამოუარა.

რცხილნარში ერთიმეორეზე მიხუფლულ სახელდახელო ყაზარმებში, ფარღალალა ოდა–ლაზარეთში, ბრეზენტის

კარვებში ქარი რომ ბოლოებს უფართხუნებდა და გადახურულ ოთხთვალებში ისხდნენ ბიჭები.

ისხდნენ მდუმარედ... გაფართოებული, ლამაზი თვალებით შესცქეროდნენ სტუმარს.

„როგორ ხართ, ბიჭებო?!“

ყველა კარავთან ერთსა და იგივეს ეკითხებოდა იუნკრებს ჯაფარიძე და ყველანი ერთნაირად პასუხობდნენ:

– კარგად, ბატონო პოდპოლკოვნიკო!

– ხომ არაფერი გიჭირთ?!

– არა! ბატონო პოდპოლკოვნიკო!

არავითარი დაჩივლება, არავითარი წუწუნი...

სიცივისა და შიმშილისგან გათანგული ბიჭები ისხდნენ სიკვდილის ველზე და მზად იყვნენ.

„მზად იყვნენ“ ამ ფრაზის სრული მნიშვნელობით.

ჯაფარიძე გაყინულ გუბურასთან ცხენს მოახტა და თავქვე დაეშვა.

თევზაძემ პატაკი წაიკითხა.

შუბლი დაეცვარა:

– მე ყუმბარებს და საჭმელს მოვიძიებ. შენ სასწრაფოდ გავარდი კანცელარიაში და მიმართვა დააბეჭდვინე. მოხალისეები უნდა შევკრიბოთ!

ერთ საათში თბილისის ქუჩებში კედლებზე და ტელეგრაფის ბოძებზე წარწერები გაჩნდა:

„მოქალაქენო“ სამშობლო საფრთხეშია. ვისაც სურვილი აქვს, იარაღით (ან უიარაღოდ) გამოცხადდეს ხვალ დილით ცხრა საათზე, სერგეევის ქუჩის ბოლოში, ტაბახმელასთან გამაგრებული იუნკრების მისაშველებლად!“

დილით ამირეჯიბი, ჩხეიძე, ვეშაპელი და ჯაფარიძე ცხრა საათიდან ელოდნენ სერგეევის ქუჩის ბოლოში მოხალისეებს.

ათი საათისთვის მხოლოდ ოცდათოთხმეტი მოხალისე შეგროვდა.

სხვები?

სხვები ისე იყვნენ შეყუჟული თავიანთ ბუდეებში, როგორც ახლა არიან, როცა ეს ნოველა იწერება.

ოცდათოთხმეტიდან ცხენოსანი მხოლოდ სამი გახლდათ.

დანარჩენები ფეხით იყვნენ. ზურგჩანთებით და სანადირო თოფებით ხელში.

ფეხით აუყვნენ აღმართს. რა ექნათ, აბა?

ეს იყო სულ მაშველი ბატალიონი.

ჩრდილელი შუადღემდე ამაოდ ელოდა დაპირებულ ერთ კამიონ ყუმბარებს, ერთ კამიონ საჭმელს და მაშველ ბატალიონს.

შუადღისას მტერმა იერიში დაიწყო.

●

შიშისგან სულგანაბული მოქალაქენი დაშვებული ფარდების მიღმა, დაგმანული სარკმლებიდან შესცქეროდნენ XI ბოლშევიკური არმიის შემოსვლას თბილისში.

12 თებერვალი, 2011
თბილისი

როდის კვდება ადამიანი

სულელი უნდა ვიყო, ექიმის და ექიმობის რომ არ მწამდეს, თვითონ შევსწრებივარ მილიონ მაგალითს, როგორ გამოგლიჯა ექიმმა სიკვდილს ხელიდან საიმქვეყნოდ გამზადებულ–გახაზირებული კაცი, მარა ისეთი შემთხვევაც ცოტი როდი ვიცი, ექიმმა რომ ხელი ჩაიქნია; ამას აღარაფერი უშველის, მიქელ–გაბრიელის განკარგულებაშია გადასულიო. ოჯახის ყველა წევრი რომ შეამზადა მედიცინის წარმომადგენელმა და ბოლო საეჭვო ნუგეშიანი სიტყვა რომ დაუგდო, „რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართო“.

ცელიან სიკვდილს რომ შეატოვა ხელში კაკალი კაცი...

და სასწაული რომ მოხდა:

ფეხზე ცხვარგამობმულმა ავადმყოფმა რომ მოიხედა. მოიხედა კი არა, საბოლოოდ განიკურნა და კითხვის ნიშანივით რომ დაუტოვა თავისი მორჩენა ყველა მჩხიბავ–მეწამლეს და მეკომპიუტერე–მერებუსეს.

რაღა შორს წავიდე, ჩემს ამბავს მოგიყვები:

კლოუნი ვარ მე.

ორმოცი წელია ჩემს ქალაქ სამწყერიაში ცირკში ვმუშაობ.

მქონდა, როგორ არ მქონდა შემოთავაზებები თბილისიდან. ცხონებული ბორია წიფურია (მაშინ თბილისის ცირკის დირექტორი იყო) სამჯერ ჩამოვიდა, წამოდი, დედაქალაქის ცირკის კლოუნობა, ხომ იცი, მაინც სხვა დონეა, პრესტიჟის საქმეაო. აქ რო გაქვს, სამჯერ მეტ ხელფასს დაგინიშნავო, მარა არ ვქენი.

სამწყერიაში, რასაკვირველია, პატარა ცირკია. წარმოდგენა მარტო შაბათ-კვირას გვაქვს. სამ თვეში ერთხელ რეპერტუარს რამე ახალი თუ არ დავუმატე, ერთხელ ნანახის სანახავად ორჯერ მოვა მაყურებელი და მესამეჯერ – არა.

ჩემ ცირკში ხან რეჟისორად დამნიშნეს, ხან დირექტორ-განმკარგულებლად, ერთხანს მთავარი ადმინისტრატორიც ვიყავი, მარა მანეჟს არ მოვშორებივარ.

ერთი–ორჯერ ჩამოვიყვანეთ კულტსასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდა კლოუნი, ამოვიყენე გვერდით, ცას ხომ არ შევაბერდები, გავზრდი ამას ჩემს შემცვლელად–მეთქი, თუმცა შენ არ მომიკვდე, ხუთ-ექვს თვეზე მეტი ვერ გაძლო ახალმა. დაკრა ფეხი და თბილისს მიუბრუნდა.

ჯერჯერობით ვუძლებ და მერე ვნახოთ, რა იქნება.

ჩემი ნომრებისთვის სიტყვებსაც მე თვითონ ვწერ. ხან-დახან იმნაირ რამეს ჩავურტყამ წარმოდგენის დროს ჩვენი ქალაქის ცხოვრებიდან, რომ კვდება ხალხი სიცილით.

მტერი ჩავარდა ჩემ ყბაში.

ყოფილი გამგებლის, მერის თუ გუბერნატორის იმნაირ პაროდიებს ვაკეთებ, შენც რო მოგეწონება. ძირითადად, სატირის ხაზით, ყოფილ ჩინოსნებზე ვმუშაობ. მიხვდები რა-ტომაც. სკამზე მჯდომს რომ მივდგე, ვის აღადავებ შენო და ჩემს გაგდებას ვინ ჩივის, ცირკს მიახურავს.

თავი რომ არ შეგაწყინო, სარცხვინელს ქვემოთ, ბოქვე-ნას რო ეძახიან, მუხლიდან მტკაველნახევარზე მეჭეჭი გამო-მივიდა. ჩვეულებრივი, თავიანი მეჭეჭი იყო, ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მარა მანეჟზე რო დავრბოდი და დავხტუნაო-ბდი, ერთი–ორჯერ ხელი შემიშალა, ბარძაყების ერთმანეთზე ხახუნის დროს ღიზიანდებოდა და სისხლიანდებოდა. ავდექი და ლეიკოპლასტირი მივიკარი. ლეიკოპლასტირს ყოველდღე ვიცვლიდი. „დუშის“ მიღების დროს მაინც ჩამოირეცხებოდა. თურმე არ უნდა მომეხსნა. მოხსნის დროს მეჭეჭის თავკანი ძვრებოდა.

ბოლოს, ძალიან რომ შემაწუხა, მივედი უქიმერიონზე რომ ონკოლოგიურია.

საავადმყოფოში ჩემი გამოჩენა ქე იცი, რა არი.

ვზივარ ლომჯარიას მოსაცდელში.

ატყდა ფაციფუცი და გაქცევ-გამოქცევა.

სამ-სამად გამოდიან ექიმები და ექთნები, სანიტრები და ავადმყოფები თავიანთი ოთახებიდან.

ჩაივლიან, ვითომც არაფერი, ჩვენ ჩვენს საქმეზე მივდივართო, სამ ნაბიჯზე გაშორებულები მოიხედავენ და იცინიან.

ჩემ დანახვაზე სიცილი არ მიკვირს. რამდენჯერ მქონია შემთხვევა, პანაშვიდზე მივსულვარ ოჯახში, ჩამომირთმევია ხელი, მონაწილე ვარ-მეთქი, მითქვამს ჭირისუფლისთვის. „მონაწილე ვარო“ და წასკდომია ჭირისუფალს სიცილი.

რა უნდა ვქნა მე.

ხომ არ ავყვები სიცილში იმ უბედურნახევარს.

ვსწორდები წელში და უფრო სერიოზული სახით მივდივარ კარებისკენ. ზურგს უკან მესმის და ვგრძნობ მოგუდულ სიცილს.

ჭირისუფლის გარდა სხვებიც, სამძიმრის რიგში მდგომი მოქალაქეებიც იცინიან.

საავადმყოფოში ერთი-ორი ნაცნობიც გამომიჩნდა.

რამ შეგაწუხათ, ბატონო იპოლიტეო, მეკითხებიან.

არაფერი, ისე, უბრალო საქმეზე ვარ, ლომჯარიას ველოდები-მეთქი, ვპასუხობ.

ჩვენ ხომ არაფერი შეგვიძლიაო.

დიდი მადლობა, ნუ წუხდებით-მეთქი.

ისევ გრძელდება ცნობისმოყვარეთა პარადი ჩემს წინ დერეფანში.

როგორც იქნა, მოვიდა ლომჯარია.

ხონელი ბიჭია. მე და ცხონებული მამამისი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით ხონში. ბავშვობა ერთად გავატარეთ.

რა გაგჭირვებია, იპოლიტე ბიძიაო, კაბინეტში შემიძღვა, კარი მიხურა, ხალათს იცვამს და იღიმება.

რა აცინებს ამ ოჯახაშენებულს.

ამიტომ არ მიყვარს საავადმყოფოში მოსვლა.

ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი.

რა ადგილზეაო, დაინტერესდა, ბუნებრივია.

კვერცხებიდან ერთ ციდაზე-მეთქი.

„კვერცხებიო“, ისევ იღიმება.

აბა, რა უნდა მეთქვა?

მაჩვენე აბაო.

ჩავიხადე შარვალი და ვაჩვენე.

სერიოზული არაფერიაო, იღიმება. არ შეშინდეო.

არასერიოზული უძახე შენ, მანეჟზე გამოსვლაში ხელს მიშლის-მეთქი.

ვნახოთ, მაინც დავთესოთ, რაკი მოსული ხარო, იღიმება.

ამიღეს, ნაცხი თუ რაღაცას ეძახიან.

დამიბარა ათი დღის მერე ლომჯარიამ.

მივედი.

ცოტა ცდამ კიდევ მომიწია, მაგრამ ვატყობ, იმდენი სიცილ-ძიგძიგი და გასვლა-გამოსვლა აღარ არის, ჩემი დანახვის დროს.

შევედი ლომჯარიას კაბინეტში.

იპოლიტე ბიძიაო, პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით გაგახარებო.

მითხარი, შვილო, პატარა ხომ აღარ ვარ–მეთქი. არაფერი დამიმალო-მეთქი.

ასეთ შემთხვევაში ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ჩვეულებრივი უმტკივნეულო ხალ-მეჭეჭია, ჩვენ პაპილომას ვეძახით. რაღა თქვენთან ამოითესა, მაინცდამაინც, დადებითი, მიკვირს ძალიანო. ამას ჩვეულებრივ ენაზე კანის კიბოს ეძახიანო.

რა საშველი არსებობს–მეთქი, წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

სამწუხაროდ, ქარჩაულის სითხის, ან მოყინვის პროცედურა დაგვიანებულია. ქირურგიული ჩარევა კი პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს და არ გირჩევთო.

გადამიწურა წყალი ლომჯარიამ. რას ვერჩი, რა მისი ბრალია, კაცმა სიმართლე მითხრა.

რავა ვქნა ახლა, რას მირჩევ, დავანებო მუშაობას ხვალიდან თავი-მეთქი? ვკითხე ანგარიშმიუცემლად.

რა გითხრა, მე ვერაფერს გირჩევ, იპოლიტე ბიძიაო. ჯერ-ჯერობით დაიწეპე ისევ ლეიკოპლასტირი და განაგრძე ჩვეულებრივი ცხოვრება. შენი, ხალხისთვის საყვარელი არტისტის მანეჟიდან წასვლა დაზაფრავს ქალაქს.

მე შენს ადგილას სანამ შევძლებდი, ვიქნებოდი ცირკში, საერთოდ კი შენი საქმე შენ იციო, ლომჯარიამ.

გულმკვდარი, დაღრეჯილი, ელდაცემული დავბრუნდი ცირკში. ჩემს საგრიმიორო ოთახში დავჯექი სარკის წინ და ჩემს თავს მივაჩერდი.

თვალებში, გამოხედვაში, ძალად ღიმილში ვეძებ სიკვდილის აჩრდილს; არ ჩანს.

დავყურებ თითქმის თანაშეზრდილ ნახევარმეტრიან, წვერმოგრეხილ კლოუნის წაღებს, ბურთულის ცხვირს, შვიდფეროვან ჩაჩს, რა კლოუნადაა ცხოვრება, თანაც ტრაგიკული კლოუნადა. ეს ყველაფერი დარჩება, მე კი აღარ ვიქნები.

„დაგვიანებულია“... „დაგვიანებულია“... „დაგვიანებულია“...

რეკავს ყურებში ლომჯარიას განაჩენი.

კარებში ადმინისტრატორმა ყურშავაძემ შემოყო თავი.

ბატონო იპოლიტე, რა ვქნა, არ ვიცი, ცხრაჯერ გოვუსწორეყენ სტამბაში, მარა ისევ შეცდომით დოუბეჭდიათ აფიშა „სამწყერიას“, მაგივრად კიდევ „სამყვერია“ წერიაო.

ხმა არ გავეცი.

რა ვქნათ ახლაო. არ წამემელო ქე მაინცო.

გაასწორეთ ტუშით და გააკარით, რავარც მაშინ-მეთქი. აფიშის თავი მაქვს ახლა მე-მეთქი?

რავაო?

რავა და კიბო დამიდგინეს ახლა ა, ერთი საათის წინ-მეთქი.

სხვას რო ეთქვა, არ დავიჯერებდი; ე ჩემი კიბოს ამბავი ყურშავაძემ ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. არ

ვიცი, ვერ გაიგო, არ ვიცი, არ დაიჯერა ან უბრალოდ, ხუმრობად ჩათვალა.

წავალ ახლაო, თუ დაკეტილი არ დამხვდა სტამბა, ახლიდან დავაბეჭდიებ აფიშასო, თლათ ეიგდეს თავი მაგენმაო, რავა შეიძლება სამწყერიას მაგივრად „სამყვერიას“ დაბეჭდვა, კიდო ეგ უნდა ჩვენს გამგებელს? იღრინება მაინცო.

გაიხურა კარი ყურშავაძემ და ჩემი გარე ბიძაშვილი ზაურ ხვიჩია გამომეცხადა. ზაურს წინა კვირას ტექმომარაგების საწყობში მივყევი; 500 ცალი ბურთულ-საკისარი უნდოდა. იპოლიტეს ხათრით ჩიტის რძეს გაგიჩენო, საწყობის გამგემ.

ახლაც იქედან მოვდივარო, ზაურმა, დოურეკე ერთი, თუ მაძლევენ, მომცენ, თვარა და მითხრან ვარიო. ხუთჯერ მივედი და მემალება, მე მგონია, კურკუტიაო. მაგას ვინ ვგონივარ მეო.

ჩემო ზაურ-მეთქი, სარკიდან შევცქერი ჩემ ბიძაშვილს, რო იცოდე, რა დღეში ვარ, დღედღეზე სიკვდილს ველოდები, ონკოლოგიურში ვიყავი დღეს და კანის კიბო დამიდგინესმეთქი.

შენ როგორ ფიქრობ, შეიცხადა ჩემმა ზაურმა ეს ამბავი? ეს რა მითხარიო, რა უნდა შენთან კიბოს, შენი იმედი გვაქვს ცხოვრებაში, ან არ იქნება ეგ დიაგნოზი მართალი, გულს ნუ გაიტეხ, ხშირად ცდებიან ექიმებიო? ან რაღაც ამის მსგავსი მითხრა ზაურ ხვიჩიამ?

შენ არ მომიკვდე.

ისევ თავის სათხოვარს დაუბრუნდა.

დაურეკე ერთი და გაჯორე კარგადო. უთხარი, ეს ერთი ბიძაშვილი მყავს საპატრონო და არ მიწყენიოთ, თვარა ჩემთან გექნებათ საქმე-თქვა. რავა ი პაჩენიკები თავისთვის კი არ უნდა, საქვეყნო სამსახურში დგას ზაურიც-თქვა.

...ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ტელევიზორში მოვკარი ყური „კანის კიბო დამარცხებულიაო“. ნიუ-იორკის 127-ე კლინიკაში (კენედის ავენიუ) წარმატებით მკურნალობენ

კანის კიბოს, ოღონდ მკურნალობა, ჯერჯერობით, საკმაოდ ძვირი ჯდებაო.

ნეტავ არ მომესმინა. მოსვენება დავკარგე. კი, მართალია, სიცოცხლე ტკბილია და ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეცქირა ამ ქვეყნისთვის, მარა „ძვირადღირებულმა“ წელში გამტეხა. ჩამომიწერა ცირკის დირექტორმა ბიზნესმენების სია, მითხრა: დარეკვით როგორ არ დავრეკავ, მაგრამ ფულიანი კაცები ტელეფონს არ იღებენ და რომც აიღონ, ვიცი, რაკიღა შუამავალი ვარ, აუცილებლად უარს მეტყვიანო. ყველაფერს აჯობებს, შენ თვითონ ჩამოუარე, არ შეიძლება 15-დან ერთ-მა-ორმა მაინც არ გაგიწიოს სპონსორობაო.

ვზივარ და ვფიქრობ: ღირს ბებერი კლოუნის სიცოცხლის სულ რაღაც 5 წლით (უკეთეს შემთხვევაში) გაგრძელება ამდენ დამცირებად, მათხოვრად ქცევად, მუდარით სავსე გამომეტყველების ძალად მიღებად?.. თანაც იმ ხალხის წინაშე თავის გამაიმუნებად, ვისაც ვერაფრით დაარწმუნებ თუ რატომ უნდა იარსებო კიდევ ხუთი წელი და ისიც მის მიერ გაღებული ფულის ხარჯზე?

საერთოდ, რატომ უნდა აღვუდგე წინ იმ საოცარ კოსმიურ გათვლას, თუ ღმერთის ნების გამოხატულებას, რომლის ძალითაც შენ მოგეცა ამდენი წლის სიცოცხლე – არც მეტი, არც ნაკლები.

და მე უარი ვთქვი, ჩამოსპონსორ-ჩამომათხოვრებაზე. უარი ვთქვი მკურნალობაზეც საერთოდ. გადავწყვიტე, ბოლო ამოსუნთქვამდე დავრჩე მანეჟზე და ბოლოს ღონემიხდილი მანეჟზევე დავეცე. კლოუნის სიკვდილი ასე უფრო ლამაზი იქნება.

... 2006 წლის 14 სექტემბერს გახლდით პირველად ლომჯარიასთან.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუბრუნდე, მკითხველო, ამ ნოველის დასაწყისს.

ორი წლის თავზე ჩემი ხალ-მეჭეჭი უკვალოდ გაქრა.

ახლა 2010 წლის 5 ივლისია და მე საღ-სალამათი ისევ მანეჟზე ვარ.

იცი, როდის კვდება ავადმყოფობით ადამიანი? როცა დაიჯერებს, რომ კვდება და მის ირგვლივ მყოფნიც ირწმუნებენ, რომ უნდა მოკვდეს.

ივლისი, 2010, თბილისი

ფარდული გზაზე

ისე მოეწყო ჩემი საქმე, გვიან გამევედი ქუთაისიდან და ექვსი სრულდებოდა, პერევალს რო შევუდექი.

გუდაურთან „ბენზოკალონკაზე“ მარტო რეგულარი ჰქონდა მებენზინეს.

არა და ჩემს ბებერ „ტოიოტას“ პრემიუმი უწერია, ამ დასაწვავს.

ორსაათნახევარს მაინც მეტი „ბენზოკალონკა“ აღარ შეგხვდებაო, შენი საქმე შენ იცი, მარა მე გირჩევ ეს ჩაასხაო, არაა გლახა ბენზინიო, მითხრა გამყიდველმა..

ისე, ჩვენ რო პრემიუმს ვეძახით, დიდად არ განსხვავდება რეგულარისგან, ყაზბეგიდან ახლა დამირეკეს შუადღეს, გოუთავდათ ბენზინიო.

რა მეტი გზა მქონდა, ჩავასხი.

მეჩქარება, დაღამებამდე უნდა გადევიარო უღელტეხილი.

ფასანაურამდე წვიმდა. მერე გადეიღო და რაც ამოვმაღლდი, წვიმაში თოვლი გოურია. ასე იცის მარტმა, ამ ბალანამოსაწყვეტმა. მარტის ნდობა რავა შეიძლება. ახლა გაწმენდილია გზა, მარა იქეთ-იქეთ რას იზამს, რა ვიცი.

რო არ გაგაწვალო ამ ჩემი ლაპარაკით, შევუბერე რაც შემეძლო და თერთმეტის ნახევარი იყო ლესნაიას რო მივუახლოვდი.

ჩემდა სამარცხვინოთ, პირველათ ვარ ამ გზაზე.

ვერ გეტყვი, ლესნაია ქალაქია თუ დაბაა. უფრო დაბა მგონია. გინდაც ქალაქი იყოს, შენთვის (ან ჩემთვის) რა მნიშვნელობა აქვს.

გადახვევის ნიშანზე „ლესნაია-6კმ“ ეწერა.

ტრაქტორთან გავჩერდი. ნათურის ქვეშ ბოვშის „პოჩერ-

კით“ „კაფე“ ეწერა. შიფერით გადახურული, ორფანჯრიანი, დაბალჭერიანი ფარდულია.

დაღლილი ვიყავი, მე ვთქვი, ჩაის დავლევ და ცოტას მუხლებს ქარს ამოვაღებინებ-მეთქი.

სანამ დავაკაკუნებდი, მანამდე გამიღო კარი თეძომაღალმა, ქერათმიანმა, თეთრ-შალმოხურულმა ქალმა.

ხომ მუშაობთ-მეთქი, კარებთანვე ვკითხე.

კიო.

საჭმელი თუ გაქვთ რამე, ადამიანური-მეთქი.

შემობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთო, ახლა ჩიტის რძეს ვერ გაგიჩენთ და სხვა მხრივ თავს არ შევირცხვენთო, რამდენი ხართო.

ერთი ვარ-მეთქი, ჯერჯერობით.

პირდაპირ დახლთან მიმიყვანა.

დახლში ზომიერად მსუქანი, მელოტი, ღაბაბიანი კაცი იდგა. „აფონიაში“ რო ლეონიდ ლეონოვი თამაშობს, თუ გახსოვს, მისი ალიკვალი იყო. რომ არ მცოდნოდა, რომ ლეონოვი, აცხონოს ღმერთმა, მკვდარია, უეჭველად ლეონოვი მეგონებოდა.

პეტია, მიხედეო, უთხრა ქალმა, თავშალი ლურსმანზე ჩამოკიდა და ღუმელს მიუჯდა.

მინის ხუფის ქვეშ პური, თეფშზე დაწყობილი სელიოტკა, მჟავე კიტრი, საქონლის ენა, იაფიანი ძეხვი („ლიუბიტელს“ რო ეძახიან) და მოხარშული კარტოფილი იდო.

თუ კაცი ხარ, დაღლილი და მოშიებული ვარ, რაც შენ გემეტება და არ მომწამლავს, გამიმზადე და ბოლოს ჩაი წამომაშველე-მეთქი, ვუთხარი პეტიას, ხელი წავიბანე და მაგიდას მივუჯექი.

პეტია ჯარასავით დატრიალდა.

ქალი ჩემგან ზურგშექცევით ზის, ღუმელზე ხელის მტევნებს ითბობს. ჩემსკენ არც გამოუხედავს. მის მაღალ კისერს და ჭრელი თავშლით კეფასთან მიბმულ ცხენისკუდივით

მსხვილ და ჯანმრთელ თმას ვხედავ. ელექტრონის ძლივსმბ-ჟუტავ შუქზე რამდენადაც ვარჩევ, ქერა ქალია.

– ნატაშა!

ნატაშა ზარმაცად, ზლაზვნით წამოდგა. დახლთან მივიდა. ლანგრით ცარიელი თეფში და დანა-ჩანგალი, მჟავე კიტრი, მოხარშული ენა, თხლად დაჭრილი ძეხვი, ხახვმოყრილი ერთი სილიოტკა, ნახევარი ლიტრი პურის არაყი და ლიმონათი დამიწყო მაგიდაზე, გაუღიმებლად მითხრა „ნაზდაროვიე“, ღუმელს მიუახლოვდა და ისევ ზურგშექცევით დაჯდა.

იმის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ არაყი უკან წაიღოს, რომ მძღოლი ვარ და შარის თავი არა მაქვს, თორემ სიამოვნებით დავლევდი.

პეტიამ თითქოს სათქმელს მიმიხვდაო, წინსაფარზე ხელების წმენდით მოირბინა და კაი ძმაკაცივით მაგიდასთან ჩამომიჯდა.

ვიცი, ვიცი, ამ არაყს ახლავე მოგაცილებთო, ისე, შინნახადი პურის არაყია, ნამდვილი წამალიაო. საიდან მოდიხართ და სად მიდიხართო.

ვუთხარი საიდანაც მოვდიოდი და სადაც მივდიოდი.

ამაღამ გზას ნუღარ გააგრძელებთ, ამხელა უღელტეხილი გამოიარეთ, დაღლილი იქნებით და, ღმერთმა ნუ ქნას, რულზე ჩაგეძინოთო, პეტიამ.

აქ ახლომახლო სასტუმრო თუ გეგულება-მეთქი, ვკითხე.

ლესნაიაში შიგნით სასტუმროები როგორ არ არის, ოღონდ ადგილი ექნებათ თუ არა, ვერ გეტყვიო. თუ ქალაქში რამე საქმე არა გაქვთ, შეგიძლიათ ჩვენთან გაათიოთ, ერთი სასტუმრო ოთახი გვაქვს, თანაც სასტუმროსთან შედარებით ნახევარ ფასში გამოხვალთო.

ყაბულს ვარ-მეთქი.

ეს არაყიო ჩემი ფეშქაში იყოსო, არაყში ფულს არ გადაგახდევინებთო. ცოტას მეც დავლევ „ზა კამპანიუო“, თანაც ერთი კვირაა ყელში წვეთი არაყი არ ჩამსვლიაო.

დაასხა ასგრამიან ჭიქებში.

თქვენს მგზავრობას გაუმარჯოსო. ჭიქა პირთან რომ მიიტანა, ნატაშამ შემოუბრუნებლად წამოუხმამაღლა:

პეტია, არ დალიო, ხომ იცი, შენთვის დალევა არ შეიძლებაო.

პეტიამ გადაჰკრა. მეც – რასაკვირველია.

მეორე ჭიქაზე პეტიამ თვალი ჩამიკრა, ჭიქა ასწია, ტუჩზე თითი მიიდო, ნატაშასკენ გაიხედა და:

– პეტია, ხომ გითხარი!

– არ ვსვამ, – მიუგო პეტიამ და უხმოდ გადაკრა.

მესამე მე ჩამოვასხი.

თქვენს საქმეს გაუმარჯოს-მეთქი და ისევ გაისმა ნატაშას კატეგორიული გაფრთხილება:

– პეტია, არა მაქვს ამაღამ შენი მოვლის თავი, რა ბზიკმა გიკბინა! – წამოდგა ეს დევის ქალი, თავისი მაღალი ფეხებით მჯდომარე ორ მამაკაცს თავზე გვადგას. მუცლით მაგიდას აწვება და მიღიმის:

– არ შეუძლია ამას, პატივცემულო. გეხვეწებით, არ დააღლევინოთ, თქვენ წახვალთ ხვალ თქვენს გზაზე და ეს კიდევ ჩემი თავსაცემი გახდება. მე მაინც შემიცოდეთ.

–კარგი, კარგი, მეტს აღარ დავლევ, – დაუყვავა პეტიამ და მესამე ჭიქა მაინც დალია.

მერე, როგორც ამათი ჯილაგის კაცებმა იციან, აჭიკჭიკდა: ეს ჩემი ცოლი, ნატაშა, ძალიან წესიერი, მუყაითი და გამრჯე ქალიაო. ამისი სული მიდგას პირდაპირო. ეს რომ არ მყავდეს, აქამდე მკვდარი ვიქნებოდიო. დაბაში ორივენი სკოლაში ვმუშაობდით შრომის მასწავლებლად, მერე ქვეყანა რომ აირია და ცხოვრება გაჭირდა, ეს საკუთარი კაფე გავხსენით, აგერ მესამე წელია და გაგვაქვს თავიო. დიდი შემოსავალი არ არის, მაგრამ რაღაცა ორ კაპიკს ვახერხებთ და გადასახადსაც ვიხდითო. მეო, აქაური კაცი ვარო, მართლმადიდებელი ვარ და ძალიან მკაცრი ტრადიციების ადა-

მიანი ვარო. ცოლიც იმნაირი შემხვდა, რომ ჯერ ამას სხვა თვალით კაცისკენ არ გაუხედავსო. მე ნათქვამი მაქვს, შენი ღალატი რომ გავიგო, არც მე ვიცოცხლებ თავს და არც შენ გაცოცხლებ-მეთქი. ოჯახი მე ასე მესმის, ოჯახი წმინდა უნდა იყოსო. თქვენ ქართველებს, ეს არ გესწავლებათ. ხომ მართალი ვარო. მეო, სამოცდაერთი წლის კაცი ვარო, ოცდასამი წლით ვარ ამ ჩემს ნატაშაზე უფროსიო. ნატაშა ჩემი მეორე ცოლიაო. პირველ ცოლს ეჭვიანობის ნიადაგზე გავშორდიო. მეო...მეო... მაიმუნობას ვერ ვიტანო, კაცი რო სახლში შემოვა, იმან ოჯახის პატიოსნება თვითონ უნდა დაიცვასო. ოჯახია ეს ჩემი, აბა, რა არისო, სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდესო...

გულში ვამბობ, ვატყობ პეტია ამ სიტყვებს ჩემს გასაფრთხილებლად და შესაშინებლად ლაპარაკობს, მოგიკვდათ მოხარბე შენც და შენს ორმეტრიან ნატაშასაც, მაგისკენ გამხედავი მე არ ვიყო. ოტელობია მინდა ახლა აქანა მე?

პეტიაო, ისევ მოუხედავად ეუბნება ცოლი, დაღლილია ეგ კაციო, რა გაუხვრიტე ყური შენი ქაქანით, შეიყვანე და დააძინე თავის ოთახშიო.

პეტიაც ასე მოიქცა. სასტუმრო ოთახში შემიძღვა და დამარიგა: ტანსაცმელი ამ სკამზე გადაკიდე, პირსახოცი ბალიშქვეშაა, ტუალეტი გარეთაა, კარმარცხნივ, პირველ საათზე შუქი ქვრება და დილით შვიდ საათზე მოდის, გემრიელად მოისვენე, ღამე მშვიდობისაო.

ლუღლუღებს პეტია და ვატყობ, თვითონაც ეძინება, რომ იტყვიან, თვალები ელულება.

გავიხადე, ჩავწექი და დაღლილობის ბრალი იყო, თუ არაყის, ძილმა თავისკენ დამქაჩა და გამაქროლა.

რა ვიცი, რომელი საათია, ვიღაცა მანჯღრევს.

ეი, ეი, ზარმაცო, რამ მიგასიკვდილა ასე, ერთი საათის დაწოლილიც არა ხარ, რა ძილქუში დაგეცაო, ჩამესმის ნაზი ხმა.

ძლივს გავახილე თვალი. დედიშობილა ნატაშა დამდგომია თავზე და თითებით ქოჩორს მივარცხნის.

მივიჩოჩე კედლისკენ, შემომიცურდა ეს თეთრი ქალი ლოგინში და თავის სავსე ძუძუმკლავში ჩამასამოთხა. ხელი თავქვეშ ამომიდო და ტუჩებით ტუჩებზე დამაცხრა.

ქარზე უსწრაფესად გამხადა ტრუსიკი და იატაკზე მოისროლა.

ვნება რო მოაწვებათ, მაგენმა პირის წავლება იციან ასოზე. შიგადაშიგ ასოს კბილებს გაუშვებენ და, „კაკოი ტი სლადკი, კაკოი ტი სლადკიო“, გეჩურჩულებიან.

რისი დაღლა, რისი ძილი, ევიწყვიტე მეც.

ნატაშას რანაირი სუნი ჰქონდა, იცი? არც მარტო ქალის და არც მარტო სპერმის, რაღაცნაირი იასამნის და სუფთა სხეულის. ბოდიში მომითხოვია, სექსის სუნი რავა არ გეცოდინება რა არის, სწორედ სექსის სუნი ჰქონდა, ტუჩებზე და ყელზე.

ხომ არ გგონია, პირველი გათავების მერე, წუთით მომასვენა. ქათქათა თეთრი პირსახოცით მოხედა ჩემს საოხრესაც და თავის თავსაც. მერე ასო მუჭაში მოიქცია და ხელის გაშვებას არ აპირებს, არა და ხომ უნდა მოითქვას კაცმა სული ცოტა მაინც, ხომ უნდა წაისვენოს.

მეჩურჩულება გაუთავებლად:

შემოხვედი თუ არა, ისე მომეწონე, ყელზე ჩამოგეკიდებოდი, პეტიასი რომ არ შემშინებოდაო.

ეს ჩემი პეტია, არ არის გლახა კაცი, მარა ნამეტანი ეჭვიანიაო, ახლა ეს რომ გამიგოს, თავს წამაცლისო. იცოდე, ქმრის მერე შენ ჩემთვის პირველი მამაკაცი ხარო. პეტიას ქალიშვილი ჩავბარდი და, რომ იცოდე, მეც ბუნებით ჩაკეტილი ქალი ვარ. მეოთხე წელია პეტიას ცოლი ვარ და, არ დაიჯერებ, განზე არ გამიხედავსო. რა ვქნა, ვერ მოვითმინეო. თუ ატყობდი, ზურგით ვიჯექი, შენთვის რომ არ მეყურებინაო. ზურგით ვიჯექი, მაგრამ შენს ღუღუნა ხმას რომ ვისმენდი, ლაჯები სულ დამისველდაო. ამაღამ შენ რომ

არ მოგფერებოდი, ჭკუიდან შევიშლებოდიო. რა ვქნა, ქალი ვარ, ალბათ ღმერთი მაპატიებს ამ შეცოდებასო. ჩემი პეტია, ჯერ იმ ასაკის არ არის, ყვერებზე რომ იფსამენ, მარა არც ბევრი უკლიაო.

არ დავზოგე თავი. ეგება დავღალო, დავაკმაყოფილო როგორმე და გავიდეს-მეთქი. თან, რა დაგიმალო და ქე მეშინია, ე დამთხვეული პეტია არ დაგვადგეს თავზე. თვითონ, ჩემდა გასაკვირად, არ ეშინია. ისე წამეიყვირებს გათავების დროს და ჩამაკბილდება შიშველ მხარზე, რო თითქოს, აგერ გვერდზე ოთახში მის ქმარს არ ეძინოს.

რიბირაბოზე გევისტუმრე, რავარც იქნა, ქმრისკენ ნატაშა. ცოდვას ვერ დავიდებ, თვითონ არ მოუთხოვია, მარა ორასი მანეთი დაკეცილად ჩავუდევი ჯიბეში, იუარა, ფულს როგორ გამოგართმევო, მერე, ხალათის ღილებს რომ იკრავდა, დასერიოზულდა: კარგი აბა, შენს სახელზე ამით კოფტას ვიყიდიო. იცოდე, არასოდეს დამავიწყდებიო, მე შენ სიყვარულს ვერ მოგთხოვ, მაგრამ ამ გზაზე თუ მოხვდები და ჩვენს კაფეში თუ არ გაჩერდები, მე ვერ დაგწყევლი, მარა ღმერთი არ გაპატიებსო.

დილით, ასე შვიდისთვის, სინათლე რომ მოვიდა, მე უკვე ფეხზე ვიყავი.

ჩემს მასპინძლებს საუზმე გაემზადებინათ. ტაფამწვარს მჟავე კიტრი დავაყოლე, მუქი ჩაიც დავამატე, მერე გადავკოცნე ცოლ-ქმარი და წამოვედი ჩემ გზაზე.

●

უღელტეხილის მიხვეულ-მოხვეული გზები, მოგეხსენება, ისე სახიფათო არ არის, როგორც ლარივით სწორი მაგისტრალები. მოდიხარ ამ გაუთავებელ გზაზე. „რულზე“ ზევიდან გიწყვია ხელები და მეტი არაფერი. ათასში ერთხელ „ტორმუზს“ თუ დააწვები, წინ მიმავალ მანქანას რომ არ დაეჯახო. ეს არის და ეს.

ასეთ გზაზე უფრო მეტი ავარიები ხდება, რომ იცოდე. შეიძლება, უცებ წამის მეასედში წაგართვას ძილმა თავი და მერე მეყოლე კარგად.

მომშივდა. წავისადილებ და საღამომდე ჩავალ. ოთხმოცითაც რომ ვიარო, დღის სინათლეზე ვასწრებ.

გავჩერდი სასადილოსთან.

ბუფეტს მივაშურე...

დახლში ქართველი კაცი დგას. აქცენტიც რომ არ ჰქონდეს, ჩვენებურს იერით ხელათ იცნობ.

ცხელი ხარჩო დაასხმევინა მზარეულს, პური და ყველი დამიჭრა, დაბრძანდი მაგერ და მე თვითონ მოგართმევო.

თან ვჭამ და თან მებუფეტეს (რაჭველი გაგნიძეა, ადრე ვლადიკავკაზში ვცხოვრობდიო) ვემასლაათები.

აქეთური, იქეთური და წუხელი ღამე ლესნაიასთან ახლოს ერთ კაფეში გავათიე-მეთქი, რომ ვუთხარი, ჩაეცინა.

პეტიას კაფეშიო? მეკითხება.

ხო, რავა, რა იყო-მეთქი.

ნატაშა თუ ჩაგიწვა ლოგინშიო.

შევყოყმანდი, მარა მე საერთოდ ქალის ნამუსის შემნახავი კაცი ვარ და თავი შორს დავიჭირე. იყო კი პეტიას ცოლი იქანა, მაღალი, ქერა ქალი, მარა შენ რომ ფიქრობ, მსგავსი არაფერი ყოფილა-მეთქი.

რისი ცოლი, რა ცოლი, პეტიას სად ყავს ცოლიო. აფერისტია პეტია და ჯიბიდან გავარდნილია ნატაშაო. დამუშავებული აქვს პეტიას თავის სათქმელი; ვითომ ცოლიო, ხომ გითხრა პეტიამ. ნატაშამ რომ მიღალატოს, თავს წავაცლი მაშინათვეო. ამით მაზანდას უწევს ნატაშას. ერთი სიტყვით, შუალამეზე შეუწვება სტუმარს ნატაშა და მოაჯდება დილამდე, ისე, გემრიელი ქალი კია. ხანდახან სტუმარს რომ მის ადგილას დაიგულებს, პეტია თვითონ აჩქარებს ნატაშას: შედი ჩქარა, შე შობელძაღლო, თვარა დეეძინება იმ კაცსო. ა, ასეა ეს ამბავი და შენ ახლა ბევრიც რო მიმტკიცო, არაფერი

ყოფილა ჩვენს შორისო, მაგის მჭამელი ვარ მეე? რა ჩემი საქმეა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ორ კასაზე მუშაობენ მაგენი და ამ გზაზე, რო იცოდე, ყველაზე ხელმომართულები არიანო. ხარჩო რავარია? პილპილს ხო არ დაამატებ, მაქვს აგერ დანაყული პილპილი. ხანდახან აჯიკაც ჩამომაქვს, მარა ჩქარა თავდება, მოეწონათ რუსებს ე ჩვენი აჯიკა და ზოგი პურზე უსვამს კარაქივით პირდაპირო.

მეუბნება ამას გაგნიძე და თვალებში ეტყობა, რომ მართალს ამბობს. ამნაირ კაცებს ასეთი რთული ტყუილის მოფიქრება არ შეუძლიათ.

ანდა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იცრუოს, მე ხომ მისთვის არავინ ვარ.

5 მაისი, 2011.
თბილისი

ფეხბურთი გარდამავალი უპირატესობით

ფეხბურთი პეწპეწისში, როგორც სპორტის ისტორიკოსები ამტკიცებენ, 1912 წელს ფოთიდან შემოვიდა. ფოთში კი, თქვენზე უკეთ ვის ეცოდინება, პირდაპირ ინგლისიდან გავრცელდა.

ინგლისელმა მეზღვაურებმა ითამაშეს ფეხბურთი ბობოყვათის მინდორზე და მთელი კოლხეთის დაბლობი დააავადეს საუკუნის ავადმყოფობით.

1914 წლის 8 ოქტომბერს ძელქვიანას სასაფლაოსთან, ხელმარცხნივ, მელიტონ კუხიანიძის ჭალაში პეწპეწისელი და ფოთელი ფეხბურთელები ლომებივით ეკვეთნენ ერთმანეთს და მანამდე უბაზუნებდნენ ფეხს ნაქურჩალით სავსე ტყავის ბურთს, სანამ კარგა მოსაღამოებულზე ბურთი რიონში არ გადაუვარდათ.

როგორც ფეხბურთის მემატიანე აღნიშნავს, ეს პირველი ოფიციალური შეხვედრა 19–0 დამთავრდა ფოთის სასარგებლოდ.

ბურთი, სამწუხაროდ, წყალმა წაიღო.

ფეხბურთის შესვლას ჭიმჭიმისში არასრული ოცი წლით დააგვიანდა.

მერეც კარგა ხანს ვერ მოიკიდა ფეხბურთმა ფეხი ჭიმჭიმისში.

აქაურები ფეხბურთს რატომღაც ისეთ ნაკლებადინტელექტუალურ თამაშობებს ამჯობინებდნენ, როგორიც გახლავთ ბაგირის გადაქაჩვა და ნარდი.

დროებით უმუშევარმა მევლუდია კვერნაძემ, რომელიც ყოფილი წულუკიძის ბაღთან ყოფილ კინო „კომუნის“ წინ იდგა და თვალს წყალს ალევინებდა, იმის შესახებ, რაც ზევით მოგახსენეთ, არაფერი იცოდა.

მევლუდიას ფეხბურთი არ უყვარდა.

არც ბაგირის გადაქაჩვა და ნარდი იზიდავდა მაინცდამაინც. ჰა, ჰა, ასე თუ ისე, იტანდა დამკას (უფრო კულტურულად „შაშს“ რომ ეძახიან) და დომინოს.

ისიც მხოლოდ იტანდა და მეტი არაფერი.

მევლუდიას ჰობი, როგორც შეატყობდით, ქუჩაში დგომა და თვალისთვის წყლის დალევინება (რა არიან ეს კლასიკოსები) იყო, მეტი არაფერი.

ოთხი მაისი იყო, ოთხშაბათი.

არ წვიმდა და, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, არც საწვიმრად ემზადებოდა.

გიმნაზიის წინ ჩაცუცქული მუშები ძველ ქვაფენილს იღებდნენ და ახალს აგებდნენ.

ძველმა ქვაფენილმა მთელი ორი წელი გაძლო და რატომ იყო ძველი ქვების ახლით შეცვლა საჭირო, მევლუდია კვერნაძეს ვინ ეტყოდა.

ამასობაში მოპირველსაათდა და რაკი დამპატიჟებელი კი არა ხეირიანი დამლაპარაკებელიც არავინ გამოჩნდა, მევლუდია სახლში წასვლას აპირებდა, მაგრამ, სად იყო და სად არა, აბანოს მხრიდან ჩალისფერი ჟიგული გამოჩნდა და მევლუდის ფეხებთან სანამ გაჩერდებოდა, ერთი–ორჯერ წაჩინდრიკ–წაიბორძიკა (ეტყობოდა მუხრუჭი პირველ დარტყმაზე არ უჭერდა).

თუ შეამჩნიეთ, ჟიგულის მისამართით სიტყვა „ძველი“ არ მიხმარია. რაკი ჟიგულია და ისიც ჩალისფერი, რასაკვირველია, ძველი იქნება.

– ოხ, ერთი შენ დაგაჯარიმებდეს კიბოია თავსივა და დაგაყაჭიებდეს ოც ლარს, არაფერი მინდა!

მშვიდად უთხრა ჟიგულის საქარე მინიდან თავგამოყოფილ პაპუნა ჩოგოვაძეს მევლუდმა.

არც გამარჯობა, არც ამბავ–ხაბარი, პაპუნამ პირი დააღო და ოცდაცამეტი ჯანმრთელი კბილი გამოაჩინა.

– რას იღრიჯები?

– იცის კიბოიამ, ვინ უნდა დააჯარიმოს. დაჯარიმებული არა ვარ? ამ ხნის კაცი ჟიგულით დავფართხუნობ. რას შობი, არ მოდიხარ?

– სად?

ისე, ფასონად ჰკითხა მევლუდიამ, რადგანაც ჩაჯდომას ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში აპირებდა.

– სად და ჭიმჭიმისში.

– რა მინდა ჭიმჭიმისში?

– ერთი შენ ხარ... ფეხბურთია დღეს, არ იცი?

– ბურთი ვნახე დამწვარი და ამოდაგული, რაც ბურთია ამ ქვეყანაზე. როის იყო, ფეხბურთზე რო დავდიოდი. საქმე არაფერი გაქ?

– აპა, მეიგოს ჭიმჭიმისმა? თავი სად გამოვყოთ? გუშინ დეიწყეს ფეხბურთის თამაში, რაც შავი ქვის რეცხვას დაანებეს თავი.

– მაგაზე გოდოუარია ჩემს სიზმრებს. თუ ჩვენ მევიგეთ, ხო ავშენდებით და ეგ იქნება. აღარ გადამახდევიებს კიჭოია მაკალათია სალობიეს ვალს. ოთხასი ლარი მაქ მისატანი იმ კვირას და რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი.

– ჩაჯექი, ჩაჯექი.

მევლუდმა მეოთხე ცდაზე, როგორც იქნა, გამოაღო მანქანის კარი და მძღოლის გვერდით დაჯდა.

– ამ კარს ვერ უხერხებ ხომ ვერაფერს?

– მშვენიერ კარქათ მუშაობს მა კარი. შენ გაღება არ იცოდე, რა მაგის ბრალია. რო ეჯაჯგურები მაგი ბიძაშენის – შაქროია ხახალეიშვილის ტენტიანი პობედის კარი ხვარ გგონია, გადასაწევი რუჩკით რო იკეტებოდა, ნელა, პიწკად უნდა გააღო და გეიღება.

დავით კლდიაშვილის ძეგლს გასცდნენ და წყალწითელასკენ დაბლა დაეშვნენ.

– მართლა ჭიმჭიმისში მიდიხარ?

პაპუნამ თავი დაუქნია.

– გააჩერე ერთწამს, ბულკს მაინც ვიყიდი, რამდენხანს გრძელდება ე შენი ფეხბურთი?

– ორ საათს.

– რა დაჯდება მშიერი და რა უყურებს ბურთის გაგორებ-გამოგორებას ორ საათს, გიჟები ხართ, ბიჭო, თქვენ, გიჟები.

მევლუდიამ ბულკის გამყიდველ ბიჭს ორლარიანი გაუწოდა.

ერთი ბულკი პაპუნას მისცა, მეორე თვითონ ჩაკბიჩა.

●

თამაში, როგორც სპორტული ჟურნალისტები ამბობენ ხოლმე „გარდამავალი უპირატესობით“ მიმდინარეობდა.

ამას სულელი ჟურნალისტები მაშინ ამბობენ, როცა სათქმელი არაფერი აქვთ.

„გარდამავალი უპირატესობა“ ისეთი მშვენიერი სპორტული ქუდია, რომ მის ქვეშ ყველაფერი შეიძლება მოიაზრებოდეს; ჰაერში ბურთის შესახვედრად ნარნარით ახტომის დროს ერთმანეთს წარბების დასისხლიანებამდე დაჯახებული ორი თავი, გაწყვეტილი მენისკი, დაუნიშნავი ჯარიმა და ა.შ.

როცა ბურთი აღმოსავლეთის კარისკენ მიჰქონდათ, ნახევარი სტადიონი ბღაოდა, ნახევარი მუშტებმოკუმული სდუმდა. ხოლო როცა ბურთი სამხრეთის კარისკენ გაიჭრებოდა, ახლა სტადიონის მეორე ნახევარი ბღაოდა, ნახევარი კი სულშეგუბებული (ანუ სუნთქვაშეკრული) იჯდა.

პაპუნას ვერ იცნობდით. ყვიროდა, ხელებს იქნევდა, უსტვენდა, ტიროდა... ისევ ყვიროდა, ისევ იქნევდა ხელებს, ისევ უსტვენდა, ოღონდ ამჯერად აღარ ტიროდა.

მევლუდია მშვიდად იჯდა.

მევლუდს შიგადაშიგ თავბრუ ეხვეოდა, თუ მინდორზე გამართული თავბრუდამხვევი საბურთე სრბოლა–მარათონის გამო და თუ მაყურებელთა ღრიანცელის გამო.

თანდათან რწმუნდებოდა მევლუდი, რომ რასაც ხედავდა, ეს სრულებითაც არ ჰგავდა თამაშს და უკვირდა, რატომ ეძახდნენ „ფეხბურთის თამაშს“.

ეს რაღაც უფრო მეტი იყო, ან უფრო ნაკლები, მაგრამ „თამაში“ არ ეთქმოდა.

ჭიმჭიმისელების და პეწპეწისელების ერთმანეთის მისამართით არც თუ მთლად სიყვარულით სავსე გადაძახილ–გადმოძახილში დაკვირვებული ყური ყველაზე ხშირად ორ ფრაზას მოჰკრავდა ყურს:

პეწპეწისელი – რავაა საქმე?! ჭიმჭიმს ჟიმჟიმი ხვარ გირჩევნიათ! სადაა თქვენი მოსაგები, თქვე შაქრიან ღვინოზე დაყენებულებო!

ჭიმჭიმისელი – არ გეიშვა თქვენი ტრაბახი. წეიღო რიონმა პეწპეწისის ძველი დიდება! თქვენ აქიდან ქულა ვერ წეიღოთ, მანამდე არ აგიდგეთ გვერდები!

ერთადერთი კაცი, რომელიც ტრიბუნას შეფენილთა შორის ხმას არ იღებდა – მევლუდია კვერნაძე იყო.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მევლუდის მოტოციკლეტისკასკიანი ჭიმჭიმისელი უკნიდან მხრებზე ჩააფრინდა და ყურში ჩაჰბღავლა:

– არ იყო პენალტი?! თქვი ლოთიანად, სინდისი ცოტა მაინც თუ შეგრჩა, არ იყო პენალტი?!

– რა ვიცი მე, – მევლუდიმ კისრის მოძრაობით მოიცილა ჭიმჭიმისელი გულშემატკივრის ხელები.

– ჰოპ, ჰოპ! არ იცი, რავა იცი... რავა იცი, მამა გიცხონდა! იცი, მარა, იტყვი?!

მსაჯის საფინალო სასტვენი რომ გაისმა, მევლუდიას ყურის უკან კეფაზე რაღაც მოხვდა, კაცს რომ ტაფას დაარტყამენ თავში ისეთი ხმა გამოსცა რაღაცამ მის თავზე. თვალთაგან ნაპერწკლები წასცვივდა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს.

მერე დაიწყო, რაც დაიწყო.

... უხათქუნებდნენ ერთმანეთს სასიკვდილო გამეტებით, ჩუმად, კბილთა ღრჭიალით, უბრაგუნებდნენ ერთმანეთს რაც ხელში მოხვდებოდათ – ქვას, ფიცარს, ღობის სარს, არმატურის ნაჭერს... ყველაზე დიდი გასავალი სტადიონის სკამს ჰქონდა... მოტეხავდა გულშემატკივარი სკამს, დახედავდა, თუ მონატეხი „მტრისთვის“ თავის გასატეხად მთლად მოხერხებულად არ მოეჩვენებოდა, გადააგდებდა და სხვა სკამს ტეხავდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩხუბის დამთავრების შემდეგ, სულ 56 მაყურებელს ჰქონდა თავი გატეხილი, მოტეხილ–მოგლეჯილი სკამი კი 200–ს აჭარბებდა.

ურტყამდნენ ერთმანეთს გულშემატკივრები დაცემამდე, თავ–პირიდან სისხლის წასკდომამდე. ყველამ კარგად იცოდა, რისთვის სცემდნენ ერთმანეთს მევლუდია კვერნაძის გარდა.

ისმოდა ჩახა–ჩუხი, ბრაგაბრუგი, დაახლოებით ისეთი სცენა იყო გამართული, ცეკვა ფარიკაობის დროს წუთით დოლ–გარმონს რომ გააჩერებენ და მარტო აულესავი ხმლების ჩახაჩუხი რომ ისმის.

კაცმა რომ თქვას, აქ აღარც ჟინი იყო და აღარც სიძულვილი.

მევლუდს ეჩვენებოდა, რომ ეს სურათი სადღაც უკვე ენახა, თითქოსდა გემი იძირებოდა და პირაქაფებული, შუბლდაცვარული, შიშისგან გაგიჟებული მეზღვაურები უსიტყვოდ, გამალებით მუშაობდნენ, რომ გემი გადაერჩინათ.

– სად მიძვრები, გოგო შენ?!

– მანდილი უნდა ჩავაგდო!

– გადაშენდი იქით! მანდილი კი არა, ამგენს ახლა თვითონ თამარ მეფე ვერ გააზოვებს!

●

ამ „თამაშამდე“ სამი კვირით ადრე ერთი მოუთავებელი სტადიონის ახლომახლო, საფქვილიას ჩამოსახვევში „მერ-

სედესის“ სისტემის ძველ ჯიპში ფარულმა კამერამ ორი კაცის დიალოგი ჩაიწერა:

– ხომ ვიყავით მოლაპარაკებული, პირველი ტაიმის ოცდამეცხრე წუთზე კორნერი უნდა დაგენიშნა. მეორე ტაიმის ოცდამეცამეტე წუთზე პენალტი.

– მერე? არ დავნიშნე?

– რა დანიშნე, შე კაცო, კორნერი ოცდამეორე წუთზე დანიშნე და პენალტი ოცდამეჩვიდმეტეზე.

– ასე წუთი–წუთზე გამოწერილი სადაა. არ გადევიდა ბურთი და რაფერ დემენიშნა კორნერი. სამაგიეროდ პენალტი ხომ არ მივეცი იმგენს?!

– არ მიეცი, მართალი ხარ.

– მერე? პენალტის არდანიშვნაში რამდენი მეკუთვნის?!

– პენალტი, საერთოდ ათი ღირს, მარა კორნერის და ჯარიმების ფული უნდა გამოვაკლოთ.

– ჯარიმა რა ღირს?

– ექვსასი ლარი.

– აფსაიტი?

– გააჩნია აფსაიტს, საერთოდ ხუთასი ლარი.

– თქვენ აუტს რამდენში ანგარიშობთ?

– აუტი არ ღირს ძვირი, ორას ლარს ჭრის ერთიერთზე. მოკლეთ, დიდხანს არ მინდა გავჩერდე ახლა აქანა. დევიანგარიშებთ ყველაფერს და შენ შენსას მიიღებ, შენს ნაშრომს არავინ წაგართმევს, ნუ გეშინია.

უეცრად მანქანაზე ბარაქიანი წვიმა ატყაპუნდა, რამაც ჩანაწერის გაშიფვრა გააძნელა.

●

სადისციპლინო კომისიის წევრთა გასაგონად მინდა ვთქვა, რომ საკითხის განხილვის დროს ნურავინ დასვამს გულუბრყვილოზე გულუბრყვილო კითხვას:

– ხომ არ იყო კონფლიქტი ეთნიკური ხასიათისა?

ასეთი შეკითხვა სისულელე იმიტომ იქნება, რომ ეს საფეხბურთო „ომი“ საქართველოში ერთ უზრდილობიანეს მხარეში მოხდა. ხოლო პენპენწისიდან ჭიმჭიმისამდე სულ რაღაც თერთმეტი კილომეტრია.

●

დავუსვი, როგორც იქნა წერტილი ამ სევდიან ნოველას და ჩემს ახალგაზრდობაში ქუთაისში გაგონილი ერთი ხუმრობა გამახსენდა:

ქორწილის მეორე დღეა.

– რას ჰგავხარ, შე უპატრონო, ვინ დაგალილავა ასე?

– გუშინ ქორწილში ვიყავი.

– მერე? ხო იცი, გლახა სიმთვრალე რო გაქვს, ვერ დეეტიე შენ სკამზე?

– ეგ არაფერი. შეხედე ამას.

ჯიბიდან სარდელის თუ სოსისის მსგავსი რაღაც ამოიღო.

– ეს რა არი?

– სიძის ასო.

8 მაისი, 2011 წ.
თბილისი.

აგვისტო, 2008

რეზერვისტი კახა ლაბაძე ცხრა საათზე გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე.

ახლა, როცა ომის ქარიშხალი თითქმის ჩამცხრალია, ალბათ, შეიძლება „დანიშნულების ადგილის“ ნაცვლად პირდაპირ ვაზიანის ბაზა ვთქვათ.

დილიდანვე ცხელოდა.

შორს, ჰორიზონტთან, საფრენ ბილიკზე გახურებული ჰაერი ვარვარებდა.

საწყობთან რეზერვისტთა გრძელი მწკრივი სწრაფად მოკლდებოდა.

რეზერვისტები ავტომატის მიღებისთანავე მეორე რიგისკენ გარბოდნენ, მეორე რიგთან ჯავშანჟილეტებს არიგებდნენ.

კახას წინ ორიოდე რეზერვისტი ედგა, როცა სამხედროფორმიანი მოხდენილი გოგო აივანზე გადმოდგა და გამოაცხადა:

– ჟილეტები აიღეთ და სასწრაფოდ ჩასხედით ავტობუსებში!

– ავტომატები?! – ჰკითხა კახამ.

– გორში დაგირიგებენ, სწრაფად, სწრაფად, დროს ნუ ჰკარგავთ!

საჟილეტო რიგთან მაღალი, უწარბო ბიჭი იდგა და რეზერვისტებს აფრთხილებდა:

– ჟილეტი კარგად დაათვალიერე, გახვრეტილი არ იყოს.

შემკრთალი რეზერვისტი ჟილეტს გაშლიდა თუ არა, უწარბო კატეგორიულად ეუბნებოდა:

– ა, ნახე, გახვრეტილია, მიუბრუნე ახლავე და სხვა გამოართვი.

– რამ გახვრიტა? – კითხულობდა სასოწარკვეთილი რეზერვისტი.

– მე რა ვიცი, ხომ ხედავ, ნახმარი ჟილეტებია, ერაყიდანაა ჩამოტანილი.

რეზერვისტი, რომელსაც სამშობლო, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ წუნიანი ჟილეტის მიზეზით სიკვდილს ჯერ-ჯერობით არ აპირებდა, საწყობისკენ გარბოდა, რათა შემოტყუებული გახვრეტილი ჟილეტი მიებრუნებინა. ამის გამო საჟილეტო საწყობთან ორი რიგი იდგა:

ჟილეტის ამღებთა და ჟილეტის უკან დამბრუნებელთა.

საოცარი ის იყო, რომ დამბრუნებელთა რიგი უფრო გრძელი გახლდათ.

თორმეტს აღარაფერი უკლდა, როცა ამერიკის სამხედრო ფორმიანი, პენსიონერი კალათბურთელის ტანის პატრონი, უპაგონო პოლკოვნიკი გამოვიდა და გამოაცხადა:

– ვიღაცა ბოროტად ხუმრობს და მოვიცლით მისთვის, არც ერთი ჟილეტი გახვრეტილი არ არის და თავს ნუ ასულელებინებთ მოღლაბუცეს!

ჟილეტი გაშალა და თვალსაჩინოებისთვის დასძინა:

– ეს ნახვრეტი იღლიასთან, ყველა ჟილეტს აქვს. ზორტის გასაყრელია და სხვა არაფერი!

ჟილეტის მიმბრუნებელთა რიგი თვალის დახამხამებაში დაიშალა, აღარც ხუმრობის ხასიათზე მყოფი უწარბო ჩანდა.

– ჟილეტები დამთავრდა! ჩასხედით ავტობუსებში, გორში დაგირიგებენ ყველაფერს! – ჩასძახოდა ვიღაც მიკროფონს.

უიარაღო და უჟილეტო ოციოდე რეზერვისტი ბოლო ყვითელ ავტობუსს მიურიგდა. გასასვლელიდან ეს ავტობუსი პირველი იყო. სხვა ყვითელ ავტობუსებში ამაყად ისხდნენ კბილებამდე შეიარაღებული რეზერვისტები და უიღბლო „მებრძოლებს“, ცოტა არ იყოს, ირონიით და ნიშნის მოგებით გადმოსცქეროდნენ.

ყვითელი კოლონა გორის გზაზე გაიჭიმა.

გზაში რამდენჯერმე გადაუფრინა თავზე ყვითელ კოლონას ნაცრისფერმა წყვილმა ავიაგამანადგურებელმა, მაგრამ არც ნახევრადსამხედრო მძღოლებს და არც საგულდაგულოდ გაწვრთნილ რეზერვისტებს, ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ მტრის თვითმფრინავები დაჰბზუოდნენ თავზე, თორემ ასე არხეინად არ იქნებოდნენ. შეშინებით ცოტა მაინც შეეშინდებოდათ.

კახას გორის ციხეზე ცას შეყენებული სატელევიზიო ანძა გადახრილი მოეჩვენა, სამაგიეროდ, ქვემეხების დგანდგარში და თვითმფრინავების ყრუ გუგუნში სტალინის ძეგლი იდგა ძველებურად, მყარად, გამართულად.

ლიახვის პირიდან ცხელი სიო ქროდა.

გორის ბაზასთან მწვანე, ოთხსართულიან შენობას მიადგნენ კახა და მისი უთოფო ამხანაგები.

– რა გნებავთ?! – პარმაღზე სახეალეწილი კაპიტანი იდგა.

– ავტომატები! ჟილეტები! რეზერვისტები ვართ! – ყვირილით შესძახა კახამ.

– რა გაყვირებს?! – კაპიტანს გაეცინა, – თბილისში უნდა მოეცათ!

– აბა რა ვქნათ?! – ცრემლი გაერია ხმაში ქართველ მეომარს.

– კარგი, მომისმინეთ! ამ მანქანაში ჩასხდებით და ცხინვალში წახვალთ! იქ მოგცემენ ყველაფერს!

– რომელ მანქანაში?!

ჭიშკართან ბეტონის ამრევი, მბრუნავავზიანი მანქანა იდგა. ავზი, რა თქმა უნდა, არ ბრუნავდა.

– ნუ გეშინიათ, ეს უფრო საიმედოა. აბა ჩქარა! ჩქარა! კარგად იყავით!

ბიჭები ავზში შეცვივდნენ. ავზს თავი ნახევრად ღია ჰქონდა საჰაეროდ.

ბეტონმზიდი ბაზის რკინის ჭიშკარს რომ გამოცდა, სწორედ მაშინ შემწკრივდა გორში ყვითელ ავტობუსთა ქარავანი.

ნახევარი საათი იარეს. ჰა, ჰა, ორმოცი წუთი, მეტი არა.

ხმა არ ამოუღიათ. ისხდნენ გასუსულები, ერთმანეთს მიყრდნობილები, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

– შემთხვევით ხელი რომ მოუხვდეს და დაგვატრიალოს, ხომ აგვდღვიბავს ერთმანეთში ბეტონივით, – ხუმრობა სცადა ვიღაცამ, მაგრამ არავის გასცინებია.

სიცილის დრო არ იყო.

ჯერ ბეტონმზიდს რაღაც მოასკდა და მერე გაისმა გამაყრუებელი გრიალი. მანქანა გადაყირავდა.

გასკდა მეორეჯერ, მესამეჯერაც...

ავზიდან პირველმა კახამ ამოყო თავი. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ცეცხლი ეკიდა კაბინასაც.

გადაბრუნებული მანქანიდან ამოსვლა არ გაჭირვებიათ.

გარბოდნენ... ეცემოდნენ... გარბოდნენ... ბალახს თხრიდნენ და თავზე იფარებდნენ... ჭურვისგან ამოთხრილ ორმოში წვებოდნენ...

აღარც ახსოვს, ავტომატი ვინ მიაჩეჩა.

– ცხინვალი შორს არის? – ჰკითხა კოჭლობით მიმავალ კასკიან ჯარისკაცს.

– ცხინვალში ვართ! – ჯარისკაცმა განზე გაიხედა.

მოიერიშეთა ათეულს შეეკედლა.

– რეზერვისტი ხარ? – ჰკითხა შავწვერა კაპრალმა.

– კი.

– მერე? აქ რა გინდა?

– რა ვიცი... ბეტონის მანქანით მოგვიყვანეს.

– რითი? – კაპრალს გაეცინა.

– რა გაცინებს? – კახამ წარბი შეიკრა.

– სხვა რაღაცაზე ვიცინი. ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ბრძანება უკუღმა უნდა გამეგო. კინაღამ შევაწყვიტე ბიჭები...

– რა უკუღმა?

თურმე, რო წამოვა ბრძანება: წავედით „ატაკაზეო“! მაშინ უნდა შეატრიალო ქუდი და უკან გამოიქცე, რომ გიბრ-

ძანებენ, უკან ვიხევთო, ეს იმას ნიშნავს, რომ იერიშზე უნდა გადახვიდე. ასეთი სტრატეგია შეუმუშავებია ჩვენს სარდლობას.

– რას ლაპარაკობ?

– ეს ცუდი როდია, მოწინააღმდეგეს აბნევს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა გვცოდნოდა. სამიდან – ექვსამდე შესვენება რომ გამოგვიცხადეს, გამიკვირდა, ომში „პერერივი“ ვინ გაიგონა-მეთქი. თურმე, ეს მტრის მოსატყუებლადაა. მაგრამ მე ხომ უნდა მცოდნოდა. კინაღამ შევაწყვიტე ბიჭები.

კაპრალს ხარხარი აუტყდა და კახა მიხვდა, რომ მეთაურს კონტუზია ჰქონდა და მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს.

რომ მოსაღამოვდა, გარაჟიდან გამოლაგდნენ.

– ეს ქუჩა უნდა დავაუთოოთ! – საბრძოლო ამოცანა მოკლედ განმარტა კაპრალმა.

– რა უნდა ვქნათ? – ჰკითხა კახამ.

– უნდა გავაუთოოთ, გავჩხრიკოთ, ასეთია ბრძანება!

– პირდაპირ გავიგო თუ უკუღმა?! – დაიბნა კახა.

– პირდაპირ. იმ ორსართულიანში შედი. ფრთხილად იყავი.

კახამ ჭიშკარი შეაღო. ეზოში არავინ ჩანდა. კიბეზე ავიდა, თითქოსდა ეს–ესაა, გაიკრიფნენ მასპინძლები.

ქალაქს ქვემეხების გრუხუნი და ავტომატების კანონადა აზანზარებს. ღამით უფრო შემზარავია წითელენოვანი ტყვიების წვიმა.

სარდაფის კარზე დააკაკუნა.

არავინ გაუღო.

კარს ფეხი ჰკრა და ავტომატი შემართა.

„ჟუკი“ ამოიღო და შეანათა.

სარდაფი სავსე იყო ადამიანებით.

– ოსები ხართ?

– კი, – ქართულად უპასუხა ვიღაცამ.

– რა მნიშვნელობა აქვს, – კახამ ჩაილაპარაკა.

– არ დაგვღუპო – ქალის ხმა იყო.

კახას უნდოდა, ჩამოევლო და ყველა მათგანისთვის სახეში მიენათებინა, შეშინებული ადამიანების თვალები დაენახა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ, თავს დამესხანო.

„ჟუკი“ გამორთო, სარდაფის კარი გამოიხურა და გამოვიდა.

შუაღამისას დაბომბვა რომ განახლდა, კაპრალმა ბრძანება გასცა, დავიშალოთ და ცარიელ სახლებში ცალ–ცალკე დავიძინოთო.

კახა ისევ იმ სახლს მიადგა.

სარდაფის კარს ზემოდან ჩასძახა:

– ნუ გეშინიათ, კარი არავის გაუღოთ, მე ამაღამ აქ ვიქნები, ზევით დავიძინებ.

დილით კვლავ დააცხრა ქალაქს ნაღმების გლეჯა-გრიალი და ავიაგამანადგურებლების ავი წუილ-სკდომა.

კახა ჯერ ქუჩაში გამოვარდა, მერე სასაფლაოზე შეუხვია, ავტომატი გადააგდო და საფლავებს შორის დამალვა სცადა.

სასაფლაოზეც ვერ დაიმალა.

სასაფლაოც დაბომბეს.

არადა იქ, სასაფლაოზე, ერთმანეთის გვერდით მშვიდად იწვნენ ოსებიც და ქართველებიც.

ჭურვისგან კედელშელეწილ საყდართან კაპრალს გადააწყდა.

– რა ვქნათ, ბატონო კაპრალო!

– წაი, ბიძია, სახლში! თავს უშველე, დამთავრდა ომი!

– პირდაპირი გაგებით?! – კახას ყელი გაუშრა.

– კი... კი... მგონი, პირდაპირი გაგებით!

კახამ ახლაღა შეამჩნია, რომ ამერიკულფორმიანი ბიჭები ეზოებიდან, შუკებიდან, სახლებიდან, ჯიხურებიდან გამორბოდნენ. გამორბოდნენ ქამარშეხსნილები, უავტომატონი,

ზოგი ჯავშანჟილეტს ღობეზე ტოვებდა, ზოგი სამხედრო ფორმას ქუჩაშივე იხდიდა და ნიფხავ-პერანგისამარა გამორბოდა.

– ბატონო კაპრალო! – გზაში დაეწია კახა მარათონულ სირბილზე გადასულ კაპრალს – სადაა უფროსობა?

– მცხეთაში, ხინკალს ჭამს! – კაპრალმა გაიცინა კონტუზიანი კაცის საზარელი, კბილღრჭიალა სიცილით.

თვითმფრინავმა გადაიწუილა და ბომბი სულ ახლოს გასკდა.

იწვა ჭურვის ნამსხვრევისგან ფერდშელეწილი რეზერვისტი კახა ლაბაძე და შეყვარებულთან გუშინდელ საუბარს იხსენებდა. არა, ეს გახსენება არ იყო.

– რომ არ წახვიდე?

– არ შეიძლება, რეზერვისტი ვარ.

– მით უმეტეს, თუ რეზერვში და თადარიგში ხარ, რას მიძვრები, კახა.

– დამალვისთვის 2000 ლარი ჯარიმაა.

– იცოდე, თუ დაგჭრეს, ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გაგცემ. სამ დღეში დაბრუნდი. დღეს ოთხშაბათია. კვირას აქ, ამ ადგილას დაგელოდები.

– კარგი.

●

წითელ ხიდთან, აზერბაიჯანის საბაჟოსთან, ჯიპი გაჩერდა.

სამხედრო პირი ჯიხურისკენ გაიქცა. ჯიპ-მერსედესთა გამწკრივებულ ქარავანს თავში მოექცა და ბეჰემოთისსახიან დევნილს ყურში ჩასძახა:

– დაბრუნდითო! თბილისში არ შემოვლენ.

●

...მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 41 უცნობი ჯარისკაცი დაასაფლავეს.

ღმერთო, შეგცოდე და, თუ დაღუპვა გიწერია, იქნებ უცნობ ჯარისკაცად დაკარგვა ჯობდეს.

გოგოს მცირე იმედი მაინც დარჩა.

ოქტომბერი, 2008 წ.
თბილისი

ქრისტე

ქრისტე
მარიამ ღვთისმშობელი
იოსები
მსტოვარი
კაიაფა
პილატე
იუდა
მოციქულები
რომაელი ლეგიონერები
ებრაელთა ბრბო

გამოცხადება პირველი

იუდეის ბეთლემი.

იდილიური, ჰარმონიული, მშვიდი მუსიკა.

ბაგაში წევს მარიამ ღვთისმშობელი და გვერდით უწევს ჩვრებში გახვეული ყრმა იესო.

სარკმლიდან ღამის მთვარეული შუქი იღვრება.

დედა-შვილს არაამქვეყნიური, ღვთიური ციაგი ადგას.

სარკმელთან ნახევრადშებრუნებით დგას იოსები და თავისი ოჯახის მშვიდ ძილს დარაჯობს.

ირგვლივ, შორს და ახლოს ზეთისხილის ხეთა კონტურები ჩანს.

ბაგასთან მოვიდა თავსაბურავიანი, სახეზე შავრიდეჩამოფარებული კაცი.

ფეხაკრეფით მიუახლოვდა დედა-შვილს.

დააკვირდა.

განგაშის მუსიკა.

სამოსელის კალთა მხარზე შეიგდო.

იდუმალი, ბოროტი მზერა მიმოატარა ირგვლივ და გაუჩინარდა.

იოსებმა მის აჩრდილსღა მოჰკრა თვალი.

მსტოვარის გასვლას, მეფე ჰეროდეს მსახურთა გამოჩენა მოჰყვა.

მოვარდნენ ისინი, რათა ყრმა იესო გაიტაცონ და ჰეროდეს ბრძანებით მოკლან.

მკვლელები თითქოსდა ხეებიდან ამოიზარდნენ.

როგორც ჩანს, ბაგასთან შემოჯარული ხეები სინამდვილეში ჰეროდეს დამსჯელი რაზმის კაც-შენიღბვა იყო.

იოსები თავისი კეტით ვაჟკაცურად ებრძვის მომხვდურთ.

იავარქმნილი ბაგა თავგანწირული კვეთების ასპარეზად იქცა.

სულისწამლეკავი, ამაზრზენი, მაჟორული მუსიკა, რომელსაც დროდადრო ცხენების თქარათქური და ადამიანთა გმინვა-გნიასი, ხოლო შიგადაშიგ ქალის კივილი ერთვის.

მარიამ ღვთისმშობელმა ახალშობილი ხელში აიტაცა, გულში ჩაიხუტა და არ არსებობს დედამიწაზე ძალა, რომელიც დედა-შვილს ერთმანეთს განაშორებს.

იოსები გზას უკაფავს მარიამს და იესოს. იბრძვის ყოველისმხრივ, მაგრამ ჩანს, რომ თანდათან ძალა ელევა.

აჰა, საიდანღაც მაშველი კაცებიც გაჩნდნენ. სადაცაა მიწვდება მტარვალი. მაგრამ ისევ იმარჯვებს, გამოსტაცებს მომხვდურთ თავის პირმშოს და გარბის.

ისევ ჯგლეთა და დელგმა.

ისევ ბრძოლა და გნიასი.

ისევ გრგვინვისებური საგანგაშო მუსიკა.

როგორც იქნა, გააღწია მარიამ ღვთისმშობელმა სცენის სიღრმემდე.

იქ, შემაღლებულ ფიცარნაგზე გამოჩნდა თავგანწირული დედა ჩვილი იესოთი ხელში (როგორც რენესანსულ ნახატებშია) მისკენ გაიწოდეს ხელები მტრებმა. წამის მეათედში მარიამ ღვთისმშობელი სასწაულებრივად დაუსხლტა მდევარს და კულისებში გაუჩინარდა.

იოსებმა მდევარს გზა გადაუჭრა.

კიდევ ერთხელ ვაჟკაცურად გაიბრძოლა და დაღლილი, ვალმოხდილი (სულს ძლივს ითქვამს) ისიც დედა-შვილის კვალს მიჰყვა.

გამოცხადება მეორე

იერუსალიმის დიდი ტაძარი.

ღვთის სახლში ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, ფულის გადაცვლა გამეფებულა.

ყაყანებენ ებრაელები.

ღმერთი აღარავის ახსოვს.

ფულის მონად ქცეულა მასა.

ბაზარს დამსგავსებია ტაძარი.

მხიარული, ტემპიანი მუსიკა ისმის.

საზეიმო მუსიკის ფონზე სცენის სიღრმიდან ქრისტე მოაბიჯებს თავის მოციქულებთან ერთად.

ტაძარში ქრისტეს შემოსვლა გრანდიოზულია.

მოციქულნი ზეთისხილის და დაფნის რტოებს უფენენ.

ვაჭართა და ფულის სხვა მონათა ყურადღება ამ სანახაობამ წამით მიიპყრო.

მალე ისევ აყაყანდნენ და ვაჭრობას, ფულის წამდაუწუმ თვლას დაუბრუნდნენ.

ქრისტემ ყურადღების მიპყრობის ნიშნად ხელჯოხი ტაძრის იატაკს დაჰკრა.

ვაჭარ-ფარისეველნი წამით გაირინდნენ და ისევ აყაყანდნენ, აქაოდა, ეს ვინღა შემოეხეტა, რომ ყურადღებას გვიფრთხობსო.

ქრისტეს განაჩენი ულმობელია.

იგი მრისხანე სახით სათითაოდ მიდის ვაჭრებთან და კარისკენ მიუთითებს.

შეშინებული ვაჭრები ერთმანეთს ასწრებენ.

ზოგმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

ტაძარში დიდი ჯგლეთა-გნიასი გაიმართა.

ქრისტე ვაჟკაცურად იბრძვის.

ფარისეველნი და ვაჭრები, როგორც იქნა, განდევნეს ტაძრიდან.

გამოჩნდა მსტოვარი.

იდუმალი მზერა მიმოავლო, მოსასხამის ბოლო მხარზე გადაიდო, რიდე შუბლზე ჩამოიწია და კუთხეში მიდგა.

იგი ქრისტეს თითოეულ ნაბიჯს თვალს ადევნებს.

ქრისტემ ხელი აღმართა და ყველა მხრიდან შემოვიდნენ: ავადმყოფები, ბრმები, კეთროვანები, ხეიბრები...

ისინი ხელებს იშვერენ ქრისტესკენ და სთხოვენ დახმარებას.

ქრისტე სათითაოდ უახლოვდება საპყართ და სასწაულებს სჩადის.

ხეიბარი ფეხზე წამოაყენა.

ბრმას თვალი აუხილა.

კეთროვანი განკურნა.

მიცვალებული მოასვენეს და მკვდრეთით აღადგინა.

ტაძარში ბედნიერებამ, ღვთის რწმენამ დაისადგურა.

მადლიერი ხალხი ხელებს და ფეხებს უკოცნის ქრისტეს გადარჩენისთვის.

მსტოვარი ამას იდუმალი, ბოროტი მზერით შესცქერის.

სინათლე ქრება.

სინედრიონის სხდომა.

სინედრიონის წევრი ებრაელი დიდებულნი, შიგადაშიგ ებრაული ხელაპყრობით, ერთმანეთში ჩურჩულებენ.

შუაში იუდა დგას.

აშკარაა, სინედრიონი იუდას გადაბირებას ცდილობს.

იუდა სასტიკ უარზეა, იკლაკნება, მოსთქვამს. ბოლოს საქმეში ერევა კაიაფა.

სინედრიონის უხუცესს ხელში ქისა უჭირავს 30 ვერცხლით.

ფულმა გაჭრა.

იუდას კაიაფამ ქისა გადაუგდო.

იუდამ ქისა დაიჭირა, უბეში ჩაიდო და გაილალა.

გეთსამანიის ბაღი.

მთვარის შუქი ქრისტეს და მის თორმეტ მოციქულს დასდგომია.

საგანგაშო, ავის მომასწავებელი მუსიკა ისმის.

ქრისტე და მისი მოციქულნი ლოცულობენ.

აქვეა იუდაც.

გეთსამანიის ბაღში მაშხალებით შემოვარდა რომაელ ლეგიონერთა და ფარისეველ ებრაელთა ბრბო.

მოციქულთა წინაშე წამით შეჩერდნენ.

არ იციან, რომელი შეიპყრონ, რომელია ქრისტე.

იუდა დემონსტრაციულად წამოდგა, ქრისტეს მიუახლოვდა და მხარზე ეამბორა.

მომხვდურებმა, რაკიღა იუდამ გასცა მოძღვარი, ქრისტეს ხელების შეკვრა დაუპირეს.

მოციქულები არ ანებებენ ლეგიონერებს და ებრაელ გამყიდველებს ქრისტეს შეპყრობას.

გაიმართა შეხლა-შემოხლა.

ქრისტე უძრავად დგას.

მოციქულები იბრძვიან.

ერთ ჯალათს ჯოხით თავი გაუტეხეს, მეორეს – ყური ჩამოათალეს.

ქრისტემ ხელები ზეაღმართა.

ეს იმის ნიშანია, რომ მოციქულებმა წინააღმდეგობა უნდა შეწყვიტონ, რადგანაც აღსასრულებელი უნდა აღსრულდეს.

ქრისტე დააპატიმრეს და წაიყვანეს „როგორც ერთი ვინმე ავაზაკთაგანი“.

გამოცხადება მესამე

წამების, გვემის, კირთების ამსახველი მუსიკა.

ქრისტეს აწამებენ რომაელები და იუდეველები.

მოძღვარი გმინავს, მაგრამ გარეგნულად მშვიდად იტანს წამებას.

ტანსაცმელი შემოაფლითეს.

თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს.

რომ არ ჩამოეტია, ძალით ჩამოამხვეს.

სახეზე სისხლი ჩამოსდის.

ჯალათები ხარხარებენ.

უკნიდან გამეტებით სცემენ იღლიებში და ყვრიმალებში, თან ცერა თითს უჩვენებენ, გამოიცანი, ვინ დაგარტყაო.

მერე ფეხქვეშ გაიგდეს და წიხლებით შესდგნენ.

ბოლოს სასომიხდილი, თითქმის გონდაკარგული ამოაბრუნეს და შოლტებით გამეტებით სცემენ.

აქა-იქ ჩანან ქრისტეს მოციქულები, მაგრამ თავიანთ მოძღვარს ვერაფრით შველიან.

მხოლოდ თითზე კბენით და გამხნევების შეძახილით გამოიხატება მათი თანადგომა.

საგანგაშო მუსიკა.

ხალხი ორად გაიპო.

ჯალათებმა შოლტი ჰაერში შეაჩერეს.

ტახტრევანით პილატე მობრძანდა.

დოინჯი გაიკეთა, ბრბომ უკან დაიხია, პილატემ მიმოიხედა, ქრისტეს მიუახლოვდა, მარცხენა ხელი თავზე დაადო და მარჯვენა ზეაღმართა.

ბრბო გაირინდა.

პილატემ უნდა გადაწყვიტოს, რა მიესაჯოს ქრისტეს.

„ჯვარს აცვი!“ „ჯვარს აცვი!“ „ჯვარს აცვი!“

ღრიალებს ბრბო.

პილატემ ერთხელ კიდევ შემართა ხელი.

ჩანს, ყოყმანობს.

ჩანს, არ უნდა, უდანაშაულო მოძღვარი ჯვარს ეცვას.

„ჯვარს აცვი!“

არ ჩერდება ულმობელი ბრბო.

პილატემ სახალხოდ ხელი დაიბანა და მიწოდებული ხელსახოცით შეიწმინდა.

ამით პილატემ ბრბოს ანიშნა – “მე ამ კაცის საქციელში დანაშაულს ვერ ვხედავ, მისი ჯვარცმა თქვენს სინდისზე იყოს, მე კი ხელი დამიბანიაო.“

ბრბო კმაყოფილია განაჩენით.

გაბოროტებული ებრაელი ფარისეველნი ქრისტეს ჩასაქოლად მიიწევენ.

პილატე გაიყვანეს.

ქრისტეს ცემა და აბუჩად აგდება გრძელდება.

საიდანღაც დიდი ხის ჯვარი მოიტანეს.

ცოცხალ-მკვდარი ქრისტე წამოაყენეს.

ქედი გაუდრიკეს და ჯვარი მხარზე დაადგეს.

ქრისტემ ნაბიჯი ძლივს გადადგა.

შოლტით სცემენ და აიძულებენ იაროს.

მუსიკა ადამიანთა ულმობლობას და გულქვაობას ეთანწყობება.

გამოცხადება მეოთხე

გოლგოთა.

ქრისტეს გოლგოთის თხემისკენ მიაქვს მძიმე ჯვარი.

უკან რომაელი ლეგიონერები და სეირისმაყურებელი ებრაელები მოჰყვებიან.

ბრბო გაავებულია.

ზოგჯერ ლეგიონერები იცავენ ქრისტეს იუდეველთა ხელყოფისაგან.

ქრისტე მუხლებში იკეცება.

ჯვარი ერთობ მძიმეა.

ბრბო ხან ხელს ჰკრავს, ხან წიხლს აყოლებს.

შეუბრალებლობას ზღვარი არა აქვს.

როგორც იქნა, მიიტანა გოლგოთამდე ქრისტემ ჯვარი.

მხრიდან ჩამოაგდო და თვითონაც იქვე დაეცა.

ებრაელებმა ჯვარი აღმართეს.

ბრბო ხარხარებს.

წამოაყენეს წამებისაგან გათანგული ქრისტე და ჯვარს შეუყენეს.

დაიწყო ჯვარცმის ყველაზე საშინელი წუთები – ქრისტეს ჯვარზე გაკვრა.

ჯალათები ჯერ ქრისტეს მარცხენა ხელს აჭედებენ ჯვარზე, მერე მარჯვენას და ბოლოს ერთმანეთზე გადაჭდობილი ტერფების ზურგზე აჭედებენ ლურსმანს.

ბრბო ხარხარებს.

იქვე არიან მარიამ ღვთისმშობელი, იოსები და ქრისტეს მოციქულნი – მათი მოთქმა-გოდება ზეცას წვდება.

ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ კიდევ ორი ჯვარი აღიმართა.

ქრისტესთან ერთად კიდევ ორი ავაზაკი გააკრეს ჯვარზე.

რომაელები გამარჯვებას ზეიმობენ.

ბრბო კმაყოფილია.

მარიამ ღვთისმშობელმა რკალი გაარღვია, ჯვართან მიიჭრა და ნაწამებ შვილს ქვითინით ფეხებზე შემოეხვია.

ლეგიონერები სწრაფად მოსწყდნენ ადგილს, ჯვართან აღიმართნენ, მარიამ ღვთისმშობელს მივარდნენ, ხელები გადაუგრიხეს და განზე გაიყვანეს.

დაიწყო ჯვარზე გაკრული ქრისტეს შეურაცხყოფა.

ერთმა ლეგიონერმა შუბი აძგერა, მეორემ ლერწმის ძაბრით ძმარი ჩაასხა პირში, მესამემ შოლტი მოუქნია და სწორედ ამ დროს მიწა შეტორტმანდა და ჯვრის უკან საყდრის კედელი ჩამოინგრა.

უეცრად ჩამობნელდა.

დაიქუხა.

გრგვინავს.

ელვა-ჭექა დედამიწას აზანზარებს.

რომაელები და ებრაელები თავზე ხელებს იფარებენ.

ზოგი გარბის, ზოგი პირქვე ეცემა.

სინათლე ქრება-ნათდება, ქრება-ნათდება.

ადამიანები ფეხზე ვერ დგებიან.

სიგიჟემ და პანიკამ მოიცვა ირგვლივ მყოფნი. არ იციან, თავი სად შეაფარონ.

მიცვივდნენ და ჯვარცმული ქრისტეს წინაშე მუხლებზე დავარდნენ.

ვიღაცეებმა მოიფიქრეს და მიცვალებული (მაპატიოს უფალმა) ჯვარიდან ჩამოხსნეს.

ქრისტე ცრემლგამშრალ ღვთისმშობელს მუხლებზე დაუსვენეს.

მიწისძვრა შეჩერდა.

ლეგიონერები განაპირდნენ.

ბრბო ჯვარცმულს მიცვივდა.

ქრისტეს გარშემო თითქმის ზედახორა გაკეთდა.

ყველას სურს ნახოს, რა დღეშია ცხედარი (კიდევ ერთხელ მაპატიოს უფალმა).

ერთ წუთში ქრისტეს გარშემო ჯგროდ შეკრული ბრბო გაიშალა.

სასოწარკვეთის მუსიკა.

ავანსცენაზე მიდიან ებრაელები და რომაელი ლეგიონერები კენჭისყრის შედეგად მოპოვებული ნადავლით ხელში.

ზოგს ქრისტეს პერანგი (კვართი) უჭირავს.

ზოგს ქრისტეს სანდლები (ხამლნი).

ზოგს ქრისტეს თავსაბურავი.

ზოგს ეკლის გვირგვინი.

ჩქარი ნაბიჯით ტოვებენ ჯვარცმის ადგილს, რათა ქვეყანას ამცნონ მომხდარის შესახებ.

გოლგოთა შემზარავ დუმილს მოუცავს.

ქრისტეს ცხედართან მარიამ ღვთისმშობელი, იოსები და მოციქულები ჩანან.

გამოცხადება მეხუთე

გალილეა.

მოედანზე ებრაელები შეკრებილან.

ორივე ხელის მაღლა შემართვით ებრაულად ყაყანებენ. ერთმანეთს მომხდარზე უყვებიან.

ზოგი მიწაზე მორთხმით ზის, ზოგი ფეხზე დგას...

გალილეას მოედანზე ტევა არ არის.

იქვე ჩანან ქრისტეს მოციქულნი და სხვა მიმდევარნი.

არსად ჩანან კაიაფა, იუდა, ფარისეველნი და სხვა იუდეველნი.

როგორც ჩანს, ქრისტეს ჯვარცმამ და ჯვარცმისგან გამოწვეულმა მიწისძვრამ, საყდრის დანგრევამ მთელი ისრაელი შეაძრწუნა და შეაშფოთა.

„ვაი ვადაი," „ვაი ვადაი"...

სწუხან, ჩივიან, ძრწიან ებრაელნი.

უეცრად ყაყანი შეწყდა.

ბრბო ორად გაიყო და სცენის სიღრმიდან ქრისტე გამოჩნდა.

მოაბიჯებს იგი თავისი ღვთიური ნათლით.

მოვიდა და ხელგაშლილი სცენის შუა ადგილას დადგა.

ებრაელები შეძრწუნდნენ.

ზოგმა იცნო, ზოგს არ სჯერა.

ერთი-ორმა ხელი გაიწვდინა ქრისტესკენ.

ჩანს, ურწმუნო ებრაელებს სურთ ხელით შეეხონ. დარწმუნდნენ, ეს მოჩვენებაა თუ ხორცშესხმული მოძღვარი.

გაისმის ღვთიური საგალობელი.

ქრისტესთვის ხელის შეხებას ვერავინ ბედავს.

მცირე ხნის შემდეგ ქრისტემ გაიღიმა, მცირედ მორწმუნეთ დალურსმული ხელები უჩვენა, ნაბიჯი წინ წადგა და თვით შეაგება ხელები მისკენ გამოწვდილ ხელებს.

გალილეველნი მუხლებზე დაეცნენ.

ქრისტე დგას ღვთიური ნათლით მოსილი.

ხელის ნელი მოძრაობით ანიშნა მისი ხილვით გაკვირვებულებს ფეხზე წამომდგარიყვნენ.

გალილეველნი გამალებულ პირჯვრისწერას მოჰყვნენ.

ქრისტე კი გაღიმებული, ულამაზესი, მიმტევებელი და ყველა ადამიანის ცოდვის მტვირთველი ნელ-ნელა ამაღლდა ცისკენ.

გალილეველნი თანდათან წამოიმართნენ და ზეცისკენ ხელაპყრობილნი შესცქერიან ცათა შინა ამაღლებულ უფალს.

ყველას, სცენაზეც და მაყურებელთა დარბაზშიც, ღვთიური შუქი ეღვრება სახეზე.

ფარდა

ძილში არ გაიპარო

ცხელოდა.

ქუთაისში აგვისტო აგვისტობდა.

ომით ელდაცემულ ქალაქს დიდი მიზეზი ჰქონდა, შინ, ოთხკედელში ჩაკეტილიყო და შიშით ეცქირა ტელევიზორისთვის.

საზოგადოებრივი ტელევიზია, ვერ დავუკარგავ, ძალიან ცდილობდა, მაყურებლისთვის გუნება არ მოეშხამა, თუმცა შიგადაშიგ მართალსაც გამოურევდა ხოლმე.

აკაკის ბაღი მიტოვებულს ჰგავდა.

ოდენ მტრედები ფრთხიალებდნენ გამორთული შადრევნის აუზის პირას. თავიანთ მტრედულ პრობლემებზე ღუღუნებდნენ და დროდადრო წყალში ამოავლებდნენ ხოლმე ლამაზ თავ–ფრთებს გასაგრილებლად.

თეატრის წინ ძველთაძველმა „მოსკვიჩმა“ გადმოჭრა მოედანი, წითელი ხიდი გადაიარა და ყრმა გალაკტიონის ძეგლთან შეჩერდა.

– აქ შეუხვიე, მარჯვნივ, ეიხედე ზევით... ე... იქ ვართ ასასვლელი.

კაცმა მინა ჩამოსწია და კორკიმელის გასწვრივ ხელი გაიშვირა.

– აუ, სად ყოფილხართ?! ზეით თუ ქუჩა იყო, არც ქე ვიცოდი, – შეიცხადა მძღოლმა.

– ხო გითხარი თავიდან. აგიდუღებს ვითომ?

– შენ არხეინათ იყავი. ამ დანჯღრეულ „მოსკვიჩს“ მასე ნუ უყურებ. გუშინწინ ორი რელსი მოვუტანე ვინცხას ჭომაზე.

თუხთუხ-სვენებით, ხლიწინ-ხველებით, როგორც იქნა, ააღწიეს. რკინის ჭიშკარი და ნაგვერდულის ღობე ერთფერად – ბაცმწვანედ იყო შეღებილი.

– შევედით.

მასპინძელი გადავიდა, ჭიშკარი გააღო და შოფერს მიუბრუნდა.

– წინ წადი, მარცხნივ ეიღე და „ზადნით“ შემოდი.

შოფერმა ბარგი იქვე, ჭიშკართან, კოინდარზე დააწყობინა და „კრანს“ პეშვი შეუშვირა.

– ჭიქას მოგიტან.

– არ მინდა. ასე უფრო ვატან გემოს.

„მოსკვიჩი“ ჩარიხინდა და რეაქტიულივით სქელი, ცისფერი კვამლი მიიხვია.

– გესმის?!

კარებზე დააბრახუნა.

პარმაღზე თავწაკრული, გამხდარი ქალი გამოჩნდა. ქმრისთვის არც შეუხედავს და ჭიშკართან მილაგებულს დაადგა თვალი.

– ავანსი მომცეს და ცოტა რაცხა ვიყიდე: ერთი ტომარა პურის ფქვილი, ერთი ტომარა კარტოფილი, ნახევარი ტომარა შაქარი და ხუთი ლიტრი ზეთი, სიმინდის ზეთიაო, პორტუგალიურიაო, ნოქარმა, რა ვიცი, პორტუგალიურია?

– რათ გინდოდა ამდენი რამე. კარტოფილში მაინც რავა გადაყარე ფული. ერთ კვირაში ამოვა და დეიფშუტება.

ქალმა შაქრიანი ნახევარტომარა მოიგდო თეძოზე.

– მეიცა, მეიცა. ერთ მხარეს მე დევიკავებ... შიმშილობა იქნებაო.

– რო არ იქნეს?

– რო იქნეს? ამგენს ენდო ტიფა. ფქვილი და კარტოფილი თუ გაქვს სახლში, ცოტა გულმიცემული ხარ. ხო ხედავ, ომია.

– რა ომია, შალიკო, შენ ამას ომს ეძახი?

– ქალო, რო მიჩერებიხარ ჭინკასავით ტელევიზორს, აზრი ვერაფერი გამოგაქ? ხო ხედავ, ორ-ორად რო დაშლიგინობენ თვითმფრინავები და ყვავის კაკლებივით ყრიან ბომბებს.

– ყრიან მარა, ბევრი არ სკდებაო, ესო შესაშინებელი ბომ-ბებიაო. ვალიკოს მარუსიე ამბობდა, ამ დილას რძის რიგში.

– კი, კი, გეთამაშება, გაშინებს რუსი–თქვა, შესაშინებ-ელი კი არა, გორში სახლი არ დატოვა ცეცხლწოუკიდებელი.

●

დილით პურზე ჩავიდა.

თაროზე სერი პური ელაგა, მაგრამ შილიფად ჩაცმული ქალები განზე იდგნენ და თავიანთი ნახევრადსერიოზული (ნახევრადჭკვიანური კინაღამ წამომცდა) მუსაიფით თავს იქცევდნენ.

შალიკოს არაფერი უკითხავს. მიხვდა, ახალი პური ჯერ არ მოეტანათ. ფანჯარასთან მიდგა.

– აპა, ჩემი ქმარი, გენაცვალე... ჩემ ქმარს მაგი არ შეე-შლებოდა... მაგ კი არა, აქით მეკითხება ხანდახან...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა მაღალი, წაბლისფერთმე-ბა, პომადიანი ქალის ნათქვამი და შალიკოს ეგონა, ის ქალი მის გასაგონადაც ლაპარაკობდა.

„ქალი რომ ქმრის ქებას სახალხოდ დეიწყებს, ორი რამ არის: ან ნაღალატევი აქვს მისთვის უკვე, ან აწი აპირებს უღალატოს“ – გაიფიქრა შალვამ.

მუშტუკი გააწყო და გარეთ გავიდა.

სინაურიძის ჭიშკართან ჩამომსხდარნი წუხანდელი ტელე-ვიზორის ამბავს არჩევდნენ.

– არაფერი არ ვიცით, არა ჩვენ... ჩვენ არაფერს არ გვეუ-ბნებიენ. სერიოზულათ თუ ვომობთ, არც ეს მგონია, დეიქცა ცხინვალიო. ვინ ნახა... რომელმა ნახეთ ერთი მითხარით?!

– ასე რავა შეიძლება, შე კაცო, წეიღო რუსმა ნახევა-რი ქვეყანა და მაინცდამაინც შენს ეზოში უნდა ჩამოვარდეს ბომბი, რო დეიჯერო?

– რავა იყო წუხელი, დეინახე? რავა დაძვრებოდა ე ჩვენი პრეზიდენტი დაცვის ბიჭების ლაჯებში, დეინახე?

ჟღალწვერებიანი იობიძე სიცილით ჩაბჟირდა.

– ისე სხარტი ქე ყოფილა, მე ამდენიც თუ შეეძლო, არ მეგონა, გაქცევით მარდათ გეიქცა.

– სული მწარეა, ბიძია.

– ისე... მე რომ მკითხოთ, დაცვის ბრალიცაა, – სიცილით სულს ძლივს ითქვამდა იობიძე – რა იყო, რა მოხდა ამნაირი, რომ მეიგდეს ფეხქვეშ ამხელა კაცი და რო დააყარეს თუ რამე მოხვდათ ხელში: ტაშტი, კარდალა, ფანერკის ნაჭერი, ნახმარი ჯავშანჟილეტი, არყის ქვაბი, შეაწუხეს კაცი... კიდო კარქათ გამოხვანცალდა იქიდან.

– მე, მაგალითად, სხვანაირად ვუყურებ ამ ამბავს – დაიწყო პედინსტიტუტის კონკურსში ვერგამარჯვებულმა, ნაადრევმა პენსიონერ-ლექტორმა მაღლაკელიძემ, – რაკი გეიქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად სულელიც არ ყოფილა. შიშის გრძნობა სად აქვს სულელს. ჩვენი საქმე მთლად დაღუპული მაშინ იქნებოდა, პრეზიდენტი ჟირაფივით თავაწეული, ნელა რო წასულიყო. იმ ჯგლეთა-ქიჩავში შენ არ გეიქცეოდი, მაგალითად? შეეშინდა კაცს; არ მდრუზოს რუსმა ბომბი ზურგშიო და მოუჩქარა ფეხს, რა იყო, რა მოხდა, ყოლიფერი საგლახაოდ და საღადაოდ უნდა აქციოთ?!

– სტუმარი რო ახლდა? ი სტუმარი რო ერთ ადგილას დეიკიდა და თვითონ რო უშველა თავს?

– რა ექნა, აპა... იფიქრა იმ კაცმა, მე თუ მოვკვდი აქანა, სტუმარიც უკან დამრჩება და მასპინძელიცო. სტუმრის მეტს რას ვიშოვი, მე თუ არ ვიქენი, მოსრია პატრონი, რაც სტუმარია ქვეყანაზეო.

– უწმინდე პირი ხო, შენი პატრონობა უნდა მაგას. მიტომა ვართ ამ დღეში.

– მე არავის არ ვპატრონობ. მე არ მიმიცია ხმა, შენ მიეცი და შენნაირებმა. ხვარ დაგავიწყდა ოც-ოცი ლარი რო ჩამოგირიგათ ხახალეიშვილმა.

– ვაი... რავარც ის ოცი ლარი ჩემ ჯიბეში ჩევიდა, ისე

მიცეს ხეირი გამჩენმა შენს დამაწყევარს. შენ არ დაგწყევლი, მეცოდები, ჩემი ბოვშის ლექტორი იყავი, მაინც, რაც არ უნდა იყოს, – თავი იმართლა იობიძემ.

– კაი, კაი, კაი, კაი, ნუ გეიმამააბრამისბატკნებთ ახლა სუყველა თავს, – მეზობლებისთვის სრულიად მოულოდნელად ჩაერთო სანდუხაძის გერი გუჯია, – ძაან მშვენივრად ეიღეთ, მეც ევიღე, არ ვმალავ, რავა თავის ჯიბიდან კი არ არიგებდა ხახალეიშვილი.

შალიკომ შეატყო: ლაპარაკი ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ელფერს რომ იძენდა და ბირჟას გაერიდა.

მაღაზიაში შევიდა და შიდა კარის მინაში არეკლილ თავის თავს ჰკიდა თვალი. უსაშველოდ ხუჭუჭი, სავარცხლებმმტვრევი, მოურჯულებლად ურჩი, ჭაღარა თმა ქინჯილოჯა ბალახივით ეხურა თავზე. „რა ჩქარა იზრდება ე დასაწვავიო“, ყოველ შეხედვაზე გაიფიქრებდა ხოლმე შალიკო და, რასაკვირველია, ახლაც ეს გაიფიქრა თავის მომაბეზრებელ თმაზე. მწვანე, ბუდიდან უჩვეულოდ ამოწეული თვალები ჰქონდა და გაბუშტულ ცხვირს ქვემოთ, ვიწრო საულვაშეზე ძლივსდატეული, ჭაღარა, მაგრამ არახუჭუჭა, ფენჯგირესავით სწორი, მსხვილნემსა ულვაშები. სამოცის ჯერ არ იყო, მაგრამ ყურში ამოსულ მუქშავ თმებს ინდაურის ბიბილოსავით ლურჯ–წითელი, ლეღვის ფოთლებივით ფართო ყურები თითქმის ამოევსო. ზედ ყურთან იწყებოდა ორი ქალამნის ტყავივით სქელი ნაოჭი ქედ–კისერში რომ ჩახვეოდა და სადღაც ბერძნული კაკლისოდენა ადამის ვაშლის ქვემოთ იკარგებოდა. მარცხენა კეფასთან ძლივს მოუჩანდა ბადრიჯნისთავის ხელა ცხიმრქა, რომელსაც, კიდევ კარგი, ასი პროცენტით შენარჩუნებული ქოჩორი საიმედოდ უფარავდა, მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ არც დაბლად ჩათვლიდით. გამხდარ, რომ იტყვიან, ჩასხმულ ტანზე დაკვირვებული თვალი რასაც შეამჩნევდა, პირველ რიგში, გრძელი, ზურგთმიანი, დამჭკნარი უნაბისფერი ხელები იყო. ბრტყელტერფა გახლდათ და სიარულის დროს

ფეხებს მრუდედ აწყობილი რობოტივით აჩაბაჩა დგამდა. სამუხლეზე დაკერებული ჯინსი ეცვა და ოდესღაც ლურჯი ხალათ–პერანგი.

ლავაშნახევარი (ნახევარი ლავაში გზაში შემოეჭამა) აივანზე ჩამოკიდებულ კალანჩხაში ჩადო, ბებერი მსხლის ძირში სასკამედ გადაჭრილ მორზე ჩამოჯდა და ღობისძირას მოხტუნავე მამალს მიაჩერდა.

უდეზო მამალი ტრიფოლიატზე მიშვებულ შეთვალულ ადესას სათითაოდ კუმპლავდა. თითო ახტომაზე თითო მარცვალს მოიგდებდა ნისკარტში, მაგრამ ჩანდა, მისთვის ესეც ხეირი იყო, ყოველ შემთხვევაში ეს საქმე არც ბეზრდებოდა და, მაინცდამაინც, არც დაღლა ეტყობოდა.

ჭიშკართან რომანია ხვადაგიანის უფროსი ბიჭის, კიჭოია ხვადაგიანის ძველთაძველი „ჟიგული“ გაჩერდა.

– შალიკო ბიძია!

შალიკო სტუმარს გაეგება.

– ფოთიდან თბილისში ალუმინის ბიდონები მაქ წასაღები, თუ არავის ხარ რამეზე შეპირებული, წამომყევი. კაი ტკიცინა ხუთთუმნიანს, ალალს და დოუმადლებელს, ქე მოგართმევ და ხვალ ამ დროს აქანა დაგსვამ, შენს ჭიშკართან.

– რა ვიცი, ეირია, ბიჭო, ქვეყანა და... როის მიდიხარ?

– ახლა ა ამ წუთში. რო ეირია, მეც მიტო გეუბნები. ქე მეშინია მარტო წასვლა. ჩვენ ვინ რას გვერჩის... მარა მაინც, წამოხვალ?

– წამოვალ, აპა – კეფა მოიფხანა – მარტოს ხვარ გაგიშობ.

კიბე აირბინა, ორიოდე წუთში გრძელკეპიანი ხაკის ქუდით და საწვიმრით დაბრუნდა. უკან ცოლი მოსდევდა.

– ჩაი მაინც დეგელიათ. რა დროს წასვლა იყო. როის მოხვალ, როის?!

– ხვალ ამ დროს! – კიჭოიას გვერდით მიუჯდა, – წევედით.

●

ცოდვის გაკითხვა, რასაც ჰქვია, სწორედ ის ტრიალებდა სამტრედიას რომ გაცდებოდი, ფოთის და სენაკის გზებზე. სიცხით დაოსებული, ოფლში გახვითქული, დარდისგან და შიშისგან პირმოღრეცილი ადამიანები ვაი-ვიშით მოაგორებდნენ ყველაფერს, რასაც ბორბალი ჰქონდა.

ისმოდა ქალების მოთქმა-ტირილი, ზარი და გნიასი... ზაფრა-ელდა გაწოლილიყო გზაზე. ყველას წინ უნდოდა გასვლა. ყველას გადასწრება სურდა და ერთმანეთის ნათქვამს „მე ავადმყოფის პატრონი ვარ და მე ძუძუთა ბავშვი მიმყავსო“ უსმენდნენ, მაგრამ არად აგდებდნენ.

საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ სენაკის და ფოთის დაბომბვაზე, აეროპორტის და ნავსადგურის ბეტონის ტრაპები მკვდრებითაა მოფენილი, მაგრამ ახლოს არ გვაკარებენო.

„ბეტეერებთან“ რუსი სალდათები იდგნენ და ყველას წაღმა-უკუღმა საბუთს თხოვდნენ. მოწმობას რომ დააძრობდა, შიგ არც იხედებოდნენ. ეტყობა კითხვა არ სიამოვნებდათ.

უკან მობრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ისე იყვნენ ჩაჭედილები რიგში, რომ იქედან გამოღწევა შეუძლებელი იყო.

ქუთაისიდან შუადღისას გამოსულები ღამის 1 საათზე ჩავიდნენ ფოთში.

მასპინძელმა მორგოშიამ იმ ღამეს, საშიშიაო და არ გამოუშვა. არც თვით ჰქონდათ წამოსვლის თავი. დილით დატვირთეს მანქანა და ფოთის გამოსასვლელთან რომ გავიდნენ, ურჩიეს: ახალქალაქზე წადით, შედარებით უსაფრთხოაო.

ასეც მოიქცნენ.

მტვრიან-ბუღიანი გზით გაწამებულ-გათეთრებულებმა, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს ბაკურიანამდე, მაგრამ წალკის გზა აღარ გააგრძელეს, ბორჯომის გზით გადმოვიდნენ ხაშურზე.

ასე იმიტომაც მოიქცნენ, რომ გზაჯვარედინზე ცალფეხა, ყავარჯნიანი კაცი იდგა და ყველას ეუბნებოდა: გორზე წადით, ხიდი აღდგენილიაო.

როგორც მერე გაირკვა, ცალფეხა ცრუობდა, მაგრამ რატომ ავრცელებდა ასე ენერგიულად ტყუილს, ამ ნოველის ავტორისათვის დღესაც გაუგებარია.

ჯავახეთ-ახალქალაქის გზაზე ხუთი საათი ისე იარეს, ქართულის მცოდნე ერთი კაციც არ შეხვედრიათ. საქართველოს მოქალაქენი ნათლად და გასაგებად ვერც რუსულად ახერხებდნენ გზის სწავლებას. ერთი კი იყო, რძის ბიდონებს რომ თვალს შეავლებდნენ, სირბილ-ღრეჯით მოყვებოდნენ მანქანას. მე მგონი, მიყიდვაზე უფრო მეტად ჩუქებას ითხოვდნენ.

ქართლის მცირე უღელტეხილზე გორისკენ რომ დაეშვნენ, პირველივე „ბეტეერთან“ შეაჩერეს, ორი ავტომატიანი ცხვირპაჭუა პირდაპირ მანქანას ეცა. მანქანის პატრონებისთვის ზედაც არ შეუხედავთ. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და მწვანე ვილისში ბიდონების გადაცლა დაიწყეს.

შალვა და კიჭოია აყვირდნენ, რაც შეეძლოთ. მიყვებ–მოყვებოდნენ, ემუდარებოდნენ სალდათებს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი.

– რაია, იცი? ჩემი არაა ეს უპატრონო, თვარა ჩემი რო იყოს, მოგცემდიყენ. სხვამ გამომატანა! თბილისში მიმაქვს. სად მაქ მე ამის გადასახდელი ფული. ნუ დამღუპავთ! ხალხი არა ხართ!? – იმდუღრებოდა კიჭოია.

ჯარისკაცს მობეზრდა მებიდონის მანჭვა–გრეხა და კაპიტანს უხმო.

– შტო ონ ხოჩეტ? ჩტო ტი ხოჩეშ?! – მიუბრუნდა კიჭოიას უშლემო კაპიტანი, რომელსაც მზისგან სახე ერთი უწყინარი, ადამიანისმსგავსი ცხოველის ტრაკისფრად გაწითლებოდა.

– რაია, იცი?! – ახლა კაპიტანს შეაცქერდა კიჭო, – ჩემი არაა, ეს უპატრონო, სხვამ გამომატანა ფოთიდან. სამი ცალი წეიღეთ, თუ ძაან გჭირდებათ, დანარჩენი დამიბრუნეთ!..

კაპიტანმა უსმინა, უსმინა და თითქოს ყველაფერს მიხვდაო, მოკლედ მოუჭრა:

– პაშოლ ნა ხუი!

სალდათებმა ცარიელ „ჟიგულს“ ფეხები დაუშინეს, წადით აქედან თორემ ამ თქვენს დამპალ „დრანდალეტს“ ხრამში გადაგიგდებთო.

ცრემლგამშრალი „გმირები“ იქაურობას გაეცალნენ.

– ესაა ღვთიშობელს ვერგეთ წილადო? – ჩაიკვნესა კიჭომ.

– მაგი ქენი, მაგი... ვისი წილი და არჩივიც ვართ, მე კარგად ვხედავ...

აფეთქებულ ხიდამდე ვერ გააღწევდნენ. მანქანა გზიდან გადააყენეს და ფეხით გაუყვნენ.

გორთან ოტებული ნაბრძოლი ბიჭები მოღუშული, გაბრაზებული სახეებით ჯგუფ-ჯგუფად დააბიჯებდნენ. არავის უჩერდებოდნენ და არც შეკითხვაზე („რა ხდება იქეთო“) პასუხობდნენ.

სტალინის სახლ-მუზეუმის უკან, მოედანზე ძლივს სულმოთქმული დევნილები სახელდახელო ფუთა-ჩანთებს შემოსხდომოდნენ და წამდაუწუმ ცას აჰყურებდნენ.

– ბატონო, – შალვას მიუბრუნდა, ხანშიშესული, სანდომიანი, შაოსანი ქალი, – დღეს საღამომდე დაგვაბრუნებენ ვითომ სახლებში?

– საიდან ხარ? – ისე ჰკითხა შალვამ, თითქოს დაბრუნების საკითხში ძალიან გარკვეული იყო.

– ტყვიავიდან. აგერ ვარ შვიდ კილომეტრში... ტყვიავი როგორ არ გეცოდინება.

შალიკომ თავი დაუქნია.

– რატომ გეკითხები, იცი? საქონელი არ ამიხსნია და ბოგის კარიც დაკეტილი დავტოვე. სისხამზე დაბომბვა რო დაიწყეს, არიქა, არიქაო, ვსტაცე ბავშვებს ხელი და გამოვიქეცი.

დღეს თუ არ შევბრუნდი, დასკდება საქონელი წყურვილით. სამი ძროხა მყავს ერთმანეთზე უკეთესი. ღორს და ქათამს ვიღა ჩივის.

– დღეს რაღას დაბრუნდებით, გაგანია ომია იქ, ქალბატონო, მაინც საქონელი ბოგაში როგორ დატოვე? ეგ როგორ დაგემართა? – ჩაერია საუბარში მაღალი, ზურგჩანთიანი სამხედრო.

– ვაი, ჩემ დღეს უბედურს... ვაი, ჩემ დღეს უბედურს, – მოთქვამდა ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ გვიან საღამოთი თუ არა, ხვალ მაინც დააბრუნებდნენ თავთავიანთ სახლებში.

გორში კარგა ხანს იხეტიალეს. ზოგს ბარგის გადატანაში უშველეს, ერთხანს ცისტერნიდან წყლით სავსე ვედროებს მიარბენინებდნენ ცეცხლმოკიდებული სახლებისკენ, კიჭოიას თბილისში ჩასვლა უნდოდა, თუმცა გზის აღდგენის იმედი მაშინ გადაეწურათ, როცა კომენდანტის მანქანამ ჩამოიარა და ლტოლვილებს აუწყა: ვისაც როგორ შეგიძლიათ, მოთავსდით, დახმარებას საკრებულოში მიიღებთ, თბილისისკენ გზის გახსნას ორი დღე მაინც დასჭირდებაო.

უკან, მანქანისკენ რომ ბრუნდებოდნენ, შალიკო შემოტრიალდა და დევნილებისკენ გაიქცა. ძლივს მოძებნა ბავშვებზე გადაფოფრილი შაოსანი ქალი.

– ქალბატონო, თქვენ ამბობდით ბოგაში საქონელი დამრჩაო?

– მე, ბატონო, მე... ვაი, ჩემ დღეს უბედურს...

– ტყვიავში რა ადგილას ცხოვრობთ?

– იქვე, შესასვლელთან, მეოთხე მოსახლე ვარ. აქედან მარჯვენა მხარეს. „პავლიაშვილი“ აწერია ჭიშკარზე, თუ არსებობს ჭიშკარი საერთოდ. აგერ ვიღაცა ამბობდა, გადაწვეს ნახევარი სოფელიო.

არაფერი უთქვამს. კიჭოიასთან მიბრუნდა.

– ვის ელაპარაკებოდი? – ჰკითხა კიჭოიამ.

– არავის, ვის დეელაპარაკები, ყველა ერთ დღეშია...

– რა ვქნათ?

– რას ვიზამთ, გავბრუნდეთ, უკან, ქუთაისში, თუ მოვახერხეთ.

– რა პასუხი მივცე იმ ხალხს, – კვნესა გაერია ხმაში კიჭოს.

– რა პასუხი უნდა მისცე, ჯერ ერთი თბილისისკენ გზა რომ არ არი, ქე ეცოდინება იმასაც და მეორეც, ომია ბიძია, ეტყვი, ასე შემემთხვა-თქვა, გაგიგებს ქართველი კაცი, აპა რას იზამს.

ერთხანს უხმოდ მიიკვლევდნენ გზას.

– კიჭო, – შალიკო შეჩერდა – შენ მანქანაში დამიცადე. მე ასე საათნახევარში, ორ საათში მოვალ.

– სად მიხვალ ამ ღამეში, შენ ხვარ გადეირიე.

– რაია იცი. ეგერ ტყვიავში ერთი ძველი ძმაკაცი მყავს. ბარელამ აქვე ვარ, შოუვლი. ეგება უჭირს კაცს.

– რა დროს შევლა–შემოვლაა, შალიკო, ვერ ხედავ, რა ხდება?!

– არა, არა... უნდა მივიდე, დიდი ნაპატივცემარი ვარ მაგისგან.

– სა გაგიშვა ამ რიარიაში... რა ეიტეხე ახლა, გლახა ფეხზე ხარ ამ დილას ამდგარი... წამოვალ, აბა, მეც...

– არა, არა... შენ მანქანაში დამიცადე. მანქანას გაძარცვავს ვინცხა ამაღამ.

– რაია გასაძარცვავი... რაც წასაღები იყო, ქე წეიღეს.

– კარგად იყავი აპა, დაჯექი მანქანაში, წევედი!

შალიკომ მარჯვნივ ბილიკზე გადაუხვია და სიბნელეს შეერია.

●

ცხელი აგვისტოს ღამე დასავლეთიდან დაძრულმა ნიავმა ცოტათი მაინც შეაგრილა.

მანქანები მილაგ–მოლაგდნენ. ზოგი უკან დაბრუნდა. ზოგმა ახლომახლო სოფლებში გადაუხვია.

ჰორიზონტზე შავად შესუდრულ ხეებს შორის ჭურვების ელვა კანტი-კუნტად კრთოდა, ელვას მეყვსეულად ქუხილი მოსდევდა.

ზოგჯერ ავიაგამანადგურებელი გახაზავდა ცას.

კიჭომ სავარძელი გადასწია და დაძინება სცადა, მაგრამ რული არ მიეკარა.

მამალმა კარგა ხანია იყივლა.

შალიკო არ ჩანდა.

ოთხ საათს გადაშორებული იყო, ორმა ბიჭმა სახელდახ-ელო საკაცით რომ მოიყვანა შალიკო.

„ფეხშია დაჭრილი, ჩვენ სანიტარული ნაწილიდან ვართო, შევუხვიეთ, როგორც შევძელით ტყვია არ უნდა იყოს შიგ. მუხლს ქვევით რბილ ხორცზეა მოხვედრილი და გასულია, საშიში არ უნდა იყოსო, მაგრამ ქირურგის ხელი სასწრაფოდ სჭირდებაო. გორში ჰოსპიტალში მიყვანაზე თავი მოიკლაო, – ერთმანეთს არ აცლიდნენ ბიჭები.

როგორც იქნა გადმოსვეს მანქანაში.

შალიკო არ კვნესოდა.

„თქვენ აგაშენათ ღმერთმა, თქვენ რო არ ყოფილიყავით, დაცლილი ვიქნებოდი ახლა სისხლიდანო“... – პაუზებით, მძიმედ.. ლაპარაკობდა შალიკო – „მისამართი და სახელი მაინც მითხარითო“, ეხვეწებოდა.

შევხვდებით, შევხვდებით თუ გადავრჩითო, ბიჭებმა, საკაცე ხრამში მოისროლეს და ასფალტზე გატყაპუნდნენ.

კიჭოიამ მანქანა სურამისკენ მოაბრუნა.

– გტკივა?

– ვუძლებ.

– სად იყავი მაინც... რაფერ დაგჭრეს?

– ტყვიავში ჩევედი, ქალი რო ამბობდა, საქონელი დამრჩა დაბმული ბოგაზეო.

– მივხვდი მაშინვე, მაგ საქმეზე რომ მიდიოდი, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

– ვერ მევისვენებდი. გადევირეოდი ამეღამ, მე ვთქვი, გინდა ასე გამხეთქია გული და გინდა ისე-თქვა. რავარი საქმეა დაბმული საქონელი, კიჭოია.

– მერე?

– მოვძებნე რავარც იქნა, პავლიაშვილების სახლი... შევიპარე ეზოში. ახლოს კაციშვილი არ იყო... საქონელი ბღაოდა... აქა-იქ სახლები იწვოდა, მარა მაგ ქალის სახლი გადარჩენილი იყო. ოვუშვი ძროხები, ქათმები, ღორები, რაც ყავდა ერთი სიტყვით. ძაღლი იქვე იყო, მარა არ დამიყეფა, მიხვდა, რო არ ვიყავი გლახა საქმეზე მისული, მოკლეთ გადავრეკე უკან, ბაღში ეს საყოლი ყველაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი და უკანგამობრუნებულზე შემამჩნია ვინცხამ, მე მგონია, სნაიპერმა მესროლა...

– რა ხდება მაინც... რავა შეატყვე...

– მტრისას, რაც იქ ხდება კიჭოია. მეორეთ მოსვლაა ნამდვილი. ძარცვავენ სახლებს და ცეცხლს უკიდებენ. მიტოვებულ სახლებთან დგანან ოსების ბარტავოი მაშინები და ეზიდებიან ყველაფერს, რაც უშოვია საწყალ კაცს.

– რუსები?

– არც რუსები აკლებენ ხელს.

– კაი ახლა... მერე ვილაპარაკოთ... სისხლდენა ხვარ გაქ, ზესტაფონში რო შევიაროთ?

– არ მინდა, არა. ქუთაისში ჩამიყვანე და სამხედრო ჰოსპიტალში მიმიყვანე პირდაპირ. იქ მორიგე ქირურგები

იქნებიან, მერე ჩემთან შეიარე. უთხარი ჩემ ცოლს, გულნაზის არ გააგებიოს, იმას თავისი ყოფნის...

– რავა?

– ჩემი სიძე გამეიძახეს რვაში და ვინ იცის რავაა.

– ჰო... კაი ახლა... დაწყნარდი... ყველაფერი კარგად იქნება. კიდო კაი ასე რო გადარჩი.

– რათ მინდა, კიჭოია, ამნაირი გადარჩენა თუ დეიქცა ქვეყანა, რა ვნახე მაინც დღეს... არ ვიყავი იმ გზაზე ნამყოფი... გათავებულა ე საქართველო და რაის პრეზიდენტია ეს ოჯახაშენებული.

– მაგი მართლაც ოჯახაშენებულია... შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. არ უნდა შენი ლოცვა... თვითონ რა უჭირს, ჩვენ დაგვაქცია და დაგვანელა თვარა...

●

კუნაპეტი ღამე დასწოლოდა უღელტეხილს.

ათასში ერთხელ შემხვედრი მანქანა თუ ამოანათებდა ხეთა კენწეროებს.

როცა შემხვედრი ამოივაკებდა, შუქს ჩააქრობდა და წინა მანქანის შუქზე მოდიოდა, მერე აქედან მომავალი ჩაიქრობდა და ახლა თვითონ კეცავდა გზას შემხვედრის სინათლეზე.

ჟიგულში ორნი ისხდნენ.

კიჭოია დროდადრო გადახედავდა სავარძელზე გადაწოლილ დაჭრილს.

– შალიკო.

– ჰო.

– გტკივა?

– კი.

– გული ხვარ გერევა?

– არა, ნუ გეშინია, ისე ხმა გემეცი ხანდახან, არ გევიპარო ძილში.

– ნუ გეშინია, არ გეიპარები, შორაპანი გევიარეთ. მალე ჩავალთ.

მანქანის „ტორპედოში“ ჩაჭედილი საათი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მაგრამ დროს მაინც ვერ ეწეოდა. დღე-ღამეში საათნახევრით უკან რჩებოდა და საათზე სამუდამოდ ხელ-ჩაქნეული პატრონი მას უკვე აღარც ასწორებდა.

ამ უბრალო მიზეზის გამო კიჭოია ხვადაგიანმა აღარ იცოდა, მისი საათი, რომელი წლის რა დროს უჩვენებდა.

7 თებერვალი, 2009.
თბილისი.

პრეზიდენტის დამხობის ოსტატები

მე, გითხრა სიმართლე, ახალი ვარ ამ საქმეში.

თბილისში ჭიჭია კვარაკვახიძემ ჩამომიყვანა.

თბილისში ნამყოფი რავა არ ვიყავი, მარა ამ საქმეზე – არა.

ჭიჭიას, რომ იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი პრეზიდენ-ტების გადმოგდებაში.

ორი პრეზიდენტი ნაღდათ ჰყავს დამხობილი და ახლა მესამეზე მუშაობს.

ამ მესამეზე, ქე იცით, ცოტა არ იყოს, ხელი მოგვეცარა.

უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა ე ოჯახქორი, ვიდრე ჩანდაო, ამბობს ჭიჭია, მარა იმედს არ კარგავს.

მოკლედ რო გითხრა, ოცდასამ აპრილს, ხუთშაბათს ჩამე-ვედით და პირდაპირ რუსთაველზე, შტაბში გამოვცხადდით.

ცხრას აღარაფერი აკლდა. ღრუბლიან–სუსხიანი დღე იყო, რავარც თბილისმა იცის.

ამ დროს ჩვენთან ტყემლის ყვავილობა გათავებულია.

თბილისში კი, ეს რა ვნახე, გაზაფხული თურმე მაისის ბოლოს იწყება.

სამ მეხანძრისკურტკიან ბიჭს მაგიდაზე ფეხშეწყობილებს ეძინა. თავები უკან გადაედოთ და ერთმანეთში თითებშეყო-ფილი ხელები მუცლებზე ეწყოთ.

ქუთაისიდან გახლავართო, სამი გამღვიძებელი დახ-ველების მერე აუწყა მასპინძლებს ჭიჭიამ.

გისმენთო, ერთმა.

თავები, რომ არ მოგატყუო, არ აუწევიათ.

ჩანდა, დაღლილები იყვნენ.

ჩვენ თვითონ გისმენთო, ჭიჭიამ.

ამ საქმეზე ვართ ჩამოსული და რა გავაკეთოთ, რავა იქნება ჩვენი საქმე, საით ვქნათ პირი, რას დაგვავალებთო.

გამომდგარი რო იქნება კაცი. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება. მარტო რო ვყოფილიყავი, ჯერ ერთი ვერ გავბედავდი ამგენის გაღვიძებას და მეორეც... დევიწყებდი ლულლულს და მიდებ–მოდებას, რავარც ვიცი საერთოდ.

მე, ჭიჭია ვარ კვარაკვახიძეო, მეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა ჭიჭიამ.

სამეულმა ერთმანეთს შეხედა. ცნობით, რასაკვირველია, ვერ იცვნეს. (რევოლუციის საქმეში ან ეგენი იყვნენ ძალიან ახლები, ან ჭიჭია იყო ძალიან ძველი), მაგრამ სამივემ მოიბოდიშა, გვაპატიეთ, გამოცვლილხართ და ვერ გიცანითო.

ეს კაცი იუზა სანდუხაძეა, ჩემი მეზობელი, ჩვენნაირათ მომართული კაციაო, გააცნო ჩემი თავი ჭიჭიამ მთავარბანაკის მორიგეებს, რომლებიც, როგორც შევატყვე, არც ჭიჭიას იცნობდნენ და მე – მითუმეტეს.

„მომართულს“ ფიქრით გავეკიდე. რა ჩემი საქმე იყო ჯანყობია და მიტინგობია. როის იყო პრეზიდენტებს ჭიჭიასავით ქვით რო დავსდევდი, მარა გაცხარებული ცხვარივით მომივიდა.

მეტის მოთმენა ველარ შევძელი,

საპნის ფაბრიკაში ვმუშაობდი, მაქანა, გოჭოურაზე. ორ საპონს და ას ლარს მაძლევდნენ თვეში.

ერთ უბედურ დღეს გამოგვიცხადეს: დეიხურა ფაბრიკა, წაით სახლებშიო.

ვინ დახურა, ასე რანაირათ, სა წევიდეთ, რა ვაჭამო სამ ბაღანას-მეთქი?

შენ ჭურში ხვარ გძინავსო, მიპასუხეს, საპნის ფაბრიკა კი არა, ავტოზავოდი, აბრეშუმკობინატი და სტეკლოტარა დახურეს ამგენმაო.

კი მარა, ე სამი ბოვში რო შიმშილით მომიკვდეს, ვის მოვთხოვო პასუხი-მეთქი.

ვის და სააკაშვილსო.

აი, ეს იყო სულ ჩემი გადარევის მიზეზი.

წელიწადი ვითმინე, მივდექ–მოვდექი, მარა რამდენი ჩემნაირი დაბორიალობს და დეისაწყლება ქუთაისში.

სადაა საქმე, სადაა სამუშაო... ამევიდა ყელში ამდენი ტყუილი... ტელევიზორში ტყუილი, პარლამენტში ტყუილი, საკრებულოში ტყუილი, მერიაში ტყუილი...

ველარ გოვუძელი და გამოვყევი ჭიჭიას პრეზიდენტის გადმოსაგდებად.

რუსთაველზე ცელოფანშემოკრული, ახალთახალი მშვენიერი საკანი დაგვიდგეს მე და ჭიჭიას.

ორფა ლეიბები ზედ ასფალტზე დაგვიწყვეს და კარავს „დომსვიაზის“ მხარეს დიდი, წითელი ასოებით დააწერეს „19“.

მთელი ღამის ნამგზავრები მივეყარეთ და ქე მიგვძინებოდა.

შუადღისას დინამიკების ღრიალმა წამოგვყარა. ზედ ჩვენი კარვის გვერდზე დაეღო პირი „გამაძლიერებელს“ და რუსთაველს აყრუებდა.

ჭიჭია რადიო–მანქანასთან მივიდა.

რადიოს თხაწვერა ბიჭმა ყური პირთან მიუტანა.

– დოუწიე ცოტა, – თხოვა ჭიჭიამ.

– ვერ გავიგე? – ყურის მიკროფონი მოიხსნა თხაწვერამ.

– დოუწიე ცოტა, ღმერთი არ გწამს? – შეევედრა ჭიჭია.

– ბატონო, თქვენ ხომ თქვენს საქმეს აკეთებთ, ასე ვაკეთებ მე ჩემ საქმეს, – აუხსნა დინამიკების „სპეციალისტმა“.

– ცოტა რო დოუწიო, რა იქნება, ხალხი ვართ აქანა, დაგვისკდა ყურები, –შერბილებული კატეგორიულობით უთხრა ჭიჭიამ.

თხაწვერამ თავი დაუქნია და ზურგი შეაქცია.

დინამიკებს კი ხმა თუ მოუმატა, თორემ მოკლებით ნამდვილად არ მოუკლია.

ყოველდღე ორიდან გვიან საღამომდე გრიალებდა მიტ-ინგი.

ზღვა ხალხი იდგა რუსთაველზე.

ჩვენი მომარაგების საქმე ასეთი იყო: თავიდან დღეში ორჯერ მოქონდათ „სუხოი პაიოკი“ (პური, იაფიანი ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი ვაშლი...) და ათი ლარი ფულათ ფული თითო კაცზე. მერე და მერე დღეში ერთხელ დეიწყეს „სუხოი პაიოკის“ მოტანა და ბოლოს მთლად შეგვიწყვიტეს. ათ ლარს გვირიგებდნენ და უნდა გვყოფნოდა.

გაგვქონდა თავი, რავარცხა იყო.

ჯერ ერთი საკნებში ხალხი რო შეთხელდა (ჩვენს გას-წვრივ ექვსი საკანი ცარიელი იყო), ფულის დამრიგებლებს არ ვუმხელდით: „ახლა აქ იყო, ალბათ „პერერივზე“ გევიდა, დაგვიტოვეთ და ჩვენ გადავცემთ“, – ვეუბნებოდით ფულის დამრიგებელს. ტყუვდებოდნენ თუ თავს იტყუებდნენ, ქე გვიტოვებდნენ ხანდახან სამი–ოთხი საკნის ფულს და მეტი არც გვინდოდა. საჭმელი თავს არ გადაგვდიოდა, მარა არც საწუწუნოდ გვქონდა საქმე.

ო, რა ცეცხლს ანთებდნენ ჩვენი „ლიდერები“.

ტყუილია, ჩვენ რომ მიტინგის საქმე ვიცით, ვერავინ დედამიწაზე ვერ შეგვედრება.

ისე ომახიანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, რომ მინდოდა მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალე. ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უეჭველად გადადგება. მეშინია, თავი არ მოიკლას–მეთქი.

რვაზე მიტინგი რო შეწყდებოდა და ყურები დაისვენებდა, სულს მოვითქვამდით.

მიტინგის მერე იწყებოდა დიდი სახალხო სეირნობა:

„გამარჯვებული ხალხი“ სეირნობდა რუსთაველზე.

იყო ერთი სემიჩკ-ნაყინობია და ჩურჩხელა-კამფეტობია.

ვინ იცის, რა ხნის უნახავები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდი: „ეს ერთი კაი მაინც გააკეთა გადარეულმა სააკაშვილმა, შენს თავს შემახვედრაო“.

მისალმება-მოკითხვის მერე ჩასაკნებულებს ჩამოგვივლიდნენ.

ისე გვათვალიერებდნენ, როგორც გალიის ლომებს: შიშით და აღტაცებით.

ხალხის თვალში ჭეშმარიტ გმირებად ვჩანდით.

გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, მარა ჩვენ გვერდით ცარიელ საკნებში ღამის გათევაზე თავს იკავებდნენ.

„ცნობადი სახეები“ (ეს ტერმინი აქანა ვისწავლე) გამოჩნდებოდნენ ხანდახან. უკან ტელეგოგუები და აპარატიანი ბიჭები მოჰყვებოდნენ. ჩვენ ბოდიშის მოხდით საკნიდან გამოგვიყვანდნენ. თვითონ შევიდოდნენ, სააკაშვილის მიმართ გუშინ ნათქვამ წყევლა–კრულვას ერთ–ორ წყევლა–კრულვას მიუმატებდნენ და წავიდოდნენ.

ერთი თვის მერე მიტინგები შეთხელდა, მარა შეთხელებული ადგილები საკნებით შეავსეს.

თბილისის ცენტრი საკნებით გეივსო.

ან საკანს სად ამზადებდნენ ასე თათარიახნად ან ამდენ ცელოფანს სად შოულობდნენ.

ღამის თორმეტი საათის მერე საკნების ახლომახლო ლოთები და ბოზები დაჩნდებოდენ. დაბარებულებივით მიადგებოდნენ იმ საკნებს, ვისაც სად ელოდებოდნენ.

მე და ჭიჭია თავს მევიმძინარებდით და პირველ ხანებში ვიგერიებდით „დოუპატიჟებელ სტუმრებს“, მარა მერედა-მერე კაცები ვართ და ქე გევიარეთ ღამის გოგუებში (რომელი ცარიელი საკნები არ იყო ირგვლივ, ან ხელს შეგიშლიდა ვინმე). ერთი მაინც იმნაირი ლამაზი იყო და ისე საყვარლად სუნთქავდა (რავარც ახალნამშობიარევი უშობელი), რო მევიძვრე ი დასაწვავი რეზინა და მევისროლე – რად მინდა,

გოგო, შენთან პრეზერვატივი, ღორის გრიპიც რო დემემარ-თოს შენგან, არ ვინაღვლებ, იმნაირი კაი ხარ-მეთქი. მე შენი მეშინია, თვარა ჩემი იმედი გქონდესო, ერთი თვე არ იქნება, რაც ეს საქმე დევიწყეო... რა მოსაყოლი ეს იყო, მარა კაცები ვართ და ყველაფერი ხდება-თქვა, ზეით გითხარი. მართლაც, აშენდა მისი ოჯახი, სუფთა გოგო აღმოჩნდა.

ორი თვე რო გევიდა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით მეც და ჭიჭიაც.

„რაცხა არ გამოდის ისთე, რავარც გვქონდა ჩაფიქრე-ბულიო“, ამოიხვნეშებდა ხანდახან, „ბოლო პრეზიდენტის ჩამოგდებაზე სად იყო კარვობია და საკნობია, ორ დღეში გათავდა ყველაფერიო“.

„კი მარა, ჩვენ აქანა საკნებში გვძინავს და ის რაფერ გა-დადგება იქანა-მეთქი“, ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

„გადადგება, გადადგება, შენ ასწავლი ხაინდრავას? მეტი კი არაფერი უკეთებია. ჩვენდენი ცოდნა ერთ „ნეკა თითში აქვსო“, მეტყოდა ჭიჭია და „დამამშვიდებდა“, თუმცა ბოლო დღეებში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ხაინდრავას (ან სხვა ნებისმიერ ლიდერს) ჩვენზე მეტი ჭკუა ცალ ნეკა თითში ეტეოდა.

ჭიჭიას მობილური ჰქონდა და ათ დღეში ერთხელ მარეკიებდა ცოლთან.

ჩამოვწერე ნათესავ-ნაცნობების სახელები და ვაგზავნიდი ფულის სასესხებლად. რამეფრად გეიტანეთ თავი ნასესხები ფულით, ბევრი აღარ დარჩა, მალე გავათავებთ ამ საქმეს და ჩამოვალ გამარჯვებული-მეთქი, ვაიმედებდი თანამე-ცხედრეს.

ბოლო დარეკვები სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ყურმილში გააფთრებული ცოლის ღრიალი კი არა, ხრიალი მესმოდა: „არ ჩამოგიყვანა გამჩენმა მაქიდან! შე უსაქმურო, შე სალახანა! ეს ბოვშები ჩემია მარტო?! პოლიციაში უნდა

მივიდე ხვალ და პატრულს უნდა ჩამოვათრევიო შენი თავი! გაკოჭვის ღირსი ხართ ორივე, შენ და მაგ ლოთი ჭიჭია!“

„ქალო, მე საქმე მაქ აქანა, კი არ ვგლახაობ, მიხარია ორი თვე საკანში ჯდომა?!“ – ვიყვირებდი ჩემდათავად, მაგრამ ცოლი ყურმილს გაცილებით უფრო ადრე დაახეთქებდა და ჩემი საბუთიანი მიზეზი, როგორც ჩანს, არ ესმოდა.

ჩემი გამობრძმედილი თანამებრძოლი – ჭიჭიაც ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან.

რაც ოპოზიციის ბელადებზე გული გაუტყდა, ჭიჭია გულჩათხრობილი გახდა და, ვიღას დავუმალო, სმას მიეძალა.

წავიდოდა, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, რაკი მე „საბუტილნიკად“ ვერ გამოვადგებოდი (არაყს არ ვსვამ). ამოიღლიავებდა და სხვა საკანს მიადგებოდა.

ნაშუაღამევს ბრუნდებოდა მთვრალი. მიეგდებოდა და დილამდე თავდაღმა ეძინა.

ლოთები საერთოდ დილით ადრე დგებიან და სერიოზული სახეებით გარბიან თავიანთ ლოთურ საქმეებზე.

18 ივლისს რყევამ „გამომაძღვიძა“. წამოვხტი. ჭიჭია წასულია „პახმელიაზე“ გამოსასვლელად.

გამოვვარდი გარეთ.

ჩვენს საკანს ოთხი გადაუცმელი პატრული დატაკებია და ეჯაჯგურება.

გულმა რეჩხი მიყო.

აქამდე სულ გადაცმული პატრული ჩანდა ჩვენს სიახლოვეს და ახლა რაკი ასე ღიად მოგვვარდნენ, რაღაცაშია საქმე-მეთქი.

ამასობაში ამოაძვრეს ასფალტზე „პოლის“ ლურსმნებით ჩამაგრებული ჩემი საკანი და პირველი გიმნაზიის ჩასახვევისკენ მიახრიგინებენ.

მივიხედ-მევიხედე, ასეთ დღეშია სხვა საკნებიც.

რა წყალს ვეცე.

ჭიჭია მაინც ეგდოს აქანა. მე მევერევი პატრულს?

რას შობით! სა მიგაქვთ ე საკანი! ვინ მოგცათ ნება! ჩვენ მშვიდობიანი მესაკნეები ვართ-მეთქი, ვიყვირე მეც, რავარც სხვები ყვიროდნენ.

უნდა გადავწიოთო, მიპასუხეს.

რატო უნდა გადაწიოთ, გლახათ იდგა აქანა–მეთქი?

სტუმარი ჩამოდის და თვალში მოხვდებაო.

მეიცათ, მეიცათ! ეს საკანი ჩემი კარაა, რა პასუხი გავცე, ვინც ჩაგვაბარა, ვინც დაგვიდგა–მეთქი.

ჩვენთან გამოუშვიო.

კი მარა ასე გესმით, ბიჭო, თქვენ დემოკრატია? არ გრცხვენიათ–მეთქი? ვეცადე ნამუსში ჩამეგდო პატრული.

ჩვენ ასე გვიბრძანეს, თვარა კი არ გვეხალისება ამ სიცხეში თქვენი ჭუჭყიანი ლეიბების თრევაო.

რო წავა სტუმარი, ისევ დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილზე–მეთქი? წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

წადი, წადი, ბიძია, საქმე ნახეო.

რას ჰქვია საქმე ვნახო, აპა, რას ვაკეთებ აქანა სამი თვეა–მეთქი, ვითომ თავი მევისაწყლე.

შენ ლოთიანად, კრუხის თავი ხომ არ გიჭამია. ჩაგსვამ ახლა მანქანაში და გაწრუწუნებ თაგვივით განყოფილებაში. ერთ–ორ გემოიან ჟაჟს გამოგიწერ და გახეხიებ 30 დღეს პარაშკასო, დამემუქრა მხარბეჭიანი პატრული და თვალებში ეტყობოდა, რაც თქვა, იმის გამკეთებელი იყო.

მოვშორდი.

რა მექნა?

თავს ზეით ძალა არ იყო.

... იმ საღამოსვე მე და ჭიჭია ქუთაისში დავბრუნდით.

ჰო, დამავიწყდა: წამოსვლის დროს შტაბში შევიარეთ იღბლად, იმ სამიდან ერთი, ბობრი მორიგე დაგვხვდა.

ახლა ასთეა საჭიროვო. ასეთი ტაქტიკა და სტრატეგია შევიმუშავეთო. სექტემბერში ისევ დაგიძახებთო.

ჭიჭიასი არ ვიცი და მე, ჩემდათავად, აქეთ ამ საქმეზე პირს აღარ ვიზამ.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, არც ეგენი არიან დამძახებლები, ისე შევატყვე ლაპარაკში.

აგვისტო, 2009,
თბილისი.

ფერხული „ფარცაკუკუ“

ავტობუსი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა. ზღვა ჩვეულებრივ ზღვაზე უფრო ლურჯი იყო. ნაპირს ღია ლილისფერი დაჰკრავდა. რაც აეროპორტს გამოშორდნენ, სანაპირო კოხტად, სიმეტრიულად დალაგებული ქოლგა-შეზლონგებით იყო სავსე, მაგრამ არც ერთი დამსვენებელი არ ჩანდა.

სასტუმრო „ფედრასთან“ ავტობუსის მძღოლმა კაცს ლურჯი გორგოლაჭებიანი ჩემოდანი ტროტუარზე დაუდო, ხელი დაუქნია და შეკაბინავდა.

საგაზეთო ჯიხურის პირდაპირ, ქვაფენილზე მაყვლისფერი ძაღლი იწვა. წინა ფეხები სანიაღვრე არხში ჩაეკიდა, თავი უყვავილო ქოთანზე ჩამოეყრდნო და ფიქრიან მზერას მანქანებს აყოლებდა.

ჩვენთან ერთკაციანი ნომრები 50 ევრო ღირსო, სასტუმროს მენეჯრმა. ამ ფასში საუზმეც შედისო. მაცივარი და ტელევიზორი უფასოა, საქალაქთაშორისო ზარისთვის თქვენ უნდა გადაიხადოთო.

მაგიდაზე პასპორტი დაუგდო, გასაღები გამოართვა და 405 ნომერში ლიფტით ავიდა. ჩემოდნიდან ყველაფერი ამოალაგა, კარადაში მხოლოდ სამი მკლავსაკიდი იყო. შარვლების ჩამოსაკიდი არსად ჩანდა. „შარვალს რაზე კიდებენ ეს კვდარძაღლებიო“, გაიფიქრა. ნომერს ვიწრო აივანი ჰქონდა, აივანს რომ მიადგა, მაშინღა შენიშნა, რომ მისი ნომრიდან ზღვა არ ჩანდა, არა და იგი სულ ახლოს იყო, სამი სახლის მიღმა. ნომერი გამოიკეტა და ქვევით ჩალიფტდა.

ადმინისტრატორი ტანდაბალი, როხროხა ბერძენი, თითქოს ელოდა, სანამ კაცი პირს გააღებდა, ალაპარაკდა:

– ზღვა ჩვენი სასტუმროს მეშვიდე სართულიდან ჩანს. თქვენ არ გითქვამთ, რომ ზღვისხედიანი ნომერი გნებავთ. შემიძლია ნომერი შეგიცვალოთ, მაგრამ მეშვიდეზე ანალოგიური ნომერი ათი ევროთი მეტი დაგიჯდებათ.

რა გაეწყობა, სტუმარმა მესასტუმროეს 705 ნომრის გასაღები გამოართვა და დიდხანს, არასასიამოვნო ბუტბუტით, ცალ-ცალკე აჰქონდა ბარგი მეშვიდე სართულზე. ფეხით იმიტომ აჰქონდა, რომ ლიფტს ერთხელ გამოუძახა, ჩემოდანი შედო და ჩანთისკენ რომ დაიხარა, ლიფტის კარი დაიკეტა და მისი ჩემოდანი კარგა ხანს დაჰქონდა ლიფტს სართულიდან სართულზე, სანამ, როგორც იქნა, არ დაიჭირა და ელვის სისწრაფით არ აართვა ეშმაკის მანქანას თავისი ქონება.

ზომაზე ორჯერ უფრო გრძელი პირსახოცი და ლილოს ბაზრობაზე შეძენილი ნეილონის საბანაო ტრუსი „ელიტელექტრონიქსის“ პარკში ჩატენა და ზღვისკენ დაეშვა.

პლაჟი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაუკაცრიელებულიყო. ზღვა მიტოვებულს ჰგავდა. ქარისგან აფოფრილი, ტალღებშემღვრეული ზღვა უსიამოვნოდ ეჩვენა.

– ქარი ხშირად ქრის ხოლმე როდოსში? – ჰკითხა სასტუმროს კარისკაცს.

– ყოველთვის, – მიიღო პასუხად – ამ ნაპირზე ზღვა ყოველთვის ღელავს. წყნარი ზღვა თუ გნებავთ, ნავსადგურისკენ უნდა წახვიდეთ. როდოსის კოლოსთან წყალი სარკესავითაა. ეგ არის, რომ იქამდის ტაქსს 5 ევრო უნდა.

– კი მაგრამ, რას ელოდება აქ ჩამომხტარი დამსვენებელი?

– არაფერს, აქ მხოლოდ ის ისვენებს, ვინც არ იცის, რომ როდოსის პლაჟი სწორედ კოლოსთან არსებობს. აქ ზღვაში თითქმის არ ბანაობენ, შეზლონგებზე წვანან და მზეს ეფიცხებიან.

აივანზე სველი ტრუსის გასაკიდი რომ ვერსად იპოვა, სართულის მორიგეს სთხოვა, იქნებ პატარა თოკის ნაჭერი გქონდეთ, რომ აივანზე გავაბაო.

ეგ ჩვენი სასტუმროს მუდმივი პრობლემაა, სამწუხაროდ, ვერაფერში დაგეხმარებითო, მორიგემ.

„ფედრაზე“ გულაყრილი ქუჩაში გამოვიდა და სასტუმროებს ჩამოუარა. „მარათონში“ და „აგლაში“ ნომრებს ცეცხლი ეკიდა. ერთადგილიანებს 100 ევროზე ნაკლებად ვერ იშოვიდი. სასტუმრო „აფრიკის“ დიასახლისმა, ლამაზმა, შავგვრემანმა, კოხტა ქალმა ღიმილი შეაფრქვია და მეორე სართულზე ფართო, ბაწრიანაივნიანი ნომერი 35 ევროდ შესთავაზა.

ახლავე გადმოვდივარო, კაცმა. „ფედრას“ ადმინისტრატორი კარებში დახვდა. პასპორტითა და 60 ევროს ქვითრით ხელში. ვიცი, გადასვლას აპირებთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ 60 ევროს გადახდა მოგიწევთ.

კი მაგრამ, მე ხომ ერთი საათიც არ დამიხანებია თქვენს სასტუმროში, რაში მახდევინებთ 60 ევროსო, კაცმა.

მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ კომპიუტერში დაფიქსირებული ბრძანდებით, როგორც ჩვენი სასტუმროს 705 ნომრის მცხოვრები. კომპიუტერს კი ხუმრობა არ უყვარსო, მასპინძელმა.

გადაიხადა 60 ევრო, შეკრა თავისი ბარგი – ბარხანა და „აფრიკაში“ №203 ფართოაივნიან ნომერში დაიდო ბინა.

შარვლების დასაკიდი არც „აფრიკაში“ იყო, მაგრამ ხედის თვალსაზრისით ეს ნომერი გაცილებით უკეთესი გახლდათ.

აივნიდან შორს მთებიანი კუნძული და ზღვაში მონანავე თეთრაფრიანი ნავი ჩანდა.

ნამგზავრსა და სასტუმროში ბატალიებგადახდილს მოშივებოდა. ზღვის ნაპირას ბამბუკის ტავერნას მიაკითხა და „პიცა“ შეუკვეთა.

მესამეჯერ რომ შეახსენა ოფიციანტს, ხომ ვერ მეტყვით, ჩემი პიცა რატომ იგვიანებსო, იმის შემდეგ სულ ცოტა 40 წუთში მოპიცარდა მიმტანი.

პიცას ჩალის გემო ჰქონდა, ფასი კი ასატანზე უფრო ძვირი – 11 ევრო გადაახდევინეს.

რას იზამდა, ჩალა – პიცას ორი ნაჭერი ჩამოაჭრა, უგემურად გაღეჭა, ოფიციანტს ოცევროიანი დაუგდო და ხურდას კარგა ხანს ელოდა.

უკან დაბრუნებული, ტავერნისგან სულ რაღაც ასიოდე მეტრში წააწყდა ნამდვილ „პიცერიას“. „პიცა – 3 ევრო“ იუწყებოდა რეკლამა. შევიდა. სამევროიანი პიცა თერთმეტევროიანზე გაცილებით უფრო გემრიელი და მსუყე გახლდათ.

ნასადილევს ქალაქში იხეტიალა, მაგრამ ვერაფრით გაერთო. მაღაზიები საერთოდ არ უყვარდა, ერთხანს აკვარიუმთან შეჩერდა, მაგრამ იქაც მალე მოსწყინდა. მოეჩვენა, რომ უშველებელი ოქროსფერფარფლიანი თევზები მომაბეზრებლად ერთფეროვნად, უაზროდ დაცურავდნენ აკვარიუმის ერთი კუთხიდან მეორეში და, რაც ყველაზე გულსაკლავი იყო, ზოოპარკის მაიმუნებისგან განსხვავებით, შემოჯარულ მაყურებელს თევზები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

სიყრმიდანვე დახშული სივრცის ავადმყოფობა აწუხებდა და დაწოლისას კარ-ფანჯარა გულუხვად, ბოლომდე გამოაღო. ოთახში ერთბაშად შემოიჭრა გიგანტური ავტობუსების, ხმამხშობმოშლილი მოტოციკლეტებისა და სირენებიანი სახანძრო მანქანების ყურისგამგლეჯი ხმაური.

მიხვდა, რაც ჭირდა და რატომ უღიმოდა სასტუმროს დიასახლისი ასე საყვარლად.

ხალათი მოისხა და „აფრიკის“ ადმინისტრატორს ცხრა ბოდიშის მოხდით ძლივს გაგებინა 203-ში დაძინება არ შეიძ-

ლება, არ მინდა, ბატონო, ზღვის ხედი და ქუჩის მხარე, იქნებ „მშვიდი“ ნომერი გამომიძებნოთო.

ერთადერთი 207 ნომერი მაქვს თავისუფალი, ა, გეთაყვა, გასაღები და გადაბრძანდითო, შეჰღიმილა დიასახლისმა.

სანამ გადავიდოდა, ოთახი გულდასმით დაათვალიერა. ფანჯრები ეზოს მხარეს გადიოდა და ძრავების კი არა, სახანძრო მანქანათა სირენების ხმაც ვერ შემოაღწევდა.

გავკეთდი კაციო, გაიფიქრა და არავინ შემასწროსო, უწაუწა გადაბარგდა 207-ში.

გრუხუნი აბაზანაშივე მოესმა. პირსახოცმოხურული ფანჯარას მივარდა და თქვენს მტერს, რაც დაინახა. ზუსტად 207-ის პიდაპირ სამრეცხაო ჩანდა და ყურისწამლეკი გრუხუნიც იქედან მოდიოდა.

მკვდარ-ცოცხალი ჩაუვარდა ადმინისტრატორს. იქნებ ისევ უკან 203-ში დამაბრუნოო.

რა გიყო, გენაცვალე, კოხტა ადმინისტრატორმა. ეს ქალაქია, რობინზონის კუნძული არ გახლავთო. სანამ როდოსში ჩამობრძანდებოდით, რა ჩემი საქმეა, მაგრამ იქნებ თბილისში ნევროპათოლოგთან მისულიყავითო. 203 ეს ესაა გავეცი, თორემ სიამოვნებით დაგაბრუნებდითო.

მთელი ღამე ერთადერთ მრავალსერიან სიზმარს ხედავდა: უზარმაზარ ტრაქტორზე იჯდა და ტაიგაში გზა გაჰყავდა, ერთიმეორის მიყოლებით წვებოდნენ ტრაქტორის დაჯახებისას ასწლოვანი ფიჭვები, გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ დამფრთხალი დათვები, მგლები და თრითინები.

დილით, სასაუზმეში შვედური მაგიდის რიგში მდგარი, ერთმა ამბავმა გაახალისა: კერძების გასწვრივ, მოაჯირთან ჟღალწვეროსანი, შავფრაკიანი, დაბალი და წვრილთვალა კაცი იდგა და სტუმრებს უცნაურ კითხვებს უსვამდა. ასე მაგალითად, პურზე ეკითხებოდა, ეს ყველიაო? ვინიგრეტზე –

ეს მურაბაა? კატლეტზე – ეს ტკბილი ნამცხვარიაო? იმდენად დამაჯერებელი ინტონაცია ჰქონდა შავფრაკოსანს, რომ სტუმრები თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდნენ, აეხსნათ გულუბრყვილო შემკითხველისათვის, რომ პური ნამდვილად პური იყო და ყველთან საერთო არა ჰქონდა რა, ხოლო ვინიგრეტი თავისი გემოთი და შემადგენლობით რადიკალურად განსხვავდებოდა მურაბისაგან.

კაცმა ყავა ფრაკიანის მაგიდასთან დაიდგა და, როცა თანამესუფრემ ჰკითხა, თქვენც გიყვართ გრეიფრუტის წვენიო? ღიმილით მიუგო, ეს გრეიფრუტის წვენი არ არის, ფორთოხლის წვენია, გრეიფრუტის წვენი, სამწუხაროდ, გათავდა, ისე, თქვენ სწორად მიხვდით, მე გრეიფრუტის წვენი მიყვარსო.

მერე თვალი ჩაუკრა ჟღალწვეროსანს და განდობილივით უჩურჩულა – თქვენ გენიოსი ხართ!

– რა ვქნა აბა. აქ თუ თავი არ გაირთე, შეიძლება მოწყენილობამ თვითმკვლელობამდე მიგიყვანოს, – იმ ყმაწვილის სიმორცხვით ჩაილაპარაკა თანამესუფრემ, ეშმაკობას რომ მიუხვდებიან – საიდან ხართ?

– თბილისიდან.

– როდოსში?

– პირველად.

– მეც პირველად ვარ.

– მოწყენილობაზე ბრძანებდით, ვერ ამიხსნია, რატომ სურს დედამიწის მცხოვრებთა უმეტესობას, ის ერთი, თავჩაღუნული შრომისგან თავისუფალი თვე, მაინცდამაინც სხვაგან გაატაროს. დავბერდი კაცი და ვერ გავიგე, რას ჰქვია „დასვენება“, რისგან ისვენებ, შენი თავისგან? აჰა, ვიზის წამებით აღების, სასტუმროს დაჯავშნის, აეროპორტში დამამცირებელი ჩხრეკის შემდეგ ჩამოხვედი. არა – შენი საწოლი, არა – შენი აბაზანა, არა – შენი ფოსტლები. ჩაიდე

ჯიბეში სასტუმროს გასაღები და ყეყეჩივით გამოხვედი ქუჩაში, სრულიად უცხო ქალაქში, უცხო გარემოში... რა არის ეს, რატომ ჩაიგდე თავი ამ თონეში? ნეტავი, თუა ვინმე ისეთი, რომ ასეთ იდიოტურ გარემოში სიმშვიდე ეუფლება, მეორე დღეა ეკლებზე ვზივარ. სასტუმროდან სასტუმროში, ნომრიდან ნომერში გადავდივარ. შევიკალი ხელში სასტუმროს დიასახლისები.

– მეც ზუსტად თქვენნაირი ხასიათი მაქვს. საშინელებაა ეს... ეს... ეს ფხიზელი გონება, არ გასვენებს, არა. შეხედე სხვებს, რა მარტივები, რა ბედნიერები არიან, არ უქმნიან თავს ზედმეტ პრობლემებს და იმიტომ. ჰოდა, მეც ცოტა რომ გავხალისდე, გადავწყვიტე მათ ფერხულში ჩავდგე! ეს არც თუ ძნელი საქმეა, უბრალოდ ყველას, ვისაც მოვიხელთებ, გულუბრყვილო შეკითხვებს ვაძლევ, იქამდეც კი, რომ თუ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ვეკითხები – ვერ მეტყვით, რატომ არის დღეს ზღვა ასეთი მუქი? წარმოიდგინეთ, ვერავინ ვერაფერს ხვდება, ჯერ ეჭვის თვალით შემომხედავენ და რაკი ისეთი სერიოზული სახე მაქვს, (თანაც დებილს არ ვგავარ) მაშინვე მიწყებენ ახსნას, რომ ზღვას მუქი ფერი ადევს, როცა ცა ღრუბლიანია და ქარი ტალღებს ნაპირისკენ ერეკება. თუ ამ საუბარს სხვამ მოჰკრა ყური, ახლა ის ჩაურთავს თავის „ბრძნულ აზრს“ და ესეც შენი ადამიანთა ურთიერთობა. დამიჯერეთ, იმდენი თავსატეხი აწვება გონებას, რომ თუ ირონიის წვეთები არ შეაშველე, შეიძლება თავი გასკდეს და ტვინი ლავასავით გადმოიღვაროს...

ამ საუბარმა მოწყენილ კაცს, თითქოს და სული ამოუბრუნა, შიგნიდან შეანჯღრია, ავი ფიქრები ჩამოაბერტყა, თურმე, რა ცოტა სჭირდება გუნებას გამოსაკეთებლად.

საუზმის შემდეგ ქუჩაში ისეირნა, მერე პლაჟზეც წავიდა, წყალი არც ისე ცივი ეჩვენა, მხარზე პირსახოცგადაკიდებუ-

ლი კიბეზე რომ ამოდიოდა, შუახანსგადაცილებულმა, ორმაგლინზიანსათვალოსანმა, ტანსრულმა ქალმა შეაჩერა:

– ბოდიში, ზღვა ისევ ცივია? – კაცს გაეცინა.

შორს, ლილისფერი ზღვის გაღმა, ნისლში მცურავი კლდოვან-მთოვანი კუნძული ფიორდებზე ნახათქუნევ გიგანტურ ხომალდს ჰგავდა.

12 თიბათვე, 2008.
როდოსი

რევოლუციური ჩანახატი

გაზაფხული ეპარება დედაქალაქს.

ჯერ ზამთრის სუსხი არ განელებულა, მაგრამ მამადავითის ფერდობებზე წინამასწარა ნუში ერთბაშად თეთრად გაპენტილა.

სხვა ხეები დათბობას ელიან.

შუადღისას, მზე რომ დააჭერს, გაუბედავად, ფრთხილად დაბერავენ კვირტებს, საღამოსკენ, როცა აცივდება, შეაჩერებენ კვირტვას.

დილით კვლავ ძლივსშესამჩნევად წაუმატებენ სინედლეს ტოტებს, იციან, ნასესხები წინ არის და ხეები ძველით მარტის მაცდურ სითბოს არ ენდობიან.

9 აპრილია.

უძალო მზე ღრუბლებიდან თავის დაღწევას ამაოდ ცდილობს, თუმცა არც ისე ცივა, რომ ქუჩაში დგომა გაუსაძლისი იყოს; მით უმეტეს ისეთი უწყინარი სურვილით ანთებული მოქალაქეებისთვის, როგორიც გახლავთ, არც მეტი არც ნაკლები, პრეზიდენტის გადაყენება.

სანამ დემონსტრანტები შეიკრიბებიან, პარლამენტის წინ, სახელდახელო ტრიბუნაზე სააკაშვილისთვის არც თუ სასიამოვნო ტრანსპარანტების ჩრდილში, რევოლუციის ლიდერები დგანან და რუსთაველის პროსპექტს გასცქერიან.

უნდა ვთქვა, რომ ლიდერებს ვითარებისთვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი, მოწყენილი სახეები აქვთ.

ორს აღარაფერი აკლია.

ლიდერები ბჭობენ:

– დიდებულია, ხომ ვამბობდი, რუსთაველის თეატრამდე დგას ხალხი!

– ჯერ რა არის, ორმოცდაათი ათასიც არ იქნება.

– რამდენია საჭირო?

– ასი მაინც უნდა იყოს.

– კარგ რევოლუციას, მე თუ მკითხავ, ასიც არ ეყოფა, ასოცი ათასი მაინც უნდა.

– ასით არ გამოვა?

– ახლა... ასითაც შეიძლება, მაგრამ ასოცით გარანტირებული ხარ, წინ ვერაფერი დაგიდგება.

– ასოცი მოგროვდეს და მერე მე ვიცი, – თქვა თმაჭაღარა, ბოხხმიანმა, ტყავისჯუბაჩიან, შალისჩაჩიანმა მეამბოხემ.

– რა განსხვავებაა, ვინ ითვლის, რასაც ასოციათასით გააკეთებ, ასი ათასით ვერ გააკეთებ?

– თუ დამიჯერებ ასეა, ბიძია. პირველად კი არა ვარ ამ საქმეში. რევოლუციებში ჭიპი მაქვს მოჭრილი, რომ იტყვიან: მესამე პრეზიდენტს ვამხობ.

რკინის საბუთი იყო.

ვერაფერს იტყოდი.

და კამათი ამით შეწყდა.

პრეზიდენტის გადამყენებელი მიტინგი დაიწყო.

მიტინგს მონატრებული საზოგადოება სასოებით შეჰყურებდა ტრიბუნა–ფიცარნაგს, რომელიც გამოსვლის მსურველთ ვერ იტევდა.

მიტინგის წამყვანი დროდადრო მიკროფონს გამორთავდა და ორატორებს აფრთხილებდა, – ჩაბრძანდით ძირს და მე თვითონ გამოგიძახებთო, მაგრამ მოქადაგე, დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ კონკრეტულად მისი სიტყვა დააჩქარებდა პრეზიდენტის გასტუმრებას, მიტინგის წამყვანს ბოლომდე არ ენდობოდა. ვაი თუ, დავავიწყდეო და ერჩივნა იქვე, მიკროფონთან ახლოს მდგარიყო.

ეგ კი არა, ტრიბუნას არც ისინი ტოვებდნენ, ვინც უკვე ტყორცნა ისტორიული სიტყვა დემონსტრანტებს. შთაგონებული სახეებით იდგნენ რევოლუციის ბელადთა შორის და

ამით პრეზიდენტის გადაგდების უეჭველობას დამაჯერებლობას მატებდნენ.

პარლამენტის წინ შეკრებილთა შორის ყოველი მესამე თუ არა, ყოველი მეოთხე მაინც, „ორგანოს“ გადაცმული თანამშრომელი იყო.

„თანამშრომლები“, აქაოდა უბრალო დემონსტრანტებად მიგვიჩნიონო, ზოგჯერ ისე ენერგიულად გაჰყვიროდნენ: „ძირს სააკაშვილიო“, რომ აშკარა იყო, დემონსტრანტთა ნებას ფარულ, გულში ღრმად შენახულ სურვილსაც უმატებდნენ და არც თუ უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი მდგომარეობით.

შიგნით, რკინის გისოსებს მიღმა ჩანდნენ კბილებიანად შეიარაღებული თავჩაფხუტჯიბეგაზისყუმბაროსანი სპეცრაზმელები და რისი ეშინოდათ, ამ ნოველის ავტორისთვის უცნობია.

მიტინგი გახურდა.

რა საბუთს არ მოუხმეს, რა შედარებას არ მიმართეს ორატორებმა. ზოგმა ტოტლებენის წინ ერეკლე მეფის დაჩოქება გაიხსენა, ზოგმა „გამზრდელი“ უხსენა ხელისუფალს, ერთმა, თუ ხვალამდე თავისი ნებით არ გადადგა, აი, აქ, სწორედ ამ მიკროფონთან, მის ორმეტრიან ცხედარს მოგიტანთო, ისე კატეგორიული პირობა მისცა მოქალაქეებს, რომ არაერთ გულუბრყვილოს მართალი ეგონა და შეეცოდა კიდეც ჩაუშესკუს ჰალსტუხით ტრიბუნასთან მოსვენებული ახალგაზრდა პრეზიდენტი.

ზოგი, თავის თავზე შეყვარებული ლიდერი, ისე გაერთობოდა ლამაზსიტყვაობით, რომ პრეზიდენტის გადადგომა ავიწყდებოდა კიდეც და დასასრულისკენ წასულს, მიტინგის წამყვანი რომ ჩასძახებდა: „და მაინც, ჩვენს პრეზიდენტს რა ვუყოთო?“, თითქოს გამოერკვაო, ომახიანად იყვირებდა: „რაც შეეხება ჩვენს პრეზიდენტს, რასაკვირველია, უნდა გადადგეს და თანაც დაუყოვნებლივ!“

ბოლოს სახალხო მთქმელებს და მუსიკალურ ფოლკლორს დაუთმეს ასპარეზი, ხოლო სიტყვით და შიმშილით (უფრო

შიმშილით) შეწუხებული რევოლუციის ლიდერები ხვალინ-დელი დღის წესრიგის შესამუშავებლად იქვე საველე სანაპო-ლეონო კარავში გათათბირდნენ.

– ესეც ასე...

– დღევანდელი დღე გადავაგორეთ.

– მე მაინც მგონია, რომ ცარიელი სიტყვებით არ წავა.

– ისე წავა, მზე მაღლა იქნება.

– არ წავა.

– შენ არ იცნობ მიშას. მიშა კურდღელია. ახლა, დარწ-მუნებული ვარ, ქვედა ტუჩი უკანკალებს.

– ხვალ რა ვქნათ?

– რა ლაპარაკი უნდა, დილიდანვე დავიწყოთ შტურმი!

– რა შტურმი, შენ ხომ არ გაგიჟდი.

– კონსტიტუციურ-დემოკრატიულ შტურმს ვგულისხმობ, შენ რა გეგონა!

– შტურმი გამორიცხულია, ჩვენ 2003 წლის 22 ნოემბრის შეცდომას ვერ გავიმეორებთ.

– სწორია, მიშას სიგიჟეში ვერ ავყვებით!

– მართლა და მართლა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გეუბნებით, რა არი საჩქარო. დილაადრიანად ხომ არ დავ-ეცემით თავზე. მაინც პრეზიდენტია, რაც უნდა იყოს.

– ვაცალოთ, არა? მასაჟის გაკეთება და სუშის ჭამა!

– როგორც გინდათ, მაგრამ ცალსახად და ერთმნიშ-ვნელოვნად ვამბობ, პრეზიდენტია, რაც უნდა იყოს. რა საჩ-ქაროა, დილის 8 საათზე მისი გადაყენება. ხუთ საათს ვერ მოვითმენთ?

– კარგი აბა, არც იქეთ, არც აქეთ, ხვალ სამ საათზე დავნიშნოთ მიტინგი.

– სამი საათი სადილობის დროა. სადილის მერე ცოტა ხომ უნდა დავისვენოთ... ხალხია მოსასვლელი. ბოლოს და ბოლოს, აქ ქალებიც ვართ. თავი ხომ უნდა მოვიწესრიგოთ. ოთხზე შევიკრიბოთ.

– ოთხი კარგი დროა.

– სამი გამოვაცხადოთ და ხალხი მაინც ოთხზე მოვა. ჩვენც ოთხზე მოვიდეთ.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ზეგ რა ვქნათ?!

– ჩვეულებრივად, ოთხზე!

– აწი ყოველდღე ოთხზე შევიკრიბოთ, თორემ ვერ გავუძლებთ, ცოტა ხომ უნდა გამოვიძინოთ?

– ზეგ რომ ბზობაა?

– ოოოო.... ეგ სხვა ამბავია, ბზობას პრეზიდენტის გადაგდებას ვერ დავამთხვევთ. ბზობას დავისვენოთ, რასაკვირველია.

– არ გამოგივათ, თქვენ, არაფერი!

– რატომ?

– გამოძინებულზე არ კეთდება რევოლუცია. ვინ გეიგონა რევოლუციის დროს არდადაგები და დასვენების დღეები! რევოლუციას მოშვებული წვერი, უძილობით ჩალურჯებული თვალები და აფეთქებული სინდისი ჭირდება!

....და მაინც გადაწყდა 10 აპრილს ოთხ საათზე შეკრებილიყვნენ და ახალი ძალით შეეტიათ პრეზიდენტისთვის, რომელიც ლიდერთა ღრმა რწმენით, მამაცური სიტყვა–თქმების ზვავს ვერ გაუძლებდა და უსათუოდ გადადგებოდა.

10 აპრილი. ხუთის ნახევარია.

პრეზიდენტი ცუდ გუნებაზეა. აცნობეს, რომ დემონსტრაციამ ავლაბრის სასახლისკენ აიღო გეზი.

– შენა ხარ? აქეთ მოდიან! – ჰალსტუხი პირიდან გამოიღო და მობილურს მთელი ხმით ჩასძახა.

– ვიცი... მაგრამ არ შეგეშინდეს, ყველაფერი რიგზე იქნება.

– დაცვა გააძლიერეთ!

პრეზიდენტმა ტელევიზორი „მაესტროზე“ გადართო და სწორედ მაშინ უჩვენეს გორში დაცვის წევრთა „ბატინკებ“ შორის შიშისგან ყბამოქცეული რომ იცქირება.

– რა საზიზღრები არიან, ერთი შეშინება არ მაპატიეს, –

გაიფიქრა პრეზიდენტმა და მწარედ ინანა, რომ „მაესტროს“ მაუწყებლობის უფლება მისცა.

ამასობაში დემონსტრანტები ამოაღმართდნენ და ენამწარე ჟურნალისტთაგან რაიხსტაგად წოდებულ ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ცეცხლოვანი მიტინგი გაიმართა.

ორატორებმა პრეზიდენტის საქმიანობიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს.

– ერთი კარგი ლექსი დახატავდა ამ მიტინგს! – თქვა ყოფილმა სახალხო მთქმელმა, ამჟამად შეურიგებელმა ოპოზიციონერმა ბუზალაძემ.

– სადაა, თვარა კი, – გაეპასუხა უცნობი მემიტინგე.

რეზიდენციის გრანიტის ღობესთან ერთმა დემონსტრანტმა ყურებჩავლებული, წითელბაფთიანი კურდღელი აღმართა.

კურდღლის დანიშნულება ბევრმა ვერ გაიგო, მაგრამ ტაში მაინც დასცხეს.

– რად გინდა კურდღელი?! – იკითხა ნაბევრმიტინგალმა, ჩახლეჩილმა ხმამ.

– თვითონაც ხომ კურდღელია!?

დემონსტრანტებმა გაიცინეს ჯანსაღი, საპროტესტო სიცილით.

– ჰოდა, გადაუგდე ეზოში, ორი კურდღელი იქნება!

– არ გადააგდო! ფრთხილად გადასვი!

– მოიცა, ჯერ სტაფილო გადავუყაროთ!

კურდღელი ღობეზე შესვეს. ჯერ აქეთ, მომიტინგეებისკენ გამოიწია, მაგრამ ისევ ჩაავლეს ყურებში ხელი და დაცვის ცნობისმოყვარე თვალების მიღმა, ეზოში ჩააცურეს.

კურდღელი ჯერ ფაფუკ მუცელზე გაწვა. მერე გაზონისკენ ხოხვით გაიწია. სტაფილოს მიწვდა და სამკუთხედი ტუჩები საყვარლად კურდღლურად ააცმაცუნა.

– იმ კურდღელს რომ რამე მოსვლოდა, გავგიჟდებოდი, – ჩაილაპარაკა ზამბახისფერმოსასხამიანმა გოგომ, რომელიც

სახეზე ჩამოშლილ შავ თმებს შორის ეშხიან შავ თვალებს აელვებდა.

– წადით ახლა, – უთხრა ვიღაცამ ვიღაცას მობილურში.

– კიდევ ხუთ წუთს ვიქნებით და წავალთ, – უპასუხა ყურადღებიანმა ვიღაცამ.

...როცა დემონსტრანტები წავიდნენ, პრეზიდენტმა ფანჯრიდან გადაიხედა.

– ეს რა არის? – იკითხა სახელმწიფოს თავმა.

– კურდღელია, – მიუგო დაცვის ბიჭმა, რომელიც შუბლზე ლურჯი ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა.

– აქ საიდან გაჩნდა?

– მომიტინგეებმა გადმოსვეს.

– გიჟები, – თქვა პრეზიდენტმა და გაიღიმა მისებური, შემზარავად მომხიბვლელი, პრეზიდენტური ღიმილით.

კიბეზე ჩამოვიდა. კურდღელი აიყვანა და ყურზურგზე ხელი გადაუსვა.

კურდღელი ცახცახებდა.

...და მაინც ბედნიერი იყო კურდღელი. იგი ხომ ვერასოდეს გაიგებდა, რატომ შეაბეს წითელი ბაფთა, რატომ ეჭირათ ყურებით უამრავი მოტყუებული მოქალაქის თვალწინ და რატომ გადასვეს ღობის მიღმა, სადაც მარმარილოფენილზე უამრავი სტაფილო ეყარა.

12 აპრილი, 2009,
თბილისი

დეპუტატები

ლეონარდო ფილიპაშვილი ქალაქ სანსკრიტიას საკრებულოს ჩუმი და უწყინარი წევრი გახლდათ. საკრებულოს სხდომებს ყოველთვის ესწრებოდა, რადგანაც დამჯერე და კანონმორჩილი კაცი იყო, ხოლო სიტყვით იშვიათად გამოდიოდა თავისი უპრეტენზიო ხასიათისა და ჩრდილში დგომის მოყვარულობის გამო.

ეთნოგრაფიული მუზეუმის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა გადეპუტატებამდე. გადეპუტატების შემდეგ, სანამ არ დაადგინა, რომ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლობა სადეპუტატო შეუთავსებლობად არ ითვლებოდა, კუთვნილი ჯამაგირის (ოცდასამი ლარი) ასაღებად სალაროს არ გაკარებია.

საკრებულოში ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს. წებოწნეხილი ნახერხის ფიცრებისაგან დამზადებულ მაგიდაზე, წარმოიდგინეთ, ტელეფონიც დახვდა, მაგრამ ტელეფონი ერთ კვირაში მოუხსნეს. ეს ტელეფონი, ამ ოთახში შენამდე რომ დეპუტატი იჯდა, იმან თავისი პირადი კონტაქტ-ავტორიტეტით დაადგმევინა, თორემ რიგით დეპუტატს რეგლამენტით ტელეფონი არ ეკუთვნისო, აუხსნეს. ახლა, რაკიღა ის დეპუტატი ხელმეორედ არ აირჩიეს, თავისი პირადი გამავლობა-ნაცნობობით დადგმული ტელეფონი თავის ახალ სამსახურში გადააქვსო. ლეონარდომ მშვიდად მოუსმინა ამხსნელს და პროტესტი არ განუცხადებია. კაცმა რომ თქვას, მას ტელეფონი დიდად არ სჭირდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკრებულოში თითქმის არავინ აწუხებდა. მოქალაქეებმა კარგად იცოდნენ, ვინ იყო "საქმის გამკეთებელი" დეპუტატი და ვინ ისე, ლეონარდოსავით დემოკრატიის გამო, საჩვენებლად შეყვანილი საკრებულოში.

საკრებულო პოსტკომუნისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი, ნახევრადკორუფციული ცხოვრებით ცხოვრობდა. ხელფასს სამ თვეში ერთხელ იძლეოდნენ, მაგრამ ლეონარდოს და ერთი-ორი დეპუტატის გარდა, საკრებულოს წევრთაგან ამ ამბით შეწუხებულს არავინ ჰგავდა. აშკარა იყო, საკრებულოს წევრებს სხვა რაღაც ფარული შემოსავალი ჰქონდათ და ხელფასის იმედზე არ უნდა ყოფილიყვნენ.

საკრებულომ ლეონარდო ფილიპაშვილის ცხოვრებაში მხოლოდ ის სიახლე შეიტანა, რომ საკრებულოს წევრმა ჰალსტუხის კეთება დაიწყო და სამსახურის დრო, უცხო სიტყვა რომ ვიხმაროთ, რაციონალურად გაანაწილა: დღის პირველ ნახევარს საკრებულოში ატარებდა, დღის მეორე ნახევარს – მუზეუმში.

ვერ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ თითქოს ნაცნობთანამშრომელთა შორის შეუმჩნეველი დარჩა ლეონარდოს არჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოში. ლეონარდოს სხვა თვალით დაუწყეს ყურება. მეტი რიდი და პატივისცემა იგრძნობოდა ფილიპაშვილის მიმართ. ხანდახან კი ილაჯგაწყვეტილი მოქალაქენი, ირონიის გარეშე, აშკარად გადაუკრავდნენ ხოლმე სიტყვას ლეონარდოს საქვეყნო გასაჭირზე, დაახლოებით ასეთი ფრაზებით:

„დღეს სამი საათი ვუცადე ტროლეიბუსს, ვერ დავსვამთ საკითხს ტრანსპორტისას?“

„ბოვში სკოლაში ვერ გოვუშვი, ჩაფულა არ აცვია, რას შობით თქვენ იქანა, ლოთიანად, ხელფასს არ გვირიგებთ?!“

„რო აგირჩიეთ და რო მიყუჩდით იმ საკრებულოში, ერთი გამაგებიეთ, ვის ჯიბეში მიდის დახმარება, ამერიკა რო გვაძლევს?!“

ამგვარ და ზოგჯერ უფრო მძაფრ მიუკიბავ შეკითხვებზე ლეონარდო წითლდებოდა, უხერხულად ასავსავებდა ხელებს და მორცხვი ღიმილით ჩაილუღლუღებდა:

„კაი ერთი, თუ ძმა ხარ, მე ვინ მკითხავს იქანა რამეს...“

ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლის 14 ოქტომბერს საკრებულოს თავმჯდომარემ გოშხეთელიანმა სხდომის დასასრულს მთვლემარე საკრებულო ომახიანი, მგზნებარე სიტყვით გამოაღვიძა.

კოლეგებოო, გოშხეთელიანმა, სანამ ხალხი ჯოხს აიღებდეს და გაგვრეკავდეს აქედან, გვმართებს ყურები გამოვიფხიკოთ და ჭკუას წიხლი დავაჭიროთ, თორემ მერე ყველაფერი გვიან იქნება, მამაჩემსა აქვს ცხონებაო. დღეს ძალოვანი სტრუქტურების სამ უფროსს მოვუსმინეთ, მაგრამ ვერაფერი საიმედო ვერ დავინახე პირადად მეო. მივეჩვიეთ ლამაზ-ლამაზ ფრაზებს და სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონკრეტულად საქმეზე კი არავინ ლაპარაკობსო! ასე გაგრძელება არ შეიძლებაო, გოშხეთელიანმა. აი, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, ჩვენს შორის ყველაზე წესიერ კაცს – ლეონარდო ფილიპაშვილს ვავალებ მომავალ სასესიო კვირას გააკეთოს მოხსენება თვით საკრებულოს წევრების კორუმპირებულობის და დეპუტატის რეგლამენტთან მათი საქმიანობა-ქონების შეთავსებულობის შესახებო. თუნდაც ჩემგან დაიწყოს, არ მომერიდოს არც მე და არც სხვას. კონკრეტული გვარების დასახელებით მაგალითის მიცემა ქვეყნისათვის სწორედ ჩვენმა საკრებულომ უნდა დაიწყოსო.

ლეონარდო წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ დააცალეს. გოშხეთელიანმა გაუღიმა, აბა, თქვენ იცით, ბატონო ლეონარდო, როგორ გაამართლებთ სპიკერატის ნდობასო და სესია დახურულად გამოაცხადა.

ამ განცხადებიდან მეორე დღეს არაფერი და, მესამე დღეს, ნავახშმევს, ფილიპაშვილის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

გააღო. მის წინ საკრებულოს წევრი კიაზო წურწუმია იდგა.

– ძლივს მოგაგენი, სად ყოფილხარ ამ სიშორეზე.

– რა ვიცი, შევრჩი. ისე, წყნარი ადგილია.

– წყნარი კია, მარა რო მოთოვს, რათი ამოდიხართ ამ აღმართზე?

– ზამთარში ჭირს, მართალია. განსაკუთრებით, მოყინულზე. ფეჩს დავანთებ, შეციებული ჩანხარ.

– არა, არ მინდა, იყოს. დაჯექი, პატარა საქმე მაქვს, – კიაზომ მაგიდის ქვემოდან ტაბურეტი გამოაჩოჩა და დაჯდა.

– ხვარაფერს დალევ? – ლეონარდომ ძველი, მამაპაპური კარადისკენ გაიწია.

– წყალს ქე დავლევდი ერთ ჭიქას, ცივი წყალი თუ გაქვს.

– რავარი ცივი მერე.

მასპინძელმა მაცივრის კარი გამოაღო და წყლიანი გრაფინი მაგიდაზე დადო.

წურწუმიამ ცჭიქა გადმოაბრუნა, დაისხა, დალია და ფილიპაშვილს მიაჩერდა.

– რა ქენი, ხვარ დაგიწყია მოხსენებაზე მუშაობა...

– ჯერ არა. ხვალიდან მინდა დეკლარაციებს ჩავხედო. რა შარში გამაბეს. მაგის თავი მაქვს მეე?

– რა თავი მაგას უნდა.

– ხომ უნდა გევერკვე, ზეპირ ნათქვამს ხომ ვერ იმას ვიზამ. საბუთებია საჭირო...

– ლეონარდო, – სტუმარი რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა და გარეგნულად მშვიდი კილო, რითაც შემოსვლის დროს დაიწყო, განწირული კაცის ინტონაციით შეეცვალა, – ის ნახევარი მილიონი მარტო ჩემი არ გეგონოს...

– რომელი ნახევარი მილიონი?

– სტამბოლის ბანკში როა. დეექცესყენ ოჯახი ხაბურზანიას და ნიაძეს. ჩემს სახელზე შემატანიეს, თვარა ჩემი მეოთხედიც არაა იქანა.

– გიწერია ეს დეკლარაციაში?

– დეკლარაციაში არ მიწერია, მარა...

– აბა, სხვა რამეს ვინ ამოწმებს. ვერ გაჩუმდები შენთვის?

– გოუგებარი არაფერი დარჩება და იმიტომ ვამბობ. მართალი კაცი ვარ მე, ლეონარდო, და უპატრონო რო ვარ, იმიტომ მეშინია, ჩემი ხელით მოგროვილი ჯართითაა ის ფული ნაშოვი, რავა, მე სურმავასავით სესხი კი არ ამიღია და დოლარებით კი არ გამიცოცხლებია. ან ჯომარჯიძეს რო ათი ფირმა აქვს და „მარებელის“ ბაზრობასაც რომ ხაზეინობს. ჩემზე რაი აქვს სათქმელი, გუმათის სახლზე თუ გითხრეს კიდო, ის სახლი ჯიმადამ მაჩუქა. გაფორმება შემაგვიანდა, ჭრაქაძესავით ასი ათას დოლარად კი არ მიყიდია.

– ჭრაქაძემ რაი?

– რაი და ასი ათასი დოლარი მისცა მაგერ, მათხოჯის გადასახვევთან, ტრაპაიძეების ორსართულიან სახლში და ორი სართული დააშენა უნებართვოდ. გატარებულიც არა აქვს არსათ, ვერ გაძღა მაგენის მუცელი.

სხვაც ბევრი რამ უთხრა იმ საღამოს წურწუმიამ ლეონარდოს, მაგრამ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მკითხველის მეხსიერების დაძაბვას ვერიდები. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ფილიპაშვილმა სტუმარი ამ სიტყვებით გამოაცილა:

– წაი ახლა შენ, წურწუმია, და ნუ გეშინია ნურაფრის, თუ მართალი ხარ. თუ მართალი არა ხარ, რა ვქნა, ძმა რო იყო ჩემი, ხელს ვერ დაგაფარებ. ვნახავ ყველაფერს, გავერკვევი.

„გავერკვევი“ არ მოეწონა სტუმარს, დაიბნა, კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გადაიფიქრა, უარესი არ გამოვიდესო, ხელი ჩამოართვა და ბარბაცით ჩაუყვა დაღმართს.

დილით ის-ის იყო „ალიონში“ მაცხონაშვილმა „დაასაბუთა“, რა შეიძლება იყოს უფრო სამარცხვინო, ვიდრე საბუთებში მოქალაქის ეროვნების ჩაწერაო, რომ ღია კარებში დეპუტატი სურმავა გამოჩნდა. „ბამბანერკა“ და სურების ჩამოსხმა შამპანური მაგიდაზე დადო თუ არა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– არ გაგაცდენ, ლეონარდო, ჩემნაირი შემაწუხებელი ბევრი გეყოლება შენ. ისე მევედი, უბრალოთ. უნდა დაასახ-

ელო გვარებიო, რო გითხრა, გოშხეთელიანმა, მეც მაგ აზრის ვარ. ხომ უნდა გეიგოს ქვეყანამ სიმართლე. მეიძიე რამე მასალები, ხომ? ეშმაკიზა სული არ მიმიყიდია და მაგენივით დიდი ჯიბე არ დამიკერებია ხალათზე.

– შენთან, პრინციპში ხო, – სიტყვა გაიძნელა ლეონარდომ, – ის ერთი ამბავია შავ წერტილათ, რათ გინდოდა შენც, მაგხელა ამბავი. რომ არ დაიმალებოდა ხომ იცოდი?

– რაი?

– აქეთ მეკითხები? სესხის ამბავი, რა და.

– მერე ხო გასწორებულია ყველაფერი.

– რა არის გასწორებული, სურმავა? დოლარებათ რო აქციე „რუბლი“ და კუპონებით გოდოუხადე ქვეყანას, ამას ეძახი შენ გასწორებულს?

– კი მარა... ახლა... მაგას გამოვეკიდოთ? – ნირი წაუხდა, სუნთქვა გაუხშირდა სურმავას – არ დამღუპო, ლეონარდო, შენი იმედი მაქვს, რო დამასახელო, დავიღუპები იცოდე, მაინც არ ვარ კარგად, ოთხასზე მაქვს შაქარი.

– წაი, ჰო, წაი, ვნახავ თუ რამე მოვუხერხე... დამალვა ნამეტანი ძნელია, მერე სხვა გამოჩხრიკავს.

დარეტიანებულივით ჩარბოდა კიბეზე სურმავა. ისე მიიქნევდა ხელებს და მილაპარაკობდა, გვერდით ჩავლილი ჯომარჯიძე ვერ შეამჩნია.

– რა გამეხარდა, რა გამეხარდა, რო იცოდე! – ხელი გაშალა ლეონარდოს დანახვაზე ჯომარჯიძემ.

– რა გაგეხარდა? – ჰკითხა მასპინძელმა.

– რა და, შენ რომ დაგავალეს მოხსენება, ყველაზე პატიოსან კაცს, ალალ კაცს, მართალ კაცს. უნდა გამოხვიდე შენებურად, პრინციპულად. არ მოერიდო არავის. ერთი პლიუსი გვაქვს მე და შენ მაგენთან – პატიოსნები ვართ. მთელი ცხოვრება სუფთად გვივლია. ნახონ ახლა, რავა უნდა ხალხის ტყავება. დაასახელე ყველა, არ დაუმალო არავის არაფერი.

– ვცდილობ, რა ვიცი.

– არ შეგეშინდეს.

– შიშით არა, მარა...

– მარა რაი?

– ზოგი იმნაირი ახლობელი ხვდება, ეს ოხრი, ამ სიაში. არ დაასახელებ და არა ხარ სწორი. მაშინო, მეტყვიან, იმას რატო დააფარე ხელიო. მეტი გზა არ მაქვს, უნდა ვთქვა.

– თქმა ჯობია, თქმა, რასაკვირველია. პირველათ შეიძლება ქე ეწყინოს ზოგიერთს, მარა ქვეყნისათვის თქმა ჯობია. რათ გვინდა, აბა ე ჩვენი პატიოსნება მე და შენ.

ჭიშკართან რომ მივიდნენ, ლეონარდომ ხელი გაუწოდა სტუმარს და სხვათა შორის ჰკითხა:

– ის ფირმები შენს სახელზეა თუ გადააფორმე?

– რა ფირმები?

– ათი ფირმა რო გაქვს.

– ათი სადა მაქვს. ორი ფირმა ჩემი სიძისაა და რვა არი მარტო ჩემს სახელზე, – ხმა ჩაუწყდა ჯომარჯიძეს, – ფირმები რა არი, ხალხს ბაზრობები აქვს საკუთრად.

– ჰო, მართლა „მარებელი?“

– რა მარებელი?

– „მარებელი“ შენი არაა?

– მთლად ჩემიც არ ეთქმის... მე... ხარჯის მეტი არაფერი იყო აქამდე იქანა... მშიერი მომიკვდებოდა ცოლ-შვილი... აპა... რა ვიცი... ყველამ ყველაფერი იღონა მაშინ. „მარებელი“ თვარა...

– კარგად იყავი.

– შენი იმედი მაქვს, ლეონარდო. ჩემიანი არ იყო, არ მევიდოდი... მე რომ იქანა დავსახელდე, მეტი არაფერი უნდათ ჩემს მტრებს...

ეს ბოლო სიტყვები ლეონარდოს არ გაუგონია. ჯომარჯიძე ხელებს ციებიანივით იფშვნეტდა და თან ყელშიცრემლწაჭერილი ლუღლუღებდა.

ასახვევთან ჭრაქაძე შეხვდა. ფერგადალეული ჯომარჯიძე კოლეგა დეპუტატს ვერ შეამჩნევდა, ჭრაქაძეს რომ ხელი არ წაევლო და არ შეეჩერებინა.

– არის? სახლშია? – ჰკითხა.

– კი, – განზე გაიხედა ჯომარჯიძემ.

– ?!

– ყველაფერი იცის...

ჯომარჯიძეს გაბზარული ხმა ჰქონდა.

ასეთი ხმა გლანდების ახალნაოპერაციევ ან ინფარქტიდან სანახევროდ გამომძვრალ კაცებს აქვთ ხოლმე.

ეს დაუცხრომელი საპრასია

საპრასია ისე პატარა სახელმწიფოა, რომ ერთ მდინარესაც ვერ წვდება. ასე გასინჯეთ, საპრასიის ერთადერთი, მსოფლიო რუკაზე დასატანი მდინარე – მტკვარი სხვა სახელმწიფოში იღებს სათავეს, საპრასიას გაივლის და სხვა სახელმწიფოში უერთდება ზღვისხელა ტბას. თანაც, სადაც იწყება, იმ ქვეყანაში მტკვარს სხვა სახელი ჰქვია, სადაც მთავრდება იმ სახელმწიფოშიც სხვა სახელს ეძახიან და მსოფლიოს მეგლობუსე მეცნიერები თავს იმტვრევენ, ბოლოს და ბოლოს რა სახელი უწოდონ საპრასიის დედა-მდინარეს.

რაიც შეეხება საპრასიის სხვა მდინარეებს, ანტიკური საბერძნეთის ისტორიკოსებთან ბოდიშის მოხდით უნდა ვთქვა, რომ ჩემი დაკვირვებით, ნაოსნობისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგება, კამკამა, ლურჯწყლიანი, გიჟმაჟი მდინარეებია.

მთებიდან დაშვებისას ისეთ სიჩქარეს იღებენ, იაზონის გამოცდილ მენიჩბეებს კია არა, მოტორიან ნავებსაც უჭირთ აღმა ცურვა.

ჰა და ჰა, საპრასიის მდინარეები ფათერაკების მოყვარულ წყალჯომარდებს თუ გამოადგებათ სწრაფდაშვებისათვის. ისიც თუ სიფრთხილეს გაიასკეცებენ და სიცოცხლის დაზღვევის საბუთს ადვილად მოსაძებნ ადგილას დაუტოვებენ ოჯახის წევრებს... ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

მე რომ მივაფუჩეჩო, ისტორიკოსებს რას გამოაპარებ, საპრასია პონტოს ზღვასავით მღელვარე და ნახევრად მძინარე ვულკანივით მარად მბოლავი სახელმწიფოა.

საპრასია მშვიდ, დანიურ ცხოვრებას ვერ იტანს (თუმცა, როგორც შექსპირი ბრძანებს, დანიაშიც კი დროდადრო რაღაც ლპება და ხალხს აფორიაქებს).

საპრასიელები თავიანთი ისტორიის ბოლო ათი ათასი წლის მანძილზე („ათი ათასს“ იმიტომ ვამბობ, რომ საპრასიის არსებობის ეს პერიოდი, საპრასიელებმა კარგად იციან, თუმცა არც წინა ათიათასწლეულებშიც უნდა ჰქონოდათ მაინცდამაინც დალაგებული და დაწყნარებული ცხოვრება) ძირითადად იმით არიან დაკავებული, რომ ლექსის წერის და ცერცვის თესვასთან ერთად, მპყრობელთაგან თავის გასათავისუფლებლად იბრძვიან.

თუ მოხდა ისე, რომ დამპყრობელი არ ჩანს (რაც იშვიათზე იშვიათად ხდება საპრასიის მოძიგძიგე ისტორიაში), საპრასიელები ცოტა ხანს მოიწყენენ ხოლმე და რაკი ბრძოლა-მღელვარების გარეშე გაძლება არ შეუძლიათ, ბრძოლას იწყებენ თავიანთივე თავის ანუ საპრასიელების ტერიტორიაზე მითაჟამიდან არსებულ პატარა კუთხეების წინააღმდეგ ამოჩემებული ყოჩის გასამეფებლად.

როგორ ფიქრობთ, რატომ უნდათ მთელს საპრასიაზე მაინცდამაინც ერთი რაინდ-ყოჩის გამეფება? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სული მოითქვან და მალე ისიც ჩამოაგდონ, გააძევონ, ან გასრისონ და გადაუარონ. საპრასიას ბოლო ათასი წელი ბაგლომთა დინასტია მართავდა.

მართალია, არც ბაგლომებისთვის იყო უცხო ხილი ტახტის შენარჩუნების საბაბით საკუთარი ძმისთვის თვალების დათხრა, ურჩ ფეოდალებთან ანგარიშის გასწორების მიზნით რჯულის გამოცვლა და გამზრდელი ბიძისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა, მაგრამ ბაგლომები ძირითადად ბრძენ მეფეთა სახელით შევიდნენ ისტორიაში.

როცა საპრასია ურუსებმა დაიპყრეს, მეფობა გააუქმეს და ბაგლომთა დინასტია შემოდგომის ჭივჭავებივით დაიფრინეს.

თუმცა ჟამთააღმწერლის სინდისი მკარნახობს აღვნიშნო, რომ საპრასია, როგორც სახელმწიფო, ურუსების შემოსვლამდეც დაშლილი იყო და აი, რატომ:

საპრასიის უკანასკნელ მამაც მეფეს თვრამეტი შვილი ჰყავდა და მამაც მეფეს რომ გარდასვლის ასაკმა უწია, თვრამეტივემ მოინდომა გამეფება, თუმცა მეფეს ტახტის ღირსად თვრამეტიდან არც ერთი არ მიაჩნდა.

ბოლოს მეფობა თვრამეტიდან ყველაზე სუსტსა და უგერგილოს, წყალმანკიან „ზაქიჭამიას“ ერგო.

ზაქიჭამიამ ისედაც დაქანებულ საპრასიას მთლად მოუთავა ხელი.

ქვეყანას ისე მართავდა, რომ დედაქალაქიდან არ გასულა. ინდაურები რომ ჩამოუყვანეს, იკითხა:

ეს რა ჭყრიალებს ეზოშიო?

ინდოეთის ქათმებიაო, უპასუხეს.

იჭმევაო? იკითხა.

რასაკვირველიაო, აუხსნეს.

აბა, ერთი დამანახვეთო.

წვალება – ვაინაჩრობით ფანჯარასთან მიიყვანეს.

გული აერია ინდაურების წითლად ჩამობერილი ჩიჩაყვბიბილოების დანახვაზე და ინდოეთის მამლების ფხორვა-მედიდურ მიხვრა-მოხვრაზე.

აბა, უყურე, რასა ჰგვანან, ჩემდა თავად, მაგათი ხორცის შემჭმელს ექცა შავად და ბნელადო, დაიქადნა და შეასრულა კიდეც.

საპრასიის დაპყრობიდან ორას წელიწადში ურუსთა იმპერიაც კიდევ ერთხელ, მგონი ისტორიული მახსოვრობისთვის მეთხუთმეტედ გათავისუფლდა.

საპრასიელებს ოკეანისგაღმელმა სტუმრებმა ურჩიეს, ახლა მოდაში საპრეზიდენტო რესპუბლიკაააო და თავისუფალი საპრასიის მოქალაქეებმაც 97 პროცენტით და ასპროცენტიანი ტაშისკვრით პირველი პრეზიდენტი აირჩიეს.

მე შენ გეტყვი, საპრეზიდენტო კანდიდატურის მოძებნა გაუჭირდებოდათ, ყოველი მესამე საპრასიელი (სქესის განურჩევლად) გამოდგებოდა პრეზიდენტად.

მღელვარე საპრასიელებს ერთ წელიწადში მოწყინდათ პირველი პრეზიდენტი და ჩამოაგდეს.

ცოტა ხანში საპრასიელებმა ამომრჩეველთა ხმების 95 პროცენტით სულ ურა-ვაშას ძახილით აირჩიეს მეორე პრეზიდენტი.

მალე მეორე პრეზიდენტიც მოწყინდათ და ჩამოაგდეს.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ საპრასიის სათავეში მსოფლიოს დიპლომატთათვის ცნობილი მახინაციებით მესამე პრეზიდენტი მოექცა.

ინერციის ძალას რა შეაკავებს და მალე საპრასიელებს მესამე პრეზიდენტიც მოწყინდათ.

მოწყინდათ და ჩამოგდება დაუპირეს.

მესამე პრეზიდენტი, მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება, ვერ სოლომონბრძენობდა.

საპრასიელებმა ამ ბოლო პრეზიდენტს „ცეტი მიშა“ შეარქვეს.

„ცეტი მიშას“ დამხობა არც თუ იოლი აღმოჩნდა.

პრეზიდენტმა ოპოზიციაშივე მოძებნა თავისი ნახევრად მომხრეები და უკმაყოფილო მასის გამოსვლის წინა ღამით ოპოზიციის ბელადთან, ხალხის რისხვის განეიტრალების მიზნით, საიდუმლო სერობა გამართა.

გაწვდით პრეზიდენტსა და „ოპოზიციის ლიდერს“ შორის გამართული ერთ-ერთი საიდუმლო შეხვედრის ჩანაწერს; ვისაც აინტერესებს წაიკითხოს, ვისაც არა – გამოტოვოს.

– დაჯექი, როგორა ხარ?

– რაღა როგორა ვარ, მიშა, მტერი გეყოლა ასე.

– შენ და წუწუნი?

– ვერ ვაკავებ ხალხს, ამათი უკვე მე თვითონ მეშინია.

– შენი ბრალია, ძალიან შეტოპეთ. რა ამბავია ეს ხუთასი გალია. გალიაა თუ საკანი, რა ჯანდაბას ეძახით.

– შენ არ მითხარი, საკნები დადგით და ხალხი დაშოშმინდებაო?

– მე გითხარი, რამდენიმე საკანი დადგით, საჩვენებლად-მეთქი. თქვენ მთელი ქალაქი გაავსეთ, რაა ბოლოს და ბოლოს, კაბინეტში და რეზიდენციაში ვერ შევდივარ.

– მიშა, რატომ არ გესმის, მე მარტო არა ვარ. ჯერ ერთი ჩვენი, ე.წ. ლიდერების მართვა გახდა ძნელი და მეორე, შენ ეს ამდენი ხალხი ცხვარი ხომ არ გგონია? მერე უკვე იღრინებიან, უკვე ჩვენც აღარ გვიჯერებენ.

– გუბაზი და კახა ძალიან უბერავენ?

– ეგენი თავისთავად. შენ გგონია ეკა და ნინო მაგათ ჩამორჩებიან? ნინოს მაინც რა დაემართა? რით გააბრაზე ასე, რომ თავზე ხელი აქვს აღებული.

– ეგ, მე ვიცი რამ გააბრაზა, მაგრამ ნინო მაინც არ არის საშიში. შენ სხვები გაანეიტრალე და ნინოს და ბადრის მე მივხედავ.

– ხალხი? ხალხი, მიშა? დღე და ღამ თავს ვიმტვრევ მერამდენეჯერ გავუშვა ასი ათასი კაცი სახლებში. შენაო, შეკრული ხარო, პირში მეუბნებიან.

– აბა, რა ვქნათ-თქო, უთხარი, იერიშზე გადავიდეთ-თქო? (იცინის) ხომ იცით, მიშა სულელია, გესვრით-თქო.

– ვიძახი, სულელია, არაადექვატური-მეთქი, მაგრამ მითუმეტესო, მეუბნებიან (იცინის).

– შენ ეს ლიდერები დააბნიე, მაგათ შორის შუღლი ჩამოაგდე და ხალხის ამბავი მე კარგად ვიცი, როცა დარწმუნდებიან „ბელადთა“ უსუსურობაში, თვითონვე გაიფანტებიან“.

აქ დიალოგი წყდება ჩანაწერის უხარისხობის გამო.

საპრასია შიშმა და ურვამ შეიპყრო.

ურვამ იმის გამო, რომ მესამე პრეზიდენტის ჩამოგდება გაჭიანურდა, ხოლო შიშმა იმის გამო, რომ ვაითუ მეოთხე პრეზიდენტი, რომელსაც მესამე გაყალბებული არჩევნებით აირჩევდნენ, წინა სამზე უარესი აღმოჩენილიყო.

ჩამოგდებით საპრასიელები არც მეოთხე პრეზიდენტის ჩამოგდებაზე დაიხევენ უკან, მაგრამ ერთი რამ აწუხებთ,

მსოფლიოს თვალში არასერიოზული ხალხის სახელი არ დავიმკვიდროთო.

შედარებით გონიერ საპრასიელთა ერთმა ჯგუფმა გამოსავალს მაინც მიაგნო; მოდი, ხელისუფლების სათავეში მეფე დავსვათ და ყველაფერი დალაგდებაო.

დაუწყეს ძებნა ბაგლომთა სამეფო დინასტიის მსოფლიოში მიმოფანტულ წარმომადგენლებს, მაგრამ მეფის გამოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა: ერთი ყალბი ფულის ბეჭდვისთვის მესოპოტამიაში შრომაგასწორების კოლონიაში იხდიდა სასჯელს, ერთს ესპანეთში ველოსიპედთა სარემონტო საამქრო გაეხსნა და ცოლად კაბალეროთა მსახურის ქალიშვილი მოეყვანა, ერთი ურუგვაელ მემაწვნეს გაჰყოლოდა ცოლად და მდაბიო გვარის შვიდ შვილს ზრდიდა, ერთს კბილის პროტეზისტობა ესწავლა და სიცილიაში კერძო პრაქტიკას მისდევდა, ერთი პეტერბურგში რესტორან „რუსკი დომში“ შვეიცრად მუშაობდა, ერთს ბიოდენით მკურნალობა დაეწყო და გამოძიებას ემალებოდა, რადგანაც ექსპერტის დასკვნით მკურნალობისთვის საკმარისი ბიოდენი არ აღმოაჩნდა, ერთი ალექსანდროვის ბაღში იჯდა და მაკლერობდა...

გამოსავალი მხოლოდ ერთი ვითარებიდან არ არსებობს და რაკიღა ის ერთი ვითარება ამ საქმიდან შორს იყო, გამოსავალი აქაც მოიძებნა; აღმოაჩინეს ბაგლომთა დინასტიის შედარებით უცხოტომგვარშეურეველი ორი პიროვნება; ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალი და რაინდული მიხვრა-მოხვრის მქონე ვაჟი.

საინიციატივო ჯგუფი ცალ-ცალკე ესაუბრა თითოეულ მათგანს. აუხსნა, რომ ამ ისტორიულ მომენტამდე მათს მცირემასშტაბიან საქმიანობას და ადამიანურ ჭირვეულობებს ერთბაშად უნდა გამოთხოვებოდნენ, ორივეს დამაჯერებლად აუწყეს ამოცანის მთელი სერიოზულობა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა იყო გადასარჩენი და ბაგლომთა

დინასტიის გასაცოცხლებლად სწორედ მათი შეუღლება იყო საჭირო, რათა სულ რაღაც თექვსმეტი წლის შემდეგ (ცხრა თვეს მუცელში იქნებოდა, ხოლო 15 წლისას უფლისწულს მეფედ აკურთხებდნენ) მსოფლიოსთვის ეცნობებინათ, რომ საპრასიას კვლავ ბაგლომი მეფენი მართავენ.

დინასტიის გადამრჩენლებს სიტუაციაში ბოლომდე გარკვევისთვის დროც აღარ დარჩათ.

სიხარულით ათრთოლებულმა საპრასიელებმა ჯვარი უფსკვნეს წყვილს, რომელთაც ერთმანეთის ხეირიანი გაცნობაც კი ვერ მოესწროთ და დიდი, მამაპაპური, თითქმის სამეფო ქორწილიც გადაუხადეს.

„მალე მეფე გვეყოლება და ერთხელ და სამუდამოდ გვეშველება“. – ელვასავით გავრცელდა საპრასიაში.

ქვეყანაში იმედი დაბრუნდა

ცხოვრებას აზრი და ხალისი მიეცა.

საპრასიელები კრძალვით და მოწიწებით ჩაივლიდნენ იმ ჯერჯერობით მოკრძალებული (სამი ოთახი მიშენებული ლოჯით) სახლის წინ, რომელშიც ახალდაქორწინებულნი იყვნენ დაბინავებულნი და სამეფო დინასტიის აღორძინების ფრიად კეთილშობილურ საქმეს ეწეოდნენ.

ქორწინებიდან მესამე თვეს, ნოემბრის ერთ სუსხიან საღამოს ცოლ-ქმარს შორის ასეთი საუბარი გაიბა:

– ვის ელაპარაკებოდი?

– ბიცოლაჩემმა დარეკა, წნევა ისევ მიწევსო.

– აუწევს, აბა, რა იქნება. რასაც ეგ ლაპარაკობს.

– ლაპარაკზე გამახსენდა; ტელეფონის ფულის გადახდა არ დაგავიწყდეს, თორემ გაგვითიშავენ.

– ღმერთო ჩემო, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი.

– რა ყველაფერი?

– ტელეფონის ფულის შეტანა, გაზის ქვითრების ძებნა, პოლიკლინიკაში სიარული, ჩოგბურთის რიგში დგომა...

– და რა დაიწყება, როგორ ფიქრობ?

– სხვა ცხოვრება.

– რომელი სხვა ცხოვრება. რა იოლად იჯერებთ ქალები ზღაპრებს.

– თექვსმეტი წლის შემდეგ ჩვენი შვილი მეფე იქნება. ჩვენ კი – მეფის მშობლები.

– რა კარგია... ჯერ ერთი ყველაფერი ღვთის ნებაა და, ხომ შეიძლება, გოგო დაიბადოს, ან სულაც არ გვეყოლოს შვილი. შენ წარმოგიდგენია ჩვენსკენ მოპყრობილი უამრავი თვალის იმედჩამქვრალი, გაცუდებული მზერა?

– რაღა უარესზე ლაპარაკობ.

– ხომ შეიძლება-მეთქი... და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, რას ფიქრობ იმაზე, რომ მე და შენ ჩვენი პირმშო წინასწარ გავწირეთ?

– რას ჰქვია გავწირეთ?

– დიაღაც რომ გავწირეთ დაულაგებელი სახელმწიფოს მეფობისთვის, ხელმწიფის კარის შეთქმულებებისთვის, ინტრიგისთვის... ეს, ყველაფერი თანა სდევს მეფეს და საპრასიაში მითუმეტეს. რატომ გავიწყდება, რომ ეს დაუცხრომელი, აღუვსებელი, მარად მღელვარე საპრასიაა.

– შენ არ ამბობდი, ჩვენი შვილი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადებაო?

– ვამბობდი... ერთი წუთით წარმოიდგინე ბიჭი, რომელიც კაფეში ვერ შევა და თავისუფლად ნაყინს ვერ შეჭამს, შეყვარებულ გოგოს ვერ აკოცებს ვაკის პარკში, კუს ტბაზე ვერ იბანავებს და მზესუმზირას ვერ იყიდის ორმოცდაათ თეთრად.

– შენ დღეს, რაღაც ამღვრეული ხარ.

– რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? არ მოგბეზრდა ჟურნალისტების გაუთავებელი მიღება-გასტუმრება? „კეთილისმსურველთა“ მუდმივი თვალთვალი? ლამის საწოლშიც კი გვათვალიერებენ. ნაბიჯს გვითვლიან. ყველანი რაღაცნაირი იდუმალი მოლოდინით შემოგვყურებენ, შენი არ

ვიცი და მე ველარ ვუძლებ ამ მომაბეზრებელ, გამხელილ თუ გაუმხელელ, განზოგადებულ ცხოვრებას, ლამის ღრიალი დავიწყო... მოსვენება დავკარგე... გესმის შენ, რას ნიშნავს მოსვენების დაკარგვა?

...ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე საპრასიაში ხმა დაირხა, ახალი სამეფო ოჯახი დაინგრაო, ნეფე-დედოფალი ერთმანეთს დაშორდნენო.

ხასიათებით ვერ შევეწყვეთო, უხსნიდნენ ჟურნალისტებს განქორწინებულნი, მაგრამ არა მგონია, მათი დაშორების მიზეზი ასეთი გაცვეთილი და მდაბიოთა ამოჩემებული გარეგარეგარეგ

ომეპრაზოლი

ნოემბერი იმ წელს ცივი დღეებით დაიწყო.

თორმეტს გადაშორებული იყო, სუფრა რომ აიშალა.

ჩემი კურსელის – თამილა კაკაურიძის დაბადების დღეზე ვიყავი. რაც პედინსტიტუტი დავამთავრეთ, თამილას წელიწადში ერთხელ ვხვდები, სწორედ მის დღეობაზე.

კურსიდან სამ-ოთხ გოგოს გვეძახის, მეტს – არა. დანარჩენ ადგილებს წვეულებაზე მისი კლასელები და მისი ნათესავები ავსებენ.

გაუთხოვარი გოგო ვიყავი მაშინ და, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულიც ცხოვრებაზე.

რამ გამაბრაზა? იმ წელს ოცდათერთმეტი შემისრულდა. ცოტა არ იყოს, კრიტიკული ასაკია გოგოსთვის და ვფიქრობდი, რაღა მე ვრჩები, ეს ოხერი და მუდრეგი; იმნაირი გოგოები დათხოვდნენ, ტრაბახით არ გეტყვი და ჩემი ფეხის ფრჩხილადაც რომ არ ღირდნენ. რაღა მე დამეხურა ბედი-მეთქი.

ბარე ორი მიპრაწავდა თვალს, მარა ცოლის ნამდვილად მთხოვნელი და ოჯახის შემქმნელი რო ჰქვია, არც ერთი არ იყო.

იმ ღამესაც, სუფრაზე, მითხრა ერთმა-ორმა ბიჭმა გაგაცილებთო, მარა მე თვითონ ვუთხარი უარი, თუმცა არ მეშინოდა-მეთქი ნინოშვილის ქუჩაზე შუაღამისას მარტო სიარული, რო გითხრა, არ ვიქნები მართალი.

გამოგყვება შეზარხოშებული გამცილებელი. ჯერ ერთი, გეტლიკინება გაუთავებლად, თავიდანვე შენ მომწონდიო, მატყუებს მისი ჭკუით. მერე შიგადაშიგ მხარზე ხელს გადაგდებს, ვითომც არაფერიო, ბოლოს, სახლთან რომ მიგიყვანს, მკლავზე წაგეპოტინება. არ მინდოდა, არა. რომელ გოგოს არ სიამოვნებს მოფერება, მარა მე სხვა ვიყავი. ყველაფერი ნამ-

დვილი და უტყუარი მიყვარდა. არ ვიყავი ეპიზოდების გოგო და მომკალი თუ გინდა.

თეთრ ხიდს რომ გადმოვცდი, მარცხნივ ჩავუხვიე და წულუკიძის ქუჩას დავადექი. მე ვთქვი, წულუკიძის ქუჩა უფრო განათებული იქნება და სოხუმის პროსპექტამდე ჩავყვებიმეთქი. იქედან ბევრი არაფერია ჩემს სახლამდე. მესამე ბიბლიოთეკასთან ვცხოვრობ.

სანამ ციხემდე მივიდოდი, მეორე სკოლასთან არმისულს, კაცის ხმა მომესმა.

– ქალიშვილო, ქალიშვილო, გაფიცებ ვინც გეფიცება, გაჩერდი ერთ წუთს!

ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო-მეთქი, ვერ გეტყვი. მარცხენა მხარეს პლაშიანი მოხუცი ჯოხს მოაკაკუნებდა, ხოლო ხმა იმდენად ახლო, ყურისძირში ჟღერდა, რომ აშკარა იყო, უცნობი მე მეძახდა.

ვიღაც სულელი მეღლაბუცება, საღერღელი აშლია ამ შუაღამისას-მეთქი და ნაბიჯსაც არ შევუნელე.

– შენ გეუბნები, გოგონა, თუ გულით არ გეძახდე, მკვდარ დედას ვფიცავარ!

– რა გინდა?! – შევჩერდი და მოვიხედე, მხოლოდ იმიტომ შევჩერდი, რომ კაცის ხმაში გულწრფელი ინტონაცია დავიჭირე. ქალის გუმანი მოგეხსენება.

– მოიწი ერთ წუთს, თუ ღმერთი გწამს, ვკვდები კაცი!

შევხედე. პირველ სართულზე (ბელეტაჟს რომ ეძახიან) რკინის გისოსებიდან გამოუყვია თავი.

მერე რომელი ექიმი მე მნახე-მეთქი და გზის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ უხილავმა ძალამ შემაჩერა, იქნებ მართლა უჭირს-მეთქი კაცს.

– რა არი, იცი? ხვალ დილამდე ვერ გავატან, ასეა ჩემი საქმე. კუჭის წყლულმა შემომიტია, თვალში სინათლე აღარა მაქვს ტკივილისაგან. თუ მიზამთ სიკეთეს და მაგერ, აღმაშენებლის მოედანზე რო სადღეღამისო აფთიაქია, იქედან

„ომეპრაზოლს“ მომიტან, ჩემს მეტი მლოცველი არ დაჭირდება შენს ქმარ-შვილს.

სად მყავს ქმარ-შვილი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ იმას რისთვის ვეტყოდი, რა მისი საქმე იყო.

– აღმაშენებელზე? – ყოყმანით ვკითხე. ჩემი ზღვარსგადასული ქველმოქმედება დიდი-დიდი ორმოცი წუთით დამაგვიანებდა. ოცდათერთმეტი წელი კი მოგეხსენება ის ასაკია, როცა მშობლები დაგვიანების მიმართ დიდ სიმკაცრეს აღარ ამჟღავნებენ.

შენ თვითონ რატომ არ მიდიხარ. კუჭი გტკივა, დაბორკილი ხომ არა ხარ-მეთქი, ფანჯარასთან მივედი და დოინჯშემოკრულმა ქვემოდან ავხედე.

აშკარაა, ბოლომდე არ ვენდობი.

ჭერზე ეული ნათურა ჰკიდია. კედლები წიგნის თაროებს ლამის დაუფარავს. სწორედ იმ წიგნის თაროებმა მიმანიშნეს, რომ ჩემი ავადმყოფი ვინმე თაღლითი და დაღლარა კაცი არ იყო.

გასათხოვარი გოგოს თვალი ხომ ერთი მიმოტარებით იხატავს ყველაფერს: ზოლებიან კვართზე ჰალსტუხი უკეთია, ჰალსტუხის ფერი სიბნელეში ვერ გავარჩიე. ორმოციოდე წლის გამხდარი, ულვაშგაპარსული კაცია. ტკივილისაგან აკანკალებული, მაგრამ ხავერდოვანი ხმა აქვს.

– არ დამიჯერებ, რასაც ახლა გეტყვი, შენი სახელი?

– ლამარა.

– სამი წუთის შემოსული ვარ, ლამარა, სახლში ტკივილი რო გაუსაძლისი გახდა და ორ-ორმა ტაბლეტმა „ტალციდმა“ თუ „მაალოკსმა“ ვერ გამიყუჩა, ჩავიცვი და “ომეპრაზოლის“ საყიდლად, სადაც შენ გაგზავნი ახლა, აღმაშენებლის მოედნისკენ გავეშურე. სიმჟავე მაქვს მაღალი და „ომეპრაზოლია“ ჩემი წამალი. აშენდა მაგის გამომგონებელი. რავა არ მექნება სიმჟავე, სად რას წევიჭამ, რომელ იაფიან კაფეში თუ სალობიოში, მე თვითონ არ ვიცი. ორმოცი წლის კაცს რო

ცოლ-შვილი არ გეყოლება და ოჯახის სიმყუდროვე არ გეცოდინება, ვარესის ღირსი ვარ. მივდივარ და ტკივილი კბილებს მაკაწკაწებიებს, ცივ ოფლს მასხამს, უცებ, ეს მისდღემჩი არ მომსვლია, ფეხებზე თითქოს დოლაბები გამომაბესო, ნაბიჯის გადადგმა მიჭირს, სუნთქვა დამიმძიმდა, გული სადაცაა გამიჩერდება, არ მოვკვდე ქუჩაში უპატრონოთ-მეთქი და ხიდიყურამდე არმისული გამოვტრიალდი. გამოვტრიალდი და ვდგავარ ფანჯარასთან. კარის მეზობლები თბილისში წევიდნენ წინა ორშაბათს, ქვედა მეზობელი არ მელაპარაკება, რა დავუშავე არ ვიცი, უბედურნახევარი ჰყავს გამჩენს. ა, შენ ხარ ახლა ჩემი იმედი, თუ შენთვის ძნელი არაა უცნობი კაცის ამ უცნაური თხოვნის შესრულება, მომიტანე წამალი. თუ არა და ამაზეც მადლობელი ვარ, რო გაჩერდი და დამელაპარაკე. სხვას მოვძებნი ვინცხას, გამოჩნდება ალბათ ვინმე ღვთისნიერი, თვარა და ჯანდაბა ჩემს თავს, რაც მომივა მომივიდეს, წახვალ?

– რა ღირს, რა ჰქვია მაგ წამალს? – ანგარიშმიუცემლად ვკითხე, თუმცა აღმაშენებლის მოედნისკენ გაბრუნება ჯერ საბოლოოდ არ გადამეწყვიტა.

– ოთხი ლარი „ომეპრაზოლი“. ინდურიც არი, მარა ჩვენი ჯობია.

– დამიწერე ქაღალდზე. რა უბედური სახელი აქვს.

შებრუნდა და ოთხად გაკეცილი ქაღალდი გადმომიგდო.

თეთრ ხიდს გაღმა, აბანოსთან სინათლის შუქზე გავშალე. ხუთლარიანს შემოხვეულ ქაღალდზე გაკრული ხელით ეწერა „ომეპრაზოლი“.

ლამაზი ხელწერა აქვს. ასე წერაში გაწაფულები წერენ. ბრჭყალებიც არ დავიწყებია.

მომაქვს „ომეპრაზოლი“ და უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობ მუხლებში, კი არ მოვრბივარ – მოვფრინავ. კაცი გადავარჩინე, სიცოცხლე ვიხსენი და კარგად მოვიქეცი, უარი რომ არ ვუთხარი. ადამიანის მთავარი მოვალეობა ხომ გაჭირვებაში

ჩავარდნილის შველაა და რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემს არსებაში მშველელი აღმოვაჩინე.

მოვედი. გისოსებთან არავინ ჩანს. სახელი მაინც მეკითხა. ოთახში ნათურა ბჟუტავს. რა ვქნა, ამ შუაღამისას „იმანო! იმანო!“ ხომ არ ვიყვირებ, მეზობლებს ხომ არ შევყრი.

კიბე ავირბინე. დავაკაკუნე. თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორედ მის კარზე დავაკაკუნე.

– შემოდი, ლამარა, – გატეხილი, მწუხარე ხმაა. იცი რას ჰქვია მწუხარე ხმა?

შევედი. წევს ადამიანისფერი აღარ ადევს.

„ომეპრაზოლი“ და ჭიქით წყალი მივაწოდე.

დალია. ოხრავს.

– ცუდად ვარ, თვალში სინათლე მელევა. შენ ახლა ბუნდოვნად გხედავ. დაჯექი ცოტა ხანს... მე ვფიქრობ, ეს მარტო წყლულის მიზეზით არ უნდა იყოს, მომწამლა რაღაცამ... ახლა, თუ თხუთმეტ წუთში არ გადამიარა სასწრაფოს უნდა დავუძახოთ.

ჩამოვჯექი ტაბურეტზე. კედლის საათი კოდალასავით აკაკუნებს. დრო მომაბეზრებლად ნელა გადის.

ავადმყოფი კიდევ უფრო დამძიმდა, შუბლი დაეცვარა.

სკამზე გადაფენილი პირსახოცი ავიღე და სახეზე დავუსვი. მადლიერი თვალებით შემომხედა.

სასწრაფოს დავუძახოთ-მეთქი, ღმერთო, ოღონდ ამას არაფერი მოუვიდეს.

– მართალი ხარ... კუჭი უნდა ამოვირეცხო. მაპატიე, რომ ჩემს უბედურ ცხოვრებაში გაგრიე, ლამარა. მე მობილური არ მაქვს (ჩემდა ჭირად მეც სახლში დამრჩა მობილური), სატელეფონო ჯიხური კიდე სუპერმარკეტის გვერდზეა... იქაც ხანდახან ჩამოგლეჯილია ყურმილი.

რად უნდა-მეთქი სასწრაფო კუჭის ამორეცხვას, ისე კატეგორიულად ვთქვი, რომ მევე შემეშინდა ჩემი გაბედულების.

გაზზე ლიტრანახევარი წყალი შევათბე, შიგ ოთხი კოვზი სოდა ჩავურიე და ჩაის ჭიქით ვასვი.

ბოლო ჭიქა რომ დალია, წამოხტა და ტუალეტისკენ გაიქცა. იქაც შევყევი და შუბლი დავუჭირე.

კუჭის ამორეცხვამაც არ უშველა.

გელიმება შენ და გატყობ, თითქმის არ გჯერა, რასაც გიყვები.

ნაწლავების გამორეცხვა გახდა საჭირო.

ვერ გეტყვი, თვითონ არ მეხმარებოდა-მეთქი.

პლასტმასის მილაკს თვითონ მოუძებნა ადგილი. მე კი მღელვარებისგან თუ გამოუცდელობისგან (პირველად ვუკეთებდი ავადმყოფს კლიზმას და ისიც უცნობს) ისიც ვერ მოვიფიქრე, რომ თბილი წყლით სავსე რეზინის ავზი მაღლა ამეწია, თვითონ მანიშნა ხელით აწიეო.

...საათს დავხედე. ოთხი სრულდებოდა.

შინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა.

სანამ ჩაეძინებოდა, სახელი ვკითხე.

ირაკლი მქვიაო.

დილამდე ხელში მეჭირა მისი თბილი, ოფლშემშრალი ხელი.

ეს იყო სულ.

მესამე წელია ირაკლი ჩემი ქმარია.

გადასარევი, ბუთქუნა, ერთი წლის სასწაული გოგო გვყავს – ფიფქია.

არავინ მითხრას, ბედისწერა არ არსებობსო.

აგვისტო, 2009.

ჩვენი პოვნა ძნელი არ არის

ჩემი პატრონი ავტობუსის ბოლო სავარძელზე მოკალათდა, საბელი მოკლეზე დაიჭირა და მითხრა:

– ბუკა, დაჯექი.

ფეხებს შორის იატაკზე მოვთავსდი.

საათზე მეტ ხანს ვიყანყალეთ.

ცნობისმოყვარე მგზავრთა მომაბეზრებელ შეკითხვებს („ხომ არ იკბინება?“ „რა ჯიშისაა?“, „რამდენი წლის არის?“), თავი რომ დავაღწიეთ, ჩემმა პატრონმა ჯაჭვი შემხსნა, უკანა კარიდან ჩამიშვა და მომაყოლა:

– ბუკა, მიხედე შენს თავს.

ასეთი რამ არასოდეს უთქვამს.

ჯერ იყო და ხუმრობა მეგონა, მაგრამ ავტობუსი რომ დაიძრა და ქალაქის განაპირას სიბნელემორეულ კორპუსებს მარტო შევრჩი, მივხვდი, საბოლოოდ გამწირეს.

ავტობუსს არ გამოვკიდებივარ, სულერთია, მაინც ვერ დავეწეოდი.

ჩემი პატრონისგან მასთან ერთად მეოთხე სართულზე სამწლიანი ცხოვრების შედეგად ყელსაბამი და ხელების ნაცნობი სუნიღა შემრჩა.

„სად წავიდე?“

„ღამე სად გავათიო?“

„რა ვჭამო?“

ყურებში ეს სამი კითხვა მიწუის და ქვაფენილიან ვიწრო ქუჩას აღმა მივუყვები.

არა ვარ არა, ნაწყენი ჩემს პატრონზე, მართალია, ჭირვეული ძაღლი არ ვიყავი და პრობლემებს არ ვუქმნიდი, მაგრამ იქნებ უბრალოდ მოვბეზრდი, ან ვერ მომიარა, დღეს ყველას თავისი თავი უჭირს. დღეში ერთხელ ხომ მაინც

უნდა გავეყვანე ქუჩაში, სასეირნოდ კი არა, ჩემი ძაღლური მოთხოვნილებების მოსაწესრიგებლად, იქნებ ვეღარ იცლის ჩემთვის... ახალი საზრუნავი გაუჩნდა, იქნებ დიდი ხნით მივლინებაში გზავნიან და ნაცნობებმა უარი უთხრეს „დატოვებაზე“... ერთი სიტყვით არ ვემდური, არა. იმისიც დიდი მადლობელი ვარ, რომ ეს სამი წელი მასთან მამყოფა, გამომზარდა და ადამიანური სითბო მაგრძნობინა.

მაგრამ აწი რაღა ვქნა, რა გზას ვეწიო?

სამიოდე ბოძს რომ გავცდი, ალვის ხესთან ღია ჭიშკარს ვკიდე თვალი და წამით შევჩერდი, იქაურობა მივყნოს-მოვყნოსე. მიყნოს-მოყნოსვა ეგრე არ უნდაო და სიბნელიდან რუხი ნაგაზი გამოვარდა.

არ დაუყეფავს, პირდაპირ მომვარდა.

დრუნჩი დრუნჩზე გვაქვს მიდებული და თვალებით ვზომავთ ერთმანეთს. ჩემი ტანისაა. ლაშებიდან სიბრაზის დორბლი გადმოსდის. ერთი სული აქვს მეცეს და დამკბინოს, მაგრამ ვერ ბედავს. ჩემი მცირე გამოცდილებით ვიცი, ამ დროს თუ უკან დაიხევ, კუდს ამოიძუებ და გაიქცევი, წასულია შენი საქმე.

კარგა ხნის შემდეგ თითქოსდა დავზავდით. ერთმანეთს მოვშორდით, ჩანს, შებმა ვერ გარისკა და არც მე მქონდა რკინება-ბღლაძუნის სურვილი. ვინ იცის, იქნებ ჩემმა ყელსაბამმაც შეაფიქრიანა. ეტყობა პატრონიანია და შარში არ გავეხვიოო. ასე იყო თუ ისე, ორთაბრძოლა არ შედგა. მაგრძნობინა კი, რომ აქ, ამ სიახლოვეს აღარ დაგინახო, წადი შენს გზაზეო.

ქუჩის ბოლოს გზა მარცხნივ უხვევდა. გზის გაღმა სასაფლაო იწყებოდა. სასაფლაო, რატომღაც ჩემთვის გაცილებით უსაფრთხო ადგილად მივიჩნიე, საფლავს და საფლავს შუა გასასვლელთან, რკინის გისოსებს შორის ორმო მოვძებნე და ის ღამე იქ გავათენე.

უამური დილაა. ცივა.

ჯერ ადამიანები არ აფუსფუსებულან. ბუხრის თავებიდან კვამლი არ მოდის.

სასაფლაოს მეორე მხრიდან მოვუარე და ასფალტიან ქუჩაზე დავეშვი.

ერთი მხრივ სახარბიელოა, აბა რა, თავისუფალი ხარ, ოთხ კედელში აღარ ხარ გამოკეტილი, სხვის სურვილზე დამოკიდებული, როდის დაეშვები კიბეებზე და რომელ სკვერში შეუხვ-შემოუხვევ, მაგრამ შენთვის ყოფნის ეს შეგრძნება უკვე გამიქარწყლა მიუსაფრობის, უპატრონობის საშინელმა სიმართლემ. უკან დევის ნაბიჯით მომდევს შიმშილით სიკვდილის დაუნდობელი აჩრდილი.

თურმე, ამ ქალაქში, ქალაქში კი არა მთელს დუნიაზე, ყველა ადგილი დაკავებულია.

შენ არავის სჭირდები, ყველასთვის ზედმეტი ხარ.

გაჩერდები მაღაზიასთან, იქნებ რომელიმე ღვთიანმადლიანმა პურის ყუა გამოიმეტოს შენთვის...

როგორ თუ აქ გაჩერდიო, გამოგენთებიან ძაღლები, აქ ჩვენც ვკმარვართო, თავი ჩვენც ძლივს გაგვაქვსო, არ დაგინახოთ ამ ტერიტორიაზე, თორემ მოგაჭამთ კანჭებსო... გამოგეკიდებიან და ქუჩის ბოლომდე გარბენინებენ.

ერთი პირობა იფიქრებ, ვეტყვი: რამ გაგამგელათ ასე, დამაყენეთ მეც თქვენთან, მეც ხომ თქვენი ჯიში ვარო, მაგრამ როგორც კი შენსკენ პირს იზამენ, მაშინვე იგრძნობ, ამათთან მოლაპარაკება ზედმეტია. ჩხუბს და გაჯიუტებასაც აზრი არა აქვს, დაგესევიან! მოგერევიან და მაინც თავისას გაიტანენ.

გახვალ სხვა ქუჩაზე, ჯერ შორიდან ზვერავ. იქნებ გაგიღიმოს ბედმა და უძაღლო ოჯახი იპოვო. თავი შეაცოდო, კუდი გაიქნიო, მოელაქუცო. შესახედავად არა მიშავს. მთელ ტანზე თეთრად, ყვითლად და წაბლისფრად ვარ დაფოთლილი, თავზე, დრუნჩს ზემოთ დიდი თეთრი ხალ-ნიშანი მაქვს, ესეც არ იყოს, ადამიანური წარსულის ნიშნად ყელსაბამი მიკეთია, ესეც ხომ რაღაცას ნიშნავს.

შეჩერებას და სახლის მითვალიერებ-მოთვალიერებას ვინღა გაცლის, იმ სახლში ძაღლის ჭაჭანებაც რომ არ იყოს, მეზობლის ძაღლი გამოგენთება. ეს ვინ ოხერია, საიდან შემოეხეტა, უეჭველია, ჩვენი მყუდრო ცხოვრების დარღვევა განუზრახავსო, შემოგზავნილია ვიღაცაა, ჰკა მაგასო! ჰკა მაგასო! და თავდაუზოგავად შემოგააფთრდება.

სხვა ძაღლები თავიანთი ეზოებიდან ბანს აძლევენ. არის ერთი ალიაქოთი, კბილთა ღრჭენა, ყეფა-გნიასი.

შენ კარგა შორს ხარ იმ ტერიტორიას გაცილებული და ძაღლები მაინც ჰყეფენ. ისე, ყოველშემთხვევისთვის... სხვების გასაგონადაც. აქაოდა, არავინ გაბედოს აქ მოახლოვებაო. არ გვჭირდება არავინ. ვკმარვართ ჩვენ ამ ტერიტორიაზე სიგრძითაც და სიგანითაცო.

საღამოსკენ ერთ მიწურს გადავაწყდი. სერმაისურიანი კაცი იჯდა კოინდარში დაბალ კველაზე. „ნწუ, ნწუო“, დამიძახა. შევჩერდი. ხელში არაფერი უჭირავს, რა უნდა, რისთვის მეძახის?

ახლობელი ძაღლიც არ ჩანს და აქ მომიყვანა ჩემმა ფეხმა-მეთქი. ვინ იცის, იქნებ ეს არის ჩემი ბედი.

„ნწუ, ნწუ“, „ნწუ!“

მომიახლოვდა, ყურებს შუა ხელი დამისვა.

ნეტარებისგან თვალები მივლულე,

ყელსაბამი შემხსნა და წადიო, მითხრა.

რაკიღა წასვლას არ ვაპირებდი, ჩემივე ყელსაბამი ისე გამეტებით მომიქნია და მდრუზა წელზე, რომ ტკივილისგან თვალები დამინაპერწკლდა.

გავიქეცი. რაღას ვიზამდი.

დაიჯერებ? ერთი კვირა ვიხეტიალე უპატრონოდ ქალაქში და ვერსად თუნდაც პაწაწინა ყურადღება, თავის მისადები ქვასასთუმალი და ობოლყურე ვერ აღმოვაჩინე. ლუკმაც არავინ მომიგდო. ავად დამამახსოვრდა დასაგლეჯად გამონთებული ჩემი მოძმეების ყეფა-წკავწკავი და მათი პატრონების მიერ გამეტებულად ნასროლი ჭოლოკი.

...ღმერთმა მაინც არ გამწირა მისი გაჩენილი.

ლისის ტბის ქვემოთ, უპატრონო ფერდობის გასწვრივ ნაგავსაყრელია.

სწორედ იქ, ნაგავსაყრელთან ვბინადრობთ მე და ჩემი თვისტომნი.

გაგვაქვს თავი.

ბედს არ ვემდურით-მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ სული კბილით აღარ გვიჭირავს.

შიმშილის ალქაჯი დაბმული გვყავს.

რაც მთავარია, აქ ერთმანეთს აღარ ვერჩით.

შეიძლება, გულზე არ გვეხატებოდეს ერთმანეთი, მაგრამ „შენ აქ რა გინდა და შენ საიდან გაჩნდის“ კბილთაღრეჯა ამ ტერიტორიისგან შორს არის.

ყოფილო პატრონებო!

თუ ოდესმე სინდისმა შეგაწუხოთ ჩვენს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, ან, უბრალოდ, მოგენატროთ, ჩვენი მოძებნა ძნელი საქმე არ არის!

აქ ვართ, ლისის ტბის ფერდობზე.

სექტემბერი, 2009.
თბილისი

ეძებეთ მანწკავა

ბოკერიას სახელობის სკვერში თუჯის ძველ სკამზე ვიჯექი და, რომ იტყვიან, თვალს წყალს ვალევინებდი.

პირდაპირ, ჭადრის ტოტიდან ყვავი ჩამომჩერებოდა.

თვალს დაჟინებით რომ გავუსწორებდი, უკმაყოფილოდ დაიჩხავლებდა, ნერვიულად შეტრიალდ-შემოტრიალდებოდა, ისე დამაცქერდებოდა, გეგონებოდათ ჩემს იქეთ გზა არ ჰქონდა და რომ არა ჩემი დარაჯობის მკაცრი მოვალეობა, სიამოვნებით გამეცლებოდა.

მალე სხვა ყვავი მოფრინდა და გვერდით მოუსკუპდა.

„ჩემს ყვავს“ მისკენ არც გაუხედავს. ერთიც დაიჩხავლა და გაფრინდა.

თავის ასაკთან შედარებით მჩატედ, მსუბუქად მიფრინავდა.

ასაკს ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ ჩემს ახალ მოყურადესთან შედარებით ტანად დიდი იყო და თუ არ ვცდები, ნისკარტიც უფრო გრძელი ჰქონდა.

ახლა ამ ახალმა დამიწყო თვალიერება.

თუ გამოგიცდიათ, ნაცნობი გარემოსგან, ნაცნობი სურათებისგან გადაღლა?

ღმერთო, როგორ გავატარე ამ პატარა ქალაქში ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე. როგორ არ ბეზრდებათ ჩემს მეზობლებს ერთი და იგივე: გულის გამაწვრილებელი, გრძელი წვიმა, ყვითელი ფოთლებით დაფარული შუკა, ნაცრისფერ სერზე ძველთაძველი ოხვამეს ნანგრევები და აბეზარი ყვავები.

კიდევ კარგი, ხვალ დილით ავიკრავ ბარგს და დავბრუნდები მაცდურ, მოღალატე, კალეიდოსკოპივით ნიადაგ მბრუნავ და მაინც ანდამატიან თბილისში.

ორი კვირაა, რაც ვასო ინჯიასთან არჩევნები წავაგე.

„გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, გადმომაგდო, მბრიგა ძირსაო“ ანდაზა რომ ამბობს, ზუსტად ისე მომივიდა.

შენაო, პოპულარული ხარო, ხალხს უყვარხარო, შემაგულიანეს, ვასო ინჯია კოჭებამდე ვერ მოგწვდებაო! შენისთანა ხალხი უნდა იყოს პარლამენტში, რომ ქვეყანას ეშველოს, არ თქვა უარი, ჩვენ გვერდით დაგიდგებითო.

ვის ეჭიდავებიო, მეუბნებოდნენ მეორენი, ვასოს მმართველ პარტიაში აქვს თავი შერგული. იმ ჭკუაზეა ხელისუფლება, რომ შენ, მაქსიმე კვირტია გაგიყვანოს მაჟორიტარადო. მართლა ხომ არ გგონია, რომ ნამდვილი არჩევნები ჩატარდებაო.

როგორც გაირკვა, მეორენი მართალნი იყვნენ.

რა ვქნა ახლა, თავს ხომ არ მოვიკლავ.

სპეციალურად ვერ მივალ და თუ შემთხვევით სადმე გადავეყარე, მივულოცავ ჩემს მეტოქეს „გამარჯვებას“.

– ოჰ! ნატვრის ასრულება ჰქვია ამას, აბა რა არი, ათ დღეზე მეტი იქნება გეძებ და არ გნახე. თბილისშიაო, მითხრეს, ახლა უნდა მოგილოცო საფუძვლიანად. ჩემზე მეტად არავის არ გაეხარდებოდა, თქვენი დეპუტატობა.

თქვენნაირი საქმის კაცი გვინდა, თორემ ლაილაის მოუკვდა პატრონი.

გითხრა სიმართლე, თავიდან მე მაქსიმეს მხარეს ვიყავი, მაქსიმე ცუდი კაცი კი არაა, მაგრამ, რომ დავფიქრდი, რას გაუკეთებს მაქსიმე თვითონ გაღლეტილი ამ ისედაც გაღლეტილ რაიონს.

ერთი სიტყვით, გილოცავ, ბატონო ვასო და ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროს დეპუტატობა!

სიტყვა არ დამაძვრევინა, ძველი ძმაკაცივით გადამეხვია, მერე გვერდით მომიჯდა და ბედნიერი სახით მომაჩერდა.

მინდოდა მეთქვა, რომ ვასო ინჯია არ ვიყავი, მაგრამ რაღაც ეშმაკი შემიჩნდა, ილაპარაკოს, ჭია გაახაროს, ვინ იცის, რისი თქმა უნდა-მეთქი.

– სულ მაინტერესებდა, მაინც როგორ გავიმარჯვე. ისე... როგორც მითხრეს, მაქსიმესაც ბევრი მომხრე ჰყავდა.

ეს ინტრიგული კითხვა ჩავუგდე ყოველშემთხვევისთვის.

– სასწაული, მთლად სასწაული ყოფილა ეს არჩევნები. მე კუხუს საარჩევნო უბნის წევრი ვიყავი და თუ ტრაბახში არ ჩამომართმევ, მეც მიმიძღვის პატარა წვლილი შენს გამარჯვებაში. მარა, პატარა, სულ პატარა, მეტი არაფერი.

მე მეგონა, რაღაც ვიცოდი არჩევნების და სულ არ მცოდნია არაფერი.

რასაა ეს ხალხი რო ჩირთიფირთობს. აბა საარჩევნო აგიტაციაო, აბა ამომრჩევლის გადმობირებაო, აბა ფქვილის და შაქრის დარიგებაო, აბა ფულიო... ეს სისულელე ყოფილა ყველაფერი.

თქვენი წარმომადგენელი რომ იყო – მანწკავა, იმან ზეპირად იცოდა, რა უნდა გვექნა. ისე მოაწყო საქმე, წყალი არ გაუვიდოდა თქვენს არჩევანს.

დაგვიძახა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, აბა, როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნების მოგებაო, გვკითხა, ჩვენ ვუთხარით, რაც ვიცოდით, როგორც ვაკეთებდით ადრე.

ადრე როგორ აკეთებდით-მეთქი, მიამიტი კაცის სახით ვკითხე.

– ა, როგორც კეთდებოდა საერთოდ. „კარუსელი“ თუ რაღაცას ეძახიან. რომ შემოდის ერთი და წინასწარ შემოხაზულ ბიულეტენს რომ შემოიტანს, მერე იქ რომ სუფთა ბიულეტენს მისცემენ, იმას რო გარეთ გამოიტანს და სხვას მიცემს.

ამის გარდა-მეთქი, მე ვუთხარი, ჩვენ არჩევნების დამთავრების მერე პატარა ჩოჩქოლს ავტეხავდით, სინათლეს განგებ გავთიშავდით და გამზადებულ ბიულეტენებს ვყრიდით-მეთქი „იაშიკში“.

კიდო ის ვუთხარი ა, ყველამ რო იცის, ოქმების შეცვლა საბოლოო ოქმები რო შეიცვლება და „10“ მომხრეს „0“ რომ მიეწერება და 100 რო გამოდის მომხრე!

– კი, მაგრამ დამკვირვებლები ხომ არიან. ჩვენს დამკვირვებლებს რომ თავი გავანებოთ, უცხოელი დამკვირვებლები?

– კარგი რა, ბატონო ვასო, – გაიცინა – დამკვირვებლების ამბავი გაქვს?

დამკვირვებელი რას მიხვდება „კარუსელს“, დამკვირვებელი შემოვა, გაივლ-გამოივლის, შეხედავს რომ ხალხი ხმის მიცემითაა გართული და თავს აქნევს: „ოკეი“, „ოკეიო“, იძახის, გაიხურავს კარს და წავა სხვა უბნისკენ, მერე, სადილობისას, გრძელ პურ-მარილზე წაიყვანენ და ესაა სულ დამკვირვებელი.

იმას გეუბნებოდი, ბატონო ვასო, იმ თქვენმა მანწკავამ, სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ესო, რაც თქვენ მითხარითო, განვლილი ეტაპია ყველაფერიო. რისი ფული, რისი ფქვილი და რისი შაქარიო...

თხუთმეტი კაცი ვიჯექით იქ, ადგა, გაიარ-გამოიარა. მე მგონი, სანდო უნდა იყოთ ყველაო, გვითხრა.

ვისაც თავის თავში ეჭვი ეპარება, ადგეს და წავიდეს ახლავეო. მერე გვიან იქნებაო. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო, აქ თამაში არ შეიძლებაო. რასაკვირველია, თქვენ თქვენს ანაზღაურებას მიიღებთ, მაგრამ თუ ვინმე „ჩაშვებას“ შეეცდება, ჯერ ერთი, ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, ჩვენ მტკიცებულებას არ ვტოვებთ და მეორეც, თუ თავისი თავი არ ეცოდება, მე მგონია ცოლ-შვილს მაინც შეიცოდებსო.

ამოიღო ჩანთიდან ახალი საარჩევნო სიები და ახალთახალი პირადობის მოწმობები.

ა, წაიღეთ ეს და ამ სიით ჩაატარეთ არჩევნებიო. პირადობის მოწმობები არ დაარიგოთ, არჩევნები რომ დამთავრდება, ხმების დათვლის დროს, მერე ამის მიხედვით უნდა ჩავყაროთ ბიულეტენებიო.

წავიდ-წამოვედით ყველა. შეკითხვაც არავის დაუსვამს, რა იყო იქ შესაკითხი.

გულში ვფიქრობდი, ჩემთვის, ვინ მოიფიქრა-მეთქი ეს. ნობელის პრემია ეკუთვნის ამის მომფიქრებელს, აბა რა. ა, ერთი რო თავისი პირადობის მოწმობით მისცემს ხმას, ამოიღებენ იმ ბიულეტენს და აგერ არაა მეორე პირადობის მოწმობა? არაფერი არ იცვლება, არც ხელმოწერა და არაფერი. ყველაფერი რჩება ძველი. ის შემოსახაზავი ქაღალდი იცვლება მხოლოდ, შენ რო გგონია, მაქსიმე კვირტიას მივეცი ხმაო, სინამდვილეში ვასო ინჯიასთვის მიგიცია, ასე არის ეს. ახლა, საარჩევნო სიები?

გადაგვაყრევინეს სამი თვის განმავლობაში დღედაღამ კარდაკარ სიარულით შედგენილი სიები და მოგვცეს ახალი სიები.

თმა ყალყზე დამიდგა იმ სიებს რომ ჩავხედე. ვინ არ იყო შით. ოცდაათი წლის მკვდრები, ლუკმა-პურისთვის საზღვარგარეთ გაქცეულები... სამჯერ მეტი გვარი ეწერა ახალ სიებში, ძველ სიებთან შედარებით.

ერთი სიტყვით, ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და მეცინებოდა, რომ მეუბნებოდნენ: გუშინ მაქსიმე კვირტია აბედათში წინასაარჩევნო შეხვედრაზე გამოსულა და მაგარი, ცეცხლიანი სიტყვა უთქვამსო.

სიბრაზის ბურთი ყელში მომაწვა.

ახლა ამ საცოდავ კაცს რომ ჩხუბი დავუწყო სისულელეზე სისულელეა.

ასე უმწეოდ თავი არასოდეს მიგრძვნია.

წამოვდექი, ბოდიში, მაგვიანდება-მეთქი და ჩინარებისკენ გავაბიჯე.

მომსდევს.

ბატონო ვასო, ის თქვენი კაცი მანწკავა ველარსად ვიპოვეთ. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, აღარ ვიცი. ტელეფონები რომ დაგვირიგა, ის ტელეფონიც ტყვილი ყოფილა. ვიღაცა ხარგელიასგან უქირავებია ტელეფონი. ორასი ლარი მიუცია, ორი კვირით მათხოვეო. ის ხარგელია იძახის: მე არ ვიცი, ვინ იყო, მითხრა, მივლინებით ვარ ჩამოსულიო.

– ჩემგან რა გნებავთ? – ცოტა არ იყოს, მკაცრად ვკითხე.

– რა და... ფულს ვინ გადაგვიხდის, იმისი არ იყოს. კაცმა რო თქვას, ჩვენ, თხუთმეტმა კაცმა, ჩვენი საქმე გავაკეთეთ. პატარა სარისკო საქმე არ იყო ამის გაკეთება. ჩამოვწყდით იმ მანწკავას ძებნით.

გამეცინა.

– მიაკითხეთ ვასო ინჯიას და ის გაგარკვევს ყველაფერში. აგინაზღაურებენ თქვენს პატიოსან შრომას.

– აბა, თქვენ ვინ ხართ, პატივცემულო?!

– მე მაქსიმე კვირტია ვარ, ჩემო კარგო, კარგად იყავი.

...გასასვლელთან მოვიხედე. კეპი შუბლის ზემოთ აეწია, დოინჯი შემოეყარა და რაღაცას ბუტბუტებდა.

ჭადარს ავხედე.

ჩემი მოთვალთვალე შავნაცრისფერი ყვავი გაფრენილიყო.

დიდებული ანდაზა ამეკვიატა: „ყვავი ძვალს ჯერ კისერს დააზომებს და მერე ჩაყლაპავსო“.

ყვავმა თავისი ყვავური საქმე ხუთი თითივით იცის.

ფუჭად, უბრალოდ, ოდენ ფრთების საქნევად არ გაფრინდებოდა.

შინისკენ მიმავალს ზურგში ზამთრისპირის ხშირი, კოლხური წვიმა მცემდა.

3 ნოემბერი, 2009.
თბილისი

სანამ გახმაურდება

შორს, ჟანგისფერ კლდეებს შორის, მეწამული მზე გაჭედილიყო.

მნათობი ჩასვლას აგვიანებდა.

მისი, ბავშვის ნახატივით გრძელი და სწორი სხივი კარგახანია ვეღარ წვდებოდა ვერცხლურჯად აკრიალებულ მდინარე წიოს და მდინარის გასწვრივ გაშენებულ დაბა კირიას.

მზე მთელი თავისი ბრწყინვალებით მალე ალაგდებოდა ვულკანურ მთაკლდეთა წვეროებიდან და ათასი წლის დაბას ღამეს შეატოვებდა.

კირია ღვთისგან და ხელისუფლებიდან მიტოვებული დაბის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მას, რაიონულ ცენტრს ოცდათერთმეტი კილომეტრით დაშორებულს, კაცმა რომ თქვას, ხელს აძლევდა თავისთვის მყუდროდ, ურბანიზაციის კაკანათის გარეშე ცხოვრება.

კირიაში ტელევიზორი „ვერ იჭერდა“, ადგილობრივი გაზეთის ბოლო ნომერი ათი წლის წინათ გამოსულიყო, კომპიუტერიზაცია ჯერ არ დაწყებულიყო და თემსაბჭოს მოხუცი მდივანი განკარგულებებს ძველთაძველ გერმანულ (ოღონდ ქართულ შრიფტზე აწყობილ) ხელის მანქანაზე ბეჭდავდა.

2009 წლის 17 ივლისს საღამოისხანს, კირიაში, მელიტონ ქანთარაიას ქუჩაზე, მევახშე კალე გელაძის სახლს დაბის მთავარი მედავთრე სერგო დავლაძე მიადგა.

„მასპინძელოს“ პირველივე დაძახილზე ჭიშკართან შავწვეროსანი შუახნის კაცი მოვარდა.

– გადარეული ხარ, ვიღაცა ხარ! უნდა გაგიტეხოს კაცმა თავი! ვერ ხედავ? სახლს ცეცხლი ეკიდება. ერთ ვედრა წყალს მაინც მევიტანდი, ხო ხედავ ვიწვებით!

ყვირილზე მასპინძელი გამოვიდა.

– კუკაია! რამდენჯერ გითხარი, არ გამოხვიდე-თქვა! შედი სახლში! დოვუძახო ახლა ექიმს?! დოვუძახო?!

კუკა შებრუნდა და სანამ სახლში შევიდოდა, ერთხელაც მოიხედა:

– მაგას ფეხებზე კიდია, სხვისი სახლის დაწვა! საერთოდ ყველას ფეხებზე კიდია ყველაფერი.

– ვის ვუთხარი მე, შედი სახლში-თქვა. მევიდა ექიმი! შედი, დეიმალე, თვარა მევიდა ექიმი!

კუკა გაიქცა და კარი ღონიერად გამოუგდო, ურდულის ხმაზე ეტყობოდა, რომ შიგნიდან ჩარაზა.

– მობრძანდი, სერგო, – მასპინძელმა შუშაბანდში შეიპატიჟა, თეფშით კორკიმელი და პატარა, მწვანე მინის სურით არაყი გამოუტანა.

– არ დაასხა, არა, ვერ ვსვამ, კალე, – სტუმარმა მუცელზე ხელი მიირტყა. – არაფერი იმედია? სამზადისკენ გაიხედა.

– არაფერი. რაც დრო გადის, ვარესათ და ვარესათ ხდება. ღმერთს იმას ვუმადლი, კაცს რო არ ერჩის.

– რაზე მოუვიდა მაგი?

– ათი წლის წინ, ჩემდა ჭირათ, ამ სახლს რო ვხურავდით, დასიზმრებია რო, ვითომ, სახლს ცეცხლი წეეკიდა. შუაღამისას ატეხა ყვირილი: არიქა ვიწვით! ვიწვითო! სიზმრიდან ვერ გამევიდა და არი მას მერე ასთე!

– არა და რა კაი ბიჭია, ახლა რა ხნის არი?

– ორმოცის გახდა შარშან.

სერგომ კორკიმელი აიღო.

– ჩემთანაც ასე წვრილია, არ დავარგდა რაღაც წრეულს.

– ამინდები არ იყო, ხო ხედავ, სიმინდი რავა დაკოინდა. ტაროს გამომღებია მაგი აწი? ტყვილა არ შეწუხდებოდი შენ, სერგო...

– ჰოო... მინდოდა მეკითხა, ხო იცი, ვიზეც გული შემტკივა, ის გაგახსენდება ასეთ დროს.

– ა?

– რას შობი სახლისას, რას აპირებ საერთოდ?

– ვერ გევიგე?

– არ იცი, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე? ორ წელიწადში წყლით დეიფარება ე ჩვენი კირია.

– მეხუმრები ალბათ, სერგო, რას ჰქვია, წყლით დეიფარება.

– ნეტაი, სახუმაროთ მქონდეს საქმე. ქვევით საჩქეფელასთან კაშხალი უნდა გაკეთდესო და აქანა წყალსაცავი იქნება. წყლის ფსკერზე აღმოჩნდება რასაც ხედავ, ეს ყველაფერი ეგერ ე იმ მთის წვერსაც დაფარავს.

– მერე? ხალხი?! რას უშობიენ ამხელა დაბას?!

– ხალხს ოუნაზღაურებენ რაცხა ორ კაპიკს ერთი თვით ადრე, სანამ წყალს გამოუშობენ.

– რა წყალს?

– წიოს დააგუბებენ, რავა, გოუჭირდებათ?

– შენ ვინ გითხრა ეგ ამბავი?

– მევიდა გენგეგმაი: „სრულიად საიდუმლოდ“ აწერია. გამგებელს, კოტე ვერძაძეს უდევს უჯრაში.

– უყურებ შენ, სანამდე მივიდნენ? ხედავ შენ, რას შობიენ ეს გიჟები?

– თლათ ამგენს ნუ დააბრალებ. ამერიკის გეგმაა. ამერიკა აფინანსებს, ასე ვიცი მე.

– რო გავძალიანდეთ? უარი რო ვთქვათ ხალხმა?

– საუკუნის მშენებლობააო გეტყვიან და მორჩა. ახლა შენ რავა ფიქრობ, ამერიკა უკან დაიხევს, არიქა, სერგო დავლაძეს კეჟერა ფხალი აქვს დათესილი და ნათესები არ გავუფუჭოვო?

კალე გელაძემ ხავერდის ყავისფერ (ცოტა გახუნებულ) ფარდაგზე თითები ნერვიულად აათამაშა.

– როდის უნდა გამოუშვან წყალიო, რა გითხრა?

– ორ წელიწადში, ერთადერთი გამოსავალია, უნდა გავყიდოთ, რაც გაგვაჩნია. რასაც შეგაძლევენ უნდა გაყიდო. მთლად ტყვილად დაკარგვას, ასე სჯობია. სანამ გახმაურდებოდეს, მანამდე უნდა გეიყიდოს, რაც გასაყიდია.

– გენგეგმა ვისთანა�ო, რა მითხარი?

– გამგებელს აქვს – კოტე ვერძაძეს. მე არ მენდობი, შე კაი კაცო? გასაგებია კი, ამ დროს წყალწაღებული ხავსს ეჭიდება. მიდი ვერძაძესთან და კითხე საიდუმლოთ, ისე... არავინ გეიგოს. ჩემგან ნუ ეტყვი, თვარა სამსახურიდან გამაგდებს... მე შენ გითხარი, რავარც ჩემიანს, თვარა რა მრჯიდა. რა ხეირი მაქვს ამ საქმიდან.

●

...მთვარე კარგა ხნის ამოსული იყო, სერგო დავლაძემ ნიკოლო მიწიშვილის ქუჩაზე მაღალი, შავორნამენტებიანი რკინის ჭიშკრის მარცხენა მხარეს ზარის ღილაკს რომ თითი დააჭირა.

სამსართულიანი სახლის მანსარდზე, მეხამრიდის ქვემოთ, უზარმაზარი ბოლნისური ჯვარი ჩანდა.

კარი მოსამსახურემ გაუღო.

– ისვენებს, – მოწყენილი სახით აუწყა ეპოლეტებიანმა მოსამსახურემ სტუმარს, დაამთქნარა და პირზე ხელი სამჯერ მიირტყა.

კანონიერი ქურდი კახაბერ გალოგრე („შავი ავაზა“) იმხანად მარტო ცხოვრობდა. ქალიშვილი უფის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა და მეუღლეც, ბუნებრივია, მხოლოდშობილი ასულის გვერდით იყო.

– როგორმე უნდა მიმიღოს, აუცილებელი შეტყობინებით ვარ მოსული.

– აქამდე სად იყავით, დღეს თერთმეტ საათამდე მიღება ჰქონდა. არა აქვს უფლება დაისვენოს?

– ძინავს?

– ჯერ არ დაწოლილა, ფოსტას ათვალიერებს.

– უთხარი, გამგეობიდან სერგო დავლაძეა-თქო. მიმიღებს, საიდუმლო მაქვს სათქმელი.

– მე ვერ მეტყვით?

– ვერა, პირადად მას ეხება.

ათიოდე წუთში მთავარი მედავთრე გალოგრეს სასტუმრო ოთახში იჯდა და ლეონარდო დავინჩის საიდუმლო სერობას შესცქეროდა. მოეჩვენა, რომ ასლი ორიგინალზე უკეთესი იყო.

კანონიერმა ქურდმა დინჯად მოისმინა „მისი კეთილისმყოფელის“ საიდუმლო შეტყობინება, სულ რაღაც ორიოდე წელიწადში კირიას წყლით დაფარვის შესახებ.

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დიდხანს დასცქეროდა მძინარე დაბას.

წარმოიდგინა, როგორ ივსებოდა ნელ-ნელა მისი საყვარელი კირია წყლით, როგორ ტივტივებდნენ ვირთხებსა და ბატებს შორის დამხრჩვალი სიდედრები, კუბოსდარი ტყვიის სეიფები და ძველთაძველი „კადილაკები“.

როდის, როდის მოტრიალდა და უცნაური ამბის შემტყობინებელს არტახებიანი სიმშვიდით უთხრა:

– კარგი... შენ წადი, სერგო. მადლობელი ვარ... გავარკვევ რაღაც-რაღაცეებს. რა ვიცი... მთლად ასე რავა იქნება. ამხელა დაბის წყლით დაფარვა, რა თამაშია. აქ... მარტო მოსახლეობა კი არ არის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, პოლიციის ქვეგანყოფილებაა, დაბის მუნიციპალიტეტია, არქივია, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეკლესიაა. ეს ტაძარი იუნესკოს ყვითელ წიგნში აქვს შეტანილი. ასეც რომ არ იყოს, ღმერთი ხომ იყურება ზევიდან. ღმერთი დაუშვებს თავისი საყდრის წყლით დაფარვას?

– არ ვიცი... არ ვიცი – კარისკენ ლაპარაკ-ლაპარაკით წავიდა სერგო – კახაბერ ბატონო, სანამ კოტემ გენგეგმა არ მაჩვენა, არც მე მჯეროდა... ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი გითხარი... შენს მეტს რავა ვეტყვი ვინმეს, მარა შენ უნდა გცოდნოდა, არ ვარ სწორი? აწი შენ იცი, შენი საქმის. თუ კაცი ხარ, არ დამღუპო, ჩემ ნათქვამად ნუ ეტყვი ვერძაძეს. თვარა ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენება, სახელმწიფო საიდუმლოების გამხელაა და რვაწლიანი მუხლი უდგება. ციხეში ყურყუტი მინდა მე ამ გაწამაწიის დროს?

– მაგის ფიქრი ნუ გაქვს... მე ჩემი არხებით დავაზუსტებ მაგ ამბავს.. მადლობელი ვარ.

კანონიერი ქურდის საძინებელ ოთახში მთელი ღამე სინათლე ენთო.

გალოგრეს რული არ ეკარებოდა,

მოსამსახურე ხელების ფშვნეტით წინდაუკან დააბიჯებდა თავის სამფლობელოში.

ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა შეატყობინა ასეთი კანონიერ ქურდს ღამეულმა სტუმარმა, მაგრამ „ხაზეინები“ ისეთ საყველპურო საიდუმლოს, როგორიც გახლავთ დაბის დატბორვა, მოსამსახურეებს არ ანდობენ და, მე მგონი, სწორადაც იქცევიან.

2009 წლის 18 ივლისს გალოგრემ გამგებელი კოტე ვერძაძე თავისთან იხმო.

იმავე საღამოს დაბის თავი სამხრობაახალგადასულზე კონსპირაციის სრული დაცვით ეახლა კახაბერს.

– ხომ არავინ დაგინახა? – ჰკითხა გალოგრემ მის სამუშაო კაბინეტში შესულ ჩინოვნიკს და ყოველ შემთხვევისთვის ფარდები დაუშვა.

– მგონი, არა.

– ახალი ამბავი იცი, რასაკვირველია.

– ვინ გითხრა... ენას ამოვგლეჯ დავლაძეს. ხომ გავაფრთხილე, კრინტი არავისთან დაძრა-თქვა.

– „არავინ“ ვარ მეე? რავა შენ არ აპირებდი ამის თქმას?

– მე გეტყოდი თავის დროზე, რათ უნდა ლაპარაკი, მარა სერგოია დამთხვეული რავა უნდა წამიხტეს წინ.

– ვინ ოხერია სერგოია. სერგოიას მივიღებდი და მოვუსმენდი მეე? თუ სიმართლე გინდა, მე ერთი კვირის წინ ვიცოდი ეს ამბავი, მარა შენ გელოდებოდი.

– აგაშენა ღმერთმა, ჩემზე ადრე გცოდნია.

– დამირეკეს სახელმწიფო კანცელარიიდან. ასე და ასეა საქმეო. მიხედე შენს თავსო.

– რავარი მისახედია. მარტო მე და შენ ხომ არა ვართ. ამხელა დაბა. საქმეებია, სამსახურებია. ჯერ მარტო კატა და ძაღლი რამდენია, იმგენს რას უშობი?

– მინდოდა შენთან მოლაპარაკება, სანამ თლათ ზევით დავაყენებდე საკითხს.

– ტყვილად გაინძრევი და ხალხსაც ტყვილად დეივალებ. გუშინ ჩამევედი თბილისიდან. არაფერი ამ საქმეს აღარ უშველის. გაეროს და ევროკავშირის დამტკიცებული გენგეგმაა. ამერიკა აფინანსებს, ობამა საქმის კურსშია. ა, ნახე თუ გინდა.

გამგებელმა ჯიბიდან პაპირუსის ქაღალდზე უფრო თხელი "კაპიროვკის" ფურცელი ამოიღო. ნახაზი რთული „წასაკითხი" არ გახლდათ. მრგვალად შემოხაზულ წრეს ინგლისურად „ვოტა" – (წყალი) ეწერა, ხოლო გეგმას ასევე ინგლისური ბეჭდური ასოებით „კირია". გენგეგმას ქვემოთ შვიდი მრგვალი და ორი ოვალური ბეჭედი მკრთალად აჩნდა. ალბათ ასლის მრავალგზისი გადაღების ბრალი იყო. გეგმისთვის თავში გაკრული ხელით რატომღაც რუსულად წაეწერათ: „სოვერშენნო სეკრეტნო".

კოტე ვერძაძემ ოდენ თვალი გადაავლებინა ნახაზისთვის მასპინძელს, როგორც გაშალა, ისე სწრაფადვე დაკეცა, მიიხედ-მოიხედა და ჯიბეში ჩაიდო.

– ეს შენი მოსამსახურე ხომ სანდოა?

გალოგრემ არაფერი უფასუხა. ჯერ ერთი მოსამსახურე ეზოში იჯდა და ფშუტე უნაბს ხის დიდი გობიდან ცელოფნის პარკში ჰყრიდა, ესეც არ იყოს, ეგლა აკლდა გალოგრეს, მოსამსახურე სანდო არ ყოფილიყო.

– აბა გადაწურული აქვს წყალი ამ საქმეს? – მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა სტუმარს მასპინძელმა.

– წყალი რომ გადაწურული იყოს, რა უჭირს – გაღიმება სცადა გამგებელმა, – რა გადაწურავს ამდენ წყალს. სანამ ეს ამბავი გახმაურდებოდეს, თავს უნდა ვუშველოთ. შენ რა გაქვს გადაწყვეტილი?

– ჯერ არაფერი.

– ერთი კვირაა ვიციო და რაღას ელოდები, შე კაცო. გაყიდე დროზე სახლი. სანამ ფასი აქვს, თვარა მერე, გაზეთები რო ხმაურს ატეხავენ თბილისში, ჩალის ფასადაც არავინ იყიდის.

– ადვილი სათქმელია, ჯერ ერთი ამხელა დაბას მაყურებელი არ უნდა?

– საყურებელი, ჩემო კახაბერ, მალე არაფერი დარჩება. რას ვიზამთ ახლა... რო შველოდეს რამე ამ საქმეს ვინ მამაძაღლი... პუტინიდან რომ მოდიოდეს, კიდო რაცხას მოვახერხებდით, მარა ობამასთან ვინ მიგვიშვებს მე და შენ.

– შენ რას მირჩევდი?

– გაყიდე სახლი და გადადი თბილისში.

– თბილისში რა მინდა. თბილისში ძაან იყვირებს ჩემი ქონება და პოლიციის სამიზნე გავხდები. ისევ უფაში წავალ, მირჩევნია, ბოვშს მაინც მივხედავ და მშვიდათ მაინც ვიცხოვრებ, მერე ვნახოთ... რა იქნება.

– არაა ეგ ცუდი აზრი, ხომ იცი შენ...

მთვარე მეხამრიდს ერთი მტკაველით იყო აცილებული, როცა გამგებელმა კოტე ვერძაძემ კანონიერ ქურდს მწუხრი მშვიდობისა უსურვა და ქუჩაში გამოსულმა მოსამსახურეს ხელიც კი ჩამოართვა.

გამგებლის ხელის ჩამორთმევა მოსამსახურეს არ გაკვირვებია. მას დიდი ხანია ამ სახლში აღარაფერი უკვირდა.

●

დაბა კირიაში უჩვეულო ამბავი მოხდა:

2009 წლის აგვისტოში 29 სახლი გაიყიდა.

ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, 28-ჯერ აღემატება 1913 წლის მაჩვენებელს.

შოკისმომგვრელი იყო ის გარემოებაც, რომ სახლების ფასი შემაძრწუნებლად დაეცა.

მოქალაქენი სახლს ეზოიან-გარაჟიანად და იხვებიან-მტრედებიანად ჰყიდდნენ, თანაც ასე მოულოდნელად დაბიდან აყრისა და სხვაგან გადაბარგების მიზეზს არ ასახელებდნენ.

ზოგი ამას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით ხსნიდა, ზოგი კი ფულის მოსალოდნელი (მაგრამ სრულიად აუხსნელი) ინფლაციით.

●

„მცხოვრები კენგურუს ქ. 35, დაბა კირიას მთავარი მედავთრის სერგო დავლაძის ჩვენება:

მოგახსენებთ, რომ ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი დაბის ჯერ რიგით. შემდეგ, 2004 წლიდან მთავარ მედავთრედ.

ადრე ნასამართლევი არ ვყოფილვარ. ადმინისტრაციული სასჯელიც არასდროს მიმიღია.

მიმდინარე წლის 10 ივლისს, პარასკევს, დამიბარა გამგებელმა კოტე ვერძაძემ და შემომთავაზა საეჭვო საქმიანობის მოქალაქეებისგან (მევახშე, ქურდი, აბორტმახერი, ბიოდენებით მკურნალი, მარჩიელი, თმის ამომყვანი წამლების დამამზადებელი, ყალბი ატესტატებით მოვაჭრე, აზარტული თამაშებით ხალხის მყვლეფავი...) დაბის გაწმენდის მიზნით (რაკიღა ზემოთჩამოთვლილი პირების წინააღმდეგ პოლიცია ვერაფერს ხდებოდა) ასეთი ღონისძიება ჩაგვეტარებინა: მე უნდა ჩამომევლო ქალაქის უმეტესობისთვის არასასურველი ამ ადამიანებისთვის და საიდუმლოდ გამეფრთხილებინა ისინი, რომ, თითქოს ორი წლის შემდეგ, მოსალოდნელი კაშხალის მშენებლობის გამო, დაბა კირიას წყალი დაფარავდა და მერჩია მათთვის, სანამ გვიან არ იყო, გაეყიდათ სახლ-კარი და სხვაგან გადაბარგებულიყვნენ.

შევადგინეთ ყალბი გენგეგმა და შევუდექით საქმეს. ვინც დაეჭვდებოდა, გავაგზავნიდი გამგებელთან, კოტე ვერძაძე მას დიდი ჭოჭმანის შემდეგ უჩვენებდა „ამერიკის სახელმ-

წიფო დეპარტამენტის“ მიერ დამტკიცებულ „გეგმას“, რასაც მისი აზრით, „ვერავინ და ვეღარაფერი ვეღარ შეცვლიდა“.

ჩემს მიერ გაფრთხილებული ოცდაათი კაციდან ოცდაცხრამ გაყიდა სახლები და წავიდა, ოცდამეათემ კი – თმის ამომყვანი „წაბლის“ სპეციალისტმა თავის სტუდენტ შვილს (დაუსწრებლად სწავლობს ნოვოჩერკასკში მეცხრე წელია) გაანდო საიდუმლო. 28 აგვისტოს დაბაში დაიწყო ახალგაზრდების საპროტესტო მიტინგები ტრანსპარანტებით. „ხელები შორს კირიისაგან“, „უარი დაბის წყლით დაფარვას“, „გადავარჩინოთ ისტორიული დაბა“, „გვიშველეთ!“.

30 აგვისტოს დაგვაპატიმრეს.

მართალია, იდეა გამგებლისგან იყო წამოსული, მაგრამ კოტე ვერძაძემ ამ საქმეში მე კი არ ჩამითრია, არამედ ჩემი სურვილით დავთანხმდი. არავითარი სამსახურეობრივი ზეწოლა ჩემზე არ განხორციელებულა.

გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ჩვენ ამ ოპერაციას უანგაროდ ვახორციელებდით და ამისგან არავითარი სარგებელი არ მიგვიღია, ღონისძიებას ვატარებდით სამუშაო საათების დასრულების შემდეგ“.

●

სასამართლოს დიდხანს არ უმსჯელია.

ვერძაძე და დავლაძე სხდომის პირველ დღეს გაამართლეს და დარბაზიდანვე გაათავისუფლეს ყოველგვარი საპროცესო გარიგების გარეშე.

ნოემბერი, 2009 წელი.
თბილისი

ქვეცის მონასტერი

დაბა ხვანცალაურის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, ლევან კვირიკაძეს, რაც კომუნისტური წყობილება გაუქმდა, ბავშვები წელიწადში ერთხელ დაჰყავდა ექსკურსიაზე და მხოლოდ და მხოლოდ ერთი მარშრუტით: ხვანცალაური – ქვეცის მონასტერი – ხვანცალაური.

მეცხრე საუკუნის ქვეცის მონასტერი დაბიდან სულ რაღაც ჩვიდმეტი კილომეტრით იყო დაშორებული და ლევანს ექსკურსანტები ფეხით მიჰყავდა. მერვე კლასის დამრიგებელი გახლდათ კვირიკაძე და მერვე კლასის ზევით ხომ ყოველ მოსწავლეს ჰქონდა ნანახი ქვეცის მონასტერი. ქვედა კლასელებმაც უკვე იცოდნენ, რომ მერვე კლასში ქვეცის მონასტერი უნდა ენახათ.

რაკიღა დრო ფრიად მკაცრი და ეკონომიური იყო, ხოლო სკოლას საექსკურსიოდ ავტობუსის დასაქირავებელი ფული კი არა, ცარცის შესაძენი თანხაც არ გააჩნდა, ამ არც თუ უბრალო მიზეზის გამო ლევანს ქვეცში მოსწავლეები, როგორც მოგახსენეთ, ფეხით დაჰყავდა.

19... წლის 5 ოქტომბერს ლევან კვირიკაძემ თავისი მოწაფეებით მდინარე ძახილას ბონდის ხიდი რომ გადაიარა და ქვეცის მონასტერს თვალი ჰკიდა, პირკატა ეცა. მონასტერს სახურავი აღარ ჰქონდა. ლევანი მიჩვეული იყო ქვეცის გუმბათზე სპილენძის ლაპლაპს და მონასტერი ჩაჟამებული რომ დახვდა, ბავშვებს მიუბრუნდა:

– ბავშვებო, თვალი ხომ არ მატყუებს, შეხედეთ ერთი, სახურავი მართლა გადამძვრალი აქვს?

ბავშვებმა დაუდასტურეს ეჭვი ისტორიის მასწავლებელს.

მდუმარედ მიადგნენ მონასტრის ეზოს.

გამოღიავებულ ჭიშკართან ნაბდისქუდიანი გლეხი იდგა ხელებდაჭდეული.

– ვინ ქნა ეს? – ჰკითხა მასწავლებელმა.

– რა ვიცი, ბატონო, ამ დილას თხები გამოვრეკე აქეთ და ასე დამხვდა. ქე მქონდა ეჭვი, ამ მშიერ დროში ამ სპილენძს ვინ დატოვებს, მეიპარავენ–თქვა და ა, ასე აგიხდეთ ყოლიფერი კაი.

– კი მარა, ათასი წელი არავის მოსვლია აზრად ქვეცისთვის სახურავი ჩამოეგლიჯა. რა მტერმა არ გაიარა ამ ბარობაზე, რა გაჭირვებული არ ვყოფილვართ და ახლა მოიპარეს მაინცდამაინც? – გამშრალი ხმა ჰქონდა მასწავლებელს.

– ამას კაცი არ იზამდა. ხვადაგია ამის ჩამდენი, – ტალახიან წაღებს დასცქეროდა გლეხი.

ექსკურსიამ პანაშვიდური განწყობილებით ჩაიარა და საღამომოახლოვებულზე შინისკენ გამოსწიეს.

ასე არასოდეს გასჭირვებია ამ, სულ რაღაც სამსაათიანი, გზის გამოვლა. სამოცსმიტანებულ კაცს გულისცემა ასე ძალუმად არასოდეს უგრძვნია. ხიდზე რომ შედგა, მოეჩვენა, რომ ხიდმა რწევა დაიწყო და საცაა გადავარდებოდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. გაჩერდა, თავჯვრიანი იმერული ფაფანაკი მოიხადა და შუბლსახე შეიწმინდა. უკან მოიხედა.

– ბეშკენაძე, შემაშველე ხელი, ვერ ვარ რაღაცა კარგად.

ბეშკენაძე გვერდით ამოუდგა. მარჯვენაზე ხელი მოჰკიდა და მხარზე გადაიდო.

– არ შეგეშინდეს, მასწავლებელო, დამეყრდენი.

– შიშით მე, კაი ხანია, აღარაფრის მეშინია, მარა არ ველოდი, თუ აქამდე მივიდოდით. ჩემთან რომ მოსულიყო, დამბაჩით თავზე დამდგომოდა და უკანასკნელი კაპიკი წაერთმია, ისე არ მეწყინებოდა. ეს რამ მოაფიქრა. ათასი წლის წინ გადახურა, შე არაკაცო, შენმა წინაპარმა და შენ მოხადე თავი ახლა აგერ, ათასი წლის მერე? არც ღმერთის გეშინია და არც კაცის?

ბავშვები სახლებში გაუშვა და პირდაპირ პოლიციას მიადგა.

ვიცითო, პოლიციის უფროსმა უთქმელიძემ, ოთხი დღისწინანდელი ამბავიაო. ღამითაა გაკეთებული ეგ საქმეო. ასე სუფთად როგორ გადახადეს სპილენძი, რომ ჩქამიც არავის გაუგიაო. მანქანა ზევიდანაა ჩამოსული და უკანაც ზევიდან, სოფლის მხარაქცევითაა ტრასაზე გასულიო. ძაღლმა მაგისტრალამდე მიგვიყვანა, მარა ასფალტზე, მოგეხსენება, ვერ მუშაობს ძაღლიო. ნუ გეშინია, ბატონო ლევან, ვერსად წაგვივა, თვითონ ქურდი რომც დაგვემალოს, სპილენძი მაინც იჩენს თავს დღეს თუ ხვალ სადმეო.

დღე დღეს მისდევდა. ეძებდა თუ არა ბოროტმოქმედს პოლიცია, ლევანი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. გაკვირვებით კი უკვირდა, ეს მშობლიური პოლიცია, ასი თვალის და ასი ყურის პატრონი, ყველაფერს ათიანზე რომ იძიებს, დანაშაულს გამოუაშკარავებელს არ უშვებს, რაღა ამ საქმეზე წაბორძიკდა მაინცდამაინცო.

ლევანმა მოსვენება დაკარგა. ყოველღამე ესიზმრებოდა ლეჩაქმოხდილი ქვეცის მონასტერი. ათასი წელი არ დაცემულა წვიმის წვეთი ქვეცის კედლებზე, ახლა კი უმოწყალოდ აწვიმდა მოშვლეპილ გუმბათს და ბებერ კედლებს კი არა მხოლოდ, აწვიმდა საკურთხეველს, ულამაზეს ფრესკებს რეცხავდა წვიმა და გრანიტის ფილაქანზე გროვდებოდა. მონასტერი შველას ითხოვდა.

შუაღამისას გაეღვიძებოდა ძილგამტყდარ ლევანს და საწოლზე წამომჯდარი, ავი ფიქრებისგან გაწამებული ჭერს ასცქეროდა: „ღმერთო, რანაირად დაუშვი ეს ამბავი. ქვეცა ხომ შენი სახლია. რატომ არ გაუხმე მარჯვენა იმ უკეთურებს, იქვე, იმ წუთშივე. მაპატიე, შეკითხვას რომ გიბედავ, მაგრამ ჩემსავით რამდენი კაცი იტანჯება იმ გარეწრების საქციელისგან, ხომ მოგეხსენება. ჩვენ რა შეგვიძლია. ყოველივე შენი ნებაა და, ადრე თუ გვიან, დამნაშავე თავისას მიიღებს, მა-

გრამ მანამდე ხომ შეიძლება, წვიმებმა ქვეცა ისე დააზიანოს, რომ აღდგენა გაჭირდეს. შენით, უფალო, შენ შეგვინდე, თუ რამე შევცოდეთ ჩვენ, მრევლმა. გვაპატიე დანაშაული და გვიხსენი ამ განსაცდელისგან“.

ჯერ რაიონულმა გაზეთმა „წინსვლამ“, მერე დედაქალაქის გაზეთებმა გულისდამწველი წერილები გამოაქვეყნეს ქვეცის მონასტრის გაძარცვის თაობაზე. ჟურნალისტები ძალიან შეწუხებულნი ჩანდნენ ამ „ვანდალური ფაქტის“ გამო, მაგრამ რაი მერე? ჟურნალისტის საქმიანობა ხომ ჩვენში შეწუხების იქეთ არ მიდის.

როგორ დავუკარგავ, პოლიციის უფროსი საქმის გამოძიებით მონდომებული იყო. ჯერ მონასტერზე სადღეღამისო მორიგეობა დააწესა, მერე მაღალი ძაბვის ბოძებზე განცხადებები გააკრა: „ვინც ქვეცის ბანდიტების დაპატიმრებაში, ან სპილენძის სახურავის პოვნაში დაგვეხმარება 10 000 ლარით დასაჩუქრდებაო. ბოლოს სოფლის ყრილობა მოიწვია და მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა:

ამის ჩამდენ უკეთურ კაცს გული არა აქვსო. რამ შეაძულა ასე თავისი მამა–პაპაო. მამა–პაპას რომ თავი გავანებო, ტაძრის ხელყოფა ხომ საშვილიშვილო ცოდვაა, რომელსაც ვერც თვითონ და ვერც მისი შთამომავლობა ვერსად გაექცევაო. გადამთიელი არ მოვიდოდა იმ სპილენძის მოსაპარავადო. ეს საქმე აქაური კაცის გაკეთებულიაო. ეჭვი გვაქვს რამდენიმე კაცზე, მარა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით ვერ გაგიმხელთო. მამაჩემსა აქვს ცხონება, დროა, გონს მოეგოს ამის ჩამდენი, ისევე ჩუმად და შუაღამისას, როგორც წეიღო, მოიტანოს და ეზოში დააწყოს სახურავის ფილებიო. ამით ცოტათი მაინც გამოისყიდის ჩადენილ ცოდვასო.

გავიდა თვეები, მაგრამ არც სოფლის კრებაზე უთქმელიძის გამოსვლის მერე უფიქრია ქურდს სპილენძის სახურავის დაბრუნება.

ამასობაში ლამის წელიწადი ჩათავდა.

პოლიციის მიერ ყაჩაღების დაჭერის იმედი რომ გადაეწურა, ლევან კვირიკაძემ გამგებელთან სიარულს მოუხშირა. ვიღუპებით, ღვთის სახლი ნადგურდება, შეიძლება გუმბათი ჩამოიქცეს, რაკი სპილენძს ვეღარ ვპოულობთ, ეგება სამარქაფოდ უბრალო თუნუქით მაინც გადავხუროთო.

გამგებელი ერთსა და იმავეს პასუხობდა: რაიონს ამის საშუალება ვინ მისცა. ჩვენს ბიუჯეტში სტიქიური უბედურების სალიკვიდაციოდ რომ ორი კაპიკია, ის ფული რომ ამ საქმეს მივახარჯო, მეორე დღესვე გამაგდებენ აქედანო.

ლევან–მასწავლებელი თბილისში ჩავიდა და რის ვაი–ვაგლახით კულტურის მინისტრთან შეაღწია.

მინისტრმა ყურადღებით (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა) მოუსმინა, მერე სათვალე მოიხსნა და მთხოვნელთაგან თავგაბეზრებული კაცის იერით უთხრა:

ბატონო, ქვეცის მონასტერი გამონაკლისი არ გეგონოთ, ასეთ დღეშია ათი მონასტრიდან რვაო. რესტავრაციის გრაფიკი უახლოესი სამი წლისთვის შედგენილი გვაქვს, სამი წლის მერე, გაძლევთ პირობას, მე თუ აქ ვიქენი, შევიტანთ სარესტავრაციო გეგმაში ქვეცის მონასტერსო, ეს გახლავთ ჩემი პასუხიო. რა ვქნა, ბატონო, მე ერთი ვარ და თქვენ ათასი, ყველას ვერ გაგწვდებითო.

მესმის ყველაფერი, მაგრამ იქნებ დროებით შიფერით მაინც გადაგვეხურა და ამით გადაგვერჩინა მონასტერიო, შეჰბედა ლევანმა.

მერე? საიდან მოვიტანო მე, ბატონო, შიფერის ფულიო, ისე „ალალად“ უპასუხა მინისტრმა, რომ მის გულწრფელობაში გულუბრყვილო კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა. არადა იგი სიამოვნებით აფინანსებდა ყოველდღიურად ათობით გასართობ სულელურ შოუს და მისი მოტლინკავ–მოტინგიცე მეგობრების ქვეყნისთვის თავისმომჭრელ საზღვარგარეთულ ვოიაჟებს, შიფერით გადახურვა ხომ თქვენც შეგიძლიათ მონ-

ასტრის გულშემატკივრებს, ყველაფერზე რომ მთავრობაში მოდიხართ, ასე როგორ შეიძლებაო. ლაპარაკი კარგი იცით ყველამ, მაგრამ საქმის გაკეთება არ გინდათ არც ერთსო.

რა ვქნათ ჩვენაო, ლევანმა.

რა ქნათ და შექმენით მონასტრის გადახურვის ფონდი, შეაგროვეთ ფული და გადახურეთ შიფერით ან ცინკით ქვეცის მონასტერიო, ურჩია მინისტრმა აბეზარ მთხოვნელს და სახეზე შეეტყო, რომ თავისი „აღმოჩენით“ კმაყოფილი დარჩა.

შინ დაბრუნებულმა ლევანმა თხუთმეტიოდე თანამოაზრეს თავი მოუყარა და მესამე დღეს დაბის პოლიციამ რეგისტრაციაში გაატარა „ქვეცის მონასტრის გადახურვის ფონდი“?

იქვე, პოლიციაშივე ურჩიეს ლევანს, ფულის ხელზე მიღება სახათაბალო საქმეა, ათას მითქმა–მოთქმას გამოიწვევს, რად გინდა შარში ჩაიგდო თავი, ბანკში ანგარიში გახსენი და იქ შეიტანოს ფული, ვისაც ქვეცის შველის სურვილი აქვსო.

ლევანი ასეც მოიქცა. მერე „წინსვლაშიც“ გამოაცხადა ანგარიშის ნომერი და ადგილობრივმა რადიომაც ორი გადაცემა მიუძღვნა ამ „პატრიოტულ წამოწყებას“.

ექვს თვეში ოთხი ათასი ლარი შეგროვდა. ეს თანხა სავსებით საკმარისი იყო შიფერით ქვეცის მონასტრის გადახურვისთვის.

ოთხშაბათი დღე იყო, ლევან კვირიკაძე ფონდის გამგეობის ორ წევრთან ერთად ბანკს რომ მიადგა ფულის გამოსატანად.

ფულს ვერ მოგცემთო, უპასუხეს.

რატომაო, იკითხეს შემცბარმა „ფონდელებმა“.

ანგარიში დაყადაღებულიაო.

რა მიზეზითო, მარცხენა ლოყა აუცახცახდა ლევანს.

მაგას კულტურის სამინისტროში გეტყვიანო.

მივიდნენ სამინისტროში, მაგრამ იქ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, რის ყადაღა, რა ყადაღა, ჩვენ ვინ მოგვცა ყადაღის დადების უფლებაო.

შეგვიშვით მინისტრთანო, სასოწარკვეთილმა ხვანცარაულელებმა.

გაირკვა, რომ მინისტრი კვირაში ხუთი დღე საზღვარგარეთაა და დარჩენილ ორ დღეს „საქმიან შეხვედრებს“ ანდომებს. ქვეცის მონასტრის ჭირვეულ გადამხურავებთან „უსაქმო“ შეხვედრისთვის მას დრო აღარ რჩება. ეგ კი არა, იმასაც გულით ნანობს, რომ ორი წლის წინ დაბის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მიიღო.

ილაჯგაწყვეტილი დაბელები ისევ ბანკს მიუბრუნდნენ:

იქნებ ჩვენი ანგარიშიდან შიფერის საფასური თქვენ გადაურიცხოთ მაღაზიასო.

რა გაუგებარი ხალხი ხართო, გაიკვირვა ბანკის თანამშრომელმა, რამდენჯერ უნდა აგიხსნათ, ფონდის ანგარიშს ყადაღა ადევსო.

ქვეცის გადახურვის ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, ლევან კვირიკაძემ სასამართლოს მიმართა.

სასამართლოში კი ნამდვილად იპოვის სამართალსო, გაიფიქრებს გულუბრყვილო მკითხველი.

სასამართლო ორ წელიწადს გაგრძელდა. იარა საქმემ სასამართლოდან სასამართლომდე. ბარე შვიდჯერ დატრიალდა მოჯადოებულ წრეზე. გამოიცვალა ოთხი მოსამართლე. აშკარა იყო, სასამართლო „ვირი ან ვირის პატრონის“ გზას ადგა. და ბოლოს ასეთი განაჩენი გამოიტანა: რაკიღა „ქვეცის გადახურვის ფონდს“, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს, არაკვალიფიციურობის გამო უფლება არა აქვს გადახუროს ისტორიული ძეგლი, ამიტომაც ქვეცის გადახურვის ფონდს შეუჩერდეს ანგარიში და დაევალოს სათანადო ორგანოებს (პირველი კულტურის სამინისტრო იყო ჩამონათვალში) საკითხის სათანადო შესწავლის შემდეგ დააყენონ საკითხი ფონდში არსებული თანხის მიზანშეწონილად გამოყენების შესახებო“.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ დაბა ხვანცალაურის მცხოვრებლებს დღისით–მზისით ყაჩაღურად წაართვეს გაძარცული მონასტრის გადასახურად კაპიკ–კაპიკ შეგროვილი ფული.

19... წლის 11 თებერვალს ქვეცის მონასტრის გუმბათი ჩაიქცა.

მონასტრის ირგვლივ შემოჯარულ ბოღმისაგან კრიჭაშეკრულ დაბელებს პირველი პოლიციის შეფი უთქმელიძე გამოეცხადა: „რა უმსგავსობაა, რა ხდება ქვეყანაზეო. მორწმუნეებს საკუთარი სახსრებით მონასტრის სახელდახელოდ გადახურვის ნება არ მისცესო. იმ ფულს რომ არამკითხე მამიდები არ დაპატრონებოდნენ, ეს უბედურება არ მოხდებოდაო“.

სწრაფად შეადგინა ელვა–რაპორტი პოლიციის უფროსმა, რამდენიმე „სამოქალაქო პირს“ (მათ შორის ლევან კვირიკაძეს) ხელი მოაწერინა და გაგზავნა სადაც ჯერ არს.

მაგრამ გაგზავნა კი? ესეც არავინ იცის.

●

ქვეცის გუმბათის ჩაქცევიდან ორი თვის თავზე პოლიციის უფროსი უთქმელიძე დააპატიმრეს.

ცენტრალურმა ტელევიზიებმა სიხარულით ამცნეს ქვეყანას, რომ „დაპატიმრებულია ქვეცის მონასტრის გამძარცველი, ადგილობრივი პოლიციის აწ უკვე ყოფილი უფროსი უთქმელიძე, რომელმაც ქვეცის მონასტერს სპილენძის სახურავი დანაშაულებივად გადააძრო და თურქეთში გაყიდა.

დამნაშავემ უკვე აღიარაო დანაშაული, სიხარულით დასძენდა სამთავრობო სატელევიზიო არხი.

საჩვენებელი სასამართლო დაბაში ჩატარდა.

სასამართლოს ლევან კვირიკაძეც ესწრებოდა.

მოსამართლემ უთქმელიძეს ორი წლით „თავისუფლების აღკვეთა“ მიუსაჯა.

მოსამართლეც კაი ჯიბგირიაო, ეუბნებოდა გზაში მეზობლებს ყველაზე და ყველაფერზე გულგატეხილი ლევან კვირიკაძე, რას ქვია ორი წელიწადი, ერთი ბუხანკა პურის მოპარვისათვისაც ორ წელიწადს აძლევენ და კაცმა ათასი წლის ღვთის სახლს რომ სახურავი გადახადა და წვიმა–დელგმის ანაბარა გაწირა, იმასაც ორი წელი ეკუთვნოდაო? მარა ღმერთი, მის სახელს ვენაცვალე, ღმერთი ხედავს ყველაფერს, ღმერთმა იცის თავისი საქმეო, დასძენდა კვირიკაძე.

ღმერთო შეგცოდე, ლევანს ყველა როდი ეთანხმებოდა.

ზოგი დაეჭვებული იყო, ზოგი კი ერთხელ და სამუდამოდ მიმხვდარი იყო, რომ უფალსაც უჭირდა ამ გზააბნეულ ქვეყანაში ცოდვა–მადლის გარკვევა.

12 აპრილი, 2011
თბილისი

„არა იპარო“...

ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე დავიბადე და სკოლის დამთავრებამდე, სანამ თბილისისკენ ვიზამდი პირს, იქ ვცხოვრობდი, მერვე შესახვევის ათ ნომერში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს მომრავლდა ქუთაისში ოთხ-ხუთსართულიანი სახლები, ამან ჩემს ქალაქს იერი ვერ შეუცვალა.

ქუთაისი ახლაც ერთსართულიანი ქალაქია; კრამიტით დახურული, აგურით ნაშენი კოხტა სახლებით, კოინდრიანი ეზოებით და ლურჯად შეღებილი რკინის ჭიშკრიდან სახლამდე მისასვლელი ერთმეტრიანი სიგანის მოხრეშილი ბილიკით, რომელსაც იქეთ-აქეთ ილინცურად ჩაჭედილი ნახევარაგურიანი „მოაჯირი“ (სულ 14 სანტიმეტრია) გასდევს. ისე, სილამაზისთვის, რასაკვირველია.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოა. ქუთაისი თავის განუმეორებელი კოლორიტით ცხოვრობს. მოდაშია არღნით და ეტლით ქეიფი, აწყვეტილი სტუმართმოყვარეობა, ბანტიანი გიტარა და, რა დასამალია, ძველბიჭური კანონები.

ნამეტანი გავრცელებულია ქურდბაცაცობა. უფრო პრესტიჟულ საქმედ ჯიბის ქურდობა ითვლება და, თუ თექვსმეტი წლის ყმაწვილს ჯერ არაფერი მოგიპარავს (არც მოსაპარავად ემზადები), ათვალწუნებით გიყურებენ ტოლსწორები და „დედას ბიჭის“ სამარცხვინო მეტსახელისთვის განწირული ხარ.

ჩვენს მეზობლად (ასე, მეოთხე-მეხუთე მოსახლედ) კბილის ექიმი გრიშა ჭანტურია ცხოვრობდა.

გრიშას ბიჭი – შოთა ჩემი კლასელი იყო.

რა დამავიწყებს 1955 წლის 11 აპრილია, სამშაბათი.

გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდა, სკოლიდან ერთად წამოვედით, გრიშას ეზოში დიდი ბჟოლის ქვეშ, სკამეიკაზე ჩამომსხდარი ხუთი-ექვსი კაცი და სამზად-ოდა სახლს შორის ქალების გაქცევ-გამოქცევა გვეცა თვალში.

მამაჩემს, რავარც ვხედავ, სტუმრები ჰყავს და დარჩი ცოტა ხანს, ღვინის ჩამოსხმაში წამეხმარეო, შოთამ და მეც სად მეჩქარებოდა.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, მივაგდეთ ტახტზე ჩანთები და ჩავერთეთ ორომტრიალში.

– აქვსენტის ბიჭო! – დამიძახა გრიშა ბიძიამ – ადი ერთი, თუ კაცი ხარ, და ნარდი ჩამოგვიტანე, ჩემს ოთახშია, პატარა მაგიდაზე.

ავირბინე. ნარდს რა პოვნა უნდოდა. ამოვიღლიავე, რომ გამოვდიოდი, წამით შევჩერდი, გრიშა ბიძიას საწერ მაგიდაზე სათვალე და მაჯის საათი იდო. „ბორმანქანას“ ფრთხილად ავუარე გვერდი, საათი ჯიბეში ჩავიცურე და გამოვედი.

ჩვენ, ბავშვებს, სუფრაზე ვინ დაგვსვამდა. მე და შოთამ ერთი ხაჭაპური გავქინჩეთ, ქათმის თითო ბარკალი გამოვისვით პირში, ღვინო მინის დოქებში ჩამოვასხით და წამოვედი.

საათი („პობედა“) სარდაფში ნახერხის ზვინის (ჩვენ ნახერხის ღუმელი გვქონდა) ქვეშ შევინახე და გაკვეთილებს მივუჯექი.

წესად მქონდა, გაკვეთილებს ადრე დავამზადებდი და საკონსერვო ქარხნის კლუბისკენ გავრბოდი. იქ ჩემი სკოლელი „კინომეხანიკი“ გრიშაია გიგატაძე კინოში უფასოდ მიშვებდა.

იმ დღეს – არაფერი, მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს, გვიან საღამოს მამაჩემი ცოტა შექეიფებულ-შეჭიკჭიკებული დაბრუნდა შინ.

კინოდან ახალდაბრუნებული ვარ, ფეხებს ვიბან და დასაწოლად ვემზადები.

იქეთ ოთახში დედაჩემი ჩემს უმცროს ძმებს (ოთხი ვიყავით სულ) აძინებს.

გაიმშრალე, რეზო, ფეხი. ჩაიცვი და გავიაროთ ვენახბოლოსკენ, საქმე მაქვს შენთანო, მამაჩემმა.

პირკატა მეცა. მივხვდი, რა საქმეც აქვს.

საერთოდ მამაჩემი იშვიათად მცემდა ხოლმე, მაგრამ ახლა უეჭველი მომიწევს გალახვა.

კორკიმელს რომ გავცდით, მომიბრუნდა.

– რა უყავი, ბიჭო, საათი?

– რა საათი?! – კითხვა შევუბრუნე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი ჩემი უმწეო მდგომარეობა! ხელის გაშლის მანძილზე ვუდგავარ – იქნებ პირველი მოქნევა ავიცილო.

– მიდი, გამოიტანე.

ხმა არ გამიცია. შევბრუნდი. სარდაფში ნახერხის ქვეშიდან ამოვჩხრიკე საათი და გავუწოდე.

გამომართვა და ჯიბეში ჩაიდო.

– წავიდეთ ახლა გრიშასთან.

როგორც ჩანს, ცემას არ მიპირებს. თუმცა, თუ ამას გრიშასთვის აქვს ნათქვამი, შენს თვალწინ გავლახავო, – უარესია. ვაი, სირცხვილო.

შევედით გრიშასთან.

რამ შეგაწუხათ, აქვსენტი ბატონოო, მისმა მეუღლემ კატუშამ.

არაფერი, ისეთი, ქალბატონო კატუშა, რეზოს კბილი აქვს მგონი გამოხრული და მინდა ჩემს გრიშას ვაჩვენოო, მამაჩემმა.

მოსაცდელში ვზივართ. მამაჩემი არაფერს მეუბნება. გრიშამ ავადმყოფი გაისტუმრა და შეგვიპატიჟა.

გრიშა და მამაჩემი სხედან. მე ვდგავარ (რა საოცარი ენა გვაქვს; კინაღამ „ფეხზე ვდგავარ“ დავწერე).

ხმას არავინ იღებს.

მამაჩემმა საათი ამოიღო და გრიშას მაგიდაზე დაუდო.

ისევ სიჩუმე. სიჩუმე მძიმე, აუტანელი.

– რა ვქნათ, გრიშა ბატონო? – მამაჩემს გამშრალი ხმა ჰქონდა.

– რა უნდა ვქნათ, ჩემო აქვსენტი, უნდა ვაპატიოთ, არაა რეზო გლახა ბიჭი.

წამოდგა გრიშა ბიძია, მომიახლოვდა და გულში ჩამიკრა.

– კარგი... რაკი შენ ასე ფიქრობ... ასე ვქნათ, ჩემო გრიშა, დანარჩენი რეზოს სინდისზე იყოს. მეც ბევრი ვიფიქრე, ხვარ გავლახავ ამხელა კაცს.

ხელი ღონივრად, უსიტყვოდ, ვაჟკაცურ-მეზობლურად ჩამოართვეს ერთმანეთს.

კიბეზე რო ჩავდიოდით, გრიშამ ჩამოგვძახა:

– რეზო!

ავირბინე.

– მიჩუქნია ეს საათი შენთვის. ოღონდ რავარც შევთანხმდით, აქვსენტი, ძმობას გაფიცებ ამის შესახებ არავინ არაფერი გაიგოს. არც შოთამ და არც – ქალბატონმა თინამ.

ჭიშკრამდე რომ მოვედით, მამაჩემმა შემაჩერა, თავისი გრძელი ლამაზთითება ხელები მხარზე დამადო და თვალებში ჩამხედა.

არც ამჯერად უთქვამს რამე.

თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ამ ამბის შემდეგაც ბევრჯერ მომიწია ყოფნამ ჭანტურიებისას.

შოთამ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა.

გრიშა ბიძია, თითქოსდა განგებ, ხშირად მაგზავნიდა „ზევით“ რაღაც-რაღაცეების ჩამოსატანად.

ეს იყო და ეს.

მშობელი

ისტორიაში ტირანების კი არა, ბრძენი, ქველი მეფეების დედებიც იშვიათად ჩანან.

ისტორიკოსი თავისი თხზულების შესავალში, ისე, სხვათა შორის ახსენებს ხელმწიფის მშობლებს და მერე, შეიძლება, თვითონაც დაავიწყდეს.

ისტორიისთვის ხომ უმთავრესი იმპერატორის ომები და მისი საიმპერატორო საქმეებია.

არა და ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ არავინ არის ადამიანთან ისე ახლოს, როგორც დედა.

დედისთვის ხომ ისტორიის შემბრუნებელი, ზღვათა და ხმელთა დამპყრობი, სისხლის კალოს გამლეწი, ათასობით მართალთა მარგილზე გამსმელი, სასწაულით გადარჩენილი და მათუსალას ასაკს მიღწეული ხელმწიფენიც კი, ბოლომდე ბავშვებად რჩებიან.

...პრეზიდენტი ხუთი ჯიპით მოვიდა.

შუა ჯიპიდან გადმოხტა, ხუთსართულიან სახლს ერთი ახედა და სირბილით შევარდა სადარბაზოში.

სამი მცველი მიჰყვა.

ერთი მათგანი სადარბაზოსთან გაჩერდა, მეორე ლიფტის ჯიხურთან, მესამე ლიფტში შეჰყვა.

ღილაკს თითი დააჭირა და აუშვა. ისევ დააჭირა და ისევ აუშვა.

– ვინ არის?

– მე ვარ, დედა, მე!

დედამ კარი გააღო და სანამ შვილს გადაეხვეოდა, მცველი შემოიპატიჟა:

– შემობრძანდით.

– გმადლობთ, ქალბატონო, აქ ვიქნები.

პრეზიდენტმა ჯერ დედას აკოცა, მერე ლანგარზე დაწყობილ კიტრს დაწვდა და ონკანს შეუშვირა.

– გარეცხილია, ბიჭო.

პრეზიდენტმა სასტუმრო ოთახში შეაბიჯა, სავარძელში ჩაეშვა და კიტრს ხრაშა-ხრუში აუტეხა.

– წყალი ხომ არ წყდება?

– არა.

– სხვა როგორა ხარ, დედიკო?

– რა ვიცი. ამ წნევებს ვერ ვუხერხებ ვერაფერს

– სანდრამ რომ ამერიკული წამლები გამოგიგზავნა?

– დავლიე. შველით როგორ არ მშველის. როცა ვსვამ, კარგად ვარ, მაგრამ სულ წამლის ქვეშ ხომ არ ვიქნები.

– მიდი ჩვენს კლინიკაში და გამოგიკვლევენ ერთხელ და სამუდამოდ. საიდან მოდის, რისი ბრალია.

– შენ როგორა ხარ?

– ვარ რა.

– ძილი როგორი გაქვს?

– როგორც ყოველთვის, დამეძინება გამეღვიძება, დამეძინება გამეღვიძება, თითქოს კეტი დამარტყა ვიღაცამ. უცებ წამომაგდებს ლოგინიდან. ვზივარ საწოლზე 5-6 წუთი. მერე ისევ დამეძინება.

– ხშირად?

– ღამეში ასე სამჯერ ან ოთხჯერ. როგორც ყოველთვის. ისე ჭამის მადა კარგი მაქვს.

– მოგიკვდა დედა. რასაც შენ დარბიხარ... ხანდახან შეგხედავ ტელევიზორში ისე გასუქებული ხარ, თვალები აღარ გიჩანს, ხანდახან უცებ გახდები. ვურეკავ სანდრას, სახის ფერი არ მომწონს-მეთქი, იცინის, ყველაფერი ნორმალურადაა, კარგად არისო.

დედამ სავარძელს შემოუარა და შვილს რბილ, დამყოლ თმებში ხელი შეუყო.

– სულ გათეთრდი, ბიჭო, ვის დაემსგავსე?

– შენ... შენ...

პრეზიდენტმა გაიცინა მოსხლეტილი, ჭახვინისებური სიცილით.

დედამ მარჯვენა მკლავი ნიკაპქვეშ ამოუდო, ყურზე აკოცა და მერე თმებში თბილი, დედური ჰაერი ჩაუბერა.

პრეზიდენტი გაიტრუნა.

– ჩემი შერეკილი ბიჭი.

– ჰო... ჰო... ნუ გარეკე შენებურად. ხომ არ გავიწყდება, რომ პრეზიდენტი ვარ.

– პრეზიდენტი შენ სხვებისთვის ხარ... და საერთოდ... შენ რომ არ გამჩენოდი, ასწლიანი ქალი ვიყავი... ვერაფერი მომერეოდა.

– რატომ, რა გაკლია, უბატონოდ ხმას გცემს ვინმე?

– ჩემს თავს რას დავეძებ, ბიჭო. შემჭამეს კოლეგებმა. რას ერჩოდი, უნივერსიტეტი რომ დააწიოკე.

– მე რა შუაში ვარ... ლომაიამ გააკეთა.

– მეც ასე ვამბობ, მაგრამ სიცილით კვდებიან, ვინ დამიჯერებს მაგას! რამ გათქმევინა, საქართველოში ორმოცსგადაშორებული ადამიანები აღარ მჭირდებაო.

– ეგ მე არ მითქვამს, მაგრამ საერთოდ ეგრეა.

– რა არი „ეგრე“, გამაგდე, აბა, მეც სამსახურიდან.

– შენ ვერავინ შეგეხება.

– მერე? ეგ არი შენი რეფორმა? დედაშენს ტოვებ და სხვებს პანღურისცემით ერეკები.

– დედა, რატომ არ გესმის? ერის ფსიქიკა უნდა შეიცვალოს. სხვა საქართველო უნდა მოვიდეს. ამას პწკენა-პწკენით ვერ გავაკეთებთ. რევოლუციის ტალღამ ძველი უნდა წალეკოს.

– რომელი რევოლუციის? კარგი, თუ ღმერთი გწამს. მე ხომ მაინც ვიცი, შვილო, რა რევოლუციაც იყო. მაჩვენე ერთი, რომელი რევოლუცია გეუბნება, ხალხს ყველაფერი გაუყიდე, ეროვნული ორიენტირები მოუსპე და მშიერი დატოვეო. ამ ძეგლებს მაინც რატომ დაეტაკე?

– დედა, კომუნისტური მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს!

– ილია ჭავჭავაძის და დავით აღმაშენებლის ძეგლის აღება რომელი კომუნისტური მენტალიტეტის აღმოფხვრაა და მოედნისთვის ზურაბ ჟვანიას და ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევა არ არის კომუნისტური მენტალიტეტი? რომელი კომუნისტები დავით აღმაშენებელი და ილია გყავდნენ.

– კარგი რა, დედა. შემოვალ თუ არა, მაშინვე ჩხუბს მიწყებ.

– მწერლები რატომ გამოყარე სასახლიდან. ბაბუაშენს, გრიგოლ აბაშიძეს რა პასუხს აძლევ.

– ყოფილიყვნენ ჭკვიანად და არავინ ერჩოდათ!

– რა ჭკვიანად... მწერლის ჭკვიანად ყოფნას რას ეძახი, ბიჭო, შენ?

– გითხრა ყველაფერი? შენც მშვენივრად იცი, რომ დღეს საქართველოში ათი გამოჩენილი მწერლიდან ცხრა დასაბმელ გიჟს მეძახის. გიჟი ვარ მეე? მითხარი ერთი, გიჟი ვარ?

დედამ გაიცინა.

– ნუ გააკეთებ ამნაირ სიგიჟეებს და გიჟს არავინ დაგიძახებს. ძეგლს ჭკუათმყოფელი დაეტაკება? იმისი არ იყოს, ფოტოგრაფები რომ დაიჭირე და ორ კვირაში გაგაშვებინეს. ვინც ფოტოგრაფების დაჭერა გირჩია, სწორედ ის იყო დასაჭერი. თავი მოგჭრა მაგ ფოტოგრაფების საქმემ.

– რა... ვერ დავუმტკიცეთ, თორემ არ იყვნენ დამნაშავეები? რა სურათები იბეჭდება გაზეთებში გინდა აქ და გინდა საზღვარგარეთ. ლამის ტუალეტში შემყვნენ და ლამის საბანი ამიწიონ და საწოლში შემოიხედონ.

– მერე? ფოტოგრაფი რა შუაშია. რატომ გავიწყდება ხანდახან, რომ პრეზიდენტი ხარ და არა მოარშიყე ლაველასი, არ გააკეთო სისულელე და არ გადაგიღებენ! ხომ ხედავ, იტალიის პრემიერს რას უშვებიან. რა გვარია?

– ბერლუსკონი. სასამართლოში აქვს საქმე.

– ხომ ნახე, რა უქნა სავალუტო ფონდის პრეზიდენტს დამლაგებელმა ქალმა. შენც გიჩივლებს ვიღაცა და ნახე მერე.

– მანამ არ აუდგეთ გვერდები. მიჩივლონ დამწვარ სუდში. მე ქალები, რომ იცოდე, აქეთ დამსდევენ. ეს განსხვავებაა.

პრეზიდენტმა ამ „ხუმრობას“ კვლავ მოაყოლა სიცილ-ჭიხვინი.

– იცინე, იცინე... ყოველთვის არ გეყოლება ასე მუჭში სასამართლო, აიღებს რომელიმე მოსამართლე თავზე ხელს და...

– და რას იზამს?

– აღარ დაგემორჩილება.

– არ დამემორჩილება და პანღური და მისი ჯანი.

– ნუ სარგებლობ იმით, რომ ხალხი პირქვე დამხობილი და დაცვედნებულია. ეგ შენი სიყოჩაღის ბრალი არ არის, ოპოზიციის დედლობის ბრალია და, საერთოდ, გაფრთხილ-დი, მითქვამს მე შენთვის.

– ვისი მეშინოდეს, შალიკოსი თუ ნინოსი? ხომ ხედავ, მათი დრო წავიდა. თავი თვითონ გაიბითურეს.

– ტელევიზიის ჩართვა მეშინია. აი, ახლა დაახეთქებს რა-მეს, აი, ახლა-მეთქი.

– რას ვახეთქებ?

– ხომ შეიძლება, სანამ რამეს იტყოდე, ცოტა რომ დაფიქრდე.

– რა ვთქვი ასეთი?!

– რამ გათქმევინა ჩინგიზ ხანი წყალტუბოს აბაზანებს ღებულობდა და არ მოუხდაო, ან უფრო დიდი სისულელე: დავით აღმაშენებელი ეკლესიაში, სინაგოგაში და მეჩეთში ლოცულობდაო.

– რა, არ ლოცულობდა?

– რას ჰქვია, ლოცულობდა, ბიჭო, ვერ ხვდები, რომ ამით დავით აღმაშენებლის მართლმორწმუნეობას ეჭვის ქვეშ აყენ-

ებ? სხვის რწმენას რომ დავითი პატივს სცემდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამი ღმერთი სწამდა? ცოტა თავი გაანძრიე.

– კარგი რა, დედა. ეგ შენ იცი, თორემ ვისაც ვუთხარი, არავის ეჭვი არ შეუტანია.

– არ კითხულობ, რასაც შენზე წერენ?

– არა... შენ კითხულობ?

– ვკითხულობ და გული მისკდება. აი, მარტო „ასავალ-დასავალი“ რომ წაიკითხო, მაშინ ნახე შენი ჭკუიდან აწევა.

– ხანდახან ტელევიზორს შევავლებ თვალს და ესეც მყოფნის... საერთოდ, იმ ვასიკო ოდიშვილს და ვანო ჯავახიშვილს, როცა იქნება, იმ ჭარტალა ენებს ამოვაცლი.

– მერე მაგით რა შეიცვლება? მაგათ ადგილზე სხვა ოდიშვილები და ჯავახიშვილები მოვლენ. ეგ არაფერი... სულ მინდოდა, მეკითხა, როგორ საქართველოს ააშენებ შენ, მიშიკო?

– ნორმალურს. რა, არ მოგწონს?

– გზები და ხიდები როგორ არ მომწონს. ბრმა უნდა იყოს კაცი ახალი თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, სიღნაღი, მესტია რომ არ გაეხარდეს, მაგრამ შენ გგონია, მარტო სასტუმროები, გზები და ტურისტებია საქართველო?

– აბა, სხვა რა არის?

– რა არის და ეროვნული ფენომენია. იცი შენ რა არის ეროვნული ფენომენი?

– მერე? მე რა, ვანგრევ ეროვნულ ფენომენს?

– როგორ არ ანგრევ, სამი წლის ბავშვს რომ ქართულს დაავიწყებ და ინგლისურ ჭიკჭიკს დააწყებინებ, მისგან ქართველი გაიზრდება? რას ჩამოყარე უცხოეთიდან ინგლისურის მასწავლებლები მაშინ, როცა ჩემი ყოფილი სტუდენტები, ინგლისურის სპეციალისტები უსაქმოდ სხედან. ეროვნული ფენომენის გაჩანაგება არ არის ხალხურ ხელოვნებას, ქართულ ადათ-წესებს, ქართულ კლასიკას პატივს რომ არ სცემ?

– ეგ ვიღამ გითხრა?

– ვის უნდა ეთქვა. შენ გგონია, ვერ ვხედავ, ყველა პატრიოტული ნაწარმოები რომ ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან?

– დედა, ყველაფერს მე მაბრალებ, არ შეიძლება ასე...

– შენ ხარ პრეზიდენტი, შვილო, სხვას ვის დავაბრალო. ხომ ხედავ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წამოგაძახებენ ხოლმე, უქართველო საქართველოს აშენებო.

– „წამომძახელები“ არ დაილევა. ეგ არაფერი, მაგრამ სხვას რა გავაგებინო, როცა შენც ვერ გაგებინებ; საქართველოს მხოლოდ ევრო-ამერიკული ინტეგრაცია გადაარჩენს. სხვა გზა არ არის. ჩვენ რომ ეროვნულ იზოლაციაში დავრჩეთ, როგორც შუა საუკუნეებში, იცოდე, საკუთარ წვენშივე ჩავიხრაკებით და საქართველოს გაქრობა მაშინ ნახე. ქვეყანამ თუ ამერიკას ფეხი არ აუწყო, არაფერი გადაგვარჩენს. აი, რას ვაკეთებ მე: პროვინციული საქართველო უნდა დამთავრდეს.

– შენ პროვინციულს რას ეძახი?

– იმას, რასაც შენ ეროვნულს უწოდებ.

– ესე იგი, ჩემი შვილი, შენ, დავითის და თამარის საქართველოს ანიავებ?

– დავითის და თამარის საქართველო კარგა ხანია განიავებულია. ჩვენ ტერიტორიებს თითქმის ვერ ვინარჩუნებთ, ქართული მენტალიტეტი კი, სულ მალე, წიგნებს და მუზეუმებსღა შერჩება.

– ეგ ღმერთმა ნუ ქნას, რა სისულელეს ლაპარაკობ, თავი არ დამაწყევლინო!

●

ეს საუბარი რომ შემდგარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომელიღაც ძალიან შორეულ საუკუნეში აბღჯილას ტომის ბელადსა და დედამისს შორის, მშობელი სახელოში დამალულ ხანჯალს იშიშვლებდა და... მოხდებოდა ის საშინელება, რით-

აც ისტორიკოსები გულუბრყვილო მკითხველს შეაძრწუნებენ ხოლმე.

... მაგრამ ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და ტრაგიკული ამბები მსგავს საუბარს, როგორც წესი, არ მოჰყვება ხოლმე.

პრეზიდენტი წამოხტა, დედა გადაკოცნა, სამზარეულოში შეირბინა, ორ კიტრს დაავლო ხელი და გარეთ რომ გავიდა, ერთი კიტრი მცველს გაუწოდა.

ასე კეთილი იყო პრეზიდენტი.

1 აგვისტო, 2011
თბილისი

თავების ჭრა ძნელი საქმეა

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან
რუსთაველი

საღათას ძილით შეპყრობილ, პირქვედამხობილ,
დაცვედნებულ-დამარცხებულ საქართველოს
ვუძღვნი

ავტორი

ამირა ყაყანმა გამოაღვიძა.

ფეიდიშის საწოლზე წამოჯდა, აქლემის ტყავის მოოქროვილ ქოშებში ფეხი წაჰყო და რომ წამოდგა, აბრეშუმის ყვითელი საწმერთული ჩაძვრა.

სიჩქარეში საწმერთულის ხვანჯარი ძლივს იპოვა, შეიკრა, ზარქაშიანი ხალათი მოიხურა, კარვის კალთა გადასწია და ქალაქს დააცქერდა.

ნოემბრისთვის უჩვეულო თბილი ამინდი იდგა.

მტკვარგაღმა გოგირდშერეული ნისლი ისე ეფინა სანახებს, თითქოს ოღრო–ჩოღრო ადგილების ამოვსებას ლამობსო.

ქვემოთ, ხიდთან, ხალხი სკასავით ირეოდა და ხმაურიც სწორედ იქედან მოდიოდა.

მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, მაგრამ რიბირაბოს ღამე უკვე დაემარცხებინა.

ხის მორებისგან გადებულ ხიდზე ადამიანთა გმინვა–გნიასი და ჩოჩქოლი ისმოდა.

შუა ხიდზე სამი ხმალშემართული არაბი გამალებით მუშაობდა: უზარმაზარ რიგში ცხვრებივით მდგარ თბილისელ მოქალაქეებს თავებს კვეთდნენ და მოჭრილ თავებს მტკვარში ისროდნენ, უთავო ტანებს კი მონისსამოსიანი კაცები ქვემოთ, მამაპაპური საძვალეებისკენ მიარბენინებდნენ.

ამირა შეზარა ამ სურათმა.

მორჩილება როგორ არ უნახავს, მაგრამ ასეთი?

ათასისთავი მომგვარეთო, გარეთ გამოსვლისას მსახურთა კარავს გასძახა და იქვე, ათიოდე ნაბიჯში, ნაბდიანი კაცივით წამომართულ ბაზალტის ლოდს მიადგა.

კარვისკაცი გამოჰყვა და გვერდით ამოუდგა.

– რა იყო, რას დაფეთდი, მოფსმას აღარ მაცლი? ხომ გითხარი, ათასისთავს მიხმე-მეთქი – ხვანჯრის ტკუტკუბირო ნასკვს ხელი ამოჰკრა და თავისი სხეულის ის ნაწილი ამოიღო, ურომლისოდაც შარდის დაღვრას და სხვა, სიცოცხლისთვის ასევე აუცილებელი ცერემონიალის შესრულებას განგების სურვილის შემთხვევაშიც კი მამაკაცთაგან ვერავინ მოახერხებს.

საქმეს რომ მორჩა, ხვანჯრის კვრით ატლასის საამირო კარავში დაბრუნდა და კარვის ფარდასთან მდგარ ათასისთავს შეუბღვირა.

– სად ხარ, აქამდე?

– წუხელის გვიანობამდე ჩამოვლაზე გახლდით, მბრძანებელო, და ჩამძინებოდა.

– ვის ჩამოუარე?

– გუშაგებს.

– ხომ გითხარი, ყარაული შეამცირე–მეთქი, რა საჭიროა ასე ახლო–ახლო დარაჯები, ვისი გეშინია?

– რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს, მბრძანებელო.

– გურჯები თავდასხმას ვერ გაბედავენ. მე ვიცი მაგათი ბუნება. რაკი ერთხელ დაეცნენ მუხლებზე, ათასი წელი პირქვედამხობილნი იქნებიან. მომკლა შენი გუშაგების გადაძახ–გადმოძახებამ მთელი ღამე. რა ხდება იქ, ხიდზე?

– თავების კვეთა მიმდინარეობს თქვენი ბრძანებისამებრ.

– ეგ გუშინდელი ხალხია?

– დიახ, ვინც ხატების ფეხით გათელვაზე უარი თქვა.

– მერე? მე ვთქვი, სამაგალითოდ ათ ურჩ ქართველს დააყრევინეთ თავები–მეთქი და თქვენ იქ რა სასაკლაო გაგიმართავთ?

– თვითონ მოდიან და რიგში დგებიან, მთელი ღამე მუშაობდნენ ჩვენი ბიჭები. დაწყდა ხალხი, ამდენი თავის მოკვეთა არ გინდა? ამ დროისთვის ექვსასი თავი მაინც ჩაცვივდა მტკვარში.

– მერე? ახლა თავების ჭრის თავი გვაქვს ამ ალიონზე? სადაცაა მუეძინი დაიწყებს, შეწყვიტეთ ახლავე და ცისკრის ლოცვის მერე გააგრძელეთ თუ მაინცდამაინც.

– მესმის, მბრძანებელო.

ათასისთავმა ოფლიან შუბლზე ჩამოცურებული ჩალმა შეისწორა და ხიდისკენ დაეშვა.

●

მოლა გაბმით და ტკბილად დიდხანს გალობდა.

მის ხმასთან ერთად ციურ სინათლედ ეღვრებოდა გაწამებულ ქალაქს ნარიყალადან ამოწვერილი მზის სხივები.

საჯალათო კუნძის გვერდით სამი ჩალმიანი არაბი დამხობილიყო და მხურვალე ლოცვას აღავლენდა ალაჰის მიმართ.

ორთაჭალის ბაღებამდე გაჭიმულიყო თავმოსაკვეთ გურჯთა რიგი.

დაპყრობილნი გარინდგაქვავებულიყვნენ.

გეგონებოდათ, მუეძინის ხმამ სიმშვიდე მოუტანაო ქვეყანას.

თითქოსდა არ არსებობდა არც არაბთა უღელი და არც საუკუნის სასაკლაო მტკვარზე.

საჯინიბოდ გადაკეთებულ ხანაგათაგან გამოყრილ დავრდომილთა სულთქმა–ვიშიც აღარ ისმოდა.

მოლამ გალობა რომ დაამთავრა, არაბებმა თავების კვეთა განაგრძეს.

თავსაკვეთი ვეებერთელა ნაჯახებით მუშაობა ერთობ ჭირდა.

ჯერ ერთი თავის მოკვეთისთანავე სისხლის შადრევანი ჯალათებს სახე–ტანზე ეშხეფებოდა და მეორეც, მსხვერ-პლნი, სანამ საჯალათე კუნძიდან სისხლს არ გადარეცხავდი, თავის დადებაზე უარს აცხადებდნენ.

ოფლ–სისხლში გაწუწული არაბები გაუთავებელ რიგს რომ ხედავდნენ, თავ–ბედს იწყევლიდნენ, მკლავები აღარ ემორჩილებოდათ, ახლო–მახლო ჩავლილ შურტებს ათა-სისთავის მოძებნას და შემცვლელი ჯალათების გამოგზავნის თხოვნას აბარებდნენ.

გამოსავალი ჯვალოსკვართიანმა შავწვეროსანმა ქართ-ველმა იპოვა. ხიდის მოაჯირს გადაეყუდა და ბუღასავით კი-სერი არაბს მიუშვირა.

ჯალათმა ხმალი იშიშვლა და მორჩილს თავი ერთი მოქნ-ევით წააცალა.

სხვა „ცხოვართაც“ შავწვეროსანს წაბაძეს.

საქმე გაიოლდა.

მოკვეთილი თავი პირდაპირ მტკვარში ვარდებოდა და სისხლის ნიაღვარიც მტკვარში ჩაედინებოდა.

თუმცა ამ საქმესაც ახლდა ერთი უხერხულობა. ფეხზე მდგარ, თავწაკვეთილ მსხვერპლს ხიდის მოაჯირისთვის ხელს ძლივს აშვებინებდნენ.

ათასისთავის ბრძანებით ყოველ ორ საათში ცვლიდნენ ჯალათებს.

შურტები მიაცილებდნენ დაღლილ–გასავათებულ, სახე-არეულ ჯალათებს კარვისკენ.

საღამოისკენ ათასამდე თავი მაინც მიჰქონდა მტკვარს ყარსისკენ, ქართველთა რიგი კი არათუ მოკლდებოდა, უფრო იზრდებოდა.

●

საღამოს ლოცვის შემდეგ ამირამ ათასისთავი იხმო.

ამირას უგუნებობა ეტყობოდა.

– გადაქარდა არაბთა უძლეველობის მითი, ათასისთავო.

– გისმენთ, მბრძანებელო?!

– რად უნდა ამას მულიმ–მისანი, გურჯნი სიკვდილით გვამარცხებენ.

– რანაირად, მბრძანებელო?

– ტფილისში შვიდი ათასი გურჯის ოჯახი ხომ მაინც ცხოვრობს. ყველას თუ თავები დავაჭერით, რას ვაქნევთ ცარიელ ქალაქს. პურს ვინ გამოგვიცხობს, აბანოებს ვინ დაგვისუფთავებს, ხარკს და ხარაჯს ვინ მოგვცემს. ესეც არ იყოს, რა ვუთხრა ხალიფას? ტფილისი აღარ არსებობს–მეთქი? ხომ გამაძრობს ტყავს. თუ ქალაქი აღარ არსებობს, შენ რა ჩემი იმის ამირა ხარო, არ მეტყვის?

– ეგ მეც ვიფიქრე, მბრძანებელო.

– შენ ფიქრის უნარი ვინ მოგცა, შე უტვინო. ახლავე შეწყვიტეთ თავების ჭრა. მოგონილ კერპებს თავშეწირულ ბრბოს გამოუცხადეთ: დასჯა დამთავრდა, ხალიფამ შეგიწყალათ–თქო.

– ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ თუ არ დაიჯერეს ხალიფას წყალობა?

– თუ არ დაიჯერეს, აიღეთ ხმლები და ძალით გარეკეთ სახლებში. ოღონდ ქარქაშით ან ყუით ურტყით და აუცილებლად, მხოლოდ უკანალზე.

– მეც ეგ ვიფიქრე, მბრძანებელო.

– თუ კიდევ იტყვი, მეც ეგ ვიფიქრეო, იცოდე, თავს წაგაცლი!

– ღირსიც ვიქნები, მბრძანებელო.

ათასისთავი მკერდ–ნიკაპ–შუბლზე მარჯვენა ხელის მიტანით, უკანასვლით გავიდა კარვიდან.

●

„ხალიფამ გვაპატია!“

გადაძახ-გადაძახებით ორიოდ წუთში მოედო განწირულთა უშველებელ რიგს.

ვერ გეტყვით, შეწყნარებულებს დიდად გაეხარდათ-მეთქი ეს ამბავი.

ყოველ შემთხვევაში გადარჩენა ხტუნვა-ყიჟინით არ გამოუხატავთ.

21 ნოემბერი, 2010
თბილისი

მხოლოდ ორი წერილი

2002 წლის 7 ივნისს, პროფესორმა პარმენ სალდაძემ წერილი მიიღო.

კონვერტზე გამომგზავნის მისამართი არ ეწერა.

კითხვა კარებშივე დაიწყო.

ჯერ ბოლო გვერდს დახედა.

„შენი ეთერ გვინჩიძე“ რომ ამოიკითხა, მაშინვე გაახსენდა ყოფილი სტუდენტი: მაღალ-მაღალი, ლურჯთვალება, ქერ-ათმიანი გოგო. პარმენს სტუდენტი სხვაც ბევრი ჰყოლია, მა-გრამ ეთერის იმ წუთშივე გახსენებას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ეთერი წერდა:

„ბატონო პარმენ,

ვიცი ეს წერილი აგაფორიაქებთ, მაგრამ ვერ შევძელი არ მომეწერა.

თვრამეტი წელი ვმალე ეს საიდუმლო და ახლა მივხვდი, რომ დანაშაული იქნებოდა ბოლოს და ბოლოს არ გამემხილა შენთვის და მხოლოდ შენთვის.

რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, თბილისში რამდენ-ჯერმე ვიყავი, მაგრამ შენი ნახვა ვერ გავბედე, უფრო სწო-რად ჩემი თავის იმედი არ მქონდა.

ვიცი, რომ ისევ ძველებურად მარტო ცხოვრობ და ისევ ისეთი მომხიბვლელი კაცი ხარ.

ჩვენი კურსის გოგოები ჭკუას ვკარგავდით შენზე, მაგრამ ამას არ იმჩნევდი, ვითომ შენთვის ყველა სტუდენტი იყო და სხვა არავინ.

გუშინდელივით მახსოვს, 12 მაისი იყო, სადიპლომო ნაშ-რომი შინ მოგიტანე.

კარი ისე გამიღე, თითქოსდა არ მელოდი, მაგრამ მაინც შენებური განუმეორებელი ღიმილი გეხატა სახეზე.

რატომ შეწუხდი, ეთერ ქალო, დაცვამდე ჯერ დრო გვაქვს, კათედრაზე დაგეტოვებინა და გადმომცემდნენო.

სადიპლომო გამომართვი.

ბოდიში, შინ ვერ შეგიპატიჟებ, ხომ იცი, მარტოხელა კაცი ვარ, შეგეშინდება, ისეა არეულ-დარეული ჩემი ბინაო, მაგრძნობინე, რომ აშკარად არ გინდოდა ჩემი შეშვება.

– არა უშავს, არა უშავს, თუ არ შეგაწუხებთ, ცოტა ხნით შემოვალ-მეთქი – მე თვითონ გამიკვირდა ჩემი სითამამე.

შემოვედი, მივიხედ-მოვიხედე და სავარძელში შინაურივით ჩავეშვი.

ყოველთვის მაინტერესებდა, სად და როგორ ცხოვრობდი-მეთქი.

იღიმებოდი, ჩემს სადიპლომო ნამუშევარს ფურცლავდი, ხანდახან შემომხედავდი და თავს დააქნევდი.

მე კი, მე სულელი გოგო, წასვლას რა ვაპირებდი.

ბოლოს ძლივს ამოვილუღლუღე, თუ შეიძლება ბინის დალაგებაში მოგეხმარებით-მეთქი.

სასტიკად იუარე. შენ მაგისთვის როგორ შეგაწუხებო.

წამოვხტი და ფანჯარასთან მივედი, რა ლამაზი ხედია-მეთქი, თან, რა დაგიმალო და ჩემს კოხტა უკანალს და ლამაზ ფეხებს გიჩვენებდი.

ვიცოდი, ეს ხერხი აუცილებლად გაჭრიდა.

მართლაც გაჭრა.

უკნიდან მომიახლოვდი. წელზე ხელები შემომხვიე და მარჯვენა მხარზე მაკოცე.

გავიტრუნე. ხელები გამიშვი და საწოლთან მიხვედი.

ეთერო, დღეს ძალიან დავიღალე, თუ არ გეწყინება წამოვწვები, შენ ლოგინზე ჩამომიჯექი და შენი ნაშრომი ერთად წავიკითხოთო.

ვგრძნობდი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

მუხლები მიცახცახებდა.

მხოლოდ ორი გვერდი წავიკითხეთ. მეტი ვერა.

არც გამიგია, როგორც აღმოვჩნდი შენს მკლავებში.

„რა ადვილი ყოფილა-მეთქი კაცთან დაწოლა“ ჩემი თავის მიკვირდა, მერე ვერაფრით გავიხსენე, ტანსაცმელი შენ გამხადე, თუ მე თვითონ გავიხადე.

უბედნიერესი ვიყავი იმ დღეს.

ჩემს თავს საჩუქარი გავუკეთე. შენთან დავწექი.

ამას მთელი კურსი ნატრობდა.

შენ ჩემთვის უბრალოდ მამაკაცი კი არა, ჩემი ოცნების მამაკაცი იყავი.

იმ დღიდან ფეხმძიმე დავრჩი.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების მეორე დღესვე ჩამოვედი ოზურგეთში და გავყევი ჩემს თანაკლასელ რამაზ ქურიძეს, რომელსაც სკოლიდანვე ვუყვარდი, მაგრამ მე არ მიყვარდა.

შვიდ თვეში ბიჭი გვეყოლა – შენი შვილი. ჩემი მამამთილის სახელი ზაზა დავარქვით.

ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნება იყო ჩემთვის: მე, ერთი უბრალო ფილოლოგი ქალი, სოფელ ჩინარეთის საშუალო სკოლის მეცხრე-მეთორმეტე კლასების მასწავლებელი შენს შვილს ვზრდიდი.

თითქოსდა შენ გივლიდი, შენ გბანდი, საჭმელს გიმზადებდი, გამეცადინებდი...

ჩემი ქმრის ხელში შვილი არ მომცემია. კარგი ქმარი მყავდა, ცოდოს ვერ დავიდებ, შარშან (წლისთავი ახლა, აპრილში შესრულდა) უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა, საღსალამათი კაცი.

დავრჩით მარტო მე და ზაზა.

ამ არეულ დროში, ყაჩაღ-თულების პარპაშის დროს თავი ძლივს გაგვაქვს. მშობლები კარგახანია დამეხოცნენ. რამაზს, მე რომ შემირთო, მარტო დედა ჰყავდა და ისიც, ზაზა შვიდი წლის იყო, ფილტვების ანთებამ რომ გადაიყოლა.

აი, ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა შენთვის.

ამ თვის ბოლოს ზაზა თბილისში ჩამოვა. უნივერსიტეტში იურიდიულზე უნდა ჩააბაროს.

შენს ტელეფონს მივცემ.

ჩემი ლექტორი იყო-მეთქი, მეტს, რა თქმა უნდა, არაფერს ვეტყვი.

დანარჩენი შენ იცი.

თბილისში, საბურთალოზე ჩემს დეიდაშვილთან იცხოვრებს. იმათაც ერთი ბიჭი ჰყავთ და არ დამამადლიან. თვითონ მითხრეს, ჩვენთან იყოსო.

მე ვერაფერს გირჩევ.

შენ ჭკვიანი კაცი ხარ, როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეცი.

მე რომ ამ ჭკუაზე ვარ, დიდი ტრავმა იქნება მისთვის ამ ასაკში, იმის გამხელა, რომ მამამისის შვილი არ არი!

ესეც არ იყოს, ჩემზეც სამუდამოდ გაუფუჭდება წარმოდგენა და იქნებ არც შენ შეგხედოს კარგი თვალით, როგორც „სტუდენტის შემცდენელს“.

იქნებ სჯობდეს, დარჩეს იგი სამუდამოდ რამაზ ქურიძის ბიჭად – ზაზა ქურიძედ, ხოლო ჩვენ, მე და შენ ეს საიდუმლო საფლავში თან ჩავიყოლოთ.

შენი ჭირიმე, ეს წერილი მიღებისთანავე დაწვი.

შენი ეთერ გვინჩიძე“.

პროფესორმა პარმენ სალდაძემ რვა წლის შემდეგ, 2010 წლის 11 ივნისს, ეთერ გვინჩიძისაგან მეორე წერილი მიიღო.

„ბატონო პარმენ,

უკვე იმდენი დრო გავიდა, მეჩოთირება „ბატონის“ დაძახება შენთვის.

იმ პირველი წერილის მერე, წერილის გამოგზავნას ვერ გიბედავდი, მობილურით თუ შეგეხმიანებოდი ზოგჯერ და ისიც მადლობის სათქმელად.

ჰო, ზაზა ჩადგა ჩვენს შორის და ამიერიდან ჩემი და შენი საზრუნავი მხოლოდ ზაზა იყო.

რა კეთილშობილი კაცი ხარ, ბატონო პარმენ.

მე არ ვიცი შენი განცდები, ჩემი პირველი წერილის მიღების მერე, მაგრამ წარმოდგენით შემიძლია ბევრი რამ წარმოვიდგინო.

შენ აწრიალდი, შენი დღეების ჩვეულებრივი მდინარება დაირღვა, ეს როგორ: შენ შენს მეცნიერულ საქმეებში ჩართულს და დაჯერებულ „ხალასტიაკს“ თურმე თვრამეტი წლის შვილი გყოლია.

თავიდან მეშინოდა, ვაი თუ ვერ გაგეძლო ცდუნებისთვის და გაგემხილა ზაზასთვის, რომ შენი შვილია. ამით შეიძლება ყველაფერი დანგრეულიყო. შეიძლება ზაზას წინაშე გამოუსწორებელი დანაშაული ჩაგედინა და ბავშვისთვის სიცოცხლე დაგემსხვრია.

მალე დავრწმუნდი, რომ შენთვის შენი მარტოხელობა უფრო ძვირფასი იყო, მაგრამ არც ღვთის მიერ ნაჩუქარი თვრამეტი წლის შვილზე იტყოდი უარს.

რა დიდებულად ითამაშე ინკოგნიტო მამის როლი ამ რვა წლის განმავლობაში.

დაწვრილებით მიამბობდა ზაზა, რა დიდებული კაცი ხარ, რა ყურადღებიანი, რომ თან ყვებოდი შენი ერთი სტუდენტის შვილს, მზრუნველობა და პატივისცემა არ დაგიკლია, უნივერსიტეტი და მაგისტრატურა დაამთავრებინე, სამუშაოდაც ოზურგეთში გამოანაწილებინე და ამ ხნის განმავლობაში დედიკოსთვის მოკითხვის დაბარება არ დაგვიწყნია.

ერთი რამე მიკვირდაო. ზაზა მეუბნებოდა, ჩემი დანახვისას ზედმეტად შეწუხებული სახე ჰქონდაო, ხშირად ფილოსოფიურ აზრებს მიზიარებდაო, იცოდე, ზაზა, ის რაც ზედაპირზე დევს, მხოლოდ ნაწილია ცხოვრებისა, სინამდვილეში ცხოვრება გაცილებით უფრო ღრმაა. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის საიდუმლოს ზოგჯერ არავის უმხელენ. საკუთარი თავისაც კი ეშინიათ. ძილსაც უფრთხიან, ძილში რომ არ წამოცდეთ ის, რისგანაც წლების განმავლობაში ზღუდე შემოივლესო!

მადლობელი ვარ შენი, რომ გაჩნდი ჩემს ცხოვრებაში და უფლება მომეცი შენით მეცხოვრა. იმ ერთი სტუდენტური დროის (რომელიც შენ შეიძლება სისულელე გეგონა, ან ისეთი „ეპიზოდები“ არაერთი გქონია), ერთგული დავრჩენილიყავი.

ახლა, როცა ზაზა თავის მამაპაპეულ სახლშია და ხვალ თუ ზეგ ცოლს შეირთავს, მინდა გაგათავისუფლო სინანულის თითების კვნეტისგან.

მე შენგან ზუსტად ისეთ საქციელს ველოდი, როგორც მოიქეცი, ჩემი პირველი წერილის შემდეგ, არც მეტს, არც ნაკლებს.

საქმე ისაა, რომ ქმარი რომ მომიკვდა და ზაზამ სკოლა დაამთავრა, უსახსროდ და უილაჯოდ დავრჩი.

ბიჭს თბილისში უნდა ესწავლა და ვინმე ხომ უნდა ჰყოლოდა მაგალითის მიმცემი, მზრუნველი, მიმხედავი.

ავდექი და მოვიფიქრე – მოდი, ბატონ პარმენს მივწერ, თითქოსდა მაშინ ფეხმძიმე დავრჩი და ზაზა მისი შვილიამეთქი.

ასეც მოვიქეცი.

სინამდვილეში იმ ჩემთვის ყველაზე უცნაურ და ლამაზ დღეს ფეხმძიმე არ დავრჩენილვარ და ზაზა ნამდვილად მამამისის – რამაზ ქურიძის შვილია.

თუ შეგიძლია, მაპატიე ეს დანაშაული.

შენ იმდენად საყვარელი კაცი ხარ ჩემთვის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენი ღუღუნა ხმა ჩამესმოდა და შენს თითებს ვხედავდი.

ხშირად მესიზმრებოდი და ახლაც მესიზმრები.

ასე მგონია, ეს წლები სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე, ფაქტიურად, მე შენთან დავრჩი სამუდამოდ, შენს დაულაგებელ ბინაში 1984 წლის 12 მაისს.

და რაც მერე ჩავიდინე, თითქოსდა ჩემი სურვილის ხორცშესხმა, ან ჩემს მიერ შეთხზული ლამაზი ზღაპარი იყო, შენ რომ გვიყვებოდი ხოლმე ლექციებზე რომანტიკულ ექსცესებს.

არ ვიცი, რამ მაიძულა იმ დღეს სიცრუე მომეწერა – გაჭირვებამ, შვილის სიყვარულმა თუ შენმა სიყვარულმა.

მე მგონია უფრო შენმა სიყვარულმა.

ასე მეგონა, საქმე გაგიჩინე-მეთქი, შენს მარტოსული კაცის ცხოვრებას სხვა აზრი თუ სხვა მდინარება მივეცი-მეთქი.

მერე და მერე, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე.

დავიღალე ფიქრით, დამსაჯა ამ ჩემმა უნებლიე დანაშაულმა და აჰა ჩემი წერილი – აღსარებაც.

თუ შეგიძლია, მაპატიე. შენი ეთერ გვინჩიძე“.

მუჯლუგუნი

სახით, რასაკვირველია, ვერ მიცნობთ, ბატონო, მაგრამ თავს რომ გაგახსენებთ, არ შეიძლება, ვერ გამიხსენოთ; 2007 წლის 7 ნოემბერს სანაპიროზე ერთი პოლიციელი ბიჭი რომ გამოაცალა დამსჯელ რაზმს აქოჩრილმა ხალხმა, ჯერ წიხლებით რომ შედგნენ, მერე არაქათგამოცლილი და ცხვირყურდასისხლიანებული წინ რომ გაიგდეს და, ვისაც არ ეზარებოდა, გზადაგზა რომ აპანღურებდა, ის პოლიციელი ვარ მე.

ახლა მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ.

ოცდაშვიდი წლის კაცი გამაპენსიონერეს, მაგრამ ცოცხალი რომ გადავრჩი, ამას ვჩივი.

ვისაც ვუყვები ჩემს ამბავს, გული უჩუყდება და თვალზე ცრემლი ადგება-მეთქი, ვერ გეტყვი, თუმცა შეცოდებით ყველას ვეცოდები. ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად.

ისე, ყველას სახეზე აწერია: ახია შენზე, ვის იცავდი, არ უნდა გცოდნოდა ამხელა კაცსო? რო უბაზუნებდი უდანაშაულო ხალხს თავში გამეტებულად, ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადაო.

არაა ასე მარტივად საქმე, ბატონო.

უღარიბესი ოჯახის შვილი ვარ.

გმირთა მოედნიდან ზოოპარკზე რომ ახალი გზა გაჭრეს, იმ გზაზე თუ გაგივლია, სანამ ვაკე-საბურთალოს მაგისტრალზე გადახვიდოდე, მარცხნივ, ზემოთ ქოხმახები დგას, იქ ვცხოვრობ ახლაც.

ოჯახში შვიდი სული ვართ და მარტო მე ვმუშაობდი.

პოლიციის სკოლა დავამთავრე და წელიწადნახევარი ველოდი სამსახურს.

ბოლოს მოიღეს მოწყალება და სპეცრაზმში მიმიღეს. სამასი ლარი დამინიშნეს. მაშინ, 2007 წელს სამასი ლარი ჯერ კიდევ ფული იყო, ახლა – არაფერია.

7 ნოემბრის დილაა. ცივა. გაჯიუტებული ოპოზიცია ვერაძალით და ვერათრევით ვერ ავაღლიტეთ ასფალტს პარლამენტის წინ.

თავზე მეხანძრის ჩაჩქანი გვახურავს, ცალ ხელში პლასტმასის ფარები გვიჭირავს და მეორე ხელში რეზინის ხელკეტები.

გვიბრძანებენ: წყალშხუილა მანქანებს მიყევით და ვისაც თვალი ჰკიდოთ – ფეხზე მდგარს, წამომჯდარს თუ წამოწოლილს, დაუზოგავად ურტყით თავზურგშიო.

ვისაც ტრაკი არა გაქვთ, წადით აქედანვე შინ და ხვალიდან სამსახურში არ დაგინახოთო.

რატომ უნდა გვერტყა ასე ერთგულად უდანაშაულო ხალხისთვის, ამის ახსნა არავის დაუწყია და კაცმა რომ თქვას, დროც არ იყო.

მივყვები წყლისმსროლელ ჯავშნოსანს.

ბრძანებას ცოტა ეშმაკურად ვასრულებ: ასფალტზე წამოჩოქებულ მსხვერპლს მაგრად მოვუქნევ და რბილად ვურტყამ. სხვებიც, რომ ვუკვირდები, ჩემნაირად იქცევიან.

მოიქნევენ ვირის იმასავით რეზინის ხელკეტებს და მიდიან წინ.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ და ერთ მაღალ დემონსტრანტს კი ჩავცხე კისერში გამეტებულად. რომ გავუსწორდი, ხელი ასწია და დაიძახა, ბიჭებო, არ დამარტყათ, მე თქვენიანი ვარო.

ვინ ჩვენიანი-მეთქი, ვითომ ვერ ვიცანი და მოვუნაცვლე კისერში. თურმე ავთო ჯორბენაძე ყოფილა.

შენნაირებმა ჩაგვაგდეს ამ დღეში-მეთქი.

ჩაიჩოქა და წაიფარა ხელები თავზე.

გამწარებულმა ხელწაფარებულზეც ვდრუზე, ამჯერად

შედარებით რბილად ვუთავაზე. მაინც ქართველია, არაფერი მოუვიდეს-მეთქი.

თავიდან, როგორც აგვიხსნეს, ჩვენი ამოცანა იყო, დემონსტრანტები რიყეზე ჩაგვერეკა. ჩვენმა ზემდეგმა თავდუმაძემ: ქაშუეთთან გზას ნუ შეუკრავთ, ჩაცხვართხავდნენ რიყეზე და იქ იბღავლ-იყაყანონ რამდენიც უნდათო.

რუსთაველი რომ გაიწმინდა და ოპოზიციის „დედა-ფუტკრები“ რიყეზე ჩამიკროფონდნენ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ვიღაცას მადა ჭამაში მოუვიდა და ახალი ბრძანება აფრინა: ნურც რიყეზე გააჩერებთ, მოცხეთ კისერში, მაგათი პატრონი ქვეყანაცო.

ყაზარმასთან მისულები შემოგვაბრუნეს და დაღლილ-დაოსებულები, წყურვილისგან ხახაგამშრალები რიყისკენ გამოგვაბუნძულეს. გავრბივართ და თავდუმაძე მოგვდევს ყვირილით – აუჩარეთ ფეხს, რავა უზბეკებივით გამორბიხართ, რაც მალე გავწმინდავთ რიყეს, მით მალე წავალთ შინო.

ვირტყამთ ხელკეტებს ფარებზე და „ტუზემცებივით“ მივჯუნგლაობთ ჩვენსავე მოძმეზე. ზოგი ფართხაფურთხით არბის მეტეხის აღმართზე, ზოგი ჩერდება და ქვებს გვესვრის.

სახელდახელო ტრიბუნასთან ოპოზიციის ბელადები დგანან და გაუბედურებულ, წახრილწაგრეხილ, ნაპანჩურნამუჯლუგუნარ ნახირ ხალხს ამხნევებენ: კიდევ ცოტაც და სააკაშვილის საქმე წასულიაო.

ზემდეგმა თავდუმაძემ იმ ოჯახკეთილამოწყვეტილმა მაინდამაინც მე დამადგა თვალი: გიბრძანებ, მტრის ფიცარნაგზე შეხოხდე, ოპოზიციას მიკროფონი წაგლიჯო და სახმოსალანძღავი წერტი ერთხელ და სამუდამოდ მიაჩუმოო.

რა მეტი გზაა. ავვარდი ფიცარყრილზე, სანამ მეამბოხენი გონს მოვიდოდნენ, ყელში ვწვდი მიკროფონს, შნური წავაგლიჯე და ჩამოხტომისას, როცა მეგონა, სამშვიდობოს გავაღწიე-მეთქი, ვიღაც ოჯახამოწყვეტილი ფეხში

მწვდა. პირქვედამხობილს დედამშობლისა და ბებიაგამომქაჩავის გინებას ვინ მაკმარებდა, მცემდნენ ისე უმოწყალოდ, თითქოს მიკროფონი კი არა, ცხრა ხატი და ცხრა ანგელოზი ხელმეყოს. მცემდნენ ისე მაგრად, როგორც პრომეთეს გალახავდნენ რომ დაწეოდნენ იმ წუთებში, როცა ტიტანმა ღმერთებს ცეცხლი წაჰგვარა.

ვისაც გამოუცდია, მხოლოდ იმას შეუძლია წარმოიდგინოს, რა მადლია სწორედ მაშინ, როცა ცემისგან სუნთქვაშეკრულს ხმა მალამოდ ჩაგესმის: ეყოფა, ნუ მოკლავთ!

დანარჩენი თქვენ ალბათ ტელევიზიით არაერთხელ გინახავთ.

მიმათრევდნენ სანაპიროზე. გრძნობამიხდილს გული მერეოდა, სასხლავივით ვიკეცებოდი, მდევრები კი, თითქოს რაღაც გაახსენდათო, მოაჯირთან შემაჩერებდნენ, დაღლამდე ერთხელ კიდევ მიმაფერდმუშტებდნენ და ისევ წინ გამიგდებდნენ.

ახლა თქვენ რას ელით ჩემგან, ბატონო, გულახდილად მითხარით, იმ კარგ მამას გაფიცებთ.

ხომ ელით, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ გამოვცხადდი სპეცრაზმის უფროსთან, მე ერთხელ და სამუდამოდ თვალახელილმა და ხელისუფლების უკეთურ საქმიანობაზე აზრსმოსულმა, ჩემს განცხადებაში ფარდა ავხადე საძულველ რეჟიმს, დავწერე განცხადება: სამუდამოდ ვემიჯნები ხალხის მგვემელ მთავრობას და ამიერიდან უარს ვამბობ პოლიციაში მუშაობაზე-მეთქი. ხომ?

ხომ ასე ფიქრობთ, ბატონო ჩემო?

არა ხართ მართალი.

სანამ საავადმყოფოდან გამომწერდნენ, შიკრიკმა დალუქული კონვერტი მომიტანა და სასთუმალთან დამიდო.

გავხსენი და პირკატა მეცა.

სპეცრაზმის ხელმძღვანელობა მატყობინებდა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და ჯანმრ-

თელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გათავისუფლებული ვიყავი პოლიციის №ქვედანაყოფში მუშაობისგან და დამენიშნებოდა პენსია საერთო წესით.

ვერ დავიტრაბახებ, დამასწრეს-მეთქი.

პოლიციიდან წამოსვლას არ ვაპირებდი.

სიმართლე თუ გინდათ, ეს არის.

●

„1812 წლის 5 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტ (ახლა ინფანტერიის გენერალია მარკიზ პაულუჩისთან ვიყავი კახეთს, სოფელ ჩუმლაყის აღებისა და მეამბოხეების დამარცხების დროს, რის შესახებაც არსებობს მარკიზ პაულუჩის ქებითი განკარგულება 1812 წლის 6 თებერვლის თარიღით.

1813 წელს, კახეთის ექსპედიციის დასაწყისში, კახელ მეამბოხეთა წინააღმდეგ ვიყავი გენერალ-ლეიტენანტ თავად ორბელიანთან სხვადასხვა სამსახურისთვის.

შემდეგ ვმონაწილეობდი ყველა ბრძოლაში და თავი გამოვიჩინე სამაგალითო სიმამაცით განსაკუთრებით სოფელ შილდასთან.

ამ სოფლის შიგ შუაგულში მეამბოხენი გარს შემოერტყნენ გენერალ მაიორის (ახლა გენერალ-ლეიტენანტის) თავად ერისთავის მცირერიცხოვან რაზმს.

მე შევეცადე თავს დავსხმოდი მათ საგუშაგოებს.

მეამბოხეებმა რომ იერიში მოიტანეს, მე რამდენიმე ქართველით გაცხარებული სროლის დროს, ხმალდახმალ ჩავერიე ბრძოლაში და პირადი სიმამაცისა და თავგამოდების გამოჩენით უკუვაგდეთ მეამბოხენი.

ამისთვის დაჯილდოებული ვარ პოდპორუჩიკის ჩინით და ჯამაგირით, რის შესახებაც არსებობს ქებითი განკარგულება გენერალ ტატიშჩევისა 1814 წლის 31 იანვრის თარიღით, №142...“

ამას წერს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს მამა თავადი მელიტონ ბარათაშვილი.

მელიტონს 12 შვილი ჰყავდა. ნიკოლოზი (ტატო) უფროსი იყო. მელიტონს ცხრა შვილი ჩვილობაშივე დაეღუპა.

„შემოღამება მთაწმინდაზედ“ გენიალურმა პოეტმა 16 წლის ასაკში დაწერა.

ეს ისე... ცნობისთვის.

ივნისი, 2010
თბილისი

ოღონდ გავაღწიო

„თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ, დამავიწყდეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიეზარდოს სასასა ჩემსას“...

ძველებრაელთა ფიციდან.

„შენ მიდიხარ, ბათა და მე აქ მტოვებ? შებორკილს და გულზეცეცხლმოკიდებულს“...

ძველმეგრული სიმღერიდან.

ტყვილად ვდგავარ, ვიცი, მარა, რა ვქნა, მწოლარე ლომს მაწანწალა მელამ აჯობაო, ხომ გაგიგონია. მოვდივარ ყოველ მეორე დღეს და ვდგები რიგში აქანა. გუშინწინ რო „ვარი“ მითხრა კონსულმა, დღეს „კის“ მეტყვის? ისე გოუთენოს გამჩენმა, ვინცხამ მე ამ დღეში ჩამაგდო.

ვიყავი წასული, რავა არ ვიყავი. ერთხელ გავაღწიე აქიდან, რავარც იყო, ცოლ-შვილიც იქით მყავდა. იქანაც ვის უნდიხარ, მარა რავარცხა იყო, ვშოულობდი პურის ფულს. რა ჭკუა დავნაყე, რავა დავუჯერე იმ გათახსირებულს, რავა დევიღუპე თავი.

მაინც ოჩერედში ვართ და მოგიყობი ჩემ ამბავს, ჩემსავით ასე რამდენია გაუბედურებული, რომ იცოდე, თმა, რო იტყვიან, ყალყზე დაგიდგება.

ვდგავარ კოპენჰაგენში ბირჟაზე. დღიური მუშა ვარ და სად დავდგები აბა. მევიდა ვინცხა კარგად ნაპატიები ჩაგალსტუკებული ბიჭი. ქართველი რომელი ხართო, ქართულათ იკითხა. მე ვარ, რავა რა იყო თქვა, არ მაქ ენა მოსაჭრელი? ვყოფილიყავი ჩემთვის. წამოდი აგერ, ორ ნაბიჯზე, რუსეთის საელჩოსთან პატარა აქცია გვაქ ქართველებს და

შემოგვიერთდიო. მერე, მე რა უნდა გავაკეთო, მე ვუთხარი. არაფერი, ერთ საათს დადგები ჩვენთან ერთადო. მადლობელი ვარ, მარა, მე აქანა გაჭირვებამ დამაყენა. ეგება სამუშევარი ვიშოვო, არ მცალია-მეთქი. არ გინდა, შე კაი კაცო, რუსი გევიდეს აფხაზეთიდანო? რავა არ მინდა, ბატონო, თუ ჩემი აქციით გავა რუსი, ერთ საათს კი არა, ერთ კვირას არ შევჭამ არაფერს-მეთქი. წამოდი და 5 დოლარს მე გაჩუქებ, ჩემდათავად, მეტი ეგება ვერც შენ გააკეთო დღესო.

წავყევი. ერთი შვიდი სხვა ქართველიც იდგა. რაცხა პლაკატები მოგვცეს. გაშალეთო. გვეჭირა ასე საათი, თუ საათნახევარი, მერე ტელევიზია მევიდა, გადაგვიღო. იმ ჩემს დამპატიჟებელს (რავა დოვუკარგავ, 5 დოლარი წინასწარ მომცა) რაცხა ათქმევინეს და ის იყო უნდა დავშლილიყავით, დაბალ-დაბალმა, მელოტმა, გლძელკაშნიანხელჯოხიანმა შუახნის კაცმა მოირბინა. აბა, იმას მოსდევდა ტელევიზია, თუ მოსდევდა. დიდი მადლობა, ძვირფასო ქართველებოვო, რას შობით, რავა ხართო, მე მომიბრუნდა მაინცდამაინც. რას ვიზამთ, გაგვაქვს თავი რავარცხა არიმეთქი. რატომ შინ არ ბრუნდებითო, არ გენატრებათ თქვენი ქვეყანაო? რავა არ გვენატრება, ბატონო, მარა სამუშევარი იქ არ არი, ექიმი და წამალი ოთუსბირი ღირს, ექიმს ავანდყოფის მკურნალობა ოუკრძალეთ, გაზს ვინ დაეძებს, დენზე იმხელა გადასახადია ერთი „ლამპოჩქა“ პერანგს გაგაყიდიებს და რათი გვეცხოვრა, მითხარი, თვარა ვის რათ უნდა აქანა გდება და ღრიტინი-მეთქი. უკან დეიხია კაშნიანმა (მერე გევიგე ემიგრაციის თუ იმიგრაციის მინისტრი ყოფილა) და ყველას გასაგონად, გამოთქმით თქვა: საქართველო ის არ არი, თქვენ რო შარშან თუ შარშანწინ დატოვეთო. დაბრუნდით უკან და მე პირადად გაძლევთ კაცურ სიტყვას, თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ახლა სამუშევარი საქართველოში იმდენია, ქართველები ვერ ოვუდივართ და უცხოელები ჩამოგვყავსო. ჩამოდით და არ ინანებთო. რაფერ ჩამევიდეთ-თქვა, მე ენამოსატეხმა ვკითხე.

მე დოვუბარებ დღესვე, მიდით საკონსულოში და ორ დღეში გამოგამგზავრებენო.

რაღა გავაგრძელო, დავბრუნდი ჩემი ცოლ-შვილიანათ. გავბრიყვდი და გავბითურდი. თურმე, ვისაა, რო უჯერებ. ჯერ სამინისტროში მივაკითხე გრძელკაშნიან მინისტრს, ვინ ბრძანდებით, რა საქმეზეო, ქვევით, მისაღებში. ასე და ასეა ჩემი საქმე, ესა და ეს კაცი ვარ, კოპენჰაგენში აქცია გვქონდა და მინისტრმა პირადად მთხოვა რო სამშობლოში დავბრუნებულიყავი-მეთქი. ძალიან კარგი, ახლა რა გნებავთო, რა და სამუშაო მინდა, ლუკმა-პური რო გავუჩინო ჩემ ცოლ-შვილს-მეთქი. მინისტრი ახლა მივლინებაშია და ათ დღეში გამოიარეთო. ეს იყო და ეს. ათი დღე წელიწადნახევარს გაგრძელდა. ვინ გღებულობს, ვინ გიკარებს ახლოს. სად არ ვიყავი, ვის არ მივადექი, თურმე ასეთი მუღამი აქვს ამ მთავრობას; ქუჩაში რო შეხვდე, გეტყვის, როგორ არ გეტყვის, ხვალ გამოიარე ჩემთანო, მარა მეორე დღეს ვის დაეკარგე, ვინ აგდიხარ. არც არავის უშვებენ კაბინეტში და არც ტელეფონს ღებულობენ. დაფრიალებენ აქეთ-იქით, ვითომ საქმეს აკეთებენ, მარტო ტელევიზორში ჩანან. ეს გათახსირებული ტელევიზია დასდევს კუდში უსირცხვილო ბოვშ-მინისტრებს. ხო, მამა ნუ წამიწყდება, ყველა მინისტრს ნახავ საღამოს ტელევიზორში. იქანა, კოპენჰაგენში, ტელევიზორის ყურების დრო სად მქონდა, მარა ხანდახან რო შევავლებ თვალს, იქანა ტელევიზორში გამოსული პრეზიდენტი და მინისტრები მე არ მინახია. ეგენი ყოველდღე ტელევიზორში ყრიან. ტყვილი, ტყვილი, ტყვილი, ტყვილი! ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყვილი. გადევირიე კაცი, კინაღამ ქვის სროლა დევიწყე.

არაფერი რო არ გამოვიდა, ოპოზიციას მივეკედლე. სამი თვე სიცხეში ვიდექი. ახლაო ჩვენ მალე მოვალთ და რძე და თაფლი იწვიმებს ციდანო. ვინც გალიებში ჩაჯდება, პირველი ის მიიღებს კაი სამსახურს და თეთრ პურს უფასოთო. გალიაშიც ვიჯექი, რო არ დაგიმალო, სამი ღამე. თურმე ეგე-

ნი თავრობაზე ვარესი მატყუარებია, ბატონო, თურმე მოლაპარაკებული არიან, ჩვენ რო გაგვამასხარაონ, ე საწყალი ხალხი. თურმე ვის ხელში ხარ, სა გძინავს, ვისგანაა შველას და პატრონობას რო ელოდები.

რო გადამეწურა იმედის წყალი ყველა მხრიდან, ისევ იქითკენ ვქენი პირი, მარა ვინ გიშობს. რავარც პატიმრებს არ უშვებენ კოლონიიდან მის ნებაზე, ისე ვყოფილვართ ჩვენც. აღარ დევეძებ, სულ ერთია, რომელ ქვეყანაში გავალ, ოღონდ აქედან წევიდე. ოღონდ ამ შიმშილით სიკვდილს და დამცირებას დოვუსხლტე რამენაირად. გაფრთხილებული ყავთ ყველა საკონსულო, ვარი უთხარით, გოუჯანჯლეთ საქმე, არ გაუშვათ საზღვარგარეთ არავინ, თუ დელეგაციის წევრი არ არიო. დელეგაციაში მე ვინ შემაშავებს. ამ ბოლო დროს მარტო გადავწყვიტე წასვლა, ეგება მარტო უფრო გავაღწიო-მეთქი, მარა არც ეს გამოდგა.

ახლა მთლად დევიღუპე, ორიათას დოლარ ვალში გადავვარდი და თავი მაქ მოსაკლავი.

ხუთი თვის წინ აქანა, მოსაცდელში, კაცი გევიცანი, შალვა კომახიძე ვარო. მე გაგიკეთებ მაგ საქმეს, მარა ორიათასი დოლარი უნდაო. მიშველე, მე ვუთხარი, სად გინდა წასვლაო, ამერიკაში და ინგლისში არ შემიძლიაო, სხვაგან სადაც გინდაო. საბერძნეთზე შევთანხმდით. ანკეტა მომიტანა, საცხა ყალბი ვიზა მიშოვა და შემავსებია, სურათები თვითონ გადაიღო და ყველაფერი რო გავამზადეთ, ჩოვუთვალე ორი ათასი დოლარი ნასესხები ფული, აბა მე რა მქონდა. ჩამოვუარე ნაცნობ-ნათესავებს და შევაგროვე ასე ორას-ორასი დოლარი. ყველას უჭირს დღეს.

ერთ კვირაში მოგაკითხავო. გევიდა ერთი თვე, ორი, სამი... გუშინწინ ტელევიზორმა გამოაცხადა:

„დაჭერილია თაღლითი, რომელიც შალვა კომახიძის სახელით შედის ნაცნობობაში გულუბრყვილო მოქალაქეებთან. საზღვარგარეთ გაშვების დაპირებით სძალავს მათ ფულს და

მერე ემალებაო. დღემდე 14 დაზარალებულის გვარი უკვე ვიცით, თუ ვინმეა ტელემაყურებლებს შორის კიდევ ერთი მოტყუებული, გამოგვეხმაუროსო. როგორც დამნაშავე აცხადებს, მას ფული უკვე შეჭმული აქვს, ხოლო ჩადენილი დანაშაულისთვის 3-დან 7 წლამდე პატიმრობა ელოდებაო."

ტელევიზორის ამ განცხადებას არ გამოვხმაურებივარ, გითხრა სიმართლე.

ჩემ ფულს არავინ დამიბრუნებს და დაკითხვების და სასამართლოზე სიარულის თავი მაქვს ახლა მეე?

16 მარტი, 2011
თბილისი

მარცხენა ჯიბე და მადაგასკარი

სადღაც ამევიკითხე ამასწინათ; ჭკვიან კაცს უთქვამს, „არასოდეს თქვა – "არასოდეს". რა კაი ნათქვამია, რო იცოდე. ნურასოდეს დაიჩემებ, მე არ მომივაო. სანამ ჩემ თავზე არ გამოვცადე, მეც სხვასავით ვიყავი, თავდაჯერებული, დაჟინებული. შენ არ მომიკვდე, არ იყოს ასე. ყინჩად რო გიჭირავს თავი, შეიძლება ერთ წამში ისე გაბითურდე და გამასხარავდე, საკუთარი სიცოცხლე შეგეცოდოს.

მადაგასკარი გაგონილი გექნება. კუნძულია აფრიკის ქვევით, საცხა დასაკარგავში.

აგვისტოს ბოლო დღეებია, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს.

სიცხეა იმნაირი, „ტელნიაშკა" გვადნება ტანზე.

ქვანახშირი ჩევიტანეთ და უკან ზეთისხილი უნდა წამევიღოთ.

„ფაზისზე" ვმუშაობდი მაშინ. არაა დიდი გემი.

სულ ერთი კვირა გვიწევს მადაგასკარზე ყოფნა.

სამი დღე გადმოტვირთვას უნდა, სამი დღე დატვირთვას.

მადაგასკარის დედაქალაქს რა ჰქვია, თუ იცი? „ანტანანარივუ". რავარი ენის გასატეხია.

„მადაგასკარი" ადვილათ დევიმახსოვრეთ ბიჭებმა. „მადაგასკარი – მაგას გავკარი!" ვღადაობდით გზაში, მარა „ანტანანარივუს" დამმახსოვრებელი იქანა ჩემს გარდა კაცი არ იყო. მე, გითხრა სიმართლე, რაც უფრო ძნელი გამოსათქმელია, უფრო მამახსოვრდება.

ჩევედით ანტანანარივუში.

ფული ან რამე ძვირფასეულობა, თუ გაქვთ, შეაგროვეთ და აგერ „კამერა ხრანენიაში" (მალაგასიურად სხვა რაღაცა ჰქვია, მაგრამ ჩვენ მეზღვაურები ყველგან ასე ვეძახით) შევინახოთო, იქოურმა თარჯიმანმა.

ეს რაღაცა სიახლეა, ასეთი რამ არსად მოუთხოვიათ.

კი მარა, რატო-თქვა, მე ვუთხარი.

რატოვო და ახლა, ჩვენო, ბაზარში გევივლითო. აქანა იმნაირი ქურდობაა, უეჭველი მოგპარავენო. მე გამიფრთხილებიხართ და თქვენი საქმე თქვენ იცითო.

სხვათა შორის ყველამ სიტყვისშეუბრუნებლად დაუჯერა მეექსკურსიეს. მარტო მე ვთქვი ვარი.

მე ვერ მომპარავენ, ქალბატონო-მეთქი.

რატომ, შენ რა წითელი კოჭი ხარო, გაეცინა.

ა, ოცდაათი დოლარი მაქ ჯიბეში და თუ მომპარავენ, მაგასაც ვნახავ-მეთქი, დავიტრაბახე.

ერთი სიტყვით, ჩააბარა ყველამ ყველაფერი გიდს. გიდმა ჩვენ თვალწინ შედო სეიფში, სეიფის კოდი ხელისგულზე დაიწერა (ისე, ყოველი შემთვევისთვის) და შევედით ანტანანარივუს ბაზარში.

ბაზარი ბაზარია ყველგან.

ჯინსი მაცვია. მარცხენა ჯიბეში მიდევს ოცდაათი დოლარი (სამი ათდოლარიანი), დახვეული მაქვს მშვენივრად და მუჭში მიჭირავს.

მომპარონ, აბა, ანტანანარივუს ბაზრის ქურდებმა, რავარი ბიჭები არიან.

ჯერ ისედაც ფრთხილად ვარ ხოლმე ბაზარში და ახლა, როცა ვიცი, რომ უნდა მომპარონ, ამგენს გავატან რამეს?

მე ქუთაისელი ვარ.

არ დამძრახო და ახალგაზრდობაში ხელვმრუდობდი ცოტ-ცოტას.

ტროლეიბუსში და ავტობუსში დავძვრებოდი ჯიბეზე.

საათი და ფული იმ დროს ქურდულ ენაზე რო გითხრა – „ბაკა და ფარნასა“ იყო ჩვენი საშოვარი მაშინ და, გითხრა სიმართლე, არ „ვმუშაობდი“ გლახათ.

მეცხრე კლასიდან ვაგოიმებდი არიფებს და ნიჭიერი ბაცაცა აღმოვჩნდი (კიდო კაი, რო არ გავყევი ამ საქმეს).

ისე ვიყავი ჯიბეზე და მაჯის საათზე დაოსტატებული, რო ერთ ყურებათ ღირდა, რავარც მეუბნებოდნენ.

საქმე მაინც არაფერი გვაქ. გაგანათლებ პატარას ამ საქმეში. ღმერთმა ნუ დაგაჭირვოს, მარა რა იცი, რა ხდება.

დგახარ ტროლეიბუსში, ან ავტობუსში, სულერთია. გვერდით გიდგას გოიმი. სახეზე ატყობ, ფული უჭყავის ჯიბეში. ფულიანებს ხელათ ეტყობათ.

უკიდია ხელი ზევით ალუმინის „ტრუბაზე“ (რო არ წაიქცეს) და დგას მშვენიერ-კარგათ.

შენ ვითომ წაბორძიკდი და „ტრუბაზე“ მისი ხელის გვერდით გადაანაცვლებ ხელს. თანაც ერთს დეიწუწუნებ – „რა გლახათ მიყავს, ამ უპატრონოს“.

ახლა მიყურე, მარჯვენა ხელი მის ხელთან გაქვს „ტრუბისთვის“ მოკიდებული. აწევ იდაყვს და ყელს ქვევით მიაჭერ. იგი ზრდილობიანი კაცია და ითმენს. რას იზამს, შენნაირი უგერგილო თანამგზავრი შეხვდა. მისი ყელ-ნიკაპი ხომ დაჭერილი გაქვს, მარცხენა ხელით შედიხარ მის ჯიბეში. პირდაპირ პიჯაკის ჯიბეში უნდა ჩაძვრე, თანაც პიჯაკის მარჯვენა კიბეში. საფულეს ახლა გარეთა ჯიბეში არავინ იდებს.

ახლა ბარეღამ საათის შეხსნასაც გასწავლი:

უკანა კართან უნდა დადგე.

ქალი იქნება თუ კაცი, ვისაც კარგ საათს დაატყობ, ხელი შეაშველე, ვითომ ამოსვლაში ეხმარები. უყურე ა, ასე ცერა თითი საათის ციფერბლატს უნდა დააჭირო (მისი მაჯა ხელში გიჭირავს) და ქვემოდან შუათითი და საჩვენებელი თითი უნდა ამოკრა. პატარა დაჯანჯღარება და საათი ხელში გაქვს. „კლიენტი“ მადლობას გეტყვის, რომ ხელი შეაშველე და ამოსვლაში დაეხმარე.

ა, ეს სკოლა მაქვს გავლილი, ბატონო, მე და ეს შავტუხა, წვრილთავა მადაგასკარელები მომპარავენ მე ყო-

ფილ ქუთაისელ ავარას ფუულს? სადაა ამგენის მოსაპარავი ოცდაათი დოლარი.

ბევრი რო არ გავაგრძელო, მივდი-მოვდივარ ანტანანარივუს ბაზარში, მივყვებ-მოვყვები ჩვენ ჯგუფს. ყიდვით არც ეგენი იკლავენ თავს. ვერ გეტყვი, სიძვირეა-თქვა, მარა ფული რო ცოტა გაქვს, ოთუსბირია ყველაფერი. წვრილმანი რაცხეების ყიდვას სხვა დროსაც მოვასწრებ, ბოლოს და ბოლოს, გემთან ახლოს ნებისმიერ ჯიხურში ვიყიდი. ჩემთვის მთავარია, ახლა ჯიბიდან ფული არ ამომაცალონ, არ მემეჭრას თავი, ამგენის ყბიდან შენ ამოხვალ მერე?

შენ ხარ ჩემი ბატონი, აგერ ბამბუკის გაკეთებულ ათასნაირ დასაკრავს ჰყიდიან. სიმებიო, ჟირაფის ნაწლავის არიო, უკრავს თვითონ გამყიდველი ხან ერთზე, ხან მეორეზე. ვგიჟდები ასეთ რაღაცეებზე. შემატყო დაინტერესება და მაწოდებს. ჯიბიდან ხელს არ ვიღებ, ვიცი რავარც ამევიღებ, ოცდაათ დოლარს ხელათმომპარავენ.

სხვაგან ფარშევანგებს ყიდის წრიპა მადაგასკარელი, ეიღო და მხარზე დამასვა გადასარევი, მოთვინიერებული ფარშევანგი. არ მინდა ფული, საჩუქრად გაძლევო, მე მგონი, ამას მეუბნება, ვინ ჭამს მაგას. მარცხენა ჯიბიდან ხელისამოუღებლად ვანიშნებ, მომაცილე ე შენი ფარშევანგი-მეთქი. ვითომ ქვეყნის მყავს სახლში ფარშევანგები. გამყიდველი თითებს გაატკაცუნებს და ფარშევანგი მის მხარზე გადასკუპდება.

მოკლედ, შუადღემდე ვიარეთ ბაზარში. რა ილეთი, რა სატყუარა არ დამიგეს, მარა ვერც ვერაფერი მაყიდიეს ანტანანარივუს დიდი ბაზრის (თურმე ანტანანარივუში მომცრო ბაზარიც ყოფილა) ვაჭრებმა და ვერც მარცხენა ჯიბიდან ხელი ამომაღებიეს.

გასასვლელისკენ მივდივართ.

სიხარულით ცაზე ხელი მიკიდია. ხომ გავიმარჯვე, ხომ დავუმტკიცე ამგენს ჩემი ქუთაისლობა.

ბაზრის ჭიშკართან პატარა ჩოჩქოლია.

უსაქმო ხალხი შემოხვევია შავტუხა ბიჭს, რომელსაც ხელში ლამის მისი სიგრძე ალიგატორი, (ნიანგის მსგავსი ცხოველია, თუ თვითონ ნიანგია, რა ვიცი, ვითომ კულტურულად ალიგატორს ეძახიან) უჭირავს და დაბორიალობს წრეში. ხან ერთს მიადგება, ხან მეორეს და აშინებს სუსტგულიანებს, მისი ჭკუით. ალიგატორის პატრონი ერთი გაჩხინკული, ოციოდე წლის ბიჭია (ასაკის დადგენაში მაინცდამაინც არ მენდო, ეგენი ყველა ოცი წლისას ჰგვანან). ალიგატორი, რა ვიცი, რა ხნის არი, ალბათ სამი-ოთხი თვის იქნება. იმ ასაკის არი, ჯერ ადამიანის ჭამა რო არ დოუწყია, მარა ისე აქვს პირი დაფჩენილი, ჰა და ჰა, დეიწყებს.

მიაწყდება ვიღაცას ალიგატორატატებული, ის ვიღაცა შეშინებული უკან იხევს, უფრო გულიანი კი ხელს კრავს უტიფარ მეალიგატორეს და არის ერთი ღორღოცი და ღრიანცელი.

ერთიც ვნახოთ, მე მომადგა თავისი პირდაფჩენილი „პარტნიორით“. ხელს მკიდებს ალიგატორის პატრონი. ახლოდან დავაკვირდი, მუცლის ტიფი რო ექნება კაცს ახალი გადატანილი, იმნაირია. რისი გეშინიაო, ა, მოკიდე ხელიო, ხო ხედავ, მე არ მერჩისო, მეჭიკჭიკება ალბათ თავის ენაზე. ხალხი შემოგვეხვია და იცინის.

ისე გათამამდა ალიგატორის უსირცხვილო მომთვინიერებელი, რო ალბათ ახლოს, სახესთან მომიახლოვა უშველებელხახიანი გიგანტური ხვლიკი. ალბათ არ იკბინება, მარა თვალში რო არ მოვუვიდე და მომაჭამოს თავ-ღრანჭი? არა, აქანა ვაჟკაცობის თამაში და „არ მეშინიას“ ტრაბახი არ გამოვა.

ვკარი ორივე ხელი აბეზარ მეალიგატორეს. ისე მაგრად ვკარი, კინაღამ წეიქცა. ხმა არ ამოუღია, შეტრიალდა და ახლა სხვა „მსხვერპლისკენ“ წავიდა.

წამში მოხდა ეს ამბავი.
სწრაფად მოვეგე გონს.
ვიტუცე მარცხენა ჯიბეში ხელი.
სადაა ფული.
გავმწარდი, მარა რა გავმწარდი.
ახლა აქანა „პოლიცია! პოლიციას!“ ყვირილი არ გამოვა.
ტყვილად თავს გეიმასხარავებ.

29 აპრილი, 2011
თბილისი

ცოლეგის საკითხი

„ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის!“

ბერთოლდ ბრეხტი.

– შემოდი.

ლავრენტი მრგვალ მაგიდასთან მივიდა.

– დაჯექი.

სტალინს ჩიბუხი მარცხენა, მტკივანი ხელით ეჭირა და კაბინეტში მიმოდიოდა.

ბერია მაგიდას მიუჯდა.

– მოსაცდელში პოსკრიბიშევის გარდა იყო ვინმე?

– არა, ამხანაგო სტალინ.

– დაანებე ამ „ამხანაგოს“ თავი. საერთოდ რაც შინსახკომის მინისტრობიდან გაგათავისუფლე, თვალს მარიდებ. ასე მგონია, ნაწყენი ხარ ჩემზე.

სანამ ბერია უპასუხებდა, სტალინმა განაგრძო

– შენი გამოცდილების კაცს, ლავრენტი, ამის ახსნა არ უნდა გჭირდებოდეს. ჩვენს შორის რომ მესამე კაცი ვერ ჩადგება, შენ კარგად იცი, მაგრამ მე არ მინდოდა შენზე, როგორც „სტალინის ხელზე“, ელაპარაკათ. შენ უფრო დიდი კაცი ხარ, ვიდრე თუნდაც სტალინის ნების აღმსრულებელია. სამაგიეროდ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხარ და შინსახკომიც შენ გექვემდებარება. როგორაა იქ, ქვევით საქმეები?

– ჯერჯერობით სიწყნარეა.

– მომისმინე, ლავრენტი. ომი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ სწორედ ახლა გვიდგას ყველაზე საშიში პერიოდი მე და შენ. აქამდე ყველანი ჰიტლერის დასამარცხებლად ვიყავით დამარქაფებულები და პოლიტბიუროს წევრებს ამბიციებისთ-

ვის არ ეცალათ. ახლა მიეცემა სადინარი პოლიტიკურ ამპარტავნობას. ახლა მოეჩვენებათ ამ ბრმა ლეკვებს, რომ ისინი სტალინზე ნაკლები როდი არიან და დაიწყება შეთქმულებები, ზურგში ხანჯლის ჩაცემა. შენ ახლა შეგიძლია თქმა: „ხომ ნახეთ, მეც არ დამინდო“, ამ „სოუზით“ არაერთი შეეცდება დაგიახლოვდეს. შენც თავი ისე დაიჭირე, თითქოს ჩემით უკმაყოფილო ხარ და შეეცადე ზოგი რამ წამოაცდენინო ჩვენს „საერთო მეგობრებს“.

– გასაგებია.

– მაგრამ ესეც არაა საკმარისი, ლავრენტი.

– თვალთვალს გავაძლიერებ.

– თვალთვალი ბევრს არაფერს მოგვცემს, რადგანაც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ადრე თუ გვიან მოთვალთვალენი სათვალთვალო სუბიექტების გავლენის ქვეშ ექცევიან. უფრო ქმედითი რა შეგვიძლია, რომ ესენი ყურებით გვყავდეს დაბმული?

– მოვიფიქრებ რამეს, ამხანაგო სტალინ.

– მე უკვე მოფიქრებული მაქვს: ძველი, ნაცადი ხერხია „კალინინის სინდრომი“ ჰქვია. ჯერ კიდევ 1937 წელს მოვიფიქრე და მშვენივრად იმუშავა. მაშინ შენ მოსკოვში არ მსახურობდი. დაზვერვამ მაცნობა, რომ ჩვენი წვერებცანცარა კალინინი ხანდახან აგდებულად მახსენებდა თურმე. არც ვაციე, არც ვაცხელე და მისი ცოლი ეკატერინა ივანოვნა ლორბერგი დავაპატიმრებინე.

მახსოვს, მეორე დღესვე აცახცახებული მოვარდა ჩემთან „ძველი ბოლშევიკი“ კალინინი. „რა მოხდა, ადამიანის ფერი აღარ გადევთ-მეთქი.“

წუხელისო, – ენას უკიდებს, – ჩემი ცოლი დააპატიმრესო.

„რას ამბობთ, ვინ გაბედა, რაღაც გაუგებრობა იქნებამეთქი.“

„ბინაში ჩხრეკაც მომიწყვესო.“

ავიღე ყურმილი და კალინინის დასანახ-გასაგონად ტყავს ვაძრობ, ჩეკას (ყასიდად, რასაკვირველია), იქედან მპასუხობენ, ასე და ასეო.

მივუბრუნდი კალინინს:

თქვენ ნუ ინერვიულებთ, ყველაფერს გაარკვევენ, მეუბნებიან, რომ თქვენი ცოლი ამერიკიდან ახლახან დაბრუნებულა და იქ, ცოტა არ იყოს, საბჭოთა ხელისუფლების საზიანო გარიგებები ჰქონია ჩვენს მტრებთან.

ვერ წარმომიდგენია, რომ ეკატერინა ივანოვნა ასეთ რამეს ჩაიდენდა-მეთქი.

აჭიკჭიკდა კალინინი: შეიძლება სულელ ქალს რაიმე წამოცდაო, გემუდარებით, ოჯახს ნუ დამინგრევთო. იქნებ ვაპატიოთო.

ხომ იცი-მეთქი, ჩემი უფლებები ჩეკას წინაშე ძალიან შეზღუდულია-მეთქი, შევეცდები რამდენადაც შესაძლებელია, სასჯელი შევუმსუბუქო-მეთქი.

ის დღე და ის დღე კალინინთან პრობლემა არ გვქონია.

როგორც დაკრეფილი, ტოტებდამსხვრეული და ფოთლებმოჩვარული ბლის ხე ისე იდგა ჩემს წინაშე და თვალებში მიყურებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გაიგე, ლავრენტი?

– გავიგე, ამხანაგო სტალინ.

– წადი ახლა.

●

ამ საუბრიდან თვენახევრის შემდეგ სტალინს მაგიდაზე ედო პოლიტბიუროს ყველა წევრის მეუღლის მაკომპრომენტირებელი მასალები ბერიას ცოლის – ნინა თეიმურაზის ასულ გეგეჭკორის მამხილებელი ჩვენებების გარდა.

1949 წლის 14 თებერვალს, შუაღამისას 12 საათზე, ბელადმა კვლავ იხმო ბერია და ამჯერად თითქმის განთიადამდე ისაუბრეს.

ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა, პირველად რომელი „ღლავის“ ცოლი აეყვანათ.

მალენკოვი მშიშარა გახლდათ და შეიძლება გული გასკდომოდა, კაგანოვიჩი ფაქტიურად გაშორებული იყო ცოლს და მის დაჭერას დიდად არ ინაღვლებდა, ვოროშილოვის ცოლი ავადმყოფი მოხუცი ქალი გახლდათ და შეიძლება ოთხ კედელში ოთხ საათსაც ვერ გაეძლო. მიქოიანზე ისედაც აღრენილი იყო სტალინი, ხშირად ტუქსავდა და შეიძლებოდა მისი ცოლის დაპატიმრება პარტიის ზოგიერთ წევრს პირად შურისძიებად მიეჩნია. ხრუშჩოვი ყველას იდიოტად მიაჩნდა და მისი ცოლის საკითხი სერიოზულად არ განიხილებოდა. დიდი კამათის შემდეგ არჩევანი მოლოტოვის ცოლზე, პალინა ჟემჩუჟინაზე შეაჩერეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოლოტოვი სახელმწიფოში ფატიურად მეორე კაცი იყო და მისი მაგალითი სხვებს შიშის ზაფრას დამართებდა. მეორეც, მართალია, მოლოტოვს არასოდეს გაუჩნდებოდა პირველი კაცობის სურვილი, მაგრამ ეს გარემოება კიდევ უფრო შენიღბავდა კრემლის „ქართული ფრთის“ სურვილს მოსალოდნელი შეთქმულება ჩაეშალათ.

სამი დღის შემდეგ პალინა ჟემჩუჟინა დააპატიმრეს.

მეორე დღეს სტალინმა პოლიტბიუროს სხდომა ჩაატარა.

მოლოტოვი დაუგვიანებლად გამოცხადდა. ყველას მიესალმა და თავისი ადგილი დაიკავა.

ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ხმას ვინ ამოიღებდა.

სტალინი დროდადრო გააპარებდა მზერას მოლოტოვისკენ, მაგრამ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა და საკითხების განხილვაშიც ჩვეულებრივად, საქმიანად ერეოდა.

სხდომა რომ დამთავრდა, პოლიტბიუროს წევრები რიგში ჩადგნენ, რათა სტალინისთვის ხელი ჩამოერთმიათ, როცა მოლოტოვი მოახლოვდა და ხელი გაუწოდა, სტალინმა იგრძ-

ნო, რომ პალინას მეუღლე მისთვის არაფრის მოთხოვნას არ აპირებდა.

– თუ დრო გაქვთ, მომიცადეთ, – უჩურჩულა სტალინმა მოლოტოვს.

როცა ყველანი გაიკრიფნენ, სტალინი მოლოტოვს წინ დაუჯდა.

– როგორა ხარ ვიაჩესლავ, ხომ არ დაიღალე?

– არც უმაგისობაა, იოსებ ბესარიონოვიჩ.

– რას ვიზამთ, დრო გარბის, ვბერდებით, ვიაჩესლავ, ვბერდებით. ჰო... მართლა... გამომიარეთ ამ საღამოს აგარაკზე შენ და პალინამ, ჩაი დავლიოთ... სხვებს არ ვეძახი.

ამ ბოლო სიტყვებს სტალინმა პაუზით გაუსვა ხაზი.

– პალინა ვერ მოვა.

– ?!"

– პალინა ზის, ამხანაგო სტალინ.

– რას მელაპარაკები?

– გუშინწინ დააპატიმრეს. ჯერ არაფერს მეუბნებიან, მე მგონი ბუტირკაში ჰყავთ.

– ხედავ, რას ჰბედავს ეს თავხედი ბერია? კი მაგრამ, რატომ არ მომახსენეს?

– ბერია არაფერ შუაშია. აბაკუმოვმა დააპატიმრა.

სტალინი წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. მერე სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა ტელეფონისკენ. ორნიშნა ციფრი აკრიფა

– მოლოტოვის ცოლის ამბავი მართალია? მერე რატომ ქმარმა არაფერი იცის. რა დროს გოლდა მეიერია. ერთი სიტყვით, კარგად გაარკვიეთ და დროზე გაათავისუფლეთ. ძვირფას ვიაჩესლავ მიხაილოვიჩს გული არ ვატკინოთ.

ყურმილი დადო და მოლოტოვს მიუბრუნდა:

– არ ინერვიულო. როგორც ჩანს, დაზვერვამ ზედმეტად იაქტიურა. გაარკვევენ და გამოუშვებენ. საერთოდ, მაგ უბანზე, წესრიგი უნდა დავამყაროთ. სულელები! რას მიჰქარავენ. კიდევ ეჟოვშჩინა გვინდა? ხომ გახსოვს, ეჟოვს რომ ვუთხ-

არი, დიდი ნაბიჯებით დადიხარ, შარვალი არ გაგეხეს-მეთქი. აკი გადაჰყვა ეგ ლოთი თავის ავკაცობას.

მოლოტოვი წამოდგა. არაფერი უთქვამს. სტალინს თავი დაუქნია და გავიდა.

პალინას დაპატიმრებიდან ერთი თვის თავზე სასამართლო შედგა. მოლოტოვის ცოლს 5 წლით ყაზახეთში გადასახლება მიუსაჯეს. იგი სასჯელს არა საერთო-გამოსასწორებელ კოლონიაში, არამედ ცალკე ე.წ. პრივილეგირებულ პოლიტიკურ პატიმართა საიდუმლო დაბაში იხდიდა, სადაც სტალინის განკარგულებით „მეტნაკლებად ასატანი პირობები“ ჰქონდა შექმნილი.

1949 წელსვე სტალინის კანცელარიის უფროსის, პოსკრიბიშევის ცოლი ბრონისლავა სოლომონოვნა პოსკრიბიშევა დააპატიმრეს და ყველასაგან მოულოდნელად, დახვრეტა მიუსაჯეს.

სტალინი ულმობლად ბერდებოდა. 1949 წლის ბოლოს მას ტვინში სისხლი ჩაექცა და სამი თვის განმავლობაში მარცხენა მხარე თითქმის წართმეული ჰქონდა. ხელსა და ფეხს ძლივს ამოძრავებდა და ლაპარაკიც უჭირდა.

ბერიამ საქმე ისე მოაწყო, რომ სტალინის ავადმყოფობა პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობას არც გაუგია. „ბელადი წიგნს წერს“, „ბელადი გადაღლილია“, „მსუბუქად გაცივდა და მკურნალობს“, „რევმატიზმმა გაუხსენა და სამხრეთში აბაზანებს იღებს“, მშვიდად პასუხობდა ლავრენტი პავლოვიჩი ცნობისმოყვარეებს.

მოსაშორებელი იყო სტალინის დაცვის უფროსი ვლასიკი, რომელიც პირველს ათეული წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა და რომელმაც სტალინის ჯანმრთელობის შესახებ ყველაფერი იცოდა.

მალე ეს დღეც დადგა.

სტალინმა ვოლინსკში თავის აგარაკზე პოლიტბიუროს სხდომა ჩაატარა. ბერიამ გასვლისას თავისი სქელი საქა-

ღალდედან პოლიტბიუროს ერთი დოკუმენტი „შემთხვევით“ იატაკზე დააგდო.

როცა ყველანი წავიდნენ, ვლასიკმა დოკუმენტი იპოვა და ჯიბეში ჩაიდო, სტალინს მივუტანო.

სანამ კიბეზე ჩამოვიდოდა, „ყოვლისშემძლე“ ვლასიკი გაჩხრიკეს, დოკუმენტი უპოვეს, სტალინის განკარგულებით სამსახური დაატოვებინეს და სასამართლომდე შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

1952 წლის 11 მარტს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, სტალინმა ბერია კიდევ ერთხელ იხმო.

– როგორაა საქმეები, ლავრენტი?

– ჯერჯერობით სიწყნარეა, ბესარიონოვიჩ.

– ლავრენტი, როგორაა შენი მეუღლე, ქალბატონი ნინა?

– გმადლობთ, არა უშავს.

– ნინას, ლავრენტი, ევგენი გეგეჭკორთან მიმოწერა აქვს?

– ვერ გეტყვით, მგონი ერთი-ორჯერ მისწერა წერილი, როგორც საკუთარ ბიძას – ევგენი გეგეჭკორს.

– რაო, რას იწერება, ევგენი, როგორ ვცხოვრობთო იქ, პარიზში, ქართველი ემიგრანტები... მდაა, ერთი თუ კაცი ხარ, თუ არ დაგავიწყდება, იქნებ ჩემი მოკითხვაც გადასცეს ნინამ მორიგ წერილში ჩვენს მენშევიკ ძმებს.

უკვე ყველაფერი გასაგები იყო.

ბებერ ბელადს ახლა ბერიას ცოლის გაბმაც სურდა იმ კაკანათში, ერთად რომ მოქსოვეს.

ბერია წამოდგა.

– რატომ ადექი ლავრენტი? ჯერ ხომ საუბარი არ დაგვიმთავრებია. რატომ არ გესმის, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვისაა საჭირო, შენთვის და ჩემთვის. ამით ჩვენ ყველას დავანახებთ, რომ ჩვენ ერთმანეთის ზურგს არ ვეყრდნობით და კანონი ყველასთვის კანონია. ამ ნაბიჯით ყოველგვარ მითქმა-მოთქმას ბოლოს მოვუღებთ.

– ნუთუ? და ეს აუცილებელია ჩემი შენდამი ოცდაათ-წლიანი ერთგულებისთვის?

– ჯერ ერთი, ეგ რასაც შენ ამბობ, კომუნისტის ლაპარაკი არ არის, ბერია. მე არავისი ერთგულება არ დამჭირვებია. შენ მე ვერაფერს დამამადლი. თუ სახელმწიფოს და ხალხის ერთგული იყავი, სახელმწიფომაც სათანადოდ დაგიფასა. რაც შეეხება ნინა გეგეჭკორს – შენს პატივცემულ ცოლს, შენ ძალიან მოგწონს ჩვენს მტრებთან მისი გულახდილი მიმოწერა?

– ჩემს ცოლს ჩემზე უკეთ ვერავინ გააკონტროლებს.

– გააკონტროლებენ, ლავრენტი, და აკონტროლებენ კიდეც. თუ საჭირო გახდა, მეც მშვენივრად გამაკონტროლებენ.

– ესე იგი... გადაგიწყვეტიათ ნინას დაპატიმრება?

– „დაპატიმრება“ ხმამაღალი სიტყვაა. ერთი-ორ წელიწადს პალინას გვერდით იქნება ყაზახეთში. მე მგონი, პალინა ცუდ პირობებში არ არის. ისაუბრებენ, დაისვენებენ.

– თუ ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, მე წინააღმდეგი ვარ ჩემი ცოლის დაპატიმრების.

– ოჰო... ეს რაღაც ახალი ამბავია, არც კალინინს, არც მოლოტოვს და არც პოსკრიბიშევს გახარებიათ.

– მე არა ვარ, იოსებ ბესარიონოვიჩ არც კალინინი, არც მოლოტოვი და არც პოსკრიბიშევი. მაპატიეთ სითამამე და კატეგორიულობა, მაგრამ თუ ჩემს ცოლს დააპატიმრებენ, იმ დღესვე გადავდგები ყველა თანამდებობიდან.

– და სად წახვალ?

– შინ, საქართველოში.

– ცოტა გვიან ხომ არ არის?

სტალინმა ჩიბუხს მოუკიდა, ამას დიდი სულიერი მღელვარების დასაფარავად აკეთებდა ხოლმე.

– ბერია! შეუცვლელი ამ ქვეყნად არავინ არის, მაგრამ რასაც შენ ამბობ, ეგ ულტიმატუმია თუ თხოვნა?

– თხოვნა, ამხანაგო, სტალინ!

– კარგი... წადი... დაგიძახებ. მე მეგონა, ჩვენ უკეთ გვესმოდა ერთმანეთის.

სტალინი სავარძელში ჩაეშვა.

...1953 წლის 1 მარტს იგი ტვინში ხელმეორე სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ასე ეწერა გარდაცვალების დამადასტურებელ დოკუმენტში, „სამედიცინო დასკვნას“ რომ ეძახიან.

ისე... ხმა გავრცელდა, მოწამლესო, მაგრამ ზუსტად არავინ იცის.

17 ივნისი, 2011 წ.

ჩხიკვი

სიბერე იმდენად ფიზიკური დაუძლურება არ არის, რამდენადაც სულიერი დაძაბუნებაა.

სიბერე მოწყენის ავადმყოფობაა.

თანდათანობით მოგწყინდება ბევრი რამ, რასაც დიდი ხალისით აკეთებდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ერთბაშად გამოუტყდები შენს თავს, რომ თურმე რა სისულელეები გიკეთებია და დაგეუფლება სიცოცხლეში ყველაფერზე დიდი მტერი – მოწყენა.

„არ მინდა“, „აღარ მენატრება“, – „რა აზრი აქვს“, „რა მნიშვნელობა აქვს“, „რისთვის, ვისთვის ავიტკივო თავი“, „მაინც არაფერი შეიცვლება“, – ეს ფრაზები ყველაზე მეტად ჩნდება შენს ლექსიკონში და ისე მოგიცავს, დაგიმორჩილებს, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარა გაქვს.

ასეთ დღეში იყო კირილე ბუაძე.

შეუმინავ შუშაბანდში იწვა და მისი ყველაზე საყვარელი საქმე – კითხვაც და ეზარებოდა.

ენაჭარტალა, მაბეზღარა გაზეთებზე ხომ ხუთი წელია უარი თქვა, დაიდებდა სასთუმალთან კლასიკოსის რომელიმე, მის მიერ ადრე წაკითხულ წიგნს და ნასაუზმევზე რომ გადაშლიდა, ნერვები ეშლებოდა, აშკარად არ მოწონდა და უკმაყოფილებას ნერვული ბუტბუტით გამოხატავდა: „ვინ კითხავს ამას, რას ერევა სხვის საქმეში, რა ზღაპრებსაა რომ ჰყვება, რა სულელი ვიყავი, ღამეებს რომ ვათენებდი ამის წიგნებზე, რაებს ჩმახავს, რას უქსიანებს ადამიანებს ერთმანეთს, მწერლებმა არიეს ქვეყანა, ამათ გამოიგონეს ინტრიგა და ერთმანეთის ჭამა, თორემ იქნებოდა ხალხი მშვიდად, მშვენიერ კარგად“...

ასეთ უცნაურ და მიუღებელ აზრებს შეიძლება ხმამაღლა არა, მაგრამ გულში არაერთი მოხუცი გამოთქვამს.

სწორედ ესაა სიბერე.

ყველაფერთან ერთად კირილეს სიბერემ ის მოუტანა, რომ ამ ბოლო დროს ტელევიზორიც შესძულდა.

ჭკუიდან შლიდა, ბეწვს უბურძგლავდა ტელევიზიის დიქტორების უტიფარი, პათეტიური, აწეული, ყალბარტისტული ტონი (განსაკუთრებით როცა ჩვენს „არნახულ წარმატებებზე“ და „საამურ ცხოვრებაზე“ ლაპარაკობდნენ) და ყოვლად უადგილო ადგილას ჩაჭრილი უსირცხვილო, უგემოვნო „რეკლამები.“

ტკივილით ისეთი არაფერი ტკიოდა, მაგრამ ადგომა ეზარებოდა და იწვა კირილე უტელევიზორო (მადლობა ღმერთს) შუშაბანდში.

ხომ შეუძლებელია ადამიანი არაფერზე ფიქრობდეს და კირილემ არაერთგზის დაიჭირა თავისი თავი იმაში, რომ სწორედ არაფერზე ფიქრობდა.

ოდის აივნის მეორე კარი ე.წ. სასტუმრო ოთახში შედიოდა.

სასტუმრო ოთახში კირილეს თანამეცხედრე მარიამი იჯდა და ტელევიზორს შესცქეროდა.

ხელში პულტი ეჭირა.

რომ ჩაეძინებოდა, პულტი უვარდებოდა ხელიდან.

პულტის დავარდნა გამოაღვიძებდა, აიღებდა, წითელ ღილაკს თითს დააჭერდა, ყურბალიშზე მიდებდა თავს და წაიძინებდა.

გამოღვიძებულზე (რა დროც უნდა ყოფილიყო) კვლავ ჩართავდა ქალბატონი მარიამი ტელევიზორის და ლამის გათენებამდე შესცქეროდა.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ხანდახან ღია კარში თანამეცხედრეს შეეხმიანებოდა.

– კირილე! ხვარაფერი გინდა?!

– ჩაი! – იყო პასუხი.

მარიამი წამოფშლატუნდებოდა და ჯერ ჭიქა-საინი გამოჰქონდა პურ-ყველთან ერთად, მერე ჩაიდანი.

ვიღას დავუმალო და ჭიქაში ჩასხმული ჩაის ტარება სამზარეულოდან აივნამდე მარიამს თავისი სოლიდური ასაკის გამო უჭირდა.

ერთხელ თვლემამორეულ კირილეს კაკუნი მოესმა.

ჯერ კარს მიაყურადა, მერე ჭერს ახედა და ბოლოს აუ-ლაგებელ მაგიდაზე აღმოაჩინა სრულიად მოულოდნელი დაუპატიჟებელი სტუმარი – ჩხიკვი.

ჩხიკვი მთელი თავისი მომხიბვლელობით, ჩხიკვი მთელი თავისი დიდებულებით – მოცისფრო-მოიისფრო გულმკერ-დით, დიდი, შავი, ყვითელარშიაშემოვლებული ნისკარტით, ნაცრისფერი ფეხებით და წითელ-ლურჯ-შავ-აგურისფრად მოხატული საოცრად ფერწერული ფრთებით.

ჩხიკვი თეფშზე პურის ნაფცქვენებს არხეინად უკაკუნებ-და და შიგა და შიგ კირილეს გამოხედავდა.

კირილემ შეუმჩნევლად გააპარა მობილურისკენ ხელი და „მარიამს“ თითი დააჭირა.

– არ გამოხვიდე, სტუმარი გვყავს.

– ვინ სტუმარი?

– ფანჯრიდან ჩუმად შეავლე თვალი. ხედავ?

– ვხედავ, ღმერთო, რა ლამაზია.

– ჩხიკვია. ხო ზღაპრული ვინმეა?

ამასობაში ჩხიკვს თავის ჩხიკვურ გონებაში რაღაცამ გაუელვა და გაფრინდა. ფრთები რომ გაშალა, მართლაც ფარშევანგს თუ ფასკუნჯს დაემსგავსა, შუშაბანდის უმინო სარკმელზე შემოჯდა, ერთი მოიხედა და სიმწვანეს შეერია.

ქალბატონი მარიამი აივანზე გამოვიდა.

– ჩზიკვი იყო ნამდვილად?

– შე ქალო, ჩხიკვს ვერ ვცნობ?

– რამხელა ყოფილა.

– მანდ მაგიდაზე პურის თეფში დატოვე. ხმელი ნაჭრები წვრილად დაფშხვენი, ცოტა ბურღული და ჰერკულესიც შეუ-რიე. ეგ კიდევ მოვა.

...ჩხიკვმა ბებრების სიცოცხლეს ახალი იერი შეჰმატა.

აქამდე მათი მინავლებული მოლოდინი მხოლოდ და მხო-ლოდ ამერიკაში მცხოვრებ ორმოცდაორი წლის ცოლშვილიან

ვაჟს – თედოს უკავშირდებოდა. „მინავლებული“ იმიტომ დავარქვი მშობლების მოლოდინს, რომ თედო სამ თვეში ერთხელ რეკავდა. რაც შეეხება წერილს, წერილებს ვინღა უგზავნის დღეს მშობლებს, თედოს რომ გამოეგზავნა.

ჩხიკვი დღეში სამჯერ დაბარებულივით მოფრინდებოდა.

ჯერ სარკმლიდან ჩამოაცქერდებოდა შუშაბანდს. თუ მარიამი იატაკს ჰგვიდა, ან კირილე საწოლზე იყო წამომჯდარი, ჩხიკვი გაფრინდებოდა. ამით „დედობილ-მამობილს“ ნიშანს აძლევდა – დალაგდით, მოწესრიგდით, ხომ იცით, არ მიყვარს ზედმეტი მოძრაობებიო.

„არიქა, არიქა, მოვიდა!“ გადაუვლიდა ოდასახლის ბინადართ. მარიამი სასტუმრო ოთახში შევიდოდა და ფანჯარას მიაჭიჭინდებოდა, კირილე კი, ვითომც აქ არაფერიო, მუთაქაზე თავს მიდებდა და გაქვავდებოდა.

ხუთ-შვიდ წუთში დაეშვებოდა ჩხიკვი მაგიდაზე.

ხანდახან თეფშის კიდეზე შეხტებოდა და თეფში რომ ცალ მხარეზე დაკოჩავდა, შეკრთებოდა და განზე გახტებოდა, მაგრამ იქვე ხვდებოდა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო. საშიშროება კი არსაიდან ელოდა.

უკაკუნებდა ჩხიკვი დინჯად, სვენებ-სვენებით თითქმის მოასუფთავებდა თეფშს, ბოლოს ყოველშემთხვევისთვის ერთხელ კიდევ გამოხედავდა კირილეს და გაფრინდებოდა.

ასე გრძელდებოდა თითქმის ორი თვე.

...და ერთ დღეს (რომ არ იყოს ეს „და ერთ დღეს“, დედამიწაზე არც ერთი ნოველა არ დაიწერებოდა) ჩხიკვი არ მოფრინდა.

არ მოფრინდა არც დილით, არც შუადღით, არც საღამოს.

კირილე ისე ერთგულად ელოდებოდა, რომ საღამოთი ჩაიცვა ფაციფუცით, ნაჩქარევად მიირთვა და ცოლს კატეგორიულად სთხოვა, სანამ არ დაღამდებოდა, შუშაბანდში არ გამოსულიყო.

მოხუცებს არც გაუგიათ, როდის ჩაეძინათ. კირილეს პიჟამოგაუხდელად, მარიამს – ტელევიზორის პულტით ხელში.

– რა მოხდა ნეტავ? – გაუბედავად, სასოწარკვეთაგარეული ხმით ჰკითხა მარომ საწოლზე წამომჯდარ, ორივე მუხლზე ორივეხელდაწყობილ თანამეცხედრეს.

– დეიჭირა ალბათ რაცხამ, ან თოფი ესროლა ვინცხა ხელგასახმობმა.

– შენ ასე ფიქრობ?

– რა ფიქრი უნდა, – კირილემ ხელები ასწია და ტყაპუნით დაუშვა მუხლებზე:

– ვინ გაუშვებდა იმისთანა ლამაზ ჩხიკვს.

– არა და, რანაირად მოგვეჩვია.

– შენ რომ იცოდე, მე წიგნშიც არსად წამიკითხავს, ჩხიკვი რო მოშინაურებულიყოს. ჩხიკვი არც კაჭკაჭია და არც ბეღურა, ღია ქვაბში რო ხტებიან და ყველგან ყოფენ ნისკარტს, ჩხიკვი ჩხიკვია...

– არ მოვა ვითომ? – ეს შეკითხვა უკვე მეხუთე დღეს დაუსვა ქალბატონმა მარიამმა კირილეს.

– ფარსაგი ჭირს, თვარა უეჭველად მოვიდოდა.

კირილეს და მარიამს უგუნებობა და უმადობა ერთად დამართა ჩხიკვის გაუჩინარებამ.

ცოლი სასტუმრო ოთახში ყრუ ჩიფჩიფით გადი-გამოდიოდა, კირილე იწვა და ლამის თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა მაგიდას, რომელზეც ხელუხლებლად იდო ჯამი ჩხიკვის საკენკით პირთამდე სავსე.

– მაინც რა იყო... რავა სიზმარივით გაქრა. ოცი წელია, რაც ამ უბანში გადმოვედით, ოცი ხომ იქნება?

– არც ბევრი დააკლდება, – ანგარიშმიუცემლად მიუგო მარომ.

– ჰოდა, ამ შემოგარენში მე ჩხიკვი არ შემინიშნავს. ეგ ერთი გამოჩნდა.

– რავა მარტო იყო, კირილე, ვფიქრობდი ახლა. კაჭკაჭები და ბეღურები რო წყვილ-წყვილად დადიან. ამას ასე მგონია, ჩვენ გარდა არავინ ჰყავდა ამ დუნიაზე.

–არა... არა... ძალიან გაუფრთხილებელი ვინმე იყო. ჯერ ერთი, რა დაბლა-დაბლა დაფრინავდა და მეორეც, ნამეტანი მიმნდობი იყო. ასე რავა შეიძლება. პირველად რომ შემოფრინდა, პირი დავაღე გაოცებისგან. ჰოდა... დეიჭირა კატამ იმ თათებგასახმობმა. დაღუპა თავისმა გაუფრთხილებლობამ.

– მასეა, კი, ნამდვილად – კვერი დაუკრა მარომ.

– არ უნდა ლაპარაკი. ცოცხალი რომ იყოს, უეჭველად მოფრინდებოდა.

– მაინც... რა ლამაზი იყო, – თვალში ცრემლი უბრწყინავდა ქალბატონ მარიამს.

●

ჩხიკვის გაუჩინარებიდან მეთერთმეტე დღეს მოპასანის ნოველებზე წათვლემილი კირილე ბუაძე გაუბედავმა კაკუნმა გამოაღვიძა.

თვალი გაახილა და პირველ რიგში, რასაკვირველია, მაგიდას ჰკიდა თვალი.

ჩხიკვი მოფრენილიყო.

ვითომც აქ არაფერიო, უკაკუნებდა თეფშს, კენკავდა მშვიდად, აუჩქარებლად. ხანდახან შეჩერდებოდა და კირილეს გახედავდა თავისი ლამაზი თავის ატრიალებით.

კირილეს სიხარულისგან გული კინაღამ გაუჩერდა.

მობილურს მიწვდა.

– მარიამ! არ გამოხვიდე, მოვიდა.

– ვხედავ! – უპასუხა ცრემლში ამოვლებულმა ხმამ.

შუადღის სამი საათი იყო.

2 ივლისი, 2011
თბილისი

ამაო თხოვნა

(ბიბლიის მოტივზე)

და დაინახა ბერუშლაიმის მთიდან მეფე სიდუყშრიმ ქვემოთ, ჩაპყაის ველზე გაშლილი კარვები და კარვების ირგვლივ მოზრიალე ფარ-შუბოსანი ლაშქარი.

და იყო შუადღე და სიდუყშრის მეფობის ოცდამეცხრე წელი.

მეფესთან მსტოვართა უფროსი შიყრუვაი შემოვარდა.

და იყო შიყრუვაი ხარჭის შვილი.

და უთხრა შიყრუვაიმ მეფეს, რომ სახელმწიფო შეთქმულება იყო მეფის წინააღმდეგ დაწყებული და მოღალატეთა კარვებში ამბოხების მეთაურები ისხდნენ.

– რა უნდათ? – ჰკითხა სიდუყშრიმ შიყრუვაის აბხურყის ძეს.

– სიდუყშრი უნდა ჩამოვაგდოთო.

– ვინ არიან ამბოხების მეთაურები?

– შამბაყ შირყვამის ძე შიმკლეთიდან, ზამკლუშ ყიმბათის ძე ყერშკლიმიდან, ჩამხსუნ შუმბყურაის ძე ყემპრეთიდან, შურყუმ ხანჯლოთის ძე ბელუაითიდან, ჯემქრან ყივლექის ძე ახაიდან, შუჰხაიმ აჯაჯას ძე ხერყომიდან, პირფყან ხავჰშრის ძე წუხურეიდან.

– ვინ თანაუგრძნობს აჯანყებულებს?

– ქალაქები: ჰურქშლაიმი, ბერყუთი, შურუქში, ხვიბრონი, ხლამპეთი, ზახქიყუმი, შუმბაითი... თითქმის მთელი სამეფო ბერყშლაიმის და ზუქჰლკიშის გარდა.

– ჩვენი გადარჩენის შანსი რამდენია?

– ამ პირველი შეტევის დროს, ორმოცდაათი ორმოცდაათზე, თუ მეორეჯერ შემოგვიტიეს, ტახტის შენარჩუნება გაგი-

ჭირდებათ, ჯამქრან ყივლექის ძე ახაიდან ყველას გასაგონად გაჰყვირის: თუ დღესვე არ გადადგა, ჭერი უნდა დავაქციოთ თავზე სიდუყშრის, ცოცხალი არ გავუშვათ მისი სასახლიდან, ვინც ფეხზედ დამდგარი ფსამს, ხოლო ქალები, დიდი თუ პატარა, ყველანი ხარჭებად დავინაწილოთო.

– ვისი გამეფება უნდათ?

– ზამკლუშ ყიმბათის ძის ყერშკლიმიდან.

– რამ გადარიათ, იმ ჭკუაბეცმა და ბლუკუნამ როგორ უნდა იმეფოს?

– რა მოგახსენოთ.

– შენ რას მირჩევ?

– რომ შებინდდება ჭურყუმწყალი უნდა გადავლახოთ და მთელი სახლეულით უნდა გავიხიზნოთ.

– გავიპარო? ეგ არ მოხდება. ხმალმა უნდა გაგვასწოროს. სანამ მე ვარ მეფე, კანონიც მე ვარ და სამართალიც.

და გაახსენდა მეფეს უფალი, რადგანაც ყოველთვის მძიმე ვითარებაში უფალს ეთათბირებოდა ხოლმე.

– შენ აქ დამიცადე, – უთხრა შიყრუვაის და სასახლის მესამე სართულზე, აღმოსავლეთის მხარეს სამლოცველოზე ავიდა.

და გამოეცხადა სიდუყშრის უფალი.

– რა გინდა? – ჰკითხა ღმერთმა.

– უფალო ჩემო და მფარველო ჩემო, უნდა მიშველო, მოღალატენი დამხობას მიპირებენ.

– ვიცი.

– უნდა მიშველო, შენ ხომ იცი, რომ მართალი ვარ.

– სიდუყშრი, ხომ გახსოვს, მფარველობას დაგპირდი, თუ ჩემს ყველა მცნებას შეასრულებდი და ოცდაცხრა გრძელი წელი მწედ გედექი. ჩემი ხალხის მეფედ გაკურთხე და შენი გამეფებისთვის შენი ძმა დავღუპე.

– როგორ არ მახსოვს. მე ხომ მთელი სიცოცხლე შენი მორჩილი და მსახური გახლავარ, უფალო. ახლა უჭირს შენს მსახურს და უნდა უშველო.

– რა პირით მთხოვ შველას, საიდუყშრი, როცა პურის სათხოვნელად შენს კარზე მოსულ შენსავე თვისტომთ ცეცხლით და მახვილით გაუმასპინძლდი, ჭურყუმწყლამდე მისდიე გადარჩენილებს, მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? როცა ექვსას ოცდახუთი ცოლი შეირთე და ოთხასი ქალი ხარჭად გყავდა (ამდენი ხარჭა ქალი მაინც რად გინდოდა?) მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? როცა ქალაქ ხლამპეთის აღების შემდეგ ათი ათას ტყვეს თვალები დათხარე და შვიდასოცდასამს მამათმავლები მიუსიე, მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? როცა ახლახან შენ კარზე ბერყათის ელჩები მოვიდნენ, ხარკის შემსუბუქების თხოვნით, შვიდივე ეტლზე რომ გამოიბი და ცხენებს ყივჰხეთის უდაბნოში ხერჰფეხქრამდე რომ ათრევინე, მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? შენ თავს გაგივიდა სიდუყშრი. ირწმუნე, რომ ბრძენთა ბრძენი ხარ და სინამდვილეში ერთი გაყოყოჩებული, ფუყე, ტრაბახა კაცი ხარ და მეტი არაფერი.

– მაგრამ „ბრძენი სიდუყშრი“ მე ხომ არ მიწოდებია ჩემი თავისთვის, ხალხმა შემარქვა.

– შენ ისიც არ გესმის, რომ მე გიყურებდი თვალმოუშორებლად და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ შენი სულელური ნაბიჯები, როგორმე გამელამაზებინა, იმ პასუხებსაც, ათასში ერთხელ რომ სიბრძნეს წამოისროდი, ხომ მე ჩაგაგონებდი. გაიხსენე, რამდენჯერ გიხსენი, რამდენჯერ გადაგეფარე, შენს თავზე მოგროვილი შავი ღრუბლები რამდენჯერ დავშალე. შენ კი ჩემს ზრუნვას იმით უპასუხე, რომ ცოლების ხათრით ყველა მთაზე ჩემი სახლების, ტაძრების აგების ნაცვლად, კერპები აღმართე.

– ესე იგი დამთავრდა ჩემი მეფობა, უფალო?

– ალბათ.

– შენდობა, პატიება რომ გთხოვო, მაინც არ გადამარჩენ?

– გამიჭირდება.

მეფემ თავი ჩაქინდრა.

და გადალახა იმ ღამით ჭურყუმწყალი მეფემ და მისმა ამალამ.

და გაჰყვა მეფეს მისი ერთგული სარდლობა: შიყრუვაი აბხურყის ძე, ავმხანქი ჩყქმაის ძე, ბიყვა აქუქბეკის ძე, ჩომყხლი ქვიქვინის ძე შიმყეთიდან, კაჰმქრი ყარუმის ძე, დრტოზ ჩუქთრასა, აგრეთვე შვილები, ექვსასოცდახუთი ცოლი, ოთხასი ხარჭა, ოცდაშვიდი აქლემი, შვიდასთერთმეტი ვირი, ორმოცდაცამეტი ჯორი და ექვსიათასხუთასოცდაორი შინაყმა.

და გამეფდა ბერყშლაიმში ზამკლუშ ყიმბათის ძე ყერკშლიმიდან.

და იმეფა ზამკლუშმა ბერყშლაიმში ორასოცი წელი.

და შვა ზამკლუშის ცოლმა ზარამ ბერთჰხლემიდან ოცდაცხრა შვილი. ბოლო შვილი იყო შანხლი. შანხლიმ შვა კაჰთუ, კაჰთუმ შვა ერლაიმი, ერლაიმმა შვა შევრონი, შევრონმა შვა აზეტრონ, აზეტრონმა შვა ყურმუშ, ყურმუშმა შვა იოხაიმ, იოხაიმმა შვა გერშლაიმ, გერშლაიმმა შვა ხერბეთ, ხერბეთმა შვა ქამალხყუმ, ქამალხყუმმა შვა იხუბრაი, იხუბრაიმ შვა ყარგჰხჩი, ყარგჰხჩიმ შვა მქჩხქვარი, მქჩხქვარმა შვა აფხყელოთ, აფხყელოთმა შვა კარპლენოზ...

და ასე თხუთმეტი თაობა შანხლიდან კარპლენოზამდე.

9 მარტი, 2011
თბილისი

რაც არის, არის

როგორ მომაგენი, გოგო, იზოლდამ გითხრა? ჩემი ხაზეიკა, რა თქმა უნდა, არ გეტყოდა, სად ვმუშაობ. გაფრთხილებული მყავს. იზოლდამ იცის მარტო, ვის ასწავლოს აქეთ გზა. არ მინდა, არა. ჩვენი დაქალების სიარული მინდა წარამარა აქ? მარკეტის პატრონი ისეთი შებერტყილია, სხვანაირად რომ ვინმე დამელაპარაკოს, იმ საათშივე გებულობს. პოლიციის უფროსად უმუშავია, იქეთ საღაცა გლდანში თუ თემქაში. ახლა პენსიაზეა. ერთი კოხტაპრუწა ცოლი ჰყავს და სამი ერთი სიმაღლის ბიჭი. ბავშვები დედას ჰგვანან გაჭრილი ვაშლივით.

როგორ მიმიღო? იზოლდასთან ვიყავი მისული იმ დღეს. მისმა გამგემ გასტრონომს ერთი სექცია მოუმატა და დალაგებაში ვეხმარებოდი. იქ შემოვიდა. გაიარა. გამოიარა, ამხედა, ჩამხედა, მეც ახლა ეგ შემეშლებოდა? გამოვბზიკე ტრაკი და შევათამაშე მხარ-ძუძუ. მე ვთქვი, სოლიდური კლიენტი ჩანს და თუ წამოვდე ჩანგალი, მინიმუმ ოცლარიანს მაინც გამოვკრავ-მეთქი ხელს. შენ იცი, მე ყოველთვის ხანშიშესული, „სალიდნი“ ბიძები მირჩევნია ლაწირაკებს, რა უნდათ და როგორ უნდათ, თვითონ რომ არ იციან.

იზოლდას ეკითხება, თქვენ აქ მუშაობთო? მე არაფერი შევიმჩნიე. კი, ბატონო, რა გნებავთო, იზოლდამ. არაფერი, ისე გკითხეთო და სასმელების სექციისკენ გააბიჯა. შენ ასე არ გინდა-მეთქი, ტაბურეტის სკამზე შევდექი და ვითომ ზედა თაროს ვალაგებ, გამოვფინე ე ჩემი თეთრი ბარძაყები. გაჭრა. შემობრუნდა და თვალს არ მაცილებს. პირდაპირ, მოურიდებლად, ქალო, ისე უტიფრად მიყურებს, ერთი ადგილი ამეწვა.

ქალბატონოვო, იზოლდას ებაზრება, მარკეტი გავხსენი აგერ, ზემოთ, ბოკერიას სკვერთან და გამყიდველი მჭირდ-

ება, ვინმე, ასე თქვენნაირი, მუყაითი და მოხდენილი ქალიო. აგერ, ბატონო, ჩემზე მიათითა იზოლდამ, ჩემი დაქალია, სამსახურს ეძებს, შესახედავად თქვენც ხედავთ, როგორია და წესიერებით და პატიოსნებით მე მჯობია ათი თავითო.

ერთი სიტყვით, ჩემგან პატარა გაპრანჭვაღაა საჭირო: სხვას რომ დავპირდი-მეთქი? უცოდველი სახით ვეკითხები იზოლდას. იმას უარი უთხარი და აგერ ეს პატივცემული, სერიოზული კაცი ჩანს და გაყევი, ნახე, მოილაპარაკეთო. ბატონო, კლიენტს მიუბრუნდა, ეს ჩემი დაქალი სამი დღის ჩამოსულია, რაიონში ცოტა ხელი შეეშალა და ოჯახი დაენგრა, ამაზე უკეთესს, სანდო და ერთგულ თანამშრომელს ვერ იშოვითო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მომიყვანა აქ და დამაყენა. ხელფასს მოჭრით მაძლევს სამას ლარს თვეში. ცოტაა, გეთანხმები, მაგრამ ქუჩაში წანწალს ეს მირჩევნია, დაიკო. ვერ გავუძელი ცალკე პატრულის კუდში დევნას და ცალკე ბინძური კლიენტების ჯიჯგნა-ბურჯგვნას. ქუჩაში დაჭერილს ზოგი ადამიანად არ თვლის და ის კი არ იცის, რომ თვითონაა პირუტყვი. ზოგი თვითონ რო ვერ ათავებს და თანაც დიდგულზე როა, გეინძერი შენც, შე შობელძაღლო, ცოტაო, ჩაგხვნეშის ყურში! რა გაცინებს? ასე არ არი?

ახლა ბესოსთან (ბესო ჰქვია) არ დავწოლილვარ-მეთქი, რო გითხრა, ტყუილი იქნება. ისე ვინ მიგიღებს დღეს სამსახურში. თავიდან შორს დავიჭირე. სამი დღე ვახვიე, რაც შემეძლო. „აჰ, ეს როგორ შეიძლება და თქვენ მე ვინ გგონივართ...“ ამნაირი ლაპარაკით ინტერესში ჩავაგდე. რამდენი მიმიხუტებდა და მაკოცებდა, იმნაირ სახეს ვიღებდი, თითქოს ქვეყანა დაიქცა, ეს რა მკადრეს, ეს რა გამიბედეს, ბოლოს ცოტა არ იყოს, ბღვერა რომ დამიწყო, არ დავიღუპო, არ გამაგდოს-მეთქი და დავნებდი. აგერ, უკან საწყობში მაკარონის და არყის ყუთებზე გადამაწვინა. გითხრა სიმართლე, წინა დღეს მე თვითონ გავაწყვე ის ყუთები გვერდიგვერდ, მოსახერხებლად, საქმეს რო მოვრჩით, ერთი-ორი ცრემლი გადმოვაგდე

და ბატონ ბესარიონს ის პატარა ეჭვიც გავუქარწყლე, ჩემს მიმართ რომ ჰქონდა. მეორე დღეს რომ მოვიდა, ეს რა მიყავი, თვალს ვერ გისწორებ, მრცხვენია შენი-მეთქი და სახე მოვარიდე. ნუ ნერვიულობ, რა მოხდა მერეო, მთელი ქვეყანა ამ საქმეზე ჰკიდიაო, დამამშვიდა. შენმა ცოლმა რომ რამე გაიგოს, ხომ თავი მექნება ჩამოსახრჩობი-მეთქი, მოვიბატკნე თავი. ნუ გეშინია, მე არ ვეტყვი, შენ არ ეტყვი და ამ საოხრეზე კიდევ „სოჩიკი“ არ მაქვსო. კაი ერთი, ჩავიკეკლუცჩავიღიმე, სულაც არ არის საოხრე-მეთქი. წელში გაიმართა, ხომ იცი, როგორ უყვართ კაცებს თავის იარაღს რომ შეუქებს ქალი. ერთ დროს მართლაც მაგარი ვიყავიო, უფრო მოიწონა თავი. არ მითქვამს, ახლაც მაგარი ხარ-მეთქი, რომ მეთქვა, ნამეტანი თავს გაუვიდოდა.

მეოთხე თვეა, რაც მუშაობა დავიწყე და ჯერჯერობით ყველანაირად კმაყოფილი ვარ. კვირაში ერთხელ შესვენებას რომ ხუთი წუთი აკლია, ყოველთვის ერთსადაიმავე დროს მოდის, საწყობში გავდივართ და ვახერხებთ რაცხას. ნორმალური კაცია. არ ჩანს ისეთი, ქალზე გადარეული როა ზოგიერთი და თავს რომ დაკარგავს. სიყვარულით არ შევუყვარდები და მეც ეს მინდა. ხელფასს რომ ხელფასად მაძლევს და ისეც მიტოვებს ხანდახან ნავაჭრიდან 20-30 ლარს.

ცოლი? ბავშვები რომ სკოლაში არიან, უცებ იცის მოვარდნა, ვითომ ისე, შემთხვევით შემოიარა, ვითომ ვაჭრობის მაზანდა აინტერესებს. ბესო ხომ არ ყოფილაო, ვითომ შემთხვევით მეკითხება. მე? მეც როგორი გვრიტი ვარ, ვაიმე, ისე მეშინია თქვენი მეუღლის-მეთქი, დილით სისხამზე ვდგები, სამსახურში რომ არ დამაგვიანდეს-მეთქი. ხანდახან ისე ვიქცევი და იმდენჯერ ვიტყვი „თქვენი მეუღლე, თქვენი მეუღლე-მეთქი,“ ვინ იცის, ფიქრობს, ეტყობა, ჩემი ქმრის სახელი დაავიწყდაო.

შენ იცი, მარკეტში არასოდეს მიმუშავია და თავიდან ძალიან მეშინოდა, ვაი თუ ანგარიში შემეშალოს, ვაითუ საქონელი დამაკლდეს-მეთქი. ნელ-ნელა მივეჩვიე. დახლში დგომა

ერთი მხრივ საინტერესოც კია. შენ წარმოიდგინე, ვერთობი რაღაცნაირად და დრო ისე გარბის, მოხედვას ვერ ვასწრებ.

ათასი ჯურის ხალხი შემოდის, მორფინისტებით და ქურდებით დაწყებული, პარლამენტარებით და ექიმებით დამთავრებული. ყველასთან მოვძებნე საერთო. ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკო. თუ შეგატყვეს, რომ ნერვებსუსტი ხარ და გეშინია, თავზე დაგაჯდებიან ნარკომანები და ბაცაცები. არც კურდღელივით უნდა დაფრთხე და მუქარაც არ უნდა წაგცდეს. ეს ვაკეა, სულ დიდი ხალხი ცხოვრობს. აქ მუქარით ვერავის შეაშინებ. უნდა უთხრა ის, რაც გულში გაქვს. არც მეტი არც ნაკლები. გულწრფელობა ყველაზე ნაღდი გზაა ამათ მოსაშორებლად. „ვიცი, ძამიკო, მესმის, წამალზე ფული გაკლდება, მაგრამ მე რა ვქნა, ერთი უპატრონო ქალი ვარ, ეს სამსახური ძლივს ვიშოვე. მე აქ არავინ არა ვარ, უბრალო გამყიდველი ვარ. ერთი ლარიც რომ გამებნეს, იმ საათშივე გამაგდებენ და მშიერი უნდა მოვკვდე. გინდა შენ ჩემი გაგდება? მოითმინე ცოტა, მოვა ბესო და ელაპარაკე. თუ გამიგებ, ხომ კარგი, თუ არა და ე დანა და გამომისევი ყელში. იცოდე, მე პატრულის გამომძახებელი და პოლიციაში გამქცევი არ ვარ. ღმერთმა დამიფაროს, ჩემი მიზეზით ვინმე ჩაჯდეს“.

შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ჭრის ეს ლაპარაკი.

რაც აქ ვარ, ერთი ხმამაღალი შელაპარაკება არ მქონია ნარკომანებთან და ხულიგნებთან. პირიქით, სულ „ჩემო დაო, ჩემო დაოს“ მეძახიან.

ათასი ჭკუის ხალხი შემოდის-მეთქი, ხომ გითხარი.

ყველაზე უკეთ ლოთებს ვეწყობი. ლოთები ძალიან ზრდილობიანი და მოკრძალებული ხალხია. მთავარი, „ხადავოის“ რომ ეტყვიან, ჩვენთან არაყია. იშვიათზე იშვიათად ლოთი ნისიად გამატანეო, ისეთი სახით გთხოვს, უარს ვერ ეტყვი. სახეზე ატყობ, რომ უჭირს კაცს და რა სინდისით ვუთხრა უარი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა ლოთს ან იმავე საღამოს ან მეორე დილით ფული არ მოეტანოს.

ლოთები ლოთებად და ამ ბოლო დროს არაყს 18 ან 19 წლის გოგონები ყიდულობენ. გაგიკვირდება ანგელოზისსახიანი ბავშვი-გოგო ისე ჩაიცურებს არაყს ჩანთაში, შენი მოწონებული.

ერთი ქალი მოვიდა ამასწინათ. მეო, აქ საფულე დამრჩა და გინდა თუ არა დამიბრუნეო.

ვეუბნები, აქ არაფერი დაგრჩენიათ, ქალბატონო, იქნებ სხვაგან დაგრჩათ-მეთქი.

როგორო? მაშ მე ტყუილს ვამბობო? ორიდან ერთი უნდა ვიყო: ან ცილისმწამებელი და ან მეხსიერებადაქვეითებული. არც ერთი ვარ და არც მეორე. ა, ამ დილით სამასი გრამი ძეხვი აგაწონინეთ და საფულე, რომელშიც ორასი ლარი მედო, აქ დახლზე დამრჩაო.

თვითონ გამოუძახა პატრულს, პატრულმა კონტროლი მოიყვანა. რომელი ძეხვი იყიდეთ, ქალბატონო? ეკითხებიან, „ა ეს“, „სერვილადს“ დაადო ხელი, „არა ეს არა, ეს... ეს“ ახლა სამედიცინო მსხვილ ძეხვზე მიათითა. შეამოწმეს სალარო და ნახეს, დილიდან (ეს ამბავი პირველზე ხდება) სამასი გრამი ძეხვი ცალკე არ გამიყიდია. გადავრჩი. „კასას“ რომ დადებითი ამოერტყა, ხომ ვვარდებოდი. იმართლე მერე თავი.

ახლა სხვა ამბავი: ერთი სათნო სახის შაოსანი ქალი მოდის. ქმარი მინისტრის მოადგილე ჰყოლია. შვილი აფხაზეთის ომში დაკარგვია, ქმარი ახლა, შარშან გარდაცვლია. რაღაცნაირად, თბილად განვეწყვეთ ერთმანეთის მიმართ. ჩურჩულით საუბრობს. ისეთი ტკბილი ქალია, ვერ წარმოიდგენ. სულ ქმარ-შვილზე ლაპარაკობს. იქ არის, იმათთან ცხოვრობს. ყველს და ფქვილს, ხანდახან ჰერკულესს და წიწიბურას ყიდულობს ჩემთან. ვენერა ჰქვია. ვილაპარაკებთ ცოტას, ავუწონი, რაც უნდა. გავა, ასე, ათ-თხუთმეტ წუთში მობრუნდება და ხელში ათლარიანი უჭირავს. ათლარიანი გადმოგიყოლებია, გეთაყვაო და თეფშზე მიდებს. თავიდან ვიუარე. არ გადმომიყოლებია-მეთქი, მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, შტერივით

მივაჩერდები და მადლობას რომ ვეტყვი, რისი მადლობაო, მპასუხობს, ხელების ფშვნეტით მიიხედ-მოიხედავს და წავა.

რა ვქნა, არ ვიცი. არადა მრცხვენია. თანაც კატეგორიული უარი რომ ვუთხრა, ვიცი, შეწუხდება.

შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე? ასეთი ამბებიც ხდება ჩემს მარკეტში: ერთი მოხუცი პროფესორი დადის. სკლეროზი აქვს საწყალს. შემოვა. მივა დახლთან. ჯერ ცელოფნის პარკს გამომართმევს. მერე ვიტრინას ჩამოუვლის, ჩადებს პარკში პურს, ნამცხვარს, კარაქს, მწვანე ჩაის, ერთ ფილა შავ შოკოლადს და მიდის.

„ბიკენტი, ბიძია! ბიკენტი ბიძია“ მივსდევ. შეჩერდება და მორცხვად გამიღიმებს – „თქვენ ეს ყველაფერი ხომ წაიღეთ ამ დილით?!“

„უი, სულ დამავიწყდა“, იტყვის და „ნაქურდალს“ ნირწამხდარი ამოალაგებს.

ახლაც იყო, ა, ნახევარი საათის წინ.

ერთი ფეხით გაგასწრო, თორემ გაჩვენებდი. კარგად მოვლილი, სიმპათიური, კრაველისქუდიანი, ჰალსტუხიანი მოხუცია.

ამჯერადაც ჩააცოცა პარკში პური, იაფიანი ნამცხვარი, კარაქი, მწვანე ჩაი და ერთი ფილა შავი შოკოლადი.

დამემშვიდობა და კარისკენ წავიდა.

ამ ერთხელ არ გამოვკიდებივარ.

რაც არის, არის.

28 თებერვალი, 2011
თბილისი

ახია

გუბერნატორ ფანცქალაძეს ერთადერთი შტატის ფოტოგრაფი ჰყავდა, სახელად ლავრენტი.

ლავრენტი ადრე კინოსტუდიაში მუშაობდა გამნათებლის თანაშემწედ. მერე, კინოსტუდია რომ გაუქმდა, ტელესტუდია „იმედში“ მოეწყო გამნათებლად. „იმედი“ რომ დალეწ-დაანგრიეს, კარგა ხანს უმუშევართა მრავალათასიან ლაშქარს ამშვენებდა. ბოლოს ვიღაცამ ურჩია, ფოტოგრაფობა დაიწყეო. ასეც მოიქცა. შუქ-ჩრდილი ლავრენტის არ ეშლებოდა და კომპოზიციაზეც ჰქონდა ცოტა რამ წარმოდგენა. მაღალი, გამხდარი, მიხვრა-მოხვრიანი კაცი იყო, შრომა არ ეზარებოდა და ფოტოგრაფიაში მალე გაიკაფა გზა.

სხვათა შორის, შემჩნეული მაქვს, რომ ფოტოგრაფებს რატომღაც ეხამუშებათ, როცა თავიანთ პროფესიას ახსენებენ.

მახსოვს, ახალგაზრდობაში ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ ვიყავი სტაჟირებაზე. რედაქტორმა დამავალა: ჩვენს ფოტოგრაფს, კობეშავიძეს სამოცი შეუსრულდა და ნომრისთვის მასალა მომიმზადეო.

რა მასალა-მეთქი? შევბედე შეკითხვა.

გაკვირვებით შემომხედა.

ჟანრზე გეკითხებით-მეთქი. ჩვენ გვასწავლეს, რომ საიუბილეოდ, ე.ი. მისასალმებლად, პიროვნებაზე შეიძლება მომზადდეს გაფართოებული ინფორმაცია, სარედაქციო მისალმება, ნარკვევი ან ინტერვიუ-მეთქი.

რედაქტორი წამოჭარხლდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა: მომცრო ნარკვევი დაწერეო, მოკლედ მომიჭრა.

მოვძებნე კობეშავიძე და ორსაათნახევარში რედაქტორს მომცრო ნარკვევი მაგიდაზე ედო.

მეორე დღეს კობეშავიძემ საჯაროდ დიდი მადლობა გადამიხადა, პირად საუბარში კი სხვათა შორის ჩამილაპარაკა: რეზო, ერთ რამეს გთხოვ, სხვა დროს თუ მოგიწიოს ჩემზე დაწერა, ფოტოგრაფს ნუ დამიძახებ, ფოტოხელოვანი მიწოდეო.

ისევ ლავრენტის დავუბრუნდეთ.

ფოტოგრაფისგან ორ რამეს მოითხოვს მასმედია: კარგი ფოტოს გადაღებას და სხვაზე ადრე მიტანას რედაქციაში.

რაკიღა ჩვენი ლავრენტი ხარისხიან ფოტოს ამზადებდა და რედაქციებს შორისაც უპირველესი „მორბენალის“ სახელიც დაიმკვიდრა, იმდენად გაითქვა სახელი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი საგუბერნატორო კანცელარიაში დაიბარეს და ფანცქალაძესთან მცირე გასაუბრების შემდეგ გუბერნატორის პირად ფოტოგრაფად გაამწესეს.

ლავრენტის მოვალეობას წარმოადგენდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა გრძელნაბიჯოსან გუბერნატორს და გადაეღო თითქმის ყოველი მისი ისტორიული, თუ ისტორიისთვის შედარებით ნაკლებად ღირებული ნაბიჯი.

სადილის შემდეგ გუბერნატორი და მისი ერთგული ფოტოგრაფი კომპიუტერს მიუსხდებოდნენ და უცხოეთის დაზვერვის დაინტერესებული წარმომადგენელი ამ სერობიდან მხოლოდ და მხოლოდ გუბერნატორის თითო ფრაზას და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, მამლის ყივილის მსგავს ჩახრინწ-ჩახველებას გაიგონებდა. მაგალითად ასეთს:

– „გაუშვი“, „არა“, „არა“, (ჩახრინწ-ჩაყივლება), „არა“, „არა“, „გაგიჟდი? “, „გაუშვი“, „გაუშვი“, „არა“, „არა“, „ეს რამ გადაგაღებია“ (ჩახრინწ-ჩახველება), „არა, რა თქმა უნდა“.

საიდუმლო შიფრის ენაზე ეს ფრაზები ნიშნავდა: „არა“ – წაშალე, გაანადგურე, არ დაბეჭდო, არ გაავრცელო, „გაუშვი“ – მიიტანე რედაქციებში, უნდა დაიბეჭდოს პრესაში, ქვეყანამ უნდა ნახოს“... ჩახრინწ-ჩახველება – იმის დასტური გახლდათ, რომ გუბერნატორს კადრი, კაცმა რომ ჩთქვას, მოე-

წონა, მაგრამ მისი დელიკატური შინაარსის გამო საზოგადოების წინაშე გამოტანას მხარს ვერ დაუჭერდა.

გუბერნატორი და მისი პირადი ფოტოგრაფი მალე დამეგობრდნენ და ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ ფანცქალაძეს ლავრენტისთვის შენიშვნა მიეცეს, ხოლო ლავრენტის თავის მხრივ (ღმერთმა დაგვიფაროს) გუბერნატორისთვის სიტყვა შეებრუნებინოს.

თუ ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა იყო გუბერნატორსა და ფოტოგრაფს შორის, რატომ იბეჭდებოდა საზღვარსშიგნითა თუ საზღვარგარეთა პრესაში ამდენი, თვით გუბერნატორისთვის სავალალო, ხოლო უცხოელ მკითხველთათვის (და, ღმერთო შეგცოდე, შინაური ოპოზიციისთვისაც) ღიმილის მომგვრელი ფოტო ფანცქალაძის წრეგადასული ნაბიჯების შესახებ?

ერთ ღრუბლიან დღეს, გუბერნატორმა რომ უმი თევზისგან დამზადებული იაპონური კერძი მიირთვა და ლავრენტისთან ერთად კომპიუტერს მიუსხდნენ, მოულოდნელად ფანცქალაძემ ნიკარაგუის ცენტრალური გაზეთის – „ვატატატუ ვაკახარას“ ახალი ნომერი გაუფინა ლავრენტის მაგიდაზე და მრისხანედ ჰკითხა:

– რა ხდება, ლავრენტი?!

ლავრენტიმ გაზეთს დახედა და პირკატა ეცა.

პირველ გვერდზე სათაურით „ერთი გუბერნატორის ოინბაზობანი“ სამი ფერადი ფოტო იყო დაბეჭდილი:

პირველ ფოტოზე ვნებამორეულ გუბერნატორს მხატვრულ ტანვარჯიშში ევროპის პრიზიორის, 19 წლის ესტონელი გოგონას მარჯვენა დუნდული მუჭში მოემწყვდია და არც თუ მთლად ნორმალური კაცის ღიმილს აფრქვევდა ირგვლივ. მწიფე თეთრი ბალი ხომ გინახავთ? სწორედ მწიფე თეთრი ბლის ფერი დუნდულები ჰქონდა ტანმოვარჯიშე გოგონას.

მეორე ფოტოზე ჭრელ, იაფგემოვნების კაცებისთვის შეკერილ, მოკლესახელო კვართში და ხელისგულისხელა ბალთიანი ქამრით დამშვენებულ ჯინსში გამოკვანწულ გუბერნატორს სამი თითის კომბინაციით საიმედოდ შეკრული მუშტი ცხვირთან მიეტანა რომელიღაცა (არა ამერიკის) ქვეყნის ჰალსტუხიან-ცილინდრიანი მოხელისათვის.

მესამე ფოტოზე გუბერნატორი ჩაცუცქულიყო და კორკიმელეთისთვის სრულიად უჩვეულო, სკანდინავიურ თამაშს „ბოთლზე დაჯდომობიას“ თამაშობდა. ფანცქალაძეს სახეზე ეტყობოდა, რომ დიდ სიამოვნებას როდი ჰგვრიდა ეს თამაში, მაგრამ დემოკრატიის ხათრით იღებდა „ამხელა მსხვერპლს“.

ლავრენტიმ ფოტოები გულდასმით დაათვალიერა და მწუხარე სახით მიაჩერდა გუბერნატორს.

– ეს კადრები გაანადგურე, არავინ ნახოს-მეთქი, მე არ გითხარი, ლავრენტი?

– კი, მითხარი.

– მერე?

– შეთანხმებისამებრ გავანადგურე. მე არავისთვის მიჩვენებია.

– აბა, როგორ მოხვდა „ვატატა ვაკახარას“ ფურცლებზე?

– რა ვიცი, ბატონო. ჩემს გარდა ჩვიდმეტი ფოტორეპორტიორი გიღებთ ყოველდღე. ტელევიზიებს რომ თავი გავანებოთ.

– რა არი... რა, – ცრემლი გაერია ხმაში გუბერნატორს, – ეს რომ პრეზიდენტმა ნახოს, ხომ გადეირევა კაცი, ხომ გამაგდებს მაშინვე. რა გადასაღები იყო ეს მაგალითად, თვითონ იმ ტანმოვარჯიშეს ხმა არ ამოუღია და ფოტოგრაფი ვისი ტიკი-ტომარა იყო. მეტი არ უნდა აპატიოთ ადამიანს? მეტი სინდისი არ უნდა შეუნახოთ?

– მე რა შუაში ვარ, ბატონო, თქვენ ჩემში ეჭვი გეპარებათ?

– არ ვიცი... არ ვიცი... მე უკვე ყველაში მეპარება ეჭვი – ჩაილაპარაკა გუბერნატორმა და საულვაშეზე საჩვენებელი თითი გაისვა.

გავიდა ერთი თვე და ახლა ნაურუს რესპუბლიკის წა-

მყვანმა გაზეთმა „ბანანუტამ“ გამოაქვეყნა გუბერნატორის ორი კორკიმელეთისთვის ფრიად თავისმომჭრელი ფოტო:

ერთ ფოტოზე ტრუსისამარა, შიშისგან სახეწაშლილი გუბერნატორი ოთხით მიხოხავდა რიონისპირა ჭალაში, ხოლო უკან ზოოპარკის დათვი მოსდევდა.

მეორე ფოტოზე ამწეკრანის საჭესთან მჯდომი გუბერნატორი პოეტ კვირკველიას ძეგლს სწევდა მაღლა. კვირკველიასთვის ამწეს ყბა იღლიისქვეშ ამოედო და სადაცაა ძეგლი ჩამოვარდებოდა. ქვევით გუბერნატორის მოულოდნელი „ილეთით“ შეძრწუნებული ჩინოვნიკები გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ.

ლავრენტიმ ეს ფოტოებიც დაათვალიერა და განსაკუთრებით მეორე ფოტო ეუცნაურა.

– რა ვქნათ, ლავრენტი? – სხვა ხმით ჰკითხა გუბერნატორმა.

– რა მოგახსენოთ, ბატონო.

– ერთი რამე მოვიფიქრე. არ მინდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზა არ არის.

– გისმენ. თქვენ ცუდს არაფერს მოიფიქრებდით.

– უნდა დაგაპატიმრო.

ლავრენტის გაეცინა.

– მე რა შუაში ვარ.

– შენ არაფერ შუაში ხარ, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. დაგაპატიმრებ, უცხოეთის ჯაშუშობას დაგაბრალებ და სხვებს შეეშინდებათ. სხვებისთვის გაკვეთილი იქნება, ფანცქალაძემ თავისი პირადი ფოტოგრაფი არ დაინდო და ჩვენ რას გვიზამსო, იტყვიან.

– კი მაგრამ, ჯერ ერთი, სირცხვილს სად გავექცე და მეორეც, ციხეში ყოფნას გავუძლებ ამ ხნის კაცი? – ტირილამდე ცოტა აკლდა ლავრენტის.

– ეგ არაფერი... კარგ პირობებს შეგიქმნით. დიდი-დიდი ექვსი თვით ჩაგსვათ.

– ბატონი ბრძანდები, მაგრამ არა მგონია, ამ ხერხმა გაჭრას!

– გაჭრის, გაჭრის... ხალხი ისედაც შეშინებულია. ამ ფოტოგრაფებს გაუვიდათ თავს, თორემ სხვა ყველა მოჭკვიანდა.

– სურათებს ხომ ისევ გადაიღებენ?

– შეიძლება გადაიღონ, მაგრამ არ გაავრცელებენ, შეეშინდებათ. შევთანხმდით? ჩემი ხათრით, უნდა გააკეთო ეს საქმე, ჩემო ლავრენტი.

– როდის ამიყვანენ? – ლავრენტის ადამიანისფერი აღარ ედო.

– ხვალ, დილით.

– უთხარი, ძალიან ადრე ნუ მოვლენ.

– კარგი.

გუბერნატორი თავის გრძელ კაბინეტში შევიდა და კონდიციონერს სახე მიუშვირა.

შენ როგორ ფიქრობ, მკითხველო, შეწყდება ამის შემდეგ გუბერნატორ ფანცქალაძეზე „მამხილებელი“ ფოტოების ბეჭდვა?

რასაკვირველია, არ შეწყდება.

ლავრენტის გაბედულება არ ეყო, ეთქვა გუბერნატორისთვის – ფოტოგრაფები რა შუაში ვართ, გუბერნატორო, ნუ გააკეთებ სისულელეებს და აღარ გადაგიღებენ ამდენ მაკვარანცხ ფოტოსო.

ამიტომაც, მე ვფიქრობ, ახია ლავრენტიზე, რაც დაემართა.

13 ივლისი, 2011
თბილისი

ცივი ღამე

ჩვენმა ფისომ კნუტები დაყარა. რა ულმობელი სიტყვაა „დაყარა“. კი არ დაყარა, ჰშობა, დაბადა, მოიგო თუ გნებავთ, შეეძინა ფისოს კნუტები. დასაყრელად როგორ გაიმეტებდა;

ბოლო ერთი კვირა გაფაციცებით ეძებდა ადგილს, სადაც ბუნების მიერ დაწესებული კანონი უნდა შეესრულებინა – დედა უნდა გამხდარიყო.

მშობიარობისთვის შესაფერის ადგილს რომ ვერ პოულობდა, ამოვიდოდა აივანზე, შემოგვაჩერდებოდა და შემოგვკნავლებდა:

ხომ ხედავთ, რამხელა მუცელი დამაქვს, მიშველეთ, მომეხმარეთ, სადმე მყუდრო ადგილი მომიჩინეთო.

მოვძებნე ფანერის ყუთი. ჩავაფინე ჩვრები, დავდგი კიბის ქვეშ, მოვკიდე ფისოს ხელი და ჩავსვი.

შუაღამისას საშინელმა ღრიალ–კნავილმა გამომაღვიძა.

წამოვვარდით და ელექტრონის შუქზე რას ვხედავთ; ფისო გააფთრებით ებრძვის მეზობლის ხვად კატას.

წამოვავლე ჯოხს ხელი და დავუცაცხანე.

ხვადმა იკადრა გაქცევა. ფისომ ჭიშკრამდე სდია. მერე მობრუნდა. მადლიერებით შემოგვკნავლა და იარების გალოკვას შეუდგა.

ამასობაში ჩვენ ყუთს ნათურა ჩავანათეთ.

ფისოს სამი ახალშობილი კნუტი ერთმანეთს მიჰკვროდა.

ჩვენს ლაპარაკზე მეზობელმა, კორნელი თოფურიამ ჩამოგვხედა თავისი მაღალი აივნიდან.

ხომ მშვიდობააო, გვკითხა.

ასე და ასეა ჩვენი საქმე. ფისომ იმშობიარა და ლანჩავების ხვადმა მოაკითხა, ერთმანეთი კინაღამ დახოცეს-მეთქი.

ოო... კაი დიდი პრობლემა გქონიათო, ბატონმა კორნე-

ლიმ. საერთოდ ხვად კატებს ეს საზიზღარი თვისება აქვთ – ახალშობილებს ჩახედავენ, თუ ეჭვი აიღეს, რომ მისი შვილები არ არიან, უსათუოდ უნდა შეჭამონო. ფისომ იცოდა, რისთვისაც მოვიდა ხვადი და ამიტომ ებრძოდა თავგანწირვითო. თუ თქვენც და ფისოც ფხიზლად არ იქენით, ხვადი კიდევ მოვა და კნუტებს დაითრევსო. პირველი ორი კვირაა საშიში, მერე ხელს აღარ ახლებსო.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ. მე და ჩემს ბებერ ცოლს კიბეზე ჯდომის და დარაჯობის თავი გვაქვს?

თანაც ნოემბრის თერთმეტია. ღამით საკმაოდ ცივა. მარილებისგან დამზრალ ჩვენს ძვლებს სიცივის მიმატება უნდა?

რა ვქნათ, რა ვქნათ-მეთქი და ისევ მე მოვიფიქრე:

ჭასთან რკინის ცხრილი მეგდო. ფისომ რომ იარები გაილოკა და შვილებთან ჩახტა. ავიღე ცხრილი და დავაფარე ყუთს, თან ზემოდან ჩაქუჩი დავადე. ფისო დილამდე როგორმე მოითმენს, ხვადი კი ცხრილს ვერ გადააძრობს და გადარჩება შთამომავლობა.

დილით ადრე ჩავასწარი ჩემს ცოლს ეზოში.

ყუთს ცხრილი გადავაძვრეთ. ეძინათ ფისუნიებს. დედა ფისოს თათები შემოეხვია თავისი უმწეო, ფაფუკი, ბრმა კნუტებისთვის და ცხრილი რომ ავხადეთ, მაშინღა ამოგვხედა. ამოსვლით ერთი საათის მერე ამოვიდა, წყალი დალია, გაიარ–გამოიარა და კვლავ შვილებს დაუბრუნდა.

დღის განმავლობაში ორჯერ მოვიდა ხვადი. ჩვენ ეზოში ვიჯექით. აქაოდა, თქვენ ვინ გკითხავთო, ჩვენსკენ არც გამოუხედავს, ჩქარი ნაბიჯით მუყაოს ყუთს მიაშურა.

მაგრამ „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“.

დედაფისომ ერთი გამეტებით დაიჩხავლა, ყუთიდან ამოხტა და მორკალური, აზღარბული ეცა მომხვდურს.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, მივეხმარეთ და ორივეჯერ კუდით ქვა ვასროლინეთ გალიფრებულ ხვადს.

ღამით მე ადრე ვწვები.

ჩემი ცოლი რომ კიბეზე ამოდის, ერთი პირი ძილი გამოძინებული მაქვს.

– გესმის? – გავძახე.

– რა გინდა?

– კატებს ცხრილი ხო დააფარე?

– კი.

გადავბრუნდი და მშვიდად დავიძინე.

ღამით ერთი კნავილ–ჩხავილი კიდევ მომესმა, მაგრამ ადგომით არ ავმდგარვარ. იმედი მაქვს, ჩემს პატარა ფისუნიებს ხვადი ვერას დააკლებს.

დაახლოებით ასე, განთიადის ხუთ საათზე ფანჯარასთან გადაბმული კნავილი მომესმა.

ჩვენი ფისოს ხმაა.

აქ რა უნდა? მას ხომ ახლა ცხრილის ქვეშ კნუტებთან უნდა ეძინოს.

ნუთუ იძალა გათახსირებულმა ხვადმა და ყუთში შეაღწია.

წამოვხტი. კიბეზე ჩავფოსტლდი. ყუთთან მივირბინე. ყუთს ცხრილიც ახურავს და ჩაქუჩიც ადევს.

ამასობაში ჩემი ცოლიც ჩამოვიდა.

ავხადეთ ცხრილი და რას ვხედავთ: სამი გათოშილი კნუტი ერთმანეთს სავალალოდ მიჰკვრია და სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობათ.

უკვე ძიგძიგის თავიც აღარა აქვთ.

დედა–ფისო მაშინვე ჩახტა.

ძუძუებით და მუცლით დაფარა მომაკვდავი კნუტები და საცოდავად ამოგვკნავლა:

აქაოდა, ეს რა მიყავით, ღმერთი არა გწამთო? ამათ რომ რამე მოუვიდეს, ხომ იცით, თავს არ ვიცოცხლებო.

რა ძნელი მისახვედრი იყო, თურმე ჩემმა ცოლმა ყუთს რომ ცხრილი დააფარა, ეგონა ფისო თავის კნუტებთან იყო.

დედა ფისო თავის კატურ საჭიროებაზე იყო ორი წუთით ეზოში გასული. რომ მობრუნდა, რაღას იზამდა. გარედან დარაჯობდა კნუტებს. დილისკენ მომეტებულად რომ აცივდა, შვილები გამეყინებიანო და ატეხა კნავილი ჩემს ფანჯრებთან. ან ის საიდან გაიგო, რომელ ოთახში მეძინა.

შევყავი ხელი ფისოს მუცლის ქვეშ. სამივე კნუტი გაცივებულია, ძუძუს არ სწოვენ, ძლივსღა ტოკავენ.

არიქა-მეთქი, როგორმე უნდა გადავარჩინოთ! მაინც, შე ქალო, როგორ არ ჩაიხედე ყუთში ცხრილს რომ აფარებდიმეთქი.

ჩემს ცოლს კიდევ საყვედური უნდოდა? ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ყუთი დედიან–შვილებიანად ბუხართან შემოვიტანეთ. თითქმის ცხელი „გრელკები“ შემოვუწყვეთ ირგვლივ. ცეცხლი გავაჩაღეთ. კნუტებს ნაზ „მასაჟს“ ვუკეთებთ ზურგმუცელზე, რომ სისხლი ავუმოძრავოთ.

... და კნუტები გადარჩნენ.

სამ-ოთხ საათში გალღვნენ, გათბნენ და დედის ძუძუ მოძებნეს.

ახლა ეზოში მალაყებს გადადიან და, რასაკვირველია, აღარ ახსოვთ თერთმეტი ნოემბრის ცივი ღამე.

9 ივლისი, 2011 წ.
თბილისი

ქრთამი

თოთხმეტი წლის ბიჭმა ჯერ თვალებში მუშტები ამოისვა და მერე ლაკშემოძარცვულ, ძველთაძველ ტანსაცმლის კარადას შეხედა.

გამოთვლილი ჰქონდა, კარადას რომ მზე დაადგებოდა, რვა საათი იყო, არც მეტი არც ნაკლები.

„ჯერ არ წასულა“.

წამოხტა და ტრუსისამარა ფანჯარასთან დადგა.

მალე ჭიშკრის ჩხარი გაისმა.

მოპირდაპირე სახლის ეზოდან ჩანთიანი გოგო გამოვიდა.

ჩანთა მუხლებშუა ამოიდვა, აიწია, ძლივს მიწვდა საკეტს და ჭიშკარი ჩაკეტა.

– გესმის?! – დაედევნა დედამისის ხმა – გეოგრაფია მიგაქ?

– კიე.

უპასუხა გოგომ ისე ხმადაბლა, რომ მხოლოდ შემკითხველი გაიგონებდა.

დიდი ჭკუის პატრონივით მიმოიხედა და ჩანთის ქნევით ქუჩას აღმა აუყვა.

ბიჭმა ეზოში ჩამოირბინა, ონკანი მოუშვა და თავკისერი წყალს შეუშვირა.

უნაბის მაღალ ტოტზე ჩამოკიდებულ პირსახოცს მიწვდა და კარგა ხანს გამეტებით იმშრალებდა.

ისევ ზევით აირბინა და სარკის წინ გაჩერდა.

სამითითისხელაზე შეჭრილი ურჩი თმა მეხამრიდივით აშვერილიყო.

ბებიამისის მჭიდროკბილება, ბზის სავარცხელი აიღო და გულმოდგინედ ჩამოივარცხნა.

თმა მოსაჩვენებლად ჩამოსწორდა, მაგრამ წამის მეხუთედში ისევ ცისკენ აღიმართა.

ისევ ჩამოივარცხნა.

თმა კვლავ დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას.

გრაფინი აიღო, აივანზე გადაიწია, მარცხენა ხელისგულზე დაისხა წყალი და თმა ისე გულუხვად დაისველა, რომ ცხვირ-ყურზე წვეთები ჩამოსდიოდა.

მობრუნდა სარკესთან, ყავისფერტარიანი „ჩოთქი“ აიღო და ჩამოისვა თავზე.

სველი თმა დაჰყვა ჩოთქს, მაგრამ ოდნავ შეშრა თუ არა, ისევ გულისმომკვლელად აიწია მაღლა.

ბიჭმა შარვალი ამოიცვა, ლაფაროში მდგარ მსხალთან მიირბინა.

უკიბოდ, კატასავით სწრაფად მოექცა მსხალს კენწეროში.

მაისურის უბეში ჩამოიკრიფა და ჩამოვიდა.

ისევ ავიდა კიბეზე.

სარკეს გულდაწყვეტით შეავლო თვალი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თმის დაწვენას ვერა და ვერ მოახერხებდა.

ცელოფანის პარკში ჩააწყო მსხალი და ქუჩაში გამოვიდა.

– ფარნა!

არავინ შეეპასუხა.

– ფარნა!

– რა იყო, ბუძგია?! – ნამძინარევმა ხმამ ფანჯარა გაარღვია.

– ჩამოდი, ე მსხალი გამომართვი.

მაღალი, ბობრი ბიჭი კიბეზე ჩამოფშლატუნდა.

– ჩვენი მსხალია, ცოტა შემწიფდა და მოგიკითხე.

– მადლობ, ბუძგია.

ბიჭმა მსხალი გამოართვა, მაგრამ კიბეზე ასვლას არ აპირებდა. გუმანით მიხვდა, რომ სტუმარს რაღაც კიდევ ჰქონდა სათქმელი.

– ფარნა.

– რა იყო, ბუძგია?

– აწი ბუძგიას ნულარ დამიძახებ, კაი?

– კაი... ისედაც არ დაგიძახებდი.

ბიჭები ერთმანეთს დაშორდნენ.

ჩვენი გმირი სახლისკენ გამობრუნდა. იგი ჯერ გაკვეთილებს ჩაუჯდებოდა, შუადღისკენ ცოტა ხანს კიდევ „გაიწამებდა თავს“ სარკესთან, მერე მოღუნულკოზიროკიან ჩალისფერ ქუდს დაიხურავდა და სკოლისკენ გასწევდა.

23 ივლისი, 2011
თბილისი

ბორკილი

თავიდან არ ვყოფილვარ აქციაზე.

რა ვიცი, დიდი იმედი არასოდეს მქონია მიტინგებით გაკეთებული საქმის და ამიტომ არ წავედი.

უჩემოდაც კარგად იყვირებენ, უჩემოდაც კარგად აგინებენ მთავრობას-მეთქი და დამეზარა წასვლა.

ესეც არ იყოს, გული მაწუხებს ამ ბოლო დროს და ვერიდები ხალხმრავლობას.

უცებ რომ გული შეგიწუხდეს, ვინ მოგხედავს, გადაგივლიან და გაგთელავენ.

ბოლოს მაინც გავედი ტელევიზიასთან .

სამ დღეში რომ ხალხი შემოელიათ, შემეცოდნენ აქციის ბელადები და მივემატე შეთხელებულ მიტინგს.

დამიჯერე, იმანო, ჯერ მე რომელი შემვარდნი, დამცემი და მთავრობის ჩამომგდები ვარ და ვინც იქ იდგა, მიკროფონიანი მოქადაგეების ჩათვლით, არც ერთი არ იყო იმის გამკეთებელი, რისიც თურმე მთავრობას შინებია.

ნონა გაფრინდაშვილისგან, გოგი ქავთარაძისგან და რეზო ესაძისგან ელი შენ ვინმესთვის თავში კეტის ჩარტყმას? რომელი ტერორისტ-რევოლუციონერები ეგენი მყვანან.

ჯერ გამოგვიცხადეს, თავისუფლების მოედანზე წავიდეთ ასე ერთად და იქ გავაგრძელოთ მიტინგიო.

რომ გავიხედ-გამოვიხედე, გაწიე-გამოწიე ოთხას-ხუთას კაცზე მეტი არ ვიყავით.

პარლამენტის შენობას რომ მივუახლოვდით, რუსთაველზე მშვენიერი „სკამეიკები“ იყო შეჭედილი ხვალინდელი პარადისთვის და ვიღაცა ოჯახამოსაწყვეტმა იყვირა, მოდით, აქ დავჯდეთო.

გითხრა სიმართლე, ჩამოწყდა ხალხი სამი დღე ფეხზე დგომით და ჩამუხლება ყველას ჭკუაში დაგვიჯდა.

მოვკალათდით ფიცარნაგებზე მშვენიერ-კარგად.

მჯდომარე რევოლუცია გინახავს სადმე?

რა მინდოდა მე ორმოცდაათს გადაშორებულ კაცს ამ შუაღამეზე ქუჩაში? ვერ დაეტიე შენს ლოგინშიო, იკითხავ შენ.

ვერ დავეტიე.

ერთფეროვნებისგან, მოწყენილობისგან გაქცევის საშუალება იყო ჩემთვის ეს აქცია, სხვა არაფერი, მამის სული ნუ წამიწყდება.

ჩვენ ხომ თეატრალური ვიცით ყველაფერი.

სანახაობას ნუ მოაკლებ ქართველ კაცს და, თუ გინდა, ჯოჯოხეთში ჩამოგყვება.

გავერთობი პატარას და წავალ სახლში-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

ცოტა არ იყოს, განზე ვიდექი. ჯგლეთა-ორომტრიალში და გულზე ხელის ბრაგუნში მაინცდამაინც არ გავრეულვარ.

მე ვთქვი, ამ მიწოლა-მოწოლაში ფეხსაცმელი არ გამძვრეს და არ დავკარგო-მეთქი.

არც ორატორების გამოსვლას ვუსმენდი დიდი გულისყურით.

რას იტყოდნენ ახალს.

თორმეტის ნახევარზე თქეში წვიმა წამოვიდა.

გააქც-გამოაქცია წვიმამ ისედაც შეთხელებული ხალხი.

ზოგი ხეებს და სადარბაზოებს შეეფარა, ზოგმა ცელოფნის ტომრები ჩამოიმხო თავზე.

მოქადაგენი გადახურულ მანქანა-ტრიბუნაზე იდგნენ და შეწუხებული სახეებით ხან ცას ასცქეროდნენ, ხან ჩვენ დაგვცქეროდნენ.

პირველივე წუთში ისე გავილუმპე, რომ აწი გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა. წვიმა ჯიბეებშიც ჩამდიოდა და ჩემს ირგვლივ გუბედ დგებოდა.

თავისუფლების მოედნის მხრიდან დაფდაფების აჭრილ-არეული ხმა გაისმა.

ყველამ იქეთკენ მივიხედეთ.

პლასტმასის ფარებზე რეზინის ხელკეტების ცემით ჩვენ-სკენ მოდიოდა თავჩაჩქნიანი პოლიციელების დიდი რაზმი.

წვიმის წვეთები ნაპერწკლებივით ცვიოდა მათს მუზარად-ჩაჩქანებზე.

მოსწავლეთა სასახლეს რომ მოუახლოვდნენ, რაზმი ორად გაიყო და შუა ქუჩიდან ჩვენსკენ შავად შესუდრული უზარმაზარი ოთხი მანქანა დაიძრა.

მანქანები წამით შეჩერდნენ, დაიხრიალეს და პროჟექ-ტორების მსგავსი ხახებიდან ერთბაშად მომართეს მომიტინ-გეებისკენ წყლის „ტყვიამფრქვევები“.

ძირს დაგდებული ქოლგა ავიღე და ავიფარე. რა ძალა ჰქონია წყალს. ჭავლმა ქოლგა წამში ნაფლეთებად მიქცია.

ხალხი წივილ-კივილით გარბი-გამორბის.

მიაწყდება ერთი ნაკადი სკოლის აღმართს და წამში უკან ჩამორბის, სასახლესთან ხელკეტების ცემით და გამეტებული გინებით ოტებულებს სხვა რაზმი ხვდება.

უბაზუნებენ თავ-ზურგზე უმწეო ადამიანებს ხელჯოხებს, უმასპინძლდებიან პანღურით... თავტრაკზე ხელაფარებული „რევოლუციონერები“ ფურცელაძის ქუჩისკენ რომ ჩაიქცევ-იან, იქ ახალი სპეცნაზი ხვდებათ და შუაგზაზე შემორეკავენ.

საკმარისია წამით შეჩერდე და კბილებამდე შენიღბ-შე-ბურდულ პოლიციელს ჰკითხო – საით გავიქცეო, რომ მოგი-ბრუნდება და იმდენს გირტყამს, წელს გაგათრევინებს.

საჩიხეში შერეკილი პირუტყვივით ზრიალებენ დარბეულ-გალახულნი, მი და მო აწყდებიან, წრეს ურტყამენ, ღრიალე-ბენ, ტირიან, იხვეწებიან, გაგვიშვითო, მაგრამ ვერ ვხედავ მომხვდურთაგან ადამიანობის, ყურადღების გამოჩენას, შეც-ოდება-შებრალების უმცირეს ნიუანსსაც კი.

მორევივით ერთ მოედანზე მოტრიალ-მობზრიალეთგან ვისაც მოიხელთებენ, ჯერ ცემით დაასივებენ, მერე ხელ-ბორკილს ადებენ და ფილაქანზე პირდაღმა აგდებენ.

ჯგლეთა-ორომტრიალში მოსწავლეთა სასახლის ღობის გისოსებთან ძლივს მივხოხდი და ის იყო ჩიტაძის აღმარ-თისკენ ვქენი პირი, რომ ჩემსკენ წამოსული ხელკეტმომარ-ჯვებული ოთხი დევი დავლანდე.

მე აქ შემთხვევით მოვხვდი და ხომ ვერ მეტყვით, რა ვიღონო-მეთქი, ვკითხე მათ შორის მოახლოვებულს.

– შემთხვევით? სულ შემთხვევით? – გამომაჯავრა სპეცრაზმელმა, – ისე შენი დედა მოვტყან!

მომინაცვლა და მომინაცვლა ხელკეტი.

მირტყამდა არაადამიანური ძალით, დასასჯელად და გას-აროზგად კი არა, მოსაკლავად.

თავზე ხელი დავიფარე და სასახლის კიბესთან წავიკუზე.

ჩემს გალახვა-დაჩოქებას ეს ერთი მკლავდაბერილიც მშვენივრად მოახერხებდა, მაგრამ სამნიც წამოეშველნენ და წაქცეულს მცემდნენ.

ღრიალ-ტირილისგან ხმაჩაგლეჯილს, ტკივილისგან ტუჩ-მოჭმულს მხრებში ჩამაფრინდებოდნენ, კედელ-კიბესთან მი-მაყუდებდნენ და პირუტყვული ძალით მირტყამდნენ.

გონს რომ მოვეგე, ხელფეხშეკრული ქვის ფილაქანზე თავდაღმა ვეგდე და წვიმა ზურგკისერზე მეთხლიშინებოდა.

რამდენადაც მიხედ-მოხედვა შევძელი, ჩემს ირგვლივ უამრავი ჩემს მდგომარეობაში მყოფი ეყარა.

პირქვედამხობილ, უმწეო მომიტინგეთა შორის პოლ-იციელები დააბიჯებდნენ და ვისაც თავის აწევა ჯერ კიდევ შეეძლო, წიხლს ჩააზელდნენ ფერდებში: რას ხვანცალობ, შენი დედა ასე და ისეო.

პირი წყლით მევსებოდა, სუნთქვა მიჭირდა.

ცუდად ვარ, გული მაწუხებს, თუ კაცი ხარ, ხელები წინ მაინც შემიკარი-მეთქი, შევეხვეწე დამსჯელი რაზმის ფარშუბოსან ურჩხულს.

პასუხად თავკისერში სამჯერ ისე მაგრად დამარტყეს, რა სიმაგრითაც საქონელს ურტყამენ ეროს სასაკლაოზე.

კიდევ კარგი, გონება დავკარგე. აღვირახსნილი თვისტომის სხვა ულმერთობა აღარც მიგრძვნია და აღარც დამინახავს.

20 ივლისი, 2011
თბილისი

ნიმფეგი

ლაიპციგის სასტუმრო „ვილჰელმში“ ჩამოვხტი.

ხვალ ვულკანოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია იწყება.

ნომრის გასაღებთან ერთად კონფერენციის პროგრამაც დაგვირიგეს.

ჩემი მოხსენება („ჩამქვრალი ვულკანები კავკასიაში“) მეოთხე პლენარულ სხდომაზეა.

ლამის დღე და ღამე გზაში ვარ. წუხელის უამინდობის გამო ლაიპციგმა არ მიგვიღო და ბერლინის აეროპორტში ვიყურყუტეთ დილამდე.

თქვენთან ფინური აბანო თუ არის-მეთქი, სართულის მორიგეს ვკითხე.

თუ ორთქლის აბანოს გულისხმობთ, არ არის, სამაგიეროდ მშრალ-ცხელი აბანოა, გერმანული, თქვენში „პარნოის“ რომ ეძახიანო.

სწორედ ეგ მინდა-მეთქი.

– ჩადით, ჩადით, ძალიან მოგეწონებათ, ოღონდ ბილეთი ადრევე უნდა შეუკვეთოთ, დავრეკო?

თავაზიანმა მორიგემ დარეკა და სანამ ორმარკიან მადლობას ვეტყოდი, ჩამომიმარცვლა – 5 საათზე „გელოდებიანო, თქვენი პერსონალური ნომერი „შვიდი“ გახლავთ. ერთი საათის განმავლობაში. იცით, ალბათ, ორმოცი დოლარი ღირს. ფულს, რომ ჩახვალთ, წინასწარ გადაიხდითო.

რატომ ასე ძვირი-მეთქი, გავიკვირვე.

ჩვენთან ასეაო. საერთოდ, „პარნოიში“ ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად დადიანო. თუ კონფერენციის მონაწილეთაგან ვინმეს სურს, შეგიძლიათ შესთავაზოთ. თუ ოთხნი შეხვალთ, თითოს 10 დოლარის გადახდა მოგიწევთო.

სად ვეძებო-მეთქი ახლა „მეპარე კოლეგები“, თანაც აქ

თითქმის არავის ვიცნობ, ჯანდაბას 40 დოლარი-მეთქი და მარტო გადავწყვიტე შესვლა.

ზუსტად 5 საათზე ჩავლიფტდი ქვემოთ.

შესასვლელში, პატარა მრგვალ მაგიდას ქერათმიანი, პირმშვენიერი, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლის, გერმანელის პირობაზე, არც თუ გამხდარი ქალი მიჯდომია და კომპიუტერს „აწვალებს“.

შემომხედა.

– შვიდი?

– დიახ.

ჩეკი გამომიწერა და მომაწოდა.

– თქვენთან გადავიხადო?

– მხოლოდ ჩემთან, – გაიღიმა.

ჩავუორმოცდოლარე.

მშვენიერი ნომერია. ცივი, ბუჟბუჟა აუზით, წითელ-ცისფერი ვიტრაჟებით, ხუთი პირსახოცით და გამჭვირვალე დიდი ზომის შლოპანცებით.

გავიხადე და კარგა ხანს ვიდექი „დუშის“ ქვეშ.

პირდაპირ კედელზე ბავშვის დახატულივით დიდი, დაღუნულისრებიანი საათი ჰკიდია, რომელიც ჯიუტად შეგახსენებს, რომ შენს განკარგულებაში მხოლოდ ერთი საათია და თუ ძალიან გაერთობი, ფულის დამატება მოგიწევს.

კაკუნი.

პირსახოცი შემოვიხვიე და კარი ოდნავ გამოვაღე.

ქერათმიანი მორიგე იღიმება:

– გოგონები შემოვიყვანო?

მთავარია არ გავიკვირვო. შეკითხვას ისე დავხვდი, თითქოს ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყოს.

– ვინ არიან?

მოწყენილი სახე მივიღე.

– ორი ძალიან ლამაზი გოგოა.

– კარგი შემოუშვი, ოღონდ შენი პასუხისმგებლობით.

ქერათმიანი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ კარი მივხურე.

„ერიჰაა! რა წინ წავსულვართ, აი, თურმე რატომ ღირს ორმოცი დოლარი.

პირსახოცი არ მომიხსნია. სავარძელში ვზივარ და „სტუმრებს“ ველოდები.

სინამდვილემ მოსალოდნელს ათასჯერ გადააჭარბა.

შემოვიდა ორი ჯინსმოტკეცილი, პატარა გოგო, ასე 19-20 წლისანი – მეტის არა. თუმცა დაბალ ქუსლებზე დგანან, რომ იტყვიან, თეძოები მკერდიდან ეწყებათ. თეთრი, სწორი თმები მხრებზე ერთნაირად გადაჰფენია ორივეს.

ტკბილად მომესალმნენ. კუთხეში, ხის სავარძელთან მივიდნენ და გახდა დაიწყეს.

გინახავთ ორი ულამაზესი გოგო, ორი ნიმფა რომ ეჩურჩულება ერთმანეთს და იხდის? შიგა და შიგ თვალებს ჩემსკენ გამოაპარებენ და იცინიან.

ორივემ ბოლომდე გაიხადა. ღმერთო ჩემო, ეს წარმოუდგენელი სილამაზეა. ზემოთაც და ქვემოთაც თეთრი, აბრეშუმის თმებით შეუმოსავს ორივე ბუნებას.

დიდი სექსუალური გამოცდილების კაცი არა ვარ, მაგრამ მე ასეთი ლამაზი ქალები კინოშიც არ მინახავს.

ცდილობენ თამამები იყვნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

არა, არაფრით არ გვანან ჩვეულებრივ მეძავებს. ეს უკანასკნელნი უფრო უტიფრები და კდემაგაცლილები არიან.

ბოლოს ერთმა დაძლია სიმორცხვე და მისი დაქალის სიცილის ფონზე ჩემთან მოვიდა. წელზე შემოხვეული პირსახოცი შემომაცალა და სახეზე ალმური მოედო.

– ადექი, შევიდეთ!

მითხრა და თავჩაქინდრული პარის ოთახისკენ გამიძღვა.

მე საკმაოზე მეტად გრძნობამორეული, ჩემი მამაკაცური ატრიბუტებით, უკან მივყვები.

კიდევ ერთხელ შემომხედეს და მოგუდული სიცილიდან ხარხარის აფრა აუშვეს.

მიყურებენ და, გითხრათ სიმართლე, ვერ ვხვდები, რაზე იცინიან, მეღვინეობის მფარველის სატირის მდგომარეობაში ჩემი ყოფნა აცინებთ თუ მათი თეთრი მარმარილოს მსგავსი სხეულებიდან განსხვავებული ჩემი ზომიერთმიანი კავკასიური ტანი?

კარებში რომ შევდიოდით, ერთი თეთრი ნიმფა მომიბრუნდა, ხარხარი მოსხიპა, „სმირნაზე“ დამდგარ ფალოსზე თითი დამარტყა და რამდენადაც შეეძლო, ღიმილგარეული სიმკაცრით მითხრა:

– ნიქსტ! ნაინ! ნიქსტ! ნაინ!

გასაგებია ჩემთვის, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ცხელ ოთახში ოფლის ღვარისგან სამივენი რომ გავილუმპეთ, ერთ-ერთი მათგანი (ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ გარჩევის თავი სად მქონდა და მით უმეტეს ჩემს მდგომარეობაში). წამოდგა, თავისი ზღაპრული ბარძაყები ლამის ცხვირთან მომიტანა და მანიშნა, გავიდეთო.

გავედით. მეორე ნიმფა ოთახში დარჩა.

დუშის ქვეშ ვდგავართ ორივენი.

მეხუტება გულზე, მკოცნის, მეფერება. ქვევით რომ ხელს წამავლებს – იცინის უცოდველი სიცილით, რა სულწასულები და უცნაურები ხართ მამაკაცებიო.

სული კბილით მიჭირავს.

დამაწვინა პირაღმა, აიღო დიდი ღრუბელი, საპნის ქაფში გაახვია და მბანს მთელი გულმოდგინებით. მერე გადმომაბრუნა და მისვამს თავის უნაზეს ხელებს ზურგზე. შეიძლება ზურგზე დაგაჯდეო? მეკითხება, ბატონი ხარ-მეთქი.

რომელი ორთაჭალელი მექისე დაგბანს ასე გულდაგულ.

მერე ამაყენა და თვითონ მოკალათდა მარმარილოს ტახტრევანზე, ახლა შენ დამბანეო.

მომაჩეჩა ხელში გასაპნული ღრუბელი.

ერთი-ორჯერ დავუსვი უნეტარეს ბარძაყებზე საპნიანი ხელი და ჩემი დამემართა.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

გავუშალე ფეხები და:

– ნიქსტ! ნაინ! ნიქსტ! ნაინ!

მებრძვის, კალმახივით სხმარტალებს, ტირის, მემუდარება... ყვირილზე მეორე ნიმფა გამოვიდა და ქორივით დამაცხრა:

– ნიქსტ! ნაინ! ნიქსტ! ნაინ!

პირველმა დრო იხელთა, დუში გადაივლო და „საცხელეში“ შევარდა.

„კეთილი და პატიოსანი. ალბათ, იმასთან არ შეიძლებოდა. რას გაუგებ ქალს, ათასი მიზეზი აქვს, მაგრამ ეს ხომ აქა მყავს. ეს მეორე ხომ ვერსად წამივა? თანაც პირველ ნიმფაზე უფრო ნაზი და ალერსიანი ჩანს.“

რაღა ბევრი გავაგრძელო. წაიკითხეთ ერთხელ კიდევ პირველთან დაკავშირებული „სექსდრამატული სურათი“. ისეთივე ხვევნა-კოცნა, ისეთივე მკერდ-ზურგზე კოტრიალი, ისეთივე ნერვებდამგლეჯი გაშმაგებული ბანვა ერთმანეთის და საქმე საქმეზე რო მივა, კვლავ სასოწარკვეთილი:

– ნიქსტ! ნაინ! ნიქსტ! ნაინ!

რა უნდა მექნა.

იქნებ „ფოსტას“ უმატებენ მეთქი და თითოს ასი დოლარი შევთავაზე. შენც არ მომიკვდე.

კატეგორიულ უარზე არიან.

ფრჩხილებიანად გავბრაზდი, მაგრამ დებოშს ხომ არ ავტეხ.

უცხო ქვეყანაში ვარ, პოლიცია მინდა?

გავუჯავრდი ორივეს, ტუტუცები, არასერიოზულები ყოფილხართ-მეთქი.

ჯერ ერთი, თქვენი შიში სრულიად უსაფუძვლოა, მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემი ზომა-პარამეტრები ნორმალური კაცების ზომებში ჯდება და თუ თქვენ აქ შანტაჟისა და ავანტიურისთვის შემოხვედით, იცოდეთ, მაგაზე პასუხს გაგებინებთ-მეთქი.

(თან მეშინია, აქეთ არ მაგებინონ პასუხი. ევროპაში ახლა ამ მხრივ ისეთი საშინელი კანონებია, რომ ქალმა თუ გიჩივლა: „მგონი რაღაცას მიპირებდაო“, ხუთი წელი ციხე განაღდებული გაქვს).

მისხდნენ ორივენი კუთხეში, სულ „გვაპატიე, გვაპატიეს“ ძახილით და დატუქსული ბავშვებივით, სლუკუნით შეუდგნენ ჩაცმას.

გასვლისას გადამკოცნეს და, რაკი ასეთი კეთილი აღმოვჩნდი, კიდევ ერთხელ მთხოვეს პატიება.

●

სანამ ლიფტთან მივიდოდი, წამით შევჩერდი მაგიდასთან, მადლობა მოვახსენე ჩემს ქერათმიან მორიგეს და კოპებშეკვრით, გამწყრალი ტონით ვკითხე:

– ვინ იყვნენ ეს არანორმალური გოგონები. არც კაცი უნდოდათ, არც ფული.

– უნდა მაპატიოთ, – შეწუხდა მორიგე, – ვერ მოვასწარი გაფრთხილება. მეგონა, იცოდით. ესენი სოფლიდან ჩამოსული, ღარიბი სტუდენტები არიან, აქვე, გვერდით, სამედიცინოზე სწავლობენ. ხანდახან მთხოვენ, რაკი ნომრის ფული არა აქვთ, ვუშვებ ხოლმე კეთილ კლიენტებთან, რასაკვირველია, მისი თანხმობით. ისე, ზედმიწევნით პატიოსანი ბავშვები არიან.

რას ვეტყოდი.

კეთილგანწყობის ნიშნად თავისი სავიზიტო ბარათი გამომიწოდა.

რაღა სათქმელია, მაგრამ იმ ღამით ნიმფების ჯავრი ქერათმიან მორიგეზე ვიყარე.

ყავისფერი საფულე

დერეფანში ბნელოდა.

კაცმა კიბეზე ასვლისას ჯერ პირველივე კარებს მიანათა მობილური „211“ ეწერა კარებს. გამოთვალა და სწორედ „217“-ს მიუკაკუნა.

– მობრძანდით!

პირველივე დაკაკუნებაზე მოესმა ნაცნობი, საყვარელი, მშვიდი ხმა. ეს ხმა ოცდაათი წელი ესმოდა და კაცს ამ ხმის გაგონებაზე ყოველთვის ერთი და იგივე ემართებოდა, დაახლოებით ისეთი, დაკარგულ ძვირფას ნივთს რომ ეძებდი და როგორც იქნა, იპოვე.

კაცი შევიდა.

– ოჰო?! – ქალს აშკარად გაეხარდა, ხოლო „ოჰო?!“-ში იგულისხმებოდა „მადლობა ღმერთს“, „კიდევ კარგი, რომ მოიცალე“, „რა ქარმა გადმოგაგდო?!“ თუ რაღაც ამის მსგავსი.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

კაცმა პალტო გაიხადა და ლურსმანზე ჩამოკიდა.

ქალი კრემისფერრიდეგადაფარებულ საწოლზე ჩამოჯდა.

კაცი ფანჯარასთან მივიდა.

თოვდა.

თბილისის ზღვის შემოგარენი თეთრად შესუდრულიყო, ზღვაზე კი, თითქოსდა, გაუთავებლად ეშვებოდა ნისლისფერი გამჭვირვალე ფარდა, რომელსაც ულამაზესი, ვარსკვლავა ფიფქები ეხატა. ეშვებოდა აბრეშუმის ფარდა ზღვაში და უკვალოდ ქრებოდა, ზღვა ცივლურჯად ლივლივებდა.

– გაგიჭირდა მოგნება? – ჰკითხა ქალმა.

– არა. ტაქსით მოვედი. აქ ერთხელ ნამყოფი ვარ. დერეფანში გავწვალდი ცოტა. დენი ხშირად ქრება?

– არა... შენ წარმოიდგინე, რაც აქ ვარ, არ ჩამქრალა. ეს ერთი საათია გაითიშა.

– რითი თბებით?

ქალმა პატარა მაგიდის ქვემოთ ელექტროღუმელზე მიუთითა.

– მოდი, დაჯექი.

– ეს ერთი სკამი გაქვს?

– რად მინდა მეტი.

კაცმა სკამი ლოგინთან მიწია და დაჯდა.

კარგა ხანს ერთმანეთს ჩუმად შესქეროდნენ, დროდადრო რაღაც სევდიანი ჩაღიმებით.

მერე ქალმა კაცის მარჯვენა მუხლზე დაიდო და ნელა, ნაზად უსვამდა ხელისგულს.

– ძალიან დავბერდი?

– სულაც არა, – მიუგო კაცმა და გასამხნევებლად დაუმატა, – შენ დაბერება ჩემი იკითხე, კიბეზე ასვლა მიჭირს.

– კიბე შენ არასდროს გიყვარდა.

– ჰო... კიბეა ჩემი გასაჭირი, სწორზე ვივლი, რამდენსაც გინდა.

ისევ სიჩუმე.

– უცნაური ვინმე ხარ.

– ?!

– რატომ არ მითხარი, აქ რომ მოდიოდი, ან უჩემოდ რატომ გადაწყვიტე.

– რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მოვიდოდი, თუ ორი წლის მერე, ბოლოს ხო მაინც უნდა მოვსულიყავი.

– რა აუცილებელი იყო და საერთოდ, მე ხომ ჯერ ისევ ფეხზე ვარ.

– ჰო... ფეხზე ხარ... მაგრამ ჩემთვის არა ხარ. არც არასოდეს ყოფილხარ.

– ყოველთვის ვიყავი და სანამ ცოცხალი ვარ, ვიქნები.

– დავანებოთ ამას თავი. აქ, როგორც ხედავ, ცუდად არა ვარ.

– მაინც... რა გჭირდა აქ მოსასვლელი.

– სხვათა შორის, ეს, მოხუცთა თავშესაფარი არ გეგონოს, მარტოხელათა პანსიონატია და ძალიან კარგად გვივლიან.

– დიდი მადლობა მშობლიურ ხელისუფლებას.

– შენ ეგა თქვი და იცი რა კონკურსია აქ მიღებაზე?

კაცს ცრემლი მოაწვა, მაგრამ არ შეიმჩნია. განზე გაიხედა.

– სამსახურიდან რატომ წამოხვედი.

– არ წამოვსულვარ... გამომიშვეს. პატარა გოგოები უნდათ. ჩვენ ჭირივით ვძულვართ. რა დავაშავეთ, ვერ გამიგია. გამოგვიცხადა ამ ახალმა დირექტორმა, სხვათა შორისო მოსწავლეებს არ უყვართ ბებერი მასწავლებლებიო. ახალგაზრდა პედაგოგებთან მეტ საერთოს პოულობენო. არ გვინდიხართო... ერთი სიტყვით... წადითო.

– მალე, ალბათ, ჩვენც გაგვყრიან.

– გეხვეწები, ეგ ამბავი მაინც არ მიიტანო გულთან. გადარევა რომ იცი ხოლმე ყველაფერზე. აბა, როგორ გინდა, თაობა მიდის, თაობა მოდის.

– ჰო, მაგრამ... ძალიან ჩქარა ხომ არ გავიდა ეს წუთისოფელი! სულ ვემზადებოდით... ვემზადებოდით და უცებ ჩამოგვწერეს, მოგვისროლეს განზე.

– არ ველოდით და იმიტომ.

– რაც არის არის... „თავსა ახლად ვერვინ იშობს“...

– შენს ცოლს რა მოუვიდა?

– სისხლი ჩაექცა.

– ორმოცი იყო?

– წინა კვირას.

– რა მალე გასულა... ორმოცი დღე. ძალიან მეწყინა...

– ტელევიზორი არა გაქვთ?

კაცმა სცადა საუბრის თემა შეეცვალა.

– დერეფნის ბოლოში დგას. მისწრებაზეა ადგილი. მე იშვიათად ვუყურებ ხოლმე. არ ვიცოდი, თურმე პროფესიონალი ტელემაყურებლებიც არსებობენ. ზოგიერთს იქვე სძინავს. კუჭი რომ არ შეაწუხებდეს, სასადილოშიც არ ჩავიდოდა.

– სხვა?

– რა სხვა?

– დროს როგორ კლავ, არ გწყინდება?

ქალმა გაიცინა.

– სულაც არა... აქ ძალიან ვერთობი. მომღერალთა გუნდში ჩავეწერე. ახლა საახალწლო კარნავალს ვამზადებთ. დეკლამატორიც ვყოფილვარ... არ ვიცოდი. მალე მხიარულთა და საზრიანთა კონკურსი გვექნება. შეიძლება ტელევიზორშიც გამოვჩნდე!

ამას ქალი ისტერიული ინტონაციით, პათეტიურ-ირონიულად ამბობდა. თვალებში ძალად სიხარული ჩასდგომოდა. უცებ დადუმდა, მოეშვა. ისევ სევდა და მრისხანება დაეხატა სახეზე.

– არ გრცხვენია? რას მეკითხები?!

– ისე... რა ვიცი... ამ გარემოში ვერ წარმომიდგენიხარ.

– ჩემი ხასიათი მაინც არ იცოდე. ოთახიდან თითქმის არ გავდივარ. იმ მოხუნტრუცე-მარაზმიან ბებრებში გამრევი ვარ მე? შენი გაზრდილი მაინც არ ვიყო. შენ ხომ მე ერთხელ და სამუდამოდ ჩამომაყალიბე მომლოდინე ქალად, ვზივარ და გელოდები და ჩემი ეს როლი ძალიან მომწონს, მაშინაც გელოდები, როცა ვიცი, რომ უახლოეს სამ თვეში არ უნდა გამოჩნდე.

კაცი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა.

თოვა შეწყვეტილიყო.

კალათბურთის უბადო რგოლზე მარტოხელა თოლია იჯდა და ზღვას გასცქეროდა.

კაცი შემობრუნდა, ქალს წაბლისფრად შეღებილ თმაზე

ხელი გადაუსვა, მერე ლოყა-კისერზე ამოსდო ხელი და მკერდთან მიიკრა ქალის მრგვალი, ლამაზი თავი.

– ჩემი ჯიუტი, სულელი... ერთგული გოგო.

ქალი გაიტრუნა.

კაცმა პიჯაკის ჯიბიდან საფულე ამოიღო. ასე იცოდა... საქმიანად აფუსფუსდებოდა ხოლმე, როცა წასვლის დრო მოუწევდა და ეს ქალმა კარგად იცოდა.

– ახლა ფული არ ამოიღო, თორემ გავგიჟდები!

– რა მოგივიდა... ფერი აღარ გადევს.

– დაჯექი და კარგად მომისმინე. ოცდაათი წელი გავიდა... ოცდაათი გრძელი წელი... მოხვიდოდი... სამი საათი იყავი ჩემთან. არც მეტი არც ნაკლები. წასვლის დროს მაგ ყავისფერ, დასაწვავ საფულეს გახსნიდი და ფულს დამიტოვებდი. მე ვიცოდი, რომ შენ ეს პროცესი – ჩემთვის ფულის მოცემა, გსიამოვნებდა და უარს არ გეუბნებოდი. მე ამით გეხმარებოდი, რომ არ გენერვიულა. ცოლ-შვილში მშვიდად ყოფილიყავი. მოვალეობამოხდილად გრძნობდი თავს ჩემს წინაშე. ასე გეხმარებოდი ამდენი ხნის განმავლობაში. ხომ ხედავ, ჩემი წვლილიც ცოტა როდია იმაში, რომ კარგად ხარ... ასე თუ ისე კარგად ხარ... თორემ მთლად კარგად და ბოლომდე ბედნიერად ვინაა დღეს. ახლა კარგად მომისმინე: მე შენ ფულს აღარ გამოგართმევ, აღარ შემიძლია, ვეღარ გცემ იმდენ პატივს, რომ შენ ახლა წახვიდე, მშვიდად იყო... სამი თვე დაიკარგო, მერე, სამი თვის მერე, მოხვიდე და კიდევ ერთხელ გახსნა ეგ საზიზღარი საფულე... მე ფული აღარ მჭირდება... არა უშავს, ცოტა შენც დაიტანჯე.

ქალი ძლივს სუნთქავდა.

ბალიშში ჩადო თავი და აქვითინდა.

ერთი თვეც არ იყო გასული, კაცმა ისევ დააკაკუნა.

– მობრძანდით.

– ჩაალაგე შენი ბარგი... ცოტა ჩქარა, ტაქსი მელოდება.
– სად მივდივართ?
– ჩემთან.
– ?!
– დღეიდან ერთად ვიცხოვრებთ.
ქალს არ გაკვირვებია.
იგი ოცდაათი წელი ელოდა ამ დღეს.

20 თებერვალი, 2011
თბილისი

არ გაუტიო

ახლა კარგად დამიგდე ყური და როგორც დაგარიგებ, ისე მოიქეცი.

ლაიპციგში რომ ჩაფრინდები, ამ ტელეფონზე დარეკავ და ეტყვი, ფრაუ ბერტამ მომცა თქვენი ტელეფონი-თქო. ახლა აეროპორტში ვარ და შემიძლია პირდაპირ თქვენთან მოვიდე-თქო.

იმათ უკვე ყველაფერი ეცოდინებათ. ბერტამ შემატყობინა, რომ ჩავა, პირდაპირ ამ მისამართზე მივიდესო, ელოდებიანო. ტაქსის შოფერს უჩვენებ ქაღალდს და მიგიყვანს.

ახლა, რაც შეეხება შენს საქმეს: ჩვეულებრივი გერმანული ოჯახიაო, ფრაუ ბერტამ. გარდა იმისა, რომ ოჯახში ლოგინს მიჯაჭვული ბებია ჰყავთ, მისი მოვლის გარდა, საოჯახო საქმეებიც დაგევალება: სადილის გაკეთება, ბინის დალაგება-დასუფთავება. რაც შეეხება სარეცხს და დაუთავებას, ამაზე არ შეგაწუხებენ, ორ კვირაში ერთხელ სამრეცხაოდან ბიჭი მოდის, სარეცხი მიაქვს და ორ დღეში უკან გარეცხილ-გატკიცინებულს აბრუნებს.

ახლა რაც მთავარია. ნამეტანი ქართულობა არ დაიწყო. იცი, რას ნიშნავს ნამეტანი ქართულობა? ზედმეტი მობოდიშებები და ზედმეტი „იმე“ და „რავა გეკადრება“. ან გაუთავებელი მადლობები და „შენ ხარ ჩემი ბატონობია“ იქ არ გამოგადგება, არც ზედმეტი დაინტერესება და ენად გაკრეფა-გაშინაურება მოწონთ გერმანელებს. რასაც გეტყვიან „ბიტე“ უნდა უთხრა და უნდა გააკეთო. ეს ერთი სიტყვა „ბიტე“ გეყოფა სიგრძე-სიგანედ იქ. გერმანული კარგად ვიცი, რომ მეუბნები, შენი გერმანულის ცოდნა ქე მიაკიდე შენს ერთადერთ კაბას და ენას კბილი დააჭირე. რაც მეტად

დარწმუნდებიან შენი მასპინძლები, რომ გერმანული ცუდად იცი, უმჯობესია შენი საქმისთვის.

„როგორ ვყვარებივართ ჩვენ, ქართველები და ასე მგონია ჩემიანებში ვარ," ასეთ სიტყვებს ის სულელი ქართველი სტუმრები ამბობენ, გერმანელის ზნე-ბუნებაზე წარმოდგენა რომ არა აქვთ.

გერმანელები საერთოდ კულტურული, მაგრამ შედარებით ცივი ხალხია. გერმანელს, უპირველესად, თავისი თავი და ცოტათი მეორე გერმანელი უყვარს, სხვა არავინ. სხვა ერის წარმომადგენელს პატივს სცემს იმდენად, ვინ როგორ იმსახურებს, არც მეტი არც ნაკლები. გერმანელი თავზე არავის დაისვამს. შეიძლება გაგიშინაურდეს, თავი გაგიყადროს, მაგრამ ამან არ უნდა გაგათამამოს. შენი ადგილი უნდა იცოდე და დისტანცია ყოველთვის უნდა დაიცვა, თორემ ისე დაგემართება, როგორც მე მომივიდა.

სამი წლის წინ ფრანკფურტში რომ ჩამოვედი, მეც ასე შენსავით მომაწყვეს ერთ გერმანულ ოჯახში. ვაკეთებ ჩემს საქმეს, რაც შემიძლია ვემსახურები. ბებერს ხომ ვუვლი და ვუვლი, დაწკრიალებული მაქვს ყველაფერი. სადილი ოჯახის უფროსს გამზადებული მოაქვს მანქანით. ჩემი ვალია, ჩამოვასხა თეფშებზე (წვნიანის გარეშე არ სადილობენ) და გავიტანო სასადილო ოთახში. სადილობამდე ერთმანეთს ელოდებიან დიდიც და პატარაც. მრისხანედ დაჰყურებენ საათებს, თუ ოჯახის რომელიმე წევრი აგვიანებს. სულ ხუთნი არიან: ბებერი, ცოლ-ქმარი და მათი ორი შვილი – ბიჭი – ჰანსი 25 წლის, ელექტროინჟინერი ვარო, გოგო – კლარა 21 წლის, ცოტა ჭკუამხიარული გოგოა, სულ სიცილის ხასიათზეა. ბებერსა და ცოლ-ქმარს შორის ერთ რამეზეა გაუთავებელი ჩხუბი – ბებერი ამბობს, გინდათ თუ არა მოხუცთა თავშესაფარში გადამიყვანეთო, ესენი არ თანხმდებიან. მოხუცთა თავშესაფარში შენი შენახვა ძვირი დაგვიჯდებაო. ჯერ ერთი, იქ ყოველთვიური გადასახადია და გადასახადს რომ თავი გა-

ვანებოთ, ორ კვირაში ერთხელ ხომ მაინც უნდა მოგინახულოთ, თავშესაფარი ფრანკფურტიდან 21 კილომეტრზეა, ბენზინის ხარჯს ვერ აუვალთო.

ერთი სიტყვით, ამნაირი ოჯახია. ერთხელ სადილი რომ გავაწყვე და განზე გავდექი, ფროილაინ კლარამ მითხრა, დაჯექი, ჩვენთან ისადილეო, უარი არ მითქვამს. მერედამერე მიპატიჟება არ დამჭირვებია, მივუჯდებოდი მათთან ერთად მაგიდას, თურმე ეს მშობლებს სასტიკად არ სიამოვნებთ, მე რა ვიცოდი.

ორი კვირის დაწყებული მაქვს მათთან მოსამსახურეობა და ოჯახის დიასახლისმა, ფრაუ ჟანამ გამომიცხადა: ხვალ წვეულება გვაქვს, თხუთმეტამდე სტუმარი გვეყოლება და აბა, შენ იცი, თავს როგორ გამოიჩენო. ჩვეულებრივზე ცოტა ზედმეტი შრომა მოგიწევს, მაგრამ ხვალინდელი გარჯისთვის ჰონორარს ცალკე გადაგიხდიო.

მე ვუთხარი: რაკი ამხელა საქმეს მანდობთ, თუ შეიძლება ქართულ კერძებს დავამზადებ, ოღონდ თქვენ ნედლეული მომიტანეთ-მეთქი. რა ნედლეულიო? მკითხა. ჩამოვუწერე ყველაფერი, რაც საცივის, ხაშლამის, შქმერულის, ხაჭაპურის, ფხალეულის, ჭადის, ღომის, მწვადის დასამზადებლად მჭირდებოდა. წაიკითხა. ცოტა შეფიქრიანდა და იჭვნეულად შემომხედა, ეს გოგო სრულ ჭკუაზე ხომ არისო. ქმარს დაუძახა და აჩვენა სია. ქმარმა წაიკითხა და იცინის, კარგი, რაკი ექსპერიმენტია, ექსპერიმენტი იყოსო. კარებში გასულებს დავაწიე: დამავიწყდა, ათი ბოთლი თეთრი და ათი ბოთლი შავი ღვინო გამოაყოლეთ ხელს, ლუდი და არაყი თქვენი შეხედულებისამებრ-მეთქი.

ერთ საათში ყველაფერი წინ მეწყო. დავიკაპიწე ხელები და შევუდექი საქმეს. რა მოყოლა გინდა, ქალი ხარ და შენ თვითონ მიხვდები, რა წვალება დამჭირდებოდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და მეორე დღეს, სამ საათზე (სტუმრები ოთხზე უნდა მოსულიყვნენ) ისეთი სუფრა გავაწყე, ავ

თვალს არ ენახვებოდა. რომ გადავხედავდი მაგიდას, თვითონ მეამაყებოდა. არ დამიკლია ფხალეულის ბროწეულის მარცვლით გაწყობა და საზეიმოდ დაკეცილი „სალფეთქის“ ჭიქაში ჩადებაც.

რაღა ბევრი გავაგრძელო, სტუმრებმა რომ თვალი შეავლეს სუფრას, ტაში დასცხეს. ფრაუ ჟანამ ყელი მოიღერა: ეს ყველაფერი ჩვენი კავკასიელი მოსამსახურის დამსახურებაა.

მიუსხდნენ სუფრას. მალე გაიგებ, რა ლხინი იციან გერმანელებმა. რისი თამადა, რა წესრიგი. სვამენ და ჭამენ უპრაგონოდ, როგორც მოეხასიათებათ. გარს ვუვლი მაგიდას, ვცვლი თეფშებს, შემომაქვს ცხელი კერძი, მერიქიფეობასაც ვეწევი. შეარგოთ ღმერთმა, ყველაფერს მადიანად მიირთმევენ. ერთმანეთს სთავაზობენ, ეს გასინჯე და ეს გასინჯეო. არის ერთი ღრიანცელი, არ უსმენენ ერთმანეთს, იცინიან წამდაუწუმ. რა ვიცი მე, რა აქვთ ამდენი სახითხითო. ვატყობ, ღვინო მოეკიდა ყველას, – ქალსაც და კაცსაც. ჟინიანი თვალებით მომჩერებიან გამობრუჟული კაცები. ერთმა-ორმა მაგიდიდან თეფშს რომ ვიღებდი, კაბის ქვეშ ხელი შემიყო და ტრაკზე მიჩქმიტა. რას ვიზამ, ხომ არ გაუშლი და წყვიტავ ერთ კარგ სილას იმ წითელ ფუნთულა ლოყაზე, წყალში ხომ არ ჩავყრი ამდენ ნაშრომს.

არ ვიცი, მერე რა ბზიკმა მიკბინა, არა, არა, თავის გამოჩენისთვის კი არა, მე თვითონ ვერ აგიხსნი, რა სითამამე შემიჯდა მხრებში. ეგება მამა-პაპათა ადათის ინერცია იყო, ეგება გენის ყვირილი იყო, იქნებ უბრალოდ სურვილი გამიჩნდა, ამათთვის ჩვენი სუფრის წესი მესწავლებინა.

დავჯექი და წავიყვანე, რომ იტყვიან, პარადი. შენ წარმოიდგინე, ერთი სამი სადღეგრძელოც ვთქვი. თითქოს გამოფხიზლდნენო, გერმანიის და ცოლ-შვილის სადღეგრძელო ფეხზე ადგომით დალიეს. რაკი ვიგრძენი, რომ მოსწონთ

ჩემი „გამოხტომა“ და დამშლელიც არავინ მყავს, აბა ახლა ასე, აბა ახლა ისე-მეთქი, ვატრიალებ წაღმა-უკუღმა თხუთმეტ გერმანელს. ახლა ერთად ვიმღეროთ-მეთქი, გადახვიეს ხელი ერთმანეთს და მტერმა მოისმინა, იმათ სიმღერა დასცხეს, ვირებივით ყროყინებენ. მერე როიალს მივუჯექი და „მთვარიანი ღამის სონატა“ დავუკარი. შენ იცი, მე მუსიკალურ ათწლედშიც დავდიოდი და სონატას უნოტოდ ვუკრავ. გაჩუმდნენ, ზოგს ცრემლი ჩამოსდის, ზოგს უბრალოდ ჩაეძინა. მერე ქართული სიმღერები დავაგუგუნე, ზოგი ცდილობდა ამყოლოდა, მაგრამ თვითონ გერმანელები აფარებდნენ პირზე ხელს, აცალეო.

რომ არ გეტრაბახო, ისეთი დრო გავატარებინე სტუმრებს, შენი მოწონებული, წასვლის დროს სულ „დანგე შონებით“ და „ბიტე შონებით“ მკოცნიდნენ ხელზე.

წავიდნენ სტუმრები. ოჯახის წევრებს, ჩემს მასპინძლებს ამაყად გადავხედე, მგონია, ხელებს დამიკოცნიან, შენც არ მომიკვდე, დანა პირს არ უხსნის არც ერთს.

ზურგი შემაქციეს და შელაგდნენ თავიანთ ოთახებში.

წინა ღამის უძინარმა, ახლა მთელი ღამე თეფშები ვრეცხე. მივალაგ-მივაწესრიგე ყველაფერი და თვალები მივლულე. სანამ დავიძინებდი, საათს შევავლე თვალი და ელდანაცემივით წამოვხტი: ჩემს ბებერს უნდა მივხედო.

მეორე დღეს, საუზმის დროს სიჩუმე ფრაუ ჟანამ დაარღვია, მაგიდაზე კონვერტი უდევს, მგონია საზეიმო ვითარებაში უნდა გადმომცეს გუშინდელი ბანკეტის ჰონორარი-მეთქი.

თურმე რის ჰონორარი, რა ჰონორარი.

გუშინო, თქვენო, ფრაუ ჟანამ, თქვენს მოვალეობას გადაამეტეთო. რა პუნქტში და რანაირად, მე და ჩემი ქმარი ამის ახსნას საჭიროდ არ ვთვლითო. თქვენი მოუზომავი სითამამით შეურაცხყოფა მოგვაყენეთ, პირველ რიგში ჩვენ და

მერე ჩვენს სტუმრებსო. ვინაიდან თქვენი აღზრდის არანაირი სურვილი არა გვაქვს, აიღეთ თქვენი ორი კვირის ხელფასი და დღეიდან თავისუფალი ხართო.

გავშრი, რას ვეტყოდი. ავიღე ჩემი „ნაოფლარი“ და წამოვედი.

მერე თვენახევარში სხვა ოჯახში მოვეწყვე და ეს გაკვეთილი ძალიან გამომადგა.

შენ ჭკვიანი გოგო ხარ და მიხვდები, ეს ამბავი რატომაც მოგიყევი.

ცხოვრება უერთმანეთოდ

უძლიერესმა დარტყმამ სავარძელს ქამრიანად ამგლიჯა და მაღლა ამაგდო.

კივილ-გნიასმა ერთბაშად გამომაღვიძა.

თვითმფრინავი წყალზე შხუილით მიქროდა.

ილუმინატორში ფრთის ქიმზე წითელი ნათურა ციცინა-თელასავით კრთოდა.

პირველი, რისი გახსენებაც მოვასწარი, ის იყო, რომ თვითმფრინავში შემოსვლისას სათადარიგო გასასვლელს მოვკარი თვალი და გავიფიქრე, რა კარგია, სწორედ გასასვ-ლელთან ვზივარ-მეთქი.

სხვა დროს არასოდეს მიმიქცევია ყურადღება ამ წვრილ-მანისთვის.

ზონარი ჩამოვქაჩე, სახელური ღონივრად გადავწიე, ჩემს გვერდით მჯდომ ქალს ხელი ვტაცე და გადავხტი.

ვინანე, ხომ არ ვიჩქარე-მეთქი.

გარემოებამ წუთის მეათედში დამარწმუნა, რომ სწორად მოვიქეცი.

თვითმფრინავი ჩვენგან შორს, ჰორიზონტზე აფეთქდა.

ამ საშინელმა აფეთქებამ მე და ჩემს თანამგზავრს ის სამსახური გაგვიწია, რომ წყვდიადი ელვასავით გაანათა და მარჯვენა მხარეს მთის წვერი გამოაჩინა.

წყალი ცოტა ხანს იწვოდა, მერე ისევ სიბნელემ და სიჩ-უმემ დაისადგურა ირგვლივ.

გვერდით წყლის ჩქაფანი და კვნესა მესმის.

– ცურვა ხომ იცით, ქალბატონო?

– კი.

– ხომ არ დაშავდით?

– არა, გადმოხტომის დროს რაღაცას თავი მივარტყი.

– დაინახეთ, თვითმფრინავი როგორ აფეთქდა?

– დავინახე, ღმერთო, რა საშინელებაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, გადავრჩებით?

– ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ.

– ნეტავ ნაპირი შორსაა? – ახალგაზრდული ხმაა.

ოჰო, სამნი ვყოფილვართ.

შევჩერდი და უცნობ ხმას მივაყურადე.

წყლის შრიალი სულ ახლოს გაისმა.

– თქვენ? აქ როგორ აღმოჩნდით?

– თქვენ გამოგყევით, თქვენს უკან ვიჯექი, განაპირას.

– ყოჩაღი ქალი ყოფილხართ.

– თუ შეიძლება თქვენთან ვიქნები. გეხვეწებით, არ დამტოვოთ. არ მინდა სიკვდილი.

ქალის ხმაში სასოწარკვეთა იგრძნობა.

– მაგას რა ლაპარაკი უნდა. სხვათა შორის, სიკვდილი არც ჩვენ გვინდა.

ოცდაერთი აგვისტოა.

წყალი თბილია. ოკეანე თითქმის არ იძვრის.

საათს დავხედე. ღამის ორი საათია.

5 საათზე სეიშელის კუნძულებზე უნდა დავშვებულიყავით. ასე რომ, ჩემი გამოანგარიშებით, სადღაც აფრიკის კონტინენტის სიახლოვეს ვართ ოკეანის სანაპიროსთან, მაგრამ სად?

და რაც მთავარია, სწორად მივცურავთ ნაპირისაკენ?

ერთ საათში სამივენი გვარიანად დავიღალეთ.

– მობილურების საქმე როგორ გვაქვს? მე თვითმფრინავში დამრჩა.

– მეც – შემეპასუხა ის ქალბატონი, ვინც პირველმა გაიზიარა ჩემი ბედი.

– მე საერთოდ არ ვატარებ მობილურს, – ხმას თუ ვენდობით ჩვენი ახალი თანამგზავრი ოცდახუთ წლამდე თუ იქნება.

– ეს ცუდია... ახლა კარგად მომისმინეთ, ორივემ, რაკი ნაპირი არ ჩანს და მთვარეს მივყვებით, ზედმეტი ბარგისგან უნდა გავნთავისუფლდეთ. ტანზე გავიხადოთ სამივემ, თორემ გაგრძელებას ვერ შევძლებთ.

ხუთიოდე წუთში თითქმის დედიშობილა მივცურავდით.

ორივეს ვასწავლე პირაღმა ცურვა და წყალზე დასვენება.

„თავს ძალა არ დაატანოთ. წყალთან ჭიდაობა არ შეიძლება. მშვიდად, თანმიმდევრულად, ღრმად ისუნთქეთ. რაც მთავარია, მე თქვენთან ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ შიშის არავითარი საბაბი არა გაქვთ. ზღვა წყნარია, ჩვენ გვეხმარება...“

ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი, რა თანაგრძნობით და იმედით მისმენდნენ.

როგორც იქნა, ინათა.

ჯერ ნაცრისფერი დაედო წყალს, მერე ვერცხლისფერი ზოლები დააჩნდა. ნაპირი, სანუკვარი ნაპირი არსად ჩანს.

ცოტა არ იყოს, მეც შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე, საკმარისია ქალებმა შიში შემატყონ, რომ სასოწარკვეთა სამივეს დაგვღუპავს.

– რაც მთავარია, გათენდა. სინათლე მხარში ამოგვიდგება. აწი აღარაფერი გვიჭირს, გოგონებო! ისე, რომ იცოდეთ, სწორად მივცურავთ.

– რაზე ატყობთ? – ამოიკვნესა ახალგაზრდა ქალმა.

– შეხედეთ, თოლიები დასავლეთისკენ მიფრინავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაპირი იქით მხარესაა.

– რა იცით, რომელია დასავლეთი?

– რა ძნელი გამოსაცნობია, გაიხედეთ უკან, ხომ ხედავთ, ცას სიწითლე ეპარება.

კიდევ ერთი საათი ცურვა და ჯერ მთის მწვერვალები გამოჩნდა, მერე მაღალი, ლურჯ-მწვანედ ახუჭუჭებული ტყე და ბოლოს კლდოვანი ნაპირი.

ნაპირის ხილვამ ძალა შეგვმატა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბეთ და კლდეთა შუა, თეთრ ქვიშიან ნაპირზე მა-

ნამდე ვეგდეთ სამივენი თავდაღმა, სანამ მცხუნვარე მზემ ბეჭები არ აგვიწვა.

წამოვჯექი.

აი ისინიც, რა ლამაზად წვანან. მართალია, საცურაო კოსტიუმი არ ამშვენებთ, მაგრამ მშვენიერი ტრაკები ისე საყვარლად აუშვერიათ მაღლა და ისე უხდებათ საგარეო თეთრი ბიკინები, რომ წუხანდელი ტანჯვა-წამება კინაღამ დამავიწყდა.

მაინც რა დიდებულია, რა მომხიბვლელია ევას შთამომავალი.

როდის-როდის წამოვჯექით.

მზე ყავისფერ კლდეებს შვეულად ადგას.

– დროა გავიცნოთ ერთმანეთი, – დავიწყე მე, – ჩიკაგოში ვცხოვრობ. დიდი ვინმე არ გეგონოთ, „სეკენდ გრუპის“ ბუღალტერ-მენეჯერი ვარ. სეიშელის კუნძულებზე პირველად მივდიოდი, ათი დღით, დასასვენებლად. ჯონი მქვია.

– ჩვენთვის დიდზე დიდი ვინმე ხარ. შენ გადაგვარჩინე. ხელი რომ მომკიდე, ანგარიშმიუცემლად მოგყევი. ისე ღონივრად ჩამავლე, რომ მაშინვე ვიგრძენი, თუ ვინმეს შეუძლია ჩემი შველა, მხოლოდ ამ კაცს-მეთქი. მე კრისტი დამიძახეთ. „დედა ტერეზას ფონდში“ მედდად ვმუშაობ, ნიუ-იორკელი ვარ.

კრისტის ოქროსფერი თმები აქვს და ნუშის ფორმის ლურჯი თვალები. სწორ მხრებზე ნახევრადხვეული დალალები ისე აყრია, როგორც ქალთევზებს ნახატებში.

– მე ქეთრინი ვარ – წამოუდგომლად წელში გაიმართა და უმანიკურო ფეხის თითები ქვიშაში წაჰყო ქეთრინმა. მადლობელი ვარ თქვენი. თქვენ რომ არა, უსათუოდ დავიღუპებოდი. მეც ნიუ-იორკელი ვარ. კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრე. სამი წელი სტივენსონის კოლეჯში ხელშეკრულებით ვმუშაობდი. ახლა უმუშევარი ვარ. მეც შეისელზე მივდიოდი, მხოლოდ ხუთი დღით.

ქეთრინს ტყვიისფერი სწორი თმები აქვს, სწორი, ამერიკული ცხვირი და გრძელი ფეხები. ვხვდები, რომ ადგება, ჩემზე მაღალი იქნება.

– ახლა მთავარია აღმოსავლეთის მიმართულებით ვიაროთ და იმ ადგილამდე გავაღწიოთ, სადაც თვითმფრინავი აფეთქდა. კატასტროფის შესახებ უკვე მთელ მსოფლიოს ეცოდინება. ჩვენ, ალბათ, უგზოუკვლოდ დაკარგულებში ვწერივართ. ეს ტიტული ამოცნობილ გვამებთან შედარებით გაცილებით უკეთესია და უფრო დიდი ნუგეშია ჩვენი ოჯახის წევრებისათვის. მომყევით, მთავარი საშიშროება უკან დაგვრჩა, მაგრამ წინ არანაკლები გამოცდა გველის. – ეს ისე საქმიანად და მშვიდად ვთქვი, თითქოსდა მთელი ცხოვრება ავიაკატასტროფის მსხვერპლთა მომსახურებაში გამეტარებინოს.

წამოვდექი და კლდის ნაპრალს შევუყევი. მომყვნენ.

ხვიარის ფესვებს მოვეჭიდეთ. სლიპ ქვებზე ფეხი გვისხლტებოდა, მაგრამ ხავსს ბასრი ქვით ვსხეპავდით და ფეხის მისაბჯენს ვაკეთებდით, რის ვაი-ვაგლახით კლდეებს თავზე მოვექეცით და ჯუნგლებში შევყავით თავი.

ნაპირ-ნაპირ სამი მიზეზის გამო არ წავედით, ჯერ ერთი, ძალიან ცხელა, მეორეც, კლდეები ზოგან ერთმანეთს ისეა დაშორებული, რომ შემოვლა თითქმის არ შეიძლება და მესამეც, გზის მოჭრა ტყით უფრო ხელსაყრელია.

რა ლამაზად უჩვენებენ ფილმებში ჯუნგლებს: მიადგები გუბურას თუ არა, უზარმაზარი, კაცისმყლაპავი ნიანგი მოცურდება და საზარელ, წითელ ხახას გიჩვენებს. ხეებზე მაიმუნები ხტიან, ერთმანეთს კუდებზე ეკიდებიან და უცხო სტუმრებს ცნობისმოყვარედ დასჩხავიან, პაპაის ბუჩქებს შორის შვიდმეტრიანი უსათვალო გველები დასრიალებენ. მოგველდება ერთი მათგანი, კაცის სიმაღლეზე აღიმართება შენ წინ, მოგაჩერდება თავისი მომნუსხველი მზერით, მერე თითქოს თავდასხმა გადაიფიქრაო, ნელ-ნელა გაუწვება ბალახს და

გაუჩინარდება. რაც მთავარია, შორიახლო მოგყვება ჯუნ-
გლების დარაჯი, ყველასთვის და ყოველთვის ერთნაირად
საშიში ვეფხვი...

არაფერი მსგავსი ჯუნგლებში ჩვენ არ გვინახავს, თორემ
ჩვენი დაგვემართებოდა. ფიცში რომ არ ჩავიყოლო, შორი-
დან გვესმოდა მაიმუნების ჭყავილ-კივილი და ფრინველთა
ყაშყაშ-ჭახჭახი.

ჯერ ასე თუ ისე თავისუფლად ვაბიჯებდით. მერედამერე
სიარული გაძნელდა. ათასწლოვანი ხეებიდან ბაწრებად დაშ-
ვებული ტეშები სახეში გვცემდა, ეკალ-ბარდები გზას გვიღო-
ბავდა. გამხმარი ბამბუკის ჯოხებით შევიარაღდით. ჯოხებს
გამეტებით ვცემდით ლაქაშ-ბარდებს, მაგრამ ზოგჯერ ჯოხი
ხელში შემოგვატყდებოდა და ეკლის კაკანათი მთელი რჩე-
ბოდა.

ერთი პირობა უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ, მაგრამ
გადავიფიქრეთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაპირიდან
საკმაოზე მეტად შორს ვიყავით და, ვაი თუ უკან გზა ვერ
გაგვეგნო.

საღამოსკენ ჯუნგლებში ცოტა აგრილდა.

როგორც კი ხვიარებს თავი დავაღწიეთ და ხელისგული-
სოდენად მაინც გავიმინდვრეთ, ღამის გათევა გადავწყვიტეთ.

ჯერ ვახშმის საკითხი უნდა მოგვეგვარებინა.

ერთბაშად მოვიდა შიმშილი ჩვენთან და ლამის ყველაფერი
დაგვავიწყა.

თუ რამე ხიფათს არ გადაეყარა, შიმშილით არ მოკვდება
ჯუნგლებში კაცი.

ერთი გავიარ-გამოვიარეთ და ყველაზე სასიხარულო
ის იყო, რომ იქვე ახლოს ჩვენს მინდორთან წყაროს გა-
დავაწყდით. ნახევარმეტრიანი გუბურის შუაგულში წყალი
ბუყბუყით ამოდიოდა, სიხარულისაგან ტაში დავცხეთ და ლა-
მის ამოვხაპეთ პეშვებით გუბურა.

ეს უკვე გადარჩენას ნიშნავდა.

ველური ბანანით მსუბუქად ვივახშმეთ. ველური ბანანი უფრო გემრიელი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გაკულტურებულ-გენმოდიფიცირებული ნაირსახეობა, ბროდვეიზე რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყიდიან.

მერე ბანანის ფოთლებითვე შევიმოსეთ. გრძელ, დამყოლ ფოთლებზე ჯერ თავის გასაყოფი ამოვჭერით გამხმარი ბამბუკის ქვით გაჩეჩქვილი, ბასრი „დანებით“. თითო ფოთოლი ჩემს ნიმფებს მკერდზე შემოვახვიე და თითოც ჯანმრთელ ბარძაყებზე. მერე ეს ყველაფერი ბამბუკისავე ძაფებით შემოვაკარი ორივეს ტანზე. რატომ ვიკისრე მთავარი დიზაინერ-მკერავის ფუნქცია, მე თვითონ არ ვიცი. უნდა გენახათ, რა მშვიდად, თვინიერად იდგნენ ჩემს წინ. ერთადერთი ნატვრა აწუხებდათ: ნეტავ სარკეში ჩაგვახედა, როგორები ვართო.

ღამე შეიძლება ძილის დროს უხერხულად გადაბრუნდეთ და ფოთლები ტანზე შემოგეხეთ, მაგრამ ნუ დაღონდებით, ირგვლივ უამრავი ბანანია-მეთქი, ვამშვიდებდი შიგადაშიგ.

საქმე კარავზე მიდგა.

წვეტიანი ქვით რამდენიმე ბამბუკი მოვჭერით და მიწაში ღრმად ჩავასვეთ. ზემოდან ჯუნგლების თოკებით (სადღაც წამიკითხავს ტეში ჰქვიაო), მაგრად გადავაბით. იქვე ახლოს ლოტოსის მსგავსი წყალმცენარე აღმოვაჩინეთ, რომელსაც ბანანზე უფრო ფართო და სქელი ფოთლები ჰქონდა. ლოტოსები ბამბუკის ჯოხებით მოვიწიეთ და, როგორც იქნა (ძალიან მძიმე იყო), კარვამდე მოვიტანეთ.

მთავარი იყო ფოთლების ერთმანეთზე გადაბმა. წვრილად დამტვრეული ბამბუკის ნედლი ჩხირებით ბანანის და ლოტოსის ფოთლები ერთმანეთს გადავატარეთ და ქოხი არა მარტო გადავხურეთ, „საიმედო“ კედლებიც ამოვაფარეთ. ყოველ შემთხვევაში კარავს ირგვლივ და ზემოთ ტეში შემოვაკარით.

რაზე დავწვეთ? მიწა ხავსიან-ნესტიანია. წავედითᲮდა უამრავი ფიჩხი, გირჩის მსგავსი ცრუ ნაყოფი (ზამბარას ჰგავდა) და წიწვოვანი ტოტები მოვაგროვეთ. ზედ ჩვენი

ნაცადი ბანანის ფოთლები გავფინეთ და „მშვენიერი საწოლები“ გამოვიდა.

ქალბატონებს ბოდიში მოვუხადე, რომ ოროთახიანი კარვის გაკეთება ვერ ხერხდებოდა და დაძინება ერთ საწოლზე გვიწევდა, რაზეც ჩემს თანამგზავრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ: უფრო მეტიც, შევატყვე არ ეწყინათ.

სანამ დავწვებოდით, ჩემმა მომხიბვლელმა თანამგზავრებმა, როგორც ეს კარგად აღზრდილ ქალებს ჩვევიათ, ლიფ-ბიკინები წყალში გაავლეს და გასაშრობად ბუჩქებს მიაკიდეს.

●

მთვარე ცოტა ხანს ადგა ჩვენს კარავს.

შუაღამისას უზარმაზარი ხეებისკენ გადაიწია და ირგვლივ ნერვულ-ხმაურიანი წყვდიადი გამეფდა.

ოღონდ ისეთი წყვდიადი, ტელევიზორი რომ ჩართული დაგრჩება და უაზრო ბზუილ-გნიასი ძილის ტომარას რომ დაგახურავს თავზე.

ჩემს გვერდით კრისტი წევს, კრისტის გვერდით ქეთრინი.

საათს დავხედე. ორს აღარაფერი უკლია.

არც კრისტის სძინავს. სუნთქვაზე ვატყობ.

– ა?

– სსსუ, მე ვარ. – ჩურჩულით ვეუბნები.

– როგორ შემაშინე.

– ჩემს მეტი ვინ შემოგიყოფდა ხელს.

– რა ვიცი, რა არ ვიფიქრე.

– აეროპორტში ვინმე უნდა დაგხვედროდა?

– არა.

– არც მე.

ხელს ვუსვამ რბილ, აბრეშუმკანიან მუცელზე და ვნებისაღმძვრელ ბოქვენებზე.

– რა კარგია, რომ არ იპარსავ.

– არც არასოდეს გამიპარსავს.

– ძალიან საყვარელი ხარ.

– ისე, დიდი მაცდური ვინმე ჩანხარ.

– ჩვეულებრივი კაცი ვარ. გითხრა სიმართლე?

– ჰო.

– კიდევ ცოტა ხანიც და შენ შემომიყოფდი ხელს.

– მაგდენს ვერ გავბედავდი, მაგრამ ისე კი მიკვირდა, რატომ აგვიანებს-მეთქი.

– აი, ხომ ხედავ.

– ე, ე, რას შვრები, რას შვრები... შენ მე ხის ხომ არ გგონივარ.

...და ვითომ უნებურად, ფეხები გაშალა, რომ ჩემი მარ-ჯვენა ხელისთვის უფრო თავისუფლად მოძრაობის საშუალე-ბა მიეცა.

– ქეთრინს სძინავს?

– ძალიან ღრმად. დაწვა თუ არა, მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა.

– აქეთ მოიწი. ამოვალ აბა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

– რას შვრები, გაგიჟდი? გაეღვიძება.

– მერე რა, გაეღვიძოს, არც ისე პატარაა.

– არა, არა, ასე არაფერი გამოგვივა, ორივენი დავიტან-ჯებით. გარეთ გავიდეთ.

– ეგ კარგი აზრია.

– ფრთხილად... ფრთხილად... ნამდვილი დათვი ხარ.

გამოვედით და იქვე ბალახზე მივწექით.

– მოიცა... ნელა, მკლავი ნუ მომტეხე... მოიცა.

ფეხები იქეთ-აქეთ ხავსიან ლოდზე შეაწყო. ბანანის ტანსაცმელი შემოიხია და ქვეშ გაიფინა.

– ნელა... ნელა... მეტკინა... ცოტა ზევით, ჰო... ასე... კარგად ხარ? არ იჩქარო, გეხვეწები, არ იჩქარო...

ხუთი წუთის შემდეგ.

– რა გემრიელი ქალი ხარ.

– არ იტყუები?

– არა.

– ღმერთო, ვინ იფიქრებდა.

– ღმერთს მადლობა, რომ გადავრჩით.

– და არა მარტო გადავრჩით. ერთი უბედნიერესი ღამე მაქვს ჩემს ცხოვრებაში.

– ავდგეთ ახლა.

– არ გამოიღო, გეხვეწები, კიდევ ცოტაც...

– გადავაბათ?

– ჰო.

– მიყვარხარ.

– ჩუ, არ თქვა ეგ სიტყვა. ორსაათნახევარი იჯექი თვითმფრინავში ჩემს გვერდით და ხმა არ გაგიცია.

– არ მიყვარს უცნობებთან გამოლაპარაკება.

– არც მე. ხელები თავქვეშ ამომიდევი რა.

– ასე?

– ჰო, კარგია.

მეორე უფრო დიდხანს გაგვიგრძელდა და ცოტა თამამ-ხმაურიანი გამოდგა.

ის იყო სული მოვითქვით, რომ ზედ ყურთან ჩაგვესმა:

– კრისტი!

– ჰო! – გაეპასუხა კრისტი და ჩემი მკლავებიდან თავი გაითავისუფლა.

– სად ხართ, ვერ გხედავთ?!

ქეთრინი კარავთან დგას და შიშველ მკლავებზე ხელს ის-ვამს.

– ერთი წამით გამოვედით. ახლავე, შენ არ გეფსია?

– შემოდით, ძალიან გთხოვთ.

შევედით.

– როგორ შემეშინდა. კივილამდე ცოტა მაკლდა, – ხმის ცახცახით ამბობს ქეთრინი.

– კივილამდე, თორემ სასტუმროს დაცვა და მორიგე ადმინისტრატორი არ მოვარდნილიყო, – ვთქვი მე.

მერე დავწექით და სამივეს გულიანად გვეძინა.

ისე გულიანად, თითქოს არც თვითმფრინავის კატასტროფა ყოფილიყოს და არც ჩვენ, სამივენი შევრჩენილიყავით ჯუნგლებს მიუსაფარნი, გზადაბნეულნი და რომ იტყვიან, ჰაერში გამოკიდებულები.

●

მეორე დღეს კვლავ გზას დავადექით.

რა დიდებული ფრაზაა, მაგრამ ამ სიტუაციისთვის სრულიად შეუფერებელი.

გზას დაადგები მაშინ, როცა გზა არსებობს, ჩვენ კი კვადაცის ბუჩქებში, ისტორიამდელ ხეებში და ეკალ-ბარდებში, პარასკევას სამოსში გამოწყობილები, მივარღვევთ ჯუნგლებს.

ბამბუკის ტარებს კანაფის თოკებით ბასრი ქვები მივაბით და ამგვარი ქვის ნაჯახებით ვცდილობთ გზის გაწალდვას, მაგრამ ძალიან გვიჭირს. მესამე დარტყმაზე კანაფი წყდება და დიდი ალბათობაა იმისა, რომ ასხლეტილი ქვა შუბლში მოგვხვდეს.

გზადაგზა პაპაის ნაყოფს, სხვადასხვა ჯურის ასკილ-კენკრას და ბანანს მივიჭამთ. ირგვლივ უამრავი მწერი, გიგანტური ხოჭო და ლოკოკინაა. „დისკავერში“ არაერთხელ მინახავს, როგორ გააქვთ თავი ჯუნგლებში დარჩენილებს კალიებით, ხოჭოებით, კიბორჩხალებით და ლოკოკინებით, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით „ხილის დიეტას“ ვამჯობინებთ.

– თუ ჩვენი ველური ცხოვრება გაგრძელდა და უხორცოდ ვერ გავძელით, არ შეგეშინდეთ, გოგონებო, მშვილდ-ისარს გავაკეთებ და სხვას თუ ვერაფერს, ჯუნგლების როჭოს და გარეულ ბატს მაინც მოვინადირებ, – ნახევრად ხუმრობით ვამბობ.

– კარგი ენის იყავი, – მიღიმის კრისტი და შუბლზე მაჯით იწმენდს ოფლს.

ქეთრინი ჩვენზე ყოჩაღი აღმოჩნდა.

ხანდახან დაწინაურდება და ისე ღონივრად იქნევს ქვის ნაჯახს, რომ შენი მოწონებული.

– სსსს! ჩუმად!

კრისტიმ ხელი შემართა.

ძალიან შორს და ყრუდ ვერტმფრენის გუგუნი ისმის და მალევე წყდება.

საღამოსკენ ძალიან დავიღალეთ და სრულიად გაუთვალისწინებელი ხიფათი შეგვემთხვა.

კრისტის დამპალ, დახავსებულ მორზე ფეხი დაუსხლტა და მარცხნივ რომ გადავარდა, დაიკივლა:

– დავიღუპე!

მე და ქეთრინი მივვარდით. ძლივს ამოვუღეთ მარჯვენა ფეხი და ბალახზე წამოვაწვინეთ.

კრისტის ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის.

ფეხის თითებიდან დავუწყე და ყოველ მოძრაობაზე ვეკითხები:

– ასე გტკივა?

– ძალიან.

– ასე?

– ძალიან.

– ასე?

– ცოტა.

ტერფის სახსარი ან მოტეხილი აქვს, ან ძალიან ნაღრძობი.

სადაცაა დაღამდება.

გზის გაგრძელებას, რასაკვირველია, ვეღარ შევძლებთ.

კოჭი ფოთლების და ბამბუკის არტახებით გავუკარით და იქვე მივაწვინეთ.

ჩვენი კარავიდან შორს არ ვართ, მაგრამ იქ ჩასვლას ვეღარ შევძლებთ.

– როგორ დაგაღალატეთ, მაპატიეთ, რომ ასე შემემთხვა, – წუხს კრისტი.

– არა უშავს, ხვალამდე გაგივლის, ცოტაც მოითმინე. სცადე, იქნებ ჩაგეძინოს.

მე და ქეთრინი გამალებით ვშრომობთ.

ისევ იმ საშუალებებით, რაც გუშინ გაგვაჩნდა (მაგრამ ახლა გამოცდილება მეტი გვაქვს). გავაკეთეთ კარავი და კრისტი ფრთხილად შევაწვინეთ. ჩვენც ავადმყოფს ირგვლივ შემოვუწექით.

კრისტი მთელი ღამე ბორგავდა.

წამდაუწუმ ბოდიშს გვიხდიდა და ტკივილგამაყუჩებელს გვთხოვდა.

დილისკენ ცოტა დამშვიდდა და ჩაეძინა.

ფეხი ჩვენდაიღბლად არ გასივებია. შეწითლებული აქვს, მაგრამ რაკიღა თითებს თავისუფლად ამოძრავებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოტეხილი არა აქვს.

როცა მზე ამოვიდა და სამივენი კვლავ შევიმოსეთ ჯუნგლების სამოსით, კრისტის ბამბუკის ყავარჯნები გავუკეთეთ, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო. მერე ქეთრინმა მოიფიქრა, მოდი საკაცით წამოვიყვანოთო, მაგრამ კრისტიმ იუარა, საკაცით ვერ წამიყვანთ, თქვენც გაწვალდებით და ზედმეტ ბარგად დაგაწვებითო, იქნებ თქვენ განაგრძოთ გზა და თუ სიკვდილი არ მიწერია და სამშვიდობოს გახვედით, მერე მოდით მაშველი რაზმით ჩემს გადასარჩენადო.

ეს უკანასკნელი წინადადება კრისტის, რასაკვირველია, „გმირობაში“ ჩავუთვალეთ, მაგრამ მისი ცრემლიანი პათეტიკა სასაცილოდ არ გვეყო.

– შევფიცოთ ერთმანეთს რომ სიკვდილამდე სამივენი ერთად ვიქნებით, – ამბობს ქეთრინი.

– შეფიცვაც არ არის საჭირო. ეგ თავისთავად იგულისხმება – ვამბობ მე და კრისტის მტკივან ფეხზე ხელს ვუსვამ.

– როგორ მესიამოვნა შენი ხელი, – კრისტი ცრემლს ყლაპავს.

– სხვათა შორის მეუბნებიან, რომ ბიოდენი მაქვს, – ვამბობ და „მასაჟს“ განვაგრძობ.

გადავწყვიტეთ, რომ ხვალამდე აქ მოვიცადოთ და, თუ კრისტის ფეხი დაუცხრა, ხვალ გავაგრძელოთ გზა.

შუადღისას მე და ქეთრინი კარავს ვტოვებთ.

ჩვენს „გასეირნებას“ რამდენიმე აუცილებელი მიზანი აქვს: პირველ რიგში სასმელი წყალი უნდა მოვძებნოთ და ქოქოსის დაცლილი კაკლის „თუნგებით“ უნდა მოვიტანოთ, მეორეც, ახლომახლო ტერიტორია კარგად უნდა დავზვეროთ, იქნებ გავარკვიოთ, სადა ვართ და რა მიმართულებით უნდა ვიაროთ, მესამეც, კრისტისთვის იქნება მრავალძარღვას ან ძირტკბილას მსგავსი საფენები მოვიპოვოთ და თანაც საკვები მოვიმარაგოთ.

ამ ოთხი მიზეზის გამო, მოგვიწია კრისტის დროებით მიტოვებამ და გვერდით ყოველ შემთხვევაში ქვის ნაჯახი დავუდეთ „დაუპატიჟებელი სტუმრების“ მოსაგერიებლად.

– ხომ არ გეშინია, კრისტი? – თავზე ხელს ვუსვამ, – თუ გინდა ქეთრინს დავტოვებ და მარტო წავალ.

– არა, წადით. ოღონდ გზა მოინიშნეთ და საღამომდე დაბრუნდით.

– საღამომდე კი არა, ორ საათში აქ ვიქნებით.

– აბა, გკოცნით, ჩემი დარდი ნუ გექნებათ.

– ყოჩაღად, კრისტი.

ბამბუკის ჯოხებით შევიარაღდით და ტყეს შევერიეთ.

წყალი არსად ჩანს.

თბილ ბალახზე მანგოს უამრავ ნაყოფს წავაწყდით.

მწიფე მანგო მიწაზე ეყარა, ზემოთ ხეს კი არც ერთი არ ესხა.

მანგო, მოგეხსენებათ, უაღრესად ტკბილი და წვნიანი მცენარეა. ერთნაირად ჰკლავს წყურვილსაც და შიმშილსაც.

უკან დაბრუნებისას დარჩენილ მანგოს მოვაგროვებთ, ბანანის ფოთლებისგან ძაბრისებურ პარკს გავაკეთებთ და კრისტის მივუტანთ.

სიღრმეში ჯუნგლი უფრო და უფრო გაუვალი ხდება.

ქეთრინს გრძელი თეთრი ფეხები დაეკაწრა.

ერთხელ ფეხისგულში ეკალიც შეერჭო. მისი ქანდაკებისებური, კოხტა ტერფი მუხლებზე დავიდე. როგორც იქნა, თითების ძირში ვიპოვე ეკალი და ამოვუღე.

ახლა მთავარია ინფექცია არ შეგეჭრეს-მეთქი, ჯერ ხელი მოვუჭირე ნაეკლარ ადგილას, მერე კბილებით დავწვდი და ვცადე წყლული გამომეწოვა.

ქეთრინი თავისი დიდი, წყლიანი თვალებით მათვალიერებდა.

როცა მკურნალობას მოვრჩი და მუხლიდან ტერფამდე ხელი ჩამოვუსვი, გონს მოეგო, გმადლობთო, მითხრა და სწრაფად წამოხტა.

გზა გავნაგრძეთ.

– ნეტა როგორაა კრისტი, მარტო ხომ არ შეეშინდებოდა?

მთელი გზა რატომღაც სულ კრისტიზე მელაპარაკება.

ალმაცერად გაზრდილ უშველებელ ხეზე ავფორთხდი. ხეს ფოთლები ჭადრისა ჰქონდა.

– მოჩანს რამე? – ამომძახა ქეთრინმა.

– ტყის გარდა არაფერი.

– ზღვა?

– ვერ ვხედავ. ეტყობა ჯუნგლებში ღრმად შევტოპეთ და ზღვას ავცდით.

გამშრალი ჩამოვბრუნდი. ქეთრინმა სასოწარკვეთა არ შემატყოს-მეთქი და სტვენა დავიწყე.

– შევცდით, ნაპირ-ნაპირ უნდა გვევლო, – ამბობს ქეთრინი.

– რაც არის, არის. არ შეიძლება ამ ტყეს დასასრული არ ჰქონდეს.

– თოლიებიც არ ჩანდნენ?

– თოლიები მხოლოდ ზღვაზე არიან.

დაახლოებით ორი საათი კიდევ ვიარეთ. თუ ჩვენს კუს სიჩქარეს სიარული ჰქვია.

ჯუნგლებში დიდი ჭრელი ჩრდილები დაჩნდა.

აგერ წყაროც.

იქვე, ჩვენდაიღბლად ჭურიასმსგავსი (ველურ გოგრას წააგავს) ხე დგას. ხეს ნაყოფი ზარებივით ჰკიდია.

ცოტას დავისვენებთ, ჭურიას მუცელს ბასრი ქვებით ამოვხორტნით და კრისტის წყალს მივუტანთ.

ვერტმფრენის ყრუ გუგუნი გაისმა.

არასდროს არ გამხარებია ასე მოტორის ხმა.

რასაკვირველია, ვერტმფრენს კი არა, ჩვენს თავზე ცის ნაჭერსაც ძლივს ვხედავთ, რასაკვირველია, ხმა ძალიან შორიდან ისმის, მაგრამ ხომ ისმის და, რაც მთავარია, მთლად დასაკარგავში არ უნდა ვიყოთ.

– აბა, ჩქარა, ქეთრინ! იქნებ დაგვინახონ!

ბანანის ტანსაცმელი შემოვიხიეთ ორივემ.

მე ჩემს შავ ტრუსიკს ვაფრიალებ. ქეთრინს ბანანის ფოთოლი უჭირავს და გამალებით უსვამს ჰაერს.

– რას შვრები! – ვუყვირი, – მწვანეს ვინ დაინახავს, გაიხადე ჩქარა! ე იმ ქვაზე შედექი და დაუქნიე! ქეთრინმა ჯერ ლიფი გაიხადა, წამში ბიკინიც მიაყოლა და იქნევს, რაც შეუძლია.

ვერტმფრენის ყრუ გუგუნი მალევე მიწყდა.

– ვერ დაგვინახეს, – მოწყენით ამბობს ქეთრინი და ვენერა მილოსელისებურ ტანს თავისი ბაირაღ-ბიკინებით იმოსავს.

კიდევ რამდენიმე წუთი და იგი ჩემს მკლავებშია.

– დაგვინახავენ, ქეთრინ, ნუ გეშინია, დაგვინახავენ! რატომ ტირი?

ქეთრინი მხარზე თავს მადებს.

– დავიღალე... გამიშვი, ძალიან გთხოვ.

ხელის გაშვება, უკვე, როგორც ჩანს, ჩემს ძალას აღემატება.

– ზღაპრული გოგო ხარ!

– იცი, როგორ შემრცხვა შენი, რომ გავიხადე?

– სირცხვილი, ქეთრინ, ადამიანებმა მესამე პირისთვის მოიგონეს. ჩვენ ხომ აქ ორნი ვართ. ამოიგდე თავიდან ეგ ზედმეტი ბარგი.

– რა, სირცხვილი?

– ჰო.

– მაგრამ ჩვენ ხომ სამნი ვართ, კრისტი?

– მაგრამ კრისტი ხომ ახლა ძალიან შორს არის.

– იცი, მე იმ ღამეს ყველაფერი დავინახე. რომ ჩურჩულებდით და მერე რომ გახვედით, მეც გამოგყევით. ასე რომ, შენს გენიტალიებზეც საკმაო წარმოდგენა მაქვს.

– ხომ არ შეგაშინე?

– სრულიადაც არა, – ქეთრინმა გაიღიმა – და მაინც ძალიან გთხოვ, თავი შეიკავე.

ხელების გათავისუფლება სცადა.

– რომელ თავშეკავებაზე ლაპარაკობ, ქეთრინ. იცი თუ არა, რომ შეიძლება ამაღამ სამივენი ვეფხვმა შეგვჭამოს?

– მაგრამ რომ არ შეგვჭამოს?

– მერე?

– მე საქმრო მყავს და ათასი მიზეზი მაქვს იმისა, რომ ასეთი ნაბიჯი არ გადავდგა.

– ეგ შენი მიზეზი შეიძლებოდა აზრიანი ყოფილიყო, ჩვენ რომ ახლა შეისელზე სასტუმროში ვცხოვრობდეთ, ახლა ეგ ყველაფერი სისულელეა. ჩვენ ჯუნგლების შვილები ვართ და საერთოდ რას ვფილოსოფოსობთ...

ვუკოცნი ღაწვებს, ტუჩებს, მკერდს, ძუძუსთავებს.

– კი, მაგრამ – ლუღლუღებს ქეთრინი – ასე რანაირად, არც პრეზერვატივი, არც რამე დამცავი საშუალება.

– რა პრეზერვატივი ქეთრინ. – ჩვენ ბუნების წიაღიდან გამოსულნი, ორივენი სტერილურად ჯანმრთელები ვართ!

– კრისტი?

– კრისტიც, რასაკვირველია.

...და იგი დამნებდა. იგი ისეთი სრულყოფილი არსება იყო, ისე ვნებიანად ცახცახებდა და თრთოდა, რომ ჩვენი ურთიერთტოკვა და ამოზმუილ-ამოძახება დიაღაც უხდებოდა იმ გარემოს, სადაც ვიწექით.

საოცარი ის იყო, რომ ეს მაღალი, ტანკენარი გოგო ფერებით ვერ გავაძღე. უკან რომ ვბრუნდებოდით და ხანგამოშვებით გულზე მივიკრავდი, მაშინვე ცახცახს იწყებდა და დასაწოლ ადგილს ეძებდა.

რა იყო ეს? უნაპირო ვნება თუ დიდი სულიერ-ფიზიკური სტრესის შემდეგ, რაც თვითმფრინავის კატასტროფამ დაგვმართა, ადამიანის ინსტინქტი, შინაგანი თავისუფლების აფეთქება და ამით შორეულ წინაპართა გამოქვაბულებთან დაბრუნება?

●

ერთი კვირის მერე გვიპოვეს.

ახლა „ბოინგში“ ვზივართ.

უკან დარჩა აბეზარი ჟურნალისტების გაუთავებელი კითხვები. ჩვენს სულში ხელების ფოთიალი... მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არსად, არც ერთი რესპონდენტი არც ერთ ჟურნალისტთან ბოლომდე სიმართლეს არ ამბობს.

კითხვას, ბედნიერები ვართ თუ არა, რომ გვიპოვეს, სამივენი თავშეკავებით, სევდიანად, რაღაცნაირი იდუმალი დამორცხვებით და, ცოტა არ იყოს, ყალბად ვპასუხობდით:

– რა თქმა უნდა!

და სამივენი ჩვენს გულებთან მართლები ვიყავით.

ჰო, რასაკვირველია, შენს ცხოვრებასთან დაბრუნებას ყოველთვის ახლავს ხიბლი.

ხვალიდან ისევ საზიზღარი კომპიუტერი, მობილურით გაუთავებელი დამესიჯება, ჩვენ-ჩვენს მოსაწყენ ფონდებში საქმიანობა და უჩვეულო მდგომარეობა: კატასტროფას გადარჩენილის სახელის ტარება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

და, რაც მთავარია, ცხოვრება უერთმანეთოდ.

თვითმფრინავი სადაცაა დაეშვება ნიუ-იორკის „კენედის“ აეროპორტზე.

18. IX. 2011წ.

გარყვნა?!

თბილისში ფოთოლცვენა კარგა ხანია დაიწყო.

ქარი რომ დაუბერავს, ჭადრის შემხმარ ფოთლებს ჯერ ერთად შეაქუჩებს, მერე წიწილებივით გაირეკავს გაზეთის ჯიხურისკენ, ცოტა ხანში უკან გამოირეკავს და ასფალტზე მიმოშლის.

საყურებლად ფრიად თავშესაქცევი რამ არის.

სკოლიდან თხუთმეტ-თექვსმეტიოდე წლის, მაღალი, ქერა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი გამოვიდა. მოსწავლის ზურგჩანთა, რომელიც რატომღაც ხელში ეჭირა ზურგზე მოიგდო, საყელო აიწია და ქუჩას გაუყვა.

– ბიჭი!

უპომადო, მოხდენილი ქალი, რომელსაც თაფლისფერი გრძელი მოსასხამი ეცვა და თაფლისფერივე თმა მხრებზე ეღვრებოდა, მისკენ ნელა, ტანის სექსუალური რხევით წამოვიდა.

– ახლა რომელი გაკვეთილი გამოვიდა?

– მეოთხე. რა არი რო?

– გაგიცდათ?

– არა, რა არი რო?

– შენ რომელ კლასში ხარ?

– მეთერთმეტეში, რა არი რო?

– ქალი გინდა?

ბიჭმა გაოცებისგან პირი გააღო.

კითხვამ ცოტა არ იყოს, შეაშინა, მაგრამ უმალვე იგრძნო, ახლა ყოყმანის დრო არ იყო.

– კი, სად არი რო?

ქალმა ხუჭუჭი თმა მიუქინჩ-მოუქინჩა.

– რაო, არ მოგწონვარ?

– შენ? როგორ არა.

– მომყევი აბა. უკან სამ ნაბიჯზე მომყევი. გვერდით არ გამომყვე.

ბიჭი გაჰყვა.

ცდილობდა არ ჩამორჩენოდა და არც ძალიან ახლოს მისულიყო, თითქოსდა რაღაც რიტუალს ასრულებდა ახალწვეული ჯარისკაცივით. მას პირველი დავალება მისცეს და მკაცრად მოთხოვენ პასუხს შეუსრულებლობისთვის.

პეკინზე გავიდნენ და მარჯვნივ მოუხვიეს.

ქალი წამდაუწუმ შუბლზე ისვამდა ხელს, რათა შუბლ-ყურ-ყელზე აბეზარი ქარისგან საყვარლად მიმოფენილი თმა ხელით გადაევარცხნა და ყურსუკან ჩაემაგრებინა.

ჩქარ სიარულს მიუჩვეველი ბიჭი შიგადაშიგ მიასკინკილობდა.

სადარბაზოში შეუხვიეს და კიბით ავიდნენ მესამე სართულზე.

ქალმა შუა კარს (ამ ადგილას ძირითადად ერთოთახიანი ბინებია) გასაღები მოარგო.

შევიდნენ.

ბიჭს სითბომ, ქვეშაგების და სუნამოს სუნმა ცხვირში შეუღიტინა. ერთბაშად სასიამოვნო მოთენთილობა დაეუფლა.

– მოიხსენი ეგ ჩანთა.

ბიჭმა ზურგჩანთა სწრაფად მოიხსნა და მაგიდაზე დადო.

ქალი საწოლზე ჩამოჯდა და გახდა დაიწყო.

– დაჯექი. სარი ხომ არ გადაგიყლაპავს.

ბიჭი დაჯდა და მონუსხულივით მიაჩერდა.

ქალი თითქოსდა განგებ ნელ-ნელა იხდიდა.

ბევრი არაფერი ეცვა, მაგრამ რასაც გაიხდიდა, მაღლა ასწევდა (თითქოსდა ბიჭს უჩვენებდა) ფაქიზად დაკეცავდა და იქვე დაბალფეხება, მრგვალ მაგიდაზე ალაგებდა.

მერე ქალი წამოდგა. იგი თხემით ტერფამდე შიშველი ზღაპრულ ფერიას ჰგავდა.

ბიჭს მიუახლოვდა და მისი ხუჭუჭა თავი მუცელზე მიიდო.

– გინახავს გახდილი ქალი ასე ახლოს?

– ასე ახლოს არა.

– რაღას უყურებ, გაიხადე.

სკამზე ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა ალუმინისღილებიანი კიტელი, ბამბის ნაცრისფერი მაისური, მობილური ტელეფონი „ნოკია-2“, ჯინსის ყაიდაზე შეკერილი შავი შარვალი. სიჩქარეში ფეხსაცმლის თასმა გაენასკვა. გაოფლიანდა. საჩვენებელი თითი ჩაუყო და გაგლიჯა.

– ბიჭოს?! გრძელი ნიფხავი გცმია.

ბიჭს შერცხვა.

– ვინ მიგაჩვია?

– დედამ. ჩვენს კლასში ჩემ გარდა არავის აცვია. მე შემოდგომიდან ზაფხულამდე ამით დავდივარ.

– ძალიანაც კარგი. დედაშენი ჭკვიანი ქალი ყოფილა.

– ესეც გავიხადო?

– შენ როგორ ფიქრობ. მე მგონი, ჩემთან არ ცივა. უყურე ამას? მე ამხელა ქალი დედიშობილა დავტანტალებ და ამას ნიფხავის გახდაც ეზარება. მოდი აქ!

წელზე ხელი მოხვია. შიშველ მკერდზე ვნებიანად აკოცა და ნელ-ნელა ჩაუცურა ნარინჯისფერი რეიტუზი.

ორივენი ადამზე და ევაზე უფრო თამამ სამოსელში იდგნენ ერთმანეთის წინ.

– ახლა აბაზანაში შევიდეთ, უნდა დაგბანო, ვინ გბანს ხოლმე?

– არავინ... ისე, ძალიან დიდი ხნის წინ – დედა.

შევიდნენ.

ზოგიერთი მონატურალისტ-მოტუტუცო მწერალი, ოდენ სექსუალურ-სკაბრეზული პასაჟებით რომ ცდილობს მკითხველის მოტყუებას, ჩვენს გმირებს აბაზანაშიც შეჰყვებოდა.

ჩვენ კი ამჯერად ერთადერთი, მაგრამ ბევრის დამტევი და მიმანიშნებელი ფრაზით დავკმაყოფილდეთ:

ერთმანეთი დაბანეს.

ნახევარი საათის მერე ლოყებაწითლებულები, შამპუნსუნიანები, განბანილნი და პირსახოცშემოხვეულები აბაზანიდან გამოვიდნენ და თეთრ ფუმფულა ლოგინში ჩაწვნენ.

... ქალმა კიბეზე ჩამოაცილა და ერთხელ კიდევ მიიკრა მკერდზე.

– ჩემი დიდი, ხუჭუჭა ბიჭი.

ბიჭი ზურგჩანთას მიიქნევდა და, მიუხედავად იმისა, რომ სიხარულისგან ლამის ცაში აფრენილიყო, ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს ეს მისი ერთი ჩვეულებრივი დღე იყო.

სადარბაზოს კარებთან შეჩერდნენ.

– ახლა კარგად დამიგდე ყური. სადაც უნდა შემხვდე, არ მომესალმო. თუ ვინმემ გკითხოს, არ ვიცნობ, არასოდეს მინახავს-თქო. ჩემთან არასოდეს მოხვიდე. ზარი შემთხვევითაც კი არ დარეკო, თორემ ქმარი ერთი გადარეული პოლიციელი მყავს – შენც მოგკლავს და მეც.

ბიჭმა თავი დაუქნია.

●

სამი თვის შემდეგ:

– ქალბატონო!

– რა გნებავთ?

ქალმა მოიხედა. შეჩერდა და ისეთი სახით დაელოდა დამძახებელს, რომ იგრძნობოდა, მე ამ წუთს კარგა ხანია ველოდი და ისიც მოფიქრებული მაქვს, რაც უნდა გიპასუხოთო.

ქალის წინ ორმოციოდე წლის, უულვაშო ინტელიგენტური გარეგნობის პოლიციელი იდგა.

– მე ამ უბნის ინსპექტორი ვარ.

– ვიცი.

– თუ შეიძლება, აგერ კაფეში მივსხდეთ ცოტა ხანს. თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

– ოფიციალური?

– არა, ჯერჯერობით. ჩემთან ოფიციალური შეხვედრის დროს განყოფილებაში დაგპატიჟებდით. ახლა, როგორც ხედავთ, ოქმი არ იწერება.

– დაპატიჟება ძალიან რბილი სიტყვაა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი მინის შენობა აგიშენეს, ხომ მაქვს უფლება დიდი სურვილი არ მქონდეს თქვენთან სტუმრობისა.

– ამ შემთხვევაში ორიგინალური არა ხართ. ჩვენთან ძირითადად მოჰყავთ ხოლმე.

– არც თქვენი ნათქვამია ფრიად ორიგინალური და რეფორმის შესაფერისად თანამედროვე.

– ჩაი? ყავა?

– ჩაი, თუ შეიძლება.

– მეც ჩაის დავლევ.

ჩაი შეუკვეთეს.

– ალბათ ხვდებით, რატომ დავინტერესდით თქვენი მაღალი პერსონით.

– თუ შეიძლება ირონიის გარეშე, ბატონო პოლიციელო, მე თქვენთვის, ჯერჯერობით, ფამილიარობის უფლება არ მომიცია.

– მაპატიეთ. – მოუბოდიშა პოლიციელმა და ცოტა არ იყოს, მოეწონა კიდეც, რომ ობიექტი ჩვეულებრივი „ქალი“ კი არა, უაღრესად დახვეწილი გაიძვერა აღმოჩნდა.

– თუ გიფიქრიათ, რომ თქვენს ცხოვრებას სისხლის სამართლის დანაშაულის სუნი ასდის?

– ჩემი ცხოვრება, მოწყალეო ხელმწიფევ, ოთხ ქრონოლოგიურად განსხვავებულ პერიოდს მოიცავს: ერთიდან ჩვიდმეტ წლამდე უზრუნველი ბავშვობა, ჩვიდმეტიდან ოცდაექვს წლამდე დამაბნეველი ახალგაზრდობა, ოცდაექვსიდან ოცდაცხრამდე ქმრიანობა და ბოლო ექვსი თვე ფრიად საინტერესო ცხოვრება: უფრო სწორად, პოლიციურ ენაზე რომ ვთქვათ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

– აი, სწორედ მაგ ექვსთვიან პერიოდზე მინდა ვისაუბროთ.

– მაინც?

– თავს ნუ გაიბავშვებთ. მე მგონი, უნდა გრძნობდეთ ჩემს კეთილგანწყობას. თქვენ ამჯერად გამომძიებელს კი არა, უბნის უბრალო ინსპექტორს ელაპარაკებით.

– ესე იგი ჩემს წინააღმდეგ საქმე, ჯერჯერობით, აღძრული არ არის?

– ჯერჯერობით, არა და აღიძვრება თუ არა, ძირითადად თქვენზეა დამოკიდებული.

– და თქვენზეც ხომ?

– ნაწილობრივზე უფრო ნაწილობრივ, ანუ სადღაც სამი პროცენტით.

– ესე იგი ბევრი მიზეზი მაქვს, რომ ყურადღებით მოგისმინოთ.

– სამი თვის წინ თქვენ გამოჩნდით ჩვენს უბანში. მარტოხელა ქალმა ბინა დაიქირავეთ მესამე სართულზე. ორივემ კარგად ვიცით სადაც. სკოლიდან გამოსულ უფროსკლასელ ბიჭებს უახლოვდებით, ეპატიჟებით დაქირავებულ ოთახში და ინტიმურ კავშირში შედიხართ მათთან. არის თუ არა ეს მართალი?

– თქენი მრავლობითი რიცხვი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჯგუფურად მიმყავს მოზარდები ჩემს დაქირავებულ ბინაში და ჯგუფურ სექსუალურ ორგიებს ვაწყობ?

– არა, მაგას ვერ დაგაბრალებთ.

– კიდევ კარგი, ჯგუფურობა გამოირიცხა. ნება მომეცით, გკითხოთ, უფროსკლასელი, ვთქვათ მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასელი რამდენი წლის შეიძლება იყოს?

– თექვსმეტის და ზევით.

– როგორ არის თქვენთან სამართალში ვერ გეტყვით, მაგრამ თექვსმეტი წლის ბიჭი რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სრულფასოვან მამაკაცად ითვლება, ესეც ხომ მოგეხსენებათ?

– დავუშვათ.

– ახლა ეს მითხარით, მე სკოლასთან უშუალოდ თუნდაც ასი, ასორმოცდაათი მეტრის სიახლოვეს მნახა ვინმემ?

– არა.

– ესე იგი მე სკოლასთან არ „ვდგავარ“, თქვენი ტერმინი რომ ვიხმაროთ და არც თექვსმეტზე ნაკლები ასაკის ბიჭს დაუდგამს ფეხი ჩემს ოთახში.

– ასეა, ცოდვას ვერ დავიდებ.

– ესე იგი მე ორიენტაცია ბარგზე უნდა ავიღო?

– როგორ ბარგზე?

– ვისაც ზურგჩანთა ჰკიდია, ახლოს არ გავეკარო? ახლა ეს მიბრძანეთ, ჩემი ოთახიდან მთვრალი თუ გამოსულა ვინმე, ან ქეიფ-ღრიალის ხმა თუ გსმენიათ?

– არა, ჩემამდე მხოლოდ ზეპირი სიგნალი მოვიდა.

– იქნებ ფული გამოვძალე რომელიმე „მოზარდს“ და ჩემი მომსახურების საფასური მოვითხოვე.

– არც მაგის ფაქტები მაქვს.

– რაც არ ყოფილა, რა გექნებათ. და ბოლოს, იქნებ გადამდებ ვენერიულ სნეულებას ვავრცელებ? შემიძლია ნებისმიერ ვენეროლოგიურ დისპანსერში წამოგყვეთ და გავესინჯო.

– რატომ არ გესმით ჩემი. მე ამ უბნის ინსპექტორი ვარ და, ჯერჯერობით, თქვენი ჯანმრთელობის შემოწმების პრობლემა არ დგას ჩემს წინაშე.

–აი, რა, ჩემო კარგო, მე წელან „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა“ შემთხვევით არ მიხსენებია. მე, ახალგაზრდა ქალი, რომელმაც პირადი ცხოვრება ვერ ავაწყვე, სერიოზულად ვფიქრობ, რომ შეიძლება კოდექსების ენაზე ამას საზიზღარი სიტყვა „გარყვნა“ ჰქვია, მაგრამ ჩემი ქალაქისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებ. შენ წარმოიდგინე, ამ ჩვენს ნახევრადპროვინციულ თბილისში არ არსებობს არავითარი თუნდაც საიდუმლო უწყება კომპიუტერისგან ტვინნაღრძობ ახალგაზრდა ვაჟს კაცად მოქცევაში რომ დაეხმარება. სპორ-

ტიო?! გაიოცებთ თქვენ, ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ სპორტი სექსუალური ცხოვრების ადგილს ვერასოდეს დაიკავებს. ამ სამი თვის წინ ერთბაშად მოვიდა ჩემთან საჭიროება იმისა, რასაც ვაკეთებ და რისგანაც თქვენც და მთელი „ჯანსაღი საზოგადოებაც“ ჩემს ჩამოშორებას გულმოდგინედ ეცდებით. მე ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ასაკობრივ თავისებურებებში, არ გეწყინოთ და, თქვენზე უკეთ ვერკვევი! დამიგდე კარგად ყური, ბატონო პოლიციელო, იმ ასაკში, როცა ახალგაზრდების თითქმის აბსოლუტური უმეტესობა ანანიზმს იწყებს და იქვეა ჩასაფრებული გაუკუღმართების საფრთხე ჰომოსექსუალიზმის და ლესბოსელობის სახით, მე ვცდილობ ანანიზმისგან ხელისგულგადაცვეთილი ვაჟი ერთბაშად მამაკაცად ვაქციო და თქვენ ამას ახალგაზრდობის გარყვნას ეძახით? არ გრცხვენიათ?

– მე ვეძახი გარყვნას?

– კონკრეტულად თქვენზე არ ვამბობ, იდეოლოგია, ატმოსფერო, აღზრდის სულელური სისტემა... რა ვიცი, ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე.

სიჩუმე ჩამოწვა.

ორივენი ცივ ჩაის წრუპავდნენ და ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ.

– გინდა გითხრა, ახლა რას ფიქრობ?

– ფიქრის წაკითხვაც შეგიძლია? – კაცმა ირიბად გახედა.

– საერთოდ არა, მაგრამ ამ შემთხვევაში მგონი მიგიხვდი: შენ გინდა მითხრა, „რა ვიცი, მე ჩემი სამსახური ფაქტში ასე ღრმად შეჭრის ვალდებულებას არ მისახავს. ერთი რამ უნდა გთხოვო, ამ ადგილიდან გადადი და სხვაგან დაამტკიცე შენი სიმართლე, თორემ მე... მე... არც მეტი არც ნაკლები სამსახურიდან გამაგდებენ“, ხომ მართალი ვარ?

– ზუსტად მოარტყით, – გაიცინა კაცმა.

– აი, ხომ ხედავ, ბოლოს ყველაფერი სამსახურის და-

კარგვაზე და ულუკმაპუროდ დარჩენილ ცოლ-შვილზე გადის. კარგი, მე წავალ აქედან.

– მადლობელი ვარ, – უთხრა კაცმა, ქალს ხელი გამოართვა და აკოცა.

ქალს მარჯვენა ხელის ზურგი აეწვა.

იგრძნო, პოლიციელს ცხელი ტუჩები ჰქონდა.

ცრიდა.

ქარი ჩამდგარიყო.

კაფე „რემადან“ ორნი გამოვიდნენ და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

●

„საოცარია ე ჩვენი საქმე. კინაღამ არ გადამიყვანა ამ ქალმა თავის ჭკუაზე? რავა ყველაფრის გამართლება შეუძლია ამ ენას, ამ დასაწვავს“... ფიქრობდა რწმუნებული.

1 ოქტომბერი, 2011
თბილისი

ეს ჩემი ქუჩაა

გამარჯობათ, პატივცემულო ტელემაყურებლებო.

ეს ჩემი ქუჩაა, მე მაშიკო ვარ.

მთაწმინდისკენ აღმავალ ამ ქუჩას ბატკნისხევამდე მთაწმინდის ქუჩა ერქვა. მეფისნაცვალმა სახელი გადაარქვა და არსენალის ქუჩა უწოდა, ხოლო 1925 წლიდან 1991 წლის 26 მაისამდე ჩემს ქუჩას ვართაბეკოვის ქუჩა ერქვა.

ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტად არჩევისთანავე სახელი შეუცვალა ვართაბეკოვის ქუჩას და ოცდათორმეტიანელთა ქუჩა უწოდა.

ქუჩას დღესაც ოცდათორმეტიანელთა ქუჩა ჰქვია.

მე, როგორც მოგახსენეთ, მაშიკო ვარ.

ტელემაყურებლისთვის ადვილი მისახვედრია, რატომ ერქვა ამ ქუჩას მთაწმინდის ქუჩა.

არც იმის მიხვედრა გაგიჭირდებათ, რომ ვორონცოვს მთაწმინდის კალთაზე გამოქვაბულებში რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულთა დასაშოშმინებელი არსენალის საწყობები ჰქონდა და არსენალის ქუჩაც მოქალაქეთა გასაფრთხილებლად გაჩნდა.

ბევრმა არ იცის, ვინ იყო ვართაბეკოვი და რატომ ერქვა თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩას, ლამის სამოცდაათი წლის მანძილზე, ვართაბეკოვის ქუჩა.

ძვირფასო მაყურებლებო, მოგეხსენებათ 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო წითელი რუსეთის მეთერთმეტე არმიამ.

ბოლშევიკებმა ცეცხლით და მახვილით გაავრცელეს საქართველოში რუსული დიქტატურა.

ანექსირებულ და ოკუპირებულ ქვეყანაში წითელი ტერორი მძვინვარებდა.

ილიას და აკაკის მიერ შეღვიძებულ საქართველოს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ის საბედისწერო ჩაძინება, დღემდე რომ მოგვყვა და სულს უხუთავს პირქვედამხობილ ქართველ ხალხს.

1924 წელს საქართველო აუჯანყდა რუსეთს.

ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშვეს 1924 წლის აჯანყება.

დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და დახვრეტები.

მძვინვარე სამეულები აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ ქვეყნის თითქმის ყოველ მესამე მოქალაქეს.

დანაშაულს არავინ იძიებდა.

დასახვრეტად საკმარისი იყო თუ ქუჩაში თავაწეული გაივლიდი, თუ ცნობილი გვარის წარმომადგენელი ბრძანდებოდი, თუ ბოლშევიკებს კი არა, სხვა რომელიმე პარტიას თანაუგრძნობდი და ბოლოს და ბოლოს, თუ ჰალსტუხი გეკეთა.

წითელი ტერორის ულმობელი გამტარებელი ჩეკა გახლდათ.

ჩეკისტები არავის ინდობდნენ.

შავჯუბაჩიანი და გრძელმაუზერიანი „წითელი გუშაგების“ ჩექმის ჭრიალზე ტანში აციებდა მთელ საქართველოს.

ძვირფასო ტელემაყურებლებო, მე მაშიკო ვარ.

იცით, როდის მოხდა საქართველოში პირველი ავიაკატასტროფა?

1925 წლის 16 აგვისტოს.

იმ დროს საბჭოთა საქართველოს სულ სამი პროპელერიანი, ორფრთიანი თვითმფრინავი ჰყავდა.

დენიკინისთვის სოჭში წართმეული ეს ნახევრადსამხედრო თვითმფრინავები პილოტიანად შვიდ მგზავრს იტევდნენ და საათში მხოლოდ სამოცდაათი კილომეტრით ფრენა შეეძლოთ.

მაშ ასე, 1925 წლის 16 აგვისტოს, 2 საათზე თბილისის ბალახბილიკიანი აეროდრომიდან აფრინდა თვითმფინავი „სოკოლ-2“ და გეზი ბათუმისკენ აიღო.

თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ მაღალჩინოსანი ჩეკისტები: ვართაბეკოვი, სერგეევი, შურკინი, ალიზადე, მინასიანი და ხუბუტია.

ეს ექვსეული საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დასაყრდენს წარმოადგენდა.

ისინი იგზავნებოდნენ ოპერატიული დავალებით სწორედ იმ წერტილში, სადაც საეჭვო ფუსფუსის გეშს აიღებდა საიდუმლო სამსახურის უფროსი.

ორი დღეც არ სჭირდებოდა „შესანიშნავ ექვსეულს“ წესრიგის დამყარებისთვის.

შეპასუხებისთვის ადგილზე ხვრეტდნენ ურჩებს. ბოლშევიკური ხაზის გამტარებლებს აწინაურებდნენ, მეჩრდილიე, მედღეხვალიე, მოჭოჭმანე, მოლაყბე ელემენტებს იქვე ასამართლებდნენ და ეტაპით გზავნიდნენ დედაქალაქში.

ძნელი მისახვედრი როდია ის გარემოება, რომ ჩეკისტ მაღალჩინოსანთა ეს გადაფრენაც ბათუმში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისკენ იყო მიმართული.

როგორც ახლა გაირკვა, თვითმფრინავს მართავდა ოცდაცხრა წლის პილოტი გერგაია.

გერგაიას საფრენოსნო კურსები ბაქოში დაემთავრებინა და მალე რვა თვე გახდებოდა, რაც საბჭოთა ავიაციას ემსახურებოდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, აფრენიდან ზუსტად ოცდაშვიდ წუთში თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.

ქართული ავიაცია, მოგეხსენებათ, ღარიბი ავიაციაა. ჩვენ ძირითადად თითქმის ამორტიზებული, მალე ჩამოსაწერი თვითმფრინავებით დავფრინავთ, როგორც მსოფლიოს ყველა განვითარებადი სახელმწიფო.

და მაინც, ქართულ ავიაციას თითქოს ქუდბედი დაჰყვაო, ამ ოთხმოცდაათი წლის მანძილზე ავიაკატასტროფათა რიცხვი მარჯვენა ხელზე თითების რაოდენობას არ აღემატება.

პირველი ავიაკატასტროფა კი, როგორც მოგახსენეთ,

1925 წლის 16 აგვისტოს ზედაზენის მთასთან მოხდა და კატასტროფას ექვსი ბოლშევიკი ჩეკისტი (ვართბეკოვი, სერგეევი, შურკინი, ალიზადე, მინასიანი, ხუბუტია) და პილოტი გერგაია შეეწირნენ.

საბჭოთა რადიომ და გაზეთებმა კატასტროფა უამინდობას დააბრალეს. რაც შეეხება შავ ყუთს, შავი ყუთები იმ დროს არ არსებობდა და, კიდეც რომ არსებულიყო, ეჭვი მეპარება, რომ საბჭოთა საინფორმაციო ორგანოები იმ დროს პირველი ქართული ავიაკატასტროფის ნამდვილ მიზეზებს გაახმაურებდნენ.

ახლა, გორისკენ გზა რომ გაჰყავდათ, ექსკავატორმა თვითმფრინავის ჟანგისგან შეჭმული ნაწილები და ადამიანის ძვლები ამოყარა.

დაინიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ საქმე სწორედ რომ 1925 წლის 16 აგვისტოს ავიაკატასტროფასთან გვაქვს.

გვამებიდან ხუთს გულის ფიცარი აქვს გახვრეტილი, ესე იგი მიბჯენით გულში აქვს ნასროლი. ერთს საფეთქელში აქვს ტყვია მოხვედრილი და მასრა კეფიდან გასული არ არის. იგი სავარაუდოდ პილოტი გერგაია გახლავთ.

მეშვიდე მსხვერპლს კი თვითმფრინავის შტურვალი ჩაუბღუჯავს ხორცგაცლილ მტევნებში.

ექსპერტიზა თვითმფრინავში მომხდარი ტრაგედიის ასეთ „განვითარებას“ გვთავაზობს:

პილოტმა გერგაიამ შვიდტყვიიანი პარაბელუმით დახოცა ხუთი ჩეკისტი. მეექვსეს – ვართაბეკოვს იარაღის მუქარით უბრძანა შტურვალთან დამჯდარიყო და თვითმფრინავი დაესვა. თვითონ კი ტყვია საფეთქელში დაიხალა. სულ რაღაც ხუთიოდ წუთში თვითმფრინავი მცხეთასთან, ზედაზენის მთის ახლოს, კილომეტრნახევარში ბორცვს შეეჯახა და ჩამოვარდა.

მერე ის იყო; არსენალის ქუჩას „გმირულად დაღუპული ჩეკისტის“ ვართაბეკოვის სახელი დაარქვეს და საბჭოთა იმპერიის დამხობა რომ არა, ვინ იცის რამდენხანს ერქმეოდა.

ახლა ყოფილ ვართაბეკოვის ქუჩას ოცდათორმეტიანელთა ქუჩა ჰქვია.

ეს ჩემი ქუჩაა, მე მაშიკო ვარ.

19 აგვისტო, 2010
თბილისი

ყოჩაღ, ორჯონიკიძევ!

მიტინგზე ჩემ გვერდით იდგა ღრმად მოხუცზე უფრო ღრმად მოხუცი ქალი. იმ ასაკისა და ისე დაბერებული, რომ ვერაფრით წარმოიდგენდი, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ახალგაზრდობაში.

ჩვენ წინ გაბმულ თოკს დაეყრდნობოდა ხოლმე, რომ არ წაქცეულიყო.

იდაყვებამდე აექაჩა თეთრი გაცვეთილი ხელთათმანები, მარჯვენა ხელში დაკეცილი მარაო ეჭირა და თუმცა ძალიან ცხელოდა, ეტყობოდა, მარაოს ქნევის თავიც აღარ ჰქონდა.

შიშით გავხედავდი ხანდახან. ექიმი ვარ და ისეთი ფერი ედო, ბოლოსწინა მოსვლა მაინც იყო.

პირველად შევნიშნე იმ დღეს, რომ ყურები ყველაზე ბოლოს, ღრმა სიბერეში ჭკნება. ყურებიანად დაბერებული გახლდათ ქალბატონი.

ტანსაცმელიც საუკუნისწინანდელი ეცვა: ალაგ-ალაგ ბენწვგაცლილი ხავერდის ძველთაძველი ქვედაკაბა და ნაქარგიანად გამოხუნებული სპილოსძვლისფერი „კოფთა“.

მიტინგზე გამომსვლელი მორიგ მგზნებარე გამოსვლას რომ დააფრქვევდა სიტყვასდანატრებულ ხალხს, საუკუნის დედაბერი ჩაიჩიფჩიფებდა: „ახ ტი ნეგადიაი“, „ახ ტი სატანა“, „რასტრელიატ ტებია მალო“.

ვიზე ბრძანებთ, ქალბატონო-მეთქი, შევკადრე.

ახლაღა შევამჩნიე, რომ ქართული იერი არ ჰქონდა, თუმცა იმ ასაკისა იყო, რომ ვისი იერი ჰქონდა, ეშმაკიც ველარ მიხვდებოდა.

გაკვირვებით შემომხედა.

– რა კითხვა უნდა, ვიზე და ამ გათახსირებულებზე. შეიძლება, მთავრობას ასე უტიფრად აგინებდე? ვინ არიან, საიდან მოვიდნენ?!

– რომელ მთავრობას, ქალბატონო, თვითონ რომ მილიარდები ჩაიჯიბა და ხალხი შიმშილით სიკვდილისთვის რომ გაწირა?

– დიახაც დასჯის ღირსი არიან. ქვეყნის დანგრევას აპირებენ. სტალინი უნდათ, ბერია უნდათ ამათ და ისწავლიან ჭკუას.

– ქალბატონო, ჩვენ აქ ყველანი ხელისუფლების უკმაყოფილო ხალხი ვართ და თქვენ რაღაზე შეიწუხეთ ამ სიცხეში თავი? თუ ხელისუფლების ქომაგი ხართ, მჯდარიყავით სახლში.

– მე არავის აპეკუნი არა ვარ. მე წესრიგის და კანონის მომხრე ვარ. ასე როგორ შეიძლება, მხარზე აქვთ ენა გადებული...

ამით დავამთავრე მოხუცთან საუბარი. მივხვდი, რომ მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა და ყურადღება მაშინღა მივაქციე, როცა თოკზე თავი ჩამოკიდა. ჯერ უკან გადაქანდა, მერე წინ გადმოქანდა, მესამე შეტორტმანებაზე ხელი შევაშველე, რომ არ წაქცეულიყო.

მიტინგს გამოვარიდე.

მოსწავლეთა სასახლის ღობესთან, ქვის მოაჯირზე დავსვი, პირში ვალიდოლი ჩავუდე და სული მოვათქმევინე.

მადლიერი თვალებით მომაჩერდა.

– სასწრაფოს დავუძახებ, ქალბატონო.

– არა, არა, ნუ შეწუხდებით... ახლა კარგად ვარ... ასე ხშირად მემართება. გმადლობთ, სახლში წავალ.

წამოდგა, მაგრამ ჩანს, თავბრუ დაეხვა და ისევ დაჯდა.

– ცოტა ხანს ვიქნები და წავალ... აქვე ვცხოვრობ, ჩიტაძის ბოლოში.

აღარ მოვცილდი. გზაში არ წაიქცეს-მეთქი და სახლამდე ავაცილე.

შინ შემიპატიჟა. შევყევი. პირველ სართულზე ერთოთახიანში ცხოვრობდა. ოთახში ძველი ავეჯის, მტვრისა და ნაფტალინის სუნი იდგა. აქ ყველაფერი მათი პატრონივით ძველი იყო.

– წნევის აპარატი თუ გაქვთ, ქალბატონო?

გავუზომე. მიუხედავად იმისა, რომ ამოდენა აღმართი ამოვიარეთ, ასი სამოცზე აქვს.

– საშიში არაფერია. თქვენს ასაკში ნორმალურია.

ჩაი გააწყო, პიტნის ჩაი მიყვარს, მაგრამ პიტნას ვეღარ ვშოულობო. ლამბაქით ალუბლის მურაბა ჩამოდგა დაბალ მაგიდაზე. ნამცხვარზე ბოდიში მოიხადა და ძველი გამხმარი პურის ნაჭრები დააწყო თეფშზე.

აი, რა მიამბო:

ჩემი ქალიშვილობის გვარი ბოიკო გახლავთ და ახლაც ბოიკო ვარ, რადგანაც არ გავთხოვდიო. ჩემი გაუთხოვრობა ჩემმა ხასიათმა განაპირობა: ბავშვობიდანვე უკარება და ამპარტავანი ვიყავიო. ორმოცი წელი მინისტრთა საბჭოს კანცელარიაში წერილების განყოფილებაში ვიმუშავე. ორმოცი წელი ერთ სკამზე ვიჯექი და პენსიაზეც იქედან გავედიო.

დედა შვიდი წლისას მომიკვდა მალარიით. მთელი სიცოცხლე მე და მამაჩემმა ერთად გავატარეთ. მამას ცოლი აღარ შეურთავს. ვცხოვრობდით ასე, შეხმატკბილებულად. ვერც ერთს ვერ წარმოგვედგინა, მესამე ადამიანი შემოსულიყო ჩვენს ცხოვრებაში და ორის იდილია დაერღვიაო. მამაჩემი სამხედრო გახლდათ. სამხედრო კომისარიატში მუშაობდა და 1965 წელს საღ-სალამათი კაცი ხანდაზმულობის მიზეზით შემცირებაში რომ მოაყოლეს, ვერ აიტანა და იმავე საღამოს აქ, ამ ოთახში, ამ ჭაღზე თავი ჩამოიხრჩოო.

მამაჩემი წესრიგიანი, უპრეტენზიო, მაგრამ თავმომწონე კაცი იყო. ჩვენი გვარი უკრაინულია, მაგრამ მამა წარმოშო-

ბით რიაზანიდან გახლდათო. 19 წლის ზემდეგი მე-11 არმიას ჩამოჰყოლია თბილისში, მოწონებია აქაურობა, ქართველ ქალზე დაქორწინებულა (დედაჩემი ჩახვაძე იყო) და აქ დარჩენილაო. თქვენ წელან ჩემი კატეგორიულობა გაგიკვირდათ, მაგრამ ნუ გამკიცხავთ, რა ვქნა, მე კანონმორჩილი ქალი ვარ, ასე გავიზარდე და ბუნტოვშჩიკებს ვერ ვეგუებიო. დიდი მადლობა ყურადღებისთვის, ადამიანები ამ ბოლო დროს ისე გაცივდნენ, რომ ის, რაც თქვენ გააკეთეთ, ხომ ჩვეულებრივი, ელემენტარული ყურადღებაა, მაგრამ ესეც იშვიათობაა ჩვენს დროშიო.

რას ბრძანებთ, ქალბატონო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მე ექიმი ვარ და ეს ჩემი მოვალეობაა-მეთქი. რომ დავემშვიდობე და ჭიშკრისკენ წავედი, ერთი წამით მოითმინეთო, მომაძახა. შებრუნდა, მწვანეყდიანი სქელი რვეული გამოიტანა და გამომიწოდა:

– ეს რვეული მამაჩემის ბიბლიოთეკიდანაა. წაიკითხეთ, იქნებ დაგაინტერესოთ. თუ არ დაგაინტერესათ, გადააგდეთ, ნუღარ დამიბრუნებთ, მე აღარ მჭირდება.

თავდაღმართზე რომ დავეშვი, რვეულს დავხედე. გრძელი, ძველი, საკმაოდ სქელი, გახუნებული რემენგტონზე დაბეჭდილი რუსული ტექსტის ზემოთ აწერია: „სრულიად საიდუმლოდ“. ქვემოთ – „საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“. უფრო ქვემოთ – „XI არმიის შტაბი, 1920 წელი“.

მთელი ღამე ვკითხულობდი რუსების მიერ შედგენილ საქართველოს დაპყრობის გეგმას. ხელში ჩამივარდა უნიკალური წიგნი, რომელიც ალბათ ჩვენს ისტორიკოსებს ხელთ არ ჰქონიათ, თორემ ბოლშევიკების მტკნარ სიცრუეს, XI არმია საქართველოში ქართველების მისაშველებლად შევიდაო, მათივე სიტყვებით უპასუხებდნენ.

აი, რამდენიმე სტრიქონი ამ წიგნიდან:

„ახლა, როცა დაშნაკებზე გაბრაზებული ქემალ-ფაშა სომხეთში შეიჭრა, სწორედ ახლა გვაქვს დრო ავიღოთ

თბილისი. ხვალ თუ ზეგ საბჭოთა წყობილება სომხეთშიც დამყარდება, მაგრამ ახლა ჩვენი სტრატეგიული ამოცანა თბილისში შესვლაა...“

„თუ სომხეთი საქართველოს მიხმარებას გადაწყვეტს, უნდა ვისარგებლოთ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეურიგებელი მტრობით და აზერბაიჯანის ჯარები უნდა მივმართოთ სომხეთის წინააღმდეგ...“

„უნდა ვისარგებლოთ საქართველო-აზერბაიჯანის პირობითი საზღვრით და XI არმია უნდა დავძრათ ზაქათალა-სიღნაღი-თბილისის მიმართულებით. ზაქათალის რაიონი სადავო რაიონია. საქართველოს ხელისუფლებას სურდა, მიეერთებინა ზაქათალა, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც აზერბაიჯანს დარჩა, რადგანაც ადგილობრივმა მუსულმანურმა მოსახლეობამ არ მოისურვა საქართველოსთან მიერთება...“

„ჩვენი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რომ XI არმია საქართველოში უნდა შეიჭრას მოულოდნელად და ელვისებურად. XI არმიის მოქმედებას უნდა ახლდეს აგიტაციური პროპაგანდა (ბოლშევიკ თანამოაზრეთა დასახმარებლად) და პარტიზანული მოქმედება...“

„თბილისის აღება ორი მიმართულებით დარტყმის შედეგად უმოკლეს დროში შეიძლება: ა) ზაქათალა-სიღნაღი-თბილისის და ბ) ვლადიკავკაზი-თბილისის მიმართულებით. თბილისის მენშევიკური მთავრობა უნიათოა და შეიძლება თბილისში თოფის გაუსროლელად შევიდეთ...“

მერე ჩამოთვლილია დაწვრილებით, რა შეიარაღება აქვს XI არმიას, რამდენი ჯარისკაცი ჰყავს და რა იარაღის პატრონია საქართველო, რა არსენალი აქვთ სომხეთს თუ აზერბაიჯანს (ნარკვევის ავტორების შეშფოთებას მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ „სომხეთს ახლახან ამერიკამ საქართველოზე გავლით 2000 ტყვიამფრქვევი გამოუგზავნა“. თუმცა იქიდან 400 ტყვიამფრქვევი საქართველომ თავისთვის დაიტოვაო, წუხს ბოლშევიკური დაზვერვა.

გაოცებას ისიც იწვევს, რომ XI არმიის შტაბმა იცის საქართველოს ყველა ხეობის, ყველა სოფლის სახელი. იცის საქართველოს იარაღის თითოეული საწყობი და ისიც, რა განწყობილებაა საქართველოს მოსახლეობაში. მტრისთვის ზუსტადაა ცნობილი „დამოუკიდებელი საქართველოს“ მატერიალური რესურსები – მისი სურსათის მარაგი და ის ადგილებიც ტყეებში, სადაც შეშინებული ქართული მოსახლეობა შეიძლება გაიხიზნოს.

ესეც შენი მოუმზადებელი და მაწანწალა ჯარისკაცებისგან შეკონწიწებული XI არმია.

ყოჩაღ, წინაპართა საფლავების მხვნელო, ორჯონიკიძევ!

●

...ისე წამოვედი, არ დამიწყია ახსნა ჩემი პაციენტისთვის, რომ მამამისმა ბოიკომ თავი იმის გამო როდი ჩამოიხრჩო, რომ შემცირებაში მოაყოლეს.

სულერთია, მაინც ვერ გამიგებდა.

6 მარტი, 2011
თბილისი

ბობოხიძე

გიგა ბობოხიძე ახალგაზრდობიდან სიბერეში ისე გადავიდა, არც გაუგია.

ნაცნობის შეკითხვას, რა ჰქენი გიგა, ცოლი რატომ არ შეირთეო, ამოჩემებულ „რა მეჩქარებას“ შეაგებებდა და აბეზარ კეთილმოსურნეს სწრაფად გაეცლებოდა.

რატომღაც ეგონა, რომ მისთვის დრო არ გადიოდა და უწინდებურად სასურველი სასიძო იყო.

ქალებთან გიგას სასიყვარულო-სქესობრივი ურთიერთობა ზაფხულში იწყებოდა და ზაფხულშივე მთავრდებოდა.

საკურორტო სიყვარულის გარდა, გიგას სხვა სიყვარული არ სწამდა.

ყველაფერს აკეთებდა, რომ პლაჟზე გაცნობილი ბანოვანის გატაცება აქეთ, სექტემბერში არ გადმოყოლოდა.

გამცდენია ქალიო, ამბობდა, ქალს იმდენი ყურადღება და დრო სჭირდება, შენი საქმე გვერდზე უნდა გადადო და თან უნდა გადაყვეო.

რა იყო ეს „მისი საქმე“, რომლის გამოც გიგა ისეთ ღვთიურ საზრუნავს თმობდა, როგორიც ქალი გახლავთ?

რა იყო და საუნივერსიტეტო საქმიანობა.

რაც უნივერსიტეტი დაამთავრა და კათედრაზე დატოვეს, გიგას ცხოვრებაში საოცარი გარდატეხა მოხდა.

ეკონომიკის ფაკულტეტის უმცროს მასწავლებელს ეგონა, რომ აწ და მარადის უფლება აღარ ჰქონდა ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრებით ეცხოვრა.

კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა.

როცა ლექცია არ ჰქონდა, ბუკინისტებისკენ გარბოდა და დიდხანს ბუტბუტით არჩევდა ღვთისგან და კაცისგან მივიწ-

ყებულ წიგნებს. ხელფასის ლამის ორმესამედს წიგნებში ხარ-ჯავდა.

წიგნებისთვის ყველაფერს მოიკლებდა. გიგასთვის არ არსებობდა ცნება „სპეციალური ლიტერატურა“. მართალია, ბუღალტერიას ასწავლიდა, მაგრამ ეგონა, რაკი ლექტორი იყო, ყველაფერი უნდა ცოდნოდა, თავს არ ზოგავდა, რომ კაცობრიობის მთელი ცოდნა დაეგროვებინა და გონებაში საიმედოდ შეენახა.

„სტუდენტმა რომ მკითხოს და არ ვიცოდე, ხომ მომეჭრა თავიო“, იტყოდა და ერთნაირი გულისყურით კითხულობდა წიგნებს ეგვიპტური მუმიების დაბალზამების ხელოვნებაზე, კაუჩუკის დამზადების ტექნოლოგიაზე, ციური სხეულების მოძრაობის სიჩქარის გამოანგარიშების პრინციპებზე, ბრინჯის სამი მოსავლის მოყვანის წესებზე და ბუასილის მკურნალობის უახლოეს მეთოდებზე...

კითხულობდა აბსოლუტურად ყველა გაზეთს და ჟურ-ნალს, რაც საქართველოში გამოდიოდა და რაც უცხოეთიდან საქართველოში შემოაღწევდა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, წაკითხულ პრესას სანაგვე ყუთში ყრიდა ან ქაღალდის მაკულატურად იყენებდა?

არამც და არამც.

კითხულობდა და იატაკზე აწყობდა.

და გიგას პატარა, ოროთახიან ბინაში იატაკიდან ჭერამდე აღმართულიყო გაზეთ-ჟურნალთა სვეტები.

გიგა არ სცნობდა ცოდნის შენახვის ისეთ მაგიურ ყუთს, როგორიც გახლავთ კომპიუტერი. „რა სჯობია, ბიჭო, დაბეჭდილს, როცა გინდა გადაშლი და წაიკითხავ. კომპიუტერი ეშმაკისაა. აურევს საინფორმაციო ბლოკს კომპიუტერის ყაჩაღი ან სულაც გრიპი შეეყრება კომ-პიუტერს და უყარე მერე კაკალი,“ იტყოდა გიგა და იქნებ მართალიც იყო.

სამაგიეროდ, დაურეკავდი ბობოხიძეს და შვიდ წუთში გაგცემდა პასუხს იმის შესახებ, თუ ვინ გაიტანა მეორე ბურთი (თავით) 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ურუგვაის და კორეის გუნდებს შორის, რა ერქვა ჰონდურასის მრეწველობის და მდგრადი განვითარების მინისტრს, რომელ კოლეჯში სწავლობდა ობამას უფროსი ქალიშვილი, რა შემოსავალი შემოსდიოდა ლუჟკოვის ოჯახს თვეში მეფუტკრეობისგან და რა უშლიდა ხელს ნაბუკოს პროექტის მშენებლობას.

ხომ არსებობენ მოყოყმანე ადამიანები. მთელი ცხოვრება რომ ყოყმანს უნდებიან. გადაწყვეტა რომ არ შეუძლიათ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოყმანისგან რომ იტანჯებიან.

გიგამ ყოყმანი არ იცოდა რა იყო.

იგი დარწმუნებული კაცი გახლდათ, დარწმუნებული თავის სიმართლეში და თავისი ცხოვრების პრინციპებში.

გიგასთვის მოვლენებთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ძირითადად ორი ნაწილაკი – „ჰო“ და „არა“ გახლდათ.

მის ირგვლივ მომხდარს თავისი შეხედულებების დამადასტურებელ ფაქტებად იყენებდა და თავისი ჭკუით დიაღაც რომ კმაყოფილი იყო.

თუ ვინმე იტყოდა, სიდედრი ავად გამიხდაო, გიგას პასუხი მზად ჰქონდა – „ა, ბიჭო, არ ვამბობდი მე, ცოლ-შვილი ხლაფორთია-მეთქი? ცოლის შერთვა რო კაი ყოფილიყო, შენ დამასწრებდი მეე? უარე ახლა სიდედრს.“

საბჭოთა კავშირი რო დაიშალა და ხალხი ზეიმობდა, გიგა არ უერთდებოდა საერთო აღტაცებას.

„ნახავთ თქვენ ამას რა მოყვება, მეიცათ ცოტა ხანს. ამხელა სახელმწიფოს დანგრევა ასე თუ ჩაივლის, ნახავთ თქვენ.“

და ყველა მეზობელმა რომ „თავისუფალი“ საქართველოს ჩაყლაპვა მოინდომა და საქართველო შინაურმა ომმა მოიცვა, გიგა უნივერსიტეტის დერეფანში ქადაგებდა:

„არ ვამბობდი მეე? ჯერ სადა ხართ, ბარე ორ დღეს მოგენატრებათ რუსის თეთრი პური და რუსი გოგოების თეთრი ტრაკი“.

ლიფტში და თვითმფრინავში კატეგორიულად არ ჯდებოდა.

თვითმფრინავზე ამბობდა; მე იმნაირი იღბალი მაქვს, მაინცდამაინც იმ თვითმფრინავს გაუჩერდება ძრავი, რომელშიც მე ვიქნებიო. რაც შეეხება ლიფტს, დენი წარამარა ითიშება ამ ქვეყანაში, ლიფტს როგორ ვენდო, არავითარი სურვილი არ მაქვს ლიფტის კაბინაში უჰაეროდ გამოკეტილმა მაიმუნივით ვიჩხავლო და წიხლები ვურტყა დურალუმინის კარებსო.

მაცივარი გათიშული ჰქონდა. შიგ მეჩვიდმეტე პარტყრილობის რეზოლუციებს, იმპერიალიზმის განმაქიქებელ ბროშურებს და ახალთახალ, ჩაუცმელ „შიბლეტებს“ ინახავდა.

წესად ჰქონდა, ახალ ფეხსაცმელს (და სხვათა შორის ტანსაცმელსაც) ყიდვიდან სამ-ოთხ წელიწადს მაინც არ იცვამდა.

ძველთაძველ მამაპაპურ სკივრში გაცვეთილი კვართები, იდაყვთან გაცრეცილი ჩრჩილისგან შეჭმული კოსტიუმები და მოდიდან გამოსული ორასამდე გამოხუნებული ჰალსტუხი ელაგა.

საერთოდ, ვადაგასულ და სახმარად უვარგის ნივთებს გადასაგდებად ვერ იმეტებდა და სამზარეულო გავსებული ჰქონდა ცარიელი ბორჯომის ბოთლებით და ერთმანეთზე გულმოდგინედ დაწყობილი ცელოფნის პარკებითაც კი.

ავადმყოფობის ძალიან ეშინოდა და ფანჯარას თითქმის არასდროს აღებდა, ოთახს არ ანიავებდა.

ზაფხულშიც კი ოფლისგან შეჭმულ შალის ჯემპრს იცვამდა და ისე იძინებდა.

გამჭოლი ქარის პანიკური შიში ჰქონდა.

გამოწერილი ჰქონდა გაზეთი „ჯანმრთელობა“ და თუ ამ გაზეთში რაიმე ახალი წამლის რეკლამას წააწყდებოდა, იმ

წამლის სახელწოდებას გულმოდგინედ ამოიწერდა, გავარდებოდა აფთიაქისკენ და ყიდულობდა.

ერთი კარადა ვადაგასული და ვადაგაუსვლელი წამლებით ჰქონდა სავსე. რომ ჰკითხავდნენ, რად გინდა ეს შენთვის გამოუსადეგარი წამლებიო, შუბლს შეიკრავდა და შენიშვნის მიმცემს დაუცაცხანებდა: „რა გესმის, ბიჭო, შენ. ვინ იცის წინასწარ ვის რა სნება დაეტაკება. წინასწარ თუ არ მოიმარაგე წამალი, ავად რო გავხდები, წამალზე სირბილის თავი მექნება მეო? მე შენ გეტყვი, იშოვი, რა წამალიც დაგჭირდება მაშინათვეო“.

უაღრესად მოწყალე და კეთილი გული ჰქონდა. თუ მეგობარ-ახლობელთაგან ვინმე ავად გაუხდებოდა, მაშინვე მის გვერდით გაჩნდებოდა და სანამ არ წამოაყენებდა, არ მოეშვებოდა.

ყოველგვარი სიახლე ჭირივით სძულდა. არა მარტო სძულდა, აშინებდა კიდეც.

კომუნისტური პარტიის მანდატები ყველამ რო გადაყარა, გიგას გულდაგულ ჰქონდა შენახული მაგიდის უჯრაში.

არ შეიძლება კომუნისტები არ მობრუნდნენ, რას მიშლის, მეგდოს მანდატი უჯრაში, ჭამა ამას არ უნდა და სმაო.

სხვა პარტიაში, როგორ დავუკარგავ, არ შესულა.

ასეთი იყო გიგა.

სამოცს რომ გადააბიჯა, ყველაფერზე დაეჭვება დასჩემდა.

რომ გაიგებდა, ამერიკის ჯარი ერაყში შევიდაო, მაშინვე დასძენდა, მოლაპარაკებული იქნებიან სადამ ჰუსეინთან, ისე არ შევიდოდა ამერიკაო.

რომ ეტყოდნენ, სადამ ჰუსეინი იმალებაო.

არ დაიჯეროთ, თვითონ ამერიკელებთან იქნება გადამალულიო.

რომ გაიგო, სადამ ჰუსეინი გაასამართლეს და ჩამოახრჩვესო, ჩაიხითხითა: ვის ატყუებენ მაგენი, ჰუსეინის ფიტულს გააკეთებდნენ და იმას ჩამოახრჩობდნენო.

რაც შეეხება საქართველოში დატრიალებული ცოდვის კალოს, გიგა ბობოხიძე ყველაფერზე ამბობდა: როგორ ტყუვდებით, თქვე საცოდავებო, ნუთუ ვერ ატყობთ, რომ რუსეთმა და ამერიკამ გაიყვეს საქართველო და ისინი ერთმანეთთან შეუთანხმებლად წკირს არ გაანძრევენ ჩვენს მიწაზეო.

●

უნივერსიტეტიდან გათავისუფლების ბრძანება რომ გადასცეს, არც ეს დაიჯერა. ვიღაცის მიერ მოგონილი ბოროტი ხუმრობა ეგონა.

ხელფასი რომ შეუწყვიტეს და ლექციების ცხრილში თავისი თავი ვერ აღმოაჩინა, მხოლოდ მაშინ ირწმუნა, რომ მისი გათავისუფლება მწარე სიმართლე იყო.

შინ ლასლასით მივიდა.

„როგორ, რანაირად... ასე უპრაგონოდ, ასე გაუფრთხილებლად როგორ გამომაგდეს. სად წავიდე ახლა მე... მე ხომ სხვაგან ერთი დღეც არ მიმუშავია... უნივერსიტეტი ხომ ჩემთვის მარტო სამსახური არ იყო... რას გაიგებენ ესენი, რა იყო ჩემთვის უნივერსიტეტი...“

გათავისუფლებიდან ორი კვირის თავზე დამბლა დაეცა და აღარც ამდგარა.

ნეკროლოგს ხელს მეგობართა მცირე ჯგუფი აწერდა.

სექტემბერი, 2010
თბილისი

მგზავრები

ასე გადარეული ივლისი იმერეთს არ ახსოვს.

თუ წვიმს, გადაღებაა უსაშველო.

წვიმს უშურველად, შეუსვენებლად, გამეტებულად.

დამეწყრავს სოფლებს, გადარევს მდინარეებს, წალეკავს ყანებს, ჩასილავს ნახირს და ჩამოცლილ ღრუბლებს ფთილა-ფთილა მიაპიტნავს ცისკიდურს.

გამოიდარებს მეორე დღეს და დააჭერს, მარა როგორ დააჭერს მზე. შუადღისას ტვინს აგიდუღებს, კეცზე უცეცხ-ლოდ ჭადს გამოაცხობ და ტაფამწვარს შეწვავ. საქონელი ქელავს, ღორები ტყლაპოდან დინგს არ ყოფენ, სიმინდი ზეზეულად იჩვარება.

ახლა შუადღეა.

დაბის ავტოსადგურს ორი მგზავრი შეხიზვნია. ერთს, მაღალ, ხუჭუჭთმიან, შავწვერა, ჩაჯინს-ჩაბატინკებულ ბიჭს ზურგჩანთა ფეხებშუა უდევს, მეორეს თეთრი ამერიკულკე-პიანი ტილოს ქუდი ახურავს, სათვალე მკერდზე ჰკიდია, გაკრახმალებული ჩინური კიტელი აცვია და უწინდებო ფეხზე ყავისფერი სანდლები.

საღებავაცლილ, პრიალა ხის სავარძლებზე ერთმანეთის პირდაპირ დარბაზის კუთხეში სხედან და მასლაათობენ. მო-ლარე-დისპეტჩერი მარაოს ხან წაღმა იქნევს, ხან უკუღმა.

– არა და შეეძლო იმ ბურთის აღება ჩუნ-კვან-ჯენს – თქვა შავწვერამ და ზურგჩანთას ფეხი გადაადო.

– მასე თუ იტყვი კაგამპუტუს არ შეეძლო 2001 წელს ხუნლულუში კვპბხჩენტო რო მსაჯობდა?

– აბა, აბა რა ბურთი გაუშვა.

– ცენტრიდან რო ჩამოაწოდა ტრანკოვიჩმა ოცდამეცხ-რამეტე წუთზე, იმ ბურთის გატანაც შეეძლო სინჩოვიჩოვიჩს.

– მეკარე ჭკინგოვი წინ იყო გამოსული.

– სხვა რა გზა ჰქონდა სამხრეთაფრიკელ ჯუნჯგლოხ-არასთან პირისპირ დარჩა.

– სამ ნომერ სიროვიჩის შეცდომა იყო.

მინის კარს ნაცრისფერფაფანაკიანი, ულვაშებაპრეხილი, ინდაურისჩიჩაყვისფერ ცხვიროსანი შუახანსგადაცილებული კაცი მოაწვა. კარგა ხანს ეჯაჯგურა კარებს და რომ ვერ გააღო, შუბლზე ხელი მიიჩრდილა და შემოიხედა.

– შენსკენ, შენსკენ! საით აწვები, შენსკენ იღება!

– ვერ გევიგონე! – ხის ჩემოდანი ძირს დადო და ყურს ხელი მიახმარა.

– შენსკენ გაწიე, ბიძია, შენსკენ! შენსკენ იღება!

– გავიგე.

კი არ შემოვიდა, შემოფრთხიალდა, ხვატს შემოჰყვა, სიცხისგან გათანგული და ცოტა დარცხვენილი. მარჯვენა ფეხი გაჩიკინებული აქვს და მარცხენას ისე ხმაურით ადგამს იატაკს, თითქოს ფეხის ქუსლით რაღაცას სრისავსო.

მობაასეთ თავს წაადგა და ცარიელ სავარძელზე მიუთითა.

– ჩვენ ბოდიში, დაკავებული ხვარაა?

– რა ბრძანეთ? – წამოიწია სათვალეკიდებული.

– დაკავებული ხვარაა-თქვა.

– ვერ გავიგეთ? ჩვენ გვკითხეთ რამე? – ხუჭუჭთმიანმა ხის ჩემოდანს შეავლო თვალი.

– რა ვიცი... დღეს ყველგან ყველაფერი დაკავებულია და... დავჯდები აბა, აქ, თქვენის ნებართვით.

დამხვდურებმა არაფერი უპასუხეს.

– ხლოუპარტყამ ფეხი ვერ გაანძრია, – განაგრძო ამერიკულკეპოსანმა და სანდლებზე დაიხედა.

– დეიწვა ქვეყანა – თქვა ახალშემოსულმა, ფაფანაკი იშვლიპა და სახე-კისერზე ჩამოისვა.

– ჩვენ გვითხარით რამე? – ხუჭუჭთმიანი რატომღაც თავის თავს მრავლობითში მოიხსენიებდა.

– არაფერი ბატონო, სიცხეა-თქვა.

ფეხბურთის მოყვარულებმა ერთმანეთს შეხედეს.

– ჩოჩოს რივოკმა ოცდამეშვიდე წუთზე, იცი, რა მომაგონა? ორიათასექვსში არგენტინასთან თასზე კომბხკჩჰმახკუმპერი რო გავარდა მარცხენა მხრიდან, მართალია, გოლი არ გაუტანია გორლფუტუს, მარა როგორი დრიბლინგი იყო?

– მე მაინც მგონია ჭრჩუქვამასთვის ჯარიმა არ უნდა მიეცა.

– მე ბოდიში, თქვენც მექვენას ელოდებით, ბატონო? – კითხულობს ახალმოსული.

– ვერ გეტყვით – ანგარიშმიუცემლად ამბობს ჩინურკიტელიანი.

– ბატონო?

– ზუსტად ვერ გეტყვით... ისე... საერთოდ მექვენას, რა თქმა უნდა. ხორკვევარაც კაი ფრუკტია.

– რა არის?

– თქვენ არ გეუბნებით, ბატონო.

– ბან-კვრაჰ-ჩენს ხელზე მოხვდა. პენალტი უნდა დაენიშნა.

– ჩვენ ბოდიში. მექვენასთან ხიდი აღადგინეს, თუ იცით?

– ჩვენ გვეკითხებით? – კიტელოსანმა სანდლებს თვალი მოაცილა – არ ვიცით, ვერ გეტყვით.

– აღადგენენ ალბათ – შეკითხვებისგან თავგაბეზრებული კაცის ხმით თქვა ზურგჩანთის პატრონმა.

– თქვენ... აქაურები არ უნდა იყოთ, – ფაფანაკი სახესთან აიქნია კოჭლმა.

მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს და თითქმის ერთდროულად ამოილაპარაკეს:

– აქაურები ვართ, კი.

– მერე, თქვე კაი ხალხო, თუ აქაურები ხართ, ყური მაინც

არ მოგიკრავთ, მეწყერმა ამ ერთი თვის წინ მექვენის ხიდი და ხიდს ზეით ორი სოფელი რო ქვეით, ძირულასთან, ჩამეიტანა.

ისევ შეხედეს ერთმანეთს და ეს შეკითხვა-შენიშვნა უპასუხოდ დატოვეს.

– ძარპაჩკვამას ტრავმა სერიოზული ყოფილა.

– რა ყოფილა, ბატონო?

– თქვენ არ გეუბნებით. კომპხვაჩკვერბახერიც დამტვრეულა. რა ეშველება ჯანჩალულუს.

– მოხსნიან.

– მე ბოდიში, მექვენასთან ის ამბულატორია დანგრეულია ისთევლე?

ხუჭუჭთმიანმა ზურგჩანთას ფეხი მოუნაცვლა და ფაფანაკისმარაოსანს შეხედა.

– რა გინდა, ბიძია, ჩვენგან, დაგიშავეთ რამე? ხო ხედავ, არ გვცალია.

– დამიშავებდით რამეს და კაი ჩიტს დეიჭერდით ორივე, მარა მე ჩემთვის მაინტერესებს: ვინ ხართ, კაცო, თქვენ!

– ვერ გავიგეთ?! – ისევ მრავლობითში დასვა კითხვა სანდლოსანმა.

– ვინ ხართ-მეთქი! საიდან ჩამოვარდით, საიდან დაგვეცით თავზე! ვაი, ჩვენს დღეს, უბედურს, ვაი, ჩვენ ყოფას, ვაი, ჩვენ ჭამას! უყურებ შენ ამგენს?! ვინაა თქვენი საგლახაო და საღადაო...

ეულმა მგზავრმა ხის ჩემოდანს ხელი დაავლო, წამოხტა და გასასვლელისგან ხელმარცხნივ ბოლო ძელსკამზე ჩამოჯდა.

მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს და კვლავ წამასლაათდნენ.

●

ერთ საათში კალინინისდროინდელი, ძველთაძველი, ოცდაერთადგილიანი, ერთდროსმწვანე ავტობუსი მოვიდა:

– მექვენა!

დაიძახა მორიგე-დისპეტჩერმა და დაამატა:

– ფულს შოფერს გადაუხდით.

ორნი წამოდგნენ და კარებისკენ გაემართნენ. მათი საუბრის ბოლო ფრაზა კარებში დაირხა.

– არ იყო, არა, პენალტი!

მგონი წვეროსანმა თქვა.

ავტობუსი რომ წაალმართდა, დარჩენილი მგზავრი წამოდგა და მორიგესთან მივიდა.

– მექვენისკენ რა წავა, აწი?

– ჭრებალო გამეივლის ორ საათში. ამას რატო არ წაყევი?

მგზავრმა არ უპასუხა. ფეხათრევით წამოვიდა და ხის ჩემოდანთან მოკალათდა.

ივლისი, 2010
თბილისი

ვინ წინა და ვინ უკანა...

წავა ტუტუცი ბაღანა ევროპაში. კაცმა არ იცის, რას აკეთებს იქანა. ხუთი წლის მერე ჩამეიტანს რომელიღაცა კოლეჯის დიპლომს, ვერ გეიგებ, რა ისწავლა, რა საქმე შეუძლია. მეო, ევროპაში მივიღე განათლებაო, იფხორება ინდოურივით, კეთილი ინებეთ და ანგარიში გამიწიეთო და საერთოდ, დრო არი ყველანი ევროპული ცხოვრების წესზე გადავიდეთო.

რა არი, ბიჭო, მერე ეს ევროპული ცხოვრების წესი-მეთქი, ვეკითხები. რა არი და დემოკრატიაო.

რაში უნდა დავიცვა ე შენი დემოკრატია-მეთქი. რაში და ყველაფერშიო. მაგალითად-მეთქი? მაგალითად ჭამაშიო. ჭამას რათ უნდა, ბოშო, დემოკრატია-მეთქი. ეს შენ გგონია, რომ არ უნდა. უდემოკრატიოთ ლუკმას ვერ გადაყლაპავ ევროპაში, ყელში არ გადაგივაო.

სანამ მე თვითონ არ დავრწმუნდი, მართალი მეგონა.

მოგეხსენება, ახლა მოდაში შემოვიდა საოჯახო ვიზიტები. მოძებნი შენი ხელობის კაცს ევროპაში, გააბამ პატარა მოკითხვა-მესიჯობიას. ეტყვი, თქვენს ქვეყანაში მინდა ჩამოსვლა გამოცდილების გაზიარების მიზნით, თუ წინააღმდეგი არა ხარ, მე შენ დაგპატიჟებ და შენ მე დამპატიჟე-თქო. ასიდან სამოცდაათი ასეთ დაპატიჟებაზე უარს არ ამბობს. ასე მომიძებნა ჩემმა შვილიშვილმა გულსუნდამ ბირმინჰემელი მეტყავე ჯეიმს ჰასტინგი. გულსუნდამ გააბა ამ წესიერ ინგლისელთან კომპიუტერული მიწერ-მოწერა, თვარა მე კომპიუტერის არაფერი გამეგება და მეტი არაა ჩემი მტერი აწი მე კომპიუტერი არ ვისწავლო.

ჭამის დემოკრატიაზე მოგიყვები, არ დამავიწყდეს. სხვა დემოკრატიებს დავანებოთ ამ ჯერზე თავი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბირმინგჰემში ვარ. ჯეიმს ჰასტინგმა ინგლისურ რესტორან „ალბიონში“ მიმიწვია. ესაო, ინგლისური სუფრის წესის დაცვით და ინგლისური სამზარეულოთი სამაგალითო რესტორანია ევროპაშიო.

გაფაციცებული ვარ. ბირმინჰემში ყოფნის მეორე დღეა და ყველაფერს გაფართოებული თვალებით შევცქერი. აბა, რა არი-მეთქი ინგლისური ცხოვრების წესში იმნაირი, რო ჩვენ გადავიღოთ, ჩვენც გამოგვადგეს ევროპისკენ სიჩქარეაღებულ ქართველებს-მეთქი.

შემოვუსხედით სუფრას. მე და ჯეიმსი ვართ, მეტი არავინ. აიღო ჯეიმსმა დიდი, თეთრი გახამებული ტილოს „სალფეთქი“ და მკერდზე ჩამოიფარა. მეც ავიღე ჩემი წილი „სალფეთქი“ და კისერში ჩავიფინე. კისრის გაოფლიანება ვიცი სადილის დროს და თავი დავიზღვიე. ოფიციანტმა მეორე „სალფეთქი“ მომიტანა. ეს მეორე სალფეთქი მუხლებზე გადავიფინე. გაიქცა შეძრწუნებული ოფიციანტი და მესამე „სალფეთქი“ მომიტანა. მე ჭკუა ვიხმარე და როგორც ჯეიმს ჰქონდა, ზუსტად ისე, კვართის საყელოში ჩავიკუჭე „სალფეთქის“ ერთი ბოლო და მკერდზე გადმოვიფინე.

ოფიციანტი დამშვიდდა და რესტორნის კულისებში გაუჩინარდა.

მალე სხვა ოფიციანტი გამოჩნდა და ასე ოცდაშვიდი თეფში და ოცდათექვსმეტი წყვილი სხვადასხვა ზომის დანაჩანგალი ჩამოგვირიგა მე და ჯეიმსს.

ის ოფიციანტი რომ გაიქცა, მესამე ოფიციანტი გამოჩნდა. ყელბაფთიანი, ერთიმეორეზე უკუთესი ოფიციანტებია, შავ სმოკინგებში დიპლომატებივით გამოწყობილან.

მესამე ოფიციანტმა გადახედა ჩვენს სუფრას. ალბათ გაიფიქრა! უი, მომიკვდეს თავი, დაგვიხოცავს ეს ხალხი შიმშილითო და ხავერდისფარდიანი კულისებისკენ ხელი აიქნია.

წამიც და ხუთი სახემღიმარი ოფიციანტი წამოვიდა ჩვენსკენ. ერთს ვერცხლის ლანგრით რაღაც ორთქლადენილი

მოაქვს, მეორეს სალფეთქშემოხვეული გრძელი ბოთლი უჭირავს, მესამეს ლანგრით ულამაზესად გაწყობილი შავი და თეთრი პურის ექვსიოდე ნაჭერი მოაქვს, მეოთხეს შვიდი სხვადასხვა ფერი გარნირშემოწყობილი რამშტექსია თუ ბივშტექსი – საბჭოური დროის კატლეტის ნაირსახეობა რომ არის, ვიცი, და ისე გარჩევით მე მაგათ ახლაც ვერ ვარჩევ. მეხუთეს სტადიონზე ოდნავ პატარა თეფშით ყველის ასორტი მოაქვს და კაი მოყვარული იმერელი მასპინძელივით იღიმება.

დააწყვეს ეს ყველაფერი, ჩემო ბატონო, მაგიდაზე და ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ. ყველანი არ გაქცეულან. ორი მიმტანი დარჩა ღვინისბოთლიანი და უღვინისბოთლო.

ვიცი, რომ ჯერ პირველი უნდა შევჭამო. გავსინჯე კოვზით, გადასარევი ბულიონია, მარა რათ გინდა, ცხელზე ცხელია. პირი გამომითუთქა. ვიფიქრე, ბულიონს ვაცლი ცოტა განელთბილებას და მეორედან დავიწყებ-მეთქი. ბულიონის ღრმა თეფში განზე გავაჩოჩე და რამშტექსი (თუ ბივშტექსი, რა მნიშვნელობა აქვს, ავტ.) მოვიჩოჩე, შვიდი გარნირიდან ერთ-ერთს – ყველაზე ნაცნობს და მშობლიურს – შემწვარ კარტოფილს დავასვე ჩანგალი და პირისკენ რომ წამოვიღე, ფაჩუნი მომესმა. მოვიხედე, ოფიციანტი ჩემს ბულიონს კულისებისკენ გულდაგულ მიარბენინებს.

გული როგორ არ დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი, ხომ არ გამოვეკიდებოდი.

ეტყობა ბულიონი არ მოგეწონათ, სხვა რამ ხომ არ შევუკვეთოთო, ჯეიმსმა.

არა, არა უშავს... ბულიონი ძალიან მიყვარს, ოღონდ ზედმეტად ცხელი მომეჩვენა-მეთქი, გულწრფელად ავუხსენი.

ჯეიმსს ხუმრობა ეგონა და გაიცინა.

წითელი ღვინით სავსე ბროლის წეროსფეხოსან ჭიქას წავწვდი.

ვიცდი, ალბათ მასპინძელი იტყვის-მეთქი პირველ სადღეგრძელოს.

ჯეიმსი მომჩერებია და იღიმება.

მოდი ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს-მეთქი, ჭიქა მივუწკრიალე და დავლიე.

ჯეიმსს არაფერი უთქვამს, სულმოუთქმელად გადაკრა.

ღვინისბოთლმომარჯვებულმა ოფიციანტმა წამიც არ დაახანა, ორივეს უტკბილესი იზაბელასარომატიანი ღვინით (ბოთლის ყელის ოსტატურად ოთხჯერ შეტრიალებით) გაგვივსო ჭიქები.

ახლა ინგლისს და საქართველოს ერთად, წყვილად გაუმარჯოს-მეთქი და დავლიე.

ჯეიმსს ამჯერადაც არაფერი უთქვამს. დალევით კი დალია.

ამ ამბავში რომ ვართ, მოვიხედე და ჩემი რამშტექსი თუ ბივშტექსი ვერსად დავინახე.

ოდენ ოფიციანტის მერცხლის ბოლოსავით გაშლილ ფრაკს მოვკარი თვალი.

ევროპული სუფრის ეტიკეტის დამცველ ოფიციანტს უფიქრია: მეორე კერძთან ურთიერთობა სტუმარმა მხოლოდ შემწვარი კარტოფილის ორიოდე ნაჭრის მორთმევით დაამთავრაო, რამშტექსი (თუ ბივშტექსი) ელვისსისწრაფით აუცლია ჩემთვის და გაქცეულა.

რაღა მექნა, დავრჩი პურის სიფრიფანა ნაჭრების და ყველის „ასორტის“ ამარა.

დავრჩი მშიერი, რომ იტყვიან.

მოკლე სადღეგრძელოებს ვამბობ და ღვინოს მივეძალე. მერიქიფე ოფიციანტი, ცოდვას ვერ დავიდებ, ჭიქას დაცლისთანავე მივსებს.

შიშით შევცქერი მის ხელში ბოთლს.

ჰა, ჰა, კიდევ ორი ჩამოსხმა თუა დარჩენილი.

დადგი ეს ბოთლი მაგიდაზე, მე თვითონ დავასხამ-მეთქი, როგორც იქნა გავაგებინე ოფიციანტს ჩემი ჩიქორთული ინგლისურით.

როგორ გეკადრებათო, მორცხვად იღიმება.

რა არი უკადრებელი, შე კაი კაცო, ორმოცი წელიწადია ღვინოს ჭიქაში ვასხამ-მეთქი.

ოფიციანტი ბრძანდებითო? დაინტერესდა.

არა, ქართველი ვარ-მეთქი.

ვერ გაიგო ჩემი პასუხი, მაგრამ ყოველშემთხვევისთვის თავი დამიქნია.

ახლა საქართველოში, ამ ევროპასჩამორჩენილ საქართველოში, გადმოვიდეთ.

ოთხი თვის თავზე ჯეიმს ჰასტინგი საქართველოში დავპატიჟე, რასაკვირველია, საპასუხო ვიზიტით.

სუფრა ჩემს ოჯახში გავშალე – მამაპაპური, თუმცა მოძველებული წესით.

არ დაიქცევა ქვეყანა, არა მგონია ამ დანაშაულისთვის ევროპელებმა ჰააგის ტრიბუნალს გადაგვცენ, ეწყოს მაგიდაზე სხვადასხვა კერძი და სხვადასხვა სასმელი. სტუმარს რაც გაეხარდება, თვითონვე გადაიღოს, რატომ უნდა ვუქციოთ სუფრა რებუსად-მეთქი.

ოღონდ, როგორც ევროპულ სუფრაზე ნამყოფმა კაცმა, მეუღლეს ევროპული წესის ლაზათის თანახმად დავავალე: თუ შეატყობ, რომ სტუმარი მის მიერვე გადაღებულ კერძს აღარ მიირთმევს, გამოაცალე და სუფთა თეფშით შეუცვალე-მეთქი.

გაჩაღდა ლხინი.

ხარობს ჩემი სტუმარი. თამადობის წესიც ძალიან მოსწონს. თამადას ყურადღებით უსმენს და სვამს, როგორც გაეხარდება.

გადაიღო შემწვარი კალმახი, გასინჯა, ალბათ ცხელი მოეჩვენა და ელარჯი მიიწია, იქნებ გადაწყვიტა: ან ორივეს ერთად შევჭამ, ან ჯერ ელარჯს გეახლებით და მერე კალმახს დავაყოლებო.

ვანიშნე ჩემს თანამეცხედრეს, მარცხნიდან მიეპარა და

მოხდენილი ცრუმოძრაობით მარჯვნიდან აართვა ჯერ კალმახი და წამის შემდეგ მარცხნიდან ელარჯი ააცალა ჩემს ინგლისელ სტუმარს.

– ნოუ! ნოუ! პლიის! ბრინგ ჰია, იტს ბიუტიფულ! – იყვირა ჯეიმს ჰასტინგმა, წამოხტა და ჩემს მეუღლეს დაედევნა.

მეუღლემ ჯერ მე შემომხედა, მაგრამ ჯეიმსის მუდარით სავსე თვალებმა დაარწმუნეს, რომ სტუმრისთვის ელარჯის და კალმახის წართმევა, არც მეტი არც ნაკლები, უღმერთობა იყო.

ასე აჯობა ქართული სუფრის წესრიგმა ევპორული სუფრის რკინისებურ ადათს.

დემოკრატიის სხვა – პრინციპებზე სხვა დროს ვისაუბროთ.

14 აგვისტო, 2010

„უფასოდ“

2010 წლის მაისში ქუთაისსა და მის შემოგარენში კვირაში დაახლოებით კი არა – ზუსტად ხუთი დღე წვიმდა, ხოლო დარჩენილ ორ დღეს საწვიმრად ემზადებოდა.

დაღალა წვიმამ ქალაქი.

შავნაცრისფრად აღრიალებული რიონი სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

აკაკის ბაღი ყვავებს დარჩენოდათ.

ათასში ერთხელ ბაღს ირიბად გადაკვეთდა შავქოლგიანი მოქალაქე. იგი ფეხსაცმელ-შარვლიანად უიმედოდ შესველებული, გულდაგულ მიტყვამპალებდა მერიისკენ, შუაგზაზე შეჩერდებოდა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო (თუ დაავიწყდაო, სულერთია რა), უკან იზამდა პირს.

უკან წამოსვლისას, რატომღაც, გუბეებს აღარ ახტებოდა. პირდაპირ წყალში მიტოპავდა და მუხრუჭმოშლილ ქოლგას, თავზე რომ არ ჩამომხობოდა, სახელურთან მუჭით იჭერდა.

ქოლგიანს იქითაც და აქეთაც სამი უქოლგო ქუთაისელი მიაცილებდა. შარვლები მუხლსზემოთ, განაუთავებ ზოლთან, სამ-სამი თითით პიწკად ეჭირათ და ჭადრიდან ჭადრისკენ გულმოდგინედ გარბოდნენ. თანაც ისე კი, რომ ქოლგიანი მხედველობიდან არ გაქცეოდათ.

ბაზრიდან თეატრამდე ტროტუარზე გადმოშვერილ ბრეზენტის ფარდებსშეფარებული ბაღისკიდელები ნერვული სახეებით ასცქეროდნენ ტყვიისფერ ზეცას.

ბაღისკიდელები წუხდნენ იმ არც თუ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქალაქის მერის არჩევნები ახლოვდებოდა და მერობის 147 კანდიდატიდან ერთის მეტი ვერ ახერხებდა

საშუალოდ დღეში ცხრაჯერ მაინც ამომრჩევლებთან შეხვედრას.

აშკარა იყო: აბეზარი წვიმების გამო საარჩევნო კამპანია კრახს განიცდიდა.

მერობის კანდიდატებმა თავიდან შედარებით მორცხვად და თავშეკავებულად დაიწყეს თავიანთი უტოპიური პროგრამების გამოცხადება.

მერე და მერე ისე გაერთვნენ ერთმანეთთან შეჯიბრში, რომ გაზის, ელექტრონის და წყლის გადასახადი კაპიკებზე დაიყვანეს, ბოლოს ის კაპიკებიც ხელში ისე შემოადნათ, რომ ღობესმომდგარ, თავზეტომარაჩამომხობილ და კალოშებში ფეხჩაკრულ ამომრჩევლებს ომახიანად დასძახოდნენ – ყველაფერი უფასო იქნებაო.

დაეჭვებული ამომრჩევლები, რომლებსაც უფრო ადრე და უფრო მღელვარედ, არაერთგზის მოესმინათ არანაკლებ გიჟური დაპირებანი, თავიანთ ხმას ამჯერად ოქროს ფასს სდებდნენ.

მეათასეჯერ მოტყუებულებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ამჯერად მაინც ჩაატარებდა „მეგობარი“ ამერიკა საქართველოში დემოკრატიულ არჩევნებს.

ერთადერთი კაცი ქუთაისში, ვისაც ქალაქის მერის მოახლოებული არჩევნები სულ ფეხებზე ეკიდა (ფეხებს მეც და სხვებიც ფრაზისთვის მეტი დელიკატურობის მისანიჭებლად, ზრდილობის გულისთვის ვხმარობთ) იყო საშუალო მწერალი, კირილე კაკაურიძე.

კირილე თავის ოთახნახევრიანი, შვიდაგურიან სვეტებზე შემდგარი სახლის შუშაბანდში ტაბურეტ სკამზე იჯდა, საწერ მაგიდაზე კი ნოველების ახალგამოცემული კრებული „რიონის სიოს ნაამბობი“ ედო და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

სამოცდაათს მიტანებული გახლდათ.

შესახედავად ძალიან ჰგავდა კინომსახიობ ჯიგარხანიანს.

ისეთივე ჯაგარივით ურჩი, სავარცხელარდამყოლი, ჭაღარა თმა ჰქონდა და ჯიგარხანიანივით ნაღვლიანი თვალები.

სიარულის დროს ნაბიჯს ჯერ ფეხისწვერიდან იწყებდა და მერე ისე ფრთხილად გადაჰქონდა ტანის სიმძიმე ქუსლზე, გეგონებოდათ ფეხსაცმელში ქუსლის მხარეს ლურსმნის წვერი აქვსო ამოჩრილი.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რა იყო კირილე კაკაურიძის ღრმად დაფიქრების მიზეზი.

ახალი ქართველის გასაგებ ენაზე რომ ვთქვა, კაკაურიძეს პრობლემა ჰქონდა.

დავწერე სიტყვა „პრობლემა“ და ტანში გამაჟრჟოლა.

გვქონდა, როგორ არ გვქონდა (და, ენათმეცნიერისთვის ახლაც გვაქვს) კაცის მდგომარეობის გასარკვევად მშვენიერი მიმართვები („როგორა ხარ?“, „რა დაგემართა?“, „რა გაგჭირვებია?“, „რამ შეგაწუხა?“, „რასა იქმ?“ და ა.შ.) მაგრამ შეცვალა გაურკვეველი წარმოშობის „პრობლემამ“.

„პრობლემა გაქვს?“, „რა პრობლემაა“, „პრობლემა არ არის!“ და ა.შ. ისე დაუმშვენდა ცხვირი, ვინც თავისი ლექსიკური თუ ენობრივი სიღარიბის გამო „პრობლემას“ რომ წამდაუწუმ ხმარობს, ეს გამოთქმა მშვენიერი იყოს.

გორში სტალინის კოპწია სახლ-მუზეუმი ხომ გინახავთ, თუ აივნის ადგილას შუშაბანდს დავუმატებთ, ზუსტად ისეთი გახლდათ საშუალო მწერალ კირილე კაკაურიძის სახლი.

მაპატიოს კირილემ, რომ მისი საშუალობა გავამხილე. თავად კირილემ არ იცოდა, რომ იგი საშუალო მწერალი იყო. საერთოდ, არც ერთმა საშუალო მწერალმა არ იცის, რომ იგი საშუალო მწერალია.

სამოცდაათს რომ მიუახლოვდა და არც ერთი პრემიის ლაურეატი რომ არ იყო, შეხვედრებს რომ არ უწყობდნენ და ტელეკორესპონდენტები მის დანახვაზე კამერას ცას რომ

მიუშვერდნენ, ნელ-ნელა შეეპარა ეჭვის სუსტზე სუსტი ჭია მისი საშუალობის შესახებ, თუმცა არც ეს იყო ამჯერად კაკაურიძის ურვის მიზეზი.

მოგეხსენებათ, გამომცემლობები კარგახანია ჰონორარს აღარ იძლევიან.

ჰონორარის ანგარიშზე კირილე კაკაურიძეს ორმოცდაათი ცალი „რიონის სიოს ნაამბობი“ მისცეს, თან დააყოლეს:

თქვენი ხათრი და პატივისცემა რომ არა, ბატონო კირილე, სხვების მსგავსად ფულს გადაგახდევინებდით, ხომ იცით, საერთოდ მხატვრული ნაწარმოების გამოცემა ჩვენთვის წამგებიანი საქმეა. უფრო სარფიანი საარჩევნო ბიულეტენების და ბუკლეტების (ფულს ხელზე გვიხდიან) ბეჭდვაა, მაგრამ, როგორც ჩვენს ძველ ავტორს, უარი ვეღარ გითხარითო.

ამაზეც მადლობელი ვარო, ჩაილაპარაკა კირილემ. ცელოფნის აბგა მხარზე მოიგდო და „რიონის სიოს ნაამბობი“ შინ მოიტანა.

ზის ახლა შუშაბანდში. წინ ნაცნობი მწერლების სია უდევს და თავისი „შემოქმედებითი საქმიანობის“ ახალი ეტაპის დასაწყისისთვის ემზადება.

რა არის ეს „ახალი ეტაპი?“

კირილეს წესად აქვს, თავისი ახალი წიგნი თბილი და გულისამაჩუყებელი წარწერებით ჩამოურიგოს თანამოკალმეებს. ასე დაარიგა წინა ოცდარვა წიგნი. ახლა კი, ოცდამეცხრე წიგნის დარიგების წინ, ავი ფიქრები მოსჯარვია და ხელ-ფეხს უბორკავს.

რა დაემართა კირილეს, რა ხდება მის თავს, ან, მოდურად რომ ვთქვათ სულაც, რა პრობლემა აქვს პატივცემულ მწერალს?

„ავალიანს წიგნს აღარ მივცემ. სულერთია, მაინც არაფერს კითხულობს. ამასწინათ კაბინეტი რომ გამოიცვა-

ლა, დამლაგებელმა კატუშამ დამირეკა, მოდი შენი წიგნები წაიღე, თორემ უნდა გადავყაროო. მივედი, თურმე ავალიანს, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში გულისამაჩუყებელი წარწერებით წიგნები ვაძლიე, არც ერთი სახლში არ წაუღია და შესაბამისად არც გადაუშლია. ჩუმად მოვაგროვე ჩემი წიგნები, წამოვიღე და გულდაგულ ამოვხიე ის ფურცლები, სადაც ავალიანს მივმართავდი – ჩემს უსაყვარლეს მეგობარს და ერისკაცს-მეთქი...

ქარაბაძეს არ ვაჩუქებ, რად უნდა, შეიძლება სახლში მიტანით მიიტანოს, მაგრამ გადაშლით არ გადაშლის, დარწმუნებული ვარ. ნამეტანი ბრახუნა კაცია, რომ იტყვიან, ცხვირზე ბუზს არ ისვამს. არ ტოვებს წიგნის წამკითხველი კაცის შთაბეჭდილებას.

კაკალაძეს რა წიგნებიც აქამდე ვაძლიე, იმასაც ვნანობ, შე კაი კაცო, კაცმა წიგნი მოგართვა, თავისი სულის ნაწილი. დაკარგე ერთი საღამო. ჩახედე, წაიკითხე, იქნებ ვინ არის, იქნებ რას წერს.

არც ვაწაძეს მივუტანი ამ წიგნს. ძალიან გათამამდა და გაყოყოჩდა ამ ბოლო დროს, იფიქრებს, ალბათ, იმიტომ მაჩუქა ახალი წიგნი, რომ უნდა წერილი დავუწეროო. არა და რაში მჭირდება მაგის უნიჭო რეცენზია. ჩემთვის ყველაზე უკეთესი შეფასება ისაა, ტროლეიბუსში რომ კაცი შეგხვდება და შენს ნოველას ისე დაწვრილებით მოგიყვება, თითქოს მისი დაწერილი იყოს.

ჭაჭუას ვაჩუქებდი, როგორ არ ვაჩუქებდი, ცოცხალი რომ იყოს.

კერძაძე ახალგაზრდა მწერალია და წესით წიგნს არ უნდა ვამადლიდე, მაგრამ ტუტუცი ბავშვია. მე ავადგმევინე ფეხი ლიტერატურაში, მწერალ მამას მეძახდა, ამასწინათ მაგათ გაზეთში მოვკარი თვალი, კერძაძემ ამა და ამ ნოველაში წლიური პრემია მიიღოო. ერთიც ვნახოთ, ჩემი ნოველა!

თითქმის გადაუწერია. სიუჟეტი ჩემი, ხასიათები ჩემი. ეს რა გიქნია, ბიჭო-მეთქი, დავურეკე. ლუღლუღი დაიწყო: ჩემ-დაუნებურად მომივიდა, მაპატიე, ბატონო კირილეო. რას ვიზამდი, ვაპატიე.

გულორდავა კაი მწერალია. ეკუთვნის კიდეც ჩემგან წიგნის ჩუქება, მაგრამ ნამეტანი ყავარზე აქვს კუდი გადე-ბული, ამ ბოლო დროს თავის თავზე მესამე პირში ლაპარა-კობს. რომ შემხვდება, ისე მელაპარაკება, თითქოს სოლ-ომონ ბრძენი მყავდეს და მე კიდევ მისი ნაფიცი მოწაფე ვიყო. რავა იყო გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში დოლ-გარმონით რომ შეხვედიო, მეუბნება ყოველ შეხვედრაზე და ხითხითებს. მე მგონია, ჩემი ეს ერთადერთი მოთხრობა აქვს წაკითხული და სხვა არაფერი. რატომ უნდა შევაწუხო ამ ჩემი წიგნით. მოხუცი კაცია, ღმერთმა დიდი ხნის სი-ცოცხლე მისცეს, მაგრამ მოფამფალდა ამ ბოლო დროს და თავისი ტომეულების შედგენის ფუსფუსშია გართული. მიდი ახლა და დაუდე ჯარიმასავით შენი წიგნი წასაკითხად, რო-გორი საქმეა.

არც კაპუცაძეს ჩავუგდებ ჩემს წიგნს ხელში. არ გვესმის არა, ჩვენ ერთ-მანეთის ამ პოსტმოდერნისტმა ლაწირაკებმა ძალიან გაიიოლეს წერა. ყოველ სამ თვეში თითო რომანს წერენ.

რაც შეეხება ანაშვილს, მიყვარდა მისი მოთხრობები, როცა ნორმალური მწერალი იყო. ამ ბოლო დროს ალკო-ჰოლმა გადაუარა ტვინზე, წერის ფაღარათი აქვს ატეხ-ილი და წერს გაუთავებლად სისულელეებს. არავინ ჰყ-ავს, რომ ამ კაცს ქაღალდი დაუმალონო? ყური მოვკარი ამასწინათ. ანაშვილი მიყვარს იმ ძველი სიყვარულით და მეცოდება...“

უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან ტაქსი გაჩერდა.

თერთმეტს აღარაფერი უკლდა.

წვიმა მიერეკებოდა ახალდაგებულ შავ ასფალტზე ჯინსიან გოგო-ბიჭებს და მათი ასაკისთვის შეუფერებლად ფეხაჩქარებულ ასოცირებულ პროფესორებს.

– გამარჯობათ!

კაკაურიძე უშველებელი აბგით წიგნის კიოსკთან მიბათქუნდა.

– გისმენთ, ბატონო, – ჯიხურიდან თავი გამოყო ბერეტიანმა წაბლისფერთმება ქალმა, რომელსაც თმა და ბერეტი ერთი ფერისად მოუჩანდა.

– წიგნები მოვიტანე, – კირილემ ნაწვიმარი შუბლზე ჩამოიწურა – დავსველდი, ეს ოხერი.

– რა წიგნია? – ცოტა არ იყოს ცხვირაბზუებით გახედა აბგას გამყიდველმა.

– ჩემი წიგნია, ნოველები.

– სასიამოვნოა, ბატონო, მარა ჩვენ უფრო სახელმძღვანელოებს ვყიდით. მოთხრობები ძნელად საღდება.

– არ უყვართ ახალგაზრდებს ნოველები?

– რავა არ უყვართ, ბატონო, მარა, მოგეხსენებათ, სტუდენტებს ფული არა აქვთ.

– მე თქვენ ვერ გამიგეთ, ქალბატონო. ეს წიგნი მე გასაყიდად არ მომიტანია. ორმოცი ცალია. ასეთი რამ მინდა შემოგთავაზოთ, თუ შეიძლება, რასაკვირველია. დავაწყოთ აგერ სკამზე და დავაწეროთ „უფასოდ“. მაინტერესებს – აბა, რა მოხდება. თუ მთლად არ ვყავართ წყალს წაღებული, უნდა წაიღონ სტუდენტებმა. მეცით პატივი, ძალიან გთხოვთ.

სასწაული არ მომხდარა.

ათიოდე წუთის შემდეგ „უფასო წიგნის“ გასწვრივ სტუდენტთა რიგი დადგა.

არ გეგონოს, მკითხველო, თითქოსდა ანგარიშმიუცემლად ეცნენ უფასო წიგნს მკითხველები.

გადაშლიდნენ, ჩახედავდნენ, ამოიღლიავებდნენ, მეჯიხ-

ურეს მადლობას ეტყოდნენ და ლიფტისკენ გარბოდნენ.

ზოგს ორი წიგნი მიჰქონდა.

სულ რაღაც ნახევარ საათში კირილე კაკაურიძის წიგნი სკამზე აღარ იდო.

კირილე კი, გულში სითბოჩაღვრილი კირილე, თავაწეული მიაბიჯებდა ტროლეიბუსის გაჩერებისკენ.

წვიმა გადაღებას ამ ცოტა ხანში მაინც არ აპირებდა.

20 მაისი, 2010

გაოგნებული გაგნიძე

ჟურნალისტმა იუზა გაგნიძემ იმ დღეს გვიან გაიღვიძა.

„ჭკუა ვერ ვისწავლე. რას ვნერვიულობ და რისთვის ვტეხავ ღამეს. ჩემი გაჭირვება არ მეყოფა? ურუგვაი მეიგებს თუ პარაგვაი, რა ჩემი ჭკუის საქმეა. კისერი ერთს უტეხია და კინჩხი მეორეს“.

ტელევიზორი ჩართო და „მოამბეს“ მიაგულისყურდა, წესად ჰქონდა, პირველ რიგში „მოამბე“ უნდა ენახა. სწორედ რომ „მოამბე“ აძლევდა უხვ მასალას თავისი ცეცხლოვანი ინტერვიუებისა თუ ფელეტონებისათვის,

მსოფლიოში ხანძრების გარდა საინტერესო არაფერი ხდებოდა.

ჟურნალისტს გული დაწყდა.

„როგორც ჩანს, დღესაც სამტრედიის დატბორილ სოფლებზე უნდა დავწერო. ნუთუ ერთი მიტინგი მაინც არ ჩატარდება სადმე. სად გაქრა ეს ხალხი“.

იუზა ოპოზიციონერი ჟურნალისტი იყო და, კაცმა რომ თქვას, ოპოზიციის გამარჯვება უნდა გახარებოდა, მაგრამ მთლად ასეც არ იყო საქმე. შარშან შიშით შესცქეროდა ოპოზიციის ლიდერების გაქცევ-გამოქცევას თბილისსა და ქუთაისს შორის.

„ვთქვათ და გეიმარჯვეს ამგენმა, მერე რა ვქნა, რაზე ვწერო, ვინ ვლანძღო მეო. არადა მაქებარი ჟურნალისტი ვის რა ჭირად უნდა. დღეს, როცა ხელისუფლებას ტყავს ვაძრობ, ძლივს კითხულობენ ჩემს ნაწერს და მერე ვინღა წაიკითხავსო“.

არ სურდა, არა, იუზა გაგნიძეს, ხელისუფლების დამხობა, თუმცა მან არ იცოდა, რომ ხელისუფლებაზე გამარჯვება არც ოპოზიციის ბელადებს უნდოდათ.

ეს უკანასკნელნიც შეგუებულნი იყვნენ პწკენია ოპოზიციონერის უდიდპრეტენზიო როლს.

წვერი გაიპარსა, ფეხზე ისაუზმა. ერთ დროს გრძელკოზიროკიანი, აწ უკვე ბერეტად გადაკეთებული ბუკლეს ქუდი შუბლზე ჩამოიმხო, მინიჩანთა მაჯაზე ჩამოიკიდა და კარი გამოიტკაპუნა.

ცხელოდა, მაგრამ ხვამლიდან საწვიმარი ღრუბელი იშლებოდა და დაბლა იწევდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნაშუადღევს გაწვიმდებოდა.

– ჭამე რამე? – სასტუმროს წინ ფეხებწაჭრილ ტაბურეტზე მოკალათებული გერშონია ურია ყოველ დილით ერთსა და იმავეს ეკითხებოდა.

– ვითომ... წევიჭამე რაცხა.

– მიწა ჭამა, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო.

– შენი მიკვირს, გერშონია. ქვეყანა გარბის. შენ რატო არ წახვედი ისრაელში?

– რა მინდა ისრაელში, დაგენაცვლე. ომი და უბედურობა მინდა ამ ხნის კაცს, მეე?

– რავა, ომი აქანა გაკლია? ხო ნახე შარშანწინ რო გადაგვიარა რუსმა.

– აქანა სხვა ომია, დაგენაცვლე. აქოური ომი დღენახევარში მთავრდება და ისრაელში ორმოცდაათი წელია ჭამენ ერთმანეთს. აქანა ჭოლაია ეძგვერაძე თავისი თბილისელი სტუმრებით რესტორანში რო შევიდა საქეიფოდ, სანამ წამსვლელ-დამრჩომის სადღეგრძელოს დალევდნენ, ომი უკვე წაგებული გვქონდა.

იუზას გერშონია ურიასთან კამათი არ დაუწყია. ფეხსაცმლის მწმენდავს ყველაფერზე თავისი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა.

თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, რიონს ჩახედა. ტალახისფრად მოშლიგინებდა რიონი. წყალს კალაპოტი ამოევსო და სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

„რიონის ამნაირი გადარევა ოქტომბრის ბოლოსთვის არ მახსოვს. აპრილის წყალდიდობას ჰგავს. ბუნებაც ეირია ამ ბოლო დროს. როგორც ჩანს ზევით, შოვის მთებში, დიდი წვიმებია“.

ხიდის მოაჯირს თაფლისფერპლაშიანი ქალი დაყრდნობოდა და წყალს ჩასცქეროდა.

იუზას ერთი გამოხედა, რკინის ბადეში მარჯვენა ფეხი გაუყარა, აიწია და...

– არ გადახტე! - დაიღრიალა იუზამ. ვეფხვის ნახტომით ქალთან გაჩნდა, ხელი სტაცა და მოაჯირს გამოარიდა.

– გამიშვი! გეხვეწები გამიშვი! მაინც გადავხტები! რა გინდა, რა ჩემდა ჭირად გამემეცხადე! – სლუკუნებდა ქალი და დასხლტომას ლამობდა.

ოცდაათის არც იქნებოდა. გავეშება და გაბრაზება საოცრად უხდებოდა. გაფართოებულ გუგებში მწყერისფერი თვალები ხტოდნენ. საწვიმარზე ხორბლისფერი ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდა. ხან ერთ მაჯას ითავისუფლებდა, ხან მეორეს, უფრო ღონიერი ჩანდა, ვიდრე იუზას ეგონა.

– გამიშვი რა, გამიშვი, ნუ დამაწყვიტე მკლავები... მაინც გადავხტები... ვინ გკითხავს შენ... რას ერევი ჩემს საქმეში!

წულუკიძის ბაღში ძელსკამზე ძალით დასვა. ყოველი შემთხვევისთვის მარცხენა მაჯაზე ხელს არ უშვებდა.

– ქალო, სრულ ჭკუაზე ხარ შენ?!

ქალი აგურისფხვნილის ბილიკს ჩასცქეროდა.

იუზამ კითხვა რომ გაუმეორა, მწყრალად ამოხედა.

– მაინც გადავხტები...

– შენი ნებაა, მარა რისთვის იკლავ თავს, გამაგებიე და, კი ბატონო, გადახტი.

– ასე გეკუთვნით თქვენ, ყველას.

– ვინ ყველას?

– მთელ ქვეყანას... გამიშვი, გეხვეწები... მე ჩემსას მაინც არ დავიშლი... რას ერევი ჩემ საქმეში.... წაი შენს გზაზე.

– ყველას ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს. შენი სახელი?

– ტასიკო.

– ყველას ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს, ტასიკო, წავალ, აბა, რას ვიზამ, მარა, ასე ვერ დაგტოვებ... მერე მთელი ცხოვრება უნდა ვინანო.

– ა, ხომ ხედავ, ჩემი დახრჩობა იმდენად არ გაწუხებს, რამდენადაც შენს თავზე ფიქრობ, სინდისი შეგაწუხებდა, რომ არ გადაგერჩინე. ჩემნაირები ფეხებზე გკიდიათ, ამიტომ ყველას ჯინაზე უნდა გადავხტე, ყველა უნდა დაგსაჯოთ ამითი.

– მიზეზი მითხარი და, კი ბატონო, გადახტი.

იუზამ ჩათვალა, რომ აფექტის მდგომარეობა გადავლილი იყო და მაჯაზე ხელი გაუშვა.

– მეტი მიზეზი რაღა იქნება. ამ ხნის გოგოს არა დედა, არა მამა, არა ქმარი, მესამე ქმარმა გუშინ გამომაგდო, ეჭვიანობის ნიადაგზე. ქუჩაში დავრჩი. ა, ნახე (პლაშის ჯიბეებში ხელი ჩაიყო და ორივე ამოიბრუნა) ჯიბეში ერთლარიანი არ მიჭყავის. სამსახურის დაწყება მინდოდა, არი, რავა არ არი, საჩემო სამსახურები, მარა ვინც მპირდება, ყველა ლოგინისკენ მიმათრევს. არ უნდა იყოს წესიერი გოგოს ადგილი ამ ქვეყანაზე?!

ამ დროს წულუკიძის ბაღში ორი ახალგაზრდა პოლიციელი შემოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და პირდაპირ მათკენ წამოვიდნენ.

ტასიკო მთელი ტანით შემოტრიალდა და იუზას ჩაეფსკვნა.

– გეხვეწები... არ გაატანო ამგენს ჩემი თავი... უთხარი ჩემი საცოლეა-თქვა, ჩემთან ცხოვრობს სახლში-თქვა... გეხვეწები... გადამარჩინე!

პოლიციელები რომ ორივეს თავზე წაადგნენ, ტასიკო წამოხტა და ხიდისკენ გაიქცა.

პოლიციელები დაეწივნენ, იქეთ-აქეთ ამოუდგნენ და ძალად გაახელკავეს.

– რას ჩადიხართ... ეს ქალი ჩემთანაა.. თქვენ უფლება არა გაქვთ... მე ჟურნალისტი ვარ!

იუზამ პირადობის მოწმობა ამოიღო.

– წამობრძანდით, ბატონო, და იქ გეტყვიან ყველაფერს, ჩვენ პატარა ხალხი ვართ...

პოლიციაში ასეთი რამ გაირკვა:

თაღლითობის გამო ორჯერ ნასამართლევი მარინა ჭანუყვაძე (და არა „ტასიკო“), თვეზე მეტია, რაც თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა. იგი ხშირად ჩნდება ქუთაისის ოთხი ხიდიდან (თეთრი ხიდი, ახალი ხიდი, ჯაჭვის ხიდი, წითელი ხიდი) რომელიმეზე. დგას და წყალს ჩასცქერის. ცოტა არ იყოს ინტელიგენტური გარეგნობის, ნორმალურად ჩაცმულ მსხვერპლს რომ შეამჩნევს, ხიდიდან გადახტომას ცდილობს. ასე, თვითმკვლელობაგადაწყვეტილი ქალის წუწუნ-აღსარებით ამყარებს ურთიერთობას თავის გადამრჩენთან. მახეში გაბმული მოქალაქე თავს ვალდებულად თვლის, რითაც შეუძლია დაეხმაროს უმწეო ქალს. ზოგს სახლშიც მიჰყავს (მარინა თავის გადამრჩენთან არც სარეცლის გაზიარებაზე ამბობს უარს), გულუბრყვილო მოქალაქე ყურადღებას რომ მოადუნებს, მარინა ჩანთაში ჩაიცურებს მასპინძლის რამე ღირებულ ნივთს, კარგად დასაჩუქრებული, დილით, ცრემლიანი თვალებით ეთხოვება გადამრჩენელს და პირობას აძლევს, რომ თავს აღარ მოიკლავს.

ორი კვირაა ვეძებთ და ძლივს მოვიხელთეთო, პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსმა კაკაურიძემ.

იუზას ახსნა-განმარტება დააწერინეს და სასამართლოზე მოწმედ დაგიძახებთო, დაუბარეს.

მიდიოდა რედაქციისკენ ჟურნალისტი იუზა გაგნიძე და გაოგნებული იყო.

არა და რა მშვენიერი გოგო იყო, რა დამაჯერებლად იქ-ცეოდაო, ფიქრობდა.

მან უკვე იცოდა გაზეთის ხვალინდელ ნომერში რა უნდა დაეწერა. მოსაფიქრებელი იყო მხოლოდ მასალის სათაური და ისიც, თუ როგორ დაეკავშირებინა ეს ყველაფერი ხე-ლისუფლებასთან.

იუზა ხომ, როგორც თავში გითხარით, ოპოზიციონერი ჟურნალისტი იყო.

აგვისტო, 2010
თბილისი

ნასამართლევი

დიდი მადლობა, ბატონო მინისტრო, ჩემი მიღებისთვის, მილიონი საქმე გაქვთ და სად გცალიათ, რამდენი ჩემნაირი უბრალო მასწავლებელი იქნება, იმის მოსასმენად.

მე გრიშა ჯალაღანია გახლავართ. ოცდაათი წელიწადია ისტორიას ვასწავლი ქუთაისის მეოთხე სკოლაში. არც მიფიქრია დირექტორობაზე, ბატონო, აღარც ასაკი მაქვს საიმისო და, გითხრა სიმართლე, ჩემი საქმე, ჩემი ცარცი, დაფა, ჟურნალი და კლასი ისე მიყვარს და ისე ძვირად მიღირს, დირექტორობას კი არა, პრეზიდენტობას მირჩევნია.

ამირჩია სამეურვეო საბჭომ სკოლის დირექტორად. ბევრი ვიყვირე და ვითავცემე, არ მინდა-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა. სხვათა შორის იქვე განვუცხადე საბჭოს (მშობლები და მოწაფეებიც ესწრებოდნენ), ნუ იზამთ ამას, არ შეიძლება ჩემი დირექტორობა, მაინც არ დამამტკიცებენ, ნასამართლევი ვარ-მეთქი. არაო, ჩვენ ასე გვინდაო. ამ სკოლას თუ ვინმე მოუვლის, შენ მოუვლიო და ამნაირი რაღაცეები.

გასულ კვირას კოლეგიაზე თქვენ მოგიხსნიათ ჩემი საკითხი. ეგაო, გიბრძანებიათ, ნასამართლევი ყოფილაო. სად ეძინა განათლების განყოფილებას, ნასამართლევ კაცს რომ გვიგზავნიდნენ დასამტკიცებლადო.

მოგიხსნიათ ჩემი კანდიდატურა და სწორადაც მოქცეულხართ. მე საპრეტენზიოდ არ მოვსულვარ. ღმერთმა დამიფაროს. არც თავის გამართლებას ვაპირებ. უბრალოდ მინდოდა, მენახეთ და ორი სიტყვით მეამბნა თქვენთვის, რა საქმეზე ვარ ნასამართლევი. ათას რამეზე იჭერენ და ასამართლებენ ადამიანს, ბატონო. ზოგი ბანკის გაძარცვაზე ზის და ზოგი ცოლიდის გაუპატიურებაზე, ჩემი საქმე ასე იყო: მოკლედ მოგიყვები, ათ წუთს წაგართმევ, მეტს არა. არც

მე მაქვს დიდი დრო, სამი საათის მატარებელს უკან უნდა გავყვე ქუთაისში. ხვალ დილით გაკვეთილები მაქვს.

ჩემს მეზობლად ცხოვრობს გერონტი ბეშკენაძე. დიდი არაფერი, ახლა ქალაქის საკრებულოს წევრია, თან ბაზარი როა პატრიგეთთან, იმის მეპატრონეა. ვერ გეტყვი, საკრებულოში არჩევის მერე გახდა ბაზრის პატრონი, თუ საკრებულოში არჩევამდე ჰქონდა ბაზარი. რა ჩემი საქმეა, როდის იყო სხვის საქმეში ვერეოდი და სხვის ჯიბეში ფულს ვითვლიდი.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს, უბედურნახევარი ჰყავს გამჩენს. საკუთარ ძმას არ ელაპარაკება, აგერ ა, ათი წელიწადია. რაზე წაიჩხუბნენ, ვერ გეტყვი. აირჩიეს თუ არა საკრებულოში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მამის დანატოვარი განაყოფი სახლი ჰქონდათ ძმებს და ორმეტრიანი კედელ-ღობე ააშენა. რა იყო გერონტი, ძმები ხართ, შუაში პატარა კარი მაინც დაუტანიე, ასე რავა შეიძლება-მეთქი, ვურჩიე, ვითომ, ჩემი ჭკუით. გაგიგონია? ვისაც შემოსვლა უნდა, ქუჩიდან მაქვს ჭიშკარი და შემოვიდესო. შუაკარი და ალაგე აღარაა მოდაშიო. ძმა კაი ბიჭია, დაანებე თავი, გრიშა მასწავლებელო (ჩემი მოწაფე იყო), ხომ იცი, არ დაიშლის თავისასო.

ჰოდა, ამ სამი წლის წინ გერონტიმ ძაღლი მიიყვანა. ოქროსფერი, შავდრუნჩა ხვადი. რა ჯიშის იყო, ბეწვზე ეტყობოდა. მოკლე, მბზინვარე ბეწვი ჰქონდა. აჩუქა ალბათ ვიღაცამ, თორემ გერონტი ძაღლში ფულის გადამხდელია? იქნებოდა ასე წლის-წლინახევრის, მეტის არა.

დააბა სახლის უკან მსხვილი ჯაჭვით ძაღლი გერონტიმ და ამით მოილია საქმე. თვითონ, ხატზე დავიფიცებ, იმას მერე უკანა ეზოში აღარ გასულა და ერთხელაც არ მოფერებია. გერონტის სიდედრი – ლუბა ქვაბში ჩამბალ პურს დაუდგამს დღეში ორჯერ. მეტი რა ქნას ლუბამ.

მოყვანისთანავე რომ დაიწყო ძაღლმა მოთქმა-ყეფა, გელაპარაკები, არ გაჩერებულა. მე ხომ ძილი და მოსვენება არა მაქვს, მაგრამ ჩემი თავი ჯანდაბას, მომკლა ძაღლის

საცოდაობამ. გერონტის რომ სამსახურში წასულს დავიგულებ, გადავყოფ თავს ღობიდან და ველაპარაკები. უნდა ნახო, შეწყვეტს მაშინათვე მოთქმა-წკმუტუნს და შემომაჩერდება. ვეფერები, ვეალერსები, ვამხნევებ შორიდან, რაც შემიძლია. მომჩერებია კუდის ქნევით, იმედიანი წკმუტუნით. ცოტა ხანში დარწმუნდება, რომ მეტი არაფერი შემიძლია და ისევ მოყვება მოთქმა-წკავწკავს. ვთხოვე ერთ საღამოს ბეშკენაძეს – მე ვხედავ, შენ არ გცალია, ჩემო გერონტი, თუ ნებას მომცემ, როცა დრო მექნება, მე გავიყვან შენს ძაღლს ქუჩაში სასეირნოდ, თვარა ცოდოა, ოცდაოთხი საათი დაბმული ჩემი მტერი იქნა, გულმუცელი მეწვის მაგის საცოდაობით-მეთქი.

ვერ მოგცემ მაგის ნებასო. ყველამ რო შეიჩვიოს და თავზე ხელი უსვას, სიავეს დაკარგავსო. ძაღლი რაც უფრო გაავებულ-გაბოროტებულია, მით უკეთესად დარაჯობს ეზოსო.

ა, ესაა გერონტის ლოგიკა. რას ვიზამდი. შემოვბრუნდი ჩემს ეზოში. ოთხი თვე გავიდა. ვერა და ვერ შეეჩვია ძაღლი დაბმულ მდგომარეობას. მისმა მოთქმაგარეულმა ყეფამ გული გამიწვრილა. ავი? რის ავი, ბატონო, არავის არ ერჩის. გამვლელ-გამომვლელს კუდს უქიცინებს.

ველარ მოვითმინე. ხომ მოგეხსენება, რა არის ვერმოთმენა. დილის ხუთ საათზე შევიპარე გერონტი ბეშკენაძის ეზოში. ძაღლმა კუდი დააბათქუნა მიწაზე და ხელი გამილოკა. შევხსენი ჯაჭვი, ყელსაბმელი დავუტოვე ყოველი შემთხვევისთვის. გამოვიყვანე ქუჩაში და გავუშვი. თვრამეტი ივლისი იყო, რა დამავიწყებს. რიბირაბოა. ქუჩაში სულდგმულის ჭაჭანება არ არის. გაიქცა, გაჩერდა, შემობრუნდა ჩემსკენ, გამოიქცა, შემახტა მკერდზე. სახეზე ამისვა თავისი თბილი, ხაოიანი ენა. წადი-მეთქი, ჩავუჩურჩულე. მოკურცხლა, მარა რა მოკურცხლა. თვალი ვერ მივატანე.

საღამოს გამომძიებელი დამხვდა ჭიშკართან. წუხელის გერონტი ბეშკენაძისთვის ძაღლი მოუპარავთ და ხომ არაფერი იცით ამ საქმისო. არავის არ მოუპარავს, მე ავხსენი და გა-

ვუშვი ქუჩაში. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, გული გამისკ-დებოდა. არაა მაგი ძაღლის ღირსი. კაცს საკუთარი ძმა არ უყვარს და ძაღლი ეყვარება-მეთქი?

შემიდგინეს საქმე და ორი კვირის თავზე სასამართლოს განჩინება მომივიდა, თურმე, ნუ იტყვით, მცნეს დამნაშავედ და დამაკისრეს გერონტი ბეშკენაძის სასარგებლოდ 250 ლარის გადახდა.

ამ ამბის შემდეგ ორწელიწადნახევარი გავიდა.

გერონტის დავექადნე მეზობლების თვალწინ და ახლა თქვენ გეუბნებით, თუ მოიყვანს ძაღლს და ისე მოექცევა, როგორც იმ საცოდავს ექცეოდა, კიდევ შევიპარები და კიდევ გავუშვებ. ვიქნები ორჯერ ნასამართლევი. რა ვუყო, რაც არის, ეს არის.

ერთს გეტყვი კიდევ, ბატონო მინისტრო, და გეახლები:

შარშან ოტია იოსელიანი მოვიპატიჟეთ სკოლაში.

ჩავაკითხე წყალტუბოში წამოსაყვანად.

წვიმს.

–ბატონო ოტია!

ჭიშკრისკენ ორი უშველებელი ნაგაზი გამოიქცა.

რისი ყეფა, რისი შეცხადება, ვინაა ეს უცნობი კაციო. დგანან და მიყურებენ.

– ამოდი, რომელი ხარ მაქანა! – ოტია მეძახის.

ბატონო ოტია ძაღლებს დოუძახე-მეთქი.

– ამოდი, ამოდი. ნუ გეშინიაო. ხომ ხედავ, გელოდებიან, რო კიბეზე ამოგაცილონო.

მართლაც ამომიდგნენ ძაღლები აქეთ-იქიდან და ამაც-ილეს კიბეზე.

მოვდივართ სკოლისკენ მე და ჩემი ძვირფასი სტუმარი.

მეო, ოტიამ მითხრა მაშინ, ძაღლს თოკს რაფერ შევა-ბამ კისერზეო, რავა ვაკადრებ ძაღლს დაბმასო. ძაღლი რო სტუმარს დოუყეფს, იმ ძაღლს სახლში რავა გავაჩერებო. კაი ძაღლი ადამიანს თვალებში შეატყობს, სამტროდაა მოსული

თუ სამოყვროდო. ძაღლი რო ადამიანს უპრაგონოდ საკბენად გეექაჩება, იგი ძაღლი კი არა, მგელიაო...

●

ამ ვიზიტიდან რვა დღის შემდეგ ქუთაისის გუბერნიის განათლების, კულტურის და მეცნიერების სამმართველოში ბრძანება მოვიდა:

„საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ 2010 წლის 15 ოქტომბერს დაამტკიცა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის სამეურვეო საბჭოს შუამდგომლობა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებლის, გრიშა ჯალაღანიას სკოლის დირექტორად არჩევის შესახებ.“

ბრძანებას ხელს განათლების მინისტრი აწერდა.

ოქტომბერი, 2010
თბილისი

გაუპატიურება

სანერვიულო ისეთი, კაცმა რომ თქვას, მე პირადად არაფერი შემმთხვევია. წყალი მჭირდება, თვარა, რა სიკვდილი მინდოდა აქანა.

ნაღვლის ბუშტი კენჭებით მაქვს სავსე.

ეს ჩემი ცოდვით სავსე ნაზიკია გვერდითა ნომერში ცხოვრობდა, მეოთხე სართულზე.

აივანზე „ნასკებს“ რო ვფენდი გასაშრობად, ერთადერთხელ მოვკარი თვალი.

სარაფნისამარა იყო გამოსული და თვითონაც სარეცხს ფენდა.

გამარჯობა, მეზობელო-მეთქი. სალამზე არ მიპასუხა.

ეს ამბავი პატარა ქეც მეწყინა და ქეც გამეხარდა.

მეწყინა იმიტომ, რომ, ცოტა არ იყოს, უზრდელობად ჩავთვალე: რა იყო, შე კაიადამიანის შვილო-მეთქი, გულში ვთქვი, სალმის დაკავება მაინც რაღა ჯანდაბაა, რო გამაწბილე ამ დილით-მეთქი.

გამეხარდა იმიტომ, რომ, ეტყობა წესიერი გოგოა, არ უნდა, ეითქვიფოს მეზობლებში.

იცის, უცნობი ადამიანის „გამარჯობით“ იწყება ყველაფერი. კარებში ფეხის ჩადგმა, შესვლა, ქათინაური, ღლაბუცი და ათასი ოხრობა.

დასასვენებლადაა ქალი ჩამოსული და მარტო ყოფნა უნდა-მეთქი.

მეც, გითხრა სიმართლე, ამ თორმეტ დღეს ჩემი ნაღვლის ბუშტის დარეცხვას და გამოძინებას ვაპირებდი, სხვას არაფერს.

სკოლაში ვმუშაობ და ამ რეფორმამ ისე მომიშალა ნერვები, თუ არ გავასწარი აქედან, მღვდელი ზიარებას ვერ მომის-

წრებს-მეთქი და ცოლ-შვილის გარდა არავინ არ გამიფრთხილებია, ასე ამოვყავი საირმეში თავი.

ნაზიკია, რაც იმ დღეს აივნიდან მოვასწარი შეთვალიერება, მაღალი, სწორფეხება გოგო იყო.

ასე ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლის იქნებოდა, მეტის არა.

გარეგნობის მიხედვით მეტს არ მისცემდი და ისე, მაგის მეტრიკაში მე არ ჩამიხედავს.

იმ დღის მეტი, არ დაიჯერებ და, ნაზიკია იმ ამბამდე მე აღარ მინახავს.

არც სასადილოში მომიკრავს თვალი, კიბეზე არ დამმგზავრებია.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, მის აივანზე ერთი-ორჯერ ახალგაზრდა ჰალსტუხ-შლიაპიან გრძელცხვირა კაცს მოვკარი თვალი.

იჯდა მუხლებზე ხელებდაწყობილი შავულვაშა და ნაძვებიან კორდს შეჰყურებდა.

რამდენი გავიდოდი აივანზე, წამოდგებოდა და „გამარჯობა, ბატონოვო“ მეტყოდა.

უსიტყვოდ ვუქნევდი თავს.

მე ვთქვი, ნაზიკიას სტუმარი ცოტა გრილად უნდა იყოს ზედა სართულებში, თვარა ნახევარ საათში სამი „გამარჯობა“ ერთსა და იმავე კაცს რომ უთხრას ერთი და იგივე კაცმა, ვის გაუგია-მეთქი.

არგენტინულ-ბრაზილიურ 635-სერიიან ფილმებში რომ სოფლის მასწავლებელი ან დაზღვევის აგენტები გამოჰყავთ, ისეთი იყო ნაზიკიას ნაცნობი.

კიდევ ერთი რამ შევნიშნე: ორივენი ერთად აივანზე არასოდეს გამოსულან. ჯერ იყო და კარლო (სახელი იმ ამბის შემდეგ გავიგე, თვითონ ნაზიკიამ მითხრა) იჯდა დიდხანს, გაუნძრევლად, დაკეცილ ქოლგაზე დაყრდნობილი, მერე ნაზიკია გამოვიდოდა თუ არა, კარლო მაშინვე წამოხტებოდა და ოთახში შევიდოდა.

2004 წლის 11 აგვისტოს (საირმეში ჩემი ჩასვლიდან ზუსტად მეხუთე დღეს), დილით რვა საათზე შარვლის გაუთოვებას რომ ის-ის იყო მოვრჩი და წყლის დასალევად გამოსვლას ვაპირებდი, ვიღაცამ დამიკაკუნა.

გავაღე. კარებში ნაზიკია დგას.

მობრძანდით-მეთქი, დაბრძანდით-მეთქი, სკამი გამოვუჩოჩე, როგორც წესი და რიგია.

დასაჯდომად მაქვს ახლა მე საქმეო? ჩამკითხ-ჩამილაპარაკა, რედიკული მაგიდაზე დააგდო, ტყავის ხელთათმანები ნერვულად მოიხსნა და ისინიც მაგიდაზე დამიყარა.

რა მოხდა, ფარცაგი ხვარაფერია-მეთქი, აბა რას ვეტყოდი. ხელთათმანები, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

რა და გამაუპატიურეს წუხელისო. არ ვიცი მოულოდნელობისგან თუ ელდისგან, გამეცინა.

რა გაცინებს, შენ ჭკუაზე აფრაკათ ხომ არ ხარო, გაბრაზდა ნაზიკია, სკამზე დაეშვა, თვალებზე ხელი მიიფარა და ისეთი ქვითინი ამოუშვა, ვირწმუნე, რომ მართლაც დამაჯერებლად, სავსებით, ბოლომდე გახლდათ გაუპატიურებული.

– ვინ... კი მარა... რანაირად? გაუპატიურება მხარზე ხელის დარტყმა ხომ არაა? – რაც შემიძლია, ვცდილობ, სერიოზული სახე მივიღო, მაგრამ რომ წარმოვიდგენ ნაზიკიას გაუპატიურების ტრაგიკულ ეპიზოდს, ტუჩებს თავს ვერ ვუყრი.

– ვინ და კარლოია დებილმაო.

ვინაა კარლოია-მეთქი.

ვინ და ჩემს ბალკონზე რო იჯდა შელოცვილივით და რო არ ინძრეოდა, შენ რომ წამდაუწუმ გამარჯობას გეუბნებოდა, იმ კარლოიამო.

შე ქალო, ის შენი კარლოია კარლსონივით ხვარ ამოფრენილა შენს ბალკონზე, ხომ შენ უღებდი კარს-მეთქი.

– მე ვთქვი, ცხვარივით ბიჭია. ჩემთან ერთად ინგალა-

ციაზე დადიოდა. გამოვყრუვდი მარტო, დამლაპარაკებელი მაინც მეყოლება-მეთქი და შემოვუშვი. სიავეს ეს მაინც არ ჩეიდებს გულში-მეთქი. რავა ვიფიქრებდი... ეს უკვე მეოთხედ წასკდა ტირილი ნაზიკიას.

– რას რავა იფიქრებდი, ნაზიკო?! – ცოტა არ იყოს ხმამაღლა მომივიდა. ჩანს, ნერვებმა მიმტყუნა. თანაც ძალიან მიკვირს მე რატომ შემიყვანა ნაზიკიამ ასე უბოდიშოდ და უცერემონიოდ თავისი ცხოვრების ბობოქარ მდინარეში.

ჩემი გაჭირვება არ მყოფნის?

არ დაგიმალავ, ვერც ვიფიქრებდი, თუ რამე შეეძლო, საერთოდ, ამ მუდოს, ამ თხუნელას ამასო; ისე გულწრფელად, ისე ალალად მეუბნება ნაზიკია, რომ ვიწვი მისი საცოდაობით.

კაი ახლა, ნაზიკო, თავს ნუ იშტერებ. რომ შეატყვე რო შემძლე იყო, რატომ არ უგანე მაშინ-მეთქი, კაი ახლობელივით ვეუბნები. ვინ მკითხავს მე ნაზიკიას აპეკუნობას.

რომ შევატყვე, მაშინ უკვე გვიან იყოვო, ნაზიკიამ.

ასეთ დროს დაზარალებულს უნდა აჰყვე ხვნეშა-ოხვრაში, მეტს რას იზამს კაცი ჩემს ადგილზე.

თანაც, ჯერ ერთი, არც კარლოს ვიცნობ და დასასვენებელი სახლის მეზობელი ნაზიკიაც იმდენად არ მიღირს, რომ თავი გევიგიჟო, ტანსაცმელი შემოვიხიო, ფიშტო გავტენო და კარლოიას ვდიო ტყეში, რავა გოუბედე შენ ნაზიკიას გაუპატიურება-მეთქი.

– ვერ მოგვსვლია კაი საქმე, ნაზიკო, – ჩემთვის დავილაპარაკე, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მივიდევი (ისე, როგორც აკაკი წერეთელს აქვს სასკოლო სახელმძღვანელოში) და მაგიდას იდაყვით ჩამოვეყრდენი – რატომღაც მაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ კარლოია ასე გაგვწირავდა, გახსოვს რავა იყო ყველაფერი?

– რავა არ მახსოვს, მთვრალი კი არ ვიყავი, – ფსლუკუნებს ნაზიკია.

– მოხდა ყველაფერი ბოლომდე?

– მოხდა, ალბათ, რა ვიცი, მე შიგნით არ ვიყურებოდი და...

– მანამდე არ იყავი კაცთან ნამყოფი ნაზიკია? – ვინ მკითხავს მე, მაგრამ რაღაც ჩემთვის უცხო სპორტულ-სადისტურმა ინტერესმა მიბიძგა ამ კითხვებისკენ. მაინტერესებს ყველაფერი ბოლომდე ვიცოდე. ეგებ მთლად განწირული არ ვყავართ კარლოიას.

– ვინ გგონივარ შენ მე?! – თვალები შემომანათა ნაზიკიამ, – კაცთან ნამყოფი რო ვყოფილიყავი, შენთან შემოვიდოდი ამ დილით?! – წამოდგა, ხელჩანთა და ხელთათმანები წამოკრიფა და თითის დაქნევით ჩამისხაპასხუპა – ვაი... ქალი არ ვიყო, თუ ეს შევარჩინო კარლოია დეგენერატს, კარლოია ხვადაგს, კარლოია მუტრუკს, კარლოია მოზვერს! (ამ უკანასკნელ შედარებაზე ხმას განსაკუთრებით აუწია). თუ ციხეში არ გამოვალპო, მიყუროს მაგ ყრუ-მუნჯმა, მაგ ოთხკუთხედმა ულაყმა მაგან! მაგნაირების ადგილი ოთხ კედელშია. რა უნდა მაგას გარეთ!

ეს მონოლოგი ოთახის ცენტრში, მარჯვენააწეულმა, ასტასია პაპანასიუსავით წარმოთქვა, შეტრიალდა და გავიდა. ლაპარაკ-ლაპარაკით მივყევი.

იქნებ-მეთქი, დაფიქრება ჯობდეს-მეთქი, იქნებ არ ღირდეს გახმაურება და შენი სახელის ქუჩაში გაჭენება, რაც უნდა იყოს, მაინც ახალგაზრდა ქალი ხარ-მეთქი. იქნება ექიმს ჩვენებოდი! ხანდახან აპკამდე ვერ აღწევენ ასე ნაუცბათევად, როგორც მამაკაცი გეუბნები-მეთქი, ეგება თითონ კარლოიას მოლაპარაკებოდი-მეთქი.

არაფერი მაქ მე საექიმო და კარლოია მუდოსთან მოსალაპარაკებელი, ჩემი საქმე მე ვიციო, ნაზიკიამ და თავის ოთახში არ შესულა, კიბე ჩაირბინა.

ნასაუზმევს, აბაზანის რიგში მდგარს, გამომძიებელმა ჩხობაძემ მომაკითხა. თუ შეიძლებაო, დირექტორის კაბი-

ნეტში შევიდეთ, წუხანდელი გაუპატიურების საქმეზე უნდა დაგკითხოთო.

კი მარა, აბაზანის რიგს რომ დავკარგავ, მე ვუთხარი, რა საჩქაროა, მივიღებ „ვანას“ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

რა დროს აბაზანაა, ბატონო, სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილიო, ჩხობაძემ.

მერე მე ჩევიდინე? მე ვუთხარი, ვინცხამ ჩეიდინა, ის მოძებნეთ, მე ვუთხარი.

წამობრძანდით, წამობრძანდით და თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა შეასრულეთო, გამომძიებელმა ხელკავი გამომდო და ისე მიმაცილა დირექტორის კაბინეტამდე.

დაკითხვა დირექტორის თანდასწრებით ჩატარდა.

ჩხობაძე მეკითხებოდა და შეკითხვიან-პასუხიანად იწერდა შავხაზებიან მწვანე ფურცლებზე, ყოველ შემთხვევისთვის ჯიბის მაგნიტოფონი „სონიც“ ჩართული ჰქონდა:

რამდენი ხანია, რაც კარლო გაიცანითო.

საერთოდ არ გამიცვნია-მეთქი.

როგორ? არ გინახავთო?

ნახვით ვნახე, ნაზიკიას აივანზე სამი დღე ზედიზედ თოჯინების თეატრის კუსავით გაუნძრევლად იჯდა-მეთქი.

გამარჯობას ხომ გეუბნებოდაო.

რამდენჯერაც გავყოფდი ფანჯარაში თავს, იმდენჯერ მომესალმებოდა. დღეში საშუალოდ შვიდ „გამარჯობას“ მეუბნებოდა-მეთქი.

აბა, მეტი კი არაფერია გაცნობაო. საეჭვო არაფერი შეგინიშნავსო?

კი... წვიმდა თუ არ წვიმდა, ძველებური, გრძელწვეტიანი ქოლგა ეჭირა ხელში-მეთქი.

სხვა? უაზროდ ხომ არ იცინოდა, ნაზიკოს უკანა ადგილებზე ხელს ხომ არ უსვამდა, ან კბილებს ხომ აღრჭიალებდაო.

ეგენი ბალკონზე ერთად გამოსული მე არ მინახავს-მეთქი. რაც შეეხება კბილების ღრჭიალს, არ გამიგონია-მეთქი.

შემთხვევის ღამეს ნაზიკიას ოთახში სინათლე რომელ საათზე ჩაქრაო.

ვერ გეტყვით, მე ადრე ვიძინებ-მეთქი.

იმ ღამეს ისე მკვდარივით როგორ დაგეძინებოდა, ქალის და კაცის სხვანაირი ქშენა, ან ერთი მოგუდული შეკივლება მაინც არ გაგეგონაო.

მკვდარივით ჩემმა მტერმა დეიძინა, გამეღვიძა ორჯერ-სამჯერ, ავდექი, ბოდიში მომითხოვია, ჩემი კაცურ-პროსტატული საჭიროებისთვის, მაგრამ წყლის ლიკლიკისა და ეული შაშვის სტვენის გარდა, რამე საეჭვო, მით უმეტეს სექსუალური ხმა, არ გამიგონია-მეთქი.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს მომაკითხა ნაზიკიამ. აშკარად აღელვებული იყო, მაგრამ მარჯვენა ყვრიმალზე ნერვი არ უთამაშებდა.

მეო, სააკაშვილამდე რომ დამჭირდეს მისვლა, ჩემსას მაინც გავიტანო. ჩალით არაა ეს ქვეყანა დახურულიო. ჩემი სიმართლე არ დაიმალებაო. ორი დღეა ხან რაიონის ცენტრში ჩამიყვანეს, ხან ქუთაისს მიმაყენეს ექსპერტის კარზეო. ექიმმა საქალწულო აპკის დარღვევა ქე ჩამიწერა, მარა სხეულზე რამე ძალადობის კვალი ვერ აღმომიჩინაო, მეტი ძალადობა რა გინდათ, აპკი ხომ მაქვს დარღვეული, მაინცდამაინც უნდა ეკბინა მხარზე ან ხელები გადაემტვრია ჩემთვის-მეთქი? ვეკითხებიყენ გამომძიებელს. რა ვქნათო, ამ საბუთების მიხედვით პროკურორმა დაპატიმრების სანქცია არ მოგვცაო. ოცდაოთხი საათი ჰყავდათ პოლიციაში ის მუდუ და ქე გოუშვიათ წუხელის. იქნებაო, გამომძიებელმა, თქვენ ერთმანეთში მეილაპარაკოთო. შენმა ჩვენებამ დამღუპა ყველაზე მეტადო. მე მითხრა ნაზიკიამ. რა იქნებოდა, პატარა შელაპარაკების მსგავსი ან ყრუ ბრაგუნის მსგავსი რაღაცა დაგეწერა. ხელმოსაკიდი ექნებოდა გამოძიებასო.

რა ვქნა, ჩემო ნაზიკია, მე რაც ვნახე და გევიგონე, ის ვუთხარი გამომძიებელს. ტყუილს ვერ ვიტყოდი და ვერავის

ცოდვაში ვერ ჩავდგებოდი. ცოლ-შვილის პატრონი ვარ მეც და ეგეც არ იყოს, კაცი ვარ. ყველას შეიძლება ადრე თუ გვიან ასეთი ამბავი შეემთხვას-მეთქი.

გაუპატიურების ამბავი გამომძიებლის მოსვლამდე იცოდა მთელმა დასასვენებელმა სახლმა.

ჭორი ზვავივით ასკდებოდა დახავსებულ კედლებს, №1 სამკურნალო წყაროს ჩამომსხმელ პერსონალს, სააბაზანოს, სასადილოს, კლუბს და ქოხ-სამკითხველოსაც კი, სადაც წინა თვის გაზეთები ელაგა და ჩრჩილისგან შეჭმული ლამის მკითხველმიუკარებელი წიგნები.

ქოლგიან-ულვაშიანი კარლო იმ დღიდან გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან.

ჩემთვის ნაზიკიას რომ არ ეთქვა, ვერც მისი დროებით დაკავების ამბავს გავიგებდი.

რაც შეეხება ნაზიკიას, დადიოდა ჭორ-მართლის ნაცრისფერი ბურუსით შებურვილი.

ჭორი ორად იყო გაყოფილი:

უმეტესობა ნაზიკიას ამტყუნებდა, მცირე ნაწილი კარლოიას ადანაშაულებდა, მაგრამ, როგორც შევატყვე, გულგრილი ამ საქმისადმი არავინ დარჩენილა.

და საერთოდ, ნაზიკიას ამბავი რომ არ მომხდარიყო, მე ვფიქრობ, გაუსაძლისად მოსაწყენი, თუ გნებავთ, აუტანელი გახდებოდა „ზეკარის“ ცხოვრება.

ნაზიკოს სიუჟეტმა დამსვენებელთა (გნებავთ ავადმყოფთა) ყოველდღიურობას აზრი მისცა, სიცოცხლე შემატა, დრამატიზმით აღავსო და პოლიტიკაზე ერთფეროვანი კამათის რელსებიდან სექსუალურ საუბრებზე გადაიყვანა.

თვით გაუპატიურებული მკაცრი იერით, თავაწეული დადიოდა.

სადაც გამოჩნდებოდა, დამსვენებლები საუბარს წყვეტდნენ, წელში იმართებოდნენ (ვის რამდენადაც შეეძლო), მოწიწებით ესალმებოდნენ და თანაგრძნობიანი თვალებით აცილებდნენ.

ნაზიკიას მინერალურ წყალსაც ურიგოდ ალევინებდნენ. არც ექიმთან ალოდინებდნენ და აბაზანის რიგსაც უყოყმანოდ უთმობდნენ.

მიმტანები რომ მიმტანები არიან, იმათაც კი თვალისდახამხამებაში მიჰქონდათ ნაზიკიას მაგიდასთან კერძები და, ღმერთო შეგცოდე, როგორც შევატყვე (შეიძლება ვცდებოდე, თავს ვერ დავდებ) ცოტა მომეტებული რაოდენობითაც.

მი კი, მე პირადად, ერთი კერძო კაცი, ძალიან გამაწვალა გაუპატიურების სევდიანმა ამბავმა.

დამატარებდნენ როგორც „მთავარ მოწმეს“ გამომძიებლის, მოსამართლის და პროკურორის კაბინეტებში.

იყო პირდაპირი თუ ირიბი (გამჭოლი) შეკითხვების დასმა, იქამდეც კი, უნებურად, წაყრუებით შენ თვითონ ხომ არ შეუწყვე ხელი ნაზიკიას გაუპატიურებასო, კარლოიას თუ იცნობდი ადრეო, რაღა შენთან შემოვიდა პირველად დაზარალებული ნაზიკია და სხვასთან რატომ არ შევიდაო. და საერთოდ, შენ თუ გქონია შემთხვევა ცოლისთვის გეღალატაო.

ვიღას ახსოვდა კენჭებით სავსე ჩემი ბუშტი, წყლის დალევას დილით ძლივს ვასწრებდი, აბაზანის მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ნასაუზმევს მომაკითხავდა „პატრული“ და საღამომდე ნაზიკიას საქმით ვიყავი დაკავებული.

მოსვენება დავკარგე. დასვენება-მკურნალობის ნაცვლად ჩამოვხმი კაცი და თუ დიდი ვაივაგლახით ჩავიძინებდი – სხვა არაფერი მესიზმრებოდა, ნაზიკიას და კარლოს ურთიერთობის სავალალო სურათების გარდა.

ქუთაის-ბაღდათში სიარულს კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ წელში მაკანკალებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ დაზარალებულს ადვილი შესაძლებელი იყო საქმე თბილისში გადაეტანა და, რასაკვირველია, მე, „მთავარ მოწმეს“, თბილისში ხშირი ჩასვლა-ყურყუტი მომიწევდა.

ნაზიკიას გაუპატიურების მეთერთმეტე დღეს ბაღდათის პოლიციიდან დაბრუნებულს გაოცებისგან გული კინაღამ საგულედან ამომივარდა.

ნაზიკიას აივანზე კარლო იჯდა.

იჯდა როგორც მაშინ, გაქვავებული, გამოხუნებულშლიაპიანი, გრძელი მონაცრისფრო პლაშის შიგნით მწვანე კვართის საყელოს ქვეშ ძველმოდური, წვრილი, წითელკოპლებიანი ჰალსტუხი უჩანდა.

დასასვენებელი სახლი „ზეკარი“ იდუმალ სიჩუმეს მოეცვა.

დამსვენებლები მოჩვენებითი თვალარიდებით ჩაუვლიდნენ ნაზიკოს აივანს და წყაროსთან ნაბიჯს უჩქარებდნენ, რომ ჭორსდანატრებული ავადმყოფებისთვის ახალი ამბავი ეცნობებინათ.

კიბეს რომ მივადექი, გაუპატიურების ოსტატი – კარლოია, რასაკვირველია, წამოდგა და მოწიწებით მომესალმა: „გამარჯობა, ბატონო“.

არ მახსოვს, თავი დავუქნიე თუ არა კაცს, რომლის უნებლიე თუ ნებლიე საქციელმა ლამის სისხლი გამიშრო და სიმწრით გამოწერილი დასვენება ჩამაშხამა.

დილით ჩემს აივანზე ქურდივით ტრუსისამარა გასულს რკინის რიკულზე მიყუდებული ქოლგა მეცა თვალში და გულში სითბო ჩამეღვარა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაზიკიას საქმეს თბილისის სასამართლოებში გაგრძელება არ ეწერა.

რას მერჩოდი

ჩიმჩონია ხარაბაძემ ზღვას გახედა.

ლურჯად მოლივლივე ზღვას ერთადერთი თოლია აწყდებოდა.

აფრინდებოდა მაღლა, შურდულივით დაეშვებოდა, ულამაზეს ფრთა-მკერდს წყალს გაუსვამდა და ისევ ჰაერში აიჭრებოდა.

თეთრ ქვიშაზე გამწკრივებული თოლიები ყურადღებით შესცქეროდნენ იმ ერთადერთ მონავარდე თოლიას.

„საოცარია, თითქოსდა იმისთვის ამოვარდა გუშინ ქარიშხალი... და ზღვა კინაღამ გადმოაბრუნა, ჩვენი გემი რომ დაღუპულიყო“ – გაიფიქრა ხარაბაძემ და ქოქოსის პალმის ნაყოფიდან კაჟქვით თეთრი გულის ამოფხეკა განაგრძო.

ტურისტული გემი „ამიგო“ გუშინ, შუადღისას ჩაიძირა.

აქაფებულმა, გადარეულმა ოკეანემ ჩიმჩონია უკაცრიელ კუნძულზე გარიყა.

შუაღამისას მოვიდა გონს ტანსაცმელშემოფლეთილი, ნაწამები ტურისტი.

თავდაღმა ეგდო ქვიშაში და ხელთ ნეილონის ლურჯი, ასე, ორმეტრნახევარი სიგრძის ნიჩაბი ეჭირა. ნავის ნიჩაბს ერთადერთი ლათინური ასო „რ“ ეწერა.

თავი ძლივს წამოწია და პირველი, რაც მთვარის შუქზე გაარჩია, ნიანგის უშველებელი ხახა იყო. ეტყობოდა, ნიანგი დიდხანს დარაჯობდა მსხვერპლს და სწორედ რომ მის გაღვიძებას ელოდა. ხარაბაძეს ცივმა ოფლმა დაასხა. ნეილონის ნიჩაბი მთელი დარჩენილი ძალით ჩათხარა ნიანგს პირში და გაიქცა.

ნიანგი არ გამოჰკიდებია. რატომ? ვერ გეტყვით.

ღამე ზღვის პირას, ორ კუნძს შორის გაატარა.

კუნძები ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან რომ ძლივს ჩაეკვეხა, ორი მხრიდან მაინც ვიქნები დაცულიო.

შიგადაშიგ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეძინა.

გათენდა თუ არა, წამოჯდა, გაიზმორა და აქლემის კუზე-ბივით მორგებულ კუნძებს მკლავები გადაადო.

მოეჩვენა, რომ კუნძები ამოძრავდნენ.

განზე გახტა და ახლაღა შეამჩნია, რომ წუხელის თურმე ორ გიგანტურ კუს შორის ეძინა.

ბაობაბის სპილოს კანივით სქელ, დამსკდარ-დარღვეულ ტანს მოეჭიდა და კარგა ხანს იჭაპანწყვეტა, ხეს წვერზე რომ მოჰქცეოდა.

აქედან მთელი კუნძული ჩანდა.

თეთრი ქვიშით და ლურჯი ანკარა ზღვით შემორკალუ-ლი კუნძული დიდი არ იყო. დილიდან საღამომდე ძუნძულით შემოურბენდა კაცი. კუნძული უღრანი ტყით იყო დაფარული და არსად ჩანდა ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალი – სახლი კი არა, თუნდაც პაწაწინა ქოხი და, რაც უფრო სავალალო იყო, კვამლიც არსად ამოდიოდა.

„ახია ჩემზე“, გაიფიქრებდა თუ ხმამაღლა იტყოდა ამ ფრაზას ქუთაისის რძე-ყველეულის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მრჩეველი ჩიმჩონია ხარაბაძე, ამას ახლა მნიშვნ-ელობა არ აქვს, იგი ხომ უკაცრიელ კუნძულზე იყო. უკაც-რიელ კუნძულზე კი, გინდა იყვირე და გინდა ყირაზე გადადი, შენი დამნახავ-გამგონი არავინაა.

ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ რომ, ხარაბაძეს არავინ დაუდანაშაულებია საკუთარი თავის გარდა. არც მეზობელი, რომელმაც ურჩია: „ვისთვის კუჭავ ამ ორ კაპიკს მუთაქაში, შვილი შენ არ გაწუხებს და ძირი, ერთხელ ხომ მაინც უნდა შემოხედო ქუთაისს შორიდან, წაი საზღვარგარეთ, პატარა თვალი გაახილე, გულს გადააყოლებ, სხვა კაცად მობრუნდე-ბიო“.

„ისე მობრუნდა ჩემი დამაწყევარი, მე რომ აქედან მოვ-ბრუნდები“, ცრემლი მოადგა ჩიმჩონიას და ბაობაბის გრილ კანს შუბლი მიადო.

ბარემ აქვე ვეტყვი მკითხველს, რომ ტურისტული გემი „ამიგო“ ძლიერი შტორმისაგან შუაზე გადატყდა და ჩაიძირა 427-ე “ბ“ პარალელზე 2001 წლის 3 აპრილს.

გემი მადაგასკარიდან სეიშელის კუნძულებისკენ მიცურავდა.

ჩემთვის ეს ამბავი განსაკუთრებით სავალალო იმიტომ გახლავთ, რომ „ამიგოზე“ სხვა ტურისტებთან ერთად ქუთაი-სის მკვიდრი ჩიმჩონია ხარაბაძე იმყოფებოდა, თორემ რამ-დენი გემი ჩაძირულა (და იძირება ახლაც, ჩვენ რომ არ გაგ-ვიგია და მით უმეტეს, ნოველის თემად არ გაგვიხდია).

კაცი, რომელიც ახლა ბაობაბის ხის ტოტზე იდგა და სევ-დაჩამდგარი თვალებით ოკეანეს გადაჰყურებდა, საშუალოზე მაღალი, თაფლისფერთვალება, მეჩხერკბილება, დიდთავა, ვიწრობეჭება და გიდელმუცელა გახლდათ.

რიონზე ნასწავლი მხარული იცოდა, შარვლის გაუთოება შეეძლო, მიტინგობიის დროს ერთხელ ჯგლეთაში მოხვდა და რეზინის ჯოხიც იგემა ქედ-კისერზე, მაგრამ ახლა რომ დღე-ში ჩავარდა, ასეთი დღე არ დასდგომია.

ახლა ვაი-ვიშის დრო არ იყო; პირველ რიგში ღამის გასათ-ევი უნდა ეპოვა, რადგანაც პირღია, უშველებელი ნიანგის სიახლოვეს, ან თუნდაც გიგანტურ კუთა შორის თვლემა დას-ვენების საეჭვო იმედს უსახავდა ისედაც ამღვრეულ გულში.

ხიდან ჩამოსულს ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მარცხნივ ლიანებს შორის უდაბნოსფერი მორი შენიშნა. მიუახლოვდა და შიშისგან გაქვავდა. უზარმაზარი მაიმუ-ნიყლაპია გველი მიიზლაზნებოდა მწვანე ბალახზე. „ჯუნ-გლების მეფეს“ თავი ბანანის ბუჩქის ძირას ედო და ტანს მიიგრეხ-მიიკეცავდა.

ხარაბაძეს „რობიზონ კრუზო“ წაკითხული ჰქონდა, პოპ-ულარული იტალიური კინოკომედია „სინიორ რობიზონიც“ არაერთგზის ნანახი, მაგრამ ლოტოსის ფოთლებშემოვლე-ბული და ისლით დახურული ბამბუკის ქოხის კეთებას არ შესდგომია.

ნიანგებით, ანაკონდებით, აბეზარა მაიმუნებით, ორთა-ვიანი სვავებით და მარტორქებით სავსე ჯუნგლებში ლერ-წმის ქოხის იმედზე ყოფნა თვითმკვლელობად მოეჩვენა და არცთუ საქებარი სიტყვები მოადგა ბაგეზე დანიელ დეფოს და უფრო მეტად „სინიორ რობიზონის“ მეტიჩარა დამდგმელ-რეჟისორის წინააღმდეგ.

კარგა ხანს იხეტიალა და ზღვის მიერ ჩამორეცხილ კე-დელზე, ლამის ჰაერში დაკიდებულ ფესვებს შორის, გამოქვ-აბული აღმოაჩინა.

სწორედ ის იყო, რასაც ეძებდა.

გამოქვაბული ზედ წითელქანოვანი კლდის შუაში გამოე-ჭრა ბუნებას.

ქვემოდან ვერ მიუდგებოდი, ფესვს უნდა მოსჭიდებოდი და ზემოდან ჩაგეღწია.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ოთხფეხა მტაცებელი ვერ შეგაწუხებდა. რაც შეეხება მაიმუნებს, ფესვზე ჩასრიალება და წყალმცენარეთა საქანელაზე ქროლვა-ტრიალი მათი ხე-ლობაა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩვენს გმირს მაიმუნების რატომღაც არ ეშინოდა. რიდი კი ჰქონდა, რასაკვირველია.

გამოქვაბულში წვეტიანი, სიპი ქვა იპოვა და გარეთ კლდე-ნაშალზე საფეხურები ამოჭრა. ახლა უფრო იოლად შეეძლო მაღლა ამოსვლა.

პიჯაკს სარჩული გაურღვია და სახელოებით ყელთან განასკვა. მშვენიერი ზურგჩანთა გამოუვიდა. ზღვის პირას ჩავიდა და ორ გზობაზე სხვადასხვა ზომის ქვები, კაჟის ნა-ტეხები, ნიჟარები, სირაქლემას ძვლები და ფრინველთა ფრთ-აბუმბული ამოიტანა.

„ჭურჭლეულობა“ კედლის გასწრივ დაალაგა. მერე მწვანე, ჯერ დაუმწიფებელი, მაგრამ გაჭირვების შემთხვევაში საჭმელად ვარგისი ბანანი მოკრიფა, დიდხანს არხია ქოქოსის პალმა, მაგრამ ვერ ჩამოაგდო კაკალი.

ბამბუკის ორი ჯოხი ერთმანეთს გადააბა ხვიარას ფესვებით, თავზე ბამბუკისვე კაუჭი მიამაგრა.

ამ იარაღით ნებისმიერი ნაყოფის მოპოვება შეეძლო.

ანანასსაც მიაგნო, მაგრამ მუჭის სისხოც არ იყო. ერთი ანანასი მოწყვიტა, კაჟიანი ქვით შუაზე გაგლიჯა, მაგრამ მწკლარტე ეჩვენა, სამაგიეროდ ჯუნგლებში პაპაიაც (ველური ნესვი) აღმოაჩინა და შიმშილით სიკვდილს ხელი დაუქნია.

„ხორაგეულით“ რომ „გაავსო ბინა“, ლერწმისგან საწოლიც გაიკეთა და ზედ საბან-ზეწრად ბანანის და ლოტოსის ფოთლები შვიდფად გააწყო.

სასმელი წყლის პრობლემა ჯერ ვერ გადაწყვიტა, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდა. არ შეიძლება ჯუნგლებში წყარო არ იყოს, ქოქოსის კაკლიდან წვენს გადმოვღვრი, კანაფის თოკის თასმებს გავუკეთებ და მათარად გამოვიყენებ. „მათარებს“ წყლით გავავსებ და ერთ ჩამოსვლაზე ხუთ ლიტრს მაინც ამოვიტანო.

ამასობაში დაღამდა კიდეც.

დაღლილი მიწვა და ზღვის შრიალში მალე ჩაეძინა.

შუაღამისას საეჭვო ხმაურმა გააღვიძა.

გამოქვაბულში ვიღაც იყო.

სიბნელეში ორანგუტანგის ზურგის მსგავსი რაღაც დალანდა. დაუპატიჟებელი სტუმარი პირს აწკლაპუნებდა. აშკარა იყო, ხარაბაძის მიერ სიმწრით მოგროვილ ხილეულს შეექცეოდა, ხოლო ქვანიჟარებს, როგორც საჭმელად გამოუსადეგარს, ხელუკუღმა ყრიდა.

ჩიმჩონიამ თვალები დახუჭა.

„ბანანს რომ მოათავებს, ალბათ შემჭამს“, – გაიფიქრა უიღბლო ტურისტმა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

როგორ უნდოდა, ღმერთი ყოფილიყო ქვეყანაზე და, თუნდაც ამ ერთხელ, ყოველივე სიზმრად ექცია.

როცა ურჩხული მიუახლოვდა და მისი საზარელი ქშენა ზედ ყურთან მოესმა, ჩიმჩონია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბედისწერო სიცხადეს სიზმრად გადაქცევა არ ეწერა.

თვალები დახუჭა და თავი მოიმკვდარუნა.

თავის მომკვდარუნება ერთადერთი გამოსავალი იყო, რაც ახლა უიღბლო ტურისტს შეეძლო.

ბავშვობაში გაეგონა, ნადირთა უმეტესობა მკვდარს არ ეტანება, ზოგი კი პირიქით, მხოლოდ ლეშს მიირთმევსო.

ხომ შეიძლებოდა, გამოქვაბულში შემოხეტებული მხეცი სწორედ რომ ლეშიჭამია გამომდგარიყო, ან იმდენი გუმანი მაინც ჰქონოდა – მკვდარი ცოცხალისგან გაერჩია.

ახლა ამის ფიქრის დრო არ იყო.

დაუპატიჟებელი სტუმარი ხარაბაძის მარჯვენას დასწვდა და ღონივრად ასწია.

ჩიმჩონიამ იგრძნო, რომ მისი ხელი თით-ბრჭყალებიან ღონიერ ხელს ეჭირა.

როცა მხეცმა ოდნავ შეუშვა, ხარაბაძემ მარჯვენა მოწყვეტით ჩამოაგდო, აქაოდა და მკვდარი ვარ, ამა ქვეყნისა არა მეყურება რაო.

კარგა ხანს სათითაოდ წევდა და უშვებდა სტუმარი ჩიმჩონიას ხელებს და ფეხებს.

„იქნებ მთლად განწირული არა ვარ, იქნებ როგორც შემოვიდა, ისე გავიდეს, სხვა გამოქვაბული მოძებნოს. გამოქვაბულების მეტი რა იქნება ამ კუნძულზე“, – ელვის სისწრაფით მუშაობდა წყალწაღებული ტურისტის გონება, მაგრამ იმედის მობდღვნილი ხავსიღა შერჩა ხელთ, როცა „სტუმარი“ ხარაბაძის გვერდით წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა.

„მკვდარმა“ მთელი ღამე თვალდახუჭულმა გაათენა.

გამოქვაბულში ციაგი რომ გაკრთა, გაბედა თვალის გახელა. ნელა, გაუბედავად გააპარა მზერა, მერე კისერი შეაბრუნა და, როგორც შეეძლო, შეათვალიერა.

ჩიმჩონიას გვერდით ადამიანის მსგავსი არსება იწვა.

დაკუნთული ტანი ნეკის სიგრძე ბალნით ჰქონდა დაფარული. ტანის სიგრძე ღონიერი ხელები თავზემოთ გადაეწყო და გაბურძგნილი თმა-წვერი ცხვირ-თვალებზეც ჩამოჰფარვოდა. პირღია სუნთქავდა და წინ წამოწეული ქვედა ყბიდან თეთრი, თოხივით კბილები მოუჩანდა.

თავ-პირზე მორეული თმის და მაღალი, წინ წამოწეული ყბის გამო ჩიმჩონიამ დაასკვნა, რომ „სტუმარი“ მამრობითი სქესისა იყო. „თუმცა, რა მნიშვნელობა აქვსო, ძუ რომ აღმოჩნდეს, რა შეღავათია“.

ისე კი, სულო ცოდვილო, გულის სიღრმეში მაინც სურდა, ორანგუტანგი დედალი აღმოჩენილიყო, მაგრამ წელს ქვემოთ რომ ჩაატარა მზერა, ეს იმედიც საბოლოოდ და ფრიად დამაჯერებლად გადაეწურა. „იქნებ, სანამ გაიღვიძებდეს, გავასწრო, ა“, – გაიფიქრა ხარაბაძემ და წამოჯდა იმაში დასარწმუნებლად, რომ კაც-მაიმუნს ღრმად ეძინა.

პირსახეს დაადგა მზერა იქ, სადაც მხეცს თვალები უნდა ჰქონოდა. სიმწრისა და მოულოდნელობისაგან გააჟრჟოლა. დაფანჩულ წარბებს ქვემოთ უიღბლო ტურისტს ველურის ორი სრულიად ფხიზელი, ცნობისმოყვარე თვალი შესცქეროდა.

„ჩვენ ბოდიში“ და ისევ თავის მომკვდარუნება გვიან იყო.

ოპერაცია „გაპარვა“ ჩაიშალა.

ბედს მიენდო ჩიმჩონია ხარაბაძე. რაც იქნება, იქნებაო, გაიფიქრა, შემჭამს, მეტს რას მიზამსო და ამ ფიქრმა, ცოტა არ იყოს გაბედულობა შემატა.

მთელი დღე ერთად დაჰყვეს.

ჩიმჩონია ხილს აგროვებდა, წყალს იმარაგებდა, წვეტიან ქვებს და კომბლებს ეძებდა და, თითქოსდა, ვერ ამჩნევდა ორმეტრიან ველურს (როგორი ვერშესამჩნევია), რომელიც

ყოჩაღი შეგირდის ერთგულებით იმეორებდა მის თითოეულ მოძრაობას.

მიმალვის საშუალებას აძლევდა კი არა, ნაბიჯზე არ შორდებოდა და როცა ხარაბაძემ, რაღა ნიანგის მსხვერპლი გავხდე, ისევ გამოქვაბულში გავათევ ღამესო, გადაწყვიტა, სტუმარი ეცა, თავის ხორაგ-იარაღიანად ხელში აიყვანა და კლდის ნაპირზე ხტომა-ხტომით, ციმციმ დააბრუნა გამოქვაბულში.

„ეს ჩემი გამშვები აღარ არის. რატომ გამიშვებს რა, მოშივდება და შემჭამს“, – ფიქრობდა ჩიმჩონია და თავის დღევანდელ ნადავლს ველურს ერთგულად ულაგებდა წინ, აქაოდა, იქნებ გემრიელად ივახშმოს, ადამიანის ხორცი ამაღამ მაინც არ მოეგუნებოსო.

შუაღამისას წამოიწია.

ველურს ღრმა ძილით ეძინა.

ფორთხვით მივიდა კედელთან.

გამოქვაბულს ოდნავღა ანათებდა მთვარის შუქი კი არა, ცისა და ზღვის ციაგი.

ახლაღა გაახსენდა, ამ ორი დღის განმავლობაში კუნძულზე მთვარე საერთოდ არ შეუმჩნევია.

კედელთან მიჩოჩდა.

კომბალი მოძებნა.

კაჟქვებს შორის ყველაზე მძიმე და ბასრპირიანი ხელით მოსინჯა.

კანაფის თოკით მიაბა კაჟქვა კომბალზე.

მერე მძინარეს ჩოჩვით მიუახლოვდა. ქვის ნაჯახი ორივე ხელით ჩაბღუჯა, უკან გადასწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა.

ველურმა დაიღრიალა და გასასვლელის ნაცვლად კედელს შეასკდა.

ჩიმჩონიას სხვა არაფერი დაუნახავს. დაჭრილი ღრიალებდა და კედელს მუშტებს უღერდა.

ჩიმჩონია ელვის სისწრაფით გახტა გარეთ.

საფეხურებით მაღლა ასვლაზე არც უფიქრია, უკანალით ჩასრიალდა.

კლდის ქიმს წამოედო, რამაც წამის მეათედამდე შეაყოვნა, ფეხები წინ გაიშვირა და მორივით ჩაგორდა.

ხათქუნ-ხათქუნით ეშვებოდა ქვებზე და გონებას იმიტომ არ კარგავდა, რომ მუხლი საშინლად სტკიოდა. ბოლოს ქვიშაზე მოადინა ზღართანი და წამებაც დამთავრდა.

კარგა ხანს გაუნძრევლად ეგდო.

ეგონა, არც ერთი ძვალი მთელი აღარ ჰქონდა.

სადღაც, სულ ახლოს შრიალებდა ზღვა და დამტვრეულ-დალეწილმა ჩიმჩონიამ იმდენი მოიფიქრა, რომ ვაივაგლახით გაფორთხდა ზღვისაგან გალოკილ, უშველებელ ქვამდე და სველ კენჭებზე გაგორდა.

ახლა იგი ქვას ზღვის მხრიდან ეფარებოდა.

ზღვის მლაშე წყალი დროდადრო სახეზე გადაევლებოდა ხოლმე.

თავიდან ფეხებამდე გალუმპულს ფეხები კლდეზე ჰქონდა მიბჯენილი, რომ ღონიერ ტალღას ტანქვეშ ხრეში არ გამოეცალა და თვითონაც რწევა-რწევით არ გაეტაცა.

ველურის ღრიალი აღარ ისმოდა.

ერთი-ორჯერ სულ ახლოს გაშლიგინდა მდევარი.

ეს იყო სულ.

ახლოს არ მოსულა.

გატრუნულ ჩიმჩონიას თავისივე სუნთქვისა ეშინოდა.

როგორც იქნა – გათენდა.

ღელვისგან განსხვავებული ჩქამი რომ მოესმა და დაგორებული კენჭი მკერდზე დაეცა, ჩიმჩონიამ მაღლა აიხედა.

სულ ახლოს, ორიოდე მეტრში, ქვაზე ველური იჯდა.

მხარზე, ლავიწის ძვალთან, შემხმარი სისხლი აჩნდა.

მდუმარედ, მაგრამ გუშინდელზე უფრო მკაცრად და მეტი ინტერესით დაჰყურებდა ნატურისტალს.

დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ველური წამოდგა.

ორი ნახტომით ჩამოქვიშავდა და წავიდა.

„ალბათ, დიდ ქვას მოიტანს და თავს გამიჭეჭყავს. ღირსიც ვიქნები“, – გაიფიქრა ხარაბაძემ.

მუხლი საშინლად სტკიოდა.

ველური ერთ საათში დაბრუნდა.

ჩიმჩონიასაგან სრულიად მოულოდნელად, მას ხელში ქვა არ ეჭირა.

წყალში შედგაფუნდა, ჭრილობა ზღვის წყლით მოიბანა. მერე ჩიმჩონიას მიუახლოვდა და ფეხებში მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა ღონივრად. ველურის გაუფრთხილებლობით.

„ვაი!“ – დაიძახა ტურისტმა. თუმცა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ „ვაი“ ველურის ენაზე შეიძლება სრულიად სხვა რამეს ნიშნავდეს, ვიდრე ყველა სხვა ცივილიზებული ხალხის ენაზე საერთოდ.

„ვაიმ“, თითქოსდა, შეაკრთო ველური.

ჩიმჩონიას ფეხებზე ხელი უშვა, წელქვეშ შეუცურა ფეხისსიგრძე მკლავები, დაკეცილი ნაბადივით შეიგდო მხარზე და გამოქვაბულში აიყვანა.

ფრთხილად დაუშვა ლერწმის საწოლზე და, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გავარდა.

ჩიმჩონიამ თვალი მოავლო გამოქვაბულს.

ახლომახლო არათუ ქვის ნაჯახი, არც ერთი კომბალი და კაჟი ქვა აღარ ჩანდა.

ველური მალე დაბრუნდა.

ხელებში ანანასის და პაპაიას ნაყოფით დახუნძლული დამსხვრეული ტოტები ეჭირა, ლამის ძირფესვიანად მოთხრილი ბუჩქი.

ხეხილი ახლოს დაუწყო ავადმყოფს. თვითონ კი იქვე ინახით წამოჯდა და მიაჩერდა.

„მიაშტერდა“ კინაღამ წამომცდა, მაგრამ ვერ ვაკადრე ვე-

ლურს, რომელიც ლამის თვალისდაუხამხამებლად, მორჩილი თანაგრძნობით, ნადირისთვის დამახასიათებელი მზრუნველობა-ერთგულებით და ათასი პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნით სავსე მდუმარებით ათვალიერებდა მის წინ გართხმულ, მუხლგაშეშებულ ჩიმჩონია ხარაბაძეს.

ვიცი, როგორ არ ვიცი, რას ფიქრობდა ჩიმჩონია, მაგრამ, რაკიღა არ ვიცი, რას ფიქრობდა ველური, მეტს აღარ გავაწვალებ ამ ჩემს მწირ გონებას და თხრობას აქ შევწყვეტ.

ასე აჯობებს, კი...

●

დავუსვი თუ არა ამ ნოველას წერტილი, ჩემს სიყმაწვილეში იმერეთში გაგონილი ერთი ანეგდოტი გამახსენდა და, რაკიღა მოთხრობილთან ცოტა კავშირი მაინც აქვს, თუ არ გეჩქარებათ, გიამბობთ:

ჭიჭიკია გზაჯვარედინთან მივიდა. წარწერა იუწყება: „მარჯვნივ წახვალ – მოგკლავენ, მარცხნივ წახვალ – მოგკლავენ, პირდაპირ წახვალ – ან მოგკლავენ, ან არა“.

„პირდაპირ“ გადარჩენის ცოტა შანსი მაინც არისო და პირდაპირ წასვლა ამჯობინა.

გაიარა ერთი კილომეტრი. წყაროსთან გველეშაპი წევს. „მოვიდა აღსასრული“, – ფიქრობს ჭიჭიკია.

გველეშაპი კეთილად უღიმის.

ხომ არ დაიღალე, ჭიჭიკიაო, ეკითხება.

იწვევს სუფრასთან.

რა გინდა, სულო და გულო.

იქეიფეს გემრიელად.

აბანოში პატიჟებს გველეშაპი. ნამგზავრი ხარ, მოგიხდებაო.

იბანავეს მშვენივრად.

გველეშაპმა ოქროები ჩაუჩხრიალა უბე-ჯიბეში. ვიცი, ქუთაისში ჭირს ცხოვრება და გამოგადგებაო.

მადლობელია ჭიჭიკია, მაგრამ მაინც ფრთხილობს.

ახლა, ნააბანოვარზე კარგია დასვენება და წოვუძინოთ პატარაო, გველეშაპმა.

ა, ახლა აპირებს ჩემს შეჭმასო, ფიქრობს ჭიჭიკია.

დააწვინა აბრეშუმის ქვეშაგებში სტუმარი გველეშაპმა, თვითონ იქვე ფერხთით კედელთან მიეგდო.

ჭიჭიკიას რა დააძინებს.

მოდი, დავასწრებო, გადაწყვიტა. აიღო პურის საჭრელი უშველებელი დანა და მოაჭრა თავი გველეშაპს. ერთი თავის მაგივრად გველეშაპს ორი თავი ამოუვიდა. ახლა ორივე მოაჭრა. ორის მაგივრად ოთხი თავი ამოუვიდა გველეშაპს.

ჭიჭიკიას ცივი ოფლი ასხამს. იცის, ეს ოთხი თავი რომ მოაჭრას რვა ამოუვა.

„რას მერჩი, ჭიჭიკია, არ ხარ ახლა შენ მოსაკლავი?“ – რომელიცხა პირით ეკითხება გველეშაპი და ყურს იფხანს.

ბაღდადური ცოლიკაური

სახლში რა დამაჯენს. სახლში ჯდომა სიკვდილია ჩემთვის.

მოვლენ სამსახურიდან და შეიყუჟებიან ბინებში.

ერთი იმის ტურად გადამაქცია, რა აქვთ ამდენი სალაპარაკო ოჯახის წევრებთან.

„დაბრუნდნენ სკოლიდან?“

„მე ხვარავინ მიკითხა?“

„საჭმელი გაქვთ რამე?“

ა, ეს შეკითხვები მაქვს ცოლთან, მეტი რა ვარკვიო.

პოლიტიკაზე დოვუწყებ ცოლს კამათს, ან, თუ გინდა, ფეხბურთზე? ჯერ ერთი, რა იცის მაგან და მეორე – სად ცალია საწყალს, მაქვასავით ბრუნავს დღე და ღამე.

ქუჩა სხვაა. ქუჩაში რომ ხარ, ცოცხლდები კაცი. რაღაცა საქმე გაქვს. ჩამვლელს სალამზე მაინც ხომ უნდა უპასუხოს ვინმემ. უცხო კაცს ავტობუსის გაჩერება ხომ უნდა მიასწავლოს ვიღაცამ.

მტრისას ქალაქი გაჩერებული კაცის გარეშე. ყველა რომ დაცუხცუხებს – ჭიანჭველების ბანაკია. ადამიანი იმიტომ ხარ ადამიანი, რომ ხანდახან უნდა გაჩერდე და ქვეყანას გადახედო.

ესეც არ იყოს, არ შეიძლება, ქუჩაში, რა გლახა დღეც უნდა იყოს, რაღაცა არ მოხდეს, რამე საინტერესოს არ წააწყდე, პატარა სალაპარაკო მაინც არ იშოვო მეორე დღისთვის.

მთლად უბრალო ამბავს გეტყვი. როდის იყო? ამას წინა პარასკევს არა, იქეთა პარასკევს, ახალშეღამებულზე, ვდგავარ ასე, სასტუმროსთან და აგურისფერი „ჟიგული“ გამიჩერდა ცხვირწინ. გადმევიდა ასე ორმოციოდე წლის

ბიჭი და სახვეწნი რომ ექნება კაცს რამე, იმნაირი სახით შემომაჩერდა.

ვერ ვიცანი, სიმართლე გითხრა.

მაპატიეთ, ბატონო, ერთი საჩოთირო სათხოვარი მაქვს თქვენთანო.

ბრძანეთ-მეთქი.

რას ვეტყოდი სხვას.

მე თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ შესახედავად, მინახიხართ ბევრჯერ აქანაო.

შესახედავად მთელი ქუთაისი მიცნობს, ალბათ. აქანა დავიბადე და აქანა დავბერდი მეთქი.

გაგიკვირდებათ, მარა უნდა გითხრათ მაინც ჩემი გაჭირვებაო. სიდედრი მყავს გლახათ. დილამდე, ეგება, ვერც გაატანოსო.

მერე მე რომელი პროფესორ-დასტაქარი მნახე, მე ვუთხარი.

ორ საავადმყოფოში ვიყავი და კაციშვილი ვერ ვნახე. სახლში წასულა ყველა ექიმი ჩემდა იღბლადო. მორიგე არ წამომყვა, დაჭრილებს ელოდებიან ხობიდანო. თუ არ გეწყინება, ჩავჯდეთ აგერ, წამომყევი, ვითომ ექიმი ხარ, ჩემი ოჯახობა მაგას ვერ მიხვდება და სიდედრს ამ ქვეყნის კაიხანია აღარაფერი ეყურებაო. მაჯას გოუსინჯავ, სიცხეს გოუზომავ და მეტს ნამდვილი ექიმიც არაფერს შვრება. ცოლის ჯაჯღანიდან ამომიყვან, მადლს იზამ, წლევანდელი დაწურული ცოლიკაური მაქვს, ბაღდადიდან მძახალმა ჩამომიტანა, თითო ჭიქას ვიტყვით, ჭად-ყველს გავტეხავთ და საათში, საათნახევარში მე თვითონ ამოგიყვანთ გნებავთ აქ და, გნებავთ, სადაც გაგეხარდებათო.

თავიდან, გითხრა სიმართლე, უარის თქმა დავაპირე, მერე ვიფიქრე: ვინ იცის, რა ოჯახობის პატრონია, ხომ შეიძლება, გარდაიცვალოს სიდედრი და ცოლს ეგონოს, უექიმობამ მოკ-

ლა-მეთქი. ხომ შეიძლება, ამ ნიადაგზე აყვნენ ერთმანეთს და ოჯახი დაინგრეს-მეთქი. წავალ, ცოდნას რავა დავამადლი კაცს, ბაღდადურ ცოლიკაურსაც დავაჭაშნიკებ-მეთქი. ერთი სიტყვით, დავთანხმდი.

ნინოშვილის ქუჩაზე გადავახვევინე, ჟორჟიკია ხახალეიშვილი და სულიკონა მებუკე ჩევისვით და გოვუყევით გზას.

ავადმყოფი სიდედრის პატრონი ბაკისუმელი მამაგეიშვილი აღმოჩნდა. იქვე ნაცხოვრება არხგაღმა, გიორგაძეების ბადრიჯნის ყანის ბოლოში.

მანქანის ხმა რომ გაიგონეს, სიდედრის თავმდგომები აივანზე გადმოდგნენ.

დოცენტი მევიყვანე, ოპერაციისთვის დავანებებინე თავი, მიხედე იქით საქმეს, ოთხ კაცზე გაშალეო, შეუკვეთა მამაგეიშვილმა ცოლს და სიდედრის ოთახში შეგვიძღვა.

ჯერ ტაბურეტზე დაწყობილი წამლები შევათვალიერე სათითაოდ, ეს კარგია, ეს რად უნდოდა-მეთქი, ჩავილაპარაკე, რავარც ექიმებმა იციან. მერე სიძეს მოვაყოლე, რა აწუხებდა ავადმყოფს. სიძეს იმიტომ, რომ ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ხოლო თვითონ ავადმყოფს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ენა წართმეოდა და ძლივს ფეთქავდა.

ასე და ასე და ასე და ასეო, ჩამოაჭიკჭიკა სიძემ. დარდით აღარ ვართ ხალხიო. მესამე წელია ლოგინზეა მიჯაჭვული, მარა ქე იყო კარგად, ამის ენას გაჩერებულს ვერ ნახავდითო. ეს სამი დღეა ჭამა შეწყვიტა და გუშინ საღამოს ცნობაც დაეკარგაო.

სიცილი კბილით მიჭირავს. არა და, მამაგეიშვილი უბედურ-ნახევარი ჰყავს გამჩენს. ისე გულწრფელად, მუდარით მეუბნება – შენი იმედი გვაქვს, ბატონოვო, რომ შემირცხვენია მესხიშვილის თეატრის არტისტები.

ჩემსას ვეცდები, ცოტა დაგვიანებული კია, მარა ცდას

არ დავაკლებ. თუ რამე ვუსაშველე, ხომ კარგი, თუ არა და ღმერთი რომ არ ვარ, ქე გეცოდინებათ-მეთქი.

ავადმყოფს მაჯა გავუსინჯე, სიცხე გოვუზომე (ოცდათოთხ-მეტი ჰქონდა), ხელები დავიბანე და სასტუმრო ოთახში გავედი.

ჟორჟიკია და სულიკო მაგიდას უსხდნენ ახლომახლო. შევედით თუ არა, ნარდი დაკეცეს და წამოდგნენ.

რავაა საქმეო, ჟორჟიკიამ.

თვალს არ ახამხამებს.

ჩემზე დიდი აფერისტი რავაა ყველა-თქვა, გულში გამეცინა.

თამადად მებუკე დავსვით. მოკლე სუფრებზე მებუკეს უკეთესად გამოსდის თამადობა.

მესამე-მესამე ბოთლს ვაყუმბარებთ, საათმა ის-ის იყო პირველისკენ გეიწია, რომ სიდედრის ოთახში ჩრდილები აფ-ათურდნენ.

წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე, ამ წუთში გეახლებით, ავადმყოფს დავხედავ, ხომ იცით, ჩემი პროფესიის ამბავი, ჩემს თავს არ ვეკუთვნი-მეთქი.

ჭირისუფლები მივწი-მოვწიე.

არ შეიძლება ასე, ერთად ნუ დაადგებით, ამას ახლა სიმშ-ვიდე და ჰაერი სჭირდება და საერთოდ, ამდენი ადამიანი ნუ ხართ ამ ერთ ოთახში, ზოგმა აივანზე მოიცადეთ, ან ჩვენთან გამობრძანდით სუფრაზე-მეთქი.

მოვკიდე ხელი მაჯას, ვიშვლიპე საათი. სადაა მაჯისცემა.

წუთში სამი დარტყმა არც კი აქვს.

გამოვედი ბიჭებთან და ზორგეს ჩურჩულით ვეუბნები თამადას.

– გადადი სულიკო დიდ ჭიქებზე, თვარა კვდება, მე მგო-ნი, ეს დალოცვილი-მეთქი...

ნუ გეშინია, ბატონო, მაგი მასეა მესამე დღეაო, მამაგე-იშვილმა.

მე რისი მეშინია, გულში ვამბობ, შენ გეშინოდეს, ხვალიდან ბრინჯზე და თევზზე რომ იქნები გასაქცევი-მეთქი.

პატარა ხანში მამაგეიშვილის ცოლმა გამოგვაკითხა.

კვდება, ბატონო ექიმო, გვიშველეთო.

ახლა არ ნახა ამ წუთში? ექიმმა უფრო იცის, თუ შენ უფრო იცი, რას შვრება, დაგვაყენეთ ცოტა ხანს, არ მოკვდება, ნუ გეშინიათო, სიძემ.

რაღაცა ოთხი სადღეგრძელო გვქონდა დარჩენილი. ვთქვით. დავამრგვალეთ სუფრა და ჭიშკარს რომ გამოვცდით, კივილი მოგვესმა.

ნირი არ წახდომია მამაგეიშვილს. სათითაოდ გადაგვკოცნა და გამოგვაცილა. თქვენს პატივისცემას ვერ გადევიხდიო, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, რაც დღე და სააათი ჩემს სიდედრს დააკლდა, ასჯერ გამრავლებულად შეგმატოთ გამჩენმაო. დასაფლავებაზეც უნდა დამაფასოთ, ბარეღამ ბოლომდე მეცით პატივიო. ჩვენი აწი ერთმანეთის დაკარგვა არ გამოვა ნამდვილადო.

ქელეხზე სხვა ღვინო ჰქონდა. იმასაც არა უშავდა, ოფშკვითური საფერე იყო, მარა ბაღდადის ცოლიკაური სულ სხვაა, მზის სუნი და გემო აქვს იმ დალოცვილს.

ქართველები

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო, შენს ნაწერებს, თუ სადმე წავაწყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე გულს არ ხვდება.

ასე მგონია, თქვენ მწერლები, ავი ფიქრებიდან ჩემს გამოყვანას, ჩემს გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.

კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.

შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: ნერვებდაწყნარებული, გალაღებული... რა ვიცი, რანაირი.

გული დამწყდა, წელან რომ ბრძანე, სადაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, აღარაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.

არ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.

მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქებული, ხალხის შვილი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გულის მოსაფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მეღადავები, შე კაი კაცო.

შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?

ვერ მოვიშორე, ბატონო, ვერა, დამარცხებულის სინდრომი.

ეს ოცი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.

რანაირად-მეთქი, კაცო, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწინ ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქების შემყურე. ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, მღვდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლ-დაგლახავდებოდა-მეთქი. შენ

რომ მწერალი ხარ, რაღაცა ისეთი იმნაირი მითხარი. შეუძახე შენს ერს, შეანჯღრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგება მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.

მე ისტორიკოსი გახლავარ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.

ერთი შედარებით ახალია, მეორე – უფრო ძველი.

ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთი-ორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.

ეტყობა, ვერ მოირგეს ენა-კალამზე.

მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეჟიმიანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუწყებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაირა შრომა-გასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებულ-ტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყე-ჭაობში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემა-ტყეპით მილალეს უკან, ბანაკში, იმ საღამოსვე გაასამართლეს და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავრდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკნიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახ-გადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა, – უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშეწყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენიისას, ასე 6-7 საათზე, უნდა მიყარონ კედელთან და დახვრიტონ.

შუაღამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარცი პატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმისჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა.

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთე-კიმა წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან. შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დავკარგე. რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიუერერთან“ გავვარდი. როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანეკში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი.

სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიჟდა, თურმე, გერმანელი: რა დროს სინდის-რევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შედეგად, ერთ რამეზე დაითანხმა: შებრუნდი კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენს გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგიწია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ღიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერეთ თქვენ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ, გაძაღლებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯსთვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში სწერია. ჟურნალმა „ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა 1962 წლის ნოემბრის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია:

მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგაღმა, ფაღავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფაღავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალხინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

სამასი წლის ამბავია.

თავადმა მელიტონ ფაღავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქმის გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს, ფაღავების ოჯახში ბიჭი დაიბადა.

გადარჩა ფაღავების სათავადო დინასტია. მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქვეს.

ორი წლისა, ჩვეულების თანახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს – კიწი გაბუნიას მიაბარეს.

კიწის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბისკბილა – ბოჩო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი – ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ჰყიდდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება, ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კიწი გაბუნიას მეუღლე – ღალღა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მომეტებულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფაღავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს ხუთმა თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გამოტოპა და კიწი გაბუნიას სახლს გარშემოეწყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღალღა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩაუსისინეს:

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფაღავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული. მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა გეტყვი.

ღალღას ბევრი არ უფიქრია, თავისი ბოჩო ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხა-მესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფაღავების საგვარეულო უმემკვიდროდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამაკონში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო რეზო, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსენება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს, იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს.

მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

ახლა კი დროა...

საიდუმლო პოლიციის სამსართულიანი შენობა გოლოვინის პროსპექტზე კავშირების სახლის უკან, მოფარებულში იდგა.

შენობა მიწის ზევით იყო სამსართულიანი, თორემ როგორც პატიმრობიდან თავდაღწეულნი ამბობდნენ (და ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ), სინამდვილეში შვიდსართულიანი გახლდათ.

მარტი იწურებოდა.

იქნებოდა ასე შუაღამის პირველი საათი.

კიბის დგამს გამობმული, თეთრგულა, შავი ნაგაზი კიპარისის ჩრდილს უყეფდა.

საიდუმლო პოლიციის მეორე (ბ) ქვეგანყოფილების ოთახში მაგიდას სამნი უსხდნენ.

განყოფილების გამგეს, ცალთვალა კიკნაძეს ბლანჟეში მოქცეულ თხელტუჩება პირს თმა ისე ჯიუტად უფარავდა, რომ პოლკოვნიკი ყოველი გაბოლების შემდეგ ჩიბუხის ტარით გულმოდგინედ ცდილობდა წვერულვაში იმდენად მაინც გადაეწია, რომ ჩიბუხი თავისუფლად შეეჩურთა პირში.

ოპერრწმუნებული გვალაძე მოტვლეპილ თავზე ცხვირსახოცს წამდაუწუმ ისვამდა. ამ საქმეს რომ მორჩებოდა, სათვალეს მოიხსნიდა, ცერა და საჩვენებელ თითებს ორივე თვალზე გამეტებით მიიჭერდა, ბოლოს სათვალეს დაორთქლავდა, კიტელის სარჩულით გულმოდგინედ გაწმენდდა და ისევ მოირგებდა არწივისებურ, ბარაქიან ცხვირზე.

პორუჩიკი ხვადაგიანი მაგიდას ორივე იდაყვით დაყრდნობოდა და ჯაყვის ბასრი წვერით ფრჩხილებს იწმენდდა.

– ბატონებო, – დაიწყო კიკნაძემ, – ბრძანებაა, ვარამ ხარაძეზე უნდა გავიდეთ.

– გასული არ ვართ? ხუთი თვეა დამუშავებაშია, – თქვა გვალაძემ.

– ამ ბოლო დროს თავს ძალიან გაუვიდა. ქმედით ზომებს უნდა მივმართოთო, უფროსმა.

– ბატონო პოლკოვნიკო, მე მაგას შარშანაც გეუბნებოდით. – ხვადაგიანმა ჯაყვა დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

– ვნახოთ გუშინდელი ჩანაწერი, – კიკნაძემ მიკროფონს ჩასძახა, – გესმის? ხარაძე ჩართე!

მონიტორზე მიტინგი ჩაირთო. ვარამ ხარაძემ ჯერ ტერიტორიების დაკარგვაზე, ენისა და სარწმუნოების მიმართ ჩადენილ ბარბაროსობაზე ილაპარაკა, მერე ერთპარტიულ არჩევნებზე გადავიდა და ასე დაამთავრა:

„ძირს მოძალადე ხელისუფლება!“

„ძირს უსამართლო სასამართლო!“

„აღვადგინოთ ეროვნება საბუთებში!“

„უარი ქართული ენის გამქრობ და ეროვნული ძეგლების ამღებ ჩინოვნიკებს!“

მონიტორი გამოირთო.

– მდაა – ხომ ხედავთ, თავისას არ იშლის, – კიკნაძემ ისე ამოაფრქვია ლურჯი ბოლი, რომ ჩიბუხი პირიდან არ გამოუღია. ალბათ პირის მოძებნა შემდეგი ნაფაზის დროს რომ აღარ დაჭირვებოდა.

– მძიმე სურათია, – თქვა ხვადაგიანმა და ფანჯარას შეხედა, – წაიღო ამ ძაღლმა ყური, როცა ქარია და ჩრდილი ირხევა, მომენტს არ უშვებს დაუყეფავად, რითი არ ბეზრდება, გაოცებული ვარ პირდაპირ.

– შენ საქმე არაფერი გაქვს, ხვადაგიანი? ძაღლის ყეფა გვიჭირს ახლა ჩვენ?

კიკნაძეს ხმაში საყვედური გაერია.

– ბატონო პოლკოვნიკო, ხარაძეს მე კარგად ვიცნობ. ხარაძე არ არის ის კაცი, რომ მასზე დაშინებით ან გავლენის აგენტებით ვიმოქმედოთ, – თქვა გვალაძემ.

– ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვცადოთ, – პოლკოვნიკი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა – მაშ ასე... გავაძლიეროთ თვალთვალი და ავამოქმედოთ ჩვენს ხელთ არსებული ყოველგვარი გარდამავალი საშუალება. ქმედით ზომებზე ოპერაციის მსვლელობის შუალედებში მოგახსენებთ. თავისუფალი ხართ.

●

ამ თათბირიდან ერთი კვირის თავზე სახელისუფლებო და მოჩვენებით-ოპოზიციურ გაზეთებში ერთბაშად გამოჩნდა შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური წერილების სერია ვარამ ხარაძეზე.

აი, ზოგიერთი პასკვილის სათაური:

„მგელი ცხვრის ქურქში“

„ვითომდა ერის ჭირისუფალი“

„არამკითხე მოამბე“

„ხელის მოთბობა არამზადული პატრიოტიზმით“

„სპეკულაცია ეროვნულობის გრაფაზე“

„ქართული ენის ცრუაპეკუნი“

წერილების სერია ჯერ კიდევ არ მინავლებულიყო, რომ ვარამ ხარაძემ კინოს სახლთან მიტინგი ჩაატარა და რუსთაველის ძეგლზე უზარმაზარი ტრანსპარანტი გააკრა წარწერით:

„ძირს მოძალადე ხელისუფლება!“

„ძირს უსამართლო სასამართლო!“

„აღვადგინოთ ეროვნება საბუთებში!“

„უარი ქართული ენის გამქრობ და ეროვნული ძეგლების ამღებ ჩინოვნიკებს!“

ერთი თვის შემდეგ ვარამ ხარაძეს შვილიშვილი დაუპატიმრეს. ქუჩაში სტუდენტ ბიჭს ვიღაცამ ფეხი დაუდო, ფეხზე წამომდგარს მობილური ესროლა და დაიყვირა: „დაიჭით! ქურდია, მობილური მომპარაო“.

ამ ხულიგნობისთვის უდანაშაულო ყმაწვილს ორწლიანი პირობითი სასჯელი მისცეს, ხოლო საკუთარ ადვოკატს ათქმევინეს – გიო, ხომ იცი, ყველაფერი ბაბუაშენის გამო ხდებაო.

ვარამი ისედაც ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ გულში სითბოდ ჩაეღვარა შვილიშვილის სიტყვები: – ბაბუ, შენ ჩემს გამო უკან არ დაიხიო. ნუ გეშინია, მე უღირსს არაფერს ჩავიდენ და თუ კიდევ მომიწყვეს შანტაჟი, ჩავჯდები ორი წლით და ის იქნება, ორ წელიწადზე მეტს მაინც ვერ მომცემენო.

ჩამთავრდა გაჭიანურებული სასამართლოები და 7 მაისს ვარამ ხარაძე კვლავ გამოჩნდა მიტინგზე ომახიანი მოწოდებებით:

„ძირს მოძალადე ხელისუფლება!“

„ძირს უსამართლო სასამართლო!“

„აღვადგინოთ ეროვნება საბუთებში!“

„უარი ქართული ენის გამქრობ და ეროვნული ძეგლების ამღებ ჩინოვნიკებს!“

მაისში ვარამ ხარაძემ რომელიღაც საეჭვო სექსუალური ორიენტაციის ჭურჭურიელი მხატვრის ახალგაზრდების გამრყვნელი ნახატ-პლაკატი ჩამოხია და 15 დღით ჩასვეს.

ციხიდან გამოსვლისთანავე იქვე ციხის კარებთან მოაწყო სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე ვრცელი, მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ყველასათვის მოსალოდნელად ასე დაამთავრა:

„ძირს მოძალადე ხელისუფლება!“

„ძირს უსამართლო სასამართლო!“

„აღვადგინოთ ეროვნება საბუთებში!“

„უარი ქართული ენის გამქრობ და ეროვნული ძეგლების ამღებ ჩინოვნიკებს!“

საიდუმლო პოლიციის მეორე (ბ) განყოფილების თანამშრომლები პანიკამ მოიცვა. დილის თათბირზე წამდაუწუმ

ხარაძეს ახსენებდნენ და პოლკოვნიკ კიკნაძეს ორჯერ სიტყვიერი საყედურიც ჰკადრეს – რა მოგვიდა, შე კაცო, ამხელა გამოცდილება გაქვს, ენაჭარტალა ვარამ ხარაძე როგორ ვერ გააჩუმეო.

კიკნაძე ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ მეამბოხეს ვერც „დარწმუნებით“, ვერც დაბარება-დაკავებით და ვერც ირიბი დაშინებით „მოიყვანდა ჭკუაზე“. როგორც კი რამე უმტკივნეულო ვირეშმაკულ შანტაჟს მოუწყობდნენ, ხარაძე მეორე დღესვე მთელ ყავისფერ პრესას მოსდებდა „ბნელეთის მოციქულების“ მასზე ძალადობის ამბავს.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ კიკნაძის მოადგილე გვალაძე გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა კიდეც ვარამს. კრაზანა-ხარაძის მორიგ „პრავაკაციას“ რომ განიხილავდნენ, გვალაძე არც თუ ძალიან თავისთვის (ისე რომ სხვებსაც გაეგონათ), ჩაილაპარაკებდა: რას ერჩით, მართალია ეს კაციო.

თერთმეტ ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, ვარამ ხარაძის სახლთან ტაქსი გაჩერდა.

თბილისში გვიანი გაზაფხულის თბილი სიო ქროდა.

ბუკლესპიჯაკიანმა კაცმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა და ჭიშკრისკენ წამოსულ, ხალათმოსხმულ მასპინძელს მოწიწებით მიესალმა.

– გამარჯობა, ბატონო ვარამ. ბოდიშს ვიხდი, რომ შინ შეგაწუხეთ. მე თქვენ არ მიცნობთ, ერთი უბრალო ტაქსის მძღოლი ვარ, ბიბიჩაძეა ჩემი გვარი. თქვენთან პატარა საუბრო მქონდა, თუ მიმიღებთ, რასაკვირველია.

ხარაძემ ურდული გამოსწია და უცნობი სტუმარი შინ შეიპატიჟა ისე, რომ სახეზე კითხვის ნიშანი არ მოშორებია.

ტაქსის მძღოლმა შინ შესვლა იუარა, აგერ ეზოში დავსხდეთ, თუ თქვენთვის უხერხული არ არისო.

დასხდნენ.

ზედმეტი დეტალებით და ავტორისეული ახსნა-განმარტე-

ბებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, სტუმარ-მასპინძელს შორის ასეთი დიალოგი გაიბა:

– მშვენიერი ეზო გქონიათ, ბატონო ვარამ.

– რა ვიცი, არა უშავს.

– რამდენი წელია რაც აქეთ გადმოსახლდით. მე მგონი, ადრე, ვაკეში ცხოვრობდით.

– იქნება ასე ექვსი, ხო... ნამდვილად ექვსი წელია. მომკლა ხმაურმა. თქვენ, შედარებით ახალგაზრდებს, ისე არ გაწუხებთ ხმაური, როგორც ჩვენ – ხანშიშესულებს.

– ეს ტალავერი?

– ქალაქური ყურძენია, თითას რომ ეძახიან. ადვილი მოსავლელია. ეს ხეებიც მე ჩავყარე. თავს ვიქცევ, ერთი სიტყვით.

– აგაშენოთ ღმერთმა... რა უნდა მეკითხა, ბატონო ვარამ, მე ერთი ყრუ კაცი ვარ, პოლიტიკის არაფერი გამეგება, მაგრამ სანამ ვიყოთ ასე, სანამ ვუყუროთ ამ ქვეყნის დაქცევას?

– ეს, ჩემო ბატონო, თქვენი სახელი?

– სანდრო.

– ბატონო სანდრო. ეს თქვენ უნდა გკითხოთ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ყრუ ხალხს. რატომ ხართ ცხვრებივით გაჩუმებული?

– ჩვენ რა შეგვიძლია, პატივცემულო. ვინმე ხომ გვინდა წინამძღოლი, ვინც კეტს აიღებს ხელში და გაგვიძღვება.

– ეგ ჩვენი უნიათობის დასამალავად მოგონილი სიტყვებია.

– აი მე, ბატონო ვარამ, ეს ერთი კაცი მზად ვარ ყველაფრისთვის. ამომივიდნენ უკვე ყელში ეს... ეს... ეს მამაძაღლები. ბოდიში ამ სიტყვისთვის. მინდა გავწევრიანდე სადმე.

– სად მაინც?

– რამე საიდუმლო, მიწისქვეშა ორგანიზაცია გექნებათ.

თქვენი ყველას სჯერა. გვიბრძანე და მოგყვებით.

– მეტი რა ბრძანება გინდათ, ყოველდღე მიტინგს ვატარებ და მოგიწოდებთ.

– ეგ მიტინგი კი, მაგრამ მაინც ლაპარაკია, ცარიელი ხელებით და ლანძღვა-გინებით რას გავხდებით. რამე შეიარაღებული ჯგუფი არ გყავთ? სადმე იარაღი არ გროვდება? სხვანაირად ამგენს ვერ გადავაგდებთ.

– თუ შეიარაღებული რაზმი შევქმენით, – ვარამს გაეცინა – პირველს შენ გეტყვი, ჩემო სანდრო.

– ერთი სიტყვით, სანდო კაცი ვარ, ბატონო ვარამ, ჩემგან ღალატი არ იქნება.

– ვხედავ... გატყობ... ბატონო სანდრო.

– აქეთ მგზავრი ამოვიყვანე და იმან მითხრა, ბატონი ვარამი აგერ ცხოვრობსო. მე ვთქვი, მივალ, დაველაპარაკები, ჩემი გულის ხვაშიადს ვეტყვი, იქნებ რამეში ვჭირდები იმ კაცს-მეთქი.

– აგაშენა ღმერთმა.

– მეორე მხრიდან რომ შევხედოთ ამ საქმეს, საერთოდ თქვენ მართალი ხართ, ხალხი ჩაძინებული და შეშინებულია, არავის უნდა თავის ატკივება.

– მეც მანდა ვარ.

– იქნებ, ბატონო ვარამ, ახლა... საერთოდ... ცოტა ხანს გაჩუმება სჯობდეს.

– მაინც რამდენ ხანს?

– რა ვიცი... ერთი-ორი წელი, ალბათ?

– ორი წლის მერე რა იქნება?

– რაღაც ხომ შეიცვლება. ან ისე იქნება, ან ასე.

– „ან ასე და ან ისეს“ უცადოს ქართველმა ხალხმა? რა გარანტია გვაქვს მე და შენ, სანდრო, რომ ორი წლის მერე ამათ ხელში საერთოდ იარსებებს საქართველო.

– რა ვქნათ, აბა.... ხომ ხედავთ, ხალხი არ მოგყვებათ.

რეკავთ, როგორ არ რეკავთ ზარებს, მაგრამ მაინც ერთ ადგილს ტკეპნით.

– მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ყველამ რომ თავისი საქმე აკეთოს, ესენი დიდხანს ვერ იპარპაშებდნენ.

– არ არის ასე, ბატონო ვარამ. რაც დრო გადის უფრო და უფრო ცოტავდება თქვენი მიტინგები, ვერ გრძნობთ ამას? აგერ გალავინსკზე რომ ორი განცხადება გამოვაკრათ: ერთსა და იმავე დროს პარლამენტის წინ ვარამ ხარაძე ქართული ენის დასაცავ მიტინგს აწყობს და პარალელურად თეატრში „მის ბიკინის“ კონკურსი იმართებაო, „მის ბიკინის“ კონკურსზე ასჯერ მეტი მოქალაქე მივა, ვიდრე შენს მიტინგზე, არა ვარ სწორი?

– სამწუხაროდ, სწორი ხარ.

– ესეც არ იყოს, ბომბზე ზიხართ, ბატონო ვარამ, ხომ იცით, ესენი არავის დაინდობენ, ამათ ილია ჭავჭავაძე მოკლეს და თქვენ დაგისვამენ თავზე ხელს?

ვარამს მწარედ გაეღიმა.

– სანდრო, შენ ჩემს შესაშინებლად მოხვედი?

– შეშინება რა შუაშია, ბატონო ვარამ, თქვენ ჩემზე უკეთ იცით ყველაფერი.

– ჰოდა... თუ ვიცი... ყურადღებით მომისმინე... შენ მოგეწონება ქედმოდრეკილი, შემკრთალი, თავისი პრინციპებიდან უკან დახეული, მონანიე ვარამ ხარაძე?

– არ მომეწონება, მაგრამ რაკი მე ვარამ ხარაძეს პატივს ვცემ, ვალდებული ვარ, ეს ვუთხრა.

– ჰოდა, გადაეცი, ვინც შენ გამოგგზავნა, არ გაჭრა ჩემმა დარიგებამ-თქო. შეიძლება ჩემთვის პირადად, ანუ ჩემი უსაფრთხოებისთვის ურიგო არ იყოს შენი „შეგონებანი“, მაგრამ შენ შენი სამსახურის გადამკიდე, იმდენს ქე უნდა ხვდებოდე, რომ მე მარტო არა ვარ და ჩემს უკან მდგომთ სამუდამო გულისგატეხვისთვის ვერ გავწირავ.

– ვინ დგას თქვენს უკან?

– ქართველი ხალხი.

იქნებ ზედმეტი არ იყოს მკითხველისთვის იმის თქმაც, რომ იდუმალი „ტაქსის მძღოლი“ საიდუმლო პოლიციის მეორე (ბ) ქვეგანყოფილების თანამშრომელი გვალაძე გახლდათ.

●

თორმეტ ივნისს ვარამ ხარაძემ უნივერსიტეტის წინ ჩაატარა საინფორმაციო მიტინგი.

დაწვრილებით მოუთხრო მსმენელთ „ტაქსის მძღოლის“ სტუმრობის შესახებ, შიგა და შიგ ირონიით ალამაზებდა ორგანოს თანამშრომლის კეთილისმსურველ ფრაზებს და ბოლოს კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რასაც მოუბეზრებლად ჩააგონებდა თავის გარეგნულად მცირერიცხოვან, მაგრამ გულში მრავალრიცხოვან თანამზრახველთ:

„ძირს მოძალადე ხელისუფლება!“

„ძირს უსამართლო სასამართლო!“

„აღვადგინოთ ეროვნება საბუთებში!“

„უარი ქართული ენის გამქრობ და ეროვნული ძეგლების ამღებ ჩინოვნიკებს!“

●

ცამეტ ივნისს საიდუმლო პოლიციის მეორე (ბ) ქვეგანყოფილებაში კვლავ შეიკრიბნენ:

– გადაწყვეტილება, როგორც მითხრეს, საბოლოოა, – ამ სიტყვებით დაამთავრა კიკნაძემ თავისი სიტყვა ხარაძის მიმართ ჩატარებული სპეცოპერაციის დამთავრების შესახებ, – გუშინდელმა დღემ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ძაღლის კუდი არ გასწორდება. ჩვენზე რომ არ გამოსულიყო, კიდევ შეიძლებოდა სხვა გზები მოგვესინჯა. ახლა თვითონ მოგვიჭრა ყველა გზაო, უფროსმა.

– შენ ხომ არაფერი შეგეშალა. ამ დონის ოპერრწმუნებული ასე ხელად როგორ გაგშიფრა ხარაძემ, – გვალაძეს მიუბრუნდა კიკნაძე.

– რა ვიცი... ჭიშკარი გამიღო თუ არა, თვალებში ეტყობოდა, რომ უკვე ეკრანზე ვყავდი.

– ახლა საქმე. ხარაძის ლიკვიდაცია, მოგეხსენებათ, უბრალო საქმე არ არის. შეიძლება საუკუნის მკვლელობაც კი დაარქვან. ამიტომ ამ დავალებას უბრალო ქილერ-შემსრულებლებს ვერ ვანდობთ. რიგითი მკვლელი ადრე თუ გვიან აუცილებლად გაგვყიდის, საკმარისია სიტუაცია შეიცვალოს, იმ წუთშივე ჩაგვიშვებს. ჩვენ სამიდან ერთ-ერთმა უნდა ითავოს.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

კიკნაძე, თავის ცალ „სათვალეზე“ ისვამდა ხელს, გვალაძე ცხვირსახოცით მელოტ თავს იმშრალებდა, ხვადაგიანი წვეტიანი ჯაყვით ფრჩხილებს იწმენდდა.

– მე შევასრულებ, – ყრუდ თქვა გვალაძემ.

კიკნაძეს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა გვალაძის გადაწყვეტილება, სამეულიდან გვალაძე ხომ ხარაძის მიმართ ლოიალური დამოკიდებულებით იყო ცნობილი.

– მე შევასრულებ, – განაგრძო გვალაძემ – თანაც არავითარი ჩასაფრება და წიწამურ-ბერდენკობია არ არის საჭირო. ხარაძე ცოცხალი თავით უკან არ დაიხევს და სწორადაც იქცევა. ჩვენ კი ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მისგან სიკვდილის შემდეგაც ის გაკეთდეს, რაც სიცოცხლეში იყო – გმირი.

●

ვარამ ხარაძე 21 ივნისს მოკლეს.

მეამბოხის ცხედარი შუა ქუჩაზე ესვენა.

ირგვლივ სისხლის გუბე იდგა.

მოქალაქენი ვერ ბედავდნენ ახლოს მისვლას, რადგანაც ფრენჩიანი ახალგაზრდა კაცი წამდაუწუმ იმეორებდა:

– არ მიეკაროთ, პოლიციის მოსვლამდე არ მიეკაროთ, თორემ კვალი წაიშლება.

ვარამი აღარ სუნთქავდა.

ღია, გაყინული თვალებით ცას ასცქეროდა.

ვიღაცამ თეთრი მოსასხამი გადააფარა.

12 იანვარი, 2012
თბილისი

დახშული სივრცის შიში

სამოცდაათი წლის წინათ, მაისის ერთ მშვენიერ დილას, იმპერიის პრესა ნიშანმიცემულივით ერთდროულად ალაპარაკდა საბჭოთა კავშირში ნობელის პრემიის ლაურეატის, დიდი ჰოლანდიელი ფიზიკოსის ჰანს ბლერის მომავალი ვიზიტის შესახებ.

„ეს საბჭოთა მეცნიერების მსოფლიიო აღიარებაა!“

გაჰყვიროდნენ გაზეთები.

„ატომური ფიზიკის მამა ჩვენი არნახული მიღწევებით დაინტერესდა!“ –

წამდაუწუმ იმეორებდა საბჭოთა რადიო.

„ესეც თქვენ, სულგაყიდულო ბურჟუა ოკეანისგაღმელებო, ჰანს ბლერი აღიარებს საბჭოური სისტემის უპირატესობას“

დაბეჯითებით ამტკიცებდა მაშინ ჯერ კიდევ ახალფეხადგმული ტელევიზია.

შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ პატიოსანი მკითხველისთვის აქვე დავსძენ, რომ მაშინ მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი: სოციალისტურ ბანაკად და კაპიტალისტურ ბანაკად.

კაცმა რომ თქვას, მსოფლიო ახლაც ორ ნაწილადაა გაყოფილი, მაგრამ სოციალისტურ ბანაკს კარგახანია „სოციალისტურს“ არ ეძახიან და ვერც კაპიტალისტურმა ბანაკმა შეინარჩუნა ძველი სახელი.

როგორც კი ჩამოათავა სამოცდაათსგადაშორებულმა დიდმა სწავლულმა ტრაპის კიბე და მოსკოვის მიწას დაადგა ფეხი, მაშინვე მოექცა ცხრაჯერსაბუთებგასინჯული ჟურნალისტების ალყაში.

„განსაკუთრებით ჩვენი ფიზიკოსების რომელმა აღმოჩენამ დაგაინტერესათ?“

„რომელი ობიექტიდან დაიწყებთ ჩვენი ატომური მიღწევების შესწავლას?“

„ხომ არ აპირებთ რუსეთში მუდმივ საცხოვრებლად დარჩენას?“

ჰანს ბლერმა სათვალე მოიხსნა, შავი ქოლგა, რომელიც მშრალ ამინდში ხელჯოხის მაგივრობას უწევდა, მოხრილ მკლავზე ჩამოიკიდა და მკაფიოდ განაცხადა:

– გითხრათ სიმართლე, მოსკოვში მეცნიერულ საქმეებზე არ ჩამოვსულვარ. ერთადერთი მიზანი მაქვს, ვინახულო ჩემი მეგობარი, პროფესორი ვან კლუვი, რომელიც ოცი წელია არ მინახავს და ძალიან მომენატრა.

ეს თქვა ბლერმა და სხვა შეკითხვებს აღარ დაელოდა. ტრაპსმომდგარი შავი ლიმუზინებიდან ერთ-ერთში ჩაჯდა და მისკენ გაქცეულ, დაბნეულ ჟურნალისტებს ხელი დაუქნია.

შერემეტევოს აეროპორტის უშიშროების სამსახურში არ დაბნეულან.

აგენტები დინჯად, აუღელვებლად მოქმედებდნენ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ჰანს ბლერის ასეთ განცხადებას ელოდნენ.

პირველ რიგში ჟურნალისტები გააფრთხილეს, რომ სტუმრის „პასუხში“ ვან კლუვის სახელს არსად გაეჟონა. მერე, ცენტრთან შეთანხმებით, პროფესორ კლუვის ბინის და სამსახურის ტელეფონები გათიშეს (მობილური მაშინ არ იყო) და ატომური ფიზიკის სულისჩამდგმელი სასტუმრო „მასკვას“ იმ ნომერში დააბინავეს, რომელიც განსაკუთრებით ისმინებოდა. აქვე გაგიმხელთ, რომ პროფესორი ვან კლუვი დისიდენტად ითვლებოდა და უცხოელთან მის კონტაქტს უშიშროება არ დაუშვებდა.

ცოტა რომ დაისვენა, ჰანს ბლერის ნომრის კარზე მასპინძელთაგან მეცნიერის ჩამოსვლით სამმა განსა-

კუთრებით გახარებულმა კაცმა დააკაკუნა: მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწემ (უშიშროების თანაშრომელი), საგარეო საქმეთა სამინისტროს ძვირფას სტუმართა მიღება-გაცილების განყოფილების გამგემ (უშიშროების თანამშრომელი) და ატომური ფიზიკის გასაიდუმლოებული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ (ასევე უშიშროების თანამშრომელი).

ბლერი კარის გაღებისთანავე თავის გასაჭირზე ალაპარაკდა:

– იცით რა, ვან კლუვის ტელეფონზე არავინ მპასუხობს, ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე. სამსახურის ტელეფონიც მაქვს. არც იქ არის ვინმე. ხომ ვერ მეტყვით, რა ხდება?

– დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, პატივცემულო აკადემიკოსო. ვან კლუვი ამჯერად კარგად არის. ცოტა არტერიული წნევის პრობლემები ჰქონდა და ორი თვით კავკასიაში გაემგზავრა სამკურნალოდ – გულწრფელად (რამდენადაც მოუხერხდა) აუხსნა სტუმარს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწემ (უშიშროების ოფიცერი).

– როდის წავიდა?

– სულ რაღაც სამი დღეა.

– კერძოდ სად იმყოფება?

– საქართველოში.

მცირე უხერხული პაუზის შემდეგ სტუმარს საბჭოთა კავშირში ყოფნის ერთკვირიანი გეგმა გააცვნეს.

ჰანს ბლერმა ბოდიშის მოხდით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრა, აკადემიის პრეზიდიუმთან შეხვედრა და ატომური ობიექტების დათვალიერება ამოაღებინა პროგრამიდან. სამაგიეროდ თავაზიან მასპინძლებს სთხოვა: საქართველოში სამდღიანი სტუმრობა ჩაესვათ გეგმაში. საქართველოს მეცნიერული მიღწევების გაცნობაზე სულს ვლევო. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ატომური ფიზიკის

მამა ცოტა არ იყოს ეშმაკობდა. იგი იმედოვნებდა, რომ საქართველოში უსათუოდ შეხვდებოდა სამკურნალოდ ჩასულ, დიდი ხნის მონატრებულ ძმაკაცს ვან კლუვის.

თანამშრომლებმა მცირეოდენი ყოყმანისა და სათანადო ინსტანციებში გადარეკვ-გადმორეკვის შემდეგ სტუმარს ეს თხოვნა შეუსრულეს.

საქართველო საბჭოთა კავშირის „სუფრა-რესპუბლიკა“ გახლდათ და მაღალი სტუმრების მიღებაზე ჭიპი ჰქონდა მოჭრილი, მაგრამ მაინც ატყდა შესაჩნევი ფაცი-ფუცი და გაქცევ-გამოქცევა.

რატომ?

ჰანს ბლერი ხომ „სპეციფიური“ სტუმარი იყო. ჯერ ერთი, ჩინოვნიკებთან შეხვედრას ერიდებოდა, მეორეც ექსკურსიებში და „ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება“ დიდად არ ხიბლავდა, მესამეც ვეგეტარიანელი გახლდათ და რაც მთავარი იყო, რაკიღა ღვინო-კონიაკს არ სვამდა, ბანკეტები და გრძელი, ხატოვანი სადღეგრძელოები ჭირივით სძულდა.

აეროპორტში ჰანს ბლერს აკადემიის პრეზიდენტი ნუკრი მესხიშვილი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი პორფილე ანდროშვილი და აკადემიის მთელი შემადგენლობა დახვდა მეცნიერულ ტანსაცმელში გამოწყობილი უშიშროების სამსახურის შტატიან და უშტატო თანამშრომლებთან ერთად.

აეროპორტიდან ძვირფასი სტუმარი პირდაპირ ორთაჭალის ბაღში გაშლილ სუფრასთან მიიყვანეს.

საბანკეტო სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა.

ბლერმა სუფრას გადახედა და მასპინძლებს მაჯის საათი დაანახა:

– არავითარი ბანკეტი. ახლა ექვსი საათია. მე ექვსი საათის მერე არაფერს გეახლებით.

ამ სიტყვებთან ერთად ორ ბოთლ „ბორჯომს“ სტაცა ხელი, ცერა, საჩვენებელ და შუა თითებს შორის ამოიდო და ავტომანქანებისკენ შებრუნდა.

რა ექნათ, ცივწყალგადასხმულებივით აკანკალებულ მასპინძლებს. მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი სასტუმრო „ინტურისტში“ მიიყვანეს.

მეორე დღეს სტუმარმა საუზმე საოჯახო გარემოში ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორ პორფილე ანდროშვილის ოჯახში მოიგუნება.

ოღონდო, ძალიან გთხოვთო, საუზმეზე ბატონი დირექტორის და მისი მეუღლის გარდა არავინ იყოსო.

პორფილე ანდროშვილმა ჭირვეულ სტუმარს ძლივს ჩაამატებინა აკადემიის პრეზიდენტი ნუკრი მესხიშვილი.

რაც შეეხება ოჯახის დიასახლისს, პორფილე ანდროშვილს ცოლი არ ჰყავდა და დაბნეულობისგან წნევამ აუწია, მაგრამ გამოსავალი აქაც უშიშროებამ იპოვა. თავის თანამშრომელ-აქტივისტთაგან დირექტორს სწრაფად შეურჩიეს სიმპათიური ქალი, რომელმაც პორფილეს ყურადღებიანი მეუღლის როლი დიდებულად შეასრულა.

პორფილე ხომ ტრადიციული ქართველი გახლდათ და სასაუზმო სუფრა ქინძმარაულით და წინანდლით, საცივით, ცხელი ხაჭაპურით, ჩიხირთმით, შქმერულით და ჩახოხბილით დაამშვენა.

– ვან კლუვი ყოველთვის წინააღმდეგია ყოველივე გადაჭარბებულისა. ზედმეტი ყველაფერი ზედმეტიაო, უყვარს ხოლმე თქმა ჩემს მეგობარ ვან კლუვის, – ამბობდა სტუმარი და მისკენ გაწვდილ თეფშებს ენერგიულად იგერიებდა.

მწვანე ჩაის სამი ყლუპის მოსმის შემდეგ ჰანს ბლერმა ბრძანა:

– ვან კლუვმა ერთხელ მითხრა, მსოფლიო მანამ არ მოწესრიგდება, სანამ ადამიანთა ურთიერთობიდან ისეთ მოძველებულ ჩვევებს არ ამოვაგდებთ, როგორიცაა სტუმარ-მასპინძლობა, თხოვნა-შუამდგომლობა და ურთიერთმოვა-ლეობაო, ჭკვიანი კაცია ჩემი მეგობარი ვან კლუვი.

მასპინძლები დუმდნენ და ღიმილ-თავისქნევით აგრძნო-

ბინებდნენ სტუმარს, რომ თითქოს ყველაფერში ეთანხმებოდ-ნენ. სინამდვილეში კი, რასაკვირველია, არ ეთანხმებოდნენ.

აკადემიის პრეზიდენტი კონიაკს ისხამდა და ნება-ნება სვამდა. იგი ნანობდა, რომ საუზმობამ ამ მისთვის ცოტა უჩვეულო გარემოში მოუწია. აქ ყოფნა თანამდებობრივად რომ არ მეკუთვნოდეს, დავკრავდი ფეხს და გავიქცეოდიო, ფიქრობდა გულში.

საუზმე გარეგნულად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ ერთი კურიოზი მაინც მოხდა.

ჰანს ბლერს, როგორც ჩანს, თავისი მეგობრის ნოსტალ-გია მოეძალა და ლაპარაკის საღერღელიც აეშალა:

– ვან კლუვი ზეპირ საუბარში ყოველთვის ხაზს უს-ვამს, საზღვრები და პოლიტიკა ჭირვეული პოლიტიკანების მოგონილიაო. რა საჭიროა საზღვრები! მოვშალოთ საზღვრე-ბი ერთი ხელის დარტყმით და ომებიც აღარ იქნებაო, ამბობს ჩემი მეგობარი ვან კლუვი!

ამასობაში აკადემიის პრეზიდენტმა ნუკრი მესხიშვილმა ჩიხირთმა გადაიღო. ჩიხირთმა ცხელი გახლდათ და პირთან მიტანილ კოვზს აკადემიკოსი სულს უბერავდა.

ჰანს ბლერი კი კლუვის ბრძნულ გამონათქვამებს მგზნე-ბარედ წარმოთქვამდა და ორივე ხელით მაგიდის ერთ მხარეს აწვებოდა.

ფიზიკის კანონების დიდი ცოდნა როდი სჭირდება იმ ფაქტს, რომ ერთ მხარეს დაწოლის შედეგად მაგიდა აუცილე-ბლად დაკოჩავდა და ასეც მოხდა.

მაგიდა აყირავდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია და ღვინიან-კერძებიანად ჰანს ბლერს დაემხო მუხლებზე.

ნუკრი მესხიშვილს ჩიხირთმიანი კოვზი ხელში შერჩა. კიდევ ერთხელ შეუბერა სული და პირში გადაიპირქვავა.

სანამ პორფილეს სანდომიანი „მეუღლე“, ორივე მუხლ-ზედავარდნილი, იატაკის ტილოთი საქმიანობდა, ჰანს ბლერი გაკვირვებული დასცქეროდა იავარქმნილ მაგიდას.

მას ვერა და ვერ გაეგო, რა მოხდა.

სადილობისას ჰანს ბლერმა კატეგორიულად მოითხოვა: ჩემი მეგობარი ვან კლუვი მომიძებნეთ. სადღაც აქვეა ახლოს, ჯანმრთელობას იკაჟებს. თუ მცირეოდენ პატივს მაინცა მცემთ, აქ მომგვარეთო.

სიამოვნებითო, მოვიკითხავთ და შეგახვედრებთო, მასპინძლებმა.

სანამ კლუვს მოძებნიდნენ, სტუმარი კახეთისკენ გაიტყუეს.

გურჯაანის დაღმართზე სახელდახელო სამწვადეში კასრზე გაეშალა სუფრა სამ ბახუსისმოყვარულ კახელს. ღვინოს იმ კასრიდანვე რეზინის მილით ისხამდნენ და დინჯად, მამაპაპურად სვამდნენ.

სტუმარმა ნუკრი მესხიშვილს ჰკითხა, რას აკეთებენო.

ძველ ქართულ რიტუალს ასრულებენ, სანამ ამ კასრს მთლიანად არ დაცლიან, ადგომის უფლება არა აქვთო, „აუხსნა“ ნუკრი მესხიშვილმა.

ჰანს ბლერს საშინელი მოულონელობისგან შუბლი დაეცვარა. პორფილეს მხარზე ხელი დაადო და სთხოვა, გამიყვანეთ აქედანო.

გასვლისას მოიხედა და „განწირულ კახელებს“ შიშით შეავლო თვალი.

მესამე დღეს, დილით, ჰანს ბლერს აცნობეს, რომ მისი მეგობარი ვან კლუვი საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) არ იმყოფება და არც არასოდეს ყოფილა ამ მხარეში.

ჰანს ბლერი ყველაფერს მიხვდა, რაც გარეგნულად იმით გამოხატა, რომ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა ქართველთა მეცნიერული აღმოჩენების და ადათ-წესების მიმართ. როგორც ჩანს, მოსკოვი ავად გამეხუმრაო, განუცხადა მასპინძლებს და დღესვე უკან გაბრუნება მოითხოვა.

საღამოს რეისამდე ოთხი საათი რჩებოდა და პორფილე ანდროშვილმა დიდი სწავლული ფიზიკის ინსტიტუტს ას-

ტუმრა. მე პირადად მეცი პატივი, უარს ნუ მეტყვი, დიდიხანია ჩემი თანამშრომლები გელოდებიან და სხვანაირად გაიგებენო.

ჰანს ბლერისთვის უკვე სულერთი იყო, მის უარს როგორ გაიგებდნენ, მაგრამ საათზე დაიხედა და მაინც დათანხმდა, ერთადერთი პირობით: არავითარი ბანკეტი, ნახევარ საათზე მეტ ხანს თქვენს ინსტიტუტში არ დავრჩებიო.

მაღლა რომ ადიოდნენ, მესამე და მეოთხე სართულებს შორის ლიფტი გაიჭედა.

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, უბრალოდ სინათლე გამოირთო.

ჰანს ბლერმა განწირულივით დაიყვირა. იგი ხან ნუკრი მესხიშვილს აჯანჯღარებდა, ხან პორფილე ანდროშვილს ჰკიდებდა საყელოში ხელს და თავს ლიფტის კედელზე არტყმევინებდა. ბოლოს ძალა დაკარგა. მუხლებზე დაეშვა და ტირილი დაიწყო. ნუკრი და პორფილე პირველ-მეორე ხმაში კიოდნენ, შველას ითხოვდნენ და კაბინას გამეტებით ურტყამდნენ მუშტებს.

ოც წუთში სინათლეც მოვიდა და ცოცხალ-მკვდარი ჰანს ბლერი ლიფტიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს. იქვე სასწრაფოც გაჩნდა და ნერვულ სტრესში ჩავარდნილი სტუმარი, როგორც იქნა, მოასულიერეს.

●

გამგზავრებიდან სამი თვის თავზე ჰანს ბლერმა ფიზიკის ინსტიტუტში წერილი გამოგზავნა.

კონვერტში ნახევრადმექანიკური ლიფტის პროექტი იდო.

ნახაზის მიხედვით, ჩვეულებრივ ლიფტში მარჯვენა კედელზე დამონტაჟებული უნდა ყოფილიყო ხელით სატრიალებელი ამწე. როგორც კი ლიფტი დენის გამორთვის, ან სხვა რაიმე მიზეზით უადგილო ადგილას გაჩერდებოდა, ხელის ამწეს დახმარებით მგზავრებს შეეძლოთ დაერეგულირები-

ნათ კაბინის მათთვის ხელსაყრელი მდებარეობა. იყო მეორე შეღავათიც: ლიფტის კარები ისე იკეტებოდა, რომ მისი გაჩერების შემთხვევაში ხელით თავისუფლად შეიძლებოდა მისი გაღება, რაც ლიფტში ჩარჩენილების ცოცხლად დამარხვას გამორიცხავდა.

რამდენადაც ვიცი, საქართველოში დიდი ჰოლანდიელი ფიზიკოსის ჰანს ბლერის ეს გამოგონება არ დაინერგა.

არა და თითქმის ყოველდღიურად ჩვენს მზიურ სამშობლოში ლიფტში უამრავი ადამიანი იჭედება და ჯანმრთელობის ნახევარს იქვე, ლიფტში ტოვებს.

გამოგონებათა მიმართ გულისხმიერ და პროგრესული სიახლისმოყვარულ ჩვენს ხელისუფლებას რატომ არ დაუჯდა ჭკუაში ჰანს ბლერის ეს გამოგონება, ვერ გეტყვით.

10.I.2012 წ.

იმპერატორი საქართველოში

1837 წლის 23 სექტემბერს სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის რეზიდენციას ოთხი ცხენოსანი მიადგა.

ზუგდიდს ღრმა ძილით ეძინა.

აღმოსავლური სტილით ნაგებ, კოწოლებიან სასახლეს მთვარის ვერცხლისფერი ათინათი მოჰფენოდა.

– ღამე მშვიდობისა, ბატონი ლევანის სტუმრები ვართ, – ჭიშკართან ახლოს მისწია ჩოხოსანმა ცხენი და თითქმის ყურში ჩაულაპარაკა კარის მცველს.

კარისკაცმა უკან დაიწია, ე, მანდ ფარსაგი რამ არ იყოსო.

ცხენები ოფლისა და ორთქლის ოხშივარს აყენებდნენ ირგლივ. ფრუტუნებდნენ და ლაგამიან თავ-დრუნჩს მიდამო აქანავებდნენ. ცხენებს ნაბდები უნაგირის ბოლოზე ჰქონდათ დაკრული.

– სძინავს, ბატონო.

– გააღვიძეთ და უთხარით, თბილისიდან თავადი ზორბა მაღალაშვილი გეახლათ-თქო.

– ახლავე ბატონო.

დარაჯმა ალაყაფის ურდული ყოველი შემთხვევისთვის გადასწია და კიბე აირბინა.

ხუთიოდე წუთში სასახლეში ალაგ-ალაგ სინათლე დაჩნდა.

ბიჭებმა სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს და წინკარში შეიპატიჟეს, ზორბა მაღალაშვილს კი მასპინძელი კიბეზე შეეგება.

...ნავახშმევს თბილისელი სტუმარი და სამეგრელოს მთავარი სასაუბროდ დასხდნენ.

– გილოცავთ, თავადო, ჩვენი მფარველი იმპერატორი პირველ ვიზიტად თქვენს კიბეებს ამოივლის.

– დიდი პატივია, შენ ნუ მომიკვდები.

ორივეს ჩაეცინა.

– ოცდაშვიდ სექტემბერს ყულევში ხვდებით, ხომ?

– როზენი დახვდება. მე დამხვედრთა საპატიო სიაში არ აღმოვჩნდი.

– ?!

– ამას რა მიხვედრა უნდა, ბარონი კორპუსის სარდალია და იმპერატორს, იმ ცნობებს მიაწვდის, რასაც ჩემი თანდასწრებით ვერ ეტყოდა.

– არ გენდობიან?

– ერთი ქართველი მითხარი, ვისაც ენდობიან.

– ეგ ცუდი არ არის. მამა უცხონდათ, სინით მივართმევთ ჩვენს სიყვარულს კრწანისის მერე, სამეფო ტახტის და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მერე...

– რაღა შორს მიდიხარ, ოცდათორმეტის მერე... შეთქმულთა ერთი ნაწილი ახლაც გადასახლებაში იტანჯება.

– ბედდამწვარი სოლომონ დოდაშვილის ამბავს, ალბათ, გაიგებდი.

– აბა, აბა... რას ამბობენ დედაქალაქში?

– რას და მოკვლაზე კატეგორიული უარია. საქართველოს წაღმა-უკუღმა დატკეპნიანო, მაგრამ გამწარებით კი უნდა გავამწაროთო. ისე უნდა მოვუქციოთ საქმე, საქართველოში მეორედ ჩამოსვლის სურვილი აღარ გაუჩნდესო...

ორი კვირა დაჰყო ნიკოლოზ პირველმა საქართველოში.

ამ ორი კვირის განმავლობაში ოთხი ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ 16 ოქტომბერს პეტერბურგში ჩასულმა გრაფ აქსელბურგის შეკითხვას – ხომ კმაყოფილი ხართ, თქვენო იმპერატორობით უდიდებულესობავ, სამხრეთში მოგზაურობითო, ზიზღით უპასუხა: ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ გადავრ-

ჩი. ველურ ბუნებაზე უფრო ველური თურმე ქართველები გახლავან, მოწყალეო ხელმწიფევ. მსგავს სისულელეს ჩემს სიცოცხლეში აღარ ჩავიდენ.

შემთხვევა პირველი

– როგორ მიდის თქვენი სამსახური? – ჰკითხა ბარონ როზენს იმპერატორმა, როცა სალამ-ქალამისა და ჩაის სმის შემდეგ ეტლში ჩასხდნენ და ზუგდიდისკენ გაეშურნენ.

– ვემსახურები იმპერიას, – თავი ასწია ბარონმა.

– როგორი განრიგი გაქვთ?

– ამაღამ სამეგრელოს მთავარი გიმასპინძლებთ, ღამეს იქვე, ზუგდიდში გაათევთ. ხვალ ქუთაისს ეწვევით, ზეგ...

– სომხეთის მხარესთან ხომ შეთანხმდით? – სიტყვა გააწყვეტინა იმპერატორმა.

– რასაკვირველია, თქვენი ვიზიტის ყოველი საათი გაწერილია.

– ხალხი დაშოშმინდა?

– მეტნაკლებად.

– კიდევ ცოტა ხანიც და მოჯდებიან თავის ადგილზე. მაგათ ჯერ კიდევ ბოლომდე არ იციან რუსული მათრახის ძალა.

სამეფო ამალა ოთხი ეტლისა და თერთმეტი ცხენოსნისაგან შედგებოდა. ექვსცხენიანი ეტლები მთვარის შუქზე მიწკარუნებდნენ. კოფოზე იქეთ-აქეთ ფანრები ენთოთ.

ჭაქვინჯის გადასახვევთან თავყაბალახიანი, ნაბდოსანი ცხენოსნები იდგნენ გზის გარდიგარდმო.

– რა ხდება? – გაიკვირვა იმპერატორმა.

წამში მხედრები ჩამოქვეითდნენ, ყაბალახები იშვლიპეს და პირველივე ეტლს გარსშემოეწყვნენ.

– ნაბიჯი არ გადმოდგათ, თორემ გესვრით!

ბარონმა მკაცრად გააფრთხილა დამხვდურნი.

დაცვამ დამბაჩები შემართა.

– საიდუმლო ჟანდარმერიის ხალხი ვართ, ბატონო, მივესალმებით იმპერატორს, ნაბრძანები გვაქვს, მოკლე გზით მიგიყვანოთ ზუგდიდამდე. ეს საგანგებო ღონისძიება ჩვენმა უფროსობამ ერთი საათის წინ შეიმუშავა. ჩვენ წინ გაგიძღვებით.

ამალა დაიძრა.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უასკეცდებოდა ეჭვი ბარონ როზენს, მახე არავინ დაგვიგოსო და უკან მიმყოლნი გააფრთხილა, ჩახმახზე გეჭიროთო დამბაჩები.

ასე სამიოდე საათის მგზავრობის შემდეგ მეგზურნი შემობრუნდნენ და ბარონს აცნობეს: ზუგდიდამდე ორიოდე ვერსი დარჩა, ხელმარცხნივ იარეთ, ჩვენ დაგემშვიდობებით, ნაბრძანები გვაქვს, კაზარმაში დავბრუნდეთო.

ცხენებს დეზი ჰკრეს და ტყეს შეერივნენ.

დარჩა იმპერატორის ამალა შუაგულ ტყეში.

გზის ბოლო მზვერავი რომ დაბრუნდა და განაცხადა, ახლომახლო არა თუ ზუგდიდი, მწყემსის კარავიც არსად ჩანსო, მაშინღა მიხვდა ბარონი როზენი, რომ მოატყუეს.

– რას ჰგავს ეს, კორპუსის სარდალო?!

იმპერატორს დაღლილი, გაწამებული ხმა ჰქონდა.

„უსათუოდ მომხსნის!“ რეკავდა ბარონ როზენის ყურებში.

შემთხვევა მეორე

ქუთაისში აღარ დარჩა ღამის გასათევად იმპერატორი. განრიგი მოულოდნელად შეცვალა და ახალქალაქში გაემგზავრა. იქედან სომხეთში გადავიდა, ერევნიდან კი 7 ოქტომბერს თბილისისკენ აიღო გეზი.

ერევანში საჩუქრებით აავსეს და გუნება თანდათან გამოუკეთდა, მაგრამ ყულევთან მომხდარი მარცხი ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა.

– ყველაზე ტკბილი ლუკმა – თბილისი, ბოლოსთვის შემოვინახეო, ეუბნებოდა გრაფ ორლოვს. – თბილისი, რაც არ უნდა იყოს, ევროპული ქალაქია და ერთი სული მაქვს, სანამ ამ მტვერ-ჭუჭყისგან გოგირდის აბანოებში განვიბანებოდეთო.

ბარონი როზენი იმპერატორის ნებართვით დაწინაურდა; ერთი დღით ადრე ჩავალ თბილისში და უმაღლესი დონის შეხვედრისთვის ქალაქს მოვამზადებო.

იმპერატორმა ღამე თბილისთან ახლოს სოფელ კოდაში გაათია.

თბილისამდე სულ რაღაც ოცდახუთიოდე ვერსი რჩებოდა.

დილით ადრე ამალა თბილისისაკენ დაეშვა, იმ ვარაუდით, რომ გზას ერთ საათში გაივლიდნენ, საუზმე ისნის სასახლეში, ხოლო სადილი ორთაჭალის ბაღებში იყო დანიშნული.

დაღლილ, შთაბეჭდილებებით განაწამებ იმპერატორს სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთით ჩაეძინა და რაკი ეტლი აღარ ჯაყჯაყებდა, ეგონა უკვე თბილისში ჩამოვედითო. მუნდირის ღილი შეიკრა და კივერი დაიხურა. ეტლის საეჭვო რწევამ მარჯვნივ გაახედა და ელდა ეცა: ცხენებიანად ტალახში ჩაფლულ სამეფო ეტლს პოლიცმეისტერ – დრაგუნებიანად ყველანი ამაოდ აწვებოდნენ.

– აქ როგორ აღმოვჩნდით?! – იკითხა იმპერატორმა.

– ეტლი გაუვალ ლაფში ჩავარდა, თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ, – უპასუხა ერთ-ერთმა მიმწოლმა, რომელსაც მუნდირის ბოლოები ტალახზე ლოტოსის ფოთლებივით გადაეფინა.

– კი მაგრამ, ირგვლივ გზაზე ტალახი არსად ჩანს და ეს ლამიანი ხრამი სად მოძებნა ამ ოჯახქორმა!?

იმპერატორს სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო შავნაბადას გაღმა, როცა საიმპერატორო ეკიპაჟი თბილისში ჩავიდა.

ორთაჭალის ბაღებში გაშლილ სუფრასთან სტუმრებს, მიმტანებს და მზარეულებს ხელისგულებზე ეძინათ. ვიღას ჰქონდა ჭამის და ქეიფის თავი.

– არ შეჩერდე, პირდაპირ გოგირდის აბანოებისკენ! – უბრძანა ნიკოლოზ პირველმა მეეტლეს.

შემთხვევა მესამე

9 ოქტომბერს იმპერატორი და მისი ამალა საქართველოს ეგზარქოსმა, არქიეპისკოპოსმა ევგენიმ სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვია.

შეხვედრა სამ საათზე იყო დანიშნული.

თბილისის სამხედრო გუბერნატორი ბრაიკო 12 საათზე ეწვია ეგზარქოსს და კიდევ ერთხელ შეათანხმა მასთან იმპერატორის ვიზიტის ყოველი დეტალი.

თვით ეგზარქოსი და სამღვდელოების მთელი უმაღლესი კრებული ტაძრის მთავარ შესასვლელთან დახვდებოდნენ უმაღლეს სტუმარს, არქიეპისკოპოსი ევგენი ლოცვას აღავლენდა იმის გამო, რომ ღვთის ნებით თვით ნიკოლოზ პირველი მობრძანდა სიონის ტაძარში და ამით გააბედნიერა ქართველი ერი. მერე მგალობელთა გუნდი იგალობებდა „სლავა ცარია ნაშემუს“ და ყველანი ერთად შევიდოდნენ ტაძარში, სადაც არქიეპისკოპოსი მეფისა და რუსეთისათვის თავდადებულთა პარაკლისს გადაიხდიდა.

ზუსტად სამ საათზე საიმპერატორო პროცესია მიადგა სიონის ტაძარს, მაგრამ შესასვლელთან არც მეუფე ევგენი ჩანდა და არც მგალობელთა გუნდი.

შეცბუნებული იმპერატორი ეტლიდან ჩამოხტა, კიბე ჩაირბინა და ტაძრის კარებს მიაწვა, მერე ხელჯოხით რამდენჯერმე დააკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო.

– ჩტო ზა ბეზაბრაზიე?! – მრისხანედ შეხედა ხელმწიფემ მის უკან მდგომ ბარონ როზენს, სამხედრო გუბერნატორ ბრაი-

კოს და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ფალავანდოვს.

– პანიატიე ნე იმეუ, – მხრები აიჩეჩა როზენმა.

ფრჩხილებიანად შეშინებული სამეული გამოტრიალდა და სიონის ტაძრის უკანა მხრიდან პატარა კარში შეცვივდა.

გვერდით სენაკში მეკელაპტრე ბერი თვლემდა.

– სად არის ეგზარქოსი?!

სამივემ ერთად შეჰყვირა.

ბერი წამოხტა და კანკალი აუვარდა.

– აქ არ არის...

ამასობაში ტაძრის ვიწრო კარიდან თვით იმპერატორი და მისი თანმხლები პირნი შევიდნენ ტაძარში.

– სად არის ეგზარქოსი?! – ახლა უკვე ხმის მოგუდვით ცდილობდა ბარონი როზენი წყენის დაოკებას.

– ამ დროს, ტრაპეზის შემდეგ ყოველთვის ისვენებს ხოლმე, ახლა ეგზარქოს ევგენის თავის სამყოფლოში სძინავს... ახლა მისი გაღვიძების უფლება არავისა აქვს, – ლუღლუღებდა ბერი და ცოტაღა აკლდა, რომ ატირებულიყო.

ზურგზეხელებდაწყობილმა იმპერატორმა საკურთხევლის წინ გაიარ-გამოიარა, შეჩერდა, უცებ შემოტრიალდა:

– და ნუ ვას ვსეხ! – ჩაილაპარაკა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მეორე დღეს იმპერატორმა გუბერნიის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობის შეკრება ბრძანა.

ერევნის მოედანზე სამასამდე კაცი მოგროვდა. ჩინოვნიკების გარდა იყვნენ ვაჭრები და გიმნაზისტები.

იმპერატორმა გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა საქართველოს საერთოდ და კერძოდ თბილისს.

მეო, საშუალება მქონდა ამ ორი კვირის განმავლობაში დავრწმუნებულიყავი, რა სიკეთე უყო დედარუსეთმა სამხრეთ კავკასიასო. ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ რუსულ შეგნება-განათლებამდე, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნებაო.

სამადლობელი ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ბოლოს, პატარა ორგანიზაციული გადაწყვეტილება უნდა გამოგიცხადოთ, მე, როგორც თქვენმა მფარველმა იმპერატორმაო.

„ვბრძანებ, კარაბინერთა პოლკის მეთაურობიდან გათავისუფლდეს პოლკოვნიკი ალექსანდრე დადიანი (ბარონ როზენის სიძე), ახლავე ჩამოეხსნას ექსელბანტები და სამი წლით მიესაჯოს პატიმრობა ბობრუისკის ციხეში მოხდით“.

„გადავრჩი“ – გაიფიქრა როზენმა, მაგრამ იმპერატორი ამით არ ამთავრებდა: „ვბრძანებ, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი, მოიხსნას კორპუსის სარდალი ბარონი გრიგორი როზენი და მის ადგილას დაინიშნოს გენერალი ევგენი გოლოვინი!“

ეს უკვე ღვთის რისხვაზე მეტი იყო.

ბარონი როზენი ასეთ მკაცრ განაჩენს არ ელოდა.

მან იქვე ჩააბარა გოლოვინს კორპუსის სარდლის ბეჭედი და ისე გაბრაზდა, რომ საღამოს იმპერატორის გამოსათხოვარ ვახშამზე არ გამოჩენილა.

ᲨᲔᲛᲘᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

12 ოქტომბერს იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ამალა სახელმწიფო კანცელარიის სასტუმროდან გავიდა.

მხსნელ, „ბატკა იმპერატორს“, „მამას და მარჩენალს“ თბილისელები აივნიდან ყვავილებს ესროდნენ და გულისამაჩუყებელი შეძახილებით ეფერებოდნენ.

პროცესია სოფელ ვერეს გავლით მცხეთაში უნდა ჩასულიყო, იქ კიდევ ერთ გამოსათხოვარ მეჯლისს გაუმართავდნენ ხელმწიფეს და ამალა საქართველოს სამხედრო გზის გავლით ვლადიკავკაზის გზას გაუდგებოდა.

მდინარე ვერესთან სანამ ჩაივაკებდნენ, იმპერატორის ეტლმა (მცხეთამდე ეტლი ქართველ მეეტლეს უნდა წაეყვანა, ასეთი იყო შეთანხმება) მკვეთრ მოსახვევთან წონასწორობა

დაკარგა. როგორც ჩანს, მეეტლე დიდი სიჩქარით შევიდა მოსახვევში და როცა აღვირი მოღრიჯა, უკვე გვიან იყო, ცხენები ველარ დაიმორჩილა. ეტლი აყირავდა, რკინის სადგარზე გადატყდა და მდინარეში გადაეშვა.

იმპერატორმა მისდაიღბლად თუ ჩვენდაიღბლად, გადახტომა მოასწრო და უვნებლად გადარჩა.

ასეთი გახლდათ ოფიციალური ვერსია, რაც ნიკოლოზ პირველის პირადმა მწერალმა – გრაფმა ადლერბერგმა იმპერიის მთავარ პროკურორს აახლა.

სინამდვილეში კი რაც მოხდა, ჩემი ჭკვიანი მკითხველი ადვილად მიხვდება.

18.I.2012 წ.
თბილისი.

სარჩულში ჩავარდნილი ბეჭედი

აბა, მე გეტყვი ახლა; ყველა ქურდი არაა ერთნაირი. ქურდიც არის და ქურდიც. ქურდს გააჩნია.

ზოგი იმნაირი ოხერია, ფიორი ადამიანობა არ მიუცია გამჩენს. ღვთის პირიდან გადავარდნილს რო ეტყვიან, ისეთია ნამდვილად. ზოგი ხელცივია, მარა კაცათაა დაბადებული.

ოცი წლისწინანდელ ამბავს გიყვები. მაშინ გათხოვილი არ ვიყავი. საფერშლოზე ვსწავლობდი და ქე ვამთავრებდი იმ წელს.

ოთახი მაგერ მქონდა დაქირავებული, ნინოშვილის ქუჩაზე. მესამე ბიბლიოთეკა რო იყო, თუ გახსოვს, იმის პირდაპირ, მეშვიდე ჩიხში.

დედაჩემი ყოველი თვის ბოლოს ოთახის ქირას მიგზავნიდა. „კამერა ხრანენიაში“ ხონელი ქალი მუშაობდა, იმას მიუტანდა ჩამომტანი ფულს და ის მაძლევდა.

1992 წლის 14 იანვარი იყო. რა დამავიწყებს.

სასწავლებელში ძველით ახალი წლის ზეიმი მოგვიწყვეს და გვიანობამდე შევრჩი.

არ თოვდა, მარა ყინავდა. ქუთაისური წანწალია ამინდი, მოგეხსენება.

გამოცდების გამო სადგურში მისვლა შემაგვიანდა და მიბღვერდა ჩემი „ხაზეიკა“.

მე ვთქვი, ჩავალ სადგურზე, გამოვართმევ „კამერახრანენიაში“ იმ ქალს ფულს და სადგურიდან უფრო იქნება რამე ავტობუსი-მეთქი.

ტაქსის ფული სა მქონდა და ისე, გამვლელ მანქანაში, რავა ჩავჯდებოდი. ხო იცი, რა დრო იყო – ყოველ ნაბიჯზე ქურდობა-ყაჩაღობა და გატაცება-გაუპატიურება.

ფული ქე ევიღე, მარა, სახლში წასვლა არ გინდა?

საათზე მეტი ვუცადე ავტობუსს, გაგიგონია? სადაა ავტობუსი.

ამასობაში ქე მევიდა პირველი საათი.

მე ვთქვი, შევბრუნდები სადგურში და მოსაცდელ „ზალაში“ გავათევ ღამეს-მეთქი, მარა გადამერეოდა „ხაზეიკა“.

ღამის სხვაგან გათევა კი არა, დაგვიანებაზეც კი ერთ ამბავს ტეხდა.

მოკლედ, გავრისკე ფეხით წასვლა.

ჯერ სადგურის კიბე უნდა ჩამევიარო და მერე მთავარ ქუჩას უნდა დავადგე.

კიბის თავში ერთი ნათურა ბჟუტავდა. ქვევით იმნაირი სიბნელე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

შუა კიბეს დავადექი. თუ კიბე მშვიდობით ჩავამთავრე, მერეც შუა ქუჩაზე ვივლი, მარა ხიდზე გადასვლას რა მოვუხერხო. ხიდზე გადასვლის მეშინია ყველაზე მეტათ. ხიდთან იციანო, ჯიბგირებმა დახვედრა, გაგონილი მქონდა. ე „ხაზეიკის“ ფული მაინც არ ემეღო.

სულ რაღაცა ცხრა-ათი საფეხური დამრჩა და გამეჩითა ცხვირზექუდჩამოფხატული მაღალი ბიჭი.

ხელში დანა არ უკავია, მარა რა შეღავათია ჩემთვის. გევიქცევი თუ რა. მუხლები მომეკვეთა.

ხმა არ ამეიღო, თვარა ბატკანივით გამოგჭრი ყელსო.

მომკიდა ხელი და მარჯვნისკენ მექაჩება.

არ ვიღებ ხმას, ბატონო, მარა მაქეთ რო მომკლა არ წამოვალ-მეთქი.

ამოატრიალე ჯიბეებიო.

ამოვატრიალე.

ცხვირსახოცი და ფული ხელში ერთად მიჭირავს, ეგება ვერ შეამჩნიოს-მეთქი.

ჯერ ჯიბეებზე მომითათუნა ხელი. პალტოს შიგნით

ნაქსოვი ჟაკეტი მეცვა და ჯიბეებში რო ვერაფერი იპოვა, ხელში მეცა.

ქე ყოფილხარ პატარა ეშმაკი შენც, მარა არც მე ვარ ნაკლებიო.

მომუჭული ხელიდან ცხვირსახოცი და ფული ამაცალა. ცხვირსახოცი დამიბრუნა და ფული ქე დეიტოვა.

კისერზე მომისვა ხელი და ჯვარი დაქაჩა.

მეიცა, ნუ მომწყვიტე კისერი, მე თვითონ მოგცემ-მეთქი. გადევიძვრე ვერცხლისძეწკვიანი ოქროს ჯვარი თავზე და გავუწოდე.

ე ბროშკაც მეიხსენი, სათითაოდ რო არ გითხრა, შენ თვითონ ვერ უნდა მიხვდეო? გამწყრალი ხმით მითხრა, მათემატიკის მასწავლებელი რომ დაგტუქსავს ისე.

„ბროშკა“ ძველთაძველი კამეა იყო. ბებიაჩემის ნაჩუქარია-მეთქი. ჟაკეტს ვიმაგრებდი ყელთან იმ „ბროშკით.“ ქე დამწყდა გული, მარა მევიხსენი და მივეცი. არ მომკლას და ბროშკას დევეძებ?

ხელები წინ გამაშვერია და ათივე თითი შემიმოწმა.

მარცხენა შუათითზე ბეჭედს ისე მაგრად ჩამოუსვა ხელი, რომ სიმწრისგან კინაღამ ვიყვირე.

ჩქარა, ჩქარა მეიძვრე ე ბეჭედი, არ მცალია ამდენიო.

მამადლის კიდეც, რომ ჩემზე ამდენი დრო დახარჯა.

მივეცი ბეჭედი, რა მეტი გზა მქონდა.

გათხოვილი ხარ თუ დანიშნულიო, – მეკითხება.

ჯერ ერთი გათხოვილი ან დანიშნული რო ვიყო, ბეჭედი მარჯვენა შუათითზე მექნებოდა. მეორეც, მაგი კალიცო რო არაა, ქე უნდა ატყობდე, უბრალო ოქროს ბეჭედია და მესამეც, გათხოვილი ან დანიშნული რო ვიყო, ამ შუაღამეზე ვინ გამომიშობდა სახლიდან-მეთქი, ცოტა არ იყოს შევთამამდი მეც.

წადი ახლა და უკან არ მოიხედოო.

სახლში მისვლამდე არავის უთხრა ეს ამბავიო.

მილიციასთან არ დაიკავო საქმე, თვარა მერე რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე ყველაფერიო.

გადავდგი სამი ნაბიჯი და გავჩერდი.

ვის ვუთხარი მე, უკან არ მოიხედოვო, გამიწყრა.

კი მარა, ჩემ სახლამდე კილომეტრნახევარი მაინც არი, რო დამხვდეს კიდო ვინმე შენნაირი, სა წევიდე მერე მე-მეთქი.

მე მგონია, აღარაფერი შეგრჩა წასართმევიო, იცინის.

შენ იცინი და მე სასაცილოთ არ მაქ საქმე. სხვა ქურდთან ლაპარაკის თავი აღარ მაქვს. რავარც გინდა ამიყვანე ისევ სადგურში და „ზალაში“ დამსვი-მეთქი, კატეგორიულად ვეუბნები.

რა გინდა სადგურშიო.

ღამეს გავათევ და დილით წავალ ჩემ გზაზე-მეთქი.

არაო, წამოგცდება იქანა მილიციასთან რამე და შენს თავსაც დეიღუპავ და მეც დამღუპავო. სახლი ხომ გაქვს, წაი სახლშიო.

ვინ მომცა სახლი აქანა, ნაქირავებში ვცხოვრობ ნინოშვილის ქუჩაზე-მეთქი.

საიდან ხარო.

ხონიდან-მეთქი.

კაი, წამოდი, მე მიგაცილებ სახლამდეო.

მომყვება კაი კავალერივით. ერთი-ორჯერ ხელიც ქე გადამდო მხარზე, მარა ჩამოვაღებიე.

ამხელა გზაზე მუნჯებივით ხომ არ ვივლიდით და ჩოვუკაკლე ქურდს: ვინ ვარ, სად ვსწავლობ, რამდენი წლის ვარ, მამა რო ცხენისწყალში დამეხჩო და დედა რო დამლაგებლათ მუშაობს წყალსადენში.

თავიდან, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, მარა მერედამერე შევთამამდი. ნინოშვილს რო დავადექით, რაღაცა გული მემ-

ეცა. ნამეტანი გულახდილათ ველაპარაკებით ერთმანეთს. მოვუშინაური, გოგო, ქურდს, გესმის შენე?

ხანდახან გავხედავ განზე ისე, შეუმჩნევლათ. არ ჩანს გლახა ბიჭი.

სხვათა შორის-მეთქი, ვეუბნები, შენ რო ფული წამართვი, ბინის ქირა იყო, დედაჩემი ხონიდან მიგზავნის. ერთ ამბავს დამაწევს „ხაზეიკა“, უბედურის ერთი ქალია, ამაღამ ფულს რო არ მივუტან-მეთქი, ვეუბნები ისე, სიტყვის მასალათ.

შენც ადექი და უთხარი, რომ დამეკარგაო, გამოსავალი იპოვა ქურდმა. მეხმარება ვითომ მისი ჭკუით.

ვინ ჭამს დაკარგვის ზღაპარს-მეთქი, ვეუბნები მე კაი გამოცდილივით.

გაჩერდა. ამოიღო პლაშის ჯიბიდან ჩემი ფული და გამომიწოდა.

კი, მარა შენ-მეთქი?

ნამეტანი მიამიტურად და სულელურად ვეკითხები.

მე არა მიშავს, იოლას გავალო, დამაიმედა.

ამასობაში ვეტოია გოდუაძის სახლს გამოვცდით.

ისეთი მადლიერი ვარ ამ ბიჭის, თითქოს ეს ფული ჩემთვის ეჩუქებინოს. რაღაცნაირად ახლობელი გახდა უცებ, იმდენად ახლობელი, რო „პოდრუჩკიც“ კი გამოვდევი.

ჯვარი, კი არ დამიხედავს, ოქროს ჯვარი იყოვო? მეკითხება.

ნათლობის ჯვარია. ხუთი წლის მოვუნათლივართ, ჩემი ნათლია პოეტი ავთანდილ ყურაშვილია და იმის ნაჩუქარია. გაგიგონია ავთო ყურაშვილი-მეთქი?

რა თქმა უნდა, არ გაეგონა, მარა ნათლობის ჯვრის ამბავი ასე თუ ისე გულთან მიიტანა.

გამაჩერა. შემომატრიალა და მხრებზე ორივე ხელი დამადო.

არ მაკოცო, თვარა ვიკივლებ-მეთქი, შევაშინე.

ვინ გკოცნისო, შარვლის ჯიბიდან ჯვარი ამოიღო და ყელზე შემაბა. ვერცხლის ძეწკვის ჩახრახვნის დროს ხელი უკანკალებდა.

თავჩაქინდრულები, წყნარად, რაც შეიძლება სერიოზული სახეებით მივაბიჯებთ. ქვაფენილზე მარტო ჩვენი ნაბიჯების ხმა ისმის.

ხანდახან ეზოს ძაღლები მოასკდებიან ჭიშკრებს, აქაოდა, ვინ ოხრები ხართ, ამ შუაღამეზე რას დაწანწალებთ ქუჩაშიო.

– ბებია ცოცხალი გყავს? მეკითხება ქურდი.

– კიე, რატომ მეკითხები?

– არაფერი... ისე... კიბესთან რო მითხარი, „ბროშკა“ ბებიას ნაჩუქარიაო.

– ბებიას ნაჩუქარია, მარა აღარც ახსოვს მაგი ბებიაჩემს. გქონდეს შენ. ძველთაძველი კამეაა, სწორათ ვთქვი სახელი? არ დაკარგო, მაგი ახლა დიდი ფული ღირსო, დედამ მითხრა ერთი-ორჯერ, მარა ვეტყვი ტროლეიბუსში ამაცალა ვინცხ-ამ-მეთქი. რას მიზამს, ხომ არ მომკლავს, მაგ ერთი „ბროშ-კის“ გულიზა.

ამოიღო „ბროშკა“ და გამომიწოდა.

არ ვართმევდი, მარა ნუ გამაბრაზებ, თვარა გეილახებიო, სიყვარულნარევი საყვედურით მითხრა, მისკენ შემაბრუნა და თვითონ დამიბნია საკინძესთან ჟაკეტზე.

ამასობაში ჩემს ჩიხთან მივედით.

წაი ახლა შენ გზაზე, მოვედი მე... მეტზე არ გამყვე, თვარა დაგინახავენ-მეთქი.

თან გული მწყდება, რა მალე მოვსულვართ.

მადლობელი ვარ-მეთქი და ხელი გავუწოდე.

რისი მადლობაო? იცინის.

მეიცა, მგონი კიდო მაქვს რაღაცა შენიო.

ბეჭედი გაქვს, მარა არა უშავს, არ მიყვარდა ეგ ბეჭედი, მაინც დიდი მქონდა-მეთქი.

მოიქექა ჯიბეები: პლაშის ოთხივე ჯიბე, შიგნით ნაქსოვი ჯემპრე ეცვა, უჯიბო, შარვლის სამივე ჯიბე... ვერა და ვერ იპოვა.

იმ ნერვიულობაში ხვარ ამომივარდაო, გაშრა კაცი.

ნუ ნერვიულობ, შენი ჭირი წაუღია, ცხოვრებაში მეტი არაფერი დაგეკარგოს-მეთქი ვამშვიდებ.

რატო, თვარა კიო.

ერთხელ კიდევ დოუარა ჯიბეებს.

ამომივარდა ნამდვილათო, ხმაში სასოწარკვეთა გაერია.

ეგება ხელები დამიბლაგვდა ამ ყინვაში, მოდი, ეგება შენ მოძებნო, ქალის ხელი მაინც სხვა არისო.

დგას მორჩილათ.

ვჩხრიკავ გულდაგულ.

ვინმემ რომ დამინახოს, გადეირევა.

ან ჩადების დროს ჩამიცურდა, ან გზაზე ამომივარდაო, აშკარად ეტყობა, რო წუხს. გავბრუნდეთ, იქ იქნება დავარდნილიო.

შენ ხვარ გადეირიე, მე ვუთხარი, შენს სანაცვლოდ წასულიყოს, რაც ბეჭედია ქვეყანაზე-მეთქი. წაი ახლა სახლში და მშვიდათ დეიძინე-მეთქი. არ მიღირს მე ის ბეჭედი შენს გაწვალებათ-მეთქი.

ვეუბნები, ქალო, და ჩემი თავის მე თვითონ მიკვირს. საიდან მოდის ეს სიტყვები, რა ძაფი გაიბა ჩვენს შორის ისეთი, რო ამ კაფანდარა ბიჭში ქურდს კი არა, უახლოეს ადამიანს ვხედავ.

კიდევ ერთხელ დოუარა ჯიბეებს და სიხარულისგან იყვირა:

– აგერაა! ვიპოვე რავარცხაა! პლაშის სარჩულში ჩავარდნილა. ასე არაფერი გამხარებია, დეიჯერებ შენე?! რო არ მეპოვა, რას იფიქრებდი ჩემზე...

გამოვართვი ბეჭედი და მოვტრიალდი.

იდგა და მიყურებდა.

გამოვიქეცი და ჩავეხუტე.

მეორე დღეს, მესამე დღეს, მთელი კვირა, მთელი წელი ვეძებდი, მაგრამ იმ ღამის მერე აღარ შემხვედრია.

14 იანვარი, 2012 წ.
თბილისი.

ვიკინგები

მზის გრძელი, თვალისმომჭრელი სხივი ზღვას ორად ჰყოფდა.

თითქოსდა სხივს მოჰყვებოდნენ ვიკინგები.

სწორ ხაზზე გაჭიმული ნავები პალიასტომის ჭაობისკენ მოემართებოდნენ.

მენავენი დაღლილი, მოწყენილი სახეებით შესცქეროდნენ ლერწმიანს.

მდუმარებას მხოლოდ ნიჩბების მოსმისგან ატეხილი წყლის ჩქაფანი არღვევდა.

ნიჩბებს კი მართლაც შესაშური თანაბრობით უსვამდნენ.

ლაქაშებში ცალ ფეხზე მდგარმა წერომ ფრთაბუმბულიდან თავი გამოსწია, მენავეებს გახედა, ერთხანს ატრიალა გრძელი კისერი, მერე ისრისმსგავსი ნისკარტი წყალში ჩაჰყო და ჭავლის დაწმენდას დაელოდა, ლიფსიტები რომ უკეთ დაენახა.

ნაპირს მოახლოვებისას ნავების მწკრივი ერთბაშად გაიშალა.

მენავეებმა ნიჩბები აკრიფეს.

ზღვა ანანავებდა უზარმაზარ ნავებს.

ზოგი ნავი ისლით და ტყავებით გადაეხურათ, ზოგი თავღია იყო. თავღიაში ფეხზე იდგნენ მენავენი და ხელში დაახლოებით სამი გაშლილი ხელის სიგრძე შუბები ეჭირათ.

მეწინავე ნავიდან ათიოდე შუბოსანი გადმოხტა, დანარჩენები ნავში დარჩნენ.

ტალღისგან მოლოკილ ნაპირამდე მიირბინეს და ქვიშაზე მიწვნენ.

წინ და უკან ხარის სამფა ტყავისგან შეკერილი ფარები

ეკიდათ. ფარზე ადამიანის ქალა ეხატა. თავზე რქიანი ჩაჩქანკასკები ეხურათ, მხარკისერზე გარდიგარდმო გიგანტური მშვილდ-ისრები გადაეკიდათ, ფეხზე ტყავისვე ჩექმა-ქალამნები ეცვათ. გამოქვაბულების კედლებზე მიხატულ წარმართებს ჰგავდნენ.

ლერწმიანებს შორის მინდორი შუბიანებმა ასე, ოცნაბიჯიანი მიწოლა-გარბენებით დალაშქრეს, მერე შუაზე გაიყვნენ და ლერწმიანს შეერივნენ.

ჭაობში დაუპატიჟებელი სტუმრების გამოჩენას წეროყარყატთა გნიასი, გარეული ღორების შლიგინ-ჯლიგინი და იხვთა გუნდის ტყაპატყუპიანი აფრენა მოჰყვა.

მალე წინამბრძოლნი ნავებთან დაბრუნდნენ და სუსტ ტალღებზე მრწევთ ნაპირზე გადმოსვლის ნიშანი მისცეს.

●

ძაღლმა ყურები ცქვიტა, ჯერ გოგოს გამოხედა და მერე ყეფით გავარდა ზღვისკენ.

თხუთმეტი წლის ცისფერთვალება გოგომ – ტაიამ წელთან თოკის ქამარში შეკეცილი, გახუნებული, კანაფის ძაფის კაბა ჩამოუშვა, თხები შამბნარში შერეკა და ძაღლს მიჰყვა.

ზღვის ნაპირზე უცხო ხალხი რომ შეამჩნია, გამობრუნდა, ძეწნაზე აფორთხდა და სანაპიროს მიაჭიჭინდა.

კუდშემოკეცილი ძაღლიც გამობრუნდა.

ჩანდა ძაღლმაც ვერ გაბედა უცნაურ მოჩვენებებთან მიახლოვება.

გოგო ძეწნიდან ჩამოხტა. ჯერ მშრალზე გაიქცა, მერე შემობრუნდა და ჭაობში შეტოპა. დიდი ნაბიჯებით ხელების წრიულად ქნევით ქოხისკენ მიიწევდა.

ოციოდე წუთში იგი გულამოვარდნილი უყვებოდა მამამისს ზღვის ნაპირას ნანახ „სასწაულ ამბავს“.

– ამ ქოხზე დიდი ნავები აქვთ, ბაბა. ხუთი თუ ექვსი თეთრთმიანი ქალი ახლავთ მაგნებს. დანარჩენები კაცები არიან. ა ამ დედაბოძზე ნაკლები სიმაღლის არ იქნება არც ერთი. თავზე რქები აქვთ ამოსული, თუ ქუდზე აქვთ რქები დამაგრებული, ვერ გავარჩიე კარგად. მხარზე ურმის უღლი-სიგრძე მშვილდი ჰკიდიათ და ხელში კიდო დიიდი შუბები უჭირავთ. კიდო გეტყვი ერთ სასწაულს; ოთხი ძროხა გად-მოიყვანეს ნავიდან, ა ე ჩვენი სამი კამეჩი რო შეაერთო, იმხ-ელა ძროხებია!

– შეგშინებია შენ, ბაბაია, და აგრევია ცხადი და სიზმარი, – ძიკიმ გიდლის წვნა განაგრძო.

– შენ თავს ვფიცავ, ბაბაია, ასეა ნამდვილად.

– თხები რა უყავი, ტაია, თხები?!

– იქეთ შევრეკე შამბში. წავალ მოვძებნი, სად წავიდოდენ, იქვე იქნებიან.

– ახლა ეგენი გვაკლდენ სწორედ. რავა შეატყვე თურქები არ იყვნენ?

– არა, ბაბაია, რისი თურქები, მაღალი, ბობრი ხალხია. თურქებს ვერ ვიცნობ? თურქებისხელა თითო მტკაველი აქვთ მაგნებს.

– ეგენი გვაკლდენ სწორედ. ვინ ოხრები არიან. კაცის ხორცს არ ჭამდენ და არ დავეძებ არაფერს.

– კაცის ხორცის მჭამელებს არ ჰგვანან, მაშინ ძროხები არ ეყოლებოდათ.

– ეგეც სწორია. ჭკვიანი გოგო ხარ, ტაია, შენ.

– წავალ თხებს მოვძებნი.

– შენ არსად არ წახვალ. გადი უკანკარში. დედაშენი ცერ-ცვს უთოხნის. შედით ორივე სამზადში და იქ იყავით. თუ ვინმე გამოჩნდეს, სხვენზე დაიმალეთ. ცეცხლი არ დაანთოთ. წავალ მე და ვნახავ, აბა, რა გვჭირს.

●

წყვდიადს მოეცვა ზღვისპირა სოფელი.

ღამურები წიოდნენ ხავსით დახურული ქოხების შემოგარენში და დროდადრო ჭოტის გულისწამღები ყრუ ხავილი გაჰკვეთდა ჭაობის შმორისგან დამძიმებულ ჰაერს.

შიშს დაესადგურებინა ლერწმიანში შორიშორ ნაგვიანევი სოკოსმსგავსად ამოყრილ ქოხებში და მეგრელები ღამით ცეცხლის დანთებას ერიდებოდნენ.

დარაბებმიგმანულ, ფართო სამზადში ჭრაქს თხუთმეტიოდე გლეხი შემოსხდომოდა.

– საქმე როგორცაა, გითხარით მე და ახლა გადავწყვიტოთ, რავარც ჯობია, – დაამთავრა ძიკიმ.

– ძიკი, მერამდენე დღეა, რაც გადმოსხდენ?

– მეხუთე დღეა დღეს, ჯონდი ბატონო.

– რამდენი კაცი იქნება სულ?

– ა, ასე ორმოცდაათზე მეტი არ იქნება, ქალებს თუ გამოვაკლებთ.

– რას აპირებენ, თუ იცი?

– მაგას ვინ გეტყვის, მარა, ჯერჯერობით, მოკვლით არავინ მოუკლავთ, ტყვილს ვერ ვიკადრებ. გითხარით, მისი არ იყოს, ტაგუიას წაართვეს ხვნის დროს ცხენი და ტაგუმ რომ წაიწია, არ გაგატანთ ცხენსო, იმნაირი ფერთხა ფარიან-შუბიანმა ახმახმა მუშტი თავში, რომ ერთი კვირა დარეტიანებული დადიოდა ტაგუ. ხომ შეეძლო მოეკლა. შუბი უჭირავს იმ კაცს და რასაა რომ ფართხალებ.

– სად წაიყვანეს, ძიკი, მერე, ტაგუიას ცხენი?

– წაიყვანეს და დაკლეს.

– რატომ დაკლეს?

– შეჭამესო, ჩემმა გოგომ მითხრა ეს, ტაიამ, თვარა მე არ დამინახავს.

– ტაიამ რა იცის?

– უყურებს მაგნებს ყოველდღე. ძეწნაზე აქვს სამალავი და ათვალიერებს შეუმჩნევლად. გამოდი აქეთ, გოგო, რას უყურებ, რაა სანახავი-მეთქი, რომ ვეტყვი, ტირილს იწყებს – მაინტერესებს, აბა, რას იზამენო.

– მეტი არაფერი დაუშავებიათ?

– კამეჩი წაართვეს კიდო ესვანჯიას. ბებერი კამეჩი ჰყავდა ერთი. საბალახოდ არ უშვებდა. გამოჩერჩეტებული კამეჩი იყო. შევიდნენ პირდაპირ ბოგაში და გაირეკეს კამეჩი. ესვანჯიას ხმა არ გაუცია. რას ეტყვი. ენა იმათი შენ არ გეყურება და ხელდახელ რას მოერევი სამმეტრამდეა თითო კაცი. რამ გაზარდათ მაინც ამხელა.

– რავა ვქნათ, ბატონო ჯონდი?

– რა ვიცი, ჩვეულებრივ მტრებს ესენი არ ჰგვანან. შეიძლება, როგორ არ შეიძლება, შევკრიბოთ მთელი თემი ფაზისს გაღმა-გამოღმა სოფლებიდანაც, დავესხათ თავს და ჩავხოცოთ ზღვაში, მარა, მე, ერთი კაცი ჯერ ვერ ვხედავ სისხლის დაღვრის საჭიროებას. ასეთ რამეს ვფიქრობ მე: რაც მთავარია, ამელამვე უნდა გავგზავნოთ ორი კაცი ქუთაისში და ყველაფერი მეფეს შევატყობინოთ. მეფეზე უკეთესად ვინ გადაწყვეტს, რა ვქნათ.

– არ უნდა იყოს ბაგრატი ქუთაისში.

– სახლთუხუცესი ხომ იქნება.

– მეორეც, იქნებ რიონს უკვე აუყვა ამათი განაყოფი და მეფისკენ მიეშურებიან. ჩვენ ხომ არ ვიცით, ჩვენ ხმელით უნდა ავასწროთ მეფესთან.

– ერთსაც ვიტყვი მე, იქნებ ეს ხალხი, წინამსრბოლი, მზვერავი რაზმია და მთავარი ჯარი იქნებ უკან მოჰყვებათ. ნუ გავანაწყენებთ, თვარა დედაბუდიანა ამოგვწყვიტავენ და ქოხებს გადაგვიწვავენ.

– ერთი სიტყვით, მე როგორც ვთქვი, ისე მოვიქცეთ: ორი კაცი მეფესთან ვაფრინოთ ამაღამვე, დანარჩენები მეფის

პასუხს დაველოდოთ და თვალში ნუ შევეჩხირებით მაინც-დამაინც, თქვენთვის იყავით, ვითომ არაფერი არ იცით და არაფერი არ დაგინახავთ...

ჯონდიმ ჭრაქს სული შეუბერა და ჭვარტლიანი კვამლი ხელით მიმოარხია.

გლეხები ყაბალახის ცხვირ-პირზე აფარებით, კატის ნაბიჯებით სათითაოდ გამოიკრიფნენ ჯონდის სამზადიდან და ჩრდილებადქცეულნი სიბნელეს შეერივნენ.

ტაია ძეწნაზე იჯდა და დევების ბანაკს თვალს არ აშორებდა.

ერთი კვირაა, რაც ვიკინგები ჩამოვიდნენ და გოგოს გულში ერთბაშად ჩასახლდა შიშიც მათი ზანტი, სხვანაირი მიხვრა-მოხვრისა და რქებიანი ქუდებისადმი; ინტერესიც იმ იდუმალი სამყაროსადმი, ამ უცხო ადამიანებმა რომ თან მოიტანეს. ერთმანეთს თითქმის არ ელაპარაკებოდნენ. ქალები გამუდმებით რეცხავდნენ და კაცები საათობით ცურავნდნ აღმა-დაღმა. რქები ისე ადგათ შუბლ-კეფაზე, გეგონებოდათ, ხარები დაცურავენო ზღვაში.

უეცრად ერთი ვიკინგი პირდაპირ ძეწნისკენ წამოვიდა.

ტაიას გააკანკალა, ვაი თუ შემამჩნიაო.

ძეწნის ტოტი ჩამოუშვა და გაირინდა.

ვიკინგმა შუბი ლერწამს მიაყუდა, ხვანჯარი გაიხსნა და ამოიღო.

„რავარც ბაბაია ფსამს, თურმე ისე ფსამენ ეგენიც. დიდუუ... რამხელა აქვს ამ არგასახარებელს. რისი ჩვენი ვაცი, რომელი ჩვენი ვაცი... კაცი კი არა, ცხენია ნამდვილი.“

ვიკინგი ფსმას რომ მორჩა და საოხრე დაიქნია, ტაიას ფეხი დაუსხლტდა, ძეწნის მწვანე თმა-ტოტებს მოეჭიდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მიწაზე ზღართანი მოადინა.

ვიკინგმა შუბს სტაცა ხელი და ფოცხვერივით გადმოხტა, მაგრამ ძეწნის ქვეშ მწვანე ტოტებით ხელში ზღაპრის ქალწულივით შემკრთალ გოგოს რომ შეხედა, გაეცინა.

გოგომ გაქცევა დააპირა, მაგრამ ვიკინგმა გზა მოუჭრა და წამის მეათედში ტაია მის ხელებში ფართხალებდა.

– გამიშვი, გამიშვი! გამიშვი, თვარა ბაბას დოვუძახებ და ნახავ რა მოგივა! – იკლაკნებოდა, ფეხებს აფხარკალებდა ტაია და მიწაზე დადგომას ცდილობდა, მაგრამ ხანდახან მთაკაცის ხელებიდან რომ გადმოიხედავდა, ეჩვენებოდა, რომ მოძალადეს თუ დაუსხლტებოდა, შეიძლება კისერი მოეტეხა, ისე მაღლა ჰყავდა ატატებული.

რაც შეეძლო, გაიბრძოლა, მაგრამ მერე ერთბაშად მოეშვა და გაიტრუნა. თვითონაც ვერ აგიხსნიდათ, რა გრძნობა დაეუფლა. შიში სადღაც გამქრალიყო და ტაია რაღაც ახლის, გამოუცნობის მოლოდინში მონუსხულივით თრთოდა.

...ისინი ძეწნის ქვეშ თბილ ბალახზე იწვნენ.

ტაია შელოცვილივით ბუტბუტებდა.

ბარძაყებზე კაბას უკვე აღარ იფარებდა.

ხანდახან ვიკინგის ქვედა ტუჩს ხელს რამდენჯერმე ჩამოჰკრავდა და იღიმებოდა.

ვიკინგმა გულზე მიიდო საჩვენებელი თითი.

– პეტრუ!

მერე გოგოს დაადო თითი ატმისფერ კოკრებსშუა.

– ტაია, – ტკბილად უთხრა ტაიამ და დაუმარცვლა, – ტა-ი-ა.

– ტაია! – გაიმეორა ვიკინგმა.

●

ალიონზე ძიკი ძროხის ბღავილმა გამოაღვიძა.

საბნის ნახევარი ცოლს წააფარა და ლოგინზე წამოჯდა.

ბავშვები არ გავაღვიძოვო და ფეხშიშველი გამოვიდა,

მაგრამ ძროხის ღონიერ ბღავილს ყველანი გაეღვიძებინა და ძიკის თიხნარ, დატკეპნილ აივანზე მთელი ჯალაბი გამოჰყვა.

ბოძზე კანაფის მოკლე თოკით მიბმული სახლისსიგრძე ძროხა თავს ნესტოების ბერვა-ქშენით აქნევდა და წყლიანი, ფართო თვალებით საწოლიდან ახალამდგართ ათვალიერებდა.

– ტაია! – უკან არ მოუხედავს ძიკის, – ვისია ეს ძროხა?!

ტაია არ ჩანდა.

ყველანი ზღვისკენ გაიქცნენ.

ვიკინგები აყრილიყვნენ.

შორს, ჰორიზონტს მრავალწერტილებივით აჩნდა ზღვასმოყოლილი იდუმალი სტუმარ-მეკობრეების ნავები.

წავიდნენ ვიკინგები და ტაიაც თან გაიყოლეს.

საღამოსკენ მეზობლის პატარა გოგომ ძებნით გათანგული, აჟივჟივებული ოჯახი „დააწყნარა“:

„გუშინ მითხრა ტაიამ, შეიძლება ხარისრქიან კაცზე გავთხოვდეო. სანამ თვალს არ მივეფარებით, შენ ეს ამბავი არავის უთხრაო“.

ტირილ-სლუკუნით ამბობდა გოგო.

●

ორიოდე კვირა დაჰყვეს ვიკინგებმა ფაზისის შესართავთან ერთ მიყრუებულ სოფელში.

მერე ისტორიკოსი დაწერს:

„ვიკინგები სკანდინავიიდან ზღვებს და მდინარეებს ჩამოჰყვნენ და მთელი წინა ევრაზია დაიპყრეს.

ისინი დნეპრით შავ ზღვაში ჩამოვიდნენ და ლაზიკა-ეგრისამდეც ჩამოაღწიეს.

კოლხეთის რამდენიმე სოფელი რომ დაიმორჩილეს, მერე ფაზისს აღმა აუყვნენ, მაგრამ ქუთაისამდე ჩააღწიეს თუ

არა, ამის ფაქტები არ მოგვეპოვება. ვიკინგებმა უზარმაზარი ტერიტორია მოითარეშეს და ყველგან სისხლის და ძალადობის კვალი დატოვეს.“

სასტიკები არიან ისტორიკოსები.

სინამდვილეში კი მთელ საქართველოს კი არა, თვთ პალიასტომის ახლომახლო მცხოვრებ მეგრელებსაც არ გაუგიათ, რომ ისინი ვიკინგების მიერ იყვნენ „დაპყრობილნი“.

5. I. 2012 წ.

სიზმარი

შენ, შენი სამშობლოსავით უიღბლოს,
გიძღვნი ამ სტრიქონებს, შვილო, აჩიკო...

მატარებელი ცისფრად განათებუდლ სადგურში გაჩერდა.

სამსართულიანი, უფანჯრო თეთრი შენობის უკან და მაღლა მუქლურჯი, ვარსკვლავებით მორახტულ-მოჭედილი ცა ჩანდა, სწორედ ისეთი „თანამგზავრის“ ილუმინატორიდან რომ ჩანს ხოლმე.

ბაქანზე ქანდაკებასავით მდგარი თეთრმოსასხამიანი ადამიანები ერთბაშად ამოძრავდნენ და ვაგონებისკენ წამოვიდნენ.

იმ წუთში ვიცანი. აჩაბაჩად, მაგრამ აჩქარებით ჩემკენ გულდაგულ, დაჯერებით წამოსული.

– ბაჩა!

გამიღიმა და ხელი დამიქნია. როგორც იცოდა, სხარტად, ერთი ნახტომით ამოვაგონდა, დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა. გადავეხვიე, დავუკოცნე შუბლი, თვალები, თმები. დამეტოლა, თავზე გადამისვა ხელი და ცხვირთან მიიტანა.

– გაგასწარი, თუ არა!

– გაზრდილხარ, – ვუთხარი და ვიგრძენი, ყელთან როგორ გამენასკვა ცრემლი.

– აბა, რა გეგონა.

მარჯვენაზე შუათითი როგორც აკლდა, ისევ ისე აქვს.

ჩემს ჩანთას ხელი დაავლო და ჩამიძღვა.

შადრევანთან ჩამომჯდარ ორ თეთრმოსასხამიან ბიჭს გასძახა:

– წადით თქვენ, მამაჩემი ჩამოვიდა.

თბილი სიო ჰქრის საიდანღაც, „მეტროს“ კარებში რომ უბერავს ისეთი.

– რა იცოდი, რომ ჩამოვდიოდი?!

– დილით გამოაცხადეს.

ზღვისბალახისფერ მოლზე მივაბიჯებთ.

– დედიკო როგორ არის?

– როგორ იქნება, შენი შემყურე.

– კარგი ახლა, ნუ დამიწყებ. იცი, მე თვითონ როგორ განვიცადე ეს ყველაფერი? ყველაზე მეტად დედაჩემი მეცოდება, შენ მაინც კაცი ხარ და, გამიგებდი.

– სად ცხოვრობ?

– აქვე ახლოს. შეხედე, მაგნოლიის მარცხნივ თეთრი კოტეჯი რომ დგას – ჩემია. რა კარგია, მე და შენ ერთად ვიქნებით.

– არ მოგწყინდა უჩვენოდ?

– როგორ ფიქრობ, არ მომწყინდებოდა?

– საჭმელს ვინ გიკეთებს?

– მე თვითონ. ხომ არ დაიღალე, ფერი არ მომწონს შენი.

– უცებ თავბრუ დამეხვა. ეტყობა, ჰაერმა დამცადა, – მართლაც, ძლივს ვსუნთქავ, ხელი შემაშველა.

– ჩამოვჯდეთ, აგერ.

ზეთისხილის ქვეშ ბალახზე ვზივართ. სული მოვითქვი, შიშით გავყურებ, ვიცი რომ აწი ველარავინ წამართმევს მის თავს, მაგრამ მაინც შინაგანი განგაშის გრძნობა მაქვს. ასე მგონია, ისევ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. ასე მეშინოდა სულ ოცი წლის განმავლობაში.

– მაინც რა გვიქენი, აჩიკო. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, შვილო, რაც მე და დედაშენს დაგვმართე. რაც შენ წახვედი, თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობია, შენმა დღიურებმა, შენმა ტანსაცმელმა გაგვსრისა, აღარ ვართ მეტი. ვიდეოზე შავლეგოს გადაღებული შენი ორიოდე კადრია,

რომელსაც ვატრიალებთ და ვღრიალებთ. არც გამიგია, როგორ გავიდა ეს დრო. ერთი ფიქრი მქონდა მხოლოდ – ჩქარა გათავებულიყო ყველაფერი და შენთან წამოვსულიყავი.

– ახლა? დედაჩემი მარტო რომ დარჩა?

– რა? გეცოდება? საერთოდ, გაქვს შებრალების გრძნობა? იქ, ზევით რომ არ გქონდა? ნუ გეშინია, დედაშენი ცოტას მიალაგ-მოალაგებს იქაურობას და წამოვა.

– კარგი რა. ისე მელაპარაკები, თითქოს მე მინდოდა სიკვდილი. ვერც კი გავიგე, ნაღმის ნამსხვრევი საიდან მომხვდა.

– გეტკინა?

– ტკივილით არა. თითქოსდა მეხი დამეცა. რაღაც დამეტაკა ბეჭში და წამაქცია.

– მერე?

– სიკვდილის არ შემშინებია. პირველი, რამაც გამიელვა, ეგ იყო, რა გადაურჩება მამაჩემის ჯაჯღანს-მეთქი.

– სულ სიფრთხილეს ჩაგჩიჩინებდი.

– იქ არაფერი ისეთი არ იყო. საერთოდ, ფრთხილად ვიბრძოდი. არ გითხრეს ბიჭებმა?

– ფრთხილად, აბა! სიცოცხლეშივე იყავი წარდგენილი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე. ეგ არი სიფრთხილე?

– თავის გამოჩენა მინდოდა. შენი შვილი ვარ, რა გიკვირს?! – იღიმება, თითქოსდა რაღაცას მალავს. თვალებში დაღლილობა და სევდა უდგას.

– სხვანაირად გამოგეჩინა თავი. ხომ გეუბნებოდი, შვილო, ნუ წახვალ, ნუ დაგვღუპავ-მეთქი.

– ვინმე ხომ უნდა წასულიყო. მე რა ოქროს კოჭი ვიყავი. ვერ დავიმალებოდი, მამაჩემო. თუ სიმართლე გინდა, შენი გულისათვის წავედი. რადიო-ტელევიზორში რომ გაჰყვირო-

დი – სამშობლო დავიცვათო, ხალხს იმას ვათქმევინებდი, თავისი შვილი გადამალაო?

– იმასაც ხომ გეუბნებოდი: ეს უთანასწორო ომია. იმპერია გვებრძვის და ქართველები განწირული ვართ-მეთქი.

– მერე რა, განწირულ ქართველებს არ უნდა ეომათ? ერთგანაც გითქვამს, აქ ამბავი ჩამოიტანეს – მოტყუებული ჩვენი შვილები დაიხოცნენო. ჩვენ მოტყუებული არ ვყოფილვართ. მამაჩემო, ჩვენ კარგად ვიცოდით, რაზეც მივდიოდით.

– მაგრამ, როცა ბრძოლაში ებმები, გამარჯვების ცოტა შანსი მაინც ხომ უნდა გქონდეს, ხომ ხედავდი, მთელი წელი ბომბავდნენ სოხუმს და ჩვენ თვითმფრინავიც არ აგვაფრენინეს. სოჩაში კაპიტულაციაზე ძალით მოგვაწერინეს ხელი, განგვაიარაღეს და მერე მაინც დაგვესხნენ თავს იარაღსასოწართმეულებს. მუხანათობა ამაზე შორს ვერ წავა.

– ეგ ყველაფერი პოლიტიკაა, მე მეომარი ვიყავი.

– მაგრამ შენი სიკვდილით მარტო შენ არ კვდებოდი, ხომ უნდა გცოდნოდა; მთელი დარჩენილი სიცოცხლე ნელ ცეცხლზე საწვავად რომ გაგვიმეტე მე და დედაშენი.

– მე შენ უფრო მაგარი მეგონე, მამა. ჩვენ ხომ ძმაკაცები ვიყავით, რა მოხდა, შე კაი კაცო, ომი მარტო ჩვენთვის ხომ არ იყო, ომში წასული კაცი ან დაბრუნდება, ან ვერა.

– შენთვის ადვილი სათქმელია. მორგში რომ დაგინახე გულშენგრეული, ამსიგრძე ბიჭი გაშოტილი, ჩემი ნაფერები ბაჩულია, რაღაც მოკვდა ჩემში იმ წუთიდან; სხვა კაცად ვიქეცი, უფრო სწორად, კაცად კი არა, ცოცხალ ლეშად. აღარაფერი აღარ მესმოდა.

– ისევ შენს თავზე ლაპარაკობ. ადამიანი მაინც ეგოისტია, როგორც ჩანს. შენი მწუხარება გაწუხებს. მეც შენი და დედაჩემის წუხილის გამო ვწუხდი სიკვდილის წინ, თორემ

სიცოცხლის დაკარგვა არც მიდარდია, რაც არ უნდა იყოს. ლამაზად მოვკვდი, თოფით ხელში, სამშობლოსათვის.

– მერე? ვერაფერი რომ ვერ მოასწარი? შენი სურათები და ორი ჩათვლის წიგნაკიღა რომ დაგვრჩა მაგიდაზე თავში საცემად, მე და დედაშენს და მეტი არაფერი? ესაა საქმე?

– ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნოდა, მამაჩემო. როგორც მინდოდა, ისე გავხარჯე. რად უნდა ამას ამდენი მოთქმა და ზარი.

– შენ გეკუთვნოდა, მაგრამ შენი სიკვდილის მერე დანაშაულის გრძნობა მტანჯავდა, ვერ დავიფარე, რაღაცაში მოვტყუვდი. არ უნდა გამეშვა-მეთქი.

გაიცინა თავისი ლამაზი ხითხითა სიცილით:

– ხომ ვერ დამაბამდით ოცი წლის კაცს.

– და მაინც იქა ვარ, რომ განწირული იყავით შვილო, შენც და სხვებიც. რა ვაჟკაცურადაც უნდა გებრძოლათ, აფხაზეთის დაკარგვა მაინც ზევით, ურდოში იყო გადაწყვეტილი. ეს მიღრღნის გულს.

– ვიცოდით-მეთქი, დამიჯერე, რა ურჩხულსაც ვებრძოდით, მაგრამ მაინც გავედით ბრძოლის ველზე. ასე აკეთებდა ქართველი ყოველთვის, როდის ებრძოდა ქართველი რაინდ მტრებს – ასი ასზე თვლით, მითხარი ერთი. ჩვენ ყოველთვის უთანასწორო ბრძოლაში არ ვებმებოდით?

– რა? უეჭველ სიკვდილზე წახვედით? სიკვდილი გსურდათ?!

ჩაფიქრდა წამით. მერცხლის ბოლოსავით გაყოფილ წარბზე ხელი გაისვა.

– სიკვდილი არ გვინდოდა... არა... ამას ვერ ვიტყვი... გვეგონა, მტერიც და მსოფლიოც დაინახავდა, რად გვიღირდა ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი... გვეგონა გაგვიგებდნენ, რომ მშობელი ქვეყნის დასაცავად დავუდექით ტანკებს წინ შიშველი ხელებით... და, ბოლოს და ბოლოს, შევეცოდე-

ბოდით... თავს გაგვანებებდნენ... ვერ გაგვიგეს... არ შეგვიცოდეს...

საათს დავხედე, ჩემი მიწიერი საათი გაჩერებულიყო.

შორიდან და სულ ახლოს, ხმადაბლა და მკვიდრად, ჟამუცვლელი, ანგელოზთა სამუდამო გალობა ისმოდა.

ჩვენ ლურჯ ბალახზე ვიჯექით დ ვარსკვლავების მოზაიკის მსგავს ცას შევცქეროდით, „ყინწვისის ანგელოსის“ ფონზე უფრო მუქლურჯ ცას.

რა გაჭირდა

ნეიტრალურმა არხმა საღამოს საინფორმაციო საათის დამთავრებისას გამოაცხადა: „ამ დილით ხანმოკლე და არცთუ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის კოლორიტი გოკა ბაინდურაშვილი“.

მართალია, ამ განცხადებას რეკლამასდახარბებულმა ტელევიზიამ ქალის ქვედა საცვლების და ულტრათანამედროვე დამცველი საშუალებების რეკლამა მოაყოლა, მაგრამ ხმა გოკა ბაინდურაშვილის გარდაცვალების შესახებ ელვის სისწრაფით არა, მაგრამ საშუალო ინტენსივობით მაინც გავრცელდა ქალაქში.

ეშმაკზე უფრო ეშმაკები არიან ჟურნალისტები.

თუ მავანი და მავანი თავისი ცხოვრების წესით ენერგიულად თავის გამომჩენთა რაზმს განეკუთვნება, მაგრამ კონკრეტულად, განსაკუთრებით, არც ერთ დარგში არ შეუქმნია რაიმე ღირებული, ასეთ კაცს „ქალაქის კოლორიტის“ უკვდავ იარლიყს მიაკერებენ და დადიან თბილისში ხანშიშესული (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ), მაგრამ ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში სახელის მაძიებელი და საბოლოოდ მაინც ზომიერად გაბითურებული „ქალაქის კოლორიტები“.

პროფესიონალები მათს ნაღვაწს სერიოზულად არ ღებულობენ და არც არავითარ ანგარიშს უწევენ, გამოჩენილთა ყველაზე გრძელ სიაშიც არ დაასახელებენ ხოლმე, მაგრამ ტელებიჭუნები და ტელეგოგონები რაიმე მოვლენაზე კომპეტენტური აზრის გამომთქმელთაგან დაბეჯითებით უარს რომ მიიღებენ, „სიუჟეტის“ გადასარჩენად ქალაქის კოლო-

რიტს მივარდებიან ხოლმე. ქალაქის კოლორიტისთვის კი არ არსებობს ფრაზები „იქნებ სპეციალისტისთვის გეკითხათ“, „იქნებ ვცდებოდე“, „ჯერ ამ პრობლემაზე არ მიფიქრია“... და ა. შ.

ქალაქის კოლორიტს პასუხი ყველაფერზე მზადა აქვს. ქალაქის კოლორიტმა ყველაფერი იცის... კამერის წინ ყელს მოიღერებს და კიდევ ერთ ტელესისულელით გაამდიდრებს ტელე-ინტერვიუთა ოქროს ფონდს.

ამ, სრულიად აუხსნელი ინერციით გოკა ბაინდურაშვილი ყოველდღე ჩანდა ცისფერ ეკრანზე.

ყავლგასულ მოცეკვავეთა კონკურსი იყო და ჟიურიში ქალაქის კოლორიტზე უკეთესს ვის დაუძახებდნენ, მოგონებათა ციკლის გადაცემათა სერია იყო და გოკა წარმოუდგენელ აქტიურობას იჩენდა; ყველა გარდასულ მოღვაწეზე თავის აზრს გამოთქვამდა, მართალია, ხელჩასაჭიდსა და საგულისხმოს ვერაფერს იხსენებდა, მაგრამ „ულამაზესისა“ და „განუმეორებლის“ წამდაუწუმ გამეორებით თავბრუს ახვევდა გულუბრყვილო მსმენელს. იუმორისტულ შოუზე ხომ თავად იუმორის გრძნობას მოკლებული ტელეწამყვანები გადაცემაგამოშვებით მაინც დასვამდნენ მოწვეულის სკამზე გოკა ბაინდურაშვილს. და იჯდა ყელმოღერებით ნიჭიერი სტუმრის სავარძელში გოკა. წამყვანის შეკითხვაზე ისეთ უგვანო „იუმორს“ დაახეთქებდა თავისი სექსუალური თავგადასავლების შესახებ, რომ ჭკვიან მაყურებელს სახე ეღუშებოდა და უხერხულობისგან შეიშმუშნებოდა, გოკა კი, ყურებამდე პირგახეული გოკა, ისე გულიანად ხარხარებდა, რომ იუმორის გრძნობასმოკლებულ ტელეოპერატორებსაც აიყოლიებდა სიცილში და სწორედ ამიტომ იყო, რომ ცისფერი ეკრანი თავის ტელევიზორიანდასადგმელ მაგიდიანად ძიგძიგებდა.

სამწუხაროდ, პროპაგანდისტულ საშუალებებზე ტელევიზიის გამეფებამ ის სავალალო შედეგი მოიტანა, რომ გაუც-

ნობიერებელ მაყურებლებში (და მაყურებელთა 90% სწორედ ასეთია) მკვეთრად დამკვიდრდა აზრი თუ ტელევიზორში ხშირად ჩანხარ, ესე იგი ნიჭიერი ხარ.

ყველა არხზე ერთი და იგივე სახეები რატომ ჩანანო, თუ მკითხავთ მოგახსენებთ, რომ ჟურნალისტები დიდი ფანტაზიით არ გამოირჩევიან. ახალ სახეთა ძიებით აუტკივარ თავს არ იტკივებენ და ტელესივრცეში უცნობ ინდივიდთა შემოყვანას ურჩევნიათ ისევ ნაცადი სახეების, თუნდაც ქალაქის კოლორიტების „შეწუხებით“ დაკმაყოფილდნენ.

გოკა ბაინდურაშვილი მარტოხელა კაცი გახლდათ.

მისი ახლო მეგობრები ორი დღე ელოდნენ, რომ მადლიერი ხელისუფლება თავს შეიწუხებდა ამ გამოჩენილი („გამორჩენილი“ კინაღამ წამომცდა) მოღვაწის უკვდავსაყოფად. „როგორც მინიმუმ“ დიდუბეში მაინც დაკრძალავდა და გაზეთებს დაამშვენებდა მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი ნეკროლოგით.

მესამე დღეს გოკას მეგობარი კოტე კოპაძე მერიაში მივიდა.

რას შვრებითო, ჰკითხა დაკრძალვათა კომისიის ხელმძღვანელს.

ვართ რა, გარემოების შესაფერისად, ფაქტობრივად აიწონა-დაიწონას ვთამაშობთო, მასპინძელმა.

მე მაგას როდი გეკითხებით, გოკა ბაინდურაშვილის დაკრძალვის ამბავი მაინტერესებსო.

ეგ მეც მაინტერესებს და სწორედ შენთვის უნდა მეკითხა, რატომ არ მოგაქვთ მიმართვაო.

რისი მიმართვაო, კოტემ.

რომელიმე სახელოვნო კავშირმა უნდა მოგვმართოს, დიდუბეში დაკრძალვის თხოვნითო.

დაკრძალვის კომისიის თავმჯდომარის პასუხში ბუნდოვანი კი არა, ძნელად გასაგებიც არა იყო რა.

მივიდა კოტე მწერალთა კავშირში.

მართალია მოთხრობებსაც წერდა, მაგრამ ბატონი გოკა ძირითადად, მოცეკვავე იყო და ჩვენგან უხერხულია შუამდგომლობის დაწერა. მიმართვა ქორეოგრაფთა კავშირმა უნდა დაწეროს, ელემენტარული კოლეგიალობის ამბავიაო.

რაზე შეწუხებულხარო, ჰკითხეს ქორეოგრაფთა კავშირის კიბეზე ხვნეშით ამომავალ კოტეს.

გოკას მიმართვაზე გეახელითო.

რა მიმართვაზეო? გაიკვირვეს,

გოკა ხომ ძირითადად მოცეკვავე იყო, ამიტომაც მერიის სახელზე მიმართვა თქვენ უნდა დაწეროთო. ქორაოგრაფთა კავშირში, როგორც ჩანს, ელოდნენ კოტეს მოსვლას და პასუხიც მზად ჰქონდათ:

გოკა, ჩემო ბატონო, ძირითადად მოცეკვავე კი არა კინომსახიობი იყო. ჩვენ სიამოვნებით დავწერდით მიმართვას, მაგრამ უხერხულია, კინემატოგრაფისტთა კავშირს თავზე ხომ ვერ გადავახტებითო. მიმართეთ კინემატოგრაფისტთა კავშირს, სწორედ გოკას მიერ შესრულებული როლებით (განსაკუთრებით როცა იგინებოდა) მიიღო არაერთი ჯილდო ქართულმა კინომატოგრაფმაო.

მივიდა კოტე კინემატოგრაფისტთა კავშირში.

როდიდან გახდა გოკა კინომსახიობიო, გაიკვირვეს კინომატოგრაფისტებმა. მდარე ხარისხის ფილმებში ერთი-ორი ეპიზოდური როლის შესრულება კინომსახიობობას (და მით უმეტეს კინოვარსკვლავობას) როდი ნიშნავსო. გოკა ძირითადად მწერალი გახლდათ (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეუბნებოდა) ამიტომაც მიდით მწერალთა კავშირში და მიმართვას ისინი მოგართმევენო. ჩვენთვის უხერხულია მწერალთა კავშირს წინ რომ გადავურბინოთ ამ საკითხშიო. წინამასწარობა გამოგვივა და ეწყინებათო.

კოტე მწერალთა კავშირში არ მიბრუნებულა, იცოდა, მწერალთა კავშირი კვლავ ქორეოგრათა კავშირისკენ მიუთითებდა და არ ისურვა წრეზე სიარული.

გოკა ბაინდურაშვილი დაკრძალეს ვერის ძველ სასაფლაოზე ხოზე დიასის და სერგეი ლაზოს საფლავებს შორის.

დაკრძალვის ცერემონიამ მშვიდობიანად, ჭყლეტვისა და მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

რაა ბოლოს და ბოლოს ამხელა პიროვნება, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი გარდაიცვალა და რა გაჭირდა მისთვის დიდუბეში მომცრო ადგილი, ან თუნდაც ერთი ხეირიანი ნეკროლოგის გამოქვეყნებაო, დაწერა გოკას დაკრძალვის კვირის თავზე ერთმა ნეიტრალურმა გაზეთმა.

ეს იყო ერთადერთი სწორი აზრი გოკა ბინდურაშვილზე, რომლის შექმნაში ქალაქის კოლორიტი სრულიად საპატიო მიზეზით, არ ჩარეულა.

თბილისი
23.I.2013 წ.

უქიმერიონის ციხე

1769 წლის 29 ივლისს ტოტლებენი ერეკლე მეორის თხოვნით იმერეთისკენ გამოეშურა, რათა სოლომონ პირველს თურქების გარეკვაში დახმარებოდა.

სიცხის გამო გენერალი იძულებული იყო ჯარი ხშირ-ხშირად შეესვენებინა.

„ოტბოის“ დაძახებისთანავე ჯერ ცხენები ჩამწკრივდებოდნენ მტკვრის პირას ფრუტუნით და ენით ლაგამის ჩხრიალით. ცხენებს რომ დაარწყულებდნენ, მერე რუსის სალდათები შეესეოდნენ მიტოვებულ სოფლებს და ცაში ფრინველი, ხოლო მიწაზე შემწიფებული თავთავი თუ პანტა-ჭერამი არ გადაურჩებოდათ.

სურამის უღელტეხილს რომ აუყვნენ, ცოტა აგრილდა, მხედრიონმა სული მოითქვა და შორაპნამდე ვიწროები სულ „ბოჟე ცარია ხრანის“ სიმღერით ჩაიარეს.

ტოტლებენმა იცოდა, რომ შორაპანთან მაშველ რუსს თვით სოლომონ პირველი უნდა დახვედროდა.

თუმცა ჩემმა ფხიზელმა მკითხველმა აქ მწერლურ გამომგონებლობაში რომ არ დამადანაშაულოს, მოვუსმინოთ ტოტლებენის ფრანგ ადიუტანტს – შარლ დე გრაი დე ფუას:

„1769 წელი. იმერეთის მეფე სოლომონ პირველთან მიმავალი გენერალი ტოტლებენი და მისი თანმხლები პირები ქართლიდან იმერეთში გადავედით. 60 ვერსი ისე განვვლეთ, რომ კაცი არ შეგვხვედრია. რამდენიმე ნასოფლარი ადასტურებდა მხოლოდ, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა... ბოლოს, მას შემდეგ, რაც მეტად ვიწრო გზებით გავიარეთ 200 ვერსამდე, შემოგვხვდა მეფე სოლომონი, რო-

მელიც ჩვენს შესაგებებლად მოდიოდა, ამ მეფის ღატაკურ-მა იერმა, მისმა სამოსმა, თანმხლებმა ამალამ მის შესახებ შეგვიქმნა იმის შესაბამისი შეხედულება, რაც ერეკლემ უკვე წარმოგვისახა.

სოლომონს არც ერთი ქალაქი არ გააჩნდა.

დაახლოებით 150 კაცით ტყეში ლტოლვილი იგი 15 დღეზე ხანგრძლივად ერთსა და იმავე ადგილას არ ბანაკდებოდა იმის შიშით, რომ თურქებმა არ მოახელთონ, თვით თავის ქვეშევრდომებში დაეჭვებული, იგი ყაჩაღების წინამძღოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელმწიფეს“ (შარლ დე გრაი დე ფუა, 1985, 44).

ტოტლებენს მეორე ადიუტანტიც ჰყავდა. ეს გახლდთ საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული ანტონ მოურავოვი. იგი გვარ-ტომით წმინდა წყლის ქართველი გახ-ლდათ, მკითხველს ვთვხოვ, „მოურავოვი“ მურავიოვში არ აერიოს. მოურავოვი ქართველია, მურავიოვი – რუსი, ანტონ მოურავოვი რომანოზ თარხან-მოურავის შვილია. ხოლო რო-მანოზი არც მეტი არც ნაკლები, გიორგი სააკაძის უმცროსი ვაჟის იორამის შვილიშვილი. რომანოზი 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა, მოსკოვში და იმის შემდეგ, როგორც ვახტან-გის ამალის წევრთა უმეტესობა რუსეთში დასახლდა. დიდი მოურავის გიორგი სააკაძის პატივსაცემად ანტონმა „მოურა-ვოვი“ აირჩია გვარად, შევიდა რუსთხელმწიფის სამსახურში, მოიპოვა სამეფო კარის ნდობა და აი, „საქართველოში რუ-სეთის საქმეთა რწმუნებულის“ ხალათსაც გამოჰკრა ხელი. მართალია, მისთვის ტოტლებენის ადიუტანტ-თარჯიმნის პოსტი“, ცოტა არ იყოს, დამამცირებელი იყო, მაგრამ ტოტ-ლებენმა პირადად თხოვა და უარი ვერ უთხრა.

ახლა ტოტლბენის ქართველ ადიუტანტს ანტონ მურავ-იოვსაც მოვუსმინოთ:

„სოლომონს არც ერთი ქალაქი და დაბა არ გააჩნია.

ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი და ცუცხვათი თურქებს უკავიათ.

იმერლები უკიდურესად ღატაკ და საწყალობელ მდგომარეობაში არიან.

თავადები და აზნაურები რუხი შალის სამოსს ატარებენ, ხოლო ქვეშევრდომი ხალხი თავნება, ამაყი და ურჩია...

რაც შეეხება საკუთრივ მეფე სოლომონის პიროვნებას, რომელიც 35 წლისაა. იგი საშუალო ტანისაა სანდომიანი სახის, ულვაშებიანი, წვერს იპარსავს... ყველაზე უფრო გამბედავი, მამაცი მეომრის იერი აქვს. დატენილი თოფი, ერთი დამბაჩა, ხმალი და დიდი ხანჯალი მუდამ თან აქვს, როგორც ყველა იმერელს. საუბარში საკმაოდ სულსწრაფია. უბრალო იმერლებთან ურთიერთობაში არავითარ განსხვავებას არ ავლენს. ვინც მას პირადად არ იცნობს, ქვეშევრდომთაგან ვერ განასხვავებს“ (ანტონ მოურავოვი, დე გრაი დე ფუა, 1985, 88).

იმერელთა რაზმი რომ მოახლოვდა, ტოტლებენმა ჭოგრიტი ადიუტანტ დე ფუას გადააწოდა, შეხედე ერთი შეიარაღებული არიან, თუ არაო.

ადიუტანტმა დაამშვიდა, არა მგონია თავდასხმას აპირებდნენ, ქართველები არც ისე სულელები არიან ორმოცდაათი კაცით ოთხიათასიან ჯარს შეებრძოლონ, დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ორმოცდაათიც არ იქნებიანო.

შევჩერდეთ და დაველოდოთ, რა ვიცი... რა ვიცი... ეშმაკს თვალი არ აქვსო, ჩაილაპარაკა ტოტლებენმა და ხელი შემართა.

ჯარი დადგა.

ასე, ას ნაბიჯზე რომ მოახლოვდნენ, მხედრები ჩამოქვეითდნენ. ცხენებს აღვირი უნაგირზე გადაუგდეს და რუსებისკენ გამოაბიჯეს.

აშკარა იყო, რაზმი სამტროდ არ მოდიოდა.

მოვიდნენ და ფეხის განზე გადგმით, დოინჯშემორტყმით წინ გაუჩერდნენ გენერლებს.

მეწინავე ხუთმა კაცმა კი მკერდზე ხელის მიდებით და თავის დაკვრით გამოხატა სტუმრებისადმი პატივისცემა.

– რა გინდათ? – ჰკითხა მოურავოვმა.

– მივესალმებით რუსთხელმწიფის ჯარის მობრძანებას გენერალ ტოტლებენის წინამძღოლობით, – თქვა მკლავებზე აკრეფილ ჩოხოსანმა შავულვაშა ახალგაზრდა კაცმა.

მოგესალმებიან, უთარგმნა მოურავოვმა ტოტლებენს.

– ჰკითხე ერთი მეფე სოლომონი რატომ არ მოვიდა, – ჩაულაპარაკა ადიუტანტს ტოტლებენმა.

– თვითონ სოლომონმა რატომ არ იკადრა მოსვლაო, გენერალი გეკითხებათ, – ლამის ჩურჩულით გააგებინა მოურავოვმა მასპინძლებს.

– მე ვარ ბატონო, – ყოველგვარი სიამაყის გარეშე, ჩურჩულითვე მიუგო მეფემ.

– კი მაგრამ ჩემიანები ხართ და არ გეწყინოთ, ასე როგორ წარგადგინოთ... რას იტყვის ეს კაცი. სამეფო ტოგას რომ თავი გავანებოთ, ერთი ხელი ნორმალური ტანსაცმელი რა გაჭირდა მეფეო, თქვენთვის, – აშკარად წუხდა მოურავოვი.

– ასე უფრო მოხერხებულად ვარ, თქვენი სახელი?

– ანტონი, ანტონ მოურავოვი.

– ასე უფრო მოხერხებულად და უსაფრთხოდ ვარ, ბატონო ანტონ, თვარა არც ისე დავსებული გახლავართ.

ანტონმა წარუდგინა სოლომონ მეფე ტოტლებენს და თან გულდასმით აუხსნა, რომ მეფეს ეს დაგლეჯილ-გაცვეთილი ჩოხა მასკირება-შენიღბვისთვის, სპეციალურად მოეძებნა, რომ თურქებს ვერ ეცნოთ, ხოლო აბეზარ მთხოვნელებს ზედმეტად არ შეეწუხებინათ.

– გასაგებია... გასაგებია... ტოტლებენმა კივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა და სოლომონ პირველს

ხელი ისე გაუწოდა, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ღარიბ ნათესავს ჩამოართმევდა გაქსუებული რუს-გერმანელი ჩინოვნიკი.

* * *

ჯარი მწვანეყვავილას ჭალაში, უქიმერიონის პირდაპირ რიონის მარცხენა ნაპირას დაბანაკდა.

ქუთაისი მაშინ ძირითადად უქიმერიონის გორაზე უქიმერიონის ციხესა და ბაგრატის ტაძრის ირგვლივ იყო გაშენებული.

ფერდობს რიონისპირამდე თურქი ასკერები იცავდნენ.

ერთი ბილიკიღა ჩასდევდა ქალაქს რიონამდე. სხვა მხრივ იგი ორმეტრიანი კედლით და მიწათხრილით იყო დაცული.

ჯარის გახაზირებას რომ მორჩნენ, სოლომონ პირველმა ტოტლებენი და მისი ამალა (სულ თხუთმეტიოდე სამხედრო მაღალჩინოსანი) ოქროს ჩარდახში, თავის სამეფო სასახლეში იწვია. სოლომონის სასახლე ქალაქგარეთ მდებარეობდა, იგი უშუალოდ ქუთაისის შიდა ნაწილს არ ეკუთვნოდა და თურქთაგან საიმედოდ იყო დაცული. კაცმა რომ თქვას რაღაც დაუწერელი კანონის წყალობით თურქები ოქროს ჩარდახს თავს არ ესხმოდნენ.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, სოლომონს უკვე მოესწრო გამოეკითხა ანტონ მოურავოვისთვის, ვინ იყო და ქართული ასე კარად საიდან იცოდა.

აგაშენა ღმერთმა, ჩვენიანი ყოფილხარ, ვეჟო, გიორგი სააკაძის ფრჩხილად არ ვღირვართ არც ერთი, ნახევრადხუმრობით ეუბნებოდა სოლომონ პირველი რუსთხელმწიფის დესპანს და თან მსახურთ სუფრის გაწყობის დაჩქარების განკარგულებას აძლევდა.

– ერთს ვიტყვი ახლა მე, – მიუბრუნდა მეფე მოურავოვს, – ეგენი რომ დათვრებიან, მერე სამხედრო თათბირი

კი არა, ერთმანეთის ცნობა გაუჭირდებათ. ხომ არ ეწყინებათ, მივჯდეთ ეგერ ჩემს პალატში და მოვილაპარაკოთ, შენ უფრო იცი, ხომ აჯობებს ასე. თუ საჩოთიროა, ნუ ეტყვი... რა ვიცი... თვითონ ტოტოლებენი სვამს?

– სვამს, აბა რას შვრება.

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ჩემს ნათქვამად ნუ ეტყვი. ვითომ შენ მოგივიდა ეს აზრი. ანდა, თუ გინდა, უთხარი ჩემ-ნათქვამად. მეფე ვარ ბოლოს და ბოლოს.

ხუთიოდე წუთის შემდეგ სამეფო პალატში მუხის მრგვალ მაგიდას უსხდნენ.

ჩემი ფიქრითო, რუსთხელმწიფისადმი მადლობის აღვლენის მერე დაიწყო სოლომონ პირველმა, თურქებს სამას კაცზე მეტი არ უნდა ჰყავდეთ უქიმერიონის ციხეში, უკვე იციან, რომ საქართველოშიო რუსის ჯარი შემოვიდა და შიშის კანკალი აქვთ, მაგრამ ციხეს კბლებით დაიცავენ, რადგანაც მთელი ნაძარცვი განძეულობა, რაც საქართველოში და სხვაგანაც დააგროვეს, შიგა აქვთ თავმოყრილიო. ესეც არ იყოს, თურქებმა კარგად იციან, თუ უქიმერიონის ციხე დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმერეთიდან (და არა მარტო იმერეთიდან) ფეხი უნდა ამოიკვეთონო. ჩემი გეგმა ასეთია, თუ ბატონი რუსი გენერალი დამეთანხმება: უქიმერიონს ალყა შემოვარტყათ და რაკი გარედან მაშველ ძალას ვეღარ მიიღებენ, თურქები ერთ თვეში თვითონ ჩაგვბარდებიანო.

ტოტლებენს სოლომონის გეგმას რომ უთარგმნიდა მოურავოვმა უკვე იცოდა, რომ ლოთი გერმანელი იმერეთის მეფეს კატეგორიულად არ დაეთანხმებოდა. ჯარის გამოკვების საქმე თვით გაძვალტყავებულ იმერეთსაც რომ აეღო თავის თავზე, თვით ტოტლებენი არ იყო ის კაცი, რუსის ჯარს რომ საალყო მდგომარეობაში ერთ თვეს გაა-ჩერებდა. მან კარგად იცოდა „მეფის მამაცი არმიის“ ხასი-

ათი, ერთ თვეში რუსის სალდათი გალოთდებოდა და უმარ-
თავი გახდებოდა.

– რამდენი ხანიო? ჰკითხა ტოტლებენმა თარჯიმანს.

– ერთ თვეს ამბობს, – მოურავოვს ხმაში ეჭვი ემჩნეოდა.

– ახლა ჩემი მოისმინოს, – ტოტლებენმა თეთრი, კოტი-
ტა თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდაზე დააწყო, მე
ხვალვე ვიწყებ იერიშს. თურქებს გონს მოსვლის საშუალე-
ბა არ უნდა მივცეთ. დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის
მხრიდან დილის რვა საათზე ოთხი ბატარეა ერთდროულად
გახსნის ცეცხლს, ცოცხალი ძალით შეტევა ჯერ საჭირო არ
არის. მოვრჩით!

ტოტლებენი წამოდგა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხედრო თათბირი დამთავრე-
ბული იყო.

* * *

ტოტლებენმა თავისი სიტყვა შეასრულა.

მთელი დღე უშენდა რუსული ბატარეა უქიმერიონის ცი-
ხეს ცეცხლს.

თურქებიც ცეცხლითვე პასუხობდნენ.

სოლომონ მეფე თავისი ამალით რიონის ჭალიდან შესც-
ქეროდა ამ საზარელ სანახაობას.

ქონგურებზე თურქ მეთოფეთა წითელი ქუდები სამიზნე-
სავით ჩანდა.

„ახლა მაინც მოიხადონ ამ კვდარძაღლებმა ეს წითელი
ბუხარ-ქუდები“, ფიქრობდა მეფე და თან თურქთა სიჩაუქე და
ბრძოლისუნარიანობა მოსწონდა კიდეც. ზუსტი დამიზნებით
თურქები რუსის ჯარს ცოტა ზიანს როდი აყენებდნენ და
სოლომონს მოეჩვენა, რომ წითელი ქუდები თურქებს ჯოხე-
ბზე ჰქონდათ დამაგრებული, რათა რუსებისთვის კვალი აერ-
იათ.

საღამოსკენ თურქების მხრიდან კანტი-კუნტი სროლა ისმოდა.

მზის ჩასვლამდე ერთი ციდა იყო დარჩენილი, როცა თურქებმა მთავარ ქონგურზე თეთრი დროშა გადმოკიდეს და დროშასთან გოგონებიც გამოფინეს თავშალთა ფრიალ-ფრიალით.

„ეშმაკობენ თურქები, ქართველი მეძავები გამოიყვანეს, აქაოდა გნებდებითო“, გაიფიქრა სოლომონმა.

ნახევარ საათში ტოტლებენმა მეწინავე ფეხოსნებს იერიშზე წასვლა უბრძანა და სწორედ მაშინ გამართლდა ის, რაზეც სოლომონ პირველმა იეჭვა.

თურქულმა ბატარეამ ცეცხლი გახსნა და მოიერიშე რუსული რაზმი ფერდობს შეადუღა.

სროლა სრულ დაბნელებამდე გაგრძელდა.

ტოტლებენი და მისი ამალა გვიან დაბრუნდნენ ოქროს ჩარდახში.

სოლომონის მზარეულებს ხბო დაეკლათ და „ძვირფას სტუმრებს“ ელოდებოდნენ.

„რაო ხომ არ შეგვიშინდნენ თქვენი კურდღელი თურქები. ჩვენი მოტყუება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, ხვალ გამოცდიან საკუთარ ზურგზე რუსული ხიშტის ძალას“, ამბობდა ტოტლებენი და სოლომონს მხარზე ხელს უთათუნებდა.

გენერალი კარგ ხასიათზე იყო.

რუსები რომ მილაგ-მოლაგდნენ, სოლომონ პირველმა ქაიხოსრო წერეთელი და პაპუნა ფალავანდიშვილი თავისთან იხმო.

– დამინგრევენ ბაგრატის ტაძარს, ე შობელძაღლები, ბაგრატს დანგრევა აკლდა? – თქვა მეფემ.

– მოხვდა კი, მართალია... ორი ჭურვი, ჩრდილოეთის კედელს მოხვდა, სულ კურცხალი მცვიოდა – პაპუნამ ჩურჩულით თქვა, სარკმელთან მივიდა და რიონს ჩახედა.

– ხომ არავინ შეგამჩნიათ, აქ რომ შემოხვედით?

– სასახლის კარის მცველთა გარდა არავინ.

– რუსებს ისე სძინავთ, ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო ვერ გაიგებენ.

– უნდა წახვიდეთ ახლავე ციხისთავთან, ბიჭებო – ყრუდ ამოილაპარაკა სოლომონმა.

– იმე, თურქები ახლა ისე იქნებიან გამწარებული ულაპარაკოდ თავებს დაგვაჭრიან, – თქვა ქაიხოსრომ.

– ნუ გეშინიათ, ციხისთავს ხოსროვ ფაშას მე კარგად ვიცნობ. უთხარით, სოლომონ მეფემ გამოგვგზავნა-თქო და ეს ჩემი სამეფო ბეჭედი უჩვენეთ, – მეფემ ბეჭედი წაიძრო და პაპუნას გადააწოდა, – უთხარით, რუსებს ხუთი ათასი სალდათი და ოცი ბატარეა ჰყავთ-თქო. წინააღმდეგობა უაზროა-თქო. სოლომონ მეფეს უნდა თქვენ სიცოცხლე შეგინარჩუნოთ-თქო. გამთენიისას ზედა მხრიდან საიდუმლო გასასვლელით, რომელიც კაკლის ხესთან ყორეთია ამოშენებული და იოლი გასანგრევია, გადით ციხიდან და თან წაიღეთ თქვენი ავლა-დიდება-თქო. თანაც დაუმატეთ: სოლომონ მეფემ შემოგითვალათ განძეულიდან რომელიც ჩვენი ძარცვით დაგროვეთ ჩვენ იმდენი დაგვიბრუნეთ, რამდენადაც სიცოცხლე გიღირთ-თქო, – სოლომონ მეფემ ეს ბოლო სიტყვები ძლივს გააგონა შეთქმულთ.

– რომ არ დაგვიჯეროს? – ქაიხოსრო ფრიად შეჩქვიფებულ-შეეჭვებული ჩანდა.

– დაგიჯერებენ, სხვა გზა არა აქვთ. თუ ხოსროვ ფაშა გამოვიდა თქვენთან შეხვედრაზე, ხოსროვი ვაჟკაცია და მეფის სიტყვას ენდობა, თუ არა და, მერე რაც მოუვათ, თავის თავს დააბრალონ. რიბირაბოს ნუ დაელოდებით-თქო, გააფრთხილე თურქები, დროზე შეჰკარით ბარგი და მოუსვით აქედან-თქო, ჩვენი მცველები გარეთ დაგხვდებიან და გზას

გიჩვენებენ-თქო, თან დაამატე არც სოლომონს უნდოდა რუსეთის შემოსვლა, მაგრამ დრომ მოიტანა-თქო.

სამივენი ერთდროულად წამოდგნენ და ერთმანეთს ხელი მისცეს.

– აბა, არ დააგვიანოთ, ღმერთი ჩვენსკენ.

სამივენი აღმოსავლეთისკენ შეტრიალდნენ და პირჯვარი გადაისახეს.

პაპუნა და ქაიხოსრო კატის ნაბიჯებით, გალეშილ რუს ოფიცრებზე გადალაჯებით გაიკრიფნენ სასახლიდან.

ოქროს ჩარდახის ვიწრო შუკაში ცხენების ფლოქვთა ცემა წამიერად გაისმა და მაშინვე შეწყდა.

... თურქებმა შუამავლები მძევლად აიყვანეს და თავი სამშვიდობოს რომ დაიგულეს, ორივენი ქაიხოსროც და პაპუნაც უვნებელნი, მადლობით გაათავისუფლეს. თანაც მადლობის გარდა ერთი ხურჯინი ავლა-დიდება გამოატანეს სოლომონ მეფესთან.

* * *

დილით ტოტლებენმა ჭოგრიტით უქიმერიონის ციხე რომ დაათვალიერა, უამრავ თეთრ ბაირაღს ჰკიდა თვალი, მაგრამ, იფიქრა თურქები მატყუებენო და ცეცხლის გახსნის ბრძანება მაინც გასცა.

ერთი საათის გახსნილი არ იყო ცეცხლი, რომ მასთან კარავში პოლკოვნიკი ზიმზიმოვი შევიდა და მოახსენა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, თურქები აღარ ისვრიან, ქონგურებზეც არავინ ჩანს, როგორ მოვიქცეთ?

– დაელოდეთ კიდევ ერთ საათს. კარგად დაზვერეთ იქაურობა, გაგზავნეთ შვიდკაციანი ჯგუფი იმის გასარკვევად, არის თუ არა ჩქამი ციხის შიგნით. თუ თქვენი ეჭვი გამართლდა, გაეცით ბრძანება და ფეხოსნებმა იერიში დაიწყონ.

– არის, თქვენო ბრწყინვალებავ.

პოლკოვნიკმა საფეთქელთან ორი თითი მიიდო. დეზს დეზი შემოჰკრა და გატრიალდა.

ნასადილევს მთელ ქუთაისს ესმოდა უქიმერიონზე გადმომდგარი რუსი მაცნის ბუკის ხმა და რუსი სალდათების ჟრიამული.

გამარჯვებული არმია ქუდებს მაღლა ისროდა.

სადილობამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. ტოტლებენი და სოლომონ პირველი უქიმერიონს მრავალრიცხოვანი ამალით რომ მიადგნენ.

ჯერ გამარჯვება მიულოცეს ერთმანეთს, მერე ტოტლებენი გატრიალდა და ბრძანება გასცა ციხის ყველა კუთხე-კუნჭული გაეჩხრიკათ.

როცა მჩხრეკავებმა ტოტლებენს მოახსენეს, ციხე პირწმინდად გაცლილიაო, გერმანელი იმერეთის მეფეს მიუბრუნდა:

– რა ხდება? აკი აქ სამასი მეციხოვნე და უამრავი განძეული უნდა ყოფილიყო.

ტოტლებენს სამას თურქზე უფრო მეტად ალაფი აინტერესებდა.

– მე თქვენთვის უნდა მეკითხა, გენერალო – მშვიდად მიუგო სოლომონ პირველმა.

ამ სიტყვებს რომ თარგმნიდა, ანტონ მოურავოვი მიმხვდარი იყო, რაც მოხდა, მაგრამ მას ვერ აეხსნა მიხვდებოდა თუ არა ყოველივეს ეშმაკი გერმანელი.

მოურავოვმა თვალი გააყოლა სოლომონ პირველის მზერას.

სოლომონ მეფე ბაგრატის ტაძრის ხავსიან კედლებს შეჰყურებდა.

გიორგი სააკაძის შთამომავალს თვალებზე ცრემლი მოაწვა.

მეორე დღეს ტოტლებენმა თავის არმიას აყრისა და თბილისში დაბრუნების ბრძანება მისცა.

მან ისე დატოვა ქუთაისი, რომ მეფე სოლომონ პირველს არ დამშვიდობებია.

სამხედრო ეტლში მჯდომი იგი გზადაგზა კარნახობდა შიკრიკს ხელმწიფე იმპერატორისადმი გასაგზავნ პატაკს, სადაც სხვა სიტყვებთან ერთად ასეთი ფრაზაც მოგხვდებოდათ თვალში:

„ამათი ნდობა ერთ ნაბიჯზეც არ შეიძლება, თურქები თვით „მეფე“ სოლომონ პირველმა გააპარა უქიმერიონის ციხიდან...“

* * *

მეორე დღეს ოქროს ჩარდახის თეთრი გრანიტის უზარმაზარ მაგიდას მეფე და შვიდიოდე თავადი შემოსხდომოდა.

იქვე იყვნენ ქაიხოსრო წერეთელი და პაპუნა ფალავანდიშვილი, მაგრამ მათი წუხანდელი საგმირო საქმის შესახებ სხვამ არავინ არაფერი იცოდა.

– შევრცხვით, გაგვექცნენ რუსები, – თვალებში ირონია ჩასახლებოდა ქაიხოსროს.

– ნუ გეშინია ისევ მოვლენ, არ მოგვანატრებენ თავს, – მეფე აქაფებულ რიონს ჩაჰყურებდა, – კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონებო, რავარც იქნა წაშავდნენ თურქები, უქიმერიონის ციხე თავისუფალია.

– ოღონდაც, ოღონდაც, რავარც იქნა, – კვერი დაუკრეს თავადებმა.

– ახლა, ერთი რამ უნდა მოგახსენოთ და კარგად დამიგდეთ ყური. ხვალ ქუდზე კაცი უნდა ვიხმოთ და უქიმერიონის, ბაღდადის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეები უნდა დავანგრიოთ.

სუფრაზე დუმილი ჩამოწვა.

ზოგს ეგონა მომეყურაო, ზოგმა, ღმერთო შეგცოდე, გაიფიქრა, სიხარულის ელდამ, ალბათ, სოლომონ მეფე ჭკუიდან შეშალაო.

– რაც ახლა მოგახსენეთ, ჩემი ნაჩქარევი გადაწყვეტილება როდი გახლავთ ბატონებო, ამაზე სამი წელია ვფიქრობ და თქვენთან სამსჯელოდ და საკამათოდ არ გამომიტანია. ეს ჩემი ყველა ბრძანებაზე უფრო მტკიცე და შეუვალი ბრძანებაა. მორჩა და გათავდა, იკითხავთ, რატომ ვანგრევთო და მართალიც იქნებით. ამ ციხეებმა დაგვღუპა ჩვენ. ჯერ ერთი ჩვენ რომ შევიყუჟებოდით ციხეში და მტერი ალყას შემოგვარტყამდა, რა გამაგრებულიც უნდა ვყოფლიყავით, ბოლოს მაინც სამარცხვინოდ დანებება გვიწევდა, თუ მტერი მოვიდოდა, დაიკავებდა ჩვენს მთავარ ციხეებს და იყო შიგნით მშენივრად დაცული. როგორ ფიქრობთ თქვენ, უქიმერიონში, რომ ასი წელი იჯდნენ თურქები, რისი ბრალია? თვითონ მშვენიერი და ძნელად ასაღები უქიმერიონის. დამთავრდა ასწლიანი პარპაში უქიმერიონზე თურქების, ახლა რუსები შევლენ შიგ და იქნებიან ერთი ასი წელი მაინც, თუ მეტი არა. ჰოდა ისე უნდა გავხადოთ ჩვენი საქმე, რომ შემოსეულ მტერს გამზადებული თავშესაფარი მაინც არ დავახვედროთ. ასე მესმის მე ჩვენი გასაჭირი, ჩემთვის თურქიც და რუსიც ორივე დამპყრობელია. ესაა ჩემი ბრძანება და თუ რომელიმეს უარი აქვს მომდგარი პირზე, ახლავე მითხრას. არ დაიჯეროთ, რომ ჩემზე მეტად გიყვართ რომელიმეს ეს უბედური საქართველო.

ვინ რას ეტყოდა,

კამათს ვინ შეჰბედავდა.

მეფე იყო და ბრძანებდა.

... 1769 წლის 8 აგვისტოს უქიმერიონის ციხეს კაჟის ურიებით ქართველები შესეოდნენ.

ჯერ გაუბედავად ზანტად იქნევდნენ ურიებს. მერე და

მერე, როცა ათისთავებმა აუხსნეს მეფის ბრძანებაა, უფრო გულდაგულ მოეკიდნენ საქმეს.

ალბათ ახლის, უფრო დიდის და უფრო მკვიდრის აშენებას აპირებენო, ფიქრობდნენ მნგრეველნი და საუკუნოვან ქონგურებს მიწაზე ჰყრიდნენ.

12 დეკემბერი, 2012 წ.
თბილისი

მოსმენის სამსახურის ბიჭები

„სააკაშვილის დროს აბსოლუტურად ყველა ტელეფონი ისმინებოდა“...

ოპოზიციონერის გამოსვლიდან

ძმაკაცი მყავს ერთი, ხიტია ვაშაკიძე, უბედურნახევარი ყავს გამჩენს. მეც არ ვარ მთლად დაწყობილი და რო გევიგეთ, ყველა ტელეფონი ისმინებაო, გადავწყვიტეთ მოსმენის სამსახურებისთვის საქმე გაგვეჩინა.

რანაირად?

ყოველდღე უნდა დაგვერეკა ერთმანეთისთვის და, რაც შეიძლებოდა, საეჭვოდ უნდა გველაპარაკა.

საქმე მაინც არაფერი გვქონდა, მე შენ გეტყვი ვმუშაობდით სადმე. ქუთაისში სამსახურის შოვნა წყლის ნაყვა იყო მაშინაც,

ორშაბათს 2009 წლის 11 სექტემბერს დავიწყეთ.

მ ე – ხიტია ხარ?

ხ ი ტ ი ა – არა, გიგა ბოკერია.

მ ე – რას გლახაობ.

ხ ი ტ ი ა – დედალ-მამალ ბელურებს ვითვლი.

მ ე – მომისმინე, ახალი დავალებაა ცენტრიდან.

ხ ი ტ ი ა – რაიო?

მ ე – ის საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთო.

ხ ი ტ ი ა – კეთილი და პატიოსანი, მარა, სანამ ვატყუებიო ასე თავი, მაგენს ჯაჭვის ხიდის ქვეშ ამონალის ჩადება იოლი საქმე ხვარ ჰგონიათ?

მ ე – რათა? რას ერჩი იმ ხალხს?

ხ ი ტ ი ა – რას ვერჩი და ჯერ წინა საქმის ფულიც არ მოუციათ.

მ ე – კაი ახლა. ნუ შეჯდები ჯორზე, სამი დღე გადაგვიცილეს, რა მოხდა. ორივე საქმის ფულს ერთად მოგვცემენ.

ხ ი ტ ი ა – როდისო?

მ ე – რა როდისო?

ხ ი ტ ი ა – როდის შეასრულეთო?

მ ე – ოთხშაბათს, ზეგ 13-ში ხუთ საათზე თეატრთან გაჩერებაზე ტაქსით მოგიტანს ლექვინაძე გამზადებულ ლაღუმს. შენ მიიტან და ჩადებ მარცხენა მხარეს რკინის რელსის ქვეშ.

ხ ი ტ ი ა – მეტი?

მ ე – მეტი არაფერი, სხვა ჩვენ არ გვეხება, კნოპკას თვითონ დააჭერენ ხელს.

ხ ი ტ ი ა – კი ბატონო, რამდენია მაგაზე?

მ ე – რაზე?

ხ ი ტ ი ა – რამდენს იძლევიენ?

მ ე – შვიდას ლარს.

ხ ი ტ ი ა – წევედი აბა. არავისთან არაფერი წამოგცდეს.

მ ე – მე მეუბნები მაგას?

13 სექტემბერი:

მ ე – სად ხარ?

ხ ი ტ ი ა – სახლში ვარ ჯერ. ხუთზე ვარ, ხომ მისასვლელი იქანა.

მ ე – ხუთზე იყო, მარა გადეიდო ოპერაცია, არ მიხვიდე თეატრთან.

ხ ი ტ ი ა – ვინ გადადო?

მ ე – ცენტრმა.

ხ ი ტ ი ა – რატო?

მ ე – რა ვიცი, ინფორმაციამ გაჟონაო. შენ ხვარავისთან წამოგცდენია.

ხ ი ტ ი ა – რაი?

მ ე – ეს საქმე.
ხ ი ტ ი ა – შენ ხვარ გადეირიე. მაგენი შარზე ხვარ არიენ.
მ ე – კარგად, აბა.
ხ ი ტ ი ა – კარგად იყავი.

მაშინვე ჩავიცვი და ჯერ თეატრის წინ ვიდექი, გაჩერებაზე, რომ არ მოგატყუო, ექვსის ნახევრამდე, მერე ხიდისკენ გევიქეცი, მე ვთქვი, ახლა კი იქნება გავსებული ხიდისქვეშა ტერიტორია ტყავისჯუბაჩიანი დაცვის ბიჭებით-მეთქი, თქვენც არ მომიკვდეთ, არც თეატრთან და არც ხიდთან, საეჭვო არავინ შემინიშნავს.

ალბათ, რაკი ოპერაცია გავაუქმე, იმათაც „ატბოი“ გამოაცხადეს-მეთქი და შინ დავბრუნდი.

14 სექტემბერი:

მ ე – ხიტია
ხ ი ტ ი ა – ჰო.
მ ე – ხო მოგიტანეს ფული.
ხ ი ტ ი ა – კი მარა ორმოცდაშვიდი ლარი აკლდა.
მ ე – ჩემთანაც მასე აკლდა. დაქვითეს ალბათ,
ხ ი ტ ი ა – რაის? უშვილობის?
მ ე – უშვილობისას კაი ხანია აღარ ქვითავენ, რაცხეის ფულს დაქვითავდნენ, საშემოსავლოს ან სხვა რამისას.
ხ ი ტ ი ა – იმ დღეს რომ მეუბნებოდი, ის საქმე ძალაშია?
მ ე – კი მარა, არ ვიცი რაფერ შევძლებთ მე და შენ ცოტა არ იყოს, სარისკო საქმეა.
ხ ი ტ ი ა – აბა, ურისკო ღომის ჭამაა, ურისკო საქმეში ვინ მოგცემს ფულს. რა უნდა გავაკეთოთ მე და შენ. მითხარი ერთი თავიდან წვრილათ.
მ ე – რა და სანდუხაძე ყოველდღე, სამსახურის მერე, შვიდიდან რვამდე უქიმერიონზე სეირნობს. ხვალ, თხუთ-

მეტ სექტემბერს, სეირნობას რომ დაამთავრებს, საბაგიროს ქვეშ უნდა დავხვდეთ. სანდუხაძის ესკორტი რომ დაიძვრება, ზევიდან გზაზე კაი მოზრდილი ლოდი უნდა ჩამოვაგოროთ. ესკორტი გაჩერდება, პირველად სანდუხაძე და მისი დაცვის ბიჭები მიირბენენ ქვასთან, ე, იმ დროს გამოვარდება ბუჩქებიდან ცხრა კაცი, დაცვას განაიარაღებენ და სანდუხაძეს თავზე ტომარას ჩამოამხობენ.

ხ ი ტ ი ა – სროლა ხვარ მოყვება მაგ საქმეს?

მ ე – არ ვიცი, ჩემთვის სროლაზე არაფერი უთქვამთ.

ხ ი ტ ი ა – არაა გლახა ბეგრაუნდი, მარა სარისკო კია, მრთალია.

მ ე – ჩვენთვის იმდენად არა, ჩვენი საქმე ქვის ჩამოგორებაა, ტომრის ჩამომცმელისთვისაა ცოტა საშიში.

ხ ი ტ ი ა – რამდენს იძლევიენ მაგაში?

მ ე – ათას-ათას ლარს სუფთად და დაუმადლებლად.

ხ ი ტ ი ა – ესე იგი ხვალ შვიდის ნახევარზე უქიმერიონზე ვხვდებით ერთმანეთს ბოლო ცაცხვთან.

მ ე – მასე აჯობებს კი.

ხ ი ტ ი ა – ერთათ რო ევიდეთ ეჭვს ეიღებს ვიღაცა.

მ ე – ისე ნამეტანი თავისუფლათ ვლაპარაკობთ ტელეფონით, ეგება ქე გვისმენს ახლა მშვენიერ კარქათ მოსმენის სამსახურის ბიჭი.

ხ ი ტ ი ა – გვისმინოს მერე, რა ვთქვით გლახა. მთავრობას ჩვენ არ ვაგინებთ და არაფერი.

მ ე – ხანდახან რას ვფიქრობ იცი?

ხ ი ტ ი ა – რას?

მ ე – ჩვენი სიკეთის არ იყოს, იმასაც მაგარი სამსახური აქვს, ხომ იცი.

ხ ი ტ ი ა – ვის?

მ ე – ვის და მოსმენის სამსახურის ბიჭს. სხვა საქმეზე მეეკი-
და ხელი იმ ოჯახაშენებულს, ყოველდღე სხვის ლაილაის
მოსმენა ტელეფონში არ წყინდებათ?

ხ ი ტ ი ა – მოწყენას რო თავი გაანებო, დამამცირებელია.
რა ვაჟკაცობაა მაგალითად, იჯდე და ისმენდე სხვის
ლაყაფს.

მ ე – მერე მარტო მოსმენა რო ევალებოდეს, კიდო არაფერი.
მერე ეს მოსმენილი უნდა გაშიფროს, ოპერაციის გეგმა
უნდა შეიმუშაოს და უფროსს შეუტანოს ხელის მოსაწე-
რად. მერე იმ უფროსმა ზეით უნდა წეიღოს და ასთე
ივლის ჩვენი ლაპარაკი აღმა-დაღმა.

ხ ი ტ ი ა – კაი ენის იყავი. რა შუაშია ჩვენი ლაპარაკი, რას
ვამბობთ ჩვენ იმნაირს, მთავრობას ჩვენ არ ვაგინებთ და
არაფერი.

მ ე – რას ვფიქრობ იცი?

ხ ი ტ ი ა – რას?

მ ე – ის მომსმენი ეგება ჩვენი ნაცნობიც კია, ეგება ყოველ-
დღე ვხვდებით ბაღის კიდეზე და ეგება ხელსაც ქე ვარ-
თმევთ.

ხ ი ტ ი ა – დაანებე თავი ფილოსოფიურ რატრატს. ჩვენ
საქმეს მივხედოთ. რავა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, შენ
გგონია დიდათ ვაჟკაცური საქმეა? ხიდებს ვაფეთქებთ,
წყალსადენს ვწამლავთ, გზაზე ქვას ვაგორებთ...

მ ე – მეეცათ სამსახური და ვინ მამაძაღლი მოკიდებდა ამ
საქმეს ხელს.

ხ ი ტ ი ა – მართალი ხარ, ვის უხარია, წყალსადენის მოწამ-
ვლა და კაცისთვის თავზე ტომრის ჩამოცმა.

მ ე – რა გაყვირებს, მაინცდამაინც გინდა გააგონო?

ხ ა ტ ი ა – ვის!

მ ე – ვის და ვინც გვისმენს.

ხ ი ტ ი ა – მაგას ისე ექნება ყური გაფაციცებული და იმნაირი დინამიკები ექნება იქანა დადგმული, რომ თლათ ჩურ-ჩულითაც რო ილაპარაკო, მაინც გეიგონებს.

მ ე – ხვალამდე, აბა.

ხ ი ტ ი ა – არ დეიგვიანო შვიდის ნახევარზე იქ უნდა ვიყოთ.

მ ე – ქვა?

ხ ი ტ ი ა (იცინის) – ქვის მეტი რაია უქიმერიონზე, ქვას სახ-ლიდან ხვარ ვათრევთ.

თხუთმეტ სექტემბერს ორივენი დანიშნულ დროს გამოვცხადდით უქიმერიონზე. რვაჯერ ჩოვუარეთ სანდუხა-ძეს და მის ბიჭებს გვერდით. ჩვენსკენ არც გამოუხედავთ. ბოლოს, წასვლა რო დააპირეს, საბაგიროს ბოძთან ევირ-ბინეთ და ქვევით ჩავხედეთ. გეიარა ესკორტმა მისებურათ, შლიგინით. რისი სიფრთხილე, რისი სანდუხაძის სხვა მან-ქანაში გადასმა. გაგიგონია? გეიჭიმა სანდუხაძე ესკორტის მეორე მანქანაში (წინა დაცვისაა) და ჩაგრიალდა ქვეით, წყ-ალწითელაზე ბატკნის ჩაქაფულის საჭმელათ.

15 სექტემბერი:

მ ე – ხიტია.

ხ ი ტ ი ა – ჰო.

მ ე – არ გვისმენენ, მგონია, ეს კვდარძაღლები.

ხ ი ტ ი ა – მეც ქე შევეჭვდი, შენ რომ იცოდე.

მ ე – ახლა ახალი ამბავი გითხრა.

ხ ი ტ ი ა – გლახა ამბავია, თუ კაი?

მ ე – კაი, ბებიაშენისამ ჩემმა ინდოურმა ოქროს კვერცხი დადო, რავარც იტყვი, კაი ამბავი კი არა, დევიღუპეთ და ეგაა.

ხ ი ტ ი ა – რავა?

მ ე – კოჭოია დეიჭირეს.

ხ ი ტ ი ა – არ გამაგიჟო.

მ ე – ტელევიზორში თქვეს ამ დილას 4 საათზე ლითოფონის ქარხანასთან ოუყვანიათ. ხელყუმბარის გადაგდება ზაბორზე ქე მოუსწრია, მარა, რათ გინდა, არ აფეთქებულა.

ხ ი ტ ი ა – არ მოგვმართვია ხელი? კოჭოია ახლა ყველაფერს დაფქვავს, მაგან ხო ყველაფერი იცის.

მ ე – მე და შენ რო ჩაგვიშვებს, რათ უნდა ლაპარაკი, მარა მე იმას ვშიშობ, ბორისოვი არ ჩაუშვას.

ხ ი ტ ი ა – აბა, აბა ხომ შევრცხვებით იმ კაცთან, ხომ მეგვეჭრება თავი.

მ ე – ჩვენი ბრალია, რაც ჩვენ ტელეფონში ვტლიკინებდით.

ხ ი ტ ი ა – კიდო კაი, ტელეფონით რო არ დაგვხოცეს. ხო იცი, ახლა ტელეფონიდან კლავენ პირდაპირო.

მ ე – მეტი რა ვიცი, მასე არ მოკლეს ზვიადის ძმაკაცი ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი?

ხ ი ტ ი ა – ერთს გეტყვი ახლა მე.

მ ე – ჰო.

ხ ი ტ ი ა – ტერორისტების კურსებზე რომ რიცხვებით ლაპარაკი გვასწავლეს ხო გახსოვს?

მ ე – რავა არ მახსოვს.

ხ ი ტ ი ა – აბა, აწი რიცხვებით ვილაპარაკოთ, ეს საიდუმლო შიფრი, მე მგონია, არ ეცოდინებათ.

მ ე – ჰო... მასე ვქნათ, ეგება არ ვყავართ ღმერთს ბოლომდე განწირული.

ხ ი ტ ი ა – ოცდაცხრამეტი ხარ?

მ ე – კიე.

ხ ი ტ ი ა – მეშვიდე გელაპარაკები, 217 ოპერაცია დირიჟაბლს აყვა. შენი თორმეტი იაშიკი მსხალი და ცხრა ტომარა სიმინდი უნდა გადამალო.

მ ე – სა წევიღო?

ხ ი ტ ი ა – ოცდამეთხუთმეტე პარალელთან, შვიდის აზიმუტზე, ხუთიათას ცხრაას თოთხმეტ ბოქსთან ჩამარხე მიწაში.

მ ე – ლაფართქა?

ხ ი ტ ი ა – ლაფართქა და კირკა მაქვეა. აბანოს კაჩიგარიის ძველ ჩასასვლელთან, ტომარა აქვს წაფარებული.

მ ე – კაი აბა, წევედი.

ხ ი ტ ი ა – სხვა ქუდი დეიხურე და ულვაშები შეიღებე.

მ ე – შეღებვა არ მიხდება, თლათ გევიპარსავ.

ხ ი ტ ი ა – რავაც გინდა.

* * *

16 სექტემბერს მე და ხიტია თეთრ ხიდთან კაპიტონის სალობიეში შევედით.

თითო ქოთანი ლობიო მიაწერე ჩვენს ვალს-მეთქი, ვაჯახე კაპიტონს.

გამაგებიეთ, რამდენი ქონდა მამაჩემს თქვენი ვალიო, ახლა რომელ უშაფათო კვირაში და რით აპირებთ ვალის გასტუმრებასო. აღარ დარჩა რვეულში ნისიების ფურცელზე ადგილიო, იცინის კაპიტონი სიმწრის სიცილით.

ვჭამთ ლობიოს და ვიღაცა ბუკლესქუდიანი ასე ოცდასამი-ოცდახუთი წლის ბიჭი შამევიდა.

გოუარა ჩვენს სტოლს და ჩვენი ნანისიავები ლობიო თავისი ბოლოკით და შავი პურით ძირს არ გადმოგვიყარა?

რას შობი, შე ოჯახდაქცეულოვო, იყვირა ხიტიამ.

რა იყო, რა მოხდა გემეკრა ხელი, რა დიდგულზე ხართო, იბღვირება.

არც ბოდიში, არც ზარალის ანაზღაურება, ისე გლახათ იწმახნება, აქეთ გვადებს ვალს.

ლობიოზე კი არაა საქმე, უფროს-უმცროსი უნდა იცოდე, ბიძია, ცოტა შეწუხდი მაინც, მე ვუთხარი.

სიდოური ჩემი ბიძია ხარო შენო, წამეჭიმა, რო ავდექი, ფეხზე მოკიდა ჩვენს სტოლს ხელი და არ ააყირავა?

აყირავება ასე არ გინდაო და მოუქნია ხელი ხიტიამ.

ეიცილა ხიტიას ხელი და სანამ მე მევიქნევდი წიხლს, იმ-ნაირი მცეცხლა, თვალიდან ნაპერწკლები წამომაყრევია.

დაბარებულებივით შამოვარდა ორი პოლიციელი, ამოგ-ვიტრიალეს მკლავები და წვაგვაჩიქჩიქეს პატრულის მანქა-ნისკენ.

იქანა სტეკლოს შენობაში ცოდვას ვერ დევიდებ, ცემა და გინება არ დოუწყიათ, მარა გამომძიებელმა ახსნა-განმარტება დაგვაწერია, ოქმი შეგვიდგინა და ბოვშები აღარა ხართ, ქე გეცოდინებათ რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ჩხუბის ატეხვა ხუთ წლამდე ციხეს ითვალისწინებსო.

მე წინასწარ მონაცემებს ვეყრდნობი, თვარა გამოძიება გრძელდება და იმ მესამე დამნაშავეს რო დევიჭერთ მერე, არ ვიცი, რას გადაწყვეტენ უფროსი გამომძიებელი და პროკუ-რორი, ეგება უფრო დამძიმდეს თქვენი საქმეო.

შეგვაგდეს კამერაში.

ხუთ საათს კაცი არ შეგვხმიანებია.

კიდო კაი, თითო ლუკმა ლობიო მაინც გვქონდა შეჭმული.

შუაღამის თერთმეტ საათზე უფროს გამომძიებელთან შეგვიყვანეს.

წყურვილისგან ხახა გვიშრება ორივეს, მარა შიშით წყალ-საც ვერ ვთხოულობთ, ისედაც გამწარებული ჩანს უფროსი გამომძიებელი.

თქვენი ბრალი არ არის, ჩვენი ბრალია თქვენ რო აქამდე მიგიშვით და დროზე არ ჩაგავლეთ ხელი ქიჩოშიო, უფროსმა გამომძიებელმა.

თუთიყუშისცხვირიანი, მელოტი კაცია. სტოლზე თითებს აკაკუნებს.

შენო, მე მეუბნება შარშანწინდელი ვერიკო რიჟამაძის ქორწილის საქმე რო გაპატიეთ, მიტომ გაგივიდა თავსო.

მე რა შუაში ვიყავი იქანა, ჭომელმა მაყარმა ატეხა ჩხუბი და მე მხოლოდ ვაზავებდიყენ, მე ვუთხარი.

გიცნობთ, კარგად გიცნობთ, შავები ხართ ორივეო.

ე, ღვთის გლახა ხიტია რაღას ეიყოლიე, ამან ამ ხუთი წლის წინ საკონსერვოდან ორი იაშიკი გაროხი რომ მეიპარა, ჯერ ის საქმეც არა გვაქ დახურულიო.

მე არ მომიპარია, ხო იცის პატრულმა ვაჩიბერიძემ ვინც მეიპარა ის გაროხიო, წაიმეტიჩრა ხიტიამ.

მეცოდებით მაინც, რაც არ უნდა იყოთ, იმ წინა საქმეებს აღარ აგკიდებთ მარტო დღევანდელ ჩხუბის მუხლით გაგიშვებთ ციხეშიო, უფროსმა გამომძიებელმა.

შარზე იყო ბატონო ის ლაწირაკი-მეთქი, ტუჩი მევიკვნიტე.

ახლა კიდე დანაშაულს ნუ დაუმატებ შენს საქმეს, ვის ეძახი ლაწირაკს შენო, ხელი დაკრა მაგიდას უფროსმა გამომძიებელმა.

გაჩუმდი, ამგენთან თავის მართლება არ ღირს, რაც მეტს ვიტყვით, მეტად გაბრაზდებიანო, ხიტიამ მიჩურჩულა.

მერე კაი ხანს მდუმარედ ვიჯექით.

კაი ხანს გვიყურა უფროსმა გამომძიებელმა, ბოლოს წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ვიღაცას მობილურით ნამეტან დაბალ ხმაზე დაელაპარაკა და მოგვიბრუნდა.

ახლა ასე შევთანხმდეთ, გაპატიებთ დღევანდელ დანაშაულს, ციხეში ვარესათ გაფუჭდებით და ახლა, ამ წუთში არ ხართ წყალწაღებული ხალხი თქვენო. წადით, ბიძია და ჭკუა ისწავლეთ, დროა უკვეო. თქვენი საგლახაო და საშაყირო არავინ არაა რო იცოდეთ, თქვენო. ყველას თავისი საქმე და თავისი გასაჭირი ადგას დღესო. წაით სახლში და გაფრთხილებთ, რავარც კიდო შეგეშლებათ რამე, მერე თქვენს თავს

დააბრალეთ ყველაფერიო. დაანებეთ ამ უშნო ღრეჯას და მასხარაობას თავი, მითქვია მე თქვენთვისო.

კარებამდე გამოგვაცილა. ხელი ჩამოგვართვა და კიბეს-თან იდუმალი ჩურჩულთ გვკითხა:

რა ჰქენით, თორმეტი იაშიკი მსხალი და ცხრა ტომარა სიმინდი თუ გადამალეთ კარგათ, ქე მაინცო.

... მივხვდით რაშიც იყო საქმე, მარა უკვე გვიან იყო.

მოსმენის სამსახურს ერთით ნოლი მოგებული ჰქონდა.

5 იანვარი, 2013

არ ჩავერევი

არა, ძმაო, ჩემგან ჯვარი წერია მაგ საქმეს. გოგოც მშვენიერია და ბიჭსაც წუნი არ დაედება, მარა თვითონ გაარკვიონ ერთმანეთში და თვითონ გადაწვიტონ ყველაფერი. ჩემდათავად, კრინტის დამძვრელი არ ვარ. ერთხელ ჩავერიე მაგნაირ საქმეში და თავბედი ვიწყევლე.

ტექნიკუმი რო დავამთავრე, გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში გამანაწილეს. იქ შევირთე ცოლი, იქ მივიღე ოროთახიანი ბინა (მაშინ ბინებს ჯერ კიდევ იძლეოდნენ) და ოცდაათი წელი მოვათიე ისე, რომ სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია, ღვთის წინაშე, არც მთავრობას შეუწუხებია თავი ჩემი დაწინაურებით.

„გრეხილი ავეჯი“ სახელად ჰქონდა ჩვენს ფაბრიკას, თვარა იქანა მერხებს და ბილიარდის შარების მოსაქუჩებელ სამკუთხედებს ვაკეთებდით. დიდად მომგებიანი ფაბრიკა არ იყო ჩვენი ფაბრიკა. სკოლის მერხებში ვინ რას მოგცემდა, ერთი ორი მერხი „ლევად“ რო გაგვეყიდა. ვის უნდა სკოლის მერხი ბინაში. არც ბილიარდის სამკუთხედებს ჰქონდა დიდი მაზანდა. ასე რომ, ქე ვიჯექით ხელფასზე მუშიან-დირექტორიანად.

ჩემი ცეხის გამგე იყო ნიკანდრო გოროზია. გადასარევი კაცი. მურაბა კაციო რომ იტყვიან ზუსტად იმნაირი, შინაურულად კონდრას ვეძახდით, შარშან წაგვართვა გრიპმა, ოთხმოცის არ იყო ჯერ. აცხონოს ღმერთმა.

კონდრას ორი გოგო ჰყავდა. უმცროსი, ნელი, ოცი წლის გათხოვდა, გეიპარა სახლიდან და კვახჭირელ ბიჭს მითხოვდა. უფროსი გვანცა, როცა ის ამბავი მოხდა, რაზეც მე გიყ-

ვები, ქე იყო ოცდათექვსმეტის. ოცდათექვსმეტი გოგოსთვის მთლად უიმედო ასაკი არა, მარა ცოტა არ იყოს, საგანგაშო ასაკი ნამდვილად არის.

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კონდრა გოროზიას მთავარი საზრუნავი გვანცას გათხოვება შეიქნა.

ოცდაათს რო გადაცდა გვანცა, ცას და ქვეყანას შესჩიოდა კონდრა, ნაცნობს თუ უცნობს ამუნათებდა ამნაირი და ამნაირი გოგოა ჩემი გვანცა, გამათხოვებინეთ, ღმერთი არ გწამთო?

თუ სამსახურში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდებოდა, პირველ რიგში იმას კითხულობდა კონდრა, ცოლიანი იყო თუ არა. თუ ცოლიანი აღმოჩნდებოდა, იმ წამიდანვე კარგავდა ყოველგვარ ინტერესს სრულიად უდანაშაულო ბიჭის მიმართ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რატომ გაუგულგრილდა ცეხის გამგე.

მე კი, რაკიღა ცვლის უფროსად ვმუშაობდი და საამქროში ბატონი კონდრას მოადგილედ ვითვლებოდი, ქვის მედალიონივით ჩამომკიდა კისერზე გვანცას გათხოვების არცთუ იოლი საქმე.

თითქმის ყოველ დილას რომ ჩამოივლიდა „მზა პროდუქციას“ ისე, ყოველ შემთხვევისთვის შეავლებდა თვალს და მეტყოდა:

– შემოდი ჩემთან.

შევიდოდი.

თქვენ გგონიათ გეგმის შესრულებაზე დამიწყებდა ლაპარაკს?

– რას შობი, ბიჭო შენ?!

ვიცოდი რაც უნდა მეპასუხა.

–რა ვიცი, ბატონო კონდრა, ვეძებ. ჯერ ვერ მოვნახე, თქვენი ოჯახის და გვანცას შესაფერისი.

– არ ვარგიხარ, ბიჭო, არა, დაანებე ჩემს ოჯახს თავი. იყოს, არ დევეძებ რანაირიც იქნება. ახლა რჩევის დრო არ არი, ჩამაბერდება გვანცა ხელში და დევიღუპები. დატრიალდი მოძებნე ვინმე ამხანაგებში, ნათესავებში... მე ამაზე მეტი არ გამიჭირდება, ხომ იცი შენ. წადი ახლა და სასწრაფოდ მიმიხედე ამ საქმეს.

მეტი გზა არ იყო, სასიძო უნდა მეპოვა, თორემ კონდრა სიცოცხლეს გამიმწარებდა.

მივდექ-მოვდექი და ვტაცე ხელი ჩემს გარე ნათესავს ჭოლა ფესტვენიძეს.

ჭოლამ ჩემს მერე დაამთავრა სატყეო ტექნიკუმი, წესიერზე წესიერი ბიჭი იყო. ქუთაისში ერთოთახიანი ბინა ჰქონდა ევსტატი მცხეთელის ქუჩაზე, ხუთსართულიანში პირველ სართულზე. მშობლები პატრიგეთში ცხოვრობდნენ. ძაფსაღებში ქვეოსტატად მუშაობდა და შაბათ-კვირას სოფელში მიდიოდა. ორმოცი წლის ისე გახდა, რომ, როგორც თავს იმართლებდა, „ცოლის სათხოვრად“ ვერ მოიცალა.

ერთი ნაკლი ჰქონდა ჭოლას, საშუალოზე დაბალი იყო და ულვაშეზე ჩამოფარებულ ყვავის ნისკარტივით ბარაქიან ცხვირზე შავ ბუსუსებად ეყარა მეჩხერი შავი თმა. ერთი სიტყვით, იმნაირი შესახედაობა ჰქონდა, გოგოებს რომ არ იზიდავთ. ამ მიზეზის გამო ვუვლიდი გვერდს ჭოლას და კონდრას პოტენციური სასიძოების სიაში არ შემყავდა, მაგრამ ბოლოს ჩემი საამქროს გამგემ სხვა გზა რომ არ დამიტოვა, მივადექი ჭოლას.

ჭოლა-მეთქი, სანამ უნდა იარო უცოლოდ, მრცხვენია-მეთქი შენს მაგივრად.

მერე არი ვინმე და არ ვთხოულობო?

მე მყავს ერთი კაი გოგო, ჩემი საამქროს გამგის კონდრა გოროზიას ქალიშვილი. გოგოც მშვენიერია (ამ სიჩქარეში დამავიწყდა მეთქვა, ძვირფასო მკითხველო რომ

გვანცს მშვენიერი, რასაკვირველია, არ ეთქმოდა, მარამ არა უშავს გოგო იყო) და ოჯახი მთლად უკეთესი. უმ-ცროსი და გათხოვილია და სასურველი სიძე იქნები-მეთქი. პატარა ხანს შენს ოთახში იცხოვრებთ და მერე კონდრას-თან გადახვალთ. თუ ეს საქმე გამოვიდა, გაკეთდები-მეთქი შავი დედალივით.

წამო ვნახოთ ახლავეო, გაეხარდა ჭოლას.

მე რო წამოგყვე ეჭვს აიღებს, შენ წადი და ნახე, მაგერ მუშაობს ნინოშვილზე სახლმმართველობაში ბუღალტერ-მოანგარიშედ-მეთქი.

წავიდა და ნახა.

მივედი მეორე დღეს.

რავაა საქმე-მეთქი.

არ წამომყობა, ბიჭო, მაგი მეო.

შენ ხომ მოგწონს და დანარჩენი მე მომანდე -მეთქი.

კაი აბა, სამაშვლო ხარის ტყავი ჩემზე იყოსო, იცინის.

მივედი კონდრა გოროზიასთან.

ასე და ასეა საქმე, ბატონო კონდრა, ჩემი შორეული ნა-თესავია ჭოლა ფესტვენიძე. სხვა მხრივ კაი ბიჭია, მარა ერთი ნაკლი აქვს, შესახედავად მთლად არ ბრწყინავს-მეთქი.

რად უნდა კაცს შესახედაობა, მოიყვანე კვირას ჩემთან. თლათ კვაზიმოდო არ იყოს და ისე რა უჭირს, არც ჩემი გვან-ცაა ნესტან დარეჯანიო.

მივედით კვირას, როგორც დავთქვით, ასე სადილობის დროს.

დიდებული პურ-მარილი, ხელმომართული ოჯახი.

გვანცაა და ზრდილობით სავსე, გემრიელი გოგო.

ჭოლასაც თავი ღირსეულად უჭირავს, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობს, გოუშინაურდა სასიმამ-როს და სასიდედროს. იმ დღეს პირზე კოცნის და იმერული

„არ მიირთვით ბატონო, არაფერი? მომიკვდეს თავის“ და „რავა გეკადრებათ, პატივცემულო, ყველაფერი გეახელით, ფრიად ნასიამოვნები გახლავართ, თქვენმა მზემ“-ის მეტი რა იქნებოდა და მეორე დღეს გულის კანკალით მივედი სამსახურში, ეჭვი მაქვს ჭოლას დამიწუნებენ შესახედაობის გამო.

კონდრა კარგ ხასიათზე შემხვდა.

ერიჰაა, არ უნდა იყოს გლახათ საქმე.

ცოტა წეიუარა გვანცამ, ხომ იცი ახლანდელი გოგოების ამბავიო, ამხელა ცხვირიანი ქმარი რავა გევიყოლო გვერდითო, მარა შევუნთეთ ცეცხლი მე და მარომო (კონდრას ცოლი). რას მიქვიან ცხვირის გამო კაცის დაწუნებაო, ასე რო ყველაფერი კარგათ არისო. დევითანხმეთ გვანცაო. ახლა ამ საქმეს, ხომ იცი, გადადება არ უხდებაო. იმ კვირას ორშაბათიდან, როცა უნდათ, შეიტანონ განცხადება და მოაწერონ ხელიო.

გახარებული მივფრინავ ჭოლასკენ.

– საათივით ეიწყო შენი საქმე, საპატარძლო თანახმაა. იმ კვირიდან განცხადებას შეიტანთ და მერე ქორწილი და მისი ჯანი!

რაცხა არ მომწონს ჭოლას სახე. იმის მაგივრად ვაშაურათი შემხვედროდა, ხვნეშის და თითებს იმტვრევს.

რა იყო ბიჭო-მეთქი.

უარი უნდა ვთქვათ ამ საქმეზეო.

შენ ხვარ გააფრინე, ჭოლა, რა დროს ვარია, საქმე ბოლომდეა მიყვანილი-მეთქი.

მომკალი თუ გინდაო. წუხელის მთელი ღამე არ მიძინია, არ ეკარება გულს და რა ვქნაო.

ბიჭო, რა პირით შევხედო იმ კაცს, ეს რა მიყავი. მოგეკალი და ეს არ გეთქვა, რა ვქნა ახლა რა ცეცხლში ჩავვარდე-მეთქი.

რა ვეხვეწე, რა კვერცხი ვუგორე, რა ლამაზ ფერებში დავუხატე ხვალინდელი დღე, მარა შენც არ მომიკვდე, ერთხელ რო შეჯდა ჯორზე არ ჩამოდის.

ორშაბათ დილას შევედი კონდრას კაბინეტში.

სახეზე მკვდრის ფერი მადევს, მარა ერთი სვლა მევიფიქრე (გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო) და წყალწაღებულივით ვეჭიდები.

ბატონო კონდრა-მეთქი, ენის ბორძიკით დავიწყე, აქედანვე რომ არ გითხრა, სინდისი არ მაძლევს უფლებას-მეთქი, ჭოლას ერთი რუსის ქალი ყავდა აკიდებული და მერე რომ გაუგებრობა არ იყოს, ახლავე უნდა იცოდეთ-მეთქი.

ოოო... ეგ არაა მთლად კარგი საქმეო. ნეტავი თავიდან გეთქვაო, კარგი, მევილაპარაკებთ ოჯახში და ხვალ გეტყვი პასუხსო.

იმ რუსის ქალთან ხელი ხვარა აქვს მოწერილიო, კარებში დამაწია.

რავა გეკადრებათ-მეთქი.

მეორე დღეს კარებთან დავხვდი; ჩემი მოფიქრებით კმაყოფილი და დაიმედებული იმით რომ უარს მეტყვიან.

დავითანხმე ოჯახიო, კონდრამ, რა ვუყოთ მერეო, კაცია, გეიარა რუსის ქალთან, მთავარია, ცოლის თხოვის მერე აღარ გააგრძელოს ქალებში წანწალიო.

რავა გეკადრებათ-მეთქი და წნევამ შემაქანა, რა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავვარდე.

ისევ გადმომიგდო ღმერთმა მაშველი რგოლი:

კონდრა, ბატონო, გუშინ ვერ გითხარი, ის გათახსირებული რუსის ქალი ხანდახან აკითხავს და კარებზე აკაკუნებს. მართალია ჭოლა კარს არ უღებს, მარა მაინც რომ იცოდეს, არ შეეშინდეს გვანცას-მეთქი.

ოოო.. ვერ ყოფილა კარგად საქმეო, კონდრამ, ვკითხავ მაროს და ხვალ გეტყვი პასუხსო.

ახლა კი გადავრჩი-მეთქი, სიზმარში მთელი ღამე სოფი ლორენთან ფოქსტროტს ვცეკვავდი,

ნეტავ არ გათენებულიყო მეორე დღე:

ოჯახი თანახმააო. პრობლემა როგორ არ არის, რაც შენ მითხარი მარა არ ღირს მაგის გამო საქმის ჩაშლაო. ასე რომ, შეიტანონ ხვალ განცხადება და, რაც არის, არის გავათავოთ ეს საქმეო, კონდრამ.

ევრიკა, უკანასკნელ ხავსს ვებღაუჭები! თუ ამანაც არ გაჭრა, მიტირე საყვარელო ოჯახო.

ბატონო კონდრა, არ მინდოდა მეთქვა მარა თქვენ ისეთი ანგელოზი ხალხი ხართ, ვერ მოგატყუებთ, მეც არ ვიცოდი, თურმე ბავშვი ყოლია, ჭოლას იმ რუსის ქალთან, მოდიან დე-და-შვილი ყოველ ღამე და ქვას ესვრიან ჭოლას ფანჯრებს, თვითონ ჭოლა ხომ შავ დღეშია, მეზობლებსაც არა აქვთ ამის გამო მოსვენება-მეთქი.

თუ ასეა, უარი უნდა გითხრა, არ გამოვა ეგ საქმეო, გაწყრა კონდრა.

იქნებ მოელაპრაკოთ ერთხელ კიდევ ოჯახს-მეთქი.

თურმე რამხელა არტისტი ვყოფილვარ.

რა მოლაპარაკება უნდაო. ეგ რომ ვთქვა, გამიგიჟდებიან ორივენიო, ესეც არ იყოს, რა გამიჭირდა ასეთი, ხომ ვერ დავღუპავ ბავშვსო.

რა ვქნა ახლა-მეთქი, რა ვუთხრა ჭოლას, ქორწინების ბეჭედი უკვე ნაყიდი აქვს-მეთქი. ტირილი გავურიე ხმაში. აბა არ შეიტანონ ხვალ ქორწინების სასახლეში განცხადება-მეთქი?

ჩემო ენავ, გული რომ აუჩუყდეს და რომ დამეთანხმოს, რა ქვას ვეცე.

არავითარ შემთხვევაშიო, ჯერ მკაცრად მომიჭრა და მერე დამიყვავა; ბოდიში მომხადე იმ კაცთან, ჩემო ოთარ, რა ვქნა

ეგ ისეთი საქმეა, ხათრით არ გამოვაო. შენი დიდი ხათრი მაქვს, მარა ამით დავამთავროთ ამ საქმეზე ლაპარკიო.

ვითომ ძალიან გულდაწყვეტილი, ელდაცემულივით გამოვედი კონდრას კაბინეტიდან.

გადავრჩი.

ჰოდა აწი, ოქროს სარაიასაც რომ დამპირდნენ, ამნაირ საქმეში ჩამრევი ვარ მეე?

12.I.2013 წ.

სხვა რაღაა სიყვარული

ქმარი: „კი ბატონო, გეთანხმები, გადსარევი რამეა სიყვარული, მარა სიყვარული მთლათ ის არ უნდა იყოს, რასაც თქვენ, მწერლები, სიყვარულს ეძახით.

თქვენ გადარიეთ ქვეყანა ამ თქვენი გამოგონილი სიყვარულობიით, ხიდიდან გადახტომებით და გარომეოჯულიეტებით.

მოკიდებთ ხელს ერთ-ორ ნევრასტენიკს და წერთ უკვდავ ლექსებს და რომანებს იმ ავანტყოფი ხალხის სიყვარულებზე. ჰაი, ოტელოობა და ჰაი, პენელოპაობაო...

ჰოდა, დეიბნა ხალხი, ჩემო ბატონო,

დაბნეული, ჯერ ტვინგაუმართავი, ჭკუადაუმჯდარი გოგოები და ბიჭები უყურებენ თქვენი ნაწერებიდან გადაღებულ ფილმებს, კითხულობენ თქვენს ლექსებს და პოემებს და არის ერთი თითების მტვრევა და ცრემლების ღვარღვარი.

„მე ეს შემიყვარდა... მე ის არ შემიყვარდა... მე იმან მიმატოვა... მე ეს უნდა მივატოვო... მე აწი აღარავინ შემიყვარდება... მე იმას თვალებში ქერძაფი უნდა შევასხა... მე სიცოცხლე აღარ მინდა... მე ვენები უნდა გადევიჭრა...“

კაი ერთი, თუ ღმერთი გწამთ, დაანებეთ ამ საწყალ ხალხს თავი, რას უშლით ნერვებს, რატომ უმწარებთ ცხოვრებას.

უფრო მარტივადაა საქმე, ვიდრე თქვენ გგონიათ.

თქვენ როგორ გგონიათ?

რა ჩემი ახსნა გინდა. ჩემზე უკეთ შენ არ იცი? მწერალი კაცი ხარ.

შენ არ დაგიწყია, მართალი ხარ, მარა ყველა ერთნაირად მიყვებით, ერთ ლარ-თარგზე ხსნით სიყვარულის გამოცანას.

ვითომ, სადმე, პარაშუტით გადმოხტომის დროს ან ჩქარ მატარებელში მიაფრინდა სიყვარული დედისერთა ბიჭს ან დედისერთა გოგოს.

მიაფრინდა სიყვარული და დეიქცა ქვეყანა, შეტორტ-მანდა დედამიწა; გოგო საჭმელს აღარ ჭამს, ბიჭს ძილი არ ეკარება.

თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ის ბიჭი და ის გოგო ჩაეფსკვნენ ერთმანეთს, ხომ კარგი, თუ არა და, არის უდაბნოში გაქცევა, არის სხვისი ცოლის მოტაცება და ტროას ომი. არის უარყოფილი სიყვარული და მატარებლის ბორბლებში ჩახტომა.

კი, ასეა ნამდვილად.

ყველაფერს კარგად მარტო რუსთაველი ამთავრებს.

სხვები დააყენებთ სისხლის გუბეს, ახოცვინებთ ადამიან-ებს ერთმანეთს, სფინქსის გამოცანათ გოუხდით ადამიანებს სიყვარულის გამოცანას... მერე შეიყუჟებით თქვენს თბილ მღვიმეებში, მოეფარებით უკვდავების მავზოლეუმებს და ხართ მშვენივრად.

ჩვენ რა ვქნათ ჩვე საწყლებმა, თავი რომ უნდა ვიმტვრი-ოთ თქვენს დახლართულ რებუსებზე, ამაოდ რომ უნდა ვიხ-ეტიალოთ თქვენი გამოგონილი სიყვარულების ორღობეებში.

მოგაბეზრე, გატყობ, თავი, კიდევ ხუთი წუთი მომისმინე და შენ თვითონ გამეიტანე დასკვნა.

რისი თქმა მინდა, თუ იცი, სიყვარული-მეთქი ეგება უმეტეს შემთხვევაში ის არ არის, რასაც თქვენ სიყვარულს ეძახით-მეთქი.

ოცდათხუთმეტი წლის მევიყარე უცოლოთ.

ვფიქრობდი, როგორ არ ვფიქრობდი, ცოლის შერთვაზე, მარა ამ თქვენი სიყვარულობიის ინერციით ველოდებოდი, რა ვიცი, რას, თქვენ რომ ნამდვილ სიყვარულს ეძახით იმას.

ცალკე დედაჩემი და მამაჩემი მჭამდნენ, მოგვასწარი

შვილიშვილებსო (დედისერთა ვიყავი), ცალკე ნათესავები და მეგობრები მტკვირავდნენ, რას უცდი, რამე ნაკლი ხვარაფერი გაქო...

ყველას ერთნაირათ ვპასუხობდი, არ შემიყვარდა არავინ და რა ვქნა... უსიყვარულოდ რავა შევქმნი ოჯახს-მეთქი.

ზოგზე ჭრიდა ეს ჩემი პასუხი, თუ ასეა, რას ვერჩით ამ კაცსო, ზოგი ტყუილ თავის მართლებაში მითვლიდა.

გადიოდა ასე დრო და, გითხარი მისი არ იყოს, ქე გავხდი ოცდათხუთმეტი წლის.

ჩემი კლასელები უკვე მეორე-მეორე ცოლს, თუ ქმარს იყვნენ შეყრილნი. მე ქე დავდიოდი, ასე მარტო, იაქესავით.

ერთხელ ჩვენი ნათესავის მაქსიმე კუხიანიძის ნიშნობაზე ვიყავით მე და მამაჩემი.

ვზივართ სუფრასთან. ვსვამთ, ვჭამთ, რავარც სხვები ისე.

 მე იქით-აქეთ ყურება და ქალების თვალიერება არ მიყვარს.

სულ მეჩხუბება მამაჩემი, გეიხედ-გამეიხედე, შე უპატრონოო, შეხედე, რა გოგოები დადიენ, ან უკნიდან შეხედე, ან წინიდან, ფეხ-თეძოს თვალიერებას მაინც რა უდგას წინო.

გითხრა სიმართლე, არ მინდოდა ცოლის შერთვა და მიტომ ვითრევდი ფეხს.

რაღაცნაირი შიში მქონდა ქალის. ასე მეგონა, ქალი თავისუფლებას წამართმევდა, ოჯახის ყულფში გამაყოფიებდა თავს, იქით გამაჩიქჩიქებდა, საითაც თვითონ უნდოდა.

იქანა, ნიშნობაზე, ერთი ლამაზი გოგო დახტუნაობდა იქეთ-აქეთ.

სუფრას ემსახურებოდა.

პირველ შეხედვაზე რაღაცნაირად გაღიმებით შემომხედა, თუ მომეჩვენა ვერ გეტყვი. რას ჰქვია გამიღიმა-თქვა და იმ წუთში დავკარგე ინტერესი იმ გოგოს მიმართ.

სუფრა დასასრულისკენ მიდიოდა და მამაჩემმა დოუძახა იმ გოგოს.

მოდი, ბიძია, შენ აქო.

მეირბინა.

რა გქვია შენო.

თალიკო, ბატონოვო.

რა ხარ შენ ამ ოჯახისო.

აგრაფინას (მაქსიმეს სასიდედრო) გარე ბიძაშვილი ვარ, ბატონოვო. ხომ არაფერს ინებებთ, ხომ არაფერი მოგართვათო.

არაფერი, ბიძია, დიდი მადლობა ყურადღებისთვისო, მამაჩემმა. რა მაგის პასუხია და, გათხოვილი თუ ხარ, თალიკო შენო.

მამაჩემს ამრეზით შევხედე, რა შეკითხვაა ახლა ეს-მეთქი.

არა ბატონო, ჯერ არ ვარ გათხოვილიო, სხაპასხუპით მიაყარა გოგომ.

კაი, გენაცვალე, კაი გოგო ხარ, თალიკო, შენო, მამაჩემმა.

გოგო, თითქოს კიდევ ელოდა რაღაცას, შეაჩერდა მამაჩემს, მერე მე შემხედა და წავიდა თავის გზაზე.

შინ რომ ვბრუნდებოდით, მამაჩემმა ისე, სხვათა შორის წაილაპარაკა – მშვენიერი გოგო იყო, ის თალიკოვო.

მე, რა თქმა უნდა, პასუხი არ მიმიცია.

გავიდა ამის მერე ორი კვირა.

მიმავიწყდა კიდეც მაქსიმეს ნიშნობა და უფრო მეტად თალიკო.

ნასამსახურალზე მობრუნებულს კატა შემომეგება ჭიშკართან, რაღაცას მეუბნება თავის ენაზე. ერთი-ორი ნაბიჯით გამასწრებს და ამოტრიალდება მუცლით კოინდარზე. აქაოდა, რას უცდი, მემეფერე მუცელზეო.

თეთრი, ღუნღულა მუცელს რომ მოგიშვერს, არ მოეფერები? რა გული მოგცემს.

ეევედი კიბეზე და აგერ არ ზის შუშაბანდში თალიკო? დედაჩემს და მამაჩემს შუაში ჩოუჯენია და ჭუკჭუკებენ ტკბილათ.

ა, რავარი სტუმარი დაგახვედრეთო, მამაჩემმა.

ჩამოვართვი ხელი თალიკოს, ცოტა არ იყოს, ცივათ.

ჩაი დავლიეთ, წევილაპარაკ-წამევილაპარაკეთ, მერე მე ბოდიში მევიხადე და კომპიუტერს მივუჯექი.

თალიკო დედაჩემმა და მამაჩემმა გააცილეს და ჭიშკართანაც იმასლაათეს ცოტა ხანს.

რო შემობრუნდნენ; რა უნდოდა, როგორ მოგვაგნო ამ სიშორეზე-მეთქი, ისე, გულისგარეთ და ცოტა ფეხზე მკიდიობითაც ვიკითხე.

რა იყო სტუმრათ მევიდა, შე გადარეულო, რა შეგვაქციე ზურგი, რა გიყრია მაგ დასაწვავ კომპიუტერში, ვინ გეიგონა ოცდათხუთმეტი წლის კაცი დღე და ღამე კომპიუტერს უჯდესო, დედაჩემმა.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო და მოკლეთ მოვჭრა, მოუხშირა და მოუხშირა ჩვენთან სიარულს თალიკომ.

ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ სახლში მარტო ვტოვებდით, თუ სადმე მივდიოდით.

დაწკრიალებულ-დასუფთავებულს დაგვახვედრებდა ყველაფერს.

თუ პირველათ მაღიზიანებდა თალიკოს შემოჭრა ჩვენი და ჩვენი ოჯახის სიმყუდროვეში, მერე და მერე ისე მივეჩვიე, ორ დღეს თუ არ გამოჩნდებოდა, მოვისაკლისებდი ხოლმე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ახლა თალიკო ჩემი მეუღლეა.

ოცი წელია ერთათ ვცხოვრობთ.

სამი ბიჭი გამიჩინა და გამიზარდა. სამაგალითო, თითით საჩვენებელი მეუღლეო, რომ იტყვიან ისაა სწორედ.

არც კი ვიცი, რატომ მოგიყევი ეს ჩემი ამბავი.

ეგებ იმის სათქმელად, რომ შენ თვითონ უპასუხო თავსამტვრევს იმის შესახებ, რა არის სიყვარული.

რას იტყვი, რა იყო ეს ჩემს შემთხვევაში?

ცოლი: „არ არის ბატონო, ჩემი გათხოვების ამბავი თქვენი ხელობის კაცის ყურადღებამისაქცევი, ერთი უბრალო ჩვეულებრივი ამბავია, მარა, რაკი ასე დაჟინებით მთხოვთ, უარს რავა გაგიბედავთ.

თალიკო გახლავართ მე ლექვინაძე. ოცდახუთი წლის გოგო ვიყავი მაშინ მაქსიმე კუხიანიძის ნიშნობაზე რომ შევხვდი ჩემს სამამამთილოს.

ჩემს სამამამთილოს-მეთქი რატომ გეუბნებით, იცით? მისი ბიჭი (ჩემი მომავალი ქმარი) გვერდით ეჯდა, მარა იმას ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. არ მევეწონე ალბათ. მერე გავიგე, ასეთი ხასიათი ჰქონდა, არ აინტერესებდა გოგოები, არ აპირებდა, თურმე ცოლის შერთვას.

არც მე შემვარდნია თვალი მაინცდამაინც.

საერთოდ, როცა გასათხოვარ გოგოს აქეთ არ გაქცევენ ყურადღებას, შენ იქით არ უნდა დოუწყო თვალების პრაწვა. ხომ გაგიგონია, დაძალებულ პურის ნაჭერს ძაღლმაც არ ახლო პირიო.

ბატონი კლიმენტი (ჩემი მამამთილის სახელია) თითით მანიშნებს ერთი წუთით თუ არ შეწუხდებით, მოიწით აქეთო.

არ მივიდოდი ამ ხნის კაცთან?

ვინ ხარ, ამ ოჯახთან რა გაკავშირებსო, გათხოვილი, ან დანიშნული ხვარ ხარო.

მაშინ ამ შეკითხვებისთვის ანგარიში არ მიმიცია. ერთი კვირის მერე სამსახურში მომაკითხა.

მესამე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, მაქანა ნინოშვილის ქუჩაზე, სტადიონის ჩასახვევთან.

ერთი სიკვდილი გავათავე. თქვენ რავა შეწუხდით ბატონო, აქ მოსასვლელად-მეთქი.

მივჯდეთ ეგერ კუთხეში სალაპარაკო მაქვს ცოტაო.

გოგო ეშმაკია და გულის სიღრმეში ქე ვხვდები, რაშია

საქმე, მარა მთლად ასე გადაწყვეტილი თუ ჰქონდა, რავა ვიფიქრებდი.

მეო, გევიკითხ-გამევიკითხე ჩვენს ახალ მოყვრებში შენ-ზე ყველაფერი და, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ბევრი რო არ გელაპარაკო, რძლათ მინდევხარო, პირდაპირ მაჯახა.

გათხოვება რავა არ მინდა, მარა ცოტა, რომ იტყვიან, „გევიწიე პადიომში“.

კი მარა, ასე რანაირათ, ვისთვის გინდივართ, ჯერ ერთ-მანეთს ხეირიანათ არც ვიცნობთ-მეთქი.

ჩემი ბიჭი ხომ გყავს ნანახი, მაგისთვის მინდიხარ, აპა, სხვა არ მყავს მე არავინო.

რა ვიცი... ამ საქმის ასე უცებ გადაწყვეტა რავა შეიძლება, მამიდაჩემი რას იტყვის-მეთქი (ისიც იცოდა ბატონმა კლიმენ-ტიმ, რომ მე მშობლები ადრე დამეხოცა და მამიდამ გამზარდა).

მამიდაშენს და ყველას, ვინც შენი ახლობელია მე მოველეპარაკებიო, მთავარია, შენ იყო თანახმაო.

ერთი „მაგრამ“ ახლავს ამ საქმეს და უნდა გითხრა, ჩემი შვილი არაა ურიგო ბიჭი, მარა რავარც ყველა „ხალასტია-კი“ ფეხთრევია და თავნება კაცია, შენ უნდა იმარჯვოვო. იმ კაი მშობლების სულს გაფიცებ, შენ უნდა დამიდგე გვერდით და ერთად უნდა გავტეხოთ ჩემი ბიჭი. არ გამაწბილო, შენმა გაზრდამო.

კი მარა, რა გავაკეთო, კლიმენტი ბიძია, მე მეთქი – ვი-ცინი, თუ ცოლის შერთვა არ უნდა, ხვარ მევიტაცებ-მეთქი.

მაგი ყველაფერი მოფიქრებული და გაპლანული მაქვსო.

ხშირად უნდა მოხვიდე ჩვენთან, ა, ესაა ჩემი სათხოვარი, მეტი არაფერიო.

თუ ყოველდღე არა, ყოველ მეორე დღეს მაინც უნდა გვესტუმრო და, გაძლევ პირობას, ორი თვის თავზე ჯვარს გიფსკვნით ორივეს. მე ვიცი ჩემი ბიჭის ბუნება, ჩემი გაჭე-დილი ხატის. არ მეშლება არაფერიო.

გულის სიღრმეში მეც ქე მომწონდა შოთიკო და დავთანხმდი, ქალო.

პირველ დღეს რო მივედი და არ ეხირა ჩემი ნახვა, შინ დაბრუნებულს მთელი სხეული მიკანკალებდა შეურაცხყოფისაგან.

რა მჭირს ამის სახვეწნი, რავა შემაქცია ზურგი ამ უზრდელმა, კომპიუტერი რავა არჩია ჩემს თავს-მეთქი, მარა მერე და მერე, მეორე და მესამე მისვლაზე გამიარა ყველაფერმა და, შენ წარმოიდგინე, რაღაცნაირმა ჟინმაც შემიპყრო, ჩაფიქრებულისთვის მიმეღწია და ჩემი სამამამთილოს და სადედამთილოს იმედები გამემართლებია.

რავარც ბატონმა კლიმენტიმ მითხრა, ყველაფერი ისე მოხდა.

ეს ამბავი მესამე შვილი რომ შეგვეძინა, მაშინ გავუმხილეთ მე და მამაჩემმა (კლიმენტის მამას ვეძახი) სუფრაზე შოთიკოს.

ბევრი იცინა.

ვხვდებოდი მაგის მსგავს რაცხას, მარა უკანდასახევი გზა არ მქონდა, საკუთარ მშობლებს ვყავდი გაყიდულიო.

ოცი წლის ამბავია, ჩემო ბატონო, ეს ამბავი,

ახლა ერთმანეთზე ამოგვდის მზე და მთვარე. ჩვენისთანა მშვიდი და შეხმატკბილებული ოჯახი ნეტავი ყველას მისცა ამ ქუთაისში“.

8. I. 2013.

გამომძიებელი ქლიბაძე

1937 წლის 23 ივნისს დამიჭირეს.

ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდით, კომკავშირელი, იქამდეც კი, რომ ფაკულტეტის ბიუროს თავმჯდომარედაც ამირჩიეს. აქტიური კომკავშირელიაო, რომ იტყვიან, ის ვიყავი სწორედ, ფრიადებზეც ვსწავლობდი, დრამწრეშიც გამოვდიოდი, კრებაზე სიტყვას ვერავინ დამასწრებდა, დარწმუნებულ ახალგაზრდა კომუნისტს ეჭვი არ მეპარებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებაში, მარა იუმორის გრძნობა მქონდა და ხანდახან, ალბათ, ვიხუმრებდი, როგორც ყველა ნიჭიერი კაცი, უბრალო, საშუალო, უბოროტო ხუმრობით. როგორც ჩანს, ვიღაცას თვალში ვეჩხირებოდი (იქნებ არც ვეჩხირებოდი, მაგრამ კვირის გეგმის შესრულებისთვის ერთი კაცი აკლდათ) და ამიტომაც მტაცეს ხელი.

ისეთი გულუბრყვილო გახლდით რომ მეგონა, უდანაშაულოდ არავის აპატიმრებდნენ. მე რომ წამიყვანეს ნინოშვილის ქუჩის 98 ნომრიდან (ნაქირავებ ოთახში ვცხოვრობდი), ჩემს დიასახლისს გასაღებიც კი არ დავუტოვე. რაღაც გაუგებრობაა და გამომიშვებენ-მეთქი.

ჩემი საქმე გამომძიებელ ქლიბაძეს მიყავდა, მაღალი შავგვრემანი ორმოცდაათიოდე წლის კაცი იყო. სალათისფერი კიტელი ეცვა. დაკითხვის ოთახში სინათლე ხშირად ქრებოდა, როცა ჩაქრებოდა, ქლიბაძე უმისამართოდ შეაგინებდა ვიღაცას, ასანთს გაკრავდა და ლამპას აანთებდა. ცოტა ხანს

შესცქეროდა ლამპის შუშას, რაკი დარწმუნდებოდა რომ არ ბოლავდა, სათვალეს მოირგებდა და მომიბრუნდებოდა, შუქი რომ მოვიდოდა, ქლიბაძე ლამპას აღარ აქრობდა.

ხანდახან ქლიბაძეს სხვა პატიმართან დაუძახებდნენ, და ჩემთან მორიგე გამომძიებელი შემოვარდებოდა. მორიგეები ძირითადად არაქართველები იყვნენ და ყველანი რუსულად მიყვიროდნენ. რუსული კარგად არც ერთმა არ იცოდა, მაგრამ ქართველს მაშინვე ვცნობდი რუსულზე. ქართველი ძალად მორუსულეები სხვანაირ რუსულს ლაპარაკობენ.

მორიგე გამომძიებლები ორ სულელურ შეკითხვას დამისვამდნენ და მაშინვე ცემაზე გადადიოდნენ, ნამდვილად ასე იყო. ჩემი პასუხი არ აინტერესებდათ. მაშ, შენ აპირებდი ბერიას მოკვლას? და წყალსადენის მოწამვლასო? მაშ, შენ უნდა გექციეთ იმპერიალიზმის მონებადო? როგორც ვატყობდი, თვითონვე სჯეროდათ თავიანთი მოგონილი ბრალდებების. შეჩერდი ერთ წამს, შე კაცო, რო მეცი კაპუეტივით, იქნებ ყველაფერზე გეთანხმები, იქნებ ყველაფერზე გიწერ ხელს.

რომ მიმასავათებდნენ (და თვითონაც დაიღლებოდნენ), გავიდოდნენ და ცოტა ხანში შემოვიდოდა ქლიბაძე.

ჯერ ნაცემ-ნაგვემ ყბა-კისერს დამითვალირებდა, თავს გადააქნევდა და მშვიდად აგრძელებდა დაკითხვას.

რა იყო ჩემი დანაშაული? 11 მარტს ახალგაზრდული აქტივის კრებაზე ჩემს გამოსვლაში ყავლგასული და დრომოჭმული? სოციალიზმის მშენებლობისთვის სრულიად უადგილო ანდაზა მომიშველებია: „მამალმა თქვა მე ვიყივლებ და გათენდება თუ არა ღმერთმა იცისო.“ 8 აპრილს საინსტიტუტო კომკავშირის კრებაზე წოწონავას და გრძელიძეს კომკავშირიდან რომ რიცხავდნენ, ჩემთვის ჩამილპარაკებია: კაცმა რომ თქვას, მშობლების დანაშაულის გამო შვილებმა პასუხი

რატომ უნდა აგონო. 15 მაისს რაჟდენ გაბეჩავას ოჯახში საქართველოს სადღეგრძველო დამილევია და მითქვამს: ერი, რომელმაც დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე დაბადა, უკვდავიაო. ამ საღეგრძელოს პრავაკაციად და კომუნისტური შეგნებულობის მოდუნებად მითვლიდნენ. სტალინი და ბერია რატომ დაგავიწყდაო.

ჩემი დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ ქლიბაძემ საკმაოდ სქელი საქაღალდე დამიდო წინ. ჩემი თანაკურსელები, ძმაკაცები, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრები, საქალაქო სამრეწველო უწყებების თანამშრომლები და საშუალო სკოლების წარმომადგენლები, სადაც სხვადასხვა დროს პოლიტსემინარების ჩასატარებლად და საარჩევნო აგიტბრიგადის წევრად ვიყავი მივლინებული, შეხმატკბილებულად აღნიშნავდნენ: ყოველ სიტყვაში, მიხვრა-მოხვრაშიც კი, აშკარად ეტყობოდა რომ პირწავარდნილი ტროცკისტი იყო, ეს იმპერიალიზმის შხამიანი აგენტი დროულად უნდა იქნეს ლიკვიდირებულიო.

წამაკითხა ეს ყველაფერი ქლიბაძემ და მითხრა, ხომ იცი, ზეგ საქმე სამეულს უნდა გადავცე და დახვრეტა არ აგცდებაო.

რა ვქნა, ბევრიც რომ ვითავცემო და პატიება ვითხოვო, ვინ შეგიცოდებს.

მიყურა, მიყურა ქლიბაძემ და ხელით მანიშნა, ფანჯრისკენ. ფანჯარა ეთქმოდა თორემ რკინის გისოსებიანი ვიწრო სარკმელი იყო ნახევრადსარდაფში საჰაეროდ ჩატნეული.

მივუახლოვდი.

ახალგაზრდა კაცი ხარ, მეცოდებიო. თანაც, ვხედავ, უდანაშაულო ხარო, ხვნეშის, ის დღე რატომ არ დაიქცა მე რომ აქ სამუშაოდ გამომაგზავნესო.

ნეტავ, რა უნდა ჩემგან-მეთქი. მართალია, ქლიბაძეს ჩემთვის ხელი არ დაურტყამს, მაგრამ მაინც ვერ ვენდობი. რაც მე ამათ დღეში ჩამაგდეს, თანამშრომლობაზე ლაპარაკი ზედმეტია და ვფიქრობ, არც შემომთავაზებენ.

მეჩურჩულება და თან წამდაუწუმ კარებისკენ იხედება, ჩანს თვითონაც ეშინია.

ხომ მოგიწერეთ ყველაფერზე ხელი, მოქალაქე გამომძიებელო, მეტი რაღა ვქნა-მეთქი.

შენს საშველად ასეთი რამ მოვიფიქრეო; მოდი, ვცადოთ ეს გზაც, იქნებ გაჭრასო. დღესვე უნდა მომცე ჩვენება, თითქოს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ შემოგზავნილი იყავი ყველა იმ დაწესებულებაში, რომლებიც ბრალს გდებენ ტროცკისტობაში. რომ შენ გევალებოდა ერთი-ორი ირონიული და აშკარად ტროცკისტული ფრაზის თქმით გაგეგო მერყევი ელემენტების სულისკვეთება. ვინც შენს „ანკესზე“ წამოეგებოდა, მათი ვინაობა გეცნობებია საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნისთვის. რომ შენგან მხოლოდ ზეპირ ინფორმაციას მოითხოვდნენ და შენც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირნათლად ასრულებდი ამ საპატიო კომკავშირულ დავალებასაო, ქლიბაძემ.

ჯერ უარი ვთქვი, მაგრამ ბოლოს ქლიბაძემ დამიყოლია, უნდა მენდო, სხვა გზა არა გაქვსო. სამ დღეში ცოცხალი აღარ იქნებიო.

კი მაგრმ მეორე მდივანი რას იტყვის-მეთქი.

მეორე მდივანი გედენიძე, აქვე ზის, ჩემი პატიმარია, მე დავაწერინებ დასტურსო.

გადადო ჩემთვის თავი ქლიბაძემ.

თითქმის თვითონ მიკარნახა ჩვენება.

ბოლოს გედენიძესაც დამაპირისპირეს (დაპირისპირებას 5 კაცი ესწრებოდა), ორ კვირაში გამიყვანეს სასამართ-

ლოზე და „როგორც უდანაშაულო“ გამათავისუფლეს. სანამ ჩემ უკან ქუთაისის №1 (ამ ციხეში, საუკუნის გარიჟრაჟზე სტალინი იჯდა) საპყრობილის კარი არ მიიხურა, სულ მეგონა, ქლიბაძე რაღაცას მატყუებდა.

მაგარი ის არის, რომ რაც გამომიშვეს, გეფიცები ჩემს შვილიშვილებს, ჩემთან არავინ მოსულა „სათანამშრომლოდ“.

ჩემი გამოსვლიდან ორ თვეში ქლიბაძე დაიჭირეს და შორეულში გადაასახლეს, გედენიძე კი 1937 წლის 8 სექტემბერს საღორიის ტყეში დაუხვრეტიათ.

ასეთი კეთილი ხალხიც არსებობდა იმ დროს, ჩემო იმანო. მე რომ პირში სული მიდგას იმ ცხონებული ქლიბაძის ბრალია. „ცხონებულს“ იმიტომ ვამბობ, რომ ერთი წლის მერე მისი ჯალაბობა მოვძებნე და ცოლმა მითხრა „ბეზ პრავა პერეპისი“ გადაასახლესო. მაშინ უკვე ვიცოდი, რას ნიშნავდა „ბეზ პრავა პერეპისი“.

ამით არ დამთავრებულა ჩემი საქმე.

1948 წლის 11 ივლისს „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ფელეტონი „მგელი ცხვრის ტყავში“ ავტორი, ვიღაც ვერძაძე წერდა: მთელი ქუთაისი რატომღაც კარგ კაცად იცნობს ბახვა კედელაძეს, მაგრამ დროა, ნიღაბი ჩამოვხადოთო. ეს ჩვენი ნაქები ბახვა 1937 წელს კომკავშირის მიერ ამა და ამ დაწესებულებებში იყო შეგზავნილი და ჩეკას უდანაშაულო ხალხს აჭერინებადაო. იქვე დაბეჭდილი იყო ქლიბაძისთვის ათი წლის წინ მიცემული ჩემი ჩვენება.

ერთი სიკვდილი გავათავე.

ვცადე თავის მართლება. დავწერე საჩივარი; ასე და ასე იყო ჩემი საქმე-მეთქი, მოწმედ ქლიბაძე და გედენიძე დავასახელე, მაგრამ ვერ ვაჭამე სამართალს პური, ვერ დავამტკიცე ჩემი უდანაშაულობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გედენიძე დახვრეტილი იყო, ხოლო ქლიბაძის დაპატიმრები-

დან ერთ კვირაში გულის შეტევით (სინამდვილეში, ალბათ, ცემის დროს შემოაკვდათ) გარდაცვალების ცნობა ჩეკაში მის პირად საქმეში იყო ჩადებული.

„ზედმეტი ხვანცალის“ გამო „კომუნისტის“ კორესპონ-დენციის სარჩელით 1948 წლის ნოემბერში დამაპატიმრეს და რვა წლით გამაციმბირეს.

სოროკამსკის რაიონის „ვიატლაგის“ შრომა-გასწორების კოლონიაში სრულად მოვიხადე „სასჯელი“ და 1957 წელს დავბრუნდი ქუთაისში.

25. XII. 2012 წ.

სუმოისტი აკუტაკო გეტუკავა

ხუთი წელიწადი გავჭიმე იაპონიაში და ამ ხუთ წელიწადში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ორჯერ ვიყავი იაპონიის ჩემპიონი და რვაჯერ პრიზიორი ორშიზუმაში. სუმოისტი ვარ მე, იქანა აკუტაკო გეტუკავას სახელით გამოვდიოდი (სინამდვილეში, ქე იცი, ბენია გელაძე ვარ).

რაფერ მოვხვდი იპონიაში? გეტყვი ყველაფერს.

მერვე კლასიდან ძიუდოში ვვარჯიშობდი. ქუთაისში ძიუდო ახლა შამევიდა მოდაში, თვარა ჩემ დროს უფრო თავისუფალ ჭიდაობას ეძალებოდნენ. ძიუდოს მწვრთნელი ჩემი მეზობელი იყო – გოგია როყვა, გეცოდინება. ავარიაში მოყვა და შარშან დაიღუპა საწყალი. მე რომ გევიგე, სამი თვის დასაფლავებული იყო. თავის დროზეც რო გემეგო, ვინ გამომიშობდა იაპონიიდან.

ძიუდოში არ მქონდა გლახა მონაცემები, მარა გოგიასთან სულ ჩხუბი მომდიოდა ერთ რამეზე, რაზე თუ იცი? ვარჯიშით გულიანათ ვვარჯიშობდი, ეს იყო, ჭამა მიყვარდა. ჭამაში ნამეტანი სუსტი ნებისყოფის ვიყავი. თუ ვინმე არ გამომტაცებდა დანა-ჩანგალს და არ ამაცლიდა საჭმელს სტოლიდან, მე თვითონ გაძღომას ვერ ვგებულობდი, ვერ იქნა და ვერ დეიჭირა ტრენერმა ჩემი წონა.

შენ წარმეიდგინე, ასხუთ კილოში უნდა მეჭიდავა იაპონიაში და ზბორებზე რო ჩევედით ტოკიოში, ზუსტად 104 კილო ვიყავი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მე ვთქვი, ერთ კილოს მევიმატებ მეტს არა თქვა. პურს არ ვეტანები და ბრინჯოულს და თევზეულს ვჭამ უზომოთ. მაინც იმნაი-

რი კერძები იციენ იმ დალოცვილმა იაპონელებმა, რომ თუ ფრთხილად არ იქენი, თითს ჩააკვნიტავ საჭმელს.

ერთი თვე ვიყავით ზბორებზე და ერთი თვის მერე რო ამწონეს, ქე დოვურტყი ასოცი კილო. რას შობი ახლა. ცოდვას ვერ ვიტყვი, ქონდა, რავა არ ქონდა ჩვენი ნაკრების ექიმს ბრტყელი დასადგომი სასწორი, მარა ის დასაწვავი, თურმე, თხუთმეტი კილოთი ნაკლებს უჩვენებდა.

ამწონეს იაპონელებმა და კვდებიან სიცილით.

 არა და სასაცილოთ გვაქვს მე და გოგიას საქმე? ასხუთ კილოში კაცი არა გვყავს. სამ დღეში შეჯიბრი იწყება. სამ დღეში თხუთმეტი კილოს დამკლები ვარ მეე?

ჩეიქნია ხელი ჩემმა ტრენერმა, შეეშვი ვარჯიშს, შენგან მაინც არაფერი გამოვა, ჩაგიყვან ქუთაისში და სპორტს აღარ გაეკარო, რაცხა ხელობა ისწავლე და ეწიე შენს საქმესო, ცხელ გულზე მითხრა როყვამ.

შეჯიბრზე ვერ გავდივარ, ჭამას მაინც არ მევიკლებმეთქი და გოვუსვი და გოვუსვი ღრანჭი სუშის. ნამეტანი გემრიელი საჭმელია, თუ გაგისინჯავს, უმი თევზისგან მზადდება,

საღამოობით კლუბში შევდივარ და სპორტულ დოკუმენტურ ფილმებს ვუყურებ.

ერთ საღამოს როყვამ თავისთან მიხმო. ოთახში ბრტყელსახა, თმაკუდიანი, ზორბა იაპონელი იჯდა.

მოუსმინე ამ კაცს და დოუჯერე, რასაც გეტყვისო, მე მგონია, ბედი ალჩუზე დაგიჯდაო, გოგიამ.

ჩართო იაპონელმა ფირი და ვუყურებთ სამივენი.

სუმოისტების შეჯიბრება იყო ორშიზუმაში.

მაშვინ არც სუმა ვიცოდი რა იყო, არც ორშიზუმა და არც შინგიკაი, მარა სიცილისგან სულს ძლივს ვითქვამდი „მუცლით ჭიდაობას“ რომ ვუყურებდი.

თავიდან ხუმრობა მეგონა. მე ვთქვი, თავისუფალ დროს მძიმე წონის მოჭიდავეები გლახაობენ ალბათ-მეთქი. მერე და მერე მსაჯების იაპონური ყვირილ-ფსტვენას რო დოვუკ-ვირდი, მივხვდი რო იაპონურ სპორტულ სახეობასთან მქონ-და საქმე.

ა, საშენოა, ბიძია, თუ ივარგებო, გოგიამ. ამ კაცს უნდა სუმოისტი გაგხადოს, კონტრაქტს გაგიფორმებენ, კაი ხელ-ფასი, კაი საერთო საცხოვრებელი. კაი ჭამა და კაი სმა ერთ წელიწადსო.

მერე მეთქი? ვიკითხე, ვითომ ერთი წელი უკვე გასული იყო.

მერე თუ ივარგებ, კიდო გაგიგრძელებენ კონტრაქტსო.

რა ვარგება უნდა მე ვუთხარი, მუცლის დარტყმის მეტი ხვარაფერი უნდა, რასაც აქანა ვხედავ, არა მგონია, ვინ-მემ მაჯობოს, მუცლით იმნაირათ მივაწობი ტატამზე კი არა მსაჯების მაგიდამდე გავაგორებ-მეთქი.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო, დავრჩი იაპონიაში და დევიწყე ვარჯიში ორშიზუმაში.

ა, საჩემო საქმე, გულში ვამბობ, მხრიდან გდება ამას არ უნდა და წონის კონტროლი, მიურტყი მუცელი და გადააგდე ტატამიდან.

არც ისე იოლი ყოფილა სუმოისტობა.

პირველათ, სანამ სულს მევითქვამდი, პირველ დაჭყივ-ლებაზე გამოქანდა ჩემი მოწინააღმდეგე და ისე მაგრათ დე-მეჯახა, სული კინაღამ გამაფრთხობია.

მერე და მერე გავმარჯვდი. ვიცოდი, რომ პირველივე წამიდან საშიშია ორშიზუმა.

ვარჯიშის მესამე დღეს ვითომ ვიეშმაკე ჩემი ჭკუით და გამოქანებულ სპორტსმენს ვუგანე. ვუგანე და მუხლით თოკები კინაღამ დაწყვიტა.

ჩემმა იაპონელმა ტრენერმა რუსული იცოდა და ამიხსნა, მეორეჯერ ამნაირი ქუთაისური ილეთი არ გააკეთო, თვარა დისკვალიფიკაციას მოგცემენო.

ნელ-ნელა ჩავდექი ფორმაში.

ვჭამდი და ვვარჯიშობდი, ვვარჯიშობდი და ვჭამდი.

ყოველ აწონვაზე ჩემი მწვრთნელი ტაშს უკრავდა; კაი ბიჭი ხარ, ხუთი კილო კიდო მოგიმატნიაო.

შეჯიბრებებს ზედიზედ ვიგებ.

ასე მგონია სუმოისტად ვარ დაბადებული.

ორშიზუმა ისე პოპულარულია იაპონიაში, რო ყველა პატარა შეჯიბრი თავიდან ბოლომდე გადაიცემა მთელი იაპონიის ტელევიზიით.

ავშენდი კაცი. პრესა, ტელევიზია, ფული...

არ გეგვექცესო და კონტრაქტის დამთავრებამდე მომირბენიებენ კონტრაქტის გაგრძელებას კიდო ერთი წლით.

ეს ყველაფერი კაი, მარა ადვილი არაა, ბიძია, ქუთაისელისთვის სუმოისტობა.

ტყვილა ფულს არავინ იძლევა.

იაპონელი, თუ რამე შეგეშალა, იმ პატივისცემას ძმრად ამოგადენს.

სუმოისტს ქუჩაში გასვლა თითქმის აკრძალული აქვს. სულ ბაზაზე უნდა იყო და მწვრთნელს თვალებში უნდა უყურებდე.

სუმოისტის კიმონოს ვერ გაიხდი და ევროპული ტანსაცმლით ვერ გახვალ, მაშინაც კი, როცა თეატრში, ან სადმე საზეიმო, გასართობ საღამოზე წაგიყვანენ.

სუმოისტს მანქანა არ უნდა ყავდეს.

სუმოისტს მხოლოდ სუმოისტის ვარცხნილობა უნდა ამშვენებდეს. ყოველდღე მოდის პარიკმახერი და თმას სუ-

მოისტურად გვარცხნის – თავშუბლზე გადასლექილათ და კეფაზე შეკრულათ ცხენისკუდივით.

ტელეფონზე აქეთ თუ დაგირეკავენ, კი ბატონო, შენ იქით თვეში მარტო ერთჯერ გაქვს დარეკვის უფლება.

მობილური არ უნდა ჰქონდეს სუმოისტს. მობილური გამცდენად და ეშმაკის მანქანათ ითვლება.

ქალი? შენც არ მომიკვდე, არც იოცნებო.

ღვინოს, პივის, და არაყის დასუნვაც არ შეიძლება...

ამას ყველაფერს, ვთქვათ, გოუძლებ კაცი, მარა ქუთაისი?

რას უშობი ქუთაისის მონატრებას.

ჩემი ბაღისკიდე, ჩემი უქიმერიონი, ჩემი ბაგრატის ტაძარი, ჩემი ბალახვანი, ჩემი მწვანეყვავილა, ჩემი ოქროს ჩარდახი, ჩემი ბაკისუმა თლათ მირჩევნია ყველაფერს.

ლამისაა გავგიჟდე კაცი.

კი ბატონო მშვენიერია ყოველ ნაბიჯზე იაპონური „მოსი მოსი“, „არიგატო ვზაიმეშტა“ და „ჰაი ჰაი“, მარა თეთრ ხიდზე დგომა და სოლომონ მეფის სასახლის ჩახედვა რო სულის ტკივილამდე მენატრება და წელში მტეხავს?

შარშან, 18 ივლისს, ტოკიოში ჩემ ბაზაზე ქუთაისიდან კარლოია კაკუშაძე გამემეცხადა – ჩემი კლასელი.

შენი მისამართიო, მამაშენმა მომცაო, აქანა ტყემლის კომპოტი გვაქ წამოღებული საკონსერვო ქარხნიდანო. შენზე მითხრეს მთელი იაპონია ხელისგულზე ატარებსო. გევიარ-გამევიაროთ ერთი ქუთაისურათ, ტოკიოს მთავარ ქუჩაზეო.

როგორ გინდა, აუხსნა ექვსი წლის უნახავ ძმაკაცს რომ მე ბაზიდან გამოსვლის უფლება არ მაქვს, რომ მე თვითონ ერთადერთხელ ვარ ნამყოფი სოხოზე (ტოკიოს მთავარი ქუჩა) და ისიც მიკროავტობუსით...

რაც იქნება იქნება-მეთქი, ამ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც გევინავარდებ, ეგება ვერც ქე გეიგონ-მეთქი და გამევიპარე ბაზიდან.

ბაზის კარებში რო დამინახა, იყვირა კარლოიამ, რას გავხარ შე უპატრონო, ორი საშუალო ბეგემოტი ვერ გადაგწონის, რას გაჭმევენ ამნაირსო.

ასეთია ჩვენი რეჟიმი, ქვედა ზღვარი 160 კილოა, ამის ქვეით არ უნდა ჩამოხვიდე და ზეით იარე რამდენიც გინდა-მეთქი.

გადაფიჩინდა სიცილით.

კი მარაო, ასე ბანტით დადიხარ ქუჩაშიო?

რავა რა უჭირს-მეთქი. ტანსაცმლის გამოცვლის უფლება არ მაქვს და ამ კიმონოს ეს ბანტი უხდება-მეთქი.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო, გადავდე იმ დღეს გვერდზე ჩემი ორშიზუმა, კარლოიამ გადადო ტყემლის კომპოტის გაყიდვა მეორე დღისთვის და შევუბერეთ.

რომელი ფული არ მქონდა.

არ დაგვიკლია სტრიპტიზკლუბი და ზოოპარკი, წყალქვეშ რესტორანი და ტელეანძის შოუბარი, სექსშოპი და სექსთეატრი...

ცირკი ის იყო, რომ ყველაფერ ამას კარლოია ისე მშვიდად უყურებდა, გეგონებოდათ მთელი სიცოცხლე ბალახვანში კი არა ტოკიოში აქვს გატარებულიო.

მე, ჩემდათავად, გაგიჟებას ცოტა მაკლდა, იმიტომ რომ ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო.

მე ასეთი ტოკიო არ ვიცოდი.

სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი და ვერ წარმომედგინა, თუ ამ მკაცრ, ტრადიციულ ქალაქში ამგვარი ცხოვრებაც არსებობდა.

ისე, რო არ დაგიმალო, ვერ გეტყვი არ მომეწონა-მეთქი

„თავისუფალი ტოკიო“. შინ რო ვბრუნდებოდით და წამ-დაუწუმ საათს რომ დავყურებდი კარლოიამ მითხრა, ახლა შენ, სანამდე უნდა იარო ასე ბანტითო. რათ გინდა ამნაირი ან ფული, ან ჩემპიონობაო, წამოი ქუთაისში, დეიკელი ასი კილო და ცოლ-შვილს მეეკიდეო, რომ იცოდე ჭკუაში დამიჯდა.

გვიან ღამით დავბრუნდი სპორტულ ბაზაზე.

იმ ღამეს არაფერი და მეორე დღეს დილით თერთმეტ საათზე მიხმეს.

მაგიდას ჩემი მწვრთნელის გარდა ექვსი კაცი უზის.

გულთან ორივე ხელის მიტყუპებით მომესალმნენ და დასხდნენ.

ეკრანზე ჩემი და კარლოიას გუშინდელი ორგიები აციმ-ციმდა.

აგერ სტრიპტიზ კლუბში ვართ და შიშველ გოგოს ძუ-ძუებქვეშ ასდოლარიანებს ვატენით, აგერ სექსშოპში ვართ და ხელში „გასაბერი ქალი“ გვიჭირავს.

იაპონელები ხითხითებენ და ხითხითებენ.

თურმე ფეხდაფეხ მოგვყვებოდა ვიღაც და ყველაფერს იღებდა.

გათავდა ფილმი.

იაპონელებმა სიცილი მოსხიპეს.

ბჭობენ და კამათობენ, მოგუდული იაპონური კამათით.

ხმამაღლაც რომ პაექრობდნენ, მე ბევრს ვერაფერს გავიგებ.

რას იტყვიო, მეკითხება ჩემი მწვრთნელი.

რა უნდ ვთქვა, მე ქუთაისელი კაცი ვარ, ვაჟკაცობაზე ვდებ თავს და კარგად ვიცი, რომ მორალური უფლება არ მაქვს პატიება გთხოვოთ. არ ჩაგაყენებყენ უხერხულ მდგო-მარეობაში და სუმოს კლუბის კანონებს გამონაკლისით არ

გავაუხერხულებ, გამათავისუფლეთ და წავალ ჩემ გზაზე-მეთქი.

გითხრა სიმართლე, წასვლა გადაწყვეტილი მაქვს, ორი დღის მერე საკონსერვო ქარხანა უკან მიფრინავს და კარლოიას უნდა გავყვე.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს, იკამათეს და ითათბირეს ჩემმა იაპონელმა მასპინძლებმა (ამ ლაპარაკის დროს არც ერთს არ გაცინებია) და ბოლოს ჩემმა მწვრთნელმა გამომიცხადა:

აკუტაკო გეტუკავა-სან იმსჯელა კლუბის ხელმძღვანელობამ თქვენს გუშინდელ საქციელზე და დანაშაული გაპატიათო.

– რას ჰქვია მაპატიეთ, იაპონელი რო ვყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდით-მეთქი.

აღვშფოთდი.

უთარგმნა იაპონელებს.

იაპონელი რომ ყოფილიყავი არ გაპატიებდითო, მითარგმნა კლუბის პრეზიდენტის პასუხი.

დიდი მადლობა პატიებისთვის მაგრამ კანონი ყველასთვის ერთია. თუმცა თქვენ მაპატიეთ, მე ვერ ვაპატიებ ჩემს თავს და მივდივარ-მეთქი.

წასვლა თქვენი საქმეა, მაგრამ ჩვენ არ გრიცხავთო.

რას ჰქვია, არ მრიცხავთ-მეთქი, ვინ მოგცათ თქვენ, სუმოისტთა ათასსაუკუნოვანი კანონის დარღვევის უფლება-მეთქი, ამისთვის სასამართლოში გიჩივლებთ-მეთქი.

გვიჩივლეო, იცინიან.

მართლაც ვიჩივლე.

მოსამართლეს განვუცხადე, რომ სამშობლოში მინდოდა დაბრუნება, არ მსურდა ჩემი ძვირფასი მასპინძლების თვალში უმადურ კაცად გამოვჩენილიყავი და ეს ყველაფერი წინასწარგანზრახვით ჩავიდინე რომ გავერიცხეთ-მეთქი.

იაპონელმა მოსამართლემ სუმოს კლუბის მესვეურები არ გაამტყუნა, მაგრამ თავის მხრივ მიშუამდგომლა კლუბის წინაშე, ჩემთვის ანგარიში გაესწორებინა (ამ სიტყვის პირდაპირი ფინანსური და არა გადატანითი მნიშვნელობით).

ტოკიოს აეროპორტში მთელი სუმოსკლუბი მაცილებდა.

3.I.2013 წ.

ასარჩევი

მარტოხელა მგელი 5
ტაბახმელა 10
როდის კვდება ადამიანი 17
ფარდული გზაზე 25
ფეხბურთი გარდამავალი უპირატესობით 34
აგვისტო, 2008 42
ქრისტე 50
ძილში არ გაიპარო 62
პრეზიდენტის დამხობის ოსტატები 77
ფერხული „ფარცაკუკუ“ 86
რევოლუციური ჩანახატი 94
დეპუტატები 101
ეს დაუცხრომელი საპრასია 109
ომეპრაზოლი 118
ჩვენი პოვნა ძნელი არ არის 124
ეძებეთ მანწკავა 129
სანამ გახმაურდება 135
ქვეცის მონასტერი 145
„არა იპარო“... 154
მშობელი 158
თავების ჭრა ძნელი საქმეა 166
მხოლოდ ორი წერილი 172
მუჯლუგუნი 179
ოღონდ გავაღწიო 185
მარცხენა ჯიბე და მადაგასკარი 190
ცოლების საკითხი 196
ჩხიკვი 205
ამაო თხოვნა 211
რაც არის, არის 215
ახია 221

ცივი ღამე..... 227
ქრთამი..... 231
ბორკილი..... 234
ნიმფები..... 239
ყავისფერი საფულე..... 245
არ გაუტიო..... 251
ცხოვრება უერთმანეთოდ..... 257
გარყვნა?!..... 276
ეს ჩემი ქუჩაა..... 285
ყოჩაღ, ორჯონიკიძევ!..... 290
ბობოხიძე..... 296
მგზავრები..... 302
ვინ წინა და ვინ უკანა... 307
„უფასოდ“..... 313
გაოგნებული გაგნიძე..... 321
ნასამართლევი..... 327
გაუპატიურება..... 332
რას მერჩოდი..... 342
ბაღდადური ცოლიკაური..... 354
ქართველები..... 359
ახლა კი დროა... 365
დახშული სივრცის შიში..... 376
იმპერატორი საქართველოში..... 385
სარჩულში ჩავარდნილი ბეჭედი..... 394
ვიკინგები..... 402
სიზმარი..... 411
რა გაჭირდა..... 417
უქიმერიონის ციხე..... 422
მოსმენის სამსახურის ბიჭები..... 436
არ ჩავერევი..... 447
სხვა რაღაა სიყვარული..... 455
გამომძიებელი ქლიბაძე..... 463
სუმოისტი აკუტაკო გეტუკავა..... 469

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XIII

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012